სერგი ჯორბენაძე უშანგი ბახტაძე ზურაბ მაჭარაძე

მედიასამართალი

(სახელმძღვანელო)

სერგი ჯორბენაძის საერთო რედაქციით

თბილისი
2014

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამოცემას, რომელიც მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს ეხება. ნაშრომი განკუთვნილია იურისტებისთვის, ჟურნალისტებისთვის და მედიასამართლის კვლევით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისთვის.

სახელმძღვანელო გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით. ნაშრომში გამოთქმული თითოეული მოსაზრება არ წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაციების პოზიციას.

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

წიგნის რედაქტორი: **სერგი ჯორბენაძე**

სტილისტ-რედაქტორი: **მაია დუმბაძე**

ყდის დიზაინი: **სანდრო გიორგაძე**

ტექნიკური უზრუნველყოფა: **გვანცა მახათაძე**

სახელმძღვანელოზე მუშაობისას ავტორებს დიდი დახმარება გაუწიეს შემდეგმა პირებმა:

ანა გუდაძე
ანა მჭედლიშვილი
თორნიკე აბაშიძე
ირინა ფიჩხაძე
კონსტანტინე ჩაჩიბაია
მარიამ ბარნაბიშვილი
მარიამ კოკაია
მერი ავსაჯანიშვილი
მერი წერეთელი
ნათია ქოჩორაშვილი
ნინო კავთელაშვილი
ნიკა დუდაშვილი
ნინო ნიქაბაძე
ნინო ქირია
ოლიკო კობახიძე
სალომე პაპოშვილი
სოფიო ანანიაშვილი
სოფიკო გოგიშვილი
ქეთევან გაბელია
ქეთი ბენაშვილი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა

© სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

სახელმძღვანელო დაიბეჭდა სტამბა „კოლორში“

თბილისი, 2014

ISBN 978-9941-0-7062-4

შინაარსი

შემოკლებანი 10

წინათქმა 11

Vorwort 14

Preface 16

თავი I მედიასამართალი როგორც სამართლის დარგი 19

1. მედიასამართლის ცნება 19

2. საქართველოში მედიის განვითარების მოკლე ისტორია 20

3. მედიასამართლის საგანი 22

4. მედიასამართლის ადგილი სამართლის სისტემაში 23

5. მედიასამართლის წყაროები 25

თავი II მედიასამართლის სუბიექტები და ობიექტები 27

1. მედიასამართლის სუბიექტები 27

1.1 მედია საშუალება როგორც მედიასამართლის სუბიექტი 27

1.1.1 მედია საშუალებათა სახეები და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა 28

1.1.2 ბეჭდური მედია და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა 28

1.1.3 მაუწყებლობა და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა 29

1.1.3.1 რადიომაუწყებლობა 29

1.1.3.2 ტელემაუწყებლობა 30

1.1.3.3 მაუწყებლობის სახეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 30

1.1.4 ინტერნეტი და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა 35

1.1.4.1 სოციალური მედია 37

1.1.4.2 ელექტრონული ფოსტა 41

1.1.4.3 ვებგვერდი 42

1.1.4.4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება „Facebook-ის“ თაობაზე 45

1.2 ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და სახელმწიფო, როგორც მედიასამართლის სუბიექტი 46

1.2.1 ფიზიკური პირი როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი 46
1.2.2 იურიდიული პირი, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი 48
1.2.3 სახელმწიფო როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი 49
2. მედიასამართლის ობიექტები 50

თავი III მედია და დემოკრატიული სახელმწიფო 52
1. მედიასამართლის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში 52
1.1 დემოკრატიული სახელმწიფოს არსი (ზოგადად) 52
1.2 მედიის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში 56
2. მედია როგორც ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“ 57

თავი IV მედიასამართალი და ადამიანის ძირითადი უფლებები 61
1. თავისუფლების ხელშეუვალობა 63
2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება 64
3. მიმოსვლის თავისუფლება 70
4. თავისუფალი მეწარმეობის უფლება 72
5. კანონის წინაშე პირთა თანასწორობა 73
6. ადამიანის პატივი და ღირსება 76
7. პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა 79
8. სიტყვის თავისუფლება 80
9. გამოხატვის თავისუფლება 81
10. ცენზურის დაუშვებლობა 95
11. ინფორმაციის თავისუფლება 100
12. ინფორმაციის მიღების უფლება გარემოს მდგომარეობის შესახებ 106
13. მედიასამართალთან ადამიანის ძირითადი უფლებების ურთიერთმიმართება 108

თავი V რეკლამა 110
1. რეკლამა ბეჭდურ მედიაში 111
2. რეკლამა რადიომაუწყებელზე 112
3. რეკლამა ტელემაუწყებელზე 112
4. რეკლამა ინტერნეტში 113

თავი VI სოციალური საკითხების მოწესრიგება მედიასამართალში 115
1. სოციალური საკითხების გაშუქება მაუწყებელთა მიერ 115
1.1 საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქების ვალდებულება 115
1.2 კერძო მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქება 117
1.3 შუალედური შედეგი 117
2. სოციალური რეკლამა 118

თავი VII მედიასამართალი და არჩევნები 119
1. მედიასამართალი და არჩევნების ძირითადი პრინციპები 120
2. საარჩევნო სამართლით მედიასამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება 122
2.1 მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი 123
2.2 წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა 124
2.3 დებატები 125
3. „Must Carry“ 125
3.1 ზოგადი განმარტებისთვის 125
3.2 „Must Carry-ს“ არსი 126
3.2.1 არჩევნებით გამოწვეული აუცილებლობა 127
3.2.2 „Must Carry-ს“ როლი დემოკრატიული კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში 128
3.3 „Must Carry-ს“ საფუძველზე გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა 131
3.4 „Must Carry-ს“ სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემა 135
3.5 „Must Carry-ს“ საფუძველზე მიღებული შედეგი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში 139

თავი VIII კერძოსამართლებრივი ურთიერთობა მედიასამართალში 141
1. მედია საშუალების სანივთო უფლებები 142
2. სახელშეკრულებო ურთიერთობა მედიასამართალში 143
2.1 ხელშეკრულების თავისუფლება მედიასამართალში (ზოგადად) 143
2.2 კონტრაჰირების იძულება 144
2.3 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 146
2.4 სამაუწყებლო ლიცენზიის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ნამდვილობის საჯაროსამართლებრივი წინაპირობა 147

3. მედიასამართალი და საავტორო უფლებები 148
4. შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მედიასამართალში 151
4.1 მედია საშუალება როგორც სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმო 153
4.2 სტაჟირება და გამოსაცდელი ვადა მედია საშუალებაში 154

თავი IX დანაშაული და მედია 156
1. თეორიული საკითხები 159
1.1 მედიის ზეგავლენა 159
1.2 მასობრივი საზოგადოების თეორია 160
1.3 ბიჰევიორიზმი და პოზიტივიზმი 161
1.4 ანომიის თეორია 165
1.5 მარქსიზმი, კრიტიკული კრიმინოლოგია და „დომინირებული იდეოლოგია“ 166
1.6 მარქსიზმის მემკვიდრეობა: კრიტიკული კრიმინოლოგია და კორპორაციული დანაშაული 170
1.7 პლურალიზმი, შეჯიბრებითობა და იდეოლოგიური ბრძოლა 172
1.8 პოსტმოდერნიზმი 174
1.9 კულტურული კრიმინოლოგია 178
1.10 რეზიუმე 181
2. დანაშაულებრივი ახალი ამბების კონსტრუქცია 181
2.1 ახალი ამბების ღირებულების ელემენტები 183
2.2 ახალი ამბების ღირებულების თანამედროვე ელემენტები 187
2.3 მედელინ მაკკენის გაუჩინარება: საინტერესო ახალი ამბის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 198
2.4 დანაშაულებრივი ახალი ამბები: სტატისტიკა 200
2.5 დანაშაულებრივი ახალი ამბები: დანაშაულის სახეები 201
3. მედია და მორალური პანიკა 204
3.1 მორალური პანიკა: წარმოშობა 205
3.2 როგორ აქცევს მედია ჩვეულებრივ მოვლენას არაჩვეულებრივად 206
3.3 ხელისუფლების როლი დევიაციის გაზვიადების პროცესში 208
3.4 მორალური პანიკის ტიპები 209
3.5 მორალური პანიკა და კულტურული კონფლიქტი 212
3.6 კონცეპტუალური პრობლემები და შეზღუდვები 214

3.6.1 პროპორცია 214
3.6.2 მორალური განაჩენი 214
3.6.3 ეთიკური პრობლემები 215
3.7 უარყოფა 217
4. მედიის მხრიდან ბავშვების კონსტრუირება: „ბოროტი მონსტრები“ და „ტრაგიკული მსხვერპლნი“ 218
4.1 ბავშვები როგორც „ბოროტი მონსტრები“ 219
4.2 ბავშვები როგორც „ტრაგიკული მსხვერპლნი“ 225
5. დანაშაული და მეთვალყურეობა 230
5.1 პანოპტიციზმი 231
5.2 კომპლექსური მეთვალყურეობა 233
5.2.1 სხეულის კონტროლი 234
5.2.2 მეთვალყურეობა როგორც რისკ-ფაქტორების გამოვლენის საშუალება 236
5.2.3 უსაფრთხოება და „კიბერმეთვალყურეობა“ 239
5.2.4 სარგებელი 243
5.2.5 ვოიერიზმი და გართობა 246
5.3 პანოპტიკონიდან კომპლექსურ მეთვალყურეობამდე 249
5.4 „დიდი ძმა“ თუ „ახალი მამაცი სამყარო“? 251
5.5 რეზიუმე 256
6. ინტერნეტის როლი დანაშაულსა და დევიაციასთან მიმართებით 257
6.1 დევიაციის ხელახლა განსაზღვრა და დემოკრატიზაცია: განვითარებადი ქვეყნები და ჩინეთის მაგალითი 259
6.2 კიბერომი და კიბერტერორიზმი 263
6.3 „ჩვეულებრივი“ კიბერდანაშაულები 265
6.3.1 ელექტრონული ქურდობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შელახვა 265
6.3.2 სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები (Hate Crime) 267
6.3.3 პირად ცხოვრებაში ჩარევა, ცილისწამება და პირადი მონაცემების ქურდობა 269
6.3.4 თაღლითობა eBay-ზე 272
6.3.5 „ჰაკინგი“ და სენსიტიური მონაცემების დაკარგვა 273
6.3.6 ბავშვთა პორნოგრაფია და ონლაინგრუმინგი 275

6.4 ბავშვობა, კიბერსივრცე და სოციალური უკუსვლა 277
6.5 რეზიუმე 280

თავი X საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართლთან მიმართებით 281
1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 283
1.1 სასარჩელო განცხადების არსი 283
1.2 მოსარჩელის არგუმენტაცია 284
1.3 მოპასუხე მხარის არგუმენტაცია 285
1.4 საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმედ მოწვეული სპეციალისტის პოზიცია 288
1.5 სასამართლო მეგობრის პოზიცია 288
1.6 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი 289
1.6.1 საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან შესაბამისობის საკითხი 291
1.6.2 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „საკაბელო ქსელის“ შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით 293
1.6.3 თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების ვალდებულების, საერთო და სპეციალიზებული სახის სამაუწყებლო ლიცენზიის (38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების“) შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით . . . 294
1.6.4 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით 296
1.6.5 საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით 298
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/1/569 გადაწყვეტილება საქმეზე დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 299
2.1 კონტიტუციური სარჩელისა და სადავო ნორმების არსი 299

2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება . . . 302
2.2.1 სასამართლოს საოქმო ჩანაწერი . . . 302
2.2.2 განსხვავებული აზრი საოქმო ჩანაწერზე . . . 309
2.3 საქმის არსებითი განხილვის სხდომა . . . 311
2.3.1 მოსარჩელის არგუმენტაცია . . . 311
2.3.2 მოპასუხე მხარის არგუმენტაცია . . . 312
2.3.3 არსებითი განხილვის დროს სპეციალისტთა პოზიციები . . . 314
2.4 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი . . . 318

თავი XI ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართალთან მიმართებით . . . 327
1. ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark) . . . 328
2. „სანდი თაიმსი" დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (the Sunday Times v. the UK) . . . 330
3. „გროპერა რადიო" და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Groppera Radio AG and Others v. Switzerland) . . . 333
4. საფრანგეთის რადიო და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Radio France and Others vs France) . . . 336

ბიბლიოგრაფია . . . 340

შემოკლებანი

ა.შ. – ასე შემდეგ

ავტ. – ავტორი

გვ. – გვერდი

ე.წ. – ეგრეთ წოდებული

იხ. – იხილეთ

მაგ. – მაგალითად

მქკ – მაუწყებელთა ქცევის კოდექსი

რედ. – რედაქტორი

სსკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შეად. – შეადარეთ

Aufl. – Auflage (გამოცემა – გერმანულ ენაზე)

BVerfG – Bundesvefrassungsgericht (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო – გერმანულ ენაზე)

ECHR – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (აბრევიატურა)

Ed. – Editor, რედაქტორი (ინგლისურ ენაზე)

RdNr. – Randnummer (ველის ნომერი – გერმანულ ენაზე)

S. – Seite (გვერდი – გერმანულ ენაზე)

წინათქმა

მედიასამართალი თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. მისი განვითარება კაცობრიობის უდიდეს წარმატებებს უკავშირდება – ამჟამად თითოეულ ჩვენგანს შესაძლებლობა აქვს ყოველდღიურად სხვადასხვა სახის ინფორმაცია თუ მონაცემები მიიღოს ისეთი ტექნიკური საშუალებებით, როგორიცაა ტელევიზორი, რადიო, ინტერნეტი და სხვ.

მედიასამართლის განვითარებასთან ერთად განვითარდა შესაბამისი კანონმდებლობა. თუ თხუთმეტიოდე წლის წინ ნაკლები აქცენტი კეთდებოდა ისეთი სახის პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა მაუწყებლობის ტრანზიტი, მაუწყებლობა და სხვ., დღეს მეტნაკლებად თითოეული მათგანი სამართლებრივად წესრიგდება.

წინამდებარე სახელმძღვანელო ეხება მედიასამართლის უმთავრეს პრობლემებს. კერძოდ, ნაშრომი დაყოფილია თერთმეტ ძირითად თავად: **პირველი თავი** ეხება მედიასამართალს, როგორც სამართლის დარგს, მის ცნებასა და ადგილს სამართლის სისტემაში; **მეორე თავში** განხილულია მედიასამართლის სუბიექტები და ობიექტები, მოხდენილია მათი დიფერენციაცია და სხვ.; **მესამე თავი** ეძღვნება დემოკრატიულ სახელმწიფოში მედიის მოქმედების სფეროს. აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილებულია მასმედიის განვითარებაში დემოკრატიული სახელმწიფოს როლზე და მედიის მოქმედების მნიშვნელობაზე; **მეოთხე თავი** მოიცავს მედიასამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების საკითხს. მასში გაწერილია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ის ძირითადი უფლებები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მედიასამართლის მოწესრიგებასა და მედია საშუალებების საქმიანობის განხორციელებაში; **მეხუთე თავში** რეკლამის საკითხია მიმოხილული. მასში განხილულია რეკლამის მნიშვნელობაზე, მის ძირითად სამართლებრივ პრობლემურ საკითხებსა და დიფერენციაციაზე, რაც თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება; **მეექვსე თავი** მედიასამართალში სოციალური საკითხების მნიშვნელობას აერთიანებს, სადაც საუბარი ეხება სოციალური საკითხების არსს, მის გამოყენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იმ ძირითად სამართლებრივ წინაპირობებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოახდინოს მედია საშუალებამ თითოეული ასეთი თემის საზოგადოებისთვის მიწოდება; **მეშვიდე თავი** მედიასამართლისა და არჩევნების ძირითად სამართლებრივ პრობლემებს განიხილავს, კერძოდ, განსაზღვრულია ის ძირითადი საკითხები, რომელიც მედიის საქმიანობას შეეხება წინასაარჩევნო პერიოდში; **მერვე თავი** ეთმობა მედიასამართალში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს, განხილულია ხელშეკრულების თავისუფლების, ასევე, შრომითი ურთიერთობების, საავტორო უფლებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მედიასამართლის ჭრილში; **მეცხრე თავში** საუბარია დანაშაულსა და მედიაზე, შესაბამისად, მიმოხილულია ის თეორიული საფუძვლები და კრიმინოლოგიური ასპექტები, რაც ამ ორ ცნებას აკავშირებს ერთმა-

ნეთთან და რომლის საფუძველზეც მკითხველს წარმოდგენა შეექმნება იმის თაობაზე, თუ როგორ იქმნება დანაშაულებრივი ახალი ამბები და რატომ ჰარბობს მსგავსი ინფორმაცია მედიასივრცეში, აგრეთვე, თუ რა კავშირია მედიასსამართალს, სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიას შორის და რა ასპექტში ხდება მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკითხს წინამდებარე სახელმძღვანელოს **მეათე თავი** ეთმობა, რომელშიც გაწერილია აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რაც მედიასამართლებრივ ურთიერთობას შეეხო; **მეთერთმეტე თავი** მედიასამართლებრივი კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას განიხილავს, რომელშიც გათვალისწინებული ძირითადი დათქმების ასახვას ვხვდებით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში. სახელმძღვანელოს I-VIII და XI თავების ავტორი სერგი ჯორბენაძეა, IX თავი შედგენილ იქნა უშანგი ბახტაძის, ხოლო X თავი – ზურაბ მაჭარაძის მიერ.

წინამდებარე სახელმძღვანელო არ იქნებოდა ასეთი სახით წარმოდგენილი, ავტორებისთვის უდიდესი დახმარება რომ არ გაეწია **მაია დუმბაძეს**, რომელმაც სტილისტური სახით გაასწორა თითოეული წინადადება და მნიშვნელოვანი შენიშვნები მისცა ნაშრომის ავტორებს.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორს – **დიმიტრი გეგენავას**, რომელიც სახელმძღვანელოზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში გვერდში ედგა ავტორებს და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მის გამოცემაში.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და თორნიკე დარჯანიას**, რომელთა მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე წინამდებარე სახელმძღვანელო არ გამოიცემოდა.

ამასთან, ცალკე გამოსაყოფია იმ ადამიანების მონდომება, რომელთა დახმარების გარეშე წინამდებარე ნაშრომს შეიძლება დღის სინათლე საერთოდ არ ეხილა. სახელმძღვანელოზე ავტორებთან ერთად იმუშავეს შემდეგმა პირებმა: **ანა გუდაძე, ანა მჭედლიშვილი, მერი წერეთელი, ოლიკო კობახიძე, მერი ავსაჯანიშვილი, კონსტანტინე ჩაჩიბაია, ნიკა დუდაშვილი, ქეთევან გაბელია, თორნიკე აბაშიძე, ნათია ქოჩორაშვილი, მარიამ კოკაია, ირინა ფიჩხაძე, მარიამ ბარნაბიშვილი, ქეთი ბენაშვილი, სოფიკო გოგიშვილი, ნინო ნიქაბაძე, სალომე პაპოშვილი, ნინო ქირია, ნინო კავთელაშვილი, სოფიო ანანიაშვილი.** რომ არა თითოეული მათგანის უდიდესი ძალისხმევა და მონდომება, ავტორებს ძალიან გაუჭირდებოდათ მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვა სახის ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეულ მათგანზე კომპეტენტური მსჯელობა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მედიასამართლის სტუდენტებისთვის, ასევე, ამ სამართლებრივი ინსტიტუტით დაინტერესებული იურისტთათვის, ასევე –

არაიურისტებისთვის, რომელთაც გააჩნიათ დაინტერესება აღნიშნული დარგის მიმართ. დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი დახმარებას გაუწევს მედიასამართლის სფეროში მომუშავე პირებს სხვადასხვა ძირეული პრობლემური საკითხის გადაჭრაში.

პატივისცემით,

სერგი ჯორბენაძე, სამართლის მაგისტრი (თსუ, ბრემენის უნივერსიტეტი) MA, LL.M., დოქტორანტი (თსუ); აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; თსუ-ს მოწვეული სპეციალისტი; სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი; კავკასიის სამართლის სკოლის მოწვეული სპეციალისტი; შპს „Rödl & Partner-ის" უფროსი იურისტი, ადვოკატი; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

უშანგი ბახტაძე, სამართლის მაგისტრი, მეცნიერების მაგისტრი (თსუ, ოქსფორდის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართალწარმოების მეცნიერება) MA, M.Sc.; დოქტორანტი (თსუ), აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის, სამართლებრივ საკითხთა და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი იურისტი; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ზურაბ მაჭარაძე, სამართლის მაგისტრი (თსუ, ბოლონიის უნივერსიტეტი) MA, LL.M., დოქტორანტი (თსუ), ასისტენტ-პროფესორი (თსუ), საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი.

30 აგვისტო 2014 წ.
თბილისი

Vorwort

Medienrecht ist der wichtigste rechtswissenschaftliche Bereich in der heutigen Epoche, da heutzutage jeder von uns verschiedene Informationen und Daten durch technische Mittel, wie z.B. Fernseher, Radio, Internet u.a. erhalten kann. Die Entwicklung des Medienrechts steht daher in Verbindung mit den größten Erfolgen der Menschheit. Mit der technischen Entwicklung schreitet auch die Gesetzgebung voran. Während vor fünfzehn Jahren Probleme wie Rundfunk und Ausstrahlung nicht von Bedeutung waren, wird heute alles durch die Gesetzgebung geregelt.

Das vorliegende Lehrbuch betrifft die Hauptprobleme des Medienrechts. Die These des Lehrbuchs ist in elf Grundkapitel untergliedert: **Das erste Kapitel** behandelt Medienrecht als Rechtsgebiet, seinen Begriff und seine Einordnung in die Rechtsordnung. **Im zweiten Kapitel** werden Subjekte und Objekte des Medienrechts differenziert. **Das dritte Kapitel** widmet sich dem Geltungsbereich des Medienrechts im demokratischen Staat. In diesem Kapitel ist die Rolle des demokratischen Staats bei der Entwicklung des Medienrechts erklärt. **Das vierte Kapitel** hat die Beziehung des Medienrechts und der Grundrechte als Gegenstand. In diesem Kapitel werden auf Basis der georgischen Verfassung die geltenden Vorschriften erörtert, die bei der Regelung des Medienrechts und bei der Durchführung der Medienaktivitäten eine sehr wichtige Rolle spielen. **Im fünften Kapitel** wird die Werbung diskutiert. Hier werden die Bedeutung der Werbung und die mit ihr verbundenen rechtliche Probleme bewertet. **Das sechste Kapitel** behandelt die Bedeutung der sozialen Fragen im Medienrecht. **Das siebte Kapitel** bewertet die Hauptprobleme des Medienrechts in Verbindung mit Wahlen. Behandelt werden die Grundfragen der Tätigkeit des Medienrechts in einer Wahlperiode. **Das achte Kapitel** betrifft privatrechtliche Beziehungen im Medienrecht. Es wird über Vertragsfreiheit, arbeitsrechtliche Beziehungen, Urheberrecht und andere wichtige Fragen im Sinne des Medienrechts diskutiert. **In neunten Kapitel** sind Verbrechen und Medienrecht Gegenstand der Diskussion. Dort stehen die theoretischen und kriminologischen Grundlagen zur Diskussion. Welche Beziehung gibt es zwischen Strafrecht und Kriminologie und wie wird diese Beziehung bestimmt? Die Frage des Verfassungsgerichts ist **im zehnten Kapitel** geregelt. Hier werden die wichtigsten, das Medienrecht betreffenden Entscheidungen dieses Organs besprochen. **Das elfte Kapitel** bewertet die europäische Praxis. Es enthält die Vorbehalte, die in georgischen gerichtlichen Entscheidungen zu erkennen sind.

Der Autor von Kapitel I-VIII und Kapitel XI dieses Lehrbuchs ist Sergi Jorbenadze, das IX Kapitel hat Ushangi Bakhtadze und das X Kapitel Zurab Matcharadze geschrieben.

Das vorliegende Lehrbuch wäre ohne die Hilfe von **Maia Dumbadze**, die jeden Satz stilistisch korrigiert und den Autoren wichtige Hinweise gegeben hat, nicht in dieser Form enstanden.

Besonderen Dank ist auch dem Direktor des Rechtsintituts von David Batonischwili– **Dimitry Gegenava** – geschuldet, der während der Arbeit an diesem Buch große Hilfe geleistet und ertragreiche Beiträge geleistet hat.

Wir bedanken uns bei der **Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) und Tornike Darjania**. Ohne ihre Unterstützung und Ihren Beistand wäre dieses Lehrbuch nicht verfasst worden.

Zusätzlich muss man die Bemühungen der Menschen erwähnen, ohne deren Hilfe das vorliegende Lehrbuch nicht realisiert wäre. An dem Lehrbuch haben mitgewirkt: **Ana Gudadze, Ana Mtchedlishvili, Meri Tsereteli, Oliko Kobakhidze, Meri Avsajanishvili, Konstantine Chachibaia, Nika Dudashvili, Ketevan Gabelia, Tornike Abashidze, Natia Qochorashvili, Mariam Kokaia, Iri Fichkhadze, Mariam Barnabishvili, Keti Benashvili, Sopiko Gogishvili, Nino Nikabadze, Salome Paposhvili, Nino Qiria, Nino Kavtelashvili, Sopio Ananiashvili.** Ohne ihre großen Bemühungen und die dabei enstandenen kompetenten Diskussionen wäre die Recherche der Autoren zu wichtigen Themen dieses Buches um ein vielfaches schwieriger gewesen.

Das vorliegende Lehrbuch ist sowohl für MedienrechtstudentInnen und für Juristen, die mit diesem Rechtsgebiet verbunden sind, als auch für Nicht-Juristen, die sich für Medienrecht interessieren, konzipiert. Wir hoffen, dass es den Menschen, die im Medienbereich arbeiten, bei der Lösung verschiedenster Fragestellungen helfen wird.

Mit herzlichen Grüßen,

Sergi Jorbenadze, Master of Law (TSU, Universität Bremen) MA, LL.M.; Doktorand (TSU); Assistenzprofessor bei der East European University; Eingeladener Fachspezialist (Lecturer) bei der TSU; Eingeladener Fachspezialist (Lecturer) bei der Sulkhan-Saba Ausbildung Universität; Eingeladener Fachspezialist (Lecturer) bei der Caucasian University; Senior Associate, Rechtsanwalt bei „Rödl & Partner"; Stellvertretender Direktor im Rechtsinstitut von David Batonischwili.

Ushangi Bakhtadze, Master of Law, Master os Science (TSU, Oxford University Criminology and Criminal Science) MA, M.Sc.; Doktorand (TSU); Eingeladener Fachspezialist (Lecturer) bei der East European University; Senior Jurist in der rechtlichen und organisatorischen Dienstabteilung des Hohen Justizrats; Leiter des Kriminologischen Forschungszentrums im Rechtsinstitut von David Batonischwili.

Zurab Matcharadze, Master of Law (TSU, University of Bologna) MA, LL.M.; Doktorand (TSU); Assistenzprofessur TSU; Führender Spezialist in Ausschuss der rechtlichen Fragen (Verfassungsrechtliche Vertretungsgruppe) im georgischen Parlament.

30. August 2014
Tiflis

Preface

Media Law is one of the most important fields of modern era. Its development is closely linked with the development of mankind itself – we live in a day and age where different types of information and data can be collected from various types of media, such as: TV, radio, internet, social networks, etc.

Evolution of Media Law caused the development of appropriate legislation. If less than fifteen years ago there was little attention drawn to the problematic issues of broadcasting transit, broadcasting, etc., nowadays all these issues are more or less regulated by the law.

The following handbook covers all the main problems of Media Law. Namely, the work is divided into eleven major chapters: **Chapter 1** deals with Media Law as a separated field of law; it also discusses the notion of Media law and its place in the justice system; **Chapter 2** explores the subjects and objects of Media Law, their functions and differentiation between them; **Chapter 3** is dedicated to the scope of the media in a democratic state. This chapter focuses on the role of media in the development of a democratic state and on the importance of media coverage; **Chapter 4** covers the issues of Media Law and basic human rights. It embodies all the basic rights that are stipulated in the Constitution of Georgia and which play the main role in the regulation of Media Law and Mass media. **Chapter 5** describes the issue of advertising. It discusses the importance of advertising, its main legal problems and differentiation, all of which are reflected in our everyday lives; **Chapter 6** illustrates the importance and essence of social issues, its use in social life and the basic legal preconditions, which should be used by the media every time they deliver information to the public; **Chapter 7** discusses the major legal problems of Media Law and elections, in particular, it identifies the key issues that affect the work of the media during the pre-election period; **Chapter 8** is devoted to the relation between private and media law. It discusses the issues of freedom of contract, as well as labor relations, intellectual property rights and other important issues relating the media; **Chapter 9** explores the relation between crime and media. In doing so, it first brings together theoretical analysis from criminology, media studies, cultural studies and sociology. Then it discusses the manufacture of crime news. Hence, it considers why crime has always been and remains, so eminently newsworthy. After that, it explores the notion of moral panics and examines moral panics over youth by considering the degree to which, in today's media landscape, children and young people are viewed. This chapter also examines the extent to which surveillance technologies are employed in everyday life as a form of social control. And finally, it also discusses one of the developing crimes of our time – cybercrime; **Chapter 10** covers the main decisions of Constitutional Court of Georgia relating media law issues; **Chapter 11** discusses the practice of the European Court of Human Rights. This latter is important because all the principal theses used by the ECHR are implemented in the decisions and judgments of the Common Courts of Georgia.

The Author of the chapters I-VIII and XI of the handbook is Sergi Jorbenadze, Chapter IX was created by Ushangi Bakhtadze and Chapter X by Zurab Macharadze.

The following handbook would not be presented in this form without the assistance of **Maia Dumbadze**, who stylistically corrected each sentence of the text and provided the authors with important notes.

Our special thanks is dedicated to the Director of the Prince David Institute for Law – **Dimitry Gegenava**, who guided the authors while working on this paper and also played significant role in the process of publication.

We would like to express our gratitude towards **Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) and Tornike Darjania** whose support and assistance has been essential for publishing this book.

We would like to exceptionally thank all those people who were working alongside the authors throughout this period and without their help it would have been extremely difficult to create this handbook. These people are: **Ana Gudadze, Ana Mtchedlishvili, Meri Tsereteli, Oliko Kobakhidze, Meri Avsajanishvili, Konstantine Chachibaia, Nika Dudashvili, Ketevan Gabelia, Tornike Abashidze, Natia Qochorashvili, Mariam Kokaia, Iri Fichkhadze, Mariam Barnabishvili, Keti Benashvili, Sopiko Gogishvili, Nino Nikabadze, Salome Paposhvili, Nino Qiria, Nino Kavtelashvili, Sopio Ananiashvili.** Each of these person have assisted the authors with searching and processing of the appropriate literature and also for providing warm friendship as well as wisdom, wit and inspiration.

This handbook is intended for media students, as well as lawyers interested in this legal institution, it is also intended any other person who have an interest of this field. We hope that it would help persons working in the field of Media Law to solve the fundamental issues.

Respectfully,

Sergi Jorbenadze, Master of Law (TSU, University of Bremen) MA, LL.M.; PhD Student (TSU); Assistant-Professor of Eastern European University; Visiting Lecturer of TSU; Visiting Lecturer of Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University; Visiting Lecturer of Caucasus School of Law; Senior Associate, Lawyer of LLC "Rodl & Partner"; Vice Director of Prince David Institute for Law.

Ushangi Bakhtadze, Master of Law, Master of Science (TSU, Univeristy of Oxford) MA, M.Sc; PhD Student (TSU); Visiting Lecturer of Eastern European University; Chief Legal Advisor of the Legal and Organizational Assurance Department of High Council of Justice of Georgia; Head of Criminological Research Centre of Prince David Institute for Law.

Zurab Macharadze, Master of Law (TSU, University of Bologna) MA, LL.M.; PhD Student (TSU); Assistant-Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Leading specialist of the legal issues committee of the Parliament of Georgia for the representative maintenance group to the Constitutional Court of Georgia

August 30, 2014
Tbilisi

თავი I მედიასამართალი როგორც სამართლის დარგი

მედიასამართლი წარმოადგენს რამდენიმე სამართლებრივი აქტის ერთობლიობას, რომელიც სამართლის სხვადასხვა სფეროებს მოიცავს.[1] სამართლის ეს დარგი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს იგი მოწესრიგებულია ერთი, კონკრეტული სამართლებრივი აქტით.[2]

მედიასამართლის, როგორც სამართლის დარგის წარმოშობის საფუძვლად შესაძლებელია კაცობრიობის ტექნოლოგიური წინსვლის პერიოდი მივიჩნიოთ.[3] სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, იგი უფრო გვიან წარმოიშვა. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და საზოგადოების მიერ მათ მოხმარებასთან. შესაბამისად, მედიასამართლის, როგორც სამართლის დარგის განვითარება ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებაზეა დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ინტერნეტსამართალი ნახევარი საუკუნის წინ, საერთოდ არ არსებობდა როგორც სამართლის კონკრეტული სახის დარგი. აღნიშნულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა მასობრივ კომუნიკაციასა და ინდივიდუალურ კომუნიკაციას შორის საზღვრების გაუქმება, რამაც ინფორმაციის გავრცელებასა და, შესაბამისად, მოსაწესრიგებელი სფეროს გაფართოებას შეუწყო ხელი.[4]

მედიასამართალი, როგორც სამართლის დარგი, ინტერდისციპლინურ დარგად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა ერთ კონკრეტულ ნორმაში არ თავსდება. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ მედიასამართალი საქართველოს კანონმდებლობაში ცალკეული სამართლებრივი აქტითაა მოწესრიგებული. მასზე საუბრისას შეიძლება შევეხოთ როგორც კიბერდანაშაულის საკითხს, ისე – სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებას.

1. მედიასამართლის ცნება

მედიასამართალი თავისი ბუნებით უშუალოდ დაკავშირებულია მედიის საქმიანობასთან. მეტიც, იმისთვის, რომ მედიასამართლის არსი იქნეს განსაზღ-

---

[1] *Enders T.*, Beratung im Uhreber- und Medienrecht, Anwaltspraxis, 4. Auflage, Deutscher Anwaltverlag, 2008, 323.

[2] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 16 (შემდგომში – *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, გვ.).

[3] *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, გამომცემლობა „პოლიგარდ თბილისი", თბილისი, 2008, 14 (შემდგომში – *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, გვ.).

[4] შეად. *Dörr D., Schwartmann* R., Medienrecht, 4. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelber, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012, 1 (შემდგომში – *Dörr/Schwartmann*, Medienrecht, გვ.).

ვრული, მნიშვნელოვანია, შევეხოთ მედიის დეფინიციასა და მისი საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტებს.[5]

მედიის საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციით განისაზღვრება და სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებით ასახვას პოვებს კონკრეტულ კანონებში. მედია და, შესაბამისად, მისი საქმიანობის განხორციელება განხილულ უნდა იქნეს ორ ძირითად – ტრადიციულ და ალტერნატიულ ასპექტში.[6] პირველი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია; ალტერნატიული მედიის საშუალებად კი მოიაზრება მეორადი მასობრივი კომუნიკაცია, რომლის განხორციელება თითოეულ ჩვენგანს შეუძლია. მაგალითად, ინტერნეტბლოგების შექმნა, სოციალური ქსელები, რომელზეც იტვირთება ფიზიკური პირის მიერ გარკვეული ინფორმაცია, ან გამონათქვამები და სხვ.[7]

მედიის გავლენა და, შესაბამისად, მედიასამართლის მნიშვნელობა უდიდესია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხშირად მედიაში გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება ჩვენ კონკრეტული მოქმედების განხორციელებისკენ გვიბიძგოს ამდენად, დიდი მნიშვნელობისაა მედიასამართლის ცნების მართებული განმარტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიასამართლის ცნება შემდეგი სახით შეიძლება იქნეს განსაზღვრული: ***სამართლის დარგი, რომელიც აწესრიგებს მედიის მონაწილეობით დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს***. თავის მხრივ, მედიის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. პირდაპირი მონაწილეობისას მედია საშუალება უშუალოდ წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, ხოლო არაპირდაპირი მონაწილეობის დროს, მედია მხოლოდ კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა, როდესაც პირის მიერ სწორედ ინფორმაციის გავრცელების აღნიშნული წყაროს მეშვეობით ირღვევა სხვა პირთა უფლებები.

2. საქართველოში მედიის განვითარების მოკლე ისტორია

მსოფლიოში მედიის განვითარების პირველ პერიოდად XVIII საუკუნის და საწყისი შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც დაიწყო გაზეთების გამოცემა.[8] კაცობ

---

[5] შეად. *Wandtke A.-A. (Hrsg.)*, Medienrecht, Praxishandbuch, 2. Auflage, Band 4, Verlag Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin/Boston, 2011, 46.

[6] *McLintock C. C.*, The Destruction of Media Diversity, or: How the FCC learned to stop and love corporate dominated media, John Marshall Journal of Computer & Information Law, Spring 2004, 569.

[7] იქვე.

[8] *ვეკუა მ., რუე ჟ., ჩიკვილაძე დ., დარსაველიძე მ., კაჭარავა ხ., კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ., ლომიძე ე., ლომიძე მ., მემანიშვილი მ., მჟავანაძე თ., ონიანი ნ., ჭალაგანიძე ნ., ძამუკაშვილი ლ.*, ჟურნალისტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, 27 (შემდგომში - ჟურნალისტიკა, გვ.).

რიობის განვითარებასთან ერთად ფორმირდებოდა მედია საშუალებათა ახალი სახეები – გამოგონებულ იქნა ჯერ რადიო, შემდეგ – ტელევიზია და ბოლოს, თანამედროვე ეპოქის ყველაზე მოხმარებადი მედია საშუალება – ინტერნეტი.

საქართველოში მედია საშუალებათა საქმიანობა XIX საუკუნიდან იწყება, როდესაც გამოიცა **პირველი ბეჭდური გაზეთი** – „საქართველოს გაზეთი".[9] მისი პირველი ნომერი თარიღდება 1819 წლის 21 მარტით (ძვ. სტილით – 8 მარტით).[10] შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მედია საშუალებათა საქმიანობის პირველ საფეხურად სწორედ აღნიშნული გაზეთის გამოცემა უნდა იქნეს მიჩნეული. გაზეთის გამოცემა, როგორც საქართველოში პრესის განვითარების პირველი ეტაპი, ლიტერატურაში, **პროფესორ თამაზ ჯოლოგუას** მიერ მოაზრებულია მწერლობასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზე საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციებთან ერთად ქართული ეროვნული ნებისა და თვითშეგნების აღორძინებად, გამთლიანებად და გაძლიერების საწყისად.[11]

ბეჭდური მედიის შემდგომ, მედიის განვითარების მეორე საფეხური **რადიომაუწყებლობის** განხორციელებაა. თავდაპირველად უმავთულო რადიოშეტყობინება ტელეგრაფით გადაიცემოდა, რომელიც შემდეგ ე.წ. „ხმოვანი რადიოთი" იქნა ჩანაცვლებული.[12] საქართველოში რადიომაუწყებლობს საფუძველი XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი ათწლეულში ჩაეყარა,[13] თუმცა უშუალოდ რადიოგადაცემის პირველ თარიღად 1925 წელი შეიძლება იქნეს მოაზრებული, როდესაც თბილისში, სასტუმრო „თბილისის" შენობაში საზეიმოდ გაიხსნა რადიო და გადაიცა სიმღერა, რომელიც შეასრულეს საქართველოს სახალხო არტისტებმა.[14]

რადიომაუწყებლობის შემდეგ კაცობრიობა გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე – გამოგონებულ იქნა **ტელევიზორი** და საფუძველი ჩაეყარა **ტელემაუწყებლობას**.[15] ტელევიზიის ჩამოყალიბება არ უნდა იქნეს რადიოს განვითარებისგან დამოუკიდებლად განხილული – ორივე შემთხვევაში მისი განხორციელება გულიელმო მარკონიმ ჯეიმს მაქსველისა და ჰაინრიხ ჰერცის აღმოჩენას დაუკავშირა, რომელთაც ბუნებაში ელექტრომაგნიტური რხევების არსებობა

---

[9] იქვე. 46.

[10] იქვე.

[11] იხ. *ჯოლოგუა თ.*, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე, გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2013, 7.

[12] ჟურნალისტიკა, 41.

[13] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *იბერი ე., მჟავანაძე თ., ტალახაძე ნ.*, საქართველოს რადიოს ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 11 და შემდგომი.

[14] იქვე. 21.

[15] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ მაგალითად, *Porter M. J.*, Broadcasting in America, A Survey of Electronic Media, Instructor's Manual, 6th Edition, Houghton Mifflin Company, Boston, 1990, 41 და შემდგომი.

დაამტკიცეს.[16] საქართველოში პირველი ტელეცენტრის დაპროექტება 1953 წელს დაიწყო, რომელიც 1956 წელს სატელევიზიო ანძის მშენებლობით დაგვირგვინდა და საქართველოს მოსახლეობას ტელესიგნალის მიღების შესაძლებლობა მიეცა.[17] ამავე წლის 30 დეკემბერს საქართველოში განხორციელდა პირველი ტელესიგნალის გადაცემა.[18]/[19]

ტექნიკის განვითარების ერთ-ერთმა ბოლო ეტაპმა მედია სივრცეში **ინტერნეტის** ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. ინტერნეტსივრცე XX საუკუნის 60-იანი წლების ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგია.[20] მან თანამედროვე ეპოქაში ადამიანებს მიანიჭა ახალი შესაძლებლობები, რომლითაც შეიქმნა ვირტუალური რეალობა. ინტერნეტი როგორც ნებისმიერი პირისთვის (როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირისთვის) მონაცემების გაცვლისა და მიღების საუკეთესო საშუალება გახდა.[21] აღნიშნულის დასტურად გამოდგება თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ქმედება, როდესაც ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სწორედ ინტერნეტის მეშვეობით.[22]

საქართველოში ინტერნეტის განვითარების პერიოდად XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც ეტაპობრივი განვითარების პარალელურად არაერთმა საწარმომ შექმნა თავისი ვებგვერდი და მასზე განათავსა ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც, საბოლოო ჯამში, მოსახლეობაში ამ საწარმოების პოპულარიზაციას შეუწყო ხელი.

3. მედიასამართლის საგანი

მედიასამართლის როლი საზოგადოების თანამედროვე განვითარების ეტაპზე დიდია იმდენად, რამდენადაც ადამიანები ყოველდღიურ ურთიერთობებში მედიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს

---

[16] *ჟურნალისტიკა*, 41.

[17] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია – <**www.gncc.ge/index.php?land_id=GEO&sec_id=5704&info_id=6060**>.

[18] იხ. *კოკაია ს.*, ქართული ტელევიზიის დაარსება-განვითარების საკითხისათვის, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2(35), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი", თბილისი, 2008, 153.

[19] იხ. ვ. ლეონტიევას მოლოცვა თბილისის ტელეხედვის სტუდიის გახსნასთან დაკავშირებით, 1956 წლის 30 დეკემბერი – <**https://www.youtube.com/watch?v=wvu2YDlLL0k**> [04.08.14].

[20] იხ. *ჟურნალისტიკა*, 43 და შემდგომი.

[21] *Körber T.,* Juristische Recherche im Internet, NJW, Heft 48, Verlag C.H. Beck, München, 1997, 3222.

[22] *ბოძაშვილი ლ., კობრეიძე ნ.*, კიბერსივრცის სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2012, 23.

როგორც კონკრეტული ინფორმაციის მიღებით, ისე – ინფორმაციის გაცემით, საჯარო გადაცემებით და ა.შ. თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დაცულ იქნეს ის სამართლებრივი წინაპირობები, რაც მედიასამართლის მონაწილე მხარეებს კანონის საფუძველზე შესაბამისი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას მისცემს.

მედიასამართლის საგანი დაკავშირებულია მედია საშუალების საქმიანობასთან. ის ძირითადი ფუნქციები, რაც უკანასკნელ მათგანს გააჩნია, წარმოადგენს სწორედ მედიასამართლის ძირითად არსს. კერძოდ, მედიის საქმიანობა განისაზღვრება მისი სამი ძირითადი ფუნქციით: სიზუსტით, ობიექტურობით და გასაგებობით.[23] პირველი მათგანის მნიშვნელობა დიდია იმდენად, რამდენადაც ზუსტ ინფორმაციაზე დამოკიდებულია უშუალოდ მედიის მომავალი პოპულარიზაცია, მაყურებელთა ნდობა, მისი რეიტინგი, რაც გავლენას ახდენს კომერციულ შემოსავლებზე და სხვ.

ობიექტურობის დაცვა ზუსტი ინფორმაციის მიწოდების პირდაპირპროპორციულია. ობიექტურობა ზუსტი ინფორმაციის გაშუქებასთან ერთად, რეალობის ობიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებით ასახვას გულისხმობს. რაც შეეხება გასაგებობას, ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ისე უნდა იქნეს გადმაცემული მედია საშუალებით, რომ ნებისმიერ მსმენელს შეეძლოს აზრის გამოტანა და საკუთარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი ასახვას ჰპოვებს მედიის ობიექტურ საქმიანობაში. მისი დაცვა მედიის დამოუკიდებლობის საწინდარს წარმოადგენს.

4. მედიასამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

სამართლის სისტემაში მედიასამართალს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროში. მედიასამართლის როლი დიდია იმდენად, რამდენადაც ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვის ან გამოხატვის თავისუფლება სწორედ მედია საშუალებით იზღუდება. შეზღუდვას თავისი სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია. იგი შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც მოქმედებაში, ისე მოქმედებისგან თავის შეკავებაში. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ მედიასამართალს კავშირი აქვს სამართლის სხვადასხვა დარგთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მისი დაკონკრეტებული სახით სამართლებრივ ურთიერთობაში ასახვას. მაგალითად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, თუ ვინ გამოთქვამს აზრს – კერძო თუ საჯარო პირი. *ორივე მათგანზე ვალდებულებანი (მაგალითად, თმენის*

---

[23] იხ. *Frey F.*, Die Funktionen der Massenmedien, Hausarbeit, 1. Auflage, Grin Verlag, Norderstedt, 2002, 5.

ვალდებულება) ერთნაირად არ უნდა გავრცელდეს.[24] იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვისა და აზრის გამოხატვა უმეტეს შემთხვევაში მედია საშუალების დახმარებით ხდება, მედიასამართალი ამ ასპექტში დიდ როლს თამაშობს.

სამართლის სხვა დარგებთან მედიასამართლის კავშირზე და, ასევე, სამართლის სისტემაში მის ადგილზე საუბრისას მნიშვნელოვანია, განსაზღვრულ იქნეს რამდენიმე ასპექტი: მედიასამართლებრივი ურთიერთობის არსებობა არ გულისხმობს, რომ მედიასამართალი სხვა სამართლებრივი დარგის ადგილს იკავებს კონკრეტული საკითხის მოწესრიგებისას. დასახელებული მაგალითის კვალდაკვალ, რომელიც საჯარო ან კერძო პირის მიერ სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას ეხება, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ადამიანის უფლებათა ფარგლებს არ სცდება (გარკვეულ შემთხვევებში – სამოქალაქოსამართლებრივ ფარგლებს), თუმცა მისი მოწესრიგების პრობლემურობა სწორედ მედიის, როგორც ამ ურთიერთობის შემაკავშირებელი საშუალების ასპექტში უნდა იქნეს განხილული.

მედიასამართლის კავშირი სამოქალაქო (კერძო) სამართალთან, უპირველეს ყოვლისა, იმ ძირითადი სამართლებრივი წინაპირობებიდან გამომდინარეობს, რომლის საშუალებითაც პირს გარიგების დადების, უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობისა და სხვა უფლებამოსილებები გააჩნია.

მედიის საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა, მედიის სფეროში ყოველდღიურად რომ არ იდებოდეს სხვადასხვა სახის ხელშეკრულება. მაგალითად, შრომითი ხელშეკრულება, გარკვეულ შემთხვევებში – იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულება და სხვ., თუმცა მედიასამართლის კავშირის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი კერძო სამართალთან მიმართებით არის პიროვნული უფლებების დაცვის საკითხი, რომელიც სამოქალაქო სამართლის დონეზე მოწესრიგებულ ინსტიტუტს წარმოადგენს.[25] მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის განხილვაც კი გამოდგება, რომელშიც მედიის როლი პირის სახელის ტარების უფლების შეცილების შემთხვევაში წინა პლანზეა წამოწეული.

მედიასამართლის კავშირი საჯარო სამართალთან – განსხვავებით სამოქალაქო სამართლისგან, საჯარო სამართლის შემთხვევაში მედიასამართლი კონკრეტულ ასპექტშია წარმოდგენილი. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მედიის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ მედია საშუალების საქმიანობას ეხება, სწორედ საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება.[26] ასე მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ ან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონები, რომელთა მომწესრიგებელი სამართლებრივი წინაპირობა პირთა თანასწორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს არ ეხება.

---

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

[25] *Dörr/Schwartmann*, Medienrecht, 17.

[26] იქვე.

მედიასამართლის კავშირი სისხლის სამართალთან უმთავრესად ვლინდება ანსახილველი, ისეთი სახის დანაშაულების არსებობისას, როგორიცაა კიბერ- ანაშაული და სხვ.[27] სისხლის სამართალთან ერთად უნდა იქნეს მოაზრებული, სევე, კრიმინოლოგიის სამართლებრივი ბუნება და მისი მნიშვნელობა მედიასა- ართლის ასპექტში.

5. მედიასამართლის წყაროები

მედიასამართლის ორი ძირითადი წყარო არსებობს. ესენია – ***ადგილობრივი ქვეყნის შიდა) და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.***[28] *პირველ მათგანში* ოიაზრება საქართველოს კონსტიტუცია, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართვე- ოს კანონი და ყველა ის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც მედიის აქმიანობისა და მედიასამართლის სუბიექტებისა თუ ობიექტების მოქმედების აფუძვლებს ეხება.

რაც შეეხება საერთაშორისო კანონმდებლობას, საქართველოში არ მოქმედებს ვროკავშირის დირექტივები, რომელიც თანამედროვე ევროპის სამართალში ნიშვნელოვან საკანონმდებლო ბაზას ქმნის. მართალია, მათ სარეკომენდაციო ასიათი აქვს, თუმცა გლობალიზაციის პროცესში და მედიის საქმიანობის დამო- კიდებლობის კრიტერიუმის განსაზღვრისთვის კანონი და სხვა სარეკომენდა- იო დოკუმენტები, განურჩევლად თითოეული მათგანის ფორმისა, უნდა იქნეს აცული.[29]

საერთაშორისო ნორმებზე საუბრისას საქართველოში მედიასამართლის წყა- ოებად შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთაც აქართველომ მოაწერა ხელი. ასე, მაგალითად, საქართველოსა და უკრაინას შო- ის 1996 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც ტელე და რადიო პროგ- ამებისა და საინფორმაციო მასალების გაცვლას ითვალისწინებს.[30] ამასთან, აღ- ანიშნავია საერთაშორისო შეთანხმებაც, რომელსაც საქართველოც შეუერთდა ა რომლის მიხედვითაც, 2015 წლის 17 ივლისიდან საქართველოში არსებული ამაუწყებლო კომპანიები გადავლენ ციფრულ მაუწყებლობაზე (სწორედ საერთა- ორისო შეთანხმებაში არსებული მოთხოვნის შესაბამისად).

მედიასამართლის წყაროდ ასევე შეიძლება მოაზრებულ იქნეს, ეთიკის ის ორმები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შესაბამის

შეად. იქვე, 18.

იქვე, 19.

Lutz T., Aktuelle Herausforderungen für die Medienethik, Aus Politik und Zeitgeschichte, 8/2006, 18. September, Beilage zur Wochenzeitung Das Parlament, 2006, 5.

იხ. საქართველოსა და უკარაინას შორის 1996 წლის 5 ნოემბერს დადებული შეთანხ- ება „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციასა ა უკრაინის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს შორის თა- ამშრომლობის შესახებ“.

უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მიღებული. ასე, მაგალითად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერაა მიღებული. ერთი მხრივ, მართალია, ეთიკის ნორმები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა, მეორე მხრივ, მისი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მაუწყებელს დაეკისროს შესაბამისი სახის პასუხისმგებლობა.

სასამართლო პრაქტიკა, როგორც მედიასამართლის წყარო – აღნიშნული, ისევე, როგორც საკანონმდებლო ნორმები, განხილულ უნდა იქნეს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ქვეყნის შიდა პრაქტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს საერთო სასამართლოების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა, ხოლო საერთაშორისო პრაქტიკის ასპექტში მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მედიის საქმიანობასა და მასთან დაკავშირებულ გამოხატვისა თუ ინფორმაციის თავისუფლებას ეხება.

თავი II მედიასამართლის სუბიექტები და ობიექტები

1. მედიასამართლის სუბიექტები

მედიასამართლის სუბიექტები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: მედია საშუალებებად, რომლებიც წარმოადგენს მედიასამართლის უმთავრეს სუბიექტს და პირებად, რომლებიც არ წარმოადგენენ მედია საშუალებას, მაგრამ სწორედ მათი მეშვეობით აკეთებენ საჯარო განცხადებას, ასაჯაროვებენ კონკრეტული სახის მონაცემებს და სხვ. თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ ფარგლების დადგენა, რომლებშიც ახორციელებს მედია საშუალება შესაბამის საქმიანობას. აღნიშნული მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დათქმისგან, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამართლებრივი სტატუსი. ამასთან, დასახელებული სამართლებრივი ნორმის ფარგლებში შესაძლებელია იმის თქმა, რომ კანონი არ აკონკრეტებს იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აუცილებლობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტში, მაუწყებლის დეფინიციიდან გამომდინარე, მაუწყებლობის უფლებამოსილების განხორციელების უფლება გააჩნიათ როგორც ფიზიკურ, ისე – იურიდიულ პირებს.

1.1 მედია საშუალება როგორც მედიასამართლის სუბიექტი

მედიასამართლის სუბიექტზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი და მისი როლი მედიის საქმიანობისას. ჟურნალისტი მედია საშუალების სახეა, რომელიც, უმთავრეს შემთხვევაში, როგორც კონკრეტული იურიდიული პირის წარმომადგენელი, ისე გამოდის სამართლებრივ ურთიერთობაში.

ჟურნალისტი, როგორც მედიასამართლის სუბიექტი, წარმოადგენს ფიზიკურ პირს, მაგრამ განსხვავებით მედიასამართლის სხვა სუბიექტებისგან, მას გააჩნია გარკვეული სახის ვალდებულებანი. აღნიშნულიდან, უპირველეს ყოვლისა, გამოსაყოფია პროფესიული ეთიკის ნორმები, რომლის დაცვაზეც ჟურნალისტმა თითოეული რეპორტაჟის, სიუჟეტის თუ სხვა საქმიანობის განხცორციელებისას უნდა იზრუნოს. ჟურნალისტური ეთიკის ოთხივე სახე: სავალდებულო, აკრძალული, სასურველი და არასასურველი[31] ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა დაიცვას, რათა მის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისას არ დაირღვეს სხვა

[31] *კაპანაძე გ.*, ეკონომიკის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „კალიგრაფი“, თბილისი, 280.

პირთა კანონიერი უფლებები. თითოეული ასეთი უფლების დაცვა ჟურნალისტის პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარეობს.[32]

1.1.1 მედია საშუალებათა სახეები და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა

საქართველოში მედია საშუალების ოთხი ძირითადი სახე ფუნქციონირებს: ბეჭდური მედია, რადიომაუწყებელი, ტელემაუწყებელი და ინტერნეტმედია. ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ჩვენთანაც პრობლემურია ინტერნეტსივრცის სამართლებრივი მოწესრიგება. ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა საკმაო დეფიციტს განიცდის. საკითხის თვალსაჩინოთ წარმოდგენისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ მედიის თითოეული საშუალება და განვსაზღვროთ მათი მომწესრიგებელი კანონმდებლობის მოქმედების სამართლებრივი ასპექტები.

1.1.2 ბეჭდური მედია და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა

მედია საშუალებებზე საუბარი წარიმართება მათი განვითარების პერიოდულობის შესაბამისად. კაცობრიობის განვითარების ეტაპზე პირველი და ყველაზე პოპულარული მედია საშუალება ბეჭდური მედია – გაზეთებია, ასევე, ჟურნალები და სხვა ბეჭდური გამოცემები, რომელიც დღემდე უამრავ ქვეყანაში კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი რადიო- და ტელემაუწყებლობისგან იმით განსხვავდება, რომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია უფრო დეტალური ხასიათისაა და მომხმარებელსაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, დაამუშაოს ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია.[33]

ბეჭდური მედიის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული. კერძოდ, არაა მიღებული კონკრეტული კანონი, რომელიც განსაზღვრავდა ბეჭდური მედიის კლასიფიკაციას, მის სახეებად დაყოფას და სხვ. მაგალითად, საინფორმაციო, გასართობ, სპორტულ და სხვა სახის ბეჭდურ მედია საშუალებად განსაზღვრას.

მიუხედავად აღნიშნულისა, დღეს საქართველოში მრავალი გაზეთი და ჟურნალი გამოდის, რომლებიც, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ასპექტებს ეხება, ხოლო,

---

[32] იქვე, 281.

[33] *ბელიჩი ი.ჯ., ბელიჩი მ.ე.*, რეკლამა და პრომოცია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა, ნინო აბესაძის, მაია გოგოლაძის, მზია კეკელიძის, მანანა კვესელავას, ხათუნა მაისაშვილისა და თამარ წილოსანის თარგმანი ინგლისური ენიდან, გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2013, 407 (შემდგომში – *ბელიჩი ი.ჯ., ბელიჩი მ.ე.*, რეკლამა და პრომოცია, გვ.).

მეორე მხრივ, სპორტულ ან გასართობს. გაზეთების ერთი ნაწილი აერთიანებს სხვადასხვა თემატურ ინფორმაციას. მაგალითად, გაზეთ „რეზონანსში" ყოველდღიურ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად მოთავსებულია სპორტული და გასართობი ბლოგები (კროსვორდი, ანეგდოტი და სხვ.).

პრესას თანამედროვე მსოფლიოში მოქმედების ფართო არეალი აქვს. თავის მხრივ, გავრცელების ფართო არეალი თავის თავში მოიცავს მეორე მხარის მაღალ პასუხისმგებლობასა და მოვალეობის ვალდებულებას,[34] რაც პრესის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაში უნდა გამოიხატებოდეს.

1.1.3 მაუწყებლობა და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა

მაუწყებლობა თავისი არსით აერთიანებს რადიო- და ტელემაუწყებლობას. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა მაუწყებლობის განხორციელების ბუნება და სამართლებრივად მომწესრიგებელი კანონმდებლობა. ორივე შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, ხდება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. გარდა აღნიშნული ნორმისა, მაუწყებლობის საკითხებთან დაკავშირებით საუბარი შესაძლებელია წარმათულ იქნეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და სხვა სპეციალური დათქმის მქონე ნორმებთან მიმართებით, თუმცა ცენტრალურ ნორმას, რომლითაც მაუწყებელთა სახეების დიფერენციაცია ხორციელდება, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი წარმოადგენს.

1.1.3.1 რადიომაუწყებლობა

რადიომაუწყებლობა ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა.[35] რადიომაუწყებლობა ისტორიულად წინ უსწრებდა ტელემაუწყებლობას. მეტიც, ზოგიერთი ჟანრის გადაცემა თავდაპირველად რადიოს საშუალებით გადაიცემოდა. მაგალითად, მუსიკალური გადაცემები[36] და სხვ. დღევანდელი პრაქტიკის მიხედვით, რადიოთი გადაიცემა როგორც საინფორმაციო, ისე გასართობი ან მუსიკალური სახის პროგრამები. ამგვარად, რადიოს მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე მყარდება მედიასამართლებრივი ურ-

---

[34] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, გამომცემლობა „ჯი სი აი", თბილისი, 2008, 298 (შემდგომში – *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, გვ.).

[35] შეად. *Enders T.*, Beratung im Uhreber- und Medienrecht, Anwaltspraxis, 4. Auflage, Deutscher Anwaltverlag, 2008, 327.

[36] შეად. *ჩართოლანი გ.*, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, ნაწილი I, სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 191 (შემდგომში – *ჩართოლანი გ.*, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, გვ.).

თიერთობა, რომელიც ექცევა სამართლებრივად მოწესრიგებულ ჩარჩოებში. რადიოსა და ტელემაუწყებლობის სახეების თაობაზე ტელემაუწყებლობის შემდეგ ქვეთავში იქნება საუბარი.

1.1.3.2 ტელემაუწყებლობა

განსხვავებით რადიომაუწყებლობისგან, ტელემაუწყებლობის როლი თანამედროვე მსოფლიოში კიდევ უფრო დიდია. აღნიშნულის დასტურია თუნდაც, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ტელემაუწყებელსა და რადიომაუწყებელზე განთავსებული კომერციული რეკლამის ფასის ოდენობა.

დღეს ტელემაუწყებლობა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინფორმაციული ბიზნესის სახეობას წარმოადგენს,[37] მითუმეტეს მას შემდეგ, რაც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების მეშვეობით რიგ შემთხვევებში ტელემაუწყებლობა ინტერნეტის საშუალებითაცაა ხელმისაწვდომი. ამდენად, მნიშვნელოვანია მაუწყებლობის სამართლებრივი მოწესრიგების, ისევე, როგორც მედიასამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრა.

1.1.3.3 მაუწყებლობის სახეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

მაუწყებლობის თაობაზე საქართველოს მომწესრიგებელი კანონმდებლობა გვხვდება უმეტესად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება მხოლოდ მაუწყებლობის სახეები.[38]

მაუწყებლობის სფეროში მარეგულირებელი საჯარო დაწესებულებაა **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.**[39] მას ვალდებულება აკისრია, გააკონტროლოს და სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს თითოეული მაუწყებლის მიერ განხორციელებული საქმიანობა. მისი სამართლებრივი სტატუსი მოწესრიგებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ამასთან, სწორედ აღნიშნული კანონითაა მოწესრიგებული მაუწყებელთა დიფერენციაცია სხვადასხვა ტიპის მაუწყებლად.[40] მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი განხილულ იქნეს ცალ-ცალკე:

---

[37] ჟურნალისტიკა, 180.

[38] მაუწყებლობის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებზე მათ შორის, რეკლამის განთავსებისა და სხვა საკითხებზე იხილეთ *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე.

[39] იქვე, 30-33.

[40] მაუწყებლობის სახეების თაობაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: იქვე, 49-68.

ამ თემის განხილვისას საუბარი უნდა დავიწყოთ **საზოგადოებრივი მაუწყებლით**. იგი სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი, თუმცა დამოუკიდებელი მაუწყებელია, რაც რომელიმე სახელმწიფო ორგანოსთან მისი უწყებრივი ქვემდებარეობის არარსებობაში გამოიხატება.[41] საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი არ შეიძლება იყოს:[42]

- სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წევრი;
- პოლიტიკური პარტიის წევრი;
- სხვა მაუწყებლისთვის ანაზღაურებადი საქმიანობის განმახორციელებელი პირი;
- აქციების ან წილის მფლობელი სხვა მაუწყებელში ან იმ საწარმოში, რომელიც ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს;
- იმ მაუწყებლის ან პირის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი, რომელიც ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს;
- სხვა მაუწყებლის ან იმ პირის მიმართ ეკონომიკური ინტერესის მქონე პირი, რომელიც ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს.

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი განსაზღვრულია კანონით. ასეთი იმპერატიული დათქმა გამიზნულია საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონიერი ფუნქციონირებისთვის, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელმა არ უნდა დაუშვას კონკრეტული პოლიტიკური ძალის ან კომერციული ორგანიზაციების წინასწარ განზრახული პროგრამების გაშუქება,[43] ვინაიდან ამით განისაზღვრება საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსი როგორც პოლიტიკური ან კომერციული ზეგავლენისგან თავისუფალი მედიასამართლის სუბიექტისა.[44]

საზოგადოებრივ მაუწყებელზე საუბრისას მნიშვნელოვანია მისი რაობის ორი ძირითადი კრიტერიუმი განისაზღვროს: ა) მის მიერ ინფორმაცია გაშუქებულ უნდა იქნეს ობიექტურობის მაქსიმალური დაცვით, ყოველგვარი დამატებითი გამძაფრების გარეშე და ბ) მისი ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული არ უნდა იყოს მხოლოდ რეკლამასა და სპონსორობაზე.[45] იმ შემთხვევაში, თუ

---

[41] იქვე, 52.

[42] იხ. „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის“ 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[43] *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, 48.

[44] შეად. *კორძაია თ., ლომჯარია ნ., გობრონიძე ნ., ქემერტელიძე ნ.*, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტი: „საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა“ ფარგლებში განხორციელებული კვლევა, ფინანსური მხარდაჭერა – ღია საზოგადოება – სამართლიანი ინიციატივა – OSJI, თბილისი, 2005, 56.

[45] *ბარჯაძე ტ.*, სატელევიზიო მაუწყებლობის მოდელები და მათი ფუნქციონირება, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2(35), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი, 2008, 139.

ერთ-ერთი მათგანი მაინც არ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშ
სახეზე, მისი საქმიანობა კერძო მაუწყებლობის საქმიანობას დაემსგავსება და იგ
ე.წ. „განსაკუთრებულ სტატუსს" დაკარგავს.

საზოგადოებრივ მაუწყებელს სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო დონე
ზე გააჩნია გარკვეული შეღავათები, რომელიც მისთვის სამაუწყებლო სიხშირე
ების მინიჭების გამარტივებულ წესში გამოიხატება.[46] თუმცა, ამგვარი მომწესრი
გებელი კანონმდებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს მოქმედების თავისუფალ
არეალს არ ძენს. პირიქით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში გან
საზღვრულია მისი შინაარსობრივი ვალდებულებანი (იხ. დასახელებული კანო
ნის მე-16 მუხლი), რომლის საფუძველზეც, საზოგადოებრივ მაუწყებელს მოქ
მედების გარკვეული ფარგლები უწესდება. მაგალითად, მითითებული მუხლი
„ე" ქვეპუნქტით, საზოგადოებრივი მაუწყებელი შესაძლებლობასაა მოკლებული
თავისი ეთერით გადაცემულ პროგრამებში საკუთარი აზრი დააფიქსიროს. ასეთ
სახის შეზღუდვა ობიექტურობის პრინციპს ეფუძნება, რომლის დაცვაც საზოგა
დოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა.

2013 წელს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესულმა ცვლი
ლებებმა განსაზღვრა საზოგადოებრივი მაუწყებლის **აჭარის ტელევიზიის სამარ
თლებრივი სტატუსი**. აღნიშნულმა ცვლილებამ მოახდინა ტელესივრცეში ე.წ
დეცენტრალიზაცია, რომლის საფუძველზეც საზოგადოებრივი მაუწყებლობი
განხორციელების შესაძლებლობა ქვეყნის დედაქალაქთან ერთად აჭარის ავტო
ნომიურ რესპუბლიკასაც მიეცა.[47]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის საფუძ
ველზეც შესაძლებელია არსებობდეს **სახელმწიფო მაუწყებლობა.**[48] აღნიშნულ
სტატუსი საქართველოს კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული. სახელმ
წიფო მაუწყებლის მთავარი ფუნქციაა ხელისუფლების პოლიტიკისთვის მხარ
დაჭერის განხორციელება.[49] სახელმწიფო მაუწყებელს მართავს მთავრობა ა
პრეზიდენტი.[50] მედიის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლებ
ითქვას, რომ ასეთი სახის მაუწყებლობის განხორციელება ხელს უშლის ქვეყანაშ
დემოკრატიული რეჟიმის განხორციელებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის პა
რალელურად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ე.წ. ალტერნატიული მაუწყებლობა,
რომელიც მიმართული იქნება არა სახელმწიფო, არამედ მესამე პირის ინტერესე
ბისკენ, თუმცა ორივე შემთხვევაში მაუწყებლობის განხორციელების გზით მო
სახლეობა შესაძლებლობას იქნება მოკლებული, მიიღოს სასურველ საკითხთა
დაკავშირებით ობიექტური ინფორმაცია. სახელმწიფო მაუწყებელი აუცილებ

---

[46] იხ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

[47] *ჯორგენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 42.

[48] იხ. მაგალითად, *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, 47.

[49] იქვე.

[50] იქვე.

ლად წარმოდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს სახით. ამ მხრივ მასსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისი სამართლებრივი სტატუსით არ არის ადმინისტრაციული ორგანო.[51]

მაუწყებლობის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს **სათემო მაუწყებლობა**. იგი ითვალისწინებს კონკრეტული თემის ინტერესებს.[52] კერძოდ, სათემო მაუწყებლობა ხორციელდება არა საქართველოს მასშტაბით, არამედ მხოლოდ კონკრეტულ თემში. მისი მეშვეობით მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს მიიღოს კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც მისთვის საინტერესოა. მაგალითად, თემის იმ მაცხოვრებელთა აზრის გაშუქება, რომელიც იმავე თემში უმცირესობაშია მოქცეული.[53]

სათემო მაუწყებლობა არ შეიძლება იყოს კომერციული მიზნებით განსაზღვრული. საქართველოში დღეის პრაქტიკით არ გვხვდება შემთხვევა, რომლითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტულ სათემო მაუწყებელის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებაზე საუბარი. ასეთი სახის მაუწყებელს ჯერ არ მოუპოვებია შესაბამისი მაუწყებლობის განხორციელების უფლება.

მაუწყებლობის სახეებიდან ყველაზე გავრცელებული და დამკვიდრებულია **კერძო მაუწყებელი**. კერძო მაუწყებელი მაუწყებელთა შორის ერთადერთია, რომელსაც სამუშაოს განხორციელება მოგების მიზნით შეუძლია. აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კერძო მაუწყებლობის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ გააჩნიათ.[54]

კერძო მაუწყებლის მიერ საქმიანობის განხორციელება, განსხვავებით საზოგადოებრივი ან სათემო მაუწყებლისგან, შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების დაცვას მოითხოვს. ასეთი სახის წინაპირობა კანონმდებლობის მიხედვით ორი სახისაა: ავტორიზაციის გავლა ან/და ლიცენზიის მინიჭება.[55] თითოეულის შემთხვევაში კანონში დეტალურადაა განსაზღვრული ის, თუ რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მაუწყებელი. კერძო მაუწყებლობის სახედ მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ტელეკომპანია „მაესტრო“, „იმედი“, „GDS“, „კავკასია“, „რუსთავი 2“ და სხვ. მათი საქმიანობა ორიენტირებულია მოგებაზე და მათ არ გააჩნიათ ისეთი შეზღუდვები, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშია კანონით გათვალისწინებული.[56]

---

[51] შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის №ბს-1585-1539(გ-08) განჩინება.

[52] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე. 56.

[53] იქვე.

[54] იქვე, 57.

[55] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ იქვე, 69-72.

[56] შეზღუდვების თაობაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კერძო მაუწყებლობა, თავის მხრივ, ორ სახედ იყოფა: საერთო და სპეციალიზებულად. **საერთოა მაუწყებელი**, რომელიც მაუწყებლობას არანაკლებ ორი – ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით ახორციელებს.[57] ასეთია, მაგალითად, ტელეკომპანია „იმედი". მას გააჩნია საინფორმაციო გამოშვება – „ქრონიკა" და რამდენიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ. კანონში გაწერილი საერთო მაუწყებლის დეფინიცია არ გულისხმობს სხვა სახის გადაცემების არარსებობას კონკრეტულ მაუწყებელზე. იმავე „იმედის" მაგალითი რომ მოვიყვანოთ, მას გააჩნია იუმორისტული, ასევე, შემეცნებითი ჟანრის გადაცემები, რომლებიც კანონის დაცვით, საეთერო ბადეში შესაბამის დროსაა განთავსებული.

სპეციალიზებულია მაუწყებელი, რომელიც საქმიანობას მხოლოდ ერთი თემატიკის პროგრამით მაუწყებლობს და რომელსაც საეთერო ბადეში არ აქვს განთავსებული ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ.[58] სპეციალიზებული მაუწყებლის სახეა მაგალითად, „TV11".

კერძო მაუწყებლობა საქმიანობის განხორციელების მიხედვით იყოფა თანამგზავრულ, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობად. თითოეულის შემთხვევაში მაუწყებელმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი უფლება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან.[59] მაუწყებელს უფლება გააჩნია, წარმოადგენდეს სამივე სახის მაუწყებელს, ანუ კანონის საფუძველზე მოპოვებული ჰქონდეს სამივე სახის მაუწყებლობის განხორციელების უფლებამოსილება. ერთ-ერთი სახის მაუწყებლობის უფლებამოსილების მინიჭება არ წარმოადგენს სხვა სახის მაუწყებლობის მიღების სამართლებრივ წინაპირობას.

თანამგზავრულია მაუწყებლობა, რომელიც ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით ხორციელდება.[60] აღნიშნულის საფუძველზე მოსახლეობა ტელესიგნალს იღებს ე.წ. „სატელიტური ანტენის" საშუალებით.

საეთეროა მაუწყებლობა, რომელიც სიხშირის, ანუ დამატებითი საშუალებების დახმარებით ხორციელდება.[61] საეთერო მაუწყებლობისას საეთერო სიგნალი მომხმარებელს ე.წ. „სატელიტური ანტენის" საშუალებით არ მიეწოდება.[62] 2015 წლის 17 ივნისს განსახორციელებელი, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შესაძლებელია საეთერო მაუწყებლობის სამართლებრივი მოწესრიგების ახლებური განსაზღვრა (მისით ჩანაცვლება უნდა მოწესრიგდეს სხვა სამართლებრივი ნორმით).

---

[57] იხ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ" ქვეპუნქტი.

[58] იხ. იმავე მუხლის „ჰ[8]" ქვეპუნქტი.

[59] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 61.

[60] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი" ქვეპუნქტი.

[61] იხ. იმავე მუხლის „ს" ქვეპუნქტი.

[62] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 63.

საკაბელოა მაუწყებლობა, რომელიც საკაბელო ქსელის გამოყენებით ხორციელდება.[63] მაგალითად, ტრანზიტორ „კავკასუს ონლაინში" ან „სილქნეტში" განთავსებული ტელემაუწყებლის ტელესიგნალით მაუწყებლობის გავრცელება. საკაბელო ქსელით ტელესიგნალის გავრცელება არ გულისხმობს საეთერო ან თანამგზავრული მაუწყებლობის განხორციელების დაუშვებლობას. საკითხის თვალნათლად წარმოჩენისთვის მოვიყვანოთ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" შემთხვევა, რომელიც მაუწყებლობას საკაბელო ქსელის გამოყენებითაც ახორციელებს (მისი ტელესიგნალი განთავსებულია როგორც „კავკასუს ონლაინის", „სილქნეტისა" და სხვა საკაბელო ოპერატორების პაკეტში) და ე.წ. „სატელიტური ანტენით" ან ჩვეულებრივი ანტენითაცაა (შესაბამისად, თანამგზავრული და საეთერო მაუწყებლობის განხორციელების საფუძველზე) შესაძლებელი.

კერძო მაუწყებელთა დიფერენციაცია თანამგზავრული, საეთერო და საკაბელო მაუწყებლებისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია ეროვნულ და ადგილობრივ მაუწყებლებადაც. **ეროვნულია მაუწყებელი**, რომელიც საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისთვისაა ხელმისაწვდომი.[64] კანონის განმარტებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომობა გულისხმობს, იმ მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ კონკრეტული მაუწყებლის სიგნალი[65] და თუ რამდენად ფარავს მაუწყებლის სიგნალი საქართველოს ტერიტორიის არანაკლებ 90%-ს.[66]

განსხვავებით ეროვნული მაუწყებლისგან, **ადგილობრივია მაუწყებელი**, რომელიც არა საქართველოს ტერიტორიის, არამედ ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისთვისაა ხელმისაწვდომი.[67] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილია ადგილობრივი მაუწყებლობის ზონები,[68] რომლის ფარგლებშიც გაიცემა შესაბამისი სამაუწყებლო უფლება.

1.1.4 ინტერნეტი და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით ერთი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ ხორციელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერნეტში არსებულ სამარ-

---

[63] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ2" ქვეპუნქტი.

[64] იხ. იმავე მუხლის „თ" ქვეპუნქტი.

[65] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 67.

[66] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 აპრილის №245/22 გადაწყვეტილება.

[67] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

[68] იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 1 დეკემბრის №10 დადგენილება.

თლებრივ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულია კერძო პირის შეურაცხმყოფელი ინფორმაცია და თუ ამით კერძო პირს მიადგება ზიანი (მაგალითად, ცილი დასწამეს), კერძო პირს უფლება აქვს, პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა დააყენოს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე. ცალკე მოქმედი რაიმე დებულება, რომლითაც ინტერნეტსივრცეში გამოთქმული მოსაზრების ან გავრცელებული ინფორმაციით ზიანის მიყენების შემთხვევაში არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების დაკისრების საკითხს.

ინტერნეტი უშუალოდ არ წარმოადგენს მედია საშუალების სახეს. აღნიშნული მხოლოდ ელექტრონული სახით ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული დათქმიდან გამონკალისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირის იდენტიფიკაცია ინტერნეტ სივრცეში შესაძლებელია, როგორც გარკვეული ფორმით მომუშავე სუბიექტისა, მაგალითად, საინფორმაციო პორტალები, რომლებიც რეგისტრირებული არიან იურიდიულ პირად, ან ინდ. მეწარმედ და რომელთა საქმიანობაც ინტერნეტში, მათ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაა. ამ ასპექტთან მიმართებით აბსოლუტურად განსხვავდება ვებგვერდი, რომელიც კომპანიის იმიჯს უწევს პოპულარიზაციას. მაგალითად, რესტორნის ან ღამის კლუბის ვებგვერდი არ წარმოადგენს მედია საშუალებას. ამრიგად, როდესაც პირი წარმოადგენს სოციალური ქსელის მომხმარებელს, იგი არ შეიძლება მედია საშუალებად ჩაითვალოს. თუმცა, მაგალითად, „YouTube" შეიძლება მედია საშუალებად იქნეს მიჩნეული. მისი საქმიანობა სხვა გასართობ თემატიკასთან ერთად, ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოების ინფორმირებულობასაც მოიცავს.

ინტერნეტს კომერციული მიზნებითაც იყენებენ. მისი მეშვეობით შეიძლება გაზეთი გაიყიდოს ელ. ვერსიით და სხვ.[69] ამასთან, განვითარდა სოციალური მედია („Facebook", „Twitter" და სხვ.). ინტერნეტისა და სოციალური მედიის გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და, მათ შორის, პოლიტიკურ პროცესებზე ბოლო ათწლეულების მანძილზე თვალსაჩინო გახდა.[70] თუმცა, ინტერნეტსივრცეში პოლიტიკური საკითხების გაშუქების თაობაზე (ასევე, შესაბამისი განცხადებების გაკეთების თაობაზე) რაიმე მომწესრიგებელი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არსებობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო დონეზე არ გვხვდება ინტერნეტმედია საშუალების მიერ კონკრე-

---

[69] შეად. *Outing S.*, Neswpapers and New Media, The Digital Awakening of the Newspaper Industry, First Edition, Graphic Arts Technical Foundation, Sewickley, 2000, 22.

[70] იხ. კვლევა: საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა, საერთაშორისო შეფასებები, მკვლევარი: *ლელა რებვიაშვილი*, 2012 წლის ივნისი, 12. კვლევა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <**www.css.ge**> [15.03.2014].

ტული საქმიანობის კომერციალიზაციის შესაძლებლობის მაგალითები, როგორც, მაგალითად, შესაძლებელია ინფორმაციის გამავრცელებელმა ინტერნეტმედია საშუალებას განესაზღვროს რეკლამის განთავსების პერიოდულობა, ვებგვერდის საერთო მოცულობა და სხვა პარამეტრები.[71]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია საკითხი, როდესაც ინტერნეტის საშუალებით მოწვევა ოფერტზეა განხორციელებული, თუმცა ოფერენტის მიერ ნების გამოვლენის გააზრება იმ კონკრეტულ სფეროში არაპროფესიონალი პირების მიერ შეუძლებელია. ასეთ დროს ინტერნეტის საშუალებითვე უნდა იქნეს დაკონკრეტებული ოფერტში გაცხადებული შინაარსის დეტალები, რათა შეცდომაში არ შევიდეს ინტერნეტმომხმარებელი.[72]

ამდენად, პირს, რომელსაც სურს ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს განსახორციელებელ სამართლებრივ ურთიერთობაზე კონკრეტული სახის კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ასეთივე შინაარსის მქონე სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე არსებულ კანონებს უნდა გაეცნოს. მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობების დარღვევისას სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უნდა განახორციელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაწერილი შესაბამისი სახელშეკრულებოსამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე.[73]

ინტერნეტში სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელებისას აუცილებელია განხილულ იქნეს თანამედროვე ეპოქის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი: სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი.

1.1.4.1 სოციალური მედია

სოციალური მედია ეყრდნობა მედიის გამოცდილებას.[74] იგი თანამედროვე ეპოქაში ადამიანებს შორის ყოველდღიური ურთიერთობების დამყარების აქტიურ საშუალებად იქცა. სოციალური მედია წარმოადგენს ტექნოლოგიის სახეს, რომელიც აადვილებს ინტერაქციულ ინფორმაციას, მომხმარებლის მიერ შექმნილ შიგთავსს, რომელიც ჩვენს ეპოქაში მომხმარებლისთვის უფრო მეტად აქტუ-

---

[71] შეად. *Forgo N., Schmieder F.* in Heise Online-Recht, 3. Ergänzungslieferung, Kapitel I, 2011, B.I.2.

[72] შეად. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2011, 326 (შემდგომში – *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ.).

[73] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების თაობაზე იხილეთ: *ბზეკალავა ე.*, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 66-80.

[74] ჟურნალისტიკა, 44.

ალურ სახეს იძენს.[75] აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის, რომ დღეისათვის პოლიტიკოსები აქტუალურად იყენებენ სოციალურ მედიას თავისი საარჩევნო კამპანიის წარმართვისა თუ ამომრჩეველთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.[76] შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიის გარეშე თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელი გახდა პოლიტიკური წარმატების მიღწევა.

სოციალური მედია, გარდა ინფორმაციის გავრცელების მიზნისა, ურთიერთობების დასამყარებლად გამოიყენება. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოში ჩატარებული კვლევები. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, გამოკითხულთა (საუბარია: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, გორის, თელავისა და ზუგდიდის მაცხოვრებლებზე) 71.5% სოციალურ ქსელს ურთიერთობის დასამყარებლად იყენებს.[77] აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალური მედიის გამოყენებით ისეთი არაიურიდიული ურთიერთობების მოწესრიგება შესაძლებელი, როგორიცაა, მაგალითად, მეგობრობა და სხვ.

სოციალური მედიის როლის მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს ის ძირითადი ფაქტორი, რაც ამ უკანასკნელს ახასიათებს. კერძოდ, იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ურთიერთობის დამყარების, არამედ – პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებასაც. პოპულარობის შესაძლებლობა გააჩნია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მისი მომხმარებელია. მაგალითად, სოციალურ ქსელში პირმა საკუთარ გვერდზე (ე.წ. „კედელზე") გამოთქვა აზრი გარკვეულ მორალურ პრინციპებთან სახელმწიფოს დამოკიდებულის თაობაზე და ამით გააკრიტიკა ეს უკანასკნელი. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ გამოქვეყნებულ აზრს გაითვალისწინებს რამდენიმე მომხმარებელი, პირის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა სოციალური მედიის საშუალებითვე გახდება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში არ ილახება გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლება, ვინაიდან პოზიციის დამფიქსირებელმა პირმა, სოციალური ქსელის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იცის, რომ ასეთი ინფორმაცია შეიძლება გასაჯაროვდეს პირთა განუსაზღვრელი წრის მიერ.

სოციალური ქსელით გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია, როდესაც პირი მას საკუთარ გვერდზე ათავსებს, საჯარო ხასიათს იძენს. აღნიშნულის თაობაზე მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალურ ქსელში დამეგობრებული პირებისთვის ინფორმაციის გავრცელების მაგალითს არ წარმოადგენს კონკრეტული მოსაზრების საჯაროდ დაფიქსირება და ასეთი ქმედება კონკრეტული ფაქ-

---

[75] *Elefant C.*, article: The „power" of social media: legal issues & best practices for unilities engaging social media, Energy Bar Association, 2011, 8.

[76] შეად. იქვე.

[77] *წულაძე ლ.*, სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში, თსუ მეცნიერება, სამეცნიერო-პოპულალური ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, დეკემბერი 2013, 32.

ტის გასაჯაროების საფუძველია, ვინაიდან ტერმინი „საჯარო გავრცელება“ ანუ გასაჯაროება, არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ ტელევიზიასა ან რადიოში გავრცელებას.[78]

სოციალურ ქსელის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მას დღეს აქტიურად იყენებენ თანამდებობის პირები. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ მინისტრი, რომელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ხშირად საინფორმაციო საშუალებებში სწორედ სოციალურ ქსელზე დაყრდნობით ვრცელდება. სხვაგვარად რომ ითქვას, სოციალური ქსელი ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის ხილვის გარდა, შესაძლებელია, პირმა სახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარე საკითხების შესახებ მიიღოს ინფორმაცია.

სოციალური ქსელის გამოყენება ჟურნალისტისთვის იმავე საქმიანობის განხორციელებას მოითხოვს, როგორც სხვა გზით მიღებული ინფორმაციისას. თუ საინფორმაციო გამოშვებაში ან თოქ-შოუში ჟურნალისტის (წამყვანის ან სხვ.) მიერ ვრცელდება ინფორმაცია სოციალურ ქსელზე დაყრდნობით, მან აუცილებლად უნდა მიეთითოს, ამ მონაცემების მოპოვების პირველად წყაროზე.

ინფორმაციის გადამოწმებისთვის, როგორც ობიექტურობის დაცვის მნიშვნელობის მქონე საქმიანობის განხორციელებისთვის, ჟურნალისტის მიერ სოციალური ქსელის საშუალებით დასმული შეკითხვა კონკრეტული პირის მიმართ არ წარმოადგენს შეზღუდვის საფუძვლებს. ასეთ დროს მთავარია, ჟურნალისტის მიერ დაცული იყოს კონფიდენციალურობა, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი პირადი კონტაქტის დროს შესაბამის შეკითხვას დაუსვამს და ამ შეკითხვას არ გაასაჯაროებს. მაგალითად, ერთ-ერთი ტელემაუწყებლის რეპორტიორი ამზადებს სიუჟეტს, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებს შეეხება. მას შესაძლებლობის ფარგლებში გააჩნია უფლებამოსილება, დაუკავშირდეს სასურველ პირს (მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს) სოციალური ქსელის მეშვეობით და შესაბამისი შეკითხვა დაუსვას. თუმცა ჟურნალისტმა აღნიშნული ქმედება არ უნდა განახორციელოს საჯაროდ დასმული შეკითხვის სახით. მაგალითიდან გამომდინარე, მან არ უნდა დაუსვას შეკითხვა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრს ე.წ. „პირად კედელზე“ (თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც, დიდი საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ კონტაქტზე არ გამოდის თანამდებობის პირი, ჟურნალისტს შეუძლია შეკითხვა საჯაროდაც დაუსვას).

სოციალურ ქსელში ჟურნალისტის მიერ შეკითხვის თანამდებობის პირისთვის დასმა განსხვავდება სახელმწიფო ორგანოსთვის შეკითხვის დასმისგან. ჟურნალისტს სახელმწიფო ორგანოსთვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობა გააჩნია როგორც პირადი კონტაქტის დამყარების გზით, ისე – საჯაროდაც. აქ

[78] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი საზოგადოებრივი რეაქციაა. ერთმანეთისგან უნდა იქნეს განსხვავებულ ასპექტში დანახული კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ საზოგადოების უარყოფითი რეაქციის მომენტი და უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საზოგადოების რეაქციის საკითხი. კონკრეტულ პირს შეიძლება ასეთი ქმედებით შეელახოს საქმიანი რეპუტაცია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საქმიანი რეპუტაცია ვერ შეელახება, ვინაიდან იგი საზოგადოებისთვის ახორციელებს თავისი უფლებამოსილებას და მისი უმთავრესი ვალდებულება სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ინტერესების განხორციელებაა. თუ მივიჩნევთ, რომ სახელმწიფო დაწესებულებას ასეთი ქმედებით შეიძლება შეელახოს საქმიანი რეპუტაცია, მაშინ შეიძლება იმის თქმაც, რომ ნებისმიერი სახის კრიტიკა, რომელიც ხელისუფლების მიმართ იქნება განხორციელებული, ხელისუფლების და, მათ შორის, ქვეყნის რეპუტაციის შელახვისკენ მიმართული ქმედება იქნება, რაც არასწორია. თუ ამ მსჯელობას მივყვებით, ქვეყნის მასშტაბით მოხდება გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობებთან შეუსაბამობაში მოვა.

კიდევ უფრო პრობლემურია საკითხი, რომელიც სოციალურ მედიაში პირის პასუხისმგებლობას საერთაშორისო ხასიათს ანიჭებს. მაგალითად, საქართველოს მოქალაქის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით, მისსავე პირად კედელზე გასაჯაროებულ იქნა ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ამერიკის მოქალაქეს შეეხება. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ ინფორმაციის გასაჯაროებით მას მიადგა გარკვეული ზიანი, კერძოდ, შეელახა საქმიანი რეპუტაცია. როგორი სამართლებრივი მოქმედების შესაძლებლობა გააჩნია მას?

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით წარედგინება. ამასთან, „საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია იმ შემთხვევაში გააჩნიათ, თუ სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა. როგორც კანონიდან ჩანს, ერთად უნდა არსებობდეს ორი პირობა: მიყენებული ზიანი და ქმედების საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელება. კავშირი „და“ აღნიშნულ ორ პირობას უძღვის წინ, რომელთაგანაც ერთ-ერთი მათგანი – ზიანის მიყენება – არსებობს. პრობლემურია საკითხი, მიადგა თუ არა პირს ზიანი საქართველოს ტერიტორიაზე. სოციალური ქსელის მომხმარებელი შესაძლებელია ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე იმყოფებოდეს. სოციალურ ქსელში სქართველოს მოქალაქის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მის ყოფნას არ ადასტურებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური ქსელის გამოყენება არ

წარმოადგენს ტერიტორიულობის პრინციპის განსაზღვრის სამართლებრივ წინაპირობას.

ზოგადად, ტერიტორია გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული.[79] განსახილველ შემთხვევაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია ტერიტორიის გეოგრაფიულ კონტექტში მოაზრება. გლობალიზაციის პირობებში საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია პირის უფლებების დაცვა მის წინააღმდეგ სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის შემთხვევაში, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იგი უცხო ქვეყნის მოქალაქეს და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ პირს წარმოადგენს. ამ მხრივ მსჯელობა უნდა წარიმართოს კანონის ანალოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, პირს შეეძლება საკუთარი უფლებების დაცვისთვის მიმართოს იმ ქვეყნის სასამართლოს, რომელ ქვეყანაშიც პროცენტული ოდენობით ან ყველაზე მეტად (დამოკიდებულია პირის ცნობადობაზე) მოხდა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ასეთი ქვეყანა შეიძლება იყოს პირის სამშობლო ან ქვეყანა, რომელიც მას საცხოვრებლად აქვს არჩეული და სხვ.

1.1.4.2 ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდა ელექტრონული ფოსტის დანიშნულება. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კონკრეტული ინფორმაციის გასავრცელებლად, ისე კომერციული საქმიანობისთვისაც. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებები. განსხვავებით ფოსტის საშუალებით ხელშეკრულების გაგზავნისა, ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულება შეიძლება ხელმოწერილ იქნეს მხარეთა მიერ სწრაფად, იაფად (საფოსტო ან გადაზიდვის ხარჯების გარეშე) და სხვადასხვა ფორმალობების დაცვის გარეშე,[80] თუმცა ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას სხვა მრავალი პრობლემური საკითხიც ახლავს. მაგალითად: თუ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაში არ იქნება მითითებული დავის მომწესრიგებელი სასამართლო და ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც უნდა მოხდეს მისი გადაჭრა; ასევე, ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტის დადასტურება: როდის ჩაითვლება ელექტრონული ფოსტის საფუძველზე ერთ-ერთი მხარის მხრიდან შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა, როგორც ნების გამოვლენა, როგორც ოფერტი ან აქცეპტი და სხვ.

---

[79] *მახარაშვილი ლ.*, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპები და თანამედროვე მოდელები, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 143.

[80] *Tschoepe S.* in Heise Online-Recht, 3. Ergänzungslieferung, Heise Zeitschriften Verlag, Hannover, 2011, Rn. 6.

ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი დოკუმენტი არ არის ყოველთვის დაცული ტექნოლოგიური ხარვეზებისგან.[81] მაგალითად, შესაძლებელია პრობლემა შეექმნას ინტერნეტს ან უშუალოდ ტექნოლოგიურ საშუალებას – კომპიუტერს, რომლითაც პირმა უნდა მიიღოს მოსული ელექტრონული შეტყობინება. სახელშეკრულებო ურთიერთობისას, ასეთი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, წინასწარ იქნეს განსაზღვრული ქცევის ის წესი, რომლითაც იხელმძღვანელებენ ურთიერთობის მონაწილე მხარეები და ხელშეკრულებაშივე ჩაიწერება თითოეული შემთხვევის შესაძლო შედეგები.

1.1.4.3 ვებგვერდი

ვებგვერდის როლი ინტერნეტსივრცეში დიდია იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის გარეშე უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარება. თუნდაც სოციალური ქსელის მაგალითი განვიხილოთ: Facebook-ი წარმოადგენს ინტერნეტში არსებულ სოციალურ ვებგვერდს, რომელიც მის მომხმარებლებს ერთმანეთთან კავშირის დამყარებაში უწყობს ხელს.

რამდენად შესაძლებელია ვებგვერდზე ისეთი სურათების გამოქვეყნება, რომლითაც საჯარო ხდება პირის აქტიურობის შესახებ ინფორმაცია? მაგალითად, სამოქალაქო პირი დაპატიჟებული იყო ერთ-ერთი რესტორნის გახსნაზე, სადაც გადაუღეს მას ფოტოები ისე, რომ არც გააფრთხილეს. შემდეგ რესტორანმა აღნიშნული ფოტოები გამოაქვეყნა ვებგვერდსა და თავის სოციალურ ქსელში და აღნიშნული ფოტოების ხელმისაწვდომობა შესაძლებელი გახდა Google-ს საშუალებით. ვის უნდა უჩივლოს პირმა, რომელსაც არ სურდა ამ ღონისძიების თაობაზე გადაღებულ ფოტოებში გამოჩენა? რესტორანს ვერ უჩივლებს პირი იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს იურიდიულ პირს და მას უშუალოდ არ გადაუღია ფოტოსურათები. ამ შემთხვევაში შეიძლება კითხვა ასე დაისვას: ფოტოგრაფი, რომელიც ფოტოს გადაღების უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, შეიძლება გახდეს პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისთვის? იგი ხომ თავის საქმიანობას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა, ხოლო ხელშეკრულება არ იყო კანონის ნორმათა დარღვევით დადებული. შესაბამისად, აღნიშნულ ასპექტში პრობლემა ვერ გადაიჭრება. მეორე კუთხითY თუ შევხედავთ საკითხს, იურიდიულმა პირმა თავის ვებგვერდზე განათავსა ფოტოსურათები. აქ შესაძლებელია პარალელის გავლება საინფორმაციო საშუალების მიერ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებასთან.

ორივე შემთხვევაში მსჯელობის საგანია ის, თუ ვის უნდა დაევალოს ფოტოსურათის აღება ვებგვერდიდან – მის დამდებს, ანუ იურიდიულ პირის თანამშრომელს, თუ იურიდიულ პირს? ან, ვის უნდა დაევალოს ინფორმაციის ხელახლა

---

[81] იხ. *Rossnagel A.*, Der Beweiswert der E-Mail, NJW, Heft 17, Verlag C.H. Beck, München, 2003, 1210.

გასაჯაროება როგორც ზუსტის და სინამდვილესთან შესაბამისის: იურიდიულ პირს (მედია საშუალებას), თუ მის თანამშრომელს (დირექტორს, საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ჟურნალისტს და სხვ.). ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცალსახად, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, თუმცა ანალოგიის გზით შეიძლება ითქვას შემდეგი: მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს, მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა [...]“. ასეთი დათქმის მიხედვით, თუ პარალელს გავავლებთ მოცემულ მაგალითთან, ფოტოსურათის აღების ვალდებულება დაეკისრება იურიდიულ პირს, მაგრამ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხე მხარეა მედიის მესაკუთრე“. ასეთი დათქმა პირველი შემთხვევისგან განსხვავებით არა იურიდიულ პირზე, არამედ მის მესაკუთრეზე მიუთითებს. თუმცა, აქაც შესაძლებელია ერთი ხარვეზის დანახვა: ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ მედიის მესაკუთრე ასევე იურიდიული პირია? როგორც განხილული საკითხებიდან იკვეთება, ჩნდება წარმოდგენილი სამართლებრივი ნორმების კონკურენციისა და ურთიერთმიმართების პრობლემა. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოში შესაბამისი სარჩელის წარდგენისას მოპასუხე მხარედ დაყენებულ უნდა იქნეს პირი, რომელიც აშუქებს კონკრეტულ ინფორმაციას ან, მაგალითიდან გამომდინარე, ასაჯაროებს ფოტოსურათს.

ვებგვერდზე ფოტოსურათის გასაჯაროების შემთხვევა არ დაკვალიფიცირდება სამართლის ნორმათა დარღვევად, თუ პირისთვის თავიდანვე ცნობილი იყო ასეთი ქმედების განხორციელების თაობაზე. მაგალითად, როდესაც პირმა იცის, რომ ფილმის პრემიერაზე წარმოდგენილი იქნება მედია, ხოლო ეს უკანასკნელი გადაიღებს ფოტოებს შესაბამისი ინფორმაციის ვებგვერდზე გასავრცელებლად. თუნდაც პირმა მედია საშუალებას ინტერვიუზე უარი უთხრას, მას არ წარმოეშობა შემდგომში ამავე მედია საშუალებისთვის შესაბამისი მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება.

საქართველოს კანონმდებლობაში ვებგვერდის საკითხი გარკვეულ ასპექტში გვევლინება როგორც აუცილებელი სამართლებრივი პირობა. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტში გაწერილია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვალდებულება, შექმნას საკუთარი ვებგვერდი. ასევე, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტით მაუწყებელი ვალდებულია, გამოაქვეყნოს შესაბამისობის დეკლარაცია თავის ვებგვერდზე. აღნიშნული დათქმით, ერთი მხრივ, განსაზღვრულია მაუწყებელთა თაობაზე კონკრტული საკითხების გასაჯაროების შესაძლებლობა, თუმცა, მე-

ორე მხრივ, კანონი არაპირდაპირი გზით ავალდებულებს მაუწყებელს, გააჩნდეთ თავისი ვებგვერდი.[82]

ინტერნეტის მომხმარებელთა სიმრავლე ასევე გამოიხატება ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დადებაში (ზემოთ განხილულ იქნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას). მაგალითად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვებგვერდიდან – „Ebay", შესაძლებელია სასურველი ნივთის შეძენა; ხელშეკრულების დადების წესი ასეთ შემთხვევაში უშუალოდ ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით დგინდება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გამყიდველს (რომელიც წარმოდგენილია ვირტუალურ სივრცეში) უფლება აქვს, დააწესოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელშიც შესაძლებელია გაიწეროს შემდეგი შინაარსის მქონე დათქმა: ა) ნივთის ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელიც დარეგისტრირდება ვებგვერდზე; ბ) ნივთის ყიდვისთვის წინასწარ უნდა იქნეს თანხა გადახდილი მითითებულ საბანკო ანგარიშზე; გ) მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება იმ ქვეყანაში, რომელშიც გამყიდველია დარეგისტრირებული. შესაძლებელია მითითებული იყოს აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც, ან კერძო არბიტრაჟი. მართალია, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სამოქალაქო სამართლით აღიარებული და დაცული სფეროა, თუმცა ინტერნეტით დადებული ხელშეკრულების დარღვევისას შესაძლებელია გართულდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი შესაძლებლობა. თუ პირმა მოახდინა ანგარიშსწორება წინასწარ, თუმცა მას დათქმულ დროს არ ჩამოუვიდა შეძენილი ნივთი, მას გააჩნია უფლებამოსილება, მოითხოვოს გამყიდველისგან შესაბისი მოქმედების განხორციელება (სახელშეკრულებო პირობებით, მაგალითად, პირგასამტეხლო), მაგრამ პრობლემა დგება სხვა საკითხთან მიმართებით: ხელშეკრულება, რომელზეც ხელმოწერით მხარე საკუთარ ნებას ადასტურებს, დავის მოწესრიგებას უცხო ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, პირს, თუ მას შესაბამისი მოთხოვნის სასამართლო გზით დაყენება სურს, წარმოეშობა შესაძლებლობა, მხოლოდ იმ ქვეყნის სასამართლოს მიმართოს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებით, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. უმეტეს შემთხვევაში ინტერნეტის საშუალებით ნასყიდობის ხელშეკრულება იდება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მხარეს, რომელიც წარმოადგენს მყიდველს, არ გააჩნია შესაძლებლობა ჩავიდეს სხვა ქვეყანაში და ადგილზე დადოს ხელშეკრულება გამყიდველთან. შესაბამისად, თუ ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დადებისას მთავარი ფაქტორი თანხის შემცირება (თანხის დაზოგვა) და გადაადგილების შეუძლებლობაა, პირი იმასაც ვერ შეძლებს, რომ სხვა ქვეყნის სასამართლოში შეიტანოს საჩივარი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის (აღნიშნულიც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. გარდა ბაჟისა, პირს დასჭირდება, თუ იგი არ

[82] აღნიშნულის თაობაზე იხ.: *ჯორბენაძეს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 126.

ერკვევა უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში, ადვოკატი, რომელიც დაიცავს მის უფლებებს). აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას ეხება, უნდა მოწესრიგდეს საერთაშორისო დონეზე, რამაც ასახვა საქართველოს კანონმდებლობაშიც უნდა პოვოს.

1.1.4.4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება „Facebook-ის" თაობაზე

ინტერნეტის სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვა და შესაბამისი მოწესრიგების გათვალისწინება თანამდეროვე ეპოქის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ მიზნად უნდა იქნეს განხილული.

Facebook-ი წარმოადგენს პირადი ინფორმაციის გამოაშკარავების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, რომელზეც პასუხისმგებლობა არა ხელისუფლებას, არამედ აღნიშნული სოციალური ქსელის წარმომადგენელებს ეკისრებათ, რომლის საშუალებითაც პირის პირად ცხოვრებაში კერძო სფეროს საკითხი აქტუალურ გავლენას ახდენს.[83]

ინტერნეტის საშუალებით ჩადენილი დანაშაულების შედეგია ისეთი ტერმინის გაჩენა, როგორიცაა, მაგალითად, კიბერტერორიზმი. დანაშაულის ერთ-ერთ სახედ მისი განსაზღვრა მედია სივრცეში სწორედ ადამიანთა მიერ ინტერნეტისადმი დამოკიდებულის შედეგს წარმოადგენს.[84] თითოეული ასეთი საკითხი გარკვეულ ასპექტში უკვე გამოკვლეულია იურიდიულ მეცნიერებაში, თუმცა, ტექნიკურ პროგრესთან ერთად უახლესი ინტერნეტ საშუალებების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი პრაქტიკა არც თუ ისე სრულყოფილია.

ამ მხრივ, მოსაწესრიგებელია სოციალური მედიის მოქმედების საკითხი. სოციალური ქსელით დღეს ბიზნეს-პარტნიორული, მეგობრეული თუ სხვა სახის ურთიერთობის დამყარება ყველაზე მარტივი და გარკვეულ შემთხვევებში – პოპულარული საშუალებაა. წინამდებარე ქვეთავი მიზნობრივად ეთმობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას[85] სოციალური ქსელებისა და Facebook-ის როლზე თანამედროვე მსოფლიოში. საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა ქართულ მედიასამართალში ერთ-ერთი იმ უიშვიათესთაგანი შემთხვევაა, როდესაც სასამართლო სოციალურ ქსელზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ახდენს:

---

[83] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *როზენი ჯ.*, გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა" და „ფეისბუქის" ეპოქაში (თარგმანი), ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", №6, 2013, 43-59 (განსაკუთრებით, გვ. 51).

[84] *ბოძაშვილი ლ., კობრეიძე ნ.*, კიბერსივრცის სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2012, 88.

[85] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

„სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისგან, რომელბსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ.). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „პროფაილი"), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი", რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე" კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისთვის ან ყველა მომხმარებლისთვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისთვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა და ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს".

სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ნათლად იკვეთება თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში სოციალური ქსელის როლის მნიშვნელობის საკითხი. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება ინფორმაცია და შესაბამისად, თითოეული პირისთვის მინიჭებული გამოხატვის (სიტყვის, ინფორმაციის) თავისუფლების რეალიზაცია.

1.2 ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და სახელმწიფო, როგორც მედიასამართლის სუბიექტი

მედიასამართლის სუბიექტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მედია საშუალება, ასეთი სახის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარეს შესაძლებელია, ასევე, წარმოადგენდეს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი ან სახელმწიფო. განვიხილოთ თითოეული მათგანი, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის (სუბიექტის) სამართლებრივი სტატუსი.

1.2.1 ფიზიკური პირი როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი

ფიზიკურ პირზე როგორც მედიასამართლის სუბიექტზე საუბრისას მსჯელობა შესაძლებელია რამდენიმე ასპექტში იქნეს წარმართული: ა) მოსახლეობა როგორც ინფორმაციის მიმღები ან მედია სივრცის ურთიერთობაში მონაწილე ბ) ჟურნალისტი ან სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს მედია საშუალებას.

თავდაპირველად შევეხოთ **ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის მიმღებს ან მედია სივრცის ურთიერთობის მონაწილეს**. ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ეცნობა მედია საშუალების მიერ გადაცემულ ინფორმაციას ან მონაწილეობს ინფორმაციის გაშუქებაში.

შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, მედიასამართლის მეორე სუბიექტი შეიძლება იყოს **ჟურნალისტი ან სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს მედია საშუალებას**. ჟურნალისტი მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია,[86] რომელიც აგროვებს, ამუშავებს და ავრცელებს კონკრეტული სახის ინფორმაციას.[87] ჟურნალისტი თავისი პროფესიით შეიძლება მუშაობდეს სხვადასხვა მედია საშუალებაში და აღნიშნულის შესაბამისად ახორციელებდეს სხვადასხვაგვარ საქმიანობას: იყოს რეპორტიორი, წამყვანი, პროდიუსერი და სხვ.[88]

ჟურნალისტის, როგორც მედიასამართლის სუბიექტის, უმთავრესი ვალდებულებაა ობიექტურობის დაცვა და ინფორმაციაზე მუშაობისას მიკერძოებისგან თავის შეკავება. ამ მხრივ, მის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება წარმოადგენს.[89] სწორედ გადამოწმების საფუძველზე შეუძლია მას, შეაჯეროს მიღებული ინფორმაციები და გამოიტანოს გარკვეული დასკვნები, მოახდინოს ანალიზი კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გარკვეულ შემთხვევაში, გააკრიტიკოს პოლიტიკური პარტია ან ხელისუფლება. აღნიშნულის უფლება ჟურნალისტს გააჩნია მისივე პროფესიიდან გამომდინარე. მან კრიტიკა შეიძლება პოლიტიკური პროტესტის საფუძველზეც გამოხატოს,[90] რაც სახელისუფლებო ორგანოს წევრის უფლების შემლახველი ქმედება არ გახდება.[91] ხელისუფლების კრიტიკა შეიძლება მის როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმიანობის განხორციელებასთან იყოს დაკავშირებული,[92] თუმცა აღნიშნულის საფუძველზე მედია საშუალების წარმომადგენლმა არ უნდა მოუწოდოს მოსახლეობას ან მოსახლეობაში გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რაც მომავალში ხე-

---

[86] *ალფაიძე თ.*, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №4, თბილისი, 2004, 79 (შემდგომში – *ალფაიძე თ.*, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, გვ.).

[87] ჟურნალისტიკა, 309.

[88] თითოეულის თაობაზე შესაბამისი განმარტებანი იხ. იქვე, 311-313.

[89] *ალფაიძე თ.*, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, 82.

[90] *გოცირიძე ე.*, აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში (შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №4, თბილისი, 2004, 18 (შემდგომში – *გოცირიძე ე.*, აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, გვ.).

[91] იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი პოლიტიკურ პროტესტს ახორციელებს კანონის ფარგლებში და არ ლახავს კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ინტერესებს. მაგალითად, არ ერევა მის პირად სფეროში, არ ახდენს შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებას და სხვ.

[92] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 254.

ლისუფლების ძალადობის დამხობით, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის, ძალადობის გამოყენების ან ტერორისტული აქტების მოწყობაზე წააქეზებს.[93] კრიტიკა, თუნდაც რადიკალური, პოლემიკური ან აგრესიული ხასიათის იყოს, არ უნდა გახდეს კონკრეტულ პირთა შეურაცხმყოფელი, ცილისწამებლური ან დამამცირებლური.[94] სხვა მხრივ, პოლიტიკის სფეროში უპირატესად აზრის გამოხატვის თავისუფლებაა დაცული,[95] რომლის ფარგლებშიც მოქმედების თავისუფლების არეალი მედია საშუალების წარმომადგენელს უფრო ფართო აქვს, ვიდრე სამოქალაქო პირებთან დაკავშირებით.

ტერმინში – „სხვა პირი" როგორც მედიასამართლის სუბიექტი, იგულისხმება ნებისმიერი, ვინც სამუშაოს მედია საშუალების საქმიანობისთვის ახორციელებს.

1.2.2 იურიდიული პირი, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი

წინამდებარე ქვეთავში საუბარი წარმათული იქნება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირებთან დაკავშირებით, რომლებიც არ წარმოადგენენ მედია საშუალებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი ძირითადი უფლებების თაობაზე აკეთებს დათქმას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით მოწესრიგებული ძირითადი უფლებანი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირი, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით ისევე გამოდის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ფიზიკური პირი და მასზე ანალოგიური დაცვის საშუალება ვრცელდება.[96] ლოგიკურად, იურიდიული პირის გათანაბრება ფიზიკურ პირთან შესაძლებელია მხოლოდ იმ ასპექტში, რომლის საფუძველზეც, კონკრეტული უფლება თვისებრივად ადამიანს არ უკავშირდება.[97] აღნიშნული სახის კონსტიტუციური დათქმა მხოლოდ რამდენიმე ძირითადი უფლების სუბიექტად აქცევს იურიდიულ პირს.

იურიდიული პირი, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, შეიძლება მოაზრებულ იქნეს თავისი საქმიანობის გამო. იგი სამართლებრივ

---

[93] იქვე, 256.

[94] *ალფაიძე თ.*, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, 85.

[95] *გოცირიძე ე.*, აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, 17.

[96] *ბურდული ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, GIZ, Deutsche Zusammenarbeit, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, 45-ე მუხლი, 599.

[97] *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 165.

ურთიერთობაში დამოუკიდებელი სტატუსით მოქმედებს,[98] რამაც მისი საქმიანობისადმი დაინტერესება შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, მედია საშუალებათა ინტერესი გაიზრდება იმ იურიდიული პირის მიმართ, რომლის მიზანსაც საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გასაჯაროება წარმოადგენს[99] და ეს უკანასკნელი მის მიერ განხორციელებული მოქმედების საფუძველზე ამ ინფორმაციას გაასაჯაროებს.

1.2.3 სახელმწიფო როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი

სახელმწიფო მედიასამართლებრივ ურთიერთობაში მედია საშუალებასთან ერთად ყველაზე ხშირად მონაწილეობს. აღნიშნულის დასტურად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, საჯარო დაწესებულებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას მედია საშუალებები ხშირად ასაჯაროებენ.

ტერმინში – სახელმწიფო – შესაძლებელია მოვიაზროთ საჯარო დაწესებულებები (ადმინისტრაციული ორგანოები) და პირები, რომელიც მათ წარმოადგენენ. ზოგადად, სახელმწიფოს ყოველთვის წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს თანამდებობის პირი,[100] ან საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი, მაგალითად, საჯარო დაწესებულების პრესსამსახურის უფროსი.

მედიაში ნებისმიერი განცხადების გავრცელებისას სახელმწიფო ხდება მედიასამართლის სუბიექტი. აღნიშნულში მოიაზრება საჯარო სამართლის თითოეული იურიდიული პირი, ასევე, სამინისტრო, დეპარტამენტი, სამმართველო თუ სხვ. მაგალითად, თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო მედიის საშუალებით ავრცელებს განცხადებას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის აქტივობის თაობაზე,[101] იგი მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად მოიაზრება იმდენად, რამდენადაც მედიის გარეშე ასეთი ინფორმაციის გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა. სამინისტროს გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, რომლის საშუალებით ოფიციალურად ასაჯაროვებს ინფორმაციას. ვებგვერდით სარგებლობა წარმოადგენს მედიით სარგებლობის კონკრეტულ მაგალითს.

---

[98] *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 215.

[99] იხ. <**www.idfi.ge**>, ასევე აღნიშნული იურიდიული პირის ერთ-ერთი პროექტი: <**www.opendata.ge**>.

[100] ტერმინში – თანამდებობის პირი უპირატესად იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში გათვალისწინებულ თანამდებობათა ჩამონათვალი.

[101] იხ. მაგალითად, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლადო ჭანტურიას მიერ გერმანიის პრეზიდენტისადმი რწმუნებათა სიგელების გადაცემის შესახებ ინფორმაცია: <**http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17225**> [10.03.2014].

2. მედიასამართლის ობიექტები

მედიასამართლებრივი ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია შესაბამისი ობიექტების არსებობის გარეშე. ასეთ ობიექტებად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ის მატერიალური, სულიერი ან სხვა სახის მოვლენა ან პროცესი, რომელთა გამოც მყარდება მედიასამართლებრივი ურთიერთობა,[102] მაგალითად, ინფორმაცია, რომელიც შეეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სფეროს. ინფორმაციაში, როგორც მედიასამართლის ობიექტში, შესაძლებელია მოვიაზროთ არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ, კულტურული, სამეცნიერო, სპორტული და სხვა სახის ინფორმაცია. ზოგადად, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სფერო ერთმანეთისგან გამიჯნულად არ უნდა იქნეს განხილული. კონსტიტუციაც კი, კულტურასა და მეცნიერებას შორის არ ავლებს ზღვარს და მათ სამართლებრივად ერთ ასპექტში მოიაზრებს.[103] ორივე შემთხვევაში საკითხი მედიასამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად უნდა იქნეს მოაზრებული.

თავისი არსით ინფორმაცია, როგორც მედიასამართლის ობიექტი, არის ის მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელთა გავრცელებაც მედია საშუალების საქმიანობის უმთავრესი ამოსავალი წერტილია. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ინფორმაცია, როგორც ცნება, დიფერენცირებულია. კერძოდ, ინფორმაცია განსაზღვრულია, როგორც ადამიანის ყოფის კომპონენტი, დაფიქსირებული მატერიალურ საშუალებაზე, რომელიც სივრცისა და დროის გარეშეა გავრცელებული და მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ პირის მიერ შესაბამის ცოდნაზეა დამოკიდებული.[104] ცოდნაში იგულისხმება უპირველეს ყოვლისა, რეალური ფაქტების გაშუქება, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივ ნორმათა დაცვის აუცილებლობა, რომლის გარეშეც ინფორმაციის გამავრცელებელი, ანუ მედიასამართლის სუბიექტი დაარღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქცევის ზოგად წესს.

მედიასამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს შემოქმედებითი საქმიანობა[105] თუ სხვ.

მედიასამართლის ობიექტის არსებობა სახელმწიფოს მიერ შესაბამის ქმედებაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ უკანონოდ მოხადინა გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლების შეზღუდვა, მედია საშუალება ვეღარ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას (ზოგ შემთხვევაში – საერთოდ ინფორმაციის გაშუქებას). ამ მხრივ უმნიშვნელო-

---

[102] *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, 38.

[103] *Kannengiesser* in Grundgesetz Kommentar, Schidt-Bleitbreu, Hofmann, Hopfauf, 11. Auflage, Art. 5, Verlag Carl Heymanns Verlag, München, 2008, Rn. 32.

[104] *ცაცანაშვილი მ.*, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „ტექინფორმი", თბილისი, 1999, 18-19.

[105] *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, 38.

ვანესია პარალელის გავლება მედიასამართლის ობიექტზე დაფუძნებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი საგამოძიებო პერიოდის მანძილზე, კონკრეტულ საკითხში დახმარების გაწევასთან მიმართებით (დანაშაულია კვალზე გასვლა და სხვ.).

ამდენად, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ფაქტი გახდეს მედიასამართლის ობიექტი ან უშუალოდ სამართალდამცავი ორგანო (მისი საქმიანობა). მოსახლეობას არ გააჩნია სურვილი, თავად ჰქონდეს ურთიერთობა პოლიციასთან. სწორედ ამიტომ, ისინი მედიის საშუალებით იგებენ ინფორმაციას თითოეულ ასეთ საკითხთან მიმართებით, რაც პოლიციის ქმედებას მედიასამართლის ობიექტად აქცევს.[106]

მედიასამართლის ობიექტად „ყოფნა" უმეტეს შემთხვევაში გარკვეული პოპულარულობის არსებობის საწინდარია. ზემოთ დასახელებული პოლიციაც ხშირ შემთხვევაში შეგნებულად იქცევს მედიის ყურადღებას, რომლის საფუძველზეც იგი ხდება ხალხში უფრო მეტი ნდობით აღჭურვილი ორგანო და სხვ.[107] პოლიციის დარად, მედიასამართლის ობიექტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი და, მათ შორის, სახელმწიფოც. გარკვეულ შემთხვევებში მედიასამართლის სუბიექტი სამომავლოდ მედიასამართლის ობიექტად შეიძლება იქნეს ქცეული, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული საქმიდან იქნება გამომდინარე.

---

[106] იხ. *ბახტაძე უ.*, ვის მხარეს არის ძალაუფლება პოლიციისა და მედიის ურთიერთობაში? ინგლისისა და უელსის პოლიციისა და მედიის ურთიერთობების კრიტიკული ანალიზი, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 101.

[107] იქვე, 95.

თავი III მედია და დემოკრატიული სახელმწიფო

მედიასამართლის ძირითად პრინციპებზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს მის მთავარ როლზე თანამედროვე, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მედიასამართლის უმთავრესი პრინციპების მხოლოდ ჩამოთვლა არ შეიძლება აღნიშნული სფეროს სრულყოფილად დახასიათების წინაპირობა გახდეს. პრინციპებში მოიაზრება როგორც მედია საშუალების მიერ საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ დონეზე მოწესრიგება, ისე – მისი ფუნქციონირების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოში და სხვ.

1. მედიასამართლის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში

მედიასამართლის მოწესრიგების საკითხი უპირველეს ყოვლისა განხილულ უნდა იქნეს დემოკრატიული სახელმწიფოს ჭრილში. აღნიშნულის საფუძველს, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის დათქმა წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მედია საშუალების საქმიანობის განხორციელების მნიშვნელობა ყველაზე უფრო მეტად სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოში ჩანს. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულ იქნება მაგალითები, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიულ სახელმწიფოში მედიისა და მედიასამართლის როლზე გამახვილდება ყურადღება.

1.1 დემოკრატიული სახელმწიფოს არსი (ზოგადად)

დემოკრატიულ სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და ამ ძალაუფლების ერთადერთი წყარო ხალხია.[108] მოსახლეობა, რომელიც ირჩევს ხელისუფლებას, წარმოადგენს შუამავალს, კონკრეტულ პირთათვის იმ უფლებამოსილების მინიჭებით,[109] რომლის საფუძველზეც არჩეული ხელისუფლება ადამიანის თავისუფლების დაცვის უმთავრეს გარანტად უნდა იქცეს.[110] სწორედ აღნიშნულის საფუძველზეა შესაძლებელი, თითოეულმა ადამიანმა თავი იგრძნოს რეალიზებულად, ჰქონდეს განსხვავებული შეხედულებანი, განსხვავებული მრწამსი, განსხვავებული პოზიცია და დაიცვას თითოეული მათგანი სამართლებრივ დონეზე.

---

[108] *ბეცურიანი ჯ.*, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები, თბილისი, 2006, 225.

[109] *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი, 2003, 65.

[110] შეად. *იზორია ლ.*, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2005, 26.

დემოკრატიის არსებობისთვის აუცილებელია ე.წ. პლურალიზმის ბატონობა თითოეულ სფეროში. იგი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს საყრდენს,[111] რომლის გარეშეც ადამიანს არ ექნება იმის განცდა, რომ მისი არსებობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი კანონის წინაშე თანასწორობაა, რომლის პარალელურად მოსახლეობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული სახელმწიფოს მართვაში. ასეთი დათქმა ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან მოდის, როდესაც ხელისუფლების კლასიფიკაცია მოქალაქეთა იმ რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა, რომელიც ჩართული იყო მართვის პროცესში.[112]

დემოკრატიული წყობილების მქონე ქვეყნისთვის ასეთი სტატუსის შენარჩუნება ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზეა დამოკიდებული. მართალია, დემოკრატიას ახასიათებს მოსახლეობის ჩართულობა, მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, რაც შესაბამისი სახელისუფლებო ლეგიტიმაციის მინიჭებაში გამოიხატება,[113] მაგრამ იმის ხელაღებით თქმა, რომ დემოკრატიის პირობებში ქვეყანას მართავს ხალხი, არ იქნება მართებული, შემდეგი მიზეზის გამო: ხალხი ყოველთვის ვერ შეიკრიბება ერთ ადგილას კონკრეტული სახელმწიფო გადაწყვეტილების მისაღებად.[114] შესაბამისად, დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს ისეთი სახის გადაწყვეტილება, რომელსაც არ მიიღებდა მის ამომრჩეველთა უმრავლესობა.[115] ამ ასპექტში ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას მეტი ყურადღების გამახვილება მმართებს შესაბამისი (საბოლოო ჯამში – მართებული) გადაწყვეტილების მისაღებად. თავის მხრივ, მართებული გადაწყვეტილების მიღება ხელისუფლების კონკრეტულ სფეროში განათლებასა და ცოდნას მოითხოვს, ვინაიდან მას გადაწყვეტილების მიღების თითოეულ ეტაპზე თავისუფალი და გათვითცნობიერებული მოქალაქეები სჭირდება.[116] თუ დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველს არ გააჩნია სათანადო ცოდნა, მაშინ მას გაუჭირდება ასეთი წყობილების მქონე სახელმწიფოს შენარჩუნება, ვინა-

---

[111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[112] *ჯანდა ქ., ბერი ჯ., გოლდმენი ჯ.,* ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, რ. გაჩეჩილაძის თარგმანი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბილისი, 1995, 23 (შემდგომში – *ჯანდა ქ., ბერი ჯ., გოლდმენი ჯ.,* ამერიკული დემოკრატია, გვ.).

[113] შეად. *მელქაძე ო.,* საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 213 (შემდგომში – *მელქაძე ო.,* საარჩევნო სამართალი, გვ.).

[114] *ჯანდა ქ., ბერი ჯ., გოლდმენი ჯ.,* ამერიკული დემოკრატია, 25.

[115] იქვე, 26.

[116] *სოარესი მ.,* დემოკრატიული გამოგონება, თარგმანი, ესსე, პუბლიცისტიკა, ნ. რურუას თარგმანი, თავისუფლების კანონი, „რუსთავი 2 პრინტი“, თბილისი, 2003, 53.

იდან განათლება სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის უმთავრესი საფუძველია. აღნიშნულის დასტურად გამოდგება შარლ ლუი მონტესკიეს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლითაც იგი დემოკრატიის შედარებას ახდენს მონარქიულ სახელმწიფოსთან და აღნიშნავს, რომ ცოდნა მონარქიული წყობილების დროს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც დიდია ხელისუფალთა ძალა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად: „მონარქიაში, რომელშიც პიროვნება აიძულებს სხვებს, დაიცვან კანონი, საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებს, ნაკლებადაა საჭირო ქველობა, ვიდრე სახალხო მმართველობაში, სადაც პიროვნება, რომელიც სხვებს აიძულებს კანონების დაცვას, გრძნობს, რომ თვითონაც ექვემდებარება მათ და მათი ტვირთი აწევს".[117] ციტატის ავტორი თავისი სიტყვების დასტურად ისტორიულ წინამძღვრებს იშველიებს, რომლითაც ადასტურებს ხელისუფლებაში მყოფი ხალხის განათლების დონის მნიშვნელობას. განათლება ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, განახორციელოს ისეთი სახის მოქმედება, რომელიც თანამედროვე ეპოქაში მედიის საშუალებით, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, ობიექტური ფორმით დადებით ასპექტში გაშუქდება. ეს კი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირში იქნება მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობის რეალურ აღქმაში და მათში არ გამოიწვევს ხელისუფლების მუშაობის გამო უკმაყოფილებას.

ზოგადად, ხელისუფლების პოლიტიკურ-აღმასრულებელი საქმიანობა, სახელმწიფოს მმართველობის ფორმასა და პოლიტიკურ რეჟიმზეა დამოკიდებული,[118] რომელიც სამართლებრივი ნორმების შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს.[119] ხელისუფლება ვერ განახორციელებს დემოკრატიულ საქმიანობას, თუ მას კანონმდებლობამ არ შეუწყო ხელი. დემოკრატიული წყობილების მქონე ქვეყანაში ხელისუფლება შებოჭილი უნდა იყოს კანონით.[120] იგი ქვეყანაში შექმნილი უნდა იყოს შესაბამისი მართველობის ფორმის არსიდან გამომდინარე. თუ ხელისუფლება მოახერხებს ისეთი კანონის შექმნას, რომელიც არ გამოიწვევს მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და პროტესტს, იგი საქმიანობას გონივრულად, საკუთარი მოსახლეობისგან ყოველგვარი არსებითი დაბრკოლების გარეშე გააგრძელებს.[121] კანონი მოქალაქეს უნდა ანიჭებდეს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების კონტროლში, რომლის ქმედით ფორმად ხელისუფ-

---

[117] *მონტესკიე შ. ლ.*, კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, 49.

[118] *კვერენჩხილაძე გ.*, საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი (კონსტიტუციის 78-ე მუხლის კომენტარი), თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, სტატიათა კრებული, წიგნი I, თბილისი, 2012, 34.

[119] შეად. *დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია", თბილისი, 2011, 106.

[120] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2004, 97.

[121] *მონტესკიე შ. ლ.*, კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, 72.

ლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად განისაზღვრება.[122]

დემოკრატიის არსებობისთვის აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ, პოლიტიკური პლურალიზმის, პოლიტიკური ლიბერალიზმისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის. თითოეული მათგანის არსებობა მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.[123] მაგალითად, პარტიები, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სურთ მოსახლეობისთვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შეთავაზება, არ უნდა იყვნენ შეზღუდულნი, ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიცია, რომელიც პარტიის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.[124] მათ უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, გამოთქვან აზრი, თუნდაც კრიტიკული ხასიათის. დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლებაში მყოფი გუნდი შეიძლება მორიგი არჩევნების დასრულების შემდეგ ოპოზიციაში აღმოჩნდეს.[125] დემოკრატია ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის მათი სიცოცხლის ბოლომდე თანამდებობების შენარჩუნების გარანტიას არ იძლევა. იგი მუდმივად ცვალებად პროცესს წარმოადგენს და უმთავრესი ღირებულება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს. ადამიანისთვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების მინიჭება ხომ სწორედ დემოკრატიული გარდაქმნების შედეგია.[126]

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის მუდმივი კონტაქტი იარსებებს[127] და ხელისუფლება ანგარიშვალდებული იქნება არა ერთი კონკრეტული პირის, არამედ მთელი მოსახლეობის წინაშე. თუმცა, ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რამდენად ჯეროვნად შეასრულებს ამ ვალდებულებას, შესაძლებლობასაა მოკლებული, ყოველ დღე მოახერხოს მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარება. თანამედროვე ეპოქაში ასეთი საკითხის მოგვარების ყველაზე გავრცელებული შესაძლებლობა, მედიის საშუალებით ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის თავისი საქმიანობის ანგარიშის გაცნობაა. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მოსახლეობისა (სამოქალაქო საზოგადოებისა) და

---

[122] *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2004, 98.

[123] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[124] შეად. *პაკტე ა.*, მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, 2009 წლის ივლისის მდგომარეობით, ფრანგულიდან თარგმნი გ. კალატოზიშვილისა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 126.

[125] იქვე.

[126] ჭელიძე ს., მართლმსაჯულების ცნება და მისი განხორციელების დემოკრატიული პრინციპები, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2012, 192.

[127] *Тилли Ч.*, демократия, москва, 2007, 79.

დემოკრატიის გამწევ ძალად ინტერესთა ჯგუფებია მოაზრებული. აღნიშნული ჯგუფები შეიძლება რამდენიმე კატეგორიად იყოს დაყოფილი, რომელთა პირველ კატეგორიასაც მედია წარმოადგენს.[128]

1.2 მედიის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში

დემოკრატია ხალხს შესაძლებლობას აძლევს, გამოხატოს და ზოგ შემთხვევაში კანონის დონეზე მოაწესრიგოს საკუთარი მოთხოვნები,[129] რასაც საზოგადოება ვერ განახორციელებს შესაბამისი კომუნიკაციის არსებობის გარეშე. თავის მხრივ, კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას დღევანდელ რეალობაში მედია წარმოადგენს, რომელიც ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. მედიის, საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე არსებული სხვადასხვა თეორიებიდან[130] ყველაზე გამოსარჩევი ამ მხრივ ინფორმაციული საზოგადოების თეორიაა, რომელიც, ერთი მხრივ, ტექნოლოგიური მედია საშუალებების შექმნას და, მეორე მხრივ, ამ საშუალებების საფუძველზე საზოგადოების ინფორმირებულობას და მასზე გარკვეული სახით ზემოქმედებას გულისხმობს.[131]

იმ შემთხვევაში, თუ მედია არ იქნა დამოუკიდებელი, საფრთხე შეექმნება ქვეყანაში დემოკრატიული წესყობილების დამყარებას.[132] თავის მხრივ, მედიის დამოუკიდებლობის გარანტი უნდა გახდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც მედიის საქმიანობის სამართლებრივი ფარგლები და ამ საქმიანობაში მესამე პირთა მიერ ჩარევის დაუშვებლობა უნდა განისაზღვროს. სხვა შემთხვევაში არ იარსებებს უფლებათა წესრიგი, რაც შეუძლებელს გახდიდა ძირითადი უფლებების დაცვას.[133]

მედიის დამოუკიდებელი საქმიანობა, როგორც დემოკრატიის არსებობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, განსაზღვრულია უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებებში. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სა-

---

[128] იხ. *ჯონსი ს.*, საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ხ. ჩხეიძის თარგმანი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013, 158 (შემდგომში – ჯონსი ს., საქართველო, გვ.).

[129] *სენი ა.*, დემოკრატია როგორც უნივერსალური ფასეულობა, გ. ჭუმბურიძის თარგმანი საზოგადოება და პოლიტიკა 3, გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000, 18.

[130] იხ. *იბერი ე., სურგულაძე რ.*, მასობრივი კომუნიკაცია, გამომცემლობა „ენა და კულტურა", თბილისი, 2003, 46-66.

[131] იქვე, 56.

[132] შეად. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯი სი აი", თბილისი 2010, 252 (შემდგომში – *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, გვ.).

[133] *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში GTZ-ის გამოცემა, თბილისი, 2007, 45.

სამართლო თავისუფალ პრესას (მედიას) დემოკრატიის უმთავრეს ელემენტად მიიჩნევს.[134] სასამართლოს მოსაზრება გაზიარებულია გერმანელ იურისტთა მიერ, რომელნიც დემოკრატიის ელემენტის არსებობის აუცილებლობას წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ განსახორციელები მოქმედებების გაშუქების დამოუკიდებლობაში ხედავენ.[135]

მედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში შედარებით დიდია არჩევნების პერიოდში. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო პროგრამას, რომელიც მას მიეწოდება სწორედ მედიის საშუალებით. ამდენად, მედია საარჩევნო პერიოდში წარმოადგენს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ყველაზე გავრცელებულ სახეს, რომლითაც საზოგადოებას ჩამოუყალიბდება საკუთარი ხედვა საარჩევნო სუბიექტების მიმართ.

2. მედია როგორც ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება"

ხელისუფლების დანიშნულებაა ქვეყანაში წესრიგის დამყარება და თავის მოქალაქეთა უფლებების დაცვა. უფლებების დაცვაში არ იგულისხმება მხოლოდ სასამართლოს გზით სამართლიანობის დამყარება, არამედ ზოგ შემთხვევაში მოსახლეობის გაფრთხილებაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მოქმედების განხორციელების თაობაზე. ამ მხრივ შესაძლებელია საინტერესო პარალელი იქნეს გავლებული მედიაზე, როგორც ე.წ. „შუამავლზე" სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის, ამ უკანასკნელის გაფრთხილების თვალსაზრისით. მაგალითად, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტით, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, მედია საშუალებას შესაძლებელია დაეკისროს ვალდებულება, გამოაქვეყნოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სასწრაფო ინფორმაცია მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმცა, როგორც დასახელებული სამართლებრივი ნორმიდან ჩანს, სახელმწიფოს ზოგ შემთხვევაში შეიძლება მედია საშუალების დახმარება დასჭირდეს. მეტიც, **მედია საშუალების გარეშე სახელმწიფომ შესაძლებელია ვერ აღასრულოს შესაბამისი ვალდებულებანი**. აღნიშნულის პარალელურად შეიძლება განვითარებულ იქნეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების განხორციელების შეფასების შედეგად განისაზღვრება. მედიის როლი სწორედ ამ ასპექტში იძენს მთავარ დანიშნულებას, რომელსაც გააჩნია „ძალაუფლება", მიაწოდოს საზოგადოებას ადეკვატური ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელების

---

[134] BverfGE 20, 162 (174 f.).

[135] იხ. *Wandtke A.-A.* (Hrsg.), Medienrecht, Praxishandbuch, 2. Auflage, Band 4, Verlag Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin/Boston, 2011, 48.

თაობაზე.[136] მედიის უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვის საფუძველიც კი გახდეს.

მედიას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მოსახლეობაზეც და ხელისუფლებაზეც დადებითი ან მავნე ზეგავლენის მოხდენა.[137] აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ მედია საშუალება იქნეს ე.წ. „ბოროტი მიზნებისთვის" გამოყენებული. სახელმწიფომ შესაძლებელია განახორციელოს მედიაზე ზემოქმედება, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობაზე ზემოქმედების განხორციელება იქნება. სწორედ ამიტომ, თანამედროვე სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის საზომად და კატალიზატორად ხშირად მედიის დამოუკიდებლობა შეიძლება იქნეს მიჩნეული,[138] რაც ამ უკანასკნელის როლს კიდევ უფრო მეტად თვალნათელს ხდის.

მედია საშუალებას შეუძლია მოახდინოს სენსაცია, რომელიც ხელისუფალთა ყველა წარმატებას გადაფარავს. ამ მხრივ მას აქვს შესაძლებლობა, პოპულარობის მიზნით ექსკლუზიურად გადასცეს ინფორმაცია, რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევს გარკვეული დროის მანძილზე სახელისუფლებო საქმიანობა. მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ 1835 წლის ამერიკული ტაბლოიდის – „ნიუ-იორკ სან-ის" სტატია, რომელმაც მოსახლეობას ახალი აღმოჩენის შესახებ ამცნო – მედია საშუალება იუწყებოდა, რომ ერთ-ერთმა ბრიტანელმა ასტრონომმა ტელესკოპით მთვარის ზედაპირის დათვალიერებისას სიცოცხლის კვალი აღმოაჩინა.[139] ამ ინფორმაციამ, ერთი მხრივ, მოუტანა უდიდესი პოპულარობა მედია საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პერიოდში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, დაჩრდილა სახელმწიფო დონეზე მიმდინარე პროცესები.

მედია საშუალების, როგორც სახელისუფლებო იარაღის, გამოყენების თანამედროვე მაგალითია ჩრდილოეთ კორეაში დაფიქსირებული შემთხვევები. ხელისუფლება აკონტროლებს ინფორმაციას, რომელიც უნდა მიეწოდოს მოსახლეობას, მაგალითად, ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩრდილოეთ კორეის ნაკრების შედეგების გაცნობა მოსახლეობისთვის, თითქოს მათ ქვეჯგუფში ყველა თამაში დიდი ანგარიშით და გოლის გაუშვებლად მოიგეს.[140] რეალურად, ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ბრაზილიაში 2014 წელს გამართულ

---

[136] *შვარცი ჰ.*, რით შეიძლება დაეხმარის თავისუფალი პრესა მართლმსაჯულებას, ჟურნალი „ალმანახი", №16, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2001, 25.

[137] ჟურნალისტიკა, 113.

[138] *ცნობილაძე ჰ.*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2004, 206.

[139] იხ. ჟურნალისტიკა, 113-114. აღნიშნული ფაქტი ეყრდნობა სწორედ დასახელებულ ნაშრომში მოყვანილ მაგალითს.

[140] იხ. <**https://www.youtube.com/watch?v=ZJoRZOK18Fg**> [30.07.14].

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე საერთოდ არ მონაწილეობდა;[141] სხვა მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ ამავე ქვეყნის საინფორმაციო გამოშვების მიერ გავრცელებული მასალა, რომლის საფუძველზეც მედია საშუალებას სურდა, მოსახლეობა დაერწმუნებინა იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეამ მსოფლიოში პირველმა დასვა მზეზე ადამიანი და რომ მზეზე არსებული პირობების გამო, ეს ღამით განახორციელა. თითოეული ასეთი ქმედება გათვლილია საზოგადოებისათვის რაიმე ყურადღების მიპყრობის მიზნით.[142] ყურადღების მიპყრობის სურვილი კი იმ პირებს გააჩნიათ, რომელნიც თავის საქმიანობას მასებზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით ახორციელებენ. **ხელისუფლებისთვის მედია ყველაზე ძლიერ ბრძოლის იარაღს წარმოადგენს.**

მედიის როგორც ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების" არსი ყველაზე ნათლად იკვეთება მისი ზემოქმედების განხორციელების ასპექტში. დღეისთვის საქართველოში მოქმედებს რამდენიმე მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელთაც ძალუძთ მოსახლეობის აზრზე ინტენსიური გავლენის მოხდენა.[143] სწორედ გავლენის საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია არა ერთი მოსაზრება და ჩამოყალიბებულია არა ერთი თეორია, რომელიც მედიის ზემოქმედების მნიშვნელობაზე საუბრობს.[144] თითოეულ მათგანში მედიის როლი საზოგადოებაზე ზემოქმედების კონტექსტშია განხილული. მაგალითად, კულტივაციის ჰიპოთეზის მიხედვით, მაყურებელთათვის, რომლებიც ხშირად უყურებენ ტელევიზორს, დროთა განმავლობაში სამყაროს აღქმა ეკრანზე ნანახ მოდელს უახლოვდება.[145] ასევე ყურადღების გამახვილება შესაძლებელია დარწმუნების ეფექტის თეორიის საკითხზე, რომლის მიხედვითაც, მედიას შეუძლია გასწიოს დამარწმუნებელი პროპაგანდა.[146] პროპაგანდის განხორციელება ყველაზე აქტიურად წინასაარჩევნო პერიოდში ხორციელდება, როდესაც საზოგადოების დარწმუნების სურვილი კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს გააჩნია და იგი აქტიურად იყენებს კლიპს, რომელიც საზოგადოებისთვის აქტიურ თემას ეხება;[147] პოლიტიკურ რეკლამას, რომელიც, ერთი მხრივ, პირის ქცევისა და ცნობიერების შეცვლისკენაა მიმართული,[148]

---

[141] იხ. FIFA-ს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც მითითებულია 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ქვეყნების (გუნდების) დასახელებანი: <**http://www.fifa.com/worldcup/teams/index.html**>.

[142] *იბერი ე., სურგულაძე რ.*, მასობრივი კომუნიკაცია, გამომცემლობა „ენა და კულტურა", თბილისი, 2003, 47.

[143] *კობახიძე ი.*, პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, გამომცემლობა „არადანი", თბილისი, 2008, 152 (შემდგომში – კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, გვ.).

[144] იხ. ჟურნალისტიკა, 118-121.

[145] იქვე, 119.

[146] იქვე, 121.

[147] იქვე, 272.

[148] იქვე, 271.

ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობას თავის კანდიდატურას სთავაზობს,[149] რაც, საბოლოო ჯამში ინფორმაციის გაშუქებისა და თითოეულ მოსახლემდე მისი მიტანის შესაძლებლობას ანიჭებს.[150]

მედიის საქმიანობის დანიშნულებაა, პასუხი გასცეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს. საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხი კი საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, უფრო მეტად ისეთი სახის ინფორმაციაა, რომელშიც მრავლადაა წარმოჩენილი კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანების, ან თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აგრესიული განცხადებები.[151]

მედიას პროფესიულად ეკისრება ვალდებულება, უპასუხოს საზოგადოების ინტერესს.[152] ამისთვის იგი ახორციელებს, ერთი მხრივ, ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობას.[153]

---

[149] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 84.

[150] შეად. *Marquardt J.*, Verschränkung von Medien und Politik im deutsch-italianischen Vergleich, Das Verhältnis von Medien und Politik im Spiegel der "Berlusconiesierung", Studienarbeit 1. Auflage, Grin Verlag, Norderstedt, 2007, 7.

[151] *კაპანაძე გ.*, ქართლი მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში, მეორე გამოცემა, „საზოგადოებრივი ცოდნა", თბილისი, 2010, 71.

[152] *ბიჭია მ.*, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №3(38)13 თბილისი, 2013, 130.

[153] შეად. იქვე.

თავი IV მედიასამართალი და ადამიანის ძირითადი უფლებები

ადამიანის უფლება სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულ ადამიანთა ქცევის წესს წარმოადგენს,[154] თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს პირისთვის ისეთი სახის გარანტიის მინიჭების შესაძლებლობას, რომლის საფუძველზეც მას კონსტიტუციური უფლებებით შეუზღუდავი, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი სარგებლობა შეუძლია.[155] კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული მაგალითი სამართლებრივი ნორმის მიღებაა, თუმცა ასეთ შემთხვევაში კანონმდებელს უნდა ამოძრავებდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით კანონმდებლობის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობის კონსტიტუციურობა.[156] ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესი,[157] რომელიც კონსტიტუციურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.[158]

ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ფარგლები თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე უნდა იქნეს განსაზღვრული. თანაზომიერი იქნება ქმედება, „როდესაც მოსალოდნელი შედეგი ზიანთან თანაზომიერ კავშირშია, ანუ უნდა არსებობდეს გარკვეული თანაფარდობა მხარდაჭერილ და ხელყოფილ სამართლებრივ ინტერესებს შორის".[159] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თანაზომიერების პრინციპი განისაზღვრება დასაშვებობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის ფარგლებიდან გამომდინარე,[160] მაგალითად, როცა მედია საშუალება ცრუ ინფორმაციას ავრცელებს ან ახორციელებს ცილისწამებას. „სიტყვისა და გამოხატვის თა-

---

[154] *ლომჯანიძე გ.*, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბილისი, 2005, 30.

[155] *ერემაძე ქ.*, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, თბილისი, 2013, 50.

[156] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი", შპს „პატარა კახი", სს „გორგოთა", გივი აბალაკის ინდ. საწარმო „ფერმერი" და შპს „ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ.

[157] შეად. *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი, 2003, 346.

[158] *ერემაძე ქ.*, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, თბილისი, 2013, 28.

[159] *გაბრიჩიძე გ.*, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 72.

[160] *იზორია ლ.*, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამინის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, თბილისი, 2004, 44-45.

ვისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი ასეთი სახის მოქმედების საწინააღმდეგოდ შესაბამის სამართლებრივ დათქმას ახდენს, რომლის მიხედვითაც, მედია საშუალებას განუსაზღვრავს მოქმედების კონკრეტულ ფარგლებს. აღნიშნული ფარგლებით კი, თავის მხრივ, იზღუდება მედია საშუალების გამოხატვის, ინფორმაციის, სიტყვის თავისუფლებანი და სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები, თუმცა შეზღუდვა ლეგიტიმური ხასიათისაა. რა მოხდებოდა, კანონით რომ არ იყოს განსაზღვრული ასეთი შეზღუდვის შესაძლებლობა? ერთი მხრივ, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ასეთი შეზღუდვის შემთხვევაში პირს ერთმევა კონსტიტუციური უფლებებით მინიჭებული მოქმედების შესაძლებლობა,[161] თუმცა, მეორე მხრივ, შეზღუდვის არარსებობისას შეიძლება წარმოიქმნას ქაოსი, ვინაიდან კანონი იცავს ზომიერების პრინციპს, ხოლო ზომიერება კი კანონის მოქმედების ფარგლებს.[162] თანამედროვე ეპოქაში კონსტიტუციური ნორმები ჩვეულებრივ კანონებზე ზემდგომია[163] და პიროვნების მოქმედების ფარგლებს კონსტიტუციური ნორმებში აქცევს. თუმცა, კონსტიტუციური ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მისი გავრცელება თითოეულ პირზე აბსოლუტურობის შესაძლებლობის მიმნიჭებელია. კონსტიტუციური ნორმა უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის მიზნებს ემსახურება, რომელიც საკონსტიტუციოსამართლებრივ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.[164] აღნიშნულის საფუძველზეც უნდა მოხდეს სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვა და, შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება,[165] რითაც, ამ მიზნის მნიშვნელობაზე დაყრდნობით, მისი შეზღუდვის შესაძლებლობაც იქნეს განსაზღვრული.

კონსტიტუცია წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური წესწყობილების ერთგულების გამოხატულებას.[166] აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, იგი აწესებს ფარგლებს, რომელიც სხვა სახის ქცევის წესთან ერთად ძირითად უფლებებსაც ეხება. ძირითადი უფლების კონსიტუციით მინიჭებული თავისუფლების

---

[161] *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი 2003, 349.

[162] შეად. *მონტესკიე შ. ლ.*, კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, 75-76.

[163] იხ. *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თ. ნინიძისა და ე. სუმბათაშვილის თარგმანი, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2010, 107.

[164] შეად. *გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი ჰ. ერქვანია თ., პაპაშვილი თ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სახელმძღვანელო, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 4- (შემდგომში – საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გვ.).

[165] *დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია", თბილისი, 2011, 73.

[166] Prabhoo, A.I.R. 1996 S.C. გვ. 1124 (ციტატა Bukhari, (1975) Supp. S.C.R. გვ. 288) – ციტირებულია: *ისაშაროვი ს.*, მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №2, ბათუმი, 83.

შეზღუდვით შესაძლებელია ადამიანის მოქმედების ნამდვილი თავისუფლების გამოვლინება,[167] რომლის ფარგლებშიც ამ უკანასკნელს თვითრეალიზაციის საშუალება კანონის ფარგლებში მიეცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება განვსაზღვროთ, რომ **ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა დასაშვებია** კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **თუმცა მისი უკანონო შეზღუდვა – დაუშვებელი.**

1. თავისუფლების ხელშეუვალობა

ადამიანის თავისუფლება ნიშნავს პირის უფლებას, თავისუფლად განახორციელოს კანონით დაშვებული ქმედება.[168] ქმედებაში მხოლოდ კანონის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედება იგულისხმება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კანონის არარსებობის ან კანონის დაუცველობის შემთხვევაში წარმოიქმნება ერთგვარი ქაოსი, რაც, საბოლოო ჯამში, პირდაპირ კავშირში იქნება მოსახლეობის ქაოტურ ქმედებებთან. ზემოაღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, ადამიანის თავისუფლება აყვანილია კონსტიტუციურ რანგში. ასეთი უფლების მნიშვნელობა განმტკიცებულია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაშიც.[169]

სამართლებრივ დონეზე მოწესრიგებული თავისუფლება სრულყოფილებას აღწევს დემოკრატიულ ქვეყანაში.[170] ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, თავისუფლად განახორციელოს კანონით აუკრძალავი ქმედება, რაც, ერთი მხრივ, მოქმედების ფართო არეალსა და, მეორე მხრივ, მისი მოქმედების კონკრეტულ ფარგლებზე მიუთითებს, ვინაიდან სწორედ კანონია მისი თავისუფლად მოქმედების განხორციელების სამართლებრივი წინაპირობა.[171] ადამიანის თავისუფლებაზე საუბრისას შეიძლება აღნიშნული უფლება სამოქალაქო თავისუფლების ჭრილში იქნეს განხილული. სახელმწიფო უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, თითოეულ მოქალაქეს მაქსიმალურად მიეცეს არჩევანის გაკეთების თავისუფლების გარანტია.[172]

---

[167] *ზოიძე ბ.*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 29.

[168] *კუბლაშვილი კ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-18 მუხლი, 97.

[169] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[170] *მაისურაძე ნ.*, სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი, თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2013, 9.

[171] შეად. იქვე, 10.

[172] *ჯანდა ქ., ბერი ჯ., გოლდმენი ჯ.*, ამერიკული დემოკრატია, 26-27.

თავისუფლების გარანტია კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრული უნდა იყოს მედიის საქმიანობასთან მიმართებითაც, თუმცა ისევე, როგორც სხვა საქმიანობის განხორციელებისას, მედიაც გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

მედიასამართალთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით მოწესრიგებულია მედია საშუალების წარმომადგენელთა საქმიანობის სამართლებრივი წინაპირობები. აღნიშნულის უმთავრეს საფუძველს ნორმის სამართლებრივი მოქმედების წინაპირობა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის თავისუფლების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.[173] თავის მხრივ, ფიზიკურ პირებს შეიძლება მედია საშუალების თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება შეეზღუდოთ, მაგალითად, კონკრეტულ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა აშკარა დარღვევის საფუძველზე განხორციელებული ჩარევით.

პიროვნების თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. თუ ჟურნალისტი ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც მის დაკავებას ითვალისწინებს, მისი თავისუფლების შეზღუდვა არ გახდება კონსტიტუციურ უფლებაში უკანონო ჩარევის საფუძველი. მაგალითად, გადამღებ ჯგუფს სურს, მოიპოვოს ინფორმაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ იგი ასეთი ინფორმაციის მოპოვებას ქურდობის გზით ან ხულიგნობით შეეცდება, მათი ქმედება აუცილებლად აღკვეთილ უნდა იქნეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, იარსებებს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის ელემენტები, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის შეფარდებისას გამამართლებელ საფუძვლად პროფესიული საქმიანობის განხორციელება არ ჩაითვლება. ჟურნალისტის ქმედება ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომლითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა, არ წარმოადგენს პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტის დაკავებისას ჩადენილი არ იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით განსაზღვრული დანაშაული, რომელიც აიძულებს ჟურნალისტს, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან ან ანალოგიურ ქმედებაში, რომელიც ჩადენილი იქნება მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლითაა მოწესრიგებული. იგი განსაზღვრავს ადამიანის პიროვნუ-

[173] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ლობას, როგორც ადამიანის უზენაეს ღირებულებას.[174] თავისუფალი განვითარება ადამიანს საკუთარი პიროვნების რეალიზაციის შესაძლებლობას ანიჭებს, თუმცა ეს დათქმა ისე არ უნდა იქნეს გააზრებული, თითქოს უშუალოდ უფლება აბსოლუტური ხასიათისაა და მისი შეზღუდვა კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში დაუშვებელია.[175]

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის საფუძველზე ადამიანს გააჩნია უფლება, საკუთარი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და იქონიოს პირადი ცხოვრება.[176] პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი ელემენტია პიროვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ფაქტი. პირს თავად უნდა გააჩნდეს არჩევანი, სურს თუ არა ისეთი სახის მონაცემების გასაჯაროება, რომელიც უშუალოდ მის პირად ცხოვრებას ეხება, მაგალითად, მის ჯანმრთელობას. თუ პირს გადატანილი აქვს რაიმე სახის დაავადება და არ სურს ამ ფაქტის გასაჯაროება, ნებისმიერმა სხვა პირმა და, მათ შორის, მედია საშუალებამაც თავი უნდა შეიკავოს ასეთი მონაცემების გასაჯაროებისგან.[177] აღნიშნული, ერთი მხრივ, ექიმის ვალდებულებას წარმოადგენს, დაწყებული სამედიცინო დახმარების თაობაზე მიმართვის მომენტიდან, გამოკვლევების დასრულებით,[178] თუმცა, მეორე მხრივ, თუ მედია საშუალების წარმომადგენელს წვდომა ექნება ასეთი სახის ინფორმაციაზე, მისი გამჟღავნებისგან თავის შეკავების ვალდებულება მასაც გააჩნია.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს პირის მიერ ისეთი სახის მონაცემების გასაიდუმლოების შესაძლებლობას, როგორიცაა: პირადი ცხოვრების უფლება, თვითგამოსახვის უფლება, საქმიანობის თავისუფლება და სხვ.[179] თითოეულ მათგანზე ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებით პირს შესაძლებლობა აქვს, გააკეთოს არჩევანი, რომლითაც საკუთარ პიროვნებას საზოგადოებრივი კონტროლისა და მეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეში

---

[174] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი, 2013, 76.

[175] შეად. *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 79.

[176] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-16 მუხლი, 92.

[177] შეად. იქვე, 93.

[178] იხ. *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2012, 276.

[179] იხ. *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-16 მუხლი, 94-104.

მოაქცევს.[180] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების არსებობა, როდესაც კონსტიტუციით მინიჭებული ძირითადი უფლების გავრცელება შეზღუდულ ასპექტში ხორციელდება და პირის სურვილისგან დამოუკიდებლად, ხდება მისი, როგორც ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (**საქმიანობის თავისუფლება**), მონაცემების გასაჯაროება. აღნიშნულს, ერთი მხრივ, დამატებითი, მტკიცებითი ტვირთის ფუნქცია გააჩნია,[181] რომელიც პირს კონტრაჰენტის საწარმოს თაობაზე არსებით ინფორმაციას აწვდის,[182] ხოლო, მეორე მხრივ, მას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილური საბაზრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.[183] შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებისას, თუ პირი წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს, მისი კონსტიტუციური უფლება – არ გაასაჯაროოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე, იზღუდება კანონის ფარგლებში. შეზღუდვა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს კანონის საფუძველზე ილახება მისი კონსტიტუციური უფლება. საჯარო რეესტრის მონაცემები საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მოწესრიგებული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომლის საფუძველზეც კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარეობს.[184]

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან უშუალოდ მედია საშუალების მიერ საჯაროდ გაცხადებული ფაქტი, რომელიც ყურადღებას საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემებზე ამახვილებს, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით განსაზღვრული უფლების დარღვევას. ეს ფაქტი არ წარმოადგენს კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გასაჯაროებას, ან პროფესიული საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას[185] და სხვ. ინფორმაცია, რომელიც გასაჯაროებულია კანონის ან პირის სურვილის საფუძველზე, შესაბამისი მითითების დაცვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ.

გასაჯაროებული ინფორმაციისგან აბსოლუტურად განსხვავებულ შემთხვევას ვაწყდებით, როდესაც საკითხი პირის **ინტიმურ ან კერძო სფეროს** ეხება.

---

[180] იქვე, 95.

[181] შეად. *ფალავანდიშვილი კ.*, უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის ტრანსფორმაცია ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 214.

[182] იხ. *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2003, 365.

[183] *ჭანტურია ლ., ნინიძე თ.*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, მე-4 მუხლი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, 71.

[184] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[185] პროფესიული საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის შესახებ იხილეთ: *პოპოვი ჩი დ.*, პროფესიული საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ №1, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, 2009, 49-57.

ინტიმური სფერო შეიძლება შეეხებოდეს პირის ფიზიკურ ნაკლოვანებებს,[186] პირის სექსუალურ ცხოვრებას,[187] რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანი, არამედ – მოზარდიც.[188] თითოეულ შემთხვევაში ინტიმური სფეროს დაცვის ვალდებულება გააჩნია ნებისმიერ პირს და, მათ შორის, მედია საშუალებასაც, რაც ასეთი სახის ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის შეკავებაში უნდა გამოიხატოს, რადგან შეიძლება შეილახოს მე-16 მუხლის სუბიექტთა უფლებები.[189]

ინტიმური სფეროს დაცვა მედია საშუალებათა მიერ გამოიხატება, ასევე, ინტიმური სცენების გასაჯაროებისგან თავის შეკავებაში.[190] ამ მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული სცენის შემცველი გადაცემის გავრცელების პერიოდულობა, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, თანამედროვე ცხოვრებაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ინფორმაცია დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე და საზოგადოებისთვის დიდად საინტერესოა. რა უნდა მოიმოქმედოს მაუწყებელმა ასეთ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის გადაცემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, მაგრამ მისი ნახვა არასრულწლოვანებზე უარყოფით გავლენას მოახდენს? ჟურნალისტთა საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთი კადრების გავრცელებისას მედია საშუალება (მისი წარმომადგენელი) საზოგადოებას წინასწარ აფრთხილებს, რომ მათთვის ცნობილია კადრების გასაჯაროების დაუშვებლობის შესახებ დროის ყველაზე ყურებადი მონაკვეთი (ე.წ. „Prime Time“) და მხოლოდ ამის შემდეგ ასაჯაროებს ასეთ კადრებს. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2012 წლის 18 სექტემბერს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მიერ საღამოს ცხრასაათიან გამოშვებაში გავრცელებული ციხის კადრები, რომელიც პატიმართა წამებას შეეხებოდა. წამყვანმა კადრების ჩვენებამდე გააფრთხილა მაყურებელი იმის თაობაზე, რომ კადრები საკმაოდ მძიმე სცენებს შეიცავდა.[191]

ინტიმური სფეროს ფარგლებში **კერძო სფეროს** მოაზრებაა შესაძლებელი.[192] აღნიშნულს მიეკუთვნება ოჯახური ცხოვრება, შემოსავლისა და ქონების საკით-

---

[186] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-16 მუხლი, 95.

[187] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 112.

[188] იხ. *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 75.

[189] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 112.

[190] შეად. *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 75.

[191] იხ. <**http://www.youtube.com/watch?v=agDWhr-wn3A**> [18.02.2014].

[192] იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 113.

ხი და სხვ.[193] მიუხედავად მე-16 მუხლით განსაზღვრული წინაპირობისა, კერძო სფერო არ წარმოადგენს კონსტიტუციის საფუძველზე აბსოლუტურად დაცულ სფეროს და დასაშვებია მისი შეზღუდვა.[194] შეზღუდვის ყველაზე გავრცელებულ სახედ შეიძლება საჯარო პირთა ქონებრივი დეკლარაციები იქნეს მიჩნეული,[195] რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ან პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემების მქონე დოკუმენტს და რომლის გასაჯაროება ნებისმიერ პირს შეუძლია.[196] მაგალითად, თუ ბეჭდური მედია გაასაჯაროებს მინისტრის მიერ მიღებულ შემოსავალს მინისტრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, ეს ფაქტი არ გახდება მინისტრისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის ფაქტი.

თავისუფალი განვითარების უფლება ასევე მოიცავს უფლებას **საკუთარ გარეგნობაზე**, რომელიც პიროვნების ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობასა და სხვა ფაქტორებს ეხება.[197] ასეთი უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების შემთხვევებში, როდესაც, მაგალითად, საინფორმაციო გამოშვების წამყვანს ტელევიზიის ხელმძღვანელობა განუსაზღვრავს ჩაცმის კონკრეტულ სტილს.[198]

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტი ასევე განსაზღვრავს **თვითგამოსახვის უფლებას**. პირს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, თუ რა ასპექტში და რა კონტექსტში სურს საკუთარი თავის წარმოჩენა.[199] მაგალითად, პირს შეიძლება არ გააჩნდეს სურვილი, ვიდეოჩანაწერი, რომელშიც იგი ფიქსირდება, გახდეს საჯარო.[200] მაგალითად, პირი, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, უარს ეუბნება ერთ-ერთ ტელევიზიას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინტერვიუზე და განუმარტავს, რომ არ სურს გასაჯაროვდეს კადრები უარის თქმის შესახებ.

---

193 *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-16 მუხლი, 95.

194 *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 78.

195 *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 114.

196 იხ. მაგალითად, ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის საქმიანობა, რომლის საფუძველზეც თანამდებობის პირთა შემოსავლების გასაჯაროება განხორციელდა: <**http://www.idfi.ge/?cat=awards_charts&lang=ka**> [18.02.2014].

197 იხ. *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 68.

198 შეად. იქვე, 69.

199 იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 116.

200 შეად. *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-16 მუხლი, 97.

თვითგამოსახვის უფლების პარალელურად განსხილველია **ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება**. აღნიშნულის საფუძველზე პირს გააჩნია შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, გახადოს თუ არა საკუთარი მონაცემები საჯარო.[201] მას თავად გააჩნია შესაძლებლობა, გააკონტროლოს საკუთარი პიროვნების შესახებ მონაცემების გასაჯაროების ფარგლები და მისი სხვათათვის გაცნობის შესაძლებლობის რისკი.[202]

საქართველოს კონსტიტუციის **მე-16 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს,**[203] თუმცა უფლების რეალიზაციის განხორციელება კანონის ფარგლებში უნდა განხორციელდეს, ისე, რომ არ იქნეს დარღვეული სხვა პირთა უფლებები.[204] ასეთი სახის უფლებათა კატეგორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კერძოსამართლებრივ ურთიერთობასაც. სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული სამართლებრივი ინსტიტუტის საშუალების სარგებლობისას პირი ახორციელებს კერძო ავტონომიის ფარგლებში შესაბამის უფლებამოსილებას, როდესაც მას თავად გააჩნია არჩევანის შესაძლებლობა, მოახდინოს კონსტიტუციური უფლების შებოჭვა საკუთარი სურვილისამებრ.[205]

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებისა და მედიის საქმიანობის ურთიერთმიმართება მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბალანსის დაცვის თვალსაზრისით. ***მედია ხშირად ერევა ადამიანის პირად ცხოვრებაში***. ევროპის ქვეყნებში ადვოკატთა მიერ ინტერვიუებში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, როდესაც ისინი მედიის საქმიანობის პარალელურად პირადი სფეროს დასასრულსაც კი ხედავენ. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს მედიის საქმიანობის პრინციპებიდან, როდესაც მედია სივრცეში შუქდება მრავალი ისეთი საკითხი, რაც ინტიმურ თუ სხვა პირად საკითხებს განეკუთვნება.[206] აღნიშნული შეიძლება ორ ასპექტში იქნეს დანახული: ა) პირი, რომელიც თავად, საკუთარი ნებით ათავსებს

---

201 იქვე, 94.

202 შეად. *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 70.

203 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

204 *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-16 მუხლი, 82.

205 იხ. *ერქვანია თ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ძირითადი დეტერმინანტები გერმანიის დოქტრინის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №4(31)11, თბილისი, 2011, 65.

206 იხ. ვებგვერდი: <**www.Beck-online.beck.de**>, Beck-Aktuell-Redaktion, Nachrichten, Pressemitteilungen, Fachnews, Becklink 1016120 – Medienanwälte sehen das Ende des Privaten.

ასეთი სახის ინფორმაციას და ბ) მედია საშუალება (ჟურნალისტი ან პირი, რო
მელიც ასრულებს ჟურნალისტურ საქმიანობას) ასაჯაროებს პირად სფეროსთან
დაკავშირებულ საკითხებს.

3. მიმოსვლის თავისუფლება

გადაადგილების მიზნით მიმოსვლის თავისუფლების სუბიექტი არ შეიძლება
იყოს იურიდიული პირი, ან პირთა გაერთიანება.[207] აღნიშნული გამომდინარეობს
მიმოსვლის თავისუფლების ბუნებიდან, რომლის მატარებელიც შეიძლება იყოს
მხოლოდ სუბიექტი.[208] აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მედია საშუალების
წარმომადგენელს უწევს საქართველოს მოქმედ ტერიტორიაზე გადაადგილება
იგი, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლიდან გამომდინარე, სარგებლობს
როგორც ფიზიკური პირი, ვინაიდან მედია საშუალების წარმომადგენელს ასეთ
შემთხვევაში წარმოადგენს როგორც ჟურნალისტი, ისე – ოპერატორი, ავტომანქა-
ნის მძღოლი და სხვ. თითოეული მათგანი, ერთი მხრივ, მოქმედებს იურიდიული
პირის სახელით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ გააჩნიათ შესაძლებლობა, გადაად-
გილდნენ დაბრკოლების გარეშე, თუ, სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერე-
სიდან გამომდინარე, არ ხდება ასეთი უფლების კანონით შეზღუდვა. კანონიერი
შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს, მაგალითად, საგანგებო ან საომარი
მოქმედებების დროს, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნითა[209] და მხო-
ლოდ იმ შემთხვევებში, თუ უფლების შეზღუდვა, თანაზომიერების პრინციპი-
დან გამომდინარე, სხვა პირთა უფლების დაცვის სამართლებრივ საფუძველს
წარმოადგენს.[210]

მიმოსვლის თავისუფლების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა საქარ-
თველოს ტერიტორიაზე გააჩნიათ როგორც საქართველოს, ისე – უცხოელ მოქა-
ლაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.[211] იმ შემთხვევაში, თუ საქართველო

---

[207] მიმოსვლის თავისუფლება თავისი არსით საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავი
სუფლებასაც მოიცავს, რომლის სუბიექტიც შეიძლება იყოს იურიდიული პირი – იხ.: *ფირ
ცხალაიშვილი ა.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა
ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 22-ე მუხლი, 225.

[208] *მარინაშვილი მ.*, მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რე
გულირება საქართველოში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
2008, 83.

[209] იხ. *ფირცხალაიშვილი ა.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს
მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 22-ე
მუხლი, 230.

[210] შეად. იქვე, 231.

[211] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის №466
გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენ-
ტის წინააღმდეგ.

ში მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად უცხო ქვეყნიდან მივლენილია ჟურნალისტთა გადამღები ჯგუფი, მათზე გავრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით განსაზღვრული ქცევის წესი. მაგალითად, საქართველოს 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები შეუქდებოდა მრავალი უცხოური მედია საშუალების მიერ.[212] ისინი გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის შედეგს წარმოადგენდა.

აქვე მნიშვნელოვანია **შეკრებისა და მანიფესტაციების კონსტიტუციური უფლებისა** და მიმოსვლის თავისუფლების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა. საქართველოში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მედია საშუალებების წარმომადგენლები გარკვეული პროტესტის გამოხატვის მიზნით შეკრებილან საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე.[213] აქედან გამომდინარე, ასეთი უფლება გარკვეული პოზიციის დაფიქსირებას ეხება, რომლითაც სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად ჟურნალისტებიც სარგებლობენ. აღნიშნულის პარალელურად შესაძლებელია ისეთი შემთხვევების განხილვა, როცა პოლიტიკური პროტესტის გამოსახატად ტარდებოდა შეკრებები ან მანიფესტაციები (უახლესი ისტორიიდან – 2007, 2009 წწ.). თითოეულის შემთხვევაში კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით ფერხდებოდა კონკრეტულ მონაკვეთებზე თავისუფალი მიმოსვლა (მაგალითად, სამარშუტო ტაქსების, ავტობუსების ან სხვ. გადაადგილება). ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა: რომელ უფლებას გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა, თუ, ერთი მხრივ, პირთა გაერთიანება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის საფუძველზეა მოწესრიგებული, ხოლო, მეორე მხრივ, სატრანსპორტო საშუალებას ეზღუდება საქართველოს კონსტიტუციითვე (22-ე მუხლი) მინიჭებული მიმოსვლის თავისუფლება? ამ ორი უფლების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც უპირატესობა შეკრების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი) მიანიჭა.[214] სასამართლოს განმარტებით, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა შეკრების უფლების რეალიზაცია და შეკრების მოწყობის მსურველებს საერთოდ აღარ ექნებოდათ შესაძლებლობა, საკუთარი ნება კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანათ, თუმცა

---

[212] იხ. მაგალითად, ტელეკომპანია „BBC-ს" სიუჟეტი: <**https://www.youtube.com/watch?v=M-kRQ_chlQs**> [04.07.14].

[213] იხ. მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბერს ქალაქ ბათუმში გამართული მანიფესტაცია-მსვლელობა: <**https://www.youtube.com/watch?v=-vE1HvhaNMI**> [13.07.14].

[214] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ძვიად ძიძიგური და კახა კუკავა, დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სასამართლომ იქვე განმარტა, რომ აღნიშნული უფლებით სარგებლობა არ უნდა იქცეს სხვათა უფლების დარღვევად და იგი არ უნდა დაუპირისპირდეს საზოგადოებრივ წესრიგს ან სახელმწიფოს უსაფრთხოებას.[215]

მიმოსვლის თავისუფლების სამართლებრივად შეზღუდვის არსებობისას საგანგებო მდგომარეობის დროს მედიის როლი კანონის საფუძველზე მაღალ ხარისხშია აყვანილი. კერძოდ, **„საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის** მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი მოსახლეობას საქართველოს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შესახებ აფრთხილებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. მედიის როლი ამ ასპექტშიც მნიშვნელოვანია. იგი წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ საშუალებას საქართველოს პრეზიდენტსა და მოსახლეობას შორის, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოების ინფორმირებულობა. აღნიშნულ დათქმას ასევე ვხვდებით **„საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის** მე-2 მუხლის მე-2 პუნქტშიც. თითოეულის შემთხვევაში, მედიის როლი შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოს როლთან იქნეს შედარებული: მედია საშუალება წარმოადგენს ერთგვარ გამაფრთხილებელ, სამომავლო საშიშროების თაობაზე მაუწყებელ ორგანოს, რომელმაც მოსახლეობას უნდა აუწყოს ქვეყანაში არსებული კრიტიკული მდგომარეობის შესახებ და ზოგ შემთხვევაში სწორედ მისი საშუალებით შეიძლება განისაზღვროს სამომავლო მოქმედების წინაპირობები. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება, რომლითაც მან მოსახლეობას ომის დაწყების შესახებ აუწყა.[216] ასევე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება, რომელიც თავდაცვის საკითხს შეეხებოდა და რომელმაც ამ განცხადებით მოსახლეობას მოუწოდა გაერთიანებისა და „ყველა არსებული შესაძლებლობის გამოყენებით" თავდაცვისკენ.[217]

4. თავისუფალი მეწარმეობის უფლება

თავისუფალი მეწარმეობის უფლება წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.[218] მედია საშუალების საქმიანობაც წარმოადგენს თავისუფალი მეწარმეობის ერთ-ერთ სახეს. ერთი მხრივ, მედია საშუალებაზე ცენზურის დაწე-

---

[215] იხ. იგივე გადაწყვეტილება.

[216] იხ. <**http://www.youtube.com/watch?v=AxIVuSF8Wss**> [07.07.14].

[217] იხ. <**http://www.youtube.com/watch?v=xk6lXiylaoc**> [07.07.14].

[218] იხ. *ფუტკარაძე ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 30-ე მუხლი, 370.

სებაა დაუშვებელი, ხოლო, მეორე მხრივ, არავინ უნდა ჩაერიოს მის სამეწარმეო საქმიანობაში.

თავისუფალ მეწარმეობაში იგულისხმება სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირის – იურიდიული ან ფიზიკური პირის საქმიანობა და არა მაგალითად, იურიდიული პირის – ხელმძღვანელის საქმიანობის განხორციელება,[219] ვინაიდან საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი და სხვ.) არ ჩაითვლება მეწარმედ.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ყურადღებას ამახვილებს მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვაზე. ამ ასპექტში შესაძლებელია პარალელის გავლება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასთან, რომელიც წარმოადგენს მონოპოლიის აკრძალვის სამართლებრივი საფუძვლის სპეციალურ ნორმას და რომლის საფუძველზეც კონკრეტდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის დაუშვებლობის საკითხი.[220]

თავისუფალი მეწარმეობის განხორციელების პირობებში ნებისმიერ პირს გააჩნია შესაძლებლობა, დააფუძნოს იურიდიული პირი ან განახორციელოს სხვა სახით სამაუწყებლო (მედია საშუალების) საქმიანობა. ნორმის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი კანონი, რომელშიც განსაზღვრულია მაუწყებლობის საქმიანობის დაწყების წინაპირობები და სხვ. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი. სწორედ აღნიშნული სამართლებრივი ნორმის პირველსავე მუხლში განსაზღვრულია მაუწყებლობის განხორციელების წესი, რომლის მიხედვითაც, ასეთი საქმიანობის განხორციელება, გარდა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებისა, თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს ეფუძნება.

5. კანონის წინაშე პირთა თანასწორობა

კანონის წინაშე თანასწორობის საკითხის მოქმედება აბსოლუტურად ყველაზე და, მათ შორის, მედია საშუალებებზეც ვრცელდება. კანონის წინაშე თანასწორობის თაობაზე თავდაპირველად საუბარი უნდა წარიმართოს ღირსების საკითხთან მიმართებით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აბსოლუტურად დაცულია,[221] რაც ნებისმიერი პირის მიერ ნებისმიერი ადამიანის და, მათ შორის, დამნაშავის (ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისთვის) პატივისცემით მოპყრობას გულისხმობს. მედია სივრცეში ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებისას აუცილებელია სიფრთხილე – ბალანსის დაცვა პირის კრიტიკასა და ღირსებას შორის. ღირსება

[219] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[220] იხ. *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 267.

[221] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-14 მუხლი, 54.

უცხო ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე, ასევე, ერთ-ერთ მთავარ და ცენტრალურ ძირითად უფლებას წარმოადგენს. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციით ღირსება მოაზრებულია როგორც კონსტიტუციურ დონეზე უპირველესი სამართლებრივი სიკეთე.[222]

მნიშვნელოვანია, დადგინდეს ზღვარი კრიტიკასა და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას შორის.[223] იმ პირმა, რომელმაც მედია საშუალებით საჯაროდ გააკეთა განცხადება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. კანონის წინაშე თანასწორობა, უწინარესად, ყველასთვის თანაბარი პრივილეგიით მოქმედების უფლებას გულისხმობს.[224] თანაბარი პრივილეგია კანონითაა განსაზღვრული, რის საფუძველზეც თითოეულ პირს დამოუკიდებლად აქვს არჩევანის გაკეთების თავისუფლება. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **კანონის წინაშე თანასწორობის უფლება პირთა თავისუფლების ერთ-ერთი გამომვლენი სამართლებრივი ინსტიტუტია.** თავისუფლებისა და თანასწორობის მომწესრიგებელი ნორმები ერთმანეთის პარალელურად უნდა იქნეს განხილული, რომლებიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია.[225] თანასწორობა კანონის წინაშე გულისხმობს ღირსებით თანაბრად სარგებლობას, განურჩევლად ადამიანის პროფესიისა, შეხედულებისა და სხვ.[226] აღნიშნული კი, თავის მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანისთვის, განურჩევლად მისი შეხედულებისა, მრწამსისა, სქესისა და სხვა კრიტერიუმებისა, კანონი თანაბრად უნდა მოქმედებდეს და თანაბარ უფლებებს უნდა ანიჭებდეს თითოეულ მათგანს. სახელმწიფო ვალდებულია, უთანასწორობის აღმოსაფხვრელად იზრუნოს, თუმცა ეს არ გულისხმობს ყველა ასპექტში ადამიანთა აბსოლუტურ გათანაბრებას, ვინაიდან ერთგვაროვანი მიდგომა კონკრეტულ პირთა მიმართ მხოლოდ მსგავსი მოცემულობების არსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული.[227]

თანასწორობის სამართლებრივი ინსტიტუტის სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და, ასევე, სახელმწიფოც.[228] განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის თაობაზე საუბარი აბსოლუტურად

---

[222] იხ. მაგალითად, Robbers in Grundgesetz, Mitarbeiterkommentar und Handbuch, Art. 1., Band I, C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2002, Rn. 6.

[223] შეად. *კორკელია კ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 197 და შემდგომი.

[224] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-14 მუხლი, 59.

[225] *Kischel* in Beck'scher Online-Kommentar GG, Art.3, Edition:19, Standt: 01.11.2013, Rn. 4.

[226] *Kunig* in Grundgesetz von Münch/Kunig (Hrsg.), Band 1, Präambel, Art. 1-19, 5. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2000, Art. 1, Rn. 11.

[227] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-14 მუხლი, 60.

[228] *Kischel* in Beck'scher Online-Kommentar GG, Art.3, Edition:19, Standt: 01.11.2013, Rn. 9.

ყველა სამართლებრივ ურთიერთობასთან კავშირში შეუძლებელია სრულად იქნეს განხორციელებული, ვინაიდან კონკრეტული ურთიერთობები კანონმდებლისგან დამოუკიდებლად ვითარდება და თითოეული ასეთი ახალი შემთხვევის არსებობისას თანასწორობის პრინციპის გათვალისწინება უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.[229]

კანონის წინაშე თანასწორობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია წინასაარჩევნო პერიოდში მედია საშუალებებით საარჩევნო სუბიექტთა მიერ პოლიტიკური რეკლამის განთავსების შესაძლებლობა. აღნიშნულის საფუძველზე პირდაპირაა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტებისთვის იდენტური უფლების არსებობის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, კანონის წინაშე თანასწორობის უფლების რეალიზაციას წარმოადგენს.[230] ერთი მხრივ, შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტთა უფლებების დაცვის საკითხზე იქნეს ყურადღება გამახვილებული, თუმცა, მეორე მხრივ, საუბარი შესაძლებელია შეეხოს მაუწყებლის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების კანონიერ შეზღუდვას. კანონის წინაშე თანასწორობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი უფლების შეზღუდვა მაუწყებელთათვის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლების შეზღუდვას არ გულისხმობს. **პოლიტიკური რეკლამის განთავსება მაუწყებელზე მედია საშუალებისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ შეზღუდვად შეიძლება იქნეს დაკვალიფიცირებული და იგი არ ლახავს თანასწორობის პრინციპის აღიარებულ სამართლებრივ სიკეთეს.**

კანონის წინაშე თანასწორობა გულისხმობს მედია საშუალების წარმომადგენელთა (ჟურნალისტთა და სხვა პირთა) მიერ საქმიანობის იმგვარად განხორციელებას, რომ არ შეიზღუდოს მათი კანონიერი უფლებები პროფესიის ან სამუშაო ადგილის მიუხედავად. მაგალითად, თუ ერთ-ერთი ტელემაუწყებლის ჟურნალისტს სურს, გააკეთოს სიუჟეტი კონკრეტულ თემაზე, არავის აქვს უფლება, მას შეუზღუდოს ამ საქმიანობის განხორციელება რაიმე დისკრიმინაციული საფუძვლით. თუ ჟურნალისტი წარმოადგენს სხვა ქვეყნის ეთნიკურ წარმომადგენელს, ამ მიზეზით მისთვის ინტერვიუზე უარის თქმა ან ინფორმაციის გაშუქებაში ხელის შეშლა დაუშვებელია.

დისკრიმინაცია შეიძლება არაპირდაპირი გზითაც გამოვლინდეს. ასეთია შემთხვევა, როდესაც ირღვევა კონკრეტულ პირთა უფლებები და როცა ხდება მათი დაყოფა,[231] დიფერენციაცია, ე.წ. „სასურველ" და „არასასურველ" პირებად (მათ

[229] იხ. მაგალითად, *Britz G.*, Der allgemeine Gleichheitssatz in der Rechtsprechung des BverfG, Anforderungen an die Rechtfertigung von Ungleichbehandlungen durch Gesetz, NJW, Heft 6, Verlag C. H. Beck, München, 2014, 346.

[230] იხ. *Eberle C.-E.*, Parteienwahlwerbung im Fernsehen, Alte Probleme – gewandelte Verhältnisse – neue Aspekte, NJW, Heft 14, Verlag C.H. Beck, München, 1994, 907.

[231] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-14 მუხლი, 70.

შორის, რესპოდენტებთან, მედია საშუალებებთან და სხვ.). ასეთმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია საპირისპირო შედეგი გამოიწვიოს და დადგეს უკუდისკრიმინაციის ფაქტი.[232]

თავის მხრივ, დაუშვებელია მედია საშუალების (მათ წარმომადგენელთა) მიერ დისკრიმინაციული მოპყრობა თავისი საქმიანობის განხორციელებისას. მაგალითად, თუ ტელემაუწყებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუში მოიწვევს ქვეყანაში, არსებული ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე, უმცირესობაში მყოფ პირებს და დემონსტრაციულად არ მისცემს მათ სიტყვის თქმის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ეს იქნება დისკრიმინაცია კონკრეტული ნიშნით, რაც პირის უფლებებში არასამართლებრივ ჩარევას გულისხმობს.

თუ მედია საშუალება კონკრეტულ რეპორტაჟს უცხო ენაზე გააკეთებს, ეს არ იქნება დისკრიმინაციული ქმედება პირთა გარკვეული წრის მიმართ. მაგალითად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ პირდაპირი ჩართვისას ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ ან სხვა ენაზე გაკეთებული განცხადებები. აღნიშნულ შემთხვევაში დაუშვებელია, რეპორტიორს აეკრძალოს ინფორმაციის უცხო ენაზე გადაცემის შესაძლებლობა იმ მიზეზით, რომ რეპორტაჟი ქართულად გადაიცემა.[233]

6. ადამიანის პატივი და ღირსება

ადამიანის პატივსა და ღირსებაზე (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი) საუბარი წარმართულ უნდა იქნეს მხოლოდ ფიზიკურ პირებთან მიმართებით. აღნიშნული გამომდინარეობს ნორმის სამართლებრივი ბუნებიდან, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია იურიდიულ პირს გააჩნიდეს პატივი ან/და ღირსება.

ადამიანის პატივი და ღირსება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. აღნიშნულ უფლებას, ისევე, როგორც მე-17 მუხლში, ძირითადი უფლებების სხვა შემზღუდველ ნორმებშიც არ გააჩნია შეზღუდვის რაიმე საფუძველი.[234]

---

[232] შეად. იქვე.

[233] შედარების თვალსაზრისით იხილეთ უკრაინაში ქართველი რეპორტიორის მიერ გაკეთებული რეპორტაჟისას უკრაინელი მოსახლეობის მოთხოვნა ქართველი ჟურნალისტის მიმართ, რეპორტაჟი რუსულ ენაზე გადაეცა. ასეთი შემთხვევა წარმოადგენს კონკრეტულ მოსახლეთა სურვილის გამოვლინებას, რომელიც დისკრიმინაციის ფაქტად არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტს არ ეშლება ხელი, გააკეთოს რეპორტაჟი განსხვავებულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჩარევა განხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან, მაშინ დარღვეული იქნება კონსტიტუციური უფლება (აქვე გასათვალისწინებელია, რომ უკრაინის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუცია არ ვრცელდება. ვინაიდან მაგალითი პარალელის გავლების თვალსაზრისითაა მოყვანილი, შესაძლებელია მხოლოდ შედარების გაკეთება). იხ. <**https://www.youtube.com/watch?v=t0763iNzD58**> [17.03.14].

[234] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ამდენად, მედია საშუალების ან სახელმწიფოს მიერ დაუშვებელია როგორც ჟურნალისტის, ისე თანამდებობის პირის ან ჩვეულებრივი მოქალაქის პატივისა და ღირსების შელახვა.

განსახილველი მუხლის არსიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ჟურნალისტს გააჩნია ვალდებულება, ინფორმაცია ისეთი სახით გაავრცელოს, რომ არ შელახოს სხვა პირთა პატივი და ღირსება. ასეთად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც გავრცელებულია ინფორმაცია პირის დაკავების შესახებ. პატივისა და ღირსების შემლახავი იქნება ინფორმაცია, თუ იგი რეალურად არ შეესაბამება სიმართლეს ან ინფორმაციის გავრცელება განხორციელებულია კონკრეტული პირისადმი უცენზურო ტერმინოლოგიის გამოყენებით.

პატივისა და ღირსების თაობაზე საუბრობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომლის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით". მაგალითად,

იმავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს პატივისა და ღირსების დაცვის უფლება სასამართლოს გზით, კანონით დადგენილი წესით შეუძლია. კანონით დადგენილ წესში სპეციალური კანონი მოიაზრება (სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთი სამართლებრივი აქტი კი არის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონით ტერმინები: „პატივი და ღირსება" არ არის მოწესრიგებული, თუმცა გვხვდება ტერმინი – „სახელის გამტეხი განცხადება", რომელიც მოიცავს აღნიშნულ, ორივე სამართლებრივ ინსტიტუტს. თავის მხრივ, განცხადებაში შესაძლებელია ინფორმაციაც იქნეს მოაზრებული, რომელიც ვრცელდება მედია საშუალების მიერ. დასახელებული კანონის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ პატივისა და ღირსების შელახვის ორი სამართლებრივი ასპექტი: ა) ცილისწამება და ბ) უხამსობა. **უხამსობას წარმოადგენს განცხადება, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზანი და რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს** (იმავე კანონის 1-ლი მუხლის „ვ" ქვეპუნქტი). საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, როგორც უფლების შეზღუდვის საფუძველი, შესაძლებელია განისაზღვროს უხამსობის შემთხვევაში. არაეთიკური ტერმინოლოგიის შემცველი განცხადების გაკეთების უფლებამოსილება არ გააჩნია არც მედია საშუალების წარმომადგენელს და არც სხვა პირს, რომელიც ავრცელებს განცხადებას ბეჭდური მედიის, რადიო- ან/და ტელემაუწყებლის, ან ინტერნეტის (მათ შორის, სოციალური ქსელის) საშუალებით.უხამსობის შემცველი განცხადების გაკეთებას შესაძლებელია მოჰყვეს პირის ცილისწამება. **ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა** (იმავე კანონის 1-ლი მუხლის „ე"

ქვეპუნქტი). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ რედაქციაში ცილისწამება დანაშაულის ბრალდებით ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხ. დასახელებული კოდექსის 1-ლი რედაქციის 148-ე მუხლი). დღეს მოქმედი კანონის მიხედვით, ასეთი ქმედება აღარ არის სისხლისსამართლებრივი ნორმებით დასჯადი, თუმცა კანონითვე გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სხვა ფორმები. თავდაპირველად მნიშვნელოვანია, განვიხილოთ, თუ რა წარმოადგენს ცილისწამების შემთხვევას და სხვ.ცილისწამება გათანაბრებულია მორალურ ზიანთან. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი კი დასახელებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, **ცილისწამების** შემთხვევაში **კერძო პირს** სასამართლოში მტკიცების ვალდებულება აკისრია. კერძოდ, პირი, რომელსაც სურს მის მიმართ განხორციელებული ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა დააკისროს ინფორმაციის გამავრცელებლებს, ვალდებულია, სასამართლოში დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება არსებითად მცდარ ინფორმაციას შეიცავს და ამიტომ მას მიადგა ზიანი. იმის მტკიცება, რომ პირს მიადგა ზიანი, წარმოადგენს მატერიალური მტკიცების საფუძვლებს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ზიანის მტკიცება კონკრეტული დოკუმენტების ან ფაქტორების გათვალისწინებით მოუწევს მოსარჩელე მხარეს. აღნიშნული ერთგვარად განსაზღვრავს მორალურ ზიანს სამართლებრივ ასპექტში. მორალი, თავისი არსით, არ არის მატერიალური სახის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო დავის მონაწილე თითოეულმა მხარემ უნდა წარადგინოს პროცესზე მტკიცებულებები, რომელზე დაყრდნობითაც დაადასტურებენ საკუთარ მოთხოვნებს. აღნიშნული დათქმა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს. თავის მხრივ, მტკიცებულებად ჩაითვლება მატერიალური სახის დოკუმენტები, რომელიც მხარეთა მიერ წარმოდგენილი სასარჩელო წარმოების დაწყების სამართლებრივი საფუძველია.ცალკე განხილვის საგანია **საჯარო პირის ცილისწამების საკითხი**. საჯარო პირად მოიაზრება ის სუბიექტი, რომელიც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში გაწერილ თანამდებობის პირს წარმოადგენს; პირს, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს; პირს, რომლის ქმედებისკენ მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.[235] საჯარო პირის ცილისწამებას ცალკე ეხება „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც, საჯარო პირისთვის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაადგენს, რომ მის მიმართ მოპასუხის მიერ აშკარად მცდარი ფაქტების შემცველი გაცხადება იქნა გაკეთებული, ამით მას მიადგა ზიანი და მოპასუხისთვის ასეთი ფაქტის მცდარობა წინასწარ იყო ცნობილი, ან მო-

[235] იხ. „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

პასუხემ აშკარა და უხეში დაუდევრობა გამოიჩინა, რის საფუძველზეც გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია.

პირველ რიგში განსასაზღვრია, კანონის მიხედვით, თუ ვინ არის საჯარო პირი, ვინ შეიძლება იყოს პერსონა, რომლის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს? ასეთად, უპირველეს ყოვლისა, მოაზრებულია პირი, რომელიც საზოგადოებაში გარკვეული გავლენის მქონე პერსონაა (არ იგულისხმება უარყოფითი კონტექსტში). მაგალითად, პოლიტიკოსი ან საარჩევნო სუბიექტი, რომელთა მიერ გაწეულმა სამუშაომ შეიძლება მოსახლეობას გარკვეული საკითხების მიმართ შეუცვალოს დამოკიდებულება ან გაზარდოს/შეამციროს სხვადასხვა სამომხმარებლო პროდუქციაზე ტარიფები და სხვ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მსახიობი წარმოადგენს საჯარო პირს.[236] მსახიობი, სასამართლოს განმარტებით, უნდა იყოს საზოგადოებისთვის ცნობილი. რამდენად მართებულია სასამართლოს ასეთი სახის განმარტება? მაგალითად, მომღერალი, რომელიც პოპულარულია, ან მსახიობი, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს რამდენად შეიძლება გახდეს საჯარო პირი? ერთი მხრივ, უმეტეს შემთხვევაში იგი ვერ გახდება საჯარო პირი იმდენად, რამდენადაც საზოგადოების ინტერესი მათი ცხოვრების ან მათი ქმედების მიმართ დამოკიდებულია მათ საქმიანობაზე, რომელიც შეიძლება მათ პირად ცხოვრებასაც კი ეხებოდეს. ადამიანის პოპულარობას ხშირად ტელეეთერში მისი გამოჩენაც განაპირობებს, მაგრამ კონკრეტული შემთხვევიდან და სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება იმის თქმა, რომ, თუ ცნობილი ადამიანის მიერ ან მის მიმართ გაწეული მოქმედება საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს ეხება, შეიძლება იგი მოაზრებულ იქნეს საჯარო პირად. თითოეული ასეთი შემთხვევა კონკრეტული მაგალითის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

7. პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა

განსახილველი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება გვხვდება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შემდეგი სახის ძირითადი უფლებები:[237]

ა) პირადი ცხოვრების უფლება; ბ) პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლება; გ) პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება; დ) მიმოწერის

[236] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის №ას-1332-1258-2012 განჩინება.

[237] საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, ძირითად უფლებათა კლასიფიკაცია მოცემულია შემდეგ ლიტერატურაზე დაყრდნობით: *კობახიძე ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, GIZ, თბილისი, 2013, მე-20 მუხლი 179. ნაშრომში განხილულია ძირითად უფლებათა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მედიასამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველაზე უფრო ხშირ პრაქტიკულ ასახვას ჰპოვებს.

თავისუფლება; ე) სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის თავისუფლება; ვ) ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებათა ხელშეუხებლობის უფლება.

ჩამოთვლილ ექვსივე უფლებას გააჩნია დამოუკიდებელი დაცვის სფერო,[238] რომლის შეზღუდვის საფუძვლები მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაშია შესაძლებელი. განვიხილოთ თითოეული მათგანი მედიასამართლის საკითხთან მიმართებით:

ა) პირადი ცხოვრების უფლება; ბ) პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლება; გ) პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება; დ) მიმოწერის თავისუფლება; ე) სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის თავისუფლება. ეს აღნიშნული უფლება ბოლო დროს საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია. გამოთქმულია არა ერთი მოსაზრება, თუ რა ფორმით შეიძლება მოხდეს სატელეფონო საუბრის მოსმენა ხელისუფლების მიერ და როდის შეიძლება ასეთი ქმედების განხორციელება. მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნული ინსტიტუტის შემოღების შემდეგ მიიჩნევს, რომ იგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც შეიძლება იყოს ასახული,[239] რაც შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხს უფრო მკაფიოდ წამოწევდა წინ; ვ) ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებათა ხელშეუხებლობის უფლება.

8. სიტყვის თავისუფლება

სიტყვის თავისუფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.[240] აღნიშნული **უფლების სუბიექტია მხოლოდ ფიზიკური პირი.**[241] **იურიდიულ პირს არ გააჩნია შესაძლებლობა, „წარმოთქვას" სიტყვა.** ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის სახელით გაჟღერებული ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც სიტყვებითაა გადმოცემული, წარმოადგენს იურიდიული პირის სახელით მოქმედი ფიზიკური პირის მიერ სიტყვის თავისუფლების უფლების განხორციელებას.

---

[238] იქვე.

[239] *გაბრიჩიძე ნ.*, პასუხისმგებლობა სატელეფონო საუბრის უკანონო მოსმენისათვის (სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური საკითხები), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", №3, 2005, 135 და შემდგომი.

[240] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი, ლელა გურაშვილი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[241] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-19 მუხლი, 159.

მედია საშუალებისთვის სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომლის საფუძველზეც დაცულია მათი დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელების უფლება. **სიტყვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა ცენზურის განხორციელების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს.**თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიაში შემავალ ძირითად უფლებას. კანონით განსაზღვრულია მისი შეზღუდვა, რაც უპირველეს ყოვლისა, სხვა უფლების დაცვის მიზნით უნდა იქნეს განპირობებული. **სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი იარსებებს, თუ ამ მოქმედების განუხორციელებლობით ჯსხვათა უფლებები უკანონოდ შეიზღუდება.** ასეთის არსებობის შემთხვევაში, ძირითად უფლებაში ჩარევა უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპების დაცვით: ა) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ბ) უნდა არსებობდეს შეზღუდვის კანონიერი საფუძველი, საზოგადოებრივი და სხვათა უფლებების დაცვის მიზნით; გ) დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობიდან გამომდინარე.[242]

უფლების შეზღუდვა გულისხმობს უფლების შეზღუდვას მისი გარეგანი გამოვლინების შემთხვევაში. შინაგანი თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია და იგი ვერ გახდება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლების დაცვის მაგალითი.[243] აღნიშნული შეზღუდვის საფუძველზე პიროვნების თავისუფალი მოქმედების ფარგლები კანონიდან გამომდინარე კონკრეტდება, რაც, საბოლოო ჯამში, სხვა უფლებების დაცვაში პოვებს ასახვას.

9. გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება მედიის საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს. გამოხატვის თავისუფლების სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები.[244] სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის საკითხებში.[245] გამოხატვის თავისუფლება მედიის სფეროში ისე არ უნდა იქნეს აღქმული, თითქოს იგი სხვა უფლებებთან მიმართებით მაღალ საფეხურზე დგას. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია მედიასამართლის უმთავრეს კონსტიტუციურ საფუძვლად იქნეს მიჩნეული. თუ გამოხატვის თავისუფლება უკანონოდ შეზღუდულ იქნა

---

[242] იქვე, 170.

[243] *კორკელია კ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, მე-19 მუხლი, 117.

[244] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 211.

[245] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 292.

მესამე პირის მიერ, მედია საშუალებას ან ნებისმიერ პირს, რომელიც მედიასამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს, შეეზღუდება შესაძლებლობა, მოახდინოს სხვა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია,[246] მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების რეალიზაცია,[247]რაც გამოიხატება შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების შეუძლებლობით და, შესაბამისად, მოსახლეობისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის არასამართლებრივ შეზღუდვაში; აღნიშნულის მსგავსია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება: ადამიანი ვერ მოახერხებს განვითარებას, თუ მას არ მიეცა საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის შესაძლებლობა.[248]

მედიის სფეროში გამოხატვის თავისუფლება უპირველეს ყოვლისა **მაუწყებლის (მედია საშუალების) მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებაში** გამოიხატება. საქმიანობის განხორციელება შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების დაცვას გულისხმობს.[249] მაგალითად, მაუწყებლისთვის ლიცენზიის გაცემა – აღნიშნულის მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მიღების თითოეული მსურველი. თავის მხრივ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაძლებელია უარი უთხრას მაუწყებელს კონკრეტული ლიცენზიის გაცემაზე, რაც კომისიის მიერვე შესაბამისი ტექნიკური მონაცემების ან სამართლებრივი წინაპირობების არარსებობით იქნება დადასტურებული. იბადება კითხვა: რამდენადაა დაცული საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული გამოხატვის თავისუფლება „მაუწყებლობის შესახებ" და სხვა სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე მაშინ, როდესაც ლიცენზიის მიღების მსურველის მიერ შეტანილი განცხადება ლიცენზიის მინიჭების თაობაზე, შესაძლებელია არ დაკმაყოფილდეს? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს შემდეგს, რომ კანონმდებლობა, რომელიც ლიცენზიის მინიჭების წესს ეხება, ქვეყნის კანონით კონკრეტულად უნდა იქნეს მოწესრიგებული, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები.[250] უფრო დეტალურად რომ ითქვას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ლი-

---

[246] შეად. *ჯორბენაძე ს.*, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 171.

[247] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა ურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[248] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა 210.

[249] იხ. *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 69.

[250] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: Informationsverein Lentia and others V. Austria – 24.11.1993.

ცენზიის გაცემის საკითხის თაობაზე ეროვნული შეფასების თავისუფლება ფართო სახისაა, ხოლო მისი საერთაშორისო კონტროლი – ვიწრო.[251] სასამართლოს ამგვარი მოსაზრება შესაძლებელია გააზრებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობასთან პარალელის გავლების შემთხვევაში. ის, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი ლიცენზირების თაობაზე გარკვეულ წინაპირობებს აწესებს, არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად ჩაითვალოს. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილებაში სასამართლო უთითებს, რომ მედია საშუალების და, მათ შორის, მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნულის პარალელურად სასამართლო საუბრობს ლიცენზირების თაობაზე და აღნიშნავს, რომ ლიცენზირების ვალდებულების დაკისრება მხოლოდ კონსტიტუციურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სასამართლოს განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ **გამოხატვის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვა დასაშვებია,** მხოლოდ მისი შეზღუდვის ფარგლები, ანუ დაცული სიკეთე, საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობისა უნდა იყოს. აღნიშნული დასტურდება გამოხატვის თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების არააბსოლუტური ხასიათი.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს.[252] აღნიშნული უფლება თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ, მესამე პირთათვის სასიამოვნო შეხედულებების გამოხატვას, არამედ დაუფიქრებელ, სპონტანურ, მწვავე და პოლემიკურ გამონათქვამებსაც,[253] რომელიც თითოეულ შემთხვევაში უნდა ჯდებოდეს სამართლის ფარგლებში და არ უნდა ცდებოდეს მას. აღნიშნული დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოში შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საკითხზე შესაბამისი პოზიციის დაფიქსირება, ადამიანის ნების საფუძველზე მისი ინტერესების გასაჯაროება და სხვ.[254]

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლება კონკრეტული მოსაზრების გასაჯაროებას გულისხმობს. მედიის სფეროში ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ფაქტების გასაჯაროების საკითხს**. ფაქტი განსხვავდება აზრის, შეხედულებისგან, რომელშიც არა კონკრე-

---

[251] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 445.

[252] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 255.

[253] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 213.

[254] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 256.

ტული პოზიცია, არამედ უკვე მომხდარი, არსებული გარემოებები იგულისხმება, რომელთა თაობაზეც შესაძლებელია მტკიცებულებების წარდგენა.[255] ამდენად, ინფორმაციის გადაცემამ, რომელიც მტკიცებულებებზე არ იქნება დაყრდნობილი, შესაძლებელია სხვათა უფლებების დარღვევა გამოიწვიოს. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება, ერთი მხრივ, ფაქტების მტკიცების საკითხს, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო ადამიანის უფლებების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, წინა პლანზე წამოწეულ უნდა იქნეს სწორედ პიროვნების უფლებების დაცვა.[256]

გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე მეცნიერების ჭრილში შეიძლება იქნეს განხილული, რომლისგანაც იურისპრუდენციასთან ერთად, ერთ-ერთი ასეთია – ჟურნალისტიკა.[257] ამ მხრივ მნიშვნელოვანია საკითხი დანახულ იქნეს მედიის საქმიანობის თავისუფლების თავისებურებანი, რომელსაც ქმნის და რომლის გარანტიცაა ჟურნალისტის (მედია საშუალების წარმომადგენლის) დამოუკიდებლობა.

წინამდებარე თავში გამოხატვის თავისუფლება მიმოხილულია მედია საშუალებათა თავისუფლების კუთხით. იგი შესაძლებელია ორ ასპექტში იქნეს დანახული: **ა) პრესის თავისუფლებისა და ბ) ელექტრონული მედიის თავისუფლებაში**. პრესის თავისუფლებაში მოაზრებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ ბეჭდური მედიის საშუალებათა თავისუფლება, არამედ ჟურნალები, გამოცემები, პლაკატები, საინფორმაციო ფურცლები, მკითხველთა წერილები, აუდიოჩანაწერები (არ იგულისხმება ვიდეოკასეტები) და სხვ.[258] თითოეულის შემთხვევაში პრესის სფეროში დასაქმებულ პირებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლად საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა და ისინი თავისუფლად, მესამე პირთა ჩარევის გარეშე, უნდა ახორციელებდნენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას.[259] ამით უზრუნველყოფილია პრესის, როგორც ობიექტური ფასეულობის, დამოუკიდებლობა.[260] მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ჩვენს ქვეყანაში მედიის დამოუკიდებლობის პროცენტი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილს იკავებს. თუ ინ-

---

[255] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 215.

[256] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქარველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[257] შეად. *ღუჭაშვილი ზ.*, სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და იურიდიული საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004, 67.

[258] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 253.

[259] იქვე.

[260] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 263.

ფორმაციის გასაჯაროების მიზნით რომელიმე ყოველდღიურმა გაზეთმა ვრცელი სტატია მოამზადა და ხელისუფლება ჩაერევა გაზეთის (სტატიის ავტორის, ჟურნალისტის) კონსტიტუციურ უფლებაში – აიძულებს მას, არ გამოაქვეყნოს ინფორმაცია (შესაბამისი არასასურველი შედეგების გასაჯაროებისგან თავის შეკავების მიზნით), ეს იქნება უკანონო შეზღუდვის, ანუ ცენზურის ფაქტი, რაც, თავის მხრივ, ობიექტური ინფორმაციის გასაჯაროების შეუძლებლობის გარანტი გახდება. პრესის თავისუფლების დაცვის ერთ-ერთი გარანტი **სარედაქციო საიდუმლოების დაცვაა,**[261] რომელიც მხოლოდ მედია საშუალების წარმომადგენელთათვისაა ცნობილი. აღნიშნული უფლება ასახულია პრესის თავისუფლებაში, გაავრცელოს თუნდაც მართლსაწინააღმდეგოდ მოძიებული ინფორმაცია.[262] აღნიშნულში იგულისხმება შემდეგი: თუ ჟურნალისტი მიიღებს ინფორმაციას მესამე პირის დახმარებით, რომელიც დაარღვევს კანონს, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებიდან გამომდინარე, მას არ წარმოეშობა ვალდებულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის გასაჯაროებისგან (მაგალითად, თუ მესამე პირი მოიძიებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მინისტრის პირად ცხოვრებას ეხება). აქ, ერთი მხრივ, გასარკვევია ის, თუ რამდენადაა ასეთი ფაქტები უკვე გასაჯაროებული, და, მეორე მხრივ, რამდენად გადამოწმებულია ინფორმაცია მედია საშუალების წარმომადგენლის მიერ. თუ ინფორმაცია უკვე გასაჯაროებულია, მაშინ მედია საშუალებას არ ეკისრება ვალდებულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან, თუნდაც იგი ემყარებოდეს არარეალურ ფაქტებს.[263] მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ გასაჯაროებულია ინფორმაცია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირადი ცხოვრების შესახებ. თუ მეორე დღეს გაზეთი „რეზონანსი“ დაბეჭდავს სტატიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იგი არ იქნება ვალდებული, თავი შეიკავოს ასეთი ინფორმაციის გასაჯაროებისგან. აღნიშნულის პარალელურად აუცილებელია, განსაზღვრულ იქნეს, რომ პრესა ყოველთვის ვალდებულია, გადაამოწმოს მოპოვებული ინფორმაცია.[264] ასეთი დათქმა პრესის ვალდებულებას გულისხმობს – საჯაროდ გადასცეს მხოლოდ სინამდვილესთან შესაბამისი ინფორმაცია.[265]ელექტრონული მედიის სფეროში გამოხატვის თავისუფლებაზე ვრცელდება პრესის თავისუფლების სამართლებრივი დათქმები.[266] **ტერმინში, „ელექტრონული მედია“ მოიაზრება ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხორციელდება ელექტრომაგნიტური**

---

[261] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 255.

[262] იქვე, 256-257.

[263] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 295.

[264] *ზოიძე გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 264.

[265] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 257.

[266] იქვე, 261.

ტალღების საშუალებით.[267] საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიმართება ელექტრონული მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიხატება ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელების ასპექტში.[268] მაგალითად, მაუწყებლის უფლება, დამოუკიდებლად, სხვათა დახმარების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, თუნდაც იგი შეეხებოდეს ქვეყანაში არსებულ ე.წ. „მწვავე თემებს"; პოლიტიკური საკითხების გაშუქების თვალსაზრისით, მედია საშუალებას აქვს უფლება, დამოუკიდებლად გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური საკითხები და სხვ.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში 2012 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც **ე.წ. „სავალდებულო ტრანზიტის" („Must Carry-ის")** ინსტიტუტი დაამკვიდრა საქართველოს საარჩევნო კოდექსში.[269] საკანონმდებლო ცვლილების მიზანს მაუწყებლისთვის გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაცია წარმოადგენდა, რამაც საბოლოო ჯამში „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში პოვა ასახვა.[270] „სავალდებულო ტრანზიტმა" მოახდინა სამართლებრივ დონეზე მაუწყებლის საქმიანობის მოწესრიგება, რომლის საფუძველზეც, ე.წ. „შერჩევითი ნიშნით" მაუწყებლის საეთერო სიგნალის გადაცემამ სავალდებულო ხასიათი მიიღო. ცვლილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ ადრე კონკრეტული საკაბელო ოპერატორი თავისი სურვილის მიხედვით ირჩევდა, თუ რომელი მაუწყებლის სიგნალი გადაეცა სამომხმარებლო პაკეტის საშუალებით ამჟამად იგი ასეთი არჩევანის თავისუფლებით შეიბოჭა, რაც, თავის მხრივ, წინაპირობა გახდა, მოსახლეობისთვის სასურველი მაუწყებლის საეთერო სიგნალის მიღებისა.ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა გააჩნია ნებისმიერ პირს, ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს. მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ ადვოკატისთვის გამოხატვის თავისუფლების უფლების არსებობის სამართლებრივი საფუძვლები. ადვოკატი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ფლობს უამრავ ინფორმაციას.[271] აღნიშნული ინფორმაცია მას შესაძლებელია მოძიებულ ჰქონდეს კონკრეტული საქმის შესწავლისას, ან მის დაცვის ქვეშ მყოფი პირისგან. თითოეულ შემთხვევაში მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლითა და შესაბამისი

---

[267] იქვე, 262.

[268] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 265.

[269] შეად. იქვე.

[270] აღნიშნულის თაობაზე იხ.: *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 43-44.

[271] *წინიძე თ.*, მორალური ზიანი საბჭოთა სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", №2, თბილისი, 1978, 54.

სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული პროფესიული საიდუმლოების ერთ-ერთ სახეს.[272] იგი ვალდებულია, იმ პირისთვის, რომლის უფლებების დასაცავადაც ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, არ გაასაჯაროოს ეს ინფორმაცია. ამგვარი ვალდებულება, თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას გულისხმობს.[273]

პასუხისმგებლობის დაკისრება ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მართლმსაჯულების განხორციელებაში.[274] შესაბამისად, ადვოკატს გამოხატვის თავისუფლება ეზღუდება იმდენად, რამდენადაც მან არ უნდა დაარღვიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესები. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გამოიხატება, მაგალითად, მედია საშუალებით ისეთი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებაში, რომელიც პირს უარეს მდგომარეობაში ჩააყენებს, საზოგადოებაში გამოიწვევს მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და სხვ.

ადვოკატის უფლებრივი მდგომარეობა მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებია. იგი, მართალია, გამოხატვის თავისუფლების უფლების საფუძველზე იზღუდება სხვა პირის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მედია საშუალების წარმომადგენელს უფლება აქვს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ადვოკატს შეკითხვა დაუსვას მისთვის სასურველ საკითხთან დაკავშირებით. **ჟურნალისტის მიერ შესაბამისი შეკითხვის დასმა თუნდაც საიდუმლოების შემცველ მონაცემებზე, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება იქნეს მოაზრებული.** აღნიშნულის საფუძველზე იგი ახდენს მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციას და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად. შეკითხვა ფაქტის დადგენის მიზნით დაისმის,[275] შესაბამისად ჟურნალისტის მიერ შესაბამისი შეკითხვის დასმა ობიექტურობის დაცვისკენ მიმართულ ქმედებად უნდა იქნეს აღქმული, რადგან იგი მოძიებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ახდენს შესაბამისი შეკითხვის საფუძველზე ფაქტების დადასტურებას.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ეხება. აზრის თავისუფლება ინფორმაციის ერთგვარი წყაროა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქ-

---

[272] *ბიჭია მ.*, კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საქმიანობის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", №1, თბილისი, 2013, 7.

[273] იხ. იქვე, 14.

[274] *მჭედლიძე ნ.*, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების უფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 146.

[275] *კუბლაშვილი კ.*, აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 118.

ტორს წარმოადგენს.[276] ისევე, როგორც ინფორმაციის გავრცელებისას, საკუთარი აზრის დაფიქსირების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესის, შეხედულებისა და მორალური ასპექტების გათვალისწინება.[277] თუნდაც ინფორმაცია იყოს აბსოლუტურად კანონიერი და შესაბამისი მტკიცებულებებით გაჯერებული, მისი გავრცელებისას და, მითუმეტეს, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას ჟურნალისტმა (ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას) უნდა იმოქმედოს სიფრთხილით და გაითვალისწინოს გარე ფაქტორები. მაგალითად, თუ კანონის აბსოლუტური დაცვით მოპოვებულია ინფორმაცია, რომელიც შეეხება ერთ-ერთი ცნობილი პირის პირადი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს (გადამოწმებულ მონაცემებს), მედია საშუალებამ, რომელიც გაასაჯაროებს ასეთ ინფორმაციას, უნდა გაითვალისწინოს შესაძლო მოსალოდნელი შედეგები. ერთი მხრივ, მან აუცილებლად უნდა გაიაზროს ის, თუ რამდენად კანონის დაცვითაა ინფორმაცია გავრცელებული, რათა არ შელახოს მონაცემებში ასახული სუბიექტის უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, მან უნდა განსაჯოს მორალური ფაქტორების შესაძლო გართულებები ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, შესაბამისი უარყოფითი რეაქციის თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლიდან გამომდინარე, დაშვებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის გაშუქება. აღნიშნული უპირატესად ეხებათ ბეჭდური მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საგაზეთო სტატიებით მოიცავენ საინფორმაციო საკითხებს,[278] საერთო მაუწყებლებსა[279] და ინტერნეტის გზით საქმიანობის განმახორციელებელ იმ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც ასეთი ინფორმაციის გავრცელება უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს.[280]

ინფორმაციის თავისუფლების საკითხზე საუბარი საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, უფრო ვრცლად 41-ე მუხლთან მიმართებით იქნება წარმართული. წინამდებარე თავში განიხილება მხოლოდ ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაცვის საფუძვლები, რაც ინფორმაციის თავისუფლებას აზრის გამოხატვის თავისუფლების ჭრილში განიხილავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ უფლების დაცვის ისეთი მექანიზმი, როგორიცაა **ინფორმაციის პა-**

---

[276] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 260.

[277] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ავთანდილ უნგიაძე და გიორგი ყიფიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[278] მაგალითად, გაზეთი „კვირის პალიტრა“.

[279] მაგალითად, ტელეკომპანია „მაესტრო“.

[280] მაგალითად, სააგენტო პირველი – <**www.pia.ge**>.

სიური მიღების შესაძლებლობა.[281] ინფორმაციის პასიურად მიღების უფლებით სარგებლობს ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს, გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. იგი გაზეთის, მაუწყებლის ან ინტერნეტის საშუალებით ეცნობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.ინფორმაციის მიღების პარალელურად აღსანიშნავია **ინფორმაციის აქტიურად მოპოვების თვალსაზრისით გაწეული შესაბამისი ქმედებები**. მაგალითად: მედია საშუალების წარმომადგენლის (ჟურნალისტის ან სხვ.) მცდელობა, მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია და ამისთვის იწერს ინტერვიუს, აგროვებს მასალებს და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია, ასევე, **ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების უფლება.**[282] ორივე შემთხვევაში პირი, რომელიც განახორციელებს ასეთ ქმედებას, ვალდებულია, დაიცვას ინფორმაციის გამავრცელებელის უფლებები, რაც შესაბამისი წყაროს მითითებაში გამოიხატება. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ მედია საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, არამედ პირის მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით გასაჯაროებულ ფაქტებს, რომლითაც იგი კონკრეტულ საკითხზე შესაბამის აზრს გამოხატავს ან ასაჯაროებს მონაცემებს სხვა ასპექტში. მაგალითად: ფიზიკური პირი თავისი სოციალური ქსელით (Facebook-ით, Twitter-ით და სხვ.) აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მედია საშუალების, ან სხვა პირის მიერ ასეთი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში აუცილებელია მითითება იმის თაობაზე, თუ რა წყაროს ეყრდნობა ინფორმაციის გასაჯაროება. მაგალითისთვის განვიხილოთ შემთხვევა: სოციალური ქსელის საკუთარ ე.წ. „კედელზე" ა გამოხატავს თავის პოზიციას კონკრეტული თანამდებობის პირის დაკავებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელს სურს საინფორმაციო გამოშვებაში მიუთითოს ა-ს მიერ გაკეთებული განცხადების თაობაზე, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს წყაროზე, საიდანაცაა გავრცელებული ეს ინფორმაცია. წყაროს მითითების საკითხთან დაკავშირებით ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს რაიმე სახის შეზღუდვები. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) სოციალურ ქსელში საკუთარ ე.წ. „კედელზე" გამოთქმული პოზიცია იმთავითვე წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას; ბ) წყარო თავიდანვე ცნობილია იმ გაგებით, რომ სოციალური ქსელის მომხმარებელი მოქმედებს ინდივიდუალურად; გ) სოციალური ქსელის მეშვეობით გაკეთებული მოსაზრების ადრესატი პირთა განუსაზღვრელი წრეა; დ) სოციალური ქსელის მომხმარებელს თავიდანვე გააზრებული აქვს მის მიერ საჯაროდ გაცხადებული პოზიციის შედეგი, რომლის საფუძველზეც იგი ხელმისაწვდომი გახდება თითოეული იმ პირისთვის (სოციალურ ქსელში დამეგობრებული პირებისთვის), ვინც მოახერხებს, სოციალური ქსელის ფუნქციებიდან გამომდინარე, ასეთი ინფორმაციის ხილვას.

---

[281] იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 249.

[282] იქვე.

აქედან გამომდინარე, **სოციალურ ქსელში პირის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება არ წარმოადგენს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას**. მისი გავრცელების უფლება გააჩნია ნებისმიერ პირს და, ასევე, მედია საშუალებას, თუ დაცული იქნება ამ პირის მონაცემები და იქნება გადაცემული ინფორმაცია სწორედ სოციალურ ქსელზე გამოქვეყნებული ე.წ. „სტატუსის" საშუალებით.

სოციალურ ქსელში პირის მიერ ინფორმაციის გასაჯაროება განსხვავდება პირის მიერვე სხვა მომხმარებელთან ე.წ. „კერძო საუბარში" მიწოდებული ინფორმაციისგან. ასეთი კერძო ურთიერთობა შეიძლება იყოს დამყარებული ორ ან რამდენიმე პირს შორის არსებული კავშირი. ასევე, არსებობს დახურული ჯგუფები, რომელში გამოთქმული მოსაზრების ხილვის შესაძლებლობა მხოლოდ ჯგუფში გაწევრიანებულთათვისაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ მედია საშუალების თანამშრომელთათვის შექმნილია დახურული ჯგუფი და ამ ჯგუფში გაწევრიანებული პირები გამოხატავენ საკუთარ პოზიციას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით (რომელიც შეიძლება მედია საშუალების საქმიანობასაც ეხებოდეს), ჯგუფის რომელიმე სხვა წევრს არ აქვს უფლება, ეს ინფორმაცია გაასაჯაროოს მესამე პირსთვის მიწოდებით. ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს აზრის გამომხატველის გაკიცხვა (არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით, არამედ – სამართლებრივადაც). მაგალითად, პირმა ჯგუფში დააფიქსირა, რომ მედია საშუალების (რომელშიც თავად არის დასაქმებული) დირექტორი არ არის პროფესიონალი. იმ შემთხვევაში, თუ ამავე ჯგუფის სხვა წევრი გაასაჯაროებს ინფორმაციას, შესაძლებელია ამან გამოიწვიოს საკუთარი პოზიციის ჩამომყალიბებლის შრომითსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მას შეიძლება სამსახურის დატოვებაც მოუწიოს. ასეთის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება ექნება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ინფორმაციის გამსაჯაროებელს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.[283]

ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება ირიბად სახელმწიფოსაც ეკისრება. იგი ვალდებულია, შექმნას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიები,[284] რომლითაც მოსახლეობა ინფორმირებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნული არ გულისხმობს სახელმწიფოსთვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების გზით მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას – მოიპოვოს ინფორმაცია,[285] ვინაიდან იგი არაა ვალდებული, შექმნას ინფორმა-

---

[283] მაგალითის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ფაქტი არ არის მკაფიოდ მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობაში. ერთი მხრივ, პირს, რომელიც ჩათვლის, რომ დაირღვა მისი უფლება, წარმოეშობა ვალდებულება, ამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს მიერვე უნდა განიმარტოს, არის თუ არა ეს მორალური ზიანის (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის), ცილისწამების შემთხვევა.

[284] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 261.

[285] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 249.

ციის მიღების წყაროები,[286] თუმცა, სახელმწიფო იზღუდება ვალდებულებით, დააწესოს შესაბამისი წესები, რომლითაც ამავე უწყების წარმომადგენლი ინფორმაციას გაავრცელებს მედია საშუალებათა გზით. ამ ასპექტში დღევანდელი საქართველოს რეალობაში მოქმედებს სახელმწიფო სტრუქტურის პრესსამსახურები, რომელთაც უმთავრეს ფუნქციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს.[287]

მედია საშუალების მიერ ინფორმაციის გავრცელებისას ყველაზე მეტ სიფრთხილეს საჭიროებს ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც ე.წ. „პრობლემურ" საკითხებს შეეხება. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, ომის, სიღარიბის, გამოძიებისა და სხვა საკითხები. მაგალითად, შესაძლებელია მოვიყვანოთ გამოიძიების თემა. **საქართველოს კანონმდებლობით არსადაა აკრძალული გამოძიების ან გამოძიების საფუძველზე დაწყებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისგან მედია საშუალების დავალდებულება, არ გაავრცელოს კონკრეტული ინფორმაცია და არ გახადოს იგი მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი,** თუმცა შესაძლებელია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცავმა ორგანოებმა მოსთხოვონ მედია საშუალებებს, თავი შეიკავონ ასეთი ფაქტების გასაჯაროებისგან, შესაბამისი გამოძიების ან სასამართლო პროცესის დასრულებამდე. მაგალითად, თუ მედია საშუალება მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, მისთვის ცნობილი გახდება, რომ კონკრეტულ პირზე დაწყებულია შესაბამისი გამოძიება იმის დასადგენად, თუ რამდენად დარღვეულია ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს კანონმდებლობა. თავის მხრივ, საგამოძიებო ორგანოს არ სურს გაასაჯაროოს ინფორმაცია, ვინაიდან იგი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში არსებობს საშიშროება იმისა, რომ პირი, რომელიც ეჭვმიტანილს წარმოადგენს, მიიმალება. თუ სამართალდამცავი ორგანო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართავს მედია საშუალებას და ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას სთხოვს, ეს უკანასკნელი შეიბოჭება ერთგვარი ვალდებულებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე თავი შეიკაოს ინფორმაციის გავრცელებისგან.განსხვავებული სიტუაციაა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით უკვე დასრულებულია. ამ მხრივ, საგამომძიებლო ჟურნალისტს უფლება აქვს, გამოაშკარაოს, რამდენად მართებულად აქვს შეფარდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კონკრეტულ პირს და რამდენად სამართლებრივად იხდის იგი სასჯელს.[288] ასეთი შედეგის მიღწევისთვის უკანონო იქნება ნებისმიერი გზით ინფორმაციის მოპოვება. მაგალითად, პოლიციის რადიოტალღის

---

[286] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 261.

[287] ჟურნალისტიკა, 266.

[288] შეად. იქვე, 246.

მოსმენა,[289] სატელეფონო მოსმენა[290] და სხვ. საგამოძიებო მიზნებისთვის ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია აუცილებლად შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ინფორმაციის მოპოვების საერთო წესებთან და ამ უკანასკნელის მიერ არ უნდა იქნეს განხორციელებული ისეთი სახის ქმედება, რომელიც დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ **საგამოძიებო ჟურნალისტიკის მთავარი მიზანი უსამართლობის მხილებაა**[291] და ასეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში პირის მიერ სრულად ხდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაცია.

ცალკე აღნიშვნის სფეროა მაუწყებლის მიერ საინფორმაციო გამოშვებაში ან თოქ-შოუსა და ბეჭდურ მედიაში (მათ შორის – ინტერნეტში) სტატიის ავტორთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. **საქართველოს კანონმდებლობა წამყვანს ან სტატიის (რეპორტაჟის) ავტორს არ ზღუდავს პოზიციის დაფიქსირებაში** და მას აბსოლუტურ თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა თავისუფლების ფარგლების დადგენა ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტიკის სფეროდან გამომდინარეობს. კერძოდ, აღნიშნულ ასპექტში დაუშვებელია მედია საშუალების წარმომადგენლისთვის გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა. შედარების თვალსაზრისით მოვიშველიებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც მედია საშუალების (მაუწყებლის) პოზიციის, ფასეულობების, იდეების, ვინმესთვის მიუღებლობის გამო მაუწყებლისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას არასამართლებრივს უწოდებს.[292]

ჟურნალისტი შესაბამისი მასალის მომზადებისას მოიპოვებს უამრავ ინფორმაციას. იგი აჯამებს აღნიშნულ ინფორმაციას, მოჰყავს ერთობლიობაში, ახარისხებს და თავად წყვეტს, თუ რომელ ინფორმაციას გადასცემს საჯაროდ.[293] აღნიშნულის განხორციელებისას დაუშვებელია სხვა პირის მიერ ჟურნალისტზე არაკანონიერი ზემოქმედების განხორციელება,[294] რათა აიძულოს იგი, გააშუქოს

---

[289] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 248.

[290] სატელეფონო მოსმენის თაობაზე იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[291] ჟურნალისტიკა, 248.

[292] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ავთანდილ უნგიაძე და გიორგი ყიფიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[293] ჟურნალისტიკა, 239.

[294] არაკანონიერ ზემოქმედებაში იგულისხმება ჟურნალისტისთვის ცენზურის დაწესება. სხვა შემთხვევაში, თუ მედია საშუალებაში მომუშავე მისი უფროსი (მაგალითად, საინფორმაციო სამსახურის უფროსი) ან კოლეგა დაავალებს ან ურჩევს კონრკეტული სახის ინფორმაციის საჯაროდ გადაცემას, ეს ფაქტი არ იქნება მის საქმიანობაში ჩარევისა და ცენზურის მაგალითი.

მხოლოდ კონკრეტულ თემაზე არსებული ინფორმაცია. ჟურნალისტის მიერ იმის განსაზღვრა, თუ მოპოვებული ინფორმაციიდან რომლის საჯაროდ გადაცემა იქნება მნიშვნელოვანი, მის მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ერთერთ შემთხვევას წარმოადგენს. ამ მხრივ მას უნდა გააჩნდეს აბსოლუტური დამოუკიდებლობა, რაც, თავის მხრივ, კანონის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების თავისუფლებას გულისხმობს.

გამოხატვის თავისუფლების უფლება, გარდა მედია საშუალებისა (მისი წარმომადგენლისა), ვრცელდება, ასევე, ნებისმიერ პირზე, ვინც ასეთი უფლების ფარგლებში ახორციელებს საქმიანობას. მაგალითად, ფიზიკური პირი, რომელიც თანხმდება ინტერვიუს მიცემაზე, ან კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომელიც აფიქსირებს მედია საშუალების მეშვეობით საკუთარ პოზიციას. თითოეულ შემთხვევაში მათი უფლებების დაცვის საკითხი კონკრეტული მოქმედებების შეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს გადაწყვეტილი. ისევე, როგორც მედია საშუალების, ასევე, სხვა პირთა მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების ფორმირება შესაძლებელია კანონიერ ფარგლებში.

აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაძლებელია როგორც აქტიურ, ისე პასიურ ქმედებით განხორციელდეს.[295] მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების საფუძველზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით, ან მისი დაფიქსირებისგან თავის შეკავებით.[296] ორივე შემთხვევაში უფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ იგი მესამე პირთა ინტერესებს ლახავს. მაგალითად, დაუშვებელია მედია საშუალების შეზღუდვა პოლიტიკური იდეოლოგიით და სხვ.[297] აღნიშნულიდან გამომდინარე, **გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „თანაზომიერების პრინციპიდან" გამომდინარე უნდა განხორციელდეს**, რადგან არ შეილახოს თვითნებურად და დისკრიმინაციულად პირის უფლებები.[298] აღნიშნულის პარალელურად სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს და დაიცვას გამოხატვის თავისუფლება, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს თავისუფლების შეზღუდვასაც გულისხმობს.[299] აღნიშნულში კი ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეთა უფლებების დაცვის უმთავრეს გარანტს წარმოადგენს.[300]

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით განსაზღვრული გამოხატვის თავისუფლების არააბსოლუტურობის ხასიათიდან გამომდინარე, მისი შეზღუდვის დასაშვებობა კანონით მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული. **შეზღუდ-**

---

[295] შეად. *Hillburger* in Grundgesetz, Mitarbeiterkommentar und Handbuch, Band 1, Art. 1-37 GG, Umbach, Clemens (Hrsg.), C. F. Müller Verlag, Heidelberg, 2002, 152 და შემდგომი.

[296] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 34.

[297] იქვე, 35.

[298] შეად. *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 448.

[299] *ლობჟანიძე გ.*, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბილისი, 2005, 207.

[300] *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2011, 96.

ვა აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. თუ შეზღუდვა ასეთ მიზანს არ ემსახურება, მაშინ იგი არასამართლებრივია.[301] თავის მხრივ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმურობა ჩარევის აუცილებლობიდან გამომდინარე ფასდება, რომლის საფუძველზეც იმავე საზოგადოებაში მიღებული სტანდარტებით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად აუცილებელია უფლების შეზღუდვა სხვა უფლების დაცვის მიზნით.[302]

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია დაუწესდეს როგორც მედია საშუალებას, ისე, მედიასამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილესაც, მაგალითად, ფიზიკურ პირს, რომელიც სატელევიზიო თოქ-შოუში საჯაროდ აფიქსირებს თავის პოზიციას, ასევე, სასამართლოს, რომელიც საჯაროდ აცხადებს ინფორმაციას მიმდინარე პროცესის თაობაზე ან აქვეყნებს მიღებულ გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში დგება პირის უფლებისა და საჯაროობის საკითხის ურთიერთმიმართების პრობლემა, როდესაც პირის უფლება, გააჩნდეს საიდუმლო და დაიცვას იგი, გასაჯაროების შესაძლებლობასთან მიმართებით სამართლებრივად უსაფუძვლო იქნება.[303]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი აზრის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარი თავისუფალი მედიაა, ხოლო თავისუფალი მედიის არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს.[304] აღნიშნული დათქმის ყველაზე ნათელი მაგალითია პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობის გაშუქება და ზოგიერთ შემთხვევაში – მისი კრიტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, პოლიტიკური თანამდებობის პირის თითოეული სიტყვა ჟურნალისტთა მუდმივი ანალიზისა და კრიკიტის ობიექტი შეიძლება გახდეს, რასაც პოლიტიკოსმა თმენის ვალდებულებით უნდა უპასუხოს.[305] აღნიშნული განმარტება ნათლად ასახავს გამოხატვის თავისუფლების ბუნებას, რომლის საფუძველზეც ე.წ. „დასაშვები კრიტიკის" ფარგლების ერთ-ერთი მხარე პოლიტიკური თანამდებობის პირია.[306]

---

[301] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[302] შეად. *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 268.

[303] *კოპალეიშვილი მ.*, ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №1, თბილისი, 2007, 14 და შემდგომი.

[304] შეად. *Paal B.*, Die Rolle der Medien in der Demokratie, TV Diskurs, 64, 2, Jg. 17, 2013, 2.

[305] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ივლისის №3კ/390-02 გადაწყვეტილება.

[306] დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილების კომენტარისთვის იხილეთ: *კერესელიძე დ.*, გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა", №5/2002-4, თბილისი, 620.

გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მედიასამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე თითოეული მხარისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში იგი გაცილებით პრიორიტეტულია, ვიდრე პირადი სფერო.[307] მაგრამ, თუნდაც გამოხატვის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, ხორციელდებოდეს პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გაკეთებული განცხადების ანალიზი ან კრიტიკა, კონსტიტუციური უფლებით მოსაგებლე პირი ამ უფლებაში უხეშად არ უნდა ჩაერიოს და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციით შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს მას.

10. ცენზურის დაუშვებლობა

მედია საშუალებისთვის ცენზურის დაწესება საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია. ასეთი დათქმა განაპირობებს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვან პრინციპს – მედია ახორციელებს დამოუკიდებელ საქმიანობას.[308] ტერმინში – ცენზურა მოიაზრება ე.წ. წინასწარი ცენზურა,[309] რომელიც კონკრეტული ინფორმაციის ან ინტელექტუალური ნაწარმოების გადაცემამდე (შესაბამისი მოქმედების განხორციელებამდე) შესაბამის აკრძალვას მოიცავს.

განსახილველი უფლების განხორციელება დამოკიდებულია უშუალოდ მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის აქტივობაზე. სახელმწიფოს ვალდებულება მხოლოდ ასეთი აქტივობის უკანონო შეზღუდვის დაუშვებლობაში გამოიხატება.[310] რა შეიძლება მოვიყვანოთ ცენზურის მაგალითად? იმ მედია საშუალების, რომლის საქმიანობა საინფორმაციო უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული, საინფორმაციო სამსახურის შესაბამისი დეპარტამენტი ყოველთვის თავად წყვეტს, თუ რა ინფორმაცია გადაიცეს საჯაროდ და რა არ გავიდეს ეთერით. თუ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა შენიშვნა მისცა ჟურნალისტს კონკრეტული სიუჟეტის ეთერში გასვლის საკითხთან დაკავშირებით, ეს ფაქტი ვერ ჩაითვლება ცენზურის მაგალითად. ერთი მხრივ, საინფორმაციო სამსახურის უფროსი ახორციელებს მასზე ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საქმიანობიდან

---

[307] *ბიჭია მ.*, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №3(38)13, თბილისი, 2013, 136.

[308] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 262.

[309] *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 270.

[310] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გამომდინარე, იგი ვალდებულია, განსაზღვროს კონკრეტული სიუჟეტების (ნებისმიერი ინფორმაციის) გავრცელების მნიშვნელობა. **ცენზურის მაგალითად არ დაკვალიფიცირდება შემთხვევა, როდესაც ტელემაუწყებელში საინფორმაციო სამსახურის უფროსი უარს ეუბნება კონკრეტულ ჟურნალისტს რომელიმე სიუჟეტის ტელეეთერში გადაცემის თაობაზე, თუ სიუჟეტი არ აკმაყოფილებს პროფესიულ ჟურნალისტურ მოთხოვნებს.** აღნიშნულ დათქმას გააჩნია გამონაკლისი შემთხვევა. მაგალითად: საინფორმაციო სამსახურის უფროსი ჟურნალისტს სიუჟეტის გადაცემის თაობაზე უარს იმ მიზეზით ეუბნება, რომ ინფორმაცია, რომელიც ეთერში უნდა გავიდეს, საინფორმაციო სამსახურის უფროსის მეგობარს ან ოჯახის წევრს ეხება და ეს უკანასკნელი უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი. ასეთი ქმედება, გარდა არაპროფესიონალური ქმედებისა, წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების (მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების) უფლების დარღვევის ნათელ მაგალითს. იგივე შეიძლება ითქვას ტელემაუწყებლის ან ბეჭდური მედიის (ასევე სხვა მედია საშუალების) ხელმძღვანელის მიერ ჩადენილ მსგავს ქმედებაზე.

ცალკე განხილვის თემაა პოლიტიკური ნიშნით ცენზურის დაწესება მედია საშუალებაზე. მედიის თავისუფლება გულისხმობს როგორც საგამომცემლო, ისე საინფორმაციო დამოუკიდებლობასაც, რაშიც შესაძლებელია გამოიხატოს კონკრეტული ინფორმაციის მოძიება, გავრცელება და სხვ.[311] ზოგადად, **მედია საშუალების მიერ საქმიანობის განხორციელებისას აზრის ჩამოყალიბების ფარგლები არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოზე ან საზოგადოებრივ ჯგუფზე.**[312] აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტის მოწესრიგება, რომელსაც მართავს სახელმწიფო ან კონკრეტული ინტერესების მქონე პირთა ჯგუფი.[313] განვიხილოთ მაგალითი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაშალა საქართველოს მოქალაქეთა მიერ ორგანიზებული აქცია. დაშლა განხორციელდა ძალის გადამეტებით. თუ მედია საშუალების მიერ აღნიშნული საკითხი გაშუქებულ იქნა არაობიექტურად (არ იგულისხმება მედია საშუალების წარმომადგენელთა არაპროფესიული მოქმედება, როდესაც მათი გამოისობით არ ხერხდება ინფორმაციის მართებული გაშუქება) და თუ ამის მიზეზი არ გახდა საქართველოს შინაგან საქ-

---

[311] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 263.

[312] *შვამე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2011, 124.

[313] მაგალითის რეალური შესატყვისი განხორციელდა 2011 წლის 25-26 მაისს. აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *ვერძეული ს., გოცირიძე გ., მიქელაძე თ., ჯომარჯიძე ნ., ქურდოვანიძე ნ., მენაბდე ვ., ნარმანია გ., ავალიანი თ., სალაძე ს.*, 26 მაისი, ანგარიში, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011.

მეთა სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო სტურქტურის მხრიდან შესაბამისი მუქარა (მუქარა შეიძლება მრავალი სახით იყოს გამოხატული, რაშიც შეიძლება მოვიაზროთ, ასევე, ჟურნალისტის დაშინება, სამსახურის დაკარგვის თაობაზე და სხვ.), მაშინ ეს იქნება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ცენზურის მაგალითი, რითაც მედია საშუალების საქმიანობა დამოკიდებული გახდება კონკრეტული სახელისუფლებო ორგანოზე.

ცენზურა არ ეხება მხოლოდ კონკრეტული სახის ინფორმაციის გაშუქების თავისუფლების შეზღუდვას. იგი შესაძლებელია უშუალოდ მედია საშუალების მიერ საქმიანობის შეჩერებაშიც გამოიხატოს. შეგვიძლია მოვიყვანოთ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" მაგალითი, როდესაც მედია საშუალება ჩავარდა კონკრეტულ პირთა ხელში. აღნიშნული არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კომერციული მიზნებისთვისაც იყო გამიზნული. მედია საშუალების ე.წ. „ერთი პირის ხელში მოქცევა" შემოსავლების მიღების ფაქტორითაც იყო გამოწვეული.[314] მეორე და კიდევ უფრო ნათელი მაგალითი, როცა საქართველოს უახლეს ისტორიაში განხორციელდა მედია საშუალების ცენზურა, იყო ტელეკომპანია „იმედში" სპეცრაზმის შეჭრა,[315] რასაც შემდგომ დამფუძნებლების შეცვლა მოყვა. ტელეკომპანია „იმედი" სხვა რამდენიმე ტელემაუწყებელთან ერთად 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ახორციელებდა მხოლოდ კონკრეტულ პირთა მოთხოვნების შესაბამის საქმიანობას. აღნიშნულის დასტურად შეიძლება გამოდგეს, ასევე, 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების შეცვლის შედეგად ამ ტელემაუწყებლის იმ საწყისებზე დაბრუნება, რაც მას თავიდან გააჩნდა.[316] ტე-

---

[314] შეად. *ჯონსი სტივენ*, საქართველო, 171 და შემდგომი.

[315] იხ. <**https://www.youtube.com/watch?v=cQO9AFlJmTg**> [04.08.14].

[316] წინდაწინვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში არ არის დაფიქსირებული ავტორის მიერ რაიმე სახის პოლიტიკური პოზიცია. ცენზურის დაუშვებლობის მაგალითები განხილულია მხოლოდ იმ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, რაც გასაჯაროებულია ქართული საზოგადოებისთვის და შესაბამისი კადრების (მაგალითად, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრა) ხილვის შესაძლებლობაც დღეს ნებისმიერ მსურველს გააჩნია. ფაქტები მეტყველებს პოლიტიკურ გავლენაზე, რომელიც გამოიხატებოდა ერთი კონკრეტული გუნდის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. აღნიშნულს ადასტურებს დასახელებულ ტელეკომპანიასთან ერთად სხვა ტელეკომპანიების მიერ ერთი და იმავე ინფორმაციის იდენტურ გაშუქებას (მათ შორის, ერთ-ერთი იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი). აქვე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ თანამედროვე ეპოქაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული იმის თაობაზე, რომ ტელემაუწყებელი ვერ იქნება ყოველთვის ობიექტური. აღნიშნულის მიზეზს ადამიანური ფაქტორები განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შესაძლებელია მაუწყებელმა გაატაროს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის ინტერესები. თუმცა, ასეთი ინტერესების გატარება არ გულისხმობს ისეთ შედეგებამდე მისვლას, რაც რეალურად იდგა საქართველოში XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა ან კონკრეტულ პირთა წრეს გადაეცემოდათ მაუწყებლობის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებანი (მაგალითად, ტელეკომპანია „იბერია", ტელეკომპანია „202", ტელეკომპანია „მზე" და სხვ.).

ლეკომპანია „იმედისგან“ აბსოლუტურად განსხვავებული შემთხვევაა ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დახურვა (საუბარია დახურვაზე, რომელიც 2013 წლის 19 აგვისტოს განხორციელდა).[317] მისი დახურვის ინიციატორს წარმოადგენდა ტელემაუწყებლის დამფუძნებელი.

ზოგადად, ტელემაუწყებლის დახურვის ფაქტი მუდამ იწვევს გარკვეული მორალური და ზნეობრივი ნორმების საფუძველზე პირის გაკიცხვის შესაძლებლობას, თუმცა ეს მხოლოდ განხილვისა და მსჯელობის საგნად იქცევა ხოლმე. **მორალური და ზნეობრივი ნორმები ვერ გახდება ცენზურის ფაქტის დამადასტურებელი სამართლებრივი მტკიცებულება.** კერძო საკუთრებაში არსებული მედია საშუალების ლიკვიდაცია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც საკუთრების უფლების საფუძველზე ქონების განკარგვის უფლება გააჩნია მის მესაკუთრეს.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში ცენზურის დაუშვებლობასთან ერთად გათვალისწინებულია მედია საშუალების დამოუკიდებლობის საკითხი. ამ ასპექტში, ერთი მხრივ, შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს დამოუკიდებლად საქმიანობის განხორციელების საკითხი. **დამოუკიდებელი საქმიანობა მოიცავს ცენზურის დაუშვებლობას**, რაც, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თითოეული მათგანის არარსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, შესაბამისად, შეუძლებელი იქნება აზრის თავისუფლად გამოხატვა და მოსახლეობის ინფორმირებულობა ქვეყენაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ცენზურის დაუშვებლობაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ კანონი კრძალავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციას (საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამავე მუხლის მე-4 პუნქტში არსებული დათქმის გათვალისწინებით, **მონოპოლიზაციის დაუშვებლობა გამოწვეულია გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობით დემოკრატიული საზოგადოებისთვის.**[318]

ზემოთ დასახელებული თითოეული შემთხვევა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, ცენზურის დაუშვებლობა და მონოპოლიზაციის აკრძალვა – წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით გადადგმულ ნაბიჯს საკანონმდებლო დონეზე. სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგება, თუ მას არ ექნა ობიექტური წარმოდგენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესზე. ერთი მხრივ, ასეთი საკანონმდებლო დათქმა დემოკრატიული წყობილების

---

[317] იხ. <**https://www.youtube.com/watch?v=OWfJ8Bk3UY8**> [20.07.14].

[318] *ზოიძე გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 267.

ჩამოყალიბებისთვისაა აუცილებელი, ვინაიდან დემოკრატიაში სახელმწიფო და საზოგადოება ერთნაირი სამართლებრივი უფლებებით სარგებლობენ,[319] ხოლო, მეორე, მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება თავისი ბუნებით უნდა გამოირჩეოდეს განვითარების მაღალი დონით, „ინდივიდებს შორის სამართლებრივი ურთიერთობით, საზოგადოებად, სადაც თავისუფლად ვითარდება საჯაროობა, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობათა სფერო".[320] **მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის საქმიანობის თავისუფლების უკანონო შეზღუდვით, ცენზურითა და მედია საშუალების მონოპოლიზაციით ასეთი სამოქალაქო საზოგადოების (შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს) ჩამოყალიბება შეუძლებელია.**

აღნიშნული მსჯელობა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს როლი დიდია მედია სივრცის ჩამოყალიბებაში. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ორგანიზაციებზეც. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ევროპაში 1989 წელს მიღებული დირექტივა, სახელწოდებით – „ტელევიზია საზღვრებს გარეშე", რომლითაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აეკრძალათ უცხო ქვეყნების ტელეეთერის გაშუქებაზე უარის თქმა.[321] სახელმწიფოს როლი მედია საშუალების საქმიანობაში წარმოადგენს მედიის თავისუფლების გარანტს, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიული სისტემის ცენტრალურ ფუნქციად შეიძლება იქნეს მოაზრებული.

ეს ფაქტი უდევს საფუძვლად მსოფლიოს მასშტაბით არა ერთი ორგანიზაციის საქმიანობას, რომლებიც მედიის თავისუფლებას იცავენ.[322] ქართულ მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობენ გაერთიანებები, მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები"), რომელნიც მუდმივად აკრიტიკებენ სახელმწიფოს ან მის კონკრეტულ ქმედებას, როდესაც ხელისუფლება მედია საშუალების საქმიანობაში ერევა.

---

[319] *Hague R.*, Harrop Martin, Political Science, A Comparative Introduction, 6th Edition, Macmilan, New York, 2010, 84.

[320] *ჯაფარიძე შ.*, პოლიტოლოგია ნაწილი II, გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი, 2000, 365.

[321] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *ლეონარდო დ.*, ევროკავშირის სახელმძღვანელო, მე-7 გამოცემა, სოფიკო ჭუმბურიძის თარგმანი, გამომცემლობა „ჯი სი აი", თბილისი, 2002, 297.

[322] იხ. მაგალითად, <**http://www.medienfreiheit.ch**>. აღნიშნულ ორგანიზაციას წარმოადგენილი აქვს მრავალი ნაშრომი, რომელშიც ასახულია მედიის თავისუფლების მნიშვნელოვანი სამართლებრივი წინაპირობები. მაგალითად, ერთ-ერთ გამოცემაში აღნიშნული აქვს, რომ მედიის თავისუფლება სახელმწიფოს მიერ ცენზურის განხორციელების გარეშე და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან მედია საშუალების საქმიანობა ჩარევის გარეშე უნდა განხორციელდეს: იხ. <**http://www.medienfreiheit.ch/downloads/grundsatzpapier_medienfreiheit_de.pdf**> [27.02.2014].

11. ინფორმაციის თავისუფლება

წინამდებარე თავში განხილული იქნება ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი ასპექტები, რომლებიც მედიასამართალთან მიმართებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ინფორმაციის თავისუფლება იცავს მედიის საქმიანობის თავისუფლებას. თავის მხრივ, მედიის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ მედიას, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, არამედ საზოგადოებასაც – იყოს ინფორმირებული.[323]

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში გათვალიწინებული ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი ინსტიტუტი განსხვავდება კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან. კერძოდ, კანონის საფუძველზე არსებობს შესაბამისი დათქმა, რომელიც ინფორმაციის მიღების უფლებამოსილების საკითხს აკონკრეტებს, უფრო ვიწრო ჭრილში განსაზღვრავს და რომლის საფუძველზეც გარანტირებულია სახელმწიფო სტრუქტურებში დაცული საჯარო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა.[324] აღნიშნული უფლების საფუძველზე ხდება კონსტიტუციის მე-16 მუხლით განსაზღვრული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაცია, რაც პირისთვის ინფორმაციული თვითგამორკვევის შესაძლებლობის მინიჭებაში გამოიხატება.[325]

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტით მოწესრიგებულია დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, პირი უფლებამოსილია ინფორმაციის მიღებით სახელმწიფო გააკონტროლოს. თუ პირმა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ვერ მიიღო, მაშინ მას შეიძლება გაუჩნდეს გონივრული ეჭვი, რომ საჯარო დაწესებულება ჯეროვნად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.[326] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ენიჭება პოზიტიური ვალდებულება, საჯარო ინფორმაციის გაცემით განახორციელოს შესაბამისი მოქმედება.[327] ასეთი მოქმედების განხორციელებით სახელმწიფო ვერ შეძლებს მოქალაქეთათვის ე.წ. „ინფორმაციული ფილტრის" დაყენებას და სახელმწიფო არ გადწყვეტს ერთპიროვნულად, თუ რომელ და რა საკითხის თაობაზე გასცეს ინფორმაცია და რაზე თქვას უარი.

---

[323] შეად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, მაგალითად, საქმე „სანდი თაიმსი" დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (the Sunday Times vs. the UK – 1977).

[324] იხ. *ქანთარია გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 41-ე მუხლი, 499.

[325] *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, 41-ე მუხლი, 352.

[326] *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 10.

[327] *ქანთარია გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 41-ე მუხლი, 503.

განსახილველ ნორმაზე საუბრისას მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე საიდუმლო ინფორმაციის სახეების დიფერენცირება: **ა) პირადი საიდუმლოება;**[328] **ბ) სახელმწიფო საიდუმლოება; გ) კომერციული საიდუმლოება; დ) პროფესიული საიდუმლოება და ე) აღმასრულებელი პრივილეგია.**[329]

თავის მხრივ, ინფორმაციის თავისუფლება ორ ძირითად ასპექტშია განსახილველი: ა) ინფორმაციის მოპოვება კერძო სფეროს წარმომადგენლისგან (მაგალითად, შპს-სგან, სს-სგან, ფიზიკური პირისაგან და სხვ.) და ბ) ინფორმაციის მოპოვება საჯარო დაწესებულებისგან.

თავდაპირველად შევეხოთ კერძო სამართლის სუბიექტებისგან ინფორმაციის მოპოვების საკითხს. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტებს არ ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის გაცემას ნებისმიერი მსურველისთვის. მაგალითად, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გასცეს საჯარო ინფორმაცია თავის საქმიანობასთან დაკავშირებით.[330] საჯარო ინფორმაციად ჩაითვლება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც კანონის საფუძველზე გამოქვეყნებულია საჯაროდ, მაგალითად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის.[331] საჯარო რეესტრის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, იურიდიული პირის ხელმძღვანელის (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) სახელისა და გვარის (მათ შორის, პირადი ნომერის) შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ რაიმე საიდუმლოებას.[332]

---

[328] პირადი საიდუმლოება წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას. პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე შესაბამისი ვალდებულება ირღვევა მაშინ, როდესაც კონკრეტული პირი დამოუკიდებლად, პირადი სურვილის საფუძველზე ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას მესამე პირთათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის უფლებამოსილების საკითხი, რომელიც, გარდა მონაცემთა უსაფრთხოების ვალდებულებისა, მედია საშუალებებზე არ ვრცელდება (ამავე კანონის მე-17 მუხლი). შეად. *Alich S.*, Facebook-Like-Button und Co. – Datenschutzrechtliche Verantwortlichkeit der Webseitenbereiters, NJW, Heft 49, Verlag C.H. Beck, München, 2011, 3542.

[329] თითოეულ მათგანზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.

[330] აღნიშნულ მოსაზრებაში იგულისხმება, მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" თანამშრომელთა (მათ შორის, დირექტორის) მივლინების ხარჯები, პრემიები და სხვ.

[331] მაგალითიდან გამომდინარე, იხ. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2-ის" შესახებ ინფორმაცია: **<https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=601083&app_id=681968>**.

[332] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის №ბს-102-289-კ-03 განჩინება.

რამდენად საჯაროა ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა (ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობისთვის) მედია საშუალების მიერ? მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებისთვის ტელემაუწყებლის ჟურნალისტმა მოიძია ინფორმაცია, რომელიც მიაწოდა მას კონკრეტულმა წყარომ. მართალია, ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტმა წყარო არ უნდა დაასახელოს,[333] თუმცა გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია, მას წყაროს გამჟღავნების ვალდებულება დაეკისროს, მაგალითად მაშინ, როდესაც წყაროს გასაჯაროების საკითხი განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით.[334] სხვა მხრივ, წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით განსაზღვრული ნორმა იმავე ასპექტში, რაც ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციის გავრცელებაზე (გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისას). ინფორმაციის წყარო არ სარგებლობს რაიმე პრივილეგიით და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება წარმოეშობა ნებისმიერ პირს, რომელიც ჩათვლის, რომ დაირღვა მისი კანონიერი უფლებები.

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ინფორმაციის საჯარო დაწესებულებიდან მოპოვების საკითხი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედების კონკრეტულ ფარგლებს განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პირს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს) უფლება აქვს, საჯარო დაწესებულებიდან მოიპოვოს საჯარო ინფორმაცია. ამ თემაზე საუბრისას თავდაპირველად უნდა შევეხოთ საჯარო ინფორმაციის სახეებს, რომელთა დიფერენციაციას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს:[335]

ა) ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველს შეეხება;

ბ) ოფიციალურ წყაროებში დაცული ინფორმაცია, რომელიც მისი მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღება კანონით დადგენილი წესითაა შესაძლებელი;

გ) ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას შეიცავს;

დ) ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც ისეთ კერძო საკითხებს შეეხება, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და სხვა საკითხები.

საჯარო ინფორმაციის ჩამოთვლილი სახეებიდან მხოლოდ მესამე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღების მსურველისთვის.[336] ნაწილობრივ ხელ-

---

[333] შეად. *ალფაიძე თ.*, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, 83.

[334] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 284.

[335] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა ურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[336] *ჯორბენაძე ს.*, საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, „სამართლის ჟურნალი", თსუ №1 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 186.

მისაწვდომია პირველ და მეოთხე კატეგორიაში გაწერილი საჯარო ინფორმაციის სახე, ვინაიდან იგი პირის პერსონალურ მონაცემებს შეეხება.[337] მეორე კატეგორიაში გაწერილი საჯარო ინფორმაცია მეტწილად ხელმისაწვდომია ინფორმაციის მიმღების თითოეული მსურველისთვის.

აქვე ცალკე აღსანიშნავია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საკითხი. კანონმდებლობა სამედიცინო მომსახურების გამწევს რიგ შემთხვევებში უფლებამოსილებას ანიჭებს, არ გაასაჯაროს და პაციენტისთვის ცნობილი არ გახადოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მის დაავადებას ეხება. ასეთი შემთხვევაა სახეზე მაშინ, თუ დასაბუთებული ვარაუდი არსებობს, რომ ინფორმაციის სრულად გაცემა პაციენტის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს.[338] შესაბამისად, მეოთხე კატეგორიაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ჯანმრთელობის საკითხს ეხება, სწორედ ამ მიზნით საჯარო ინფორმაციის მსურველთათვის (თუნდაც იგი თანამდებობის პირს შეეხებოდეს) არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ვინაიდან ასეთი სახის ინფორმაცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის გათვალისწინებით არ უნდა იქნეს გასაჯაროებული.[339]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, **საჯარო დაწესებულებას გააჩნია საჯარო ინფორმაციის გაცემის დაუყოვნებლივი ვალდებულება**. ასეთი ვალდებულების მიხედვით, ტერმინში „დაუყოვნებლივი“ შეიძლება მოაზრებულ იქნეს გონივრული ვადები – იმავე ან მეორე დღეს (იგულისხმება სამუშაო დღეები), როცა უნდა გაიცეს საჯარო ინფორმაცია.[340] თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის ესაჭირეობა დამატებითი ვადა. კანონის საფუძველზე ასეთ ვადად განსაზღვრულია 10 დღე. ასეთ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო ინფორმაციის მიღების მომთხოვნს.

საქართველოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული პრაქტიკა ოთხგვარია:[341]

ა) სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია;
ბ) არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია;
გ) სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
დ) უმოქმედობა.

---

337 იქვე.

338 *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, 79.

339 იქვე, 88.

340 იხ. *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 48.

341 იხ. *ჯორბენაძე ს.*, საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, „სამართლის ჟურნალი“, თსუ №1 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 188 და შემდგომი.

სრულყოფილადაა გაცემული საჯარო ინფორმაცია, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ კანონის მოთხოვნათა აბსოლუტური დაცვით და ამომუწრავადაა გაცემული პასუხი საჯარო ინფორმაციის მიმღების მომთხოვნის თითოეულ კითხვაზე.[342] მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პრაქტიკა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია მიაწოდა.[343]

არასრულყოფილადაა გაცემული საჯარო ინფორმაცია, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის მიმღების მომთხოვნის განცხადებაზე პასუხი გაცემულია მხოლოდ მის კონკრეტულ ნაწილში. მაგალითად, როდესაც პირი ითხოვს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მივლინებების ხარჯებს 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით და სამინისტრო ინფორმაციის მიმღების მომთხოვნს ფინანსთა მინისტრის მივლინების ხარჯების შესახებ ინფორმაციას აწვდის 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 მაისის ჩათვლით.

სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე – საჯარო დაწესებულება, ერთი მხრივ, უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი უარს სამართლებრივად არ ასაბუთებს. ასეთ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულების პასუხი სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც საჯარო ინფორმაციის მიმღების მიერ შესაბამისი მოთხოვნის დაყენების საფუძველს წარმოადგენს.

უმოქმედობის შემთხვევაა, როდესაც საჯარო დაწესებულება საერთოდ არ სცემს პასუხს საჯარო ინფორმაციის მიმღების განცხადებას. მაგალითად, ქ. თბილისის მერიას განცხადებით მიმართა თბილისის ერთ-ერთმა მოქალაქემ. ქ. თბილისის მერიას კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს გარკვეული ვადა, რომლის დაცვითაც უნდა მიეწოდოს პირს სასურველი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მერია საერთოდ არ განახორციელებს ქმედებას, იგი დაარღვევს კანონით დადგენილ წესს და ისევე, როგორც სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარის შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მიღების მომთხოვნს წარმოეშობა უფლებამოსილება, მიმართოს შესაბამის ორგანოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით, მერიას შესაბამისი ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

გარდა ჩამოთვლილისა, შესაძლებელია ინფორმაცია არ იყოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამო. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების უარი აბსოლუტურად სამართლებრივად უნდა იქნეს მიჩნეული. თავის მხრივ, საჯარო დაწე-

[342] იქვე, 189.

[343] იხ. <http://opendata.ge/ka/request/36321№requests-tabs2> [29.08.2014].

სებულების მიერ უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით.[344] საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაბამის მექანიზმს. ასეთია მაგალითად, ადმინისტრაციული საჩივარი, თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას გააჩნია ზემდგომი ინსტანცია.საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მოპოვების სამართლებრივი ინსტიტუტი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ხდება, უშუალოდ ამავე კანონში გაწერილი დათქმის საფუძველზე.[345] მიუხედავად შეზღუდვის იმპერატიული ბუნებისა, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა საიდუმლოების შემცველი მონაცემების მიზეზით ყოველთვის არ არის მართებული. მაგალითად, თუ საკითხი ეხება პერსონალურ მონაცემებს, იგი უნდა გადაწყდეს ე.წ. „თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად“,[346] რომლის მიხედვითაც, პირი თავად გადაწყვეტს ან სახელმწიფოს წარმოეშობა უფლებამოსილება, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თუ რამდენად საჯარო შეიძლება გახადოს კონკრეტული სახის მონაცემები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, ინფორმაცია იყოფა: საიდუმლო და საჯარო ინფორმაციებად. საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, პრაქტიკული თვალსაზრისით, არ არის წარმოშობილი რაიმე სახის პრობლემური საკითხი. მისი მიღების უფლება გააჩნია ნებისმიერ მსურველს. რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციას, კომერციულ, პროფესიულ და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემების მქონე ინფორმაციას ესაჭიროება გრიფის დადება შესაბამისი პირის მიერ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციის გაცემაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განიმარტოს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ ინფორმაციად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ინფორმაციის პერსონალურად მიიჩნევს პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია. თავის მხრივ, ასეთი ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერ პირს, თუმცა თანამდებო-

---

[344] იხ. *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 50.

[345] *ქანთარია მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 41-ე მუხლი, 505.

[346] *ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005, 41-ე მუხლი, 361.

ბის პირთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება საჯარო დაწესებულებას გააჩნია.

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო განსაზღვრება გააკეთა თავის ერთ-ერთ განჩინებაში.[347] სასამართლოს განმარტებით, პერსონალური მონაცემები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: ჩვეულებრივ და განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებად. მაგალითად, პირის შეწყალების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ ინფორმაციად (მაგალითი მოყვანილია სასამართლოს მითითებულ განაჩენში აღნიშნული საქმის გარემოებების გათვალისწინებით).[348] მიუხედავად სასამართლოს მიერ განსაზღვრული განმარტებისა, თუნდაც ინფორმაცია ე.წ. „განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებს“ არ შეიცავდეს, მისი მიღების უფლება არ აქვს მესამე პირს და მათ შორის – მედია საშუალებას.

მედია საშუალების მოქმედების თავისუფლება იბოჭება სწორედ ამ ასპექტიდან გამომდინარე: პერსონალური ან სახელმწიფო ინფორმაციის გასაჯაროების უფლებამოსილებით იგი არ სარგებლობს თავისი საქმიანობის არცერთ ეტაპზე. შესაბამისად, დაუშვებელია საგაზეთო სტატიაში ან საინფორმაციო გამოშვებაში ან, ასევე, საგამოძიებო სახის თოქ-შოუში (გადაცემაში) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან მოვა შეუსაბამობაში.

12. ინფორმაციის მიღების უფლება გარემოს მდგომარეობის შესახებ

განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ცალკე დათქმას აკეთებს ინფორმაციის მიღების თაობაზე გარემოს მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის სპეციალურ ნორმას.[349]

ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ უპირატესად მოიცავს სახელმწიფოს მიერ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელიც მოსალოდ-

---

[347] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1240(კ-08) განჩინება.

[348] აღნიშნული სასამართლო განჩინების კრიტიკა იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემი, „სამართლის ჟურნალი“ №2 2012, თსუ, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 2013, 71-81.

[349] *ქანთარია ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 37-ე მუხლი, 464.

ნელ საფრთხეებს შეეხება (მაგალითად, ეკოლოგიურ კატასტროფას).[350] აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სახელმწიფოს ეკისრება გარემოს მდგომარეობის შესახებ ისეთი სახის ინფორმაციის გასაჯაროებაც, რომელიც მისთვის ცნობილი არ არის, მაგალითად, მიწისძვრის შესახებ ინფორმაცია.[351] მიწისძვრა ისეთი ბუნებრივი მოვლენაა, რომლის წინასწარი პროგნოზირება არ შეუძლია ფიზიკურ პირს და არც სახელმწიფოს. შესაბამისად, ასეთ საკითხთან დაკავშირებით, თუ საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა უშუალოდ მიწისძვრის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, სახელმწიფო ინფორმაციის მომთხოვნს პასუხად მხოლოდ მოვლენის წინასწარ განსაზღვრის შეუძლებლობაზე აუწყებს.

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტი ასახვას პოვებს საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებულ ცალკეულ სამართლებრივ ნორმებში. კერძოდ, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27[1] მუხლში განსაზღვრულია ცენტრის მიზნები. აღნიშნული კანონის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ცენტრის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით კი განსაზღვრულია ე.წ. „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“, რომლის საფუძველზეც საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლების საკითხი კონკრეტდება.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საკითხზე საუბრისას შესაძლებელია მოვიყვანოთ კონკრეტული შემთხვევა. მაგალითად, სახელმწიფოსთვის ცნობილი გახდა, რომ მოსალოდნელია მზეზე აფეთქება, რაც ადამიანებზე გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედებს (გამოიწვევს თავის ტკივილს, წნევის მერყეობას და ა.შ.). სახელმწიფო ვალდებულია, თავად ამცნოს მოსახლეობას ან მედიის მეშვეობით (პირველ შემთხვევაში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ სპეციალური საჯარო განცხადება, ხოლო მეორე შემთხვევაში – მედია საშუალების მიერ ამ ინფორმაციის გასაჯაროება იმისგან დამოუკიდებლად, საჯარო დაწესებულება მიიწვევს თუ არა პრესკონფერენციაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს) მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება და მისცეს მას გარკვეული რეკომენდაცია. რეკომენდაცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი შინაარსის განცხადებაში: „მაქსიმალურად თავი შეიკავეთ შენობიდან გარეთ გასვლისგან დღის 12:00 საათიდან 15:00 საათამდე პერიოდში; არ დაწვეთ მზეზე დღის მანძილზე“ და სხვ. თითოეული ასეთი სახის რეკომენდაცია ადამიანის იმ ძირითადი უფლების დაცვასაც გულისხმობის, რომელიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ეხება.

---

[350] იქვე, 465.

[351] იქვე.

13. მედიასამართალთან ადამიანის ძირითადი უფლებების ურთიერთმიმართება

როდესაც არსებობს, ერთი მხრივ, აბსოლუტური და, მეორე მხრივ, შეზღუდული უფლებების ურთიერთმიმართება, უპირატესობა აბსოლუტურ უფლებებს ენიჭება. მაგალითად, სიტყვის თავისუფლებასა და პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას შორის არსებული ურთიერთმიმართებისას, სიტყვის თავისუფლება, როგორც ადამიანის შეზღუდული უფლება, შესაძლებელია შეიზღუდოს კანონიერი ფარგლებიდან გამომდინარე, რისი ლეგიტიმური საფუძველიც პატივისა და ღირსების აბსოლუტურობაა.[352]

მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართებას ეხება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეეცადა, განემარტა მათ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნები და განსაზღვრა: „აზრი ან სიტყვა პირადულ სფეროს გასცდება და შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როდესაც ის გარე სამყაროსთან მოდის შემხებლობაში და პირადული სივრცის მიღმა მყოფი პირების უფლებებს ან საზოგადოების ინტერესებს უპირისპირდება. ასეთი „გამოვლინება" შინაგანი სამყაროს ფარგლებს სცდება და გამოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფეროდან. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა კონსტიტუციის 24-ე ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით იქნება შესაძლებელი".[353] სასამართლოს ამგვარი მოსაზრებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია აზრის თავისუფლება მანამ, სანამ იგი პირადულ სივრცეში რჩება, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი დაცული ხდება მას შემდეგ, რაც იგი პირადული სივრცეს გასცდება.[354]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავნმარტოთ, რომ სიტყვის თავისუფლება აზრის თავისუფლების ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს,[355]

---

[352] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქარველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[353] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ძვიად ძიძიგური და კახა კუკავა, დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[354] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი, 2013, 174.

[355] *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, მე-19 მუხლი, 158.

თუმცა იგი არ არის აზრის გამოხატვის თავისუფლების იდენტური. აღნიშნული განმარტების საფუძველია ის, რომ აზრის თავისუფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლითაა მოწესრიგებული, არ გულისხმობს აზრის გამოხატვის თავისუფლებას.[356]

ინფორმაციის თავისუფლებისა და საიდუმლოების შემცველი მონაცემების კონკურენციისას უნდა დადგინდეს, რამდენად შესაძლებელია ერთ-ერთი მათგანის შეზღუდვა. მაგალითად, პირის პირადი ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლო ვალდებულია, მიღებული გადაწყვეტილება ისე გაასაჯაროს, რომ მასში არ ასახოს პირთა შესახებ მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.[357]

მედიასამართლებრივი ურთიერთობისას ადამიანის თითოეული ძირითადი უფლება ერთმანეთთან მჭირდრო კავშირშია. მაგალითად, მედია საშუალების მიერ ინფორმაციის გავრცელება ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების არარსებობის შემთხვევაში არ იქნება ისე ფორმირებული, რომ შესაძლებელი გახდეს მის საფუძველზე კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვა.[358]

---

[356] იქვე, 159.

[357] *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2012, 318.

[358] *ჯორბენაძე ს.*, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 175.

თავი V რეკლამა

რეკლამა მედიასამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მისი არსის განხილვისას შესაძლებელია კავშირის დანახვა ისეთ დარგებთან, როგორიცაა: მარკეტინგი, ფსიქოლოგია და სხვ. თითოეული ასეთის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რეკლამის შინაარსსა და მის გავლენას საზოგადოებაზე.

თანამედროვე სამყაროში ყველა ადამიანზე მოქმედებს რეკლამა.[359] თითოეული სარეკლამო რგოლი ისე, რომ ადამიანი სრულად ვერც იაზრებს მას, გარკვეული მოქმედების განხორციელებისკენ უბიძგებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სარეკლამო ურთიერთობების სამართლებრივ დონეზე მოწესრიგება, რომელიც წინაპირობას შექმნის იმისას, რომ საზოგადოებამ არ მიიღოს ცრუ ინფორმაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

რეკლამის სახეებზე საუბრისას უპირველესად მნიშვნელოვანია, გამოიყოს მისი სამი ძირითადი სახე: **კომერციული, პოლიტიკური** და **სოციალური**.[360] თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი მოქმედების წინაპირობა და მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე უმთავრესი სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, რომ რეკლამამ საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს. ასეთი რეკლამა არასათანადო რეკლამად ჩაითვლება.[361/362]

გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, რეკლამის გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მან, გარდა კონკრეტული ქვეყნისა, სადაც უშუალოდ პროდუქტი იწარმოება, საზღვარგარეთის ქვეყნებიც მოიცვა. ისეთმა დიდმა კომპანიებმა, როგორებიცაა „ნაიკი", „ფილიპ მორისი" და სხვ. აქცენტი გადაიტანეს საერთაშორისო რეკლამის გავრცელებაზე.[363] აღნიშნულის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ დონეზე ძლიერი კონკურენცია და შესაბამისი საქონლის საჭირო ოდენობაა, რაც ბიზნესის გაფართოების მიზნით მათ საზღვრებს გარეთ მოქმედების განხორციელებისკენ უბიძგებს.[364]

რეკლამაზე საუბრისას წინამდებარე ქვეთავში შევეხებით მის გავრცელებას სხვადასხვა მედია საშუალებით. მივყვეთ თანმიმდევრულად:

---

[359] *ბელიჩი ი.ჯ., ბელიჩი მ.ე.*, რეკლამა და პრომოცია, წინასიტყვაობა VII.

[360] რეკლამის თითოეული სახის თაობაზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე.

[361] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 10 აპრილის №285/18 გადაწყვეტილება.

[362] რეკლამის შეზღუდვის სამართლებრივ საკითხებზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 110-167.

[363] *ბელიჩი ი.ჯ., ბელიჩი მ.ე.*, რეკლამა და პრომოცია, 639.

[364] იქვე.

1. რეკლამა ბეჭდურ მედიაში

ბეჭდურ მედიაში რეკლამის განთავსების თაობაზე, გარდა პოლიტიკური რეკლამისა, საქართველოს კანონმდებლობით სპეციალური რეგულაციები გაწერილი არ არის. ამდენად, საგაზეთო (ბეჭდური მედიის) რეკლამისას უნდა ვიხელმძღვანელოთ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ძირითადი დებულებებით.

საგაზეთო რეკლამის სახეობა უძველესია რეკლამის სფეროში. მას გააჩნია რიგი უპირატესობებისა, რაც, მაგალითად, გეოგრაფიულ შერჩევითობაში ან ფართოდ გავრცელებაში გამოიხატება.[365] უარყოფითი კუთხით, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ბეჭდვის დაბალი ხარისხი, როდესაც კონკრეტული სასაქონლო ნიშანი ან ფერი სათანადოდ არ იქნება გამოხატული (შავ-თეთრად და სხვ.).[366]

ბეჭდური მედიის რეკლამა ძირითადად სამ ასპექტშია განსახილველი: ილუსტრირებულ-გამომსახველობითი რეკლამა, სარეკლამო განცხადებები და სპეციალიზებული რეკლამები/ჩანართები.[367]

ილუსტრირებულ-გამომსახველობითია რეკლამა, რომელიც ბეჭდურ მედიაში გარდა წარწერებისა, ილუსტრაციით, სურათითა და სხვა აღმნიშვნელი ნიშნით იკავებს სარეკლამო ადგილს. ილუსტრირებული რეკლამა ყველაზე იოლად აღსაქმელია მომხმარებლისთვის, რადგან მომხმარებელს უქმნის წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რა სახის პროდუქციის პიარს ეწევა სარეკლამო ჩანართი.

სარეკლამო განცხადებები წარმოადგენს ბეჭდვითი სახით წარმოდგენილ სხვადასხვა სახის ინფორმაციას კონკრეტული მომსახურების გაწევის ან პროდუქციის (ასევე, ნივთის) გაყიდვის თაობაზე. იგი შეიძლება ეხებოდეს უძრავ ქონებას, ავტომანქანებს და სხვ.[368] თვალისთვის უფრო იოლად აღსაქმელი რომ იყოს თითოეული ასეთი სახის რეკლამა, გაზეთში შეიძლება იგი უფრო დიდი (ან განსხვავებული) შრიფტით იქნეს დაბეჭდილი, რაც ადამიანის ყურადღებას მეტად მიიპყრობს.

სპეციალიზებული რეკლამები და ჩანართები წარმოადგენს ბეჭდურის მედიის დამოუკიდებლად გავრცელებულ ინფორმაციას კონკრეტული პროდუქციის თაობაზე. ასეთია წინასწარ გამზადებული, დაბეჭდილი სახის რეკლამები, რომელიც გაზეთს ან ჟურნალს თან ერთვის.[369] ჩანართი შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის იყოს. მასში უმთავრესად იმ ძირითად ინფორმაციაზეა ყურადღება გამახვილებული, რამაც შემდგომში, კონკრეტული არჩევანის გაკეთებისას, უნდა მიიზიდოს მომხმარებელი.

---

[365] იქვე, 432-433.

[366] იქვე, 434.

[367] იქვე, 431 და შემდგომი, ნაშრომში მოყვანილი დიფერენციაცია აგებულია აღნიშნულ ლიტერატურაზე დაყრდნობით.

[368] იქვე, 432.

[369] იქვე.

2. რეკლამა რადიომაუწყებელზე

განსხვავებით ბეჭდური მედიისგან, რადიომაუწყებელზე რეკლამის განთავსება სხვადასხვა ფაქტორებზე დაფუძნებით უნდა განხორციელდეს რეკლამის დამკვეთის მიერ. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ის ძირითადი ასპექტები, რაც რადიოს ტელევიზიისგან, ინტერნეტისა და ბეჭდური მედიისგან განასხვევებს. კერძოდ, რადიოს სმენისას არ ხდება ფრაგმენტაცია, რაც წარმოსახვის თავისებურ საშუალებას ანიჭებს თითოეულ მომხმარებელს. ამასთან, რადიოთი გადაცემული რეკლამა შეზღუდულია. მისგან განსხვავებით, ტელერეკლამისას თითოეული მაყურებელი აბსოლუტურად მობილიზებულია.[370]

თუმცა, მგრძნობელობა უმთავრეს როლს ასრულებს კონკრეტული რადიორეკლამის საფუძველზე პროდუქციის გაყიდვის თვალსაზრისით. ის, რაც შეიძლება რადიოს ეთერით იქნეს გადაცემული (ლექსი, სიმღერა და სხვ.) არ საჭიროებს შესაბამისი პირის შერჩევასა და იმ მნიშვნელოვან დეტალებს, რაც პირს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ტელეეთერში გამოჩენისას.

რადიოში ან ტელევიზიაში რეკლამის განთავსებისას სამართლებრივი წინაპირობა შესაძლებელია მოძიებულ იქნეს სამ ძირითად სამართლებრივ ნორმაში: „რეკლამის შესახებ", „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებსა და საქართველოს საარჩევნო კოდექსში.

3. რეკლამა ტელემაუწყებელზე

ტელესამაუწყებლო რეკლამას სხვა მედია საშუალებებში რეკლამის განთავსებასთან შედარებით უდიდესი უპირატესობა გააჩნია. აღნიშნული გამომდინარეობს იმ აღქმის შესაძლებლობიდან, რომელიც ადამიანს ეძლევა თითოეული რეკლამის ყურებისას. აღნიშნულის პარალელურად, მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი მოწესრიგება იმდენად, რამდენადაც მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული პირთა უფლებები, მათ შორის, არასრულწლოვანთა და სხვათა უფლებები.

ტელესამაუწყებლო რეკლამას, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი უპირატესობა გააჩნია კრეატიულობისა და გავლენის, ასევე, სიხშირის დაფარვისა და ხარჯის ეფექტიანობის, ყურადღების მიქცევისა და შერჩევითობა/მოქნილობის ასპექტში.[371]

სატელევიზიო რეკლამის ერთ-ერთი სახეობაა **სპონსორობა**. კონკრეტულ ტერიტორიაზე წარმატებული კომპანიები ხშირად ასპონსორებენ სხვადასხვა გადაცემასა, თუ ღონისძიებას. მაგალითად, „ნატახტარი", „ჯეოსელი", „მაგთი", „ვისოლი", „სილქნეტი", „კავკასუს ონლაინი" და სხვ., თუმცა სპონსორობას, განსხვავებით რეკლამისგან, გააჩნია მნიშვნელოვანი და განსხვავებული სახის შეზ-

---

370 შეად. იქვე, 397.

371 იხ. იქვე, 365-367.

ღუდვები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მაგალითად, ამავე კანონის 68-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულოა დასპონსორებული გადაცემის დაწყებისას ან/და დასრულებისას (მხარეთა შეთანხმების მიხედვით) მიეთითოს სპონსორის სახელსა და გადაცემაზე, რომელიც დასპონსორებულია. მაგალითად: ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც საღამოს ეთერის სპონსორობის ხელშეკრულებას დებს „მაგთისთან“, აუცილებლად უნდა მიუთითოს ეთერში გასვლის შემდეგ, რომ საღამოს ეთერის სპონსორია „მაგთი“. უშუალოდ ტელემაუწყებლისა და სპონსორის შეთანხმების საგანია, ის, თუ დღის მანძილზე ეთერში რამდენჯერ გავა სპონსორობის აღმნიშვნელი რეკლამა.

ამასთან, არსებობს არაერთი შეზღუდვა, რომელიც სპონსორობას ეხება. მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ს“ ან ტელეკომპანია „მაესტროს“ (ან სხვა ნებისმიერ საერთო მაუწყებელს (ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელს)) არ გააჩნიათ უფლება, საინფორმაციო გამოშვებას ჰყავდეს სპონსორი (იხ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). კერძოდ, „კურიერს“ ან „მოამბეს“ არ ეყოლება სპონსორი, თუმცა თითოეული გადაცემის მიმდინარეობისას სარეკლამო ჭრა და შესაბამისი რეკლამის განთავსება დასაშვებია.

სატელევიზიო რეკლამისა და სპონსორობის ეთერში გადაცემა მისი დამკვეთისთვის ყველაზე მომგებიანია საღამოს საათებში. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა კვლევის შედეგად.[372] თითოეულმა ასეთმა კვლევამ ასახვა პოვა საკანონმდებლო დონეზე, როდესაც, მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა ტერმინი „საუკეთესო დრო“ (ე.წ. „Prime Time“),[373] რომელშიც მაუწყებელთა მიერ შეთავაზებული პაკეტის საფუძველზე, რეკლამისა და სპონსორობის განთავსება ჩვეულებრივ დროსთან შედარებით უფრო ძვირი ღირს.

4. რეკლამა ინტერნეტში

ინეტრენტში რეკლამის განთავსების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ცალკეული ნორმა. ამდენად, თითოეულ შემთხვევაში „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივად მოწესრიგებული ნორმით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ინტერნეტში რეკლამის განთავსება ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება გახდა. მაგალითისთვის ავიღოთ სოციალური ქსე-

---

[372] იხ. მაგალითად, *ქამსტოკი ჯ., ჩაფი ს., კაცმანი ნ., მაკკომბსი მ., რობერტსი დ.*, ტელევიზია და ადამიანის ქცევა, ინგლისურიდან თარგმანის ავტორები: იაშვილი ი., სამაგლიშვილი ლ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989, 24.

[373] იხ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი: „*საუკეთესო დრო* – დრო 19.00 სთ-დან 24.00 სთ-მდე, როდესაც შესაძლებელია მაუწყებლის პროგრამებს უყუროს ან უსმინოს მისი მომსახურების ზონის აუდიტორიის პიკურმა რაოდენობამ“.

ლები, რომლებშიც კონკრეტულ კომპანიებს[374] ცალკე გვერდი აქვთ გამოყოფილი და მასზე დებენ უამრავი სახის ინფორმაციას, როგორც პროდუქციისა და მომსახურების, ისე – მათი ცხოვრების შესახებ.

ინტერნეტში რეკლამის სახეებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ:

ონლაინ ბანერები – ინტერნეტრეკლამის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, იხილოს კონკრეტული პროდუქცია, ინტერნეტის შესაბამის ვებგვერდზე წარმოდგენილი მოცულობითი ფართობით.[375]

სპონსორობა, რომელიც განსხვავდება ტელესამაუწყებლო სპონსორობისგან. ინტერნეტში სპონსორობა შეიძლება კონკრეტული ვიდეოს გახსნამდე იყოს დაფიქსირებული. მაგალითად, სპორტულ ვებგვერდზე შესაბამისი ვიდეოს ყურებამდე შეიძლება გაუკეთდეს რამდენიმეწამიანი რეკლამა სპორტულ მაღაზიას.

მნიშვნელოვანია აღნიშნულ იქნეს **პოპ-აპის/პოპ-ანდერსის** საკითხი, რომელიც წარმოადგენს გამოსახულებას, რომელიც ვებგვერდზე შესვლისას რამდენიმე წამით ჩნდება.[376] მაგალითად, ინტერნეტ ტელევიზია Myvideo.ge–ზე სასურველი ტელეარხის ყურებამდე გადის რეკლამა, რომელიც დაახლოებით ხუთ წამს გრძელდება. ასევე, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მიმდინარეობისას worldsport.ge-ს სპეციალურ განყოფილებაში, რომელიც მხოლოდ ჩემპიონატს ეხებოდა, რამდენიმე წამით ჩნდებოდა ერთ-ერთი საბუკმეკერო კომპანიის რეკლამა.

ინტერსტიციალური ჩანართები წარმოადგენს რეკლამის სახეს, როდესაც ვებგვერდის ატვირთვა ხდება და ეკრანზე ჩნდება სარეკლამო რგოლი.[377] მასსა და პოპ-აპს შორის ერთი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს, რომელიც ტექნოლოგიურ საკითხს უკავშირდება. კერძოდ, თითოეულის შემთხვევაში შესაძლებელია, შესაბამისი ტექნიკური საშუალებით დაიბლოკოს რეკლამის განთავსება ტელეეკრანზე ინტერნეტში შესვლისას. ეს, რა თქმა უნდა, დიდ დაბრკოლებას უქმნის რეკლამის დამკვეთს, რომლის მიერ გაღებული თახნა ზოგ შემთხვევაში უმიზნოდ იხარჯება.

ბმულები და ფასიანი საძიებლები. პირველი მათგანი წარმოადგენს კონკრეტულ ვებგვერდზე განთავსებულ სხვა ვებგვერდის ელექტრონულ მისამართს, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც მომხმარებელს წარმოეშობა შესაძლებლობა, გამოიყენოს სხვა ვებგვერდი.[378] აღნიშნულისგან განსხვავდება ფასიანი საძიებლები, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ფასიანი საძიებლის დახმარებით მიიღოს მისთვის სასურველი სარეკლამო ინფორმაცია.

---

[374] იხ. მაგალითად, „კოკა-კოლას“ ოფიციალური Facebook-ის გვერდი, რომელსაც 2014 წლის 4 ივლისის მონაცემებით 84 მილიონზე მეტი მოწონება აქვს: <**https://www.facebook.com/cocacola**> [04.07.2014].

[375] იხ. *ბელიჩი ი.ჯ., ბელიჩი მ.ე.*, რეკლამა და პრომოცია, 500.

[376] იქვე, 501.

[377] იქვე.

[378] იხ. იქვე.

თავი VI სოციალური საკითხების მოწესრიგება მედიასამართალში

მედიასამართალში სოციალური საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით განსახილველი თემა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს კანონმდებლობაში არსებული დათქმიდან. სამწუხაროდ, კანონით არ არის განსაზღვრული სოციალური საკითხების გაშუქების მოწესრიგება. კერძოდ, სოციალურ საკითხებზე საუბარი შესაძლებელია წარმათულ იქნეს მხოლოდ ორ ძირითად ასპექტში: რეპორტაჟის მომზადება სოციალურ საკითხზე და სოციალური რეკლამა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სოციალური საკითხების გაშუქება მაუწყებელთა მიერ

სოციალური საკითხი ყოველთვის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონეა. აღშნიშნულში მოიაზრება ნებისმიერ, ისეთ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა მაგალითად: სოციალურად დაუცველობა, გარემოს დაცვა და სხვ.

თავდაპირველად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იკრძალება სოციალურ და პოლიტიკური ხასიათის რეპორტაჟების სპონსორობა. აღნიშნული დათქმა რეალურად ასახავს კანონმდებლის ნებას, მედია საშუალებებმა ყოველგვარი ფინანსური მოგების გარეშე გაასაჯაროონ სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული ინფორმაცია.

სოციალური საკითხების გაშუქების საკითხი ორი ძირითადი თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული: ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ და ბ) კერძო მაუწყებლის მიერ.

1.1 საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქების ვალდებულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებანი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლშია მოწესრიგებული. აღნიშნული მუხლის საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი სამართლებრივი ასპექტი:

ა) მითითებული მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა უზრუნველყოს მესამე პირებისგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. აღნიშნული დამოუკიდებლობა წარმოადგენს მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საფუძველს, რომელიც აისახება შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისას.

ბ) მითითებული მუხლის „თ“ ქვეპუნქტი – საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, საკუთარ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ასეთი შინაარსობრივი ვალდებულება შესაძლებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქების ერთ-ერთ მავალდებულებელ ნორმადაც მივიჩნიოთ.

გ) დასახელებული მუხლის „კ“ ქვეპუნქტი: საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, „გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები“ – მუხლში შეგნებულადაა აქცენტი გაკეთებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესის დაცვის საკითში შეიძლება ნებსიმიერი პირი იყოს.

დ) ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით – საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას. თითოეული მათგანი საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია, თუმცა აღნიშნულ ინსტიტუტებზე სახელმწიფოს მხრიდანაც დიდია დაინტერესება. შესაბამისად, სოციალური საკითხების გაშუქება სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოანია. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ძირითად ღირებულებებზე შეუქმნას წარმოდგენა, ხოლო კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით – ქცევის განხორციელების სამართლებრივობასა და მორალურობაზე (რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაციის გაშუქება არ არის საჭირო ყველა ადამიანისთვის. ხშირად ხდება ისეთი დანაშაული ან პირის ცილისწამება, რომ ადამიანი ვერც იაზრებს ამას. საზოგადოებრივი მაუწყებლის მოვალეობა ამ შემთხვევაში სწორედ მაღალი ღირებულებებისა და ფასეულობების საზოგადოებისთვის მიწოდებაა).

ე) ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში წარმოდგენილია უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ ქცევის შესაბამისი წესი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულება წარმოდგენილია უმცირესობების ენაზე შესაბამისი პროგრამების განთავსებით. ასეთი ენები შეიძლება იყოს რუსული, აზერბაიჯანული და სხვ.

არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თითოეული ინფორმაციის გაშუქების ვალდებულება სოციალურ საკითხთა წრეში უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულ მოსაზრებას გააჩნია გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები. წინამდებარე ქვეთავში ძირითადი ვალდებულებებიდან გამოვყოფთ მხოლოდ იმ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხს, რომელიც უფრო მეტად სოციალურ თემატიკას ეხება.

1.2 კერძო მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქება

კერძო მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქება არსებითი ვალდებულების წინაპირობას არ წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, კერძო მაუწყებელს არ აქვს კანონის საფუძველზე განსაზღვრული ისეთი აუცილებელი მოთხოვნები, როგორც ეს საზოგადოებრივი მაუწყებელს გააჩნია.

კერძო მაუწყებელმა სოციალურ საკითხებზე ინფორმაციის გადაცემისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გაამახვილოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსში (შემდგომში – მქკ) არსებულ დათქმებზე. ამ მხრივ, უმეტეს შემთხვევაში ვალდებულების ნაცვლად მოცემულია კონკრეტული სახის აკრძალვები, რომლებითაც განსაზღვრულია ის, თუ რა მოქმედებაა შესასრულებლად სავალდებულო.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს მქკ-ის 32-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, მაუწყებელს ეკისრება თანასწორობის პრინციპის დაცვა ტელეეთერში ნებისმიერი სახის პროგრამის განთავსებისას. აღნიშნულის საფუძველზე, მაუწყებელმა მიუკერძოებლად უნდა განახორციელოს საკუთარი საქმიანობა და თავიდან აიცილოს ნებისმიერი შეურაცხყოფა, მათ შორის, სოციალურიც. ერთი მხრივ, კანონში გაწერილია სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფის საკითხი, თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი შეიძლება იყოს სოციალური სტატუსიდან გამომდინარე შეურაცხყოფის მიყენება და სხვ.

მქკ-ის XII თავი ეხება უშუალოდ ანტისოციალურ ქმედებას. ამ ტერმინში მოიაზრება ისეთი ინფორმაციის გაშუქება, რომელმაც შეიძლება საზოგადოებაში გამოიწვიოს არეულობა. XII თავის სათაური პირდაპირ კავშირშია დანაშაულთან. შესაბამისად, მქკ-ის 48-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს მაუწყებლის ვალდებულებას, თავი შეიკავოს ისეთი მასალის გაშუქებისგან, რომელმაც შეიძლება წაქეზოს დანაშაულის ჩასადენად კონკრეტული პირი ან პირთა გაერთიანება.

ცალკე განხილვის თემაა მქკ-ის 50-ე მუხლი, რომელშიც მაუწყებლის მიერ ანტისოციალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის შეკავების საკითხია მოწესრიგებული. სოციალური საკითხების გაშუქება თავისი ბუნებით საზოგადოებრივი სიკეთის რეალიზაციისკენ მიმართული მოქმედებაა და აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ისეთი ინფორმაციის (რეპორტაჟების) განთავსების აკრძალვას ეხება, როგორცაა საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკის შექმნა, სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად რაიმე ოპერაციაზე დასწრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოპერაცია საზოგადოებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა და სხვ.

1.3 შუალედური შედეგი

წინამდებარე თავში განხილულ იქნა საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლის მიერ სოციალური საკითხების გაშუქების საკითხი. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არაფერია მითითებულ ბეჭდური მედიის საშუალებით ან

ინტერნეტით სოციალური საკითხების გაშუქების თაობაზე. ამ მხრივ, საკითხის გადაწყვეტისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამართლისა და კანონის ანალოგია, რომლის მიხედვითაც, ბეჭდურმა მედიის საშუალებამ (ასევე ინტერნეტ მედია საშუალებამ) უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპი ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებისას.

2. სოციალური რეკლამა

სოციალური რეკლამის არსი მოსახლეობის უფლებებისა და ვალდებულებების წარმოჩენაში მდგომარეობს, რომელსაც გარკვეულწილად ქველმოქმედების ხასიათი გააჩნია.[379] ასეთი რეკლამა არ არის მომგებიანი არც მისი დამკვეთისა და არც მაუწყებლისთვის. მის მიზანს საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობა და ქველმოქმედება წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს სოციალური რეკლამის ძირითადი პრინციპიც, რომელთაგან ერთ-ერთი სოციალური რეკლამის სტატუსს ეხება. კერძოდ, იგი არ უნდა იყოს კომერციული ან საარჩევნო რეკლამის ნიშნების შემცველი.[380]

სოციალური რეკლამის მთავარი არსი მაუწყებელთა, როგორც სპეციფიკური შესაძლებლობის მქონე საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მიერ, მოსახლეობის ინფორმირებაა, მაგალითად, საკითხი, თუ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ადამიანს სიგარეტის მოწევამ ან ჭარბი ალკოჰოლის დალევამ. აღნიშნულ კადრებში არ უნდა ჩანდეს კონკრეტული კომპანიის სახელწოდება, ლოგო და სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. რეკლამამ უნდა ასახოს მხოლოდ ფაქტი.

სოციალურ რეკლამად ჩაითვლება, მაგალითად, ქალაქის სისუფთავის შესახებ სარეკლამო რგოლი, რომელშიც ნაჩვენები იქნება, თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიღოს მოქალაქეების მიერ ქალაქის ქუჩებში ნაგვისა და სხვადასხვა საგნების დაყრამ და რომ ასეთი სახის ქმედება არ არის ახალგაზრდა თაობისთვის მისაბაძი;[381] ასევე, სიგარეტის მოწევის თაობაზე რეკლამა, რომლითაც ნაჩვენები იქნება, თუ რა უარყოფით შედეგებთანაა დაკავშირებული მწეველთა მიერ მისი მოხმარება[382] და სხვ.

---

379 *ჩართოლანი გ.*, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, 233.

380 სოციალური რეკლამის პრინციპების თაობაზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე 79-80.

381 იხ. მაგალითად, <**http://www.youtube.com/watch?v=bXRPWDpobtA**> [07.07.14].

382 იხ. მაგალითად, <**http://www.youtube.com/watch?v=NF7EkgAY_E0**> [07.07.14].

თავი VII მედიასამართალი და არჩევნები

არჩევნები ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს. საარჩევნო სუბიექტთა მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად ხორციელდება მოსახლეობის ინფორმირება სხვადასხვა განსახორციელებელ გეგმებთან დაკავშირებით, რაშიც აქტიურადაა ჩართული მედია.[383]

მედიის მეშვეობით, შესაძლებელია, პირმა საარჩევნო სუბიექტს მისცეს ხმა ისე, რომ საერთოდ არ იცნობდეს მას და მის საარჩევნო პროგრამას. გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ტელევიზია აქვეითებს საკუთარი პუბლიკის უნარს, შეიქმნას ობიექტური წარმოგდგენა რეალური პოლიტიკური მოცემულობების შესახებ".[384] ამდენად, ტელევიზიის როლი წინასაარჩევნო პერიოდში უდიდესია. მას გააჩნია შესაძლებლობა, მიაწოდოს ამომრჩეველს ისეთი ინფორმაცია, რომელიც, ერთი შეხედვით თითქოს საზოგადოებისთვის არსებითი მნიშვნელობის არაა, თუმცა სარეკლამო ან სხვა სახის სიუჟეტის საშუალებით, საარჩევნო სუბიექტმა ამომრჩეველი სწორედ ამ ასპექტში დააფიქროს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიაღებინოს. მედია საშუალება და, უპირატესად, ტელევიზია, ეს არის ამა თუ იმ პოლიტიკური მრწამსის წინ წამოწევის, ამა თუ იმ პარტიისადმი მხადრაჭერის გამოხატვის სტიმულირებისა და ხმის მიცემისათვის ხალხის მომზადების ძირითადი საშუალება.[385]

მართალია, პოლიტიკურ პარტიებს შემოწირულობების მიღების უფლება აქვთ, მაგრამ მასმედიის მიერ გაწეული მხარდაჭერა მათთვის ყველაზე დიდ შემოწირულობას წარმოადგენს.[386] პარტიათა მიერ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსება მათთვის მინიჭებული პრივილეგიაა.[387] ამდენად, მედია გარკვეულ ბერკეტს წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტებისთვის, მეტი პოპულარობის შეძენისა და საკუთარი თავის დადებით კონტექსტში წარმოჩენისთვის.

საარჩევნო სუბიექტები/პოლიტიკოსები მედიაში ხშირად გამოჩენის მიზნით სპეციალურ ქმედებებსაც ახორციელებენ, მაგალითად, ატარებენ პრესკონფერენციებს, ხვდებიან ამომრჩევლებს და სხვ.,[388] სადაც მოსახლეობას აცნობენ თავიანთ სამომავლო გეგმებსა და მიზნებს. ამდენად, მედიის თავისუფალი განვითარება

---

[383] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *მელუაძე ო.*, საარჩევნო სამართალი, 128.

[384] *კობახიძე ი.*, პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, 150.

[385] *ქამსტოკი ჯ., ჩაფი ს., კაცმანი ნ., მაკკომბსი მ., რობერტსი დ.*, ტელევიზია და ადამიანის ქცევა, ინგლისურიდან თარგმანის ავტორები: იაშვილი ი., სამაგლიშვილი ლ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1989, 20.

[386] *კობახიძე ი.*, პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, 153.

[387] *Eberle C.-E.*, Parteienwahlwerbung im Fernsehen, Alte Probleme – gewandelte Verhältnisse – neue Aspekte, NJW, Heft 14, Verlag C.H. Beck, München, 1994, 906.

[388] *ლანგი ი.*, მედია და არჩევნები, სახელმძღვანელო, თარგმანი, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს გამოცემა, გამომცემლობა „რეგტაიმი", თბილისი, 2003, 21.

რთულია დღევანდელ რეალობაში იმდენად, რამდენადაც იგი პოლიტიკოსთა მიერ საზოგადოების მართვისა და კონტროლის საშუალებად გამოიყენება.[389]

1. მედიასამართალი და არჩევნების ძირითადი პრინციპები

არჩევნების ჩატარება დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. ამდენად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის ძირითად პრინციპებს, რომელიც ხუთი ძირითადი თავისებურებით გამოირჩევა.[390] ეს პრინციპებია: საყოველთაო საარჩევნო პრინციპი, თანასწორობის საარჩევნო პრინციპი, პირდაპირი საარჩევნო პრინციპი, არჩევნების ფარულობა და თავისუფალი არჩევნების პრინციპი.

საყოველთაო საარჩევნო პრინციპი – აღნიშნული პრინციპი გულისხმობს ნებისმიერი პირის აქტიური ხმის უფლებას.[391] თუ საარჩევნო სიების დროს შესაბამის სტრუქტურას გამორჩა ამომრჩეველი და არ შეიყვანა საარჩევნო სიაში, მედია საშუალებას აქვს აბსოლუტური უფლება, ასეთი სახის ინფორმაცია გაასაჯაროოს. **საარჩევნო პრინციპის დარღვევა არ წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც გამოსწორებას არ ექვემდებარება.** შესაბამისად, ხარვეზის აღმოსაფხვრელად მედია საშუალების გამოყენება აბსოლუტურად დასაშვებია.

თანასწორობის საარჩევნო პრინციპი – დასახელებული სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს, რომ ამომრჩეველსაც და კანდიდატსაც არჩევნებზე თანაბარი ზემოქმედების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ.[392] ასეთი უფლებით სარგებლობს პოლიტიკური პარტიაც,[393] რომელსაც საარჩევნო პერიოდში საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის საფუძველზე მინიჭებული საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა გააჩნია.[394] აღნიშნული მუხლით აღიარებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება.[395] თანასწორი საარჩევნო უფლების შეზღუდვის

---

[389] *Meyer T.*, Medienrecht im Kontexts standortrelevanter Faktoren Bestimmungsfaktoren für die Standortentscheidung privater Fernsehveranstalter in Deutschland – unter besonderer Berücksichtigungen, München, Utz, 1997, 54.

[390] დიფერენციაცია აგებულია შემდეგ ლიტერატურაზე დაყრდნობით: *მელუაძე ო.*, საარჩევნო სამართალი, 27-55.

[391] იქვე, 28.

[392] საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 173.

[393] იხ. *კობახიძე ი.*, პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, 82.

[394] *იზორია ლ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 28-ე მუხლი, 339.

[395] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის №2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო

შემთხვევაში, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პარტიას (მის წარმომადგენელს) გააჩნია უფლებამოსილება, ინფორმაცია გაასაჯაროს, ხოლო, მეორე მხრივ, მედია საშუალების დახმარებით მოსახლეობისთვის შესაძლებელი გახადოს მომხდარ ფაქტზე შესაბამისი ანალიზის გაკეთება.

პირდაპირი საარჩევნო პრინციპი წარმოადგენს მოსახლეობის შესაძლებლობას, არჩევნებში უშუალო მონაწილეობით აირჩიოს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, შუამავლის (დელეგატის) გარეშე,[396] ან თავად იქნეს არჩეული ამომრჩეველთა მიერ.[397] სხვა სიტყვებით, რომ ითქვას სამართლებრივ დონეზე არ არის მოწესრიგებული ისეთი ინსტანცია, რომელიც თავად აირჩევდა პირს წარმომადგენლობით ორგანოებში შესაბამის თანამდებობებზე.[398]

არჩევნების ფარულობის პრინციპი – ზოგადად, საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისას შესაძლებელია კანონის საფუძველზე განისაზღვროს კონკრეტულ თანამდებობაზე (არ იგულისხმება სახელმწიფო თანამდებობა) ღია არჩევნების ჩატარების წესი, თუმცა თვითმმართველ ორგანოებში პირის არჩევის წესი ფარულია. აღნიშნული საკითხი დაცულია პრინციპით: არავის აქვს უფლება, მოიპოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა.[399] ამასთან, ჟურნალისტის მიერ შეკითხვის დასმა ამომრჩევლისათვის ხმის მიცემის თაობაზე არ წარმოადგენს ასეთი უფლების დარღვევას. პირიქით, მას და არა მხოლოდ ჟურნალისტს, ნებისმიერ პირს გააჩნია შესაძლებლობა, კითხოს ამომრჩეველს დაფიქსირებული პოზიციის თაობაზე. კითხვაზე პასუხის შემთხვევაში ინფორმაცია საჯარო გახდება და საჭირო არ იქნება მისთვის შეზღუდვის დაწესება, თუმცა კითხვაზე პასუხის გაუცემლობა ჟურნალისტს არ უტოვებს უფლებას, დამოუკიდებლად მოიძიოს აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია და მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი გახადოს იგი.

თავისუფალი არჩევნების პრინციპი – იგი ეხება მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებს.[400] აღნიშნული უფლების საფუძველზე ამომრჩეველი თავად წყვეტს, მივიდეს თუ არა არჩევნებზე და დააფიქსიროს თუ არა საკუთარი პოზიცია.[401] დასახელებული პრინციპის გამოყენება საქართველოში აქტუალურია, ვინაიდან არ მოქმედებს ხმის მიცემის სავალდებულო წესი,[402] რაც, თავის

ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

396 *მელუაძე ო.*, საარჩევნო სამართალი, 49.

397 საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 173.

398 *იზორია ლ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 338.

399 *მელუაძე ო.*, საარჩევნო სამართალი, 52.

400 საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 174.

401 იქვე.

402 აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *მელუაძე ო.*, საარჩევნო სამართალი, 52 და შემდგომი.

მხრივ, პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში ჩაურევლობას გულისხმობს.

თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილეობას იღებდეს მედია საშუალება როგორც ერთგვარი მაკონტროლებელი რგოლი. ცალკეული გადაცდომის ან ჩამოთვლილთაგან რომელიმე პრინციპის დარღვევის შემთხვევაში მედიას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, რომ გაავრცელოს ინფორმაცია. ასეთი უფლების შეზღუდვა მედიის დამოუკიდებლობაში ჩარევა ან თავისუფლების უფლების შელახვა იქნებოდა. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა მედია საშუალების როლი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის აზრის ფორმირებას და ეხმარება არჩევანის გაკეთებაში.[403]

2. საარჩევნო სამართლით მედიასამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება

საქართველოს საარჩევნო კოდექსში დეტალურადაა გაწერილი მედიის თითოეული საშუალების (გარდა ინტერნეტსივრცისა) მიერ განსახორციელებელი ვალდებულებების საკითხი. წინამდებარე თავში აღწერილი იქნება ძირითადი თემები, რომლებიც უშუალოდ მედიის საქმიანობის სამართლებრივ მოწესრიგებას შეეხება, ხოლო შემდგომი ქვეთავები დაეთმობა ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტებს, როგორიცაა წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა, დებატები, გაშუქების ვალდებულება და სხვ.

თავდაპირველად აღვნიშნოთ მედიის როლი საარჩევნო პროცესში. საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის (საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი) მე-16 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მიხედვით, **კენჭისყრის შენობაში დასწრების უფლებამოსილებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები სარგებლობენ, რომელთაც გავლილი აქვთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაბამისი რეგისტრაცია.**[404] აღნიშნული დათქმა წარმოადგენს დემოკრატიული კანონმდებლობის ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ელემენტს. მედია კენჭისყრის მომენტში გვევლინება არა მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელ საშუალებად, არამედ როგორც დამკვირვებლად. ნებისმიერი დარღვევის არსებობის შემთხვევაში მედია საშუალებას უფლება აქვს გაასაჯაროს ინფორმაცია და მიაწოდოს მოსახლეობას (მესამე პირებს) იგი.

---

[403] *იზორია ლ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 338.

[404] აღნიშნულის თაობაზე დეტალური დათქმისთვის იხილეთ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 44-ე მუხლი.

2.1 მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი

არჩევნების ობიექტურად გასაშუქებლად მედია საშუალებებს მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გააჩნიათ. საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ასეთი პრინციპის დაცვის ვალდებულებაზე აკეთებს დათქმას. მიუკერძოებლობა და, ამასთან, სამართლიანობა დაცული იქნება, თუ პირმა ინფორმაცია ობიექტურად, თავისი შეხედულებებისა და გრძნობების გათვალისწინების გარეშე გააშუქა.[405] თითოეული ვარაუდი, რომელიც შეიძლება ინფორმაციის გავრცელებისას პირის მიერ სათაურად ან საინტერესო ფაქტად იქნეს წარმოჩენილი, აუცილებლად უნდა იყოს გადამოწმებული და შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობილი.[406]

მიუკერძოებლად და სამართლიანად ინფორმაციის გაშუქების ვალდებულება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლითაა განსაზღვრული. აღნიშნულის საფუძველზე მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ფაქტის ზუსტი და სამართლიანი გაშუქება ისე, რომ შესაძლებელი იყოს ერთმანეთისგან ფაქტისა და აზრის გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება. ასეთი დათქმის საფუძველზე მედია საშუალებამ (მაუწყებელმა) განსხვავებულად უნდა წარმოაჩინოს საკუთარი მოსაზრება და ფაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაობიექტური ინფორმაცია მაყურებელს შეცდომაში შეიყვანს (თუნდაც მედია საშუალებას ასეთი განზრახვა არ გააჩნდეს).

დასახელებული მუხლის მე-2 პუნქტით მაუწყებლებს ეკრძალებათ დისკრიმინაცია რაიმე ნიშნის მიხედვით. აღნიშნული წესი ვრცელდება წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქების დროს, როდესაც ინფორმაციის ობიექტურად გაშუქება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის. ასეთი დათქმა არ წარმოადგენს მედია საშუალების უფლებაში ჩარევას, კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას. კონსტიტუციით მედია საშუალება თავისუფალია საარჩევნო მასალის შერჩევაში, ის სახელმწიფოს არ უთანხმებს გასაშუქებელ საკითხებს,[407] თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი ფარგლების გათვალისწინებით, მისი მოქმედების არეალი სხვათა უფლებები დაცვის მიზნითაა შემცირებული.

ინფორმაციის მიუკერძოებლად გაშუქების საკითხი მაუწყებელთა ქცევის კოდექსით არის განსაზღვრული, სადაც მიუკერძოებლობა ჯეროვანი სიზუსტის ჭრილშია განხილული (იხ. აღნიშნული კოდექსის მე-12 მუხლი). დასახელებული პრინციპი წარმოადგენს მაუწყებლის ვალდებულებას, ინფორმაცია ისეთი სახით გადასცეს, რომ დაიცვას კონკრეტულად მომხდარი ფაქტი. მაგალითად, თუ წინა-

---

[405] *მენჩერი მ.*, მელვინ მენჩერის ახალი ამბების გაშუქება და წერა, მეთორმეტე გამოცემა, ლაშა გველესიანის თარგმანი, გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2013, 30.

[406] იქვე, 31.

[407] იქვე, 209.

საარჩევნო პერიოდში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლმა მორალურად გაუმართლებელი ქმედება განახორციელა, მაუწყებელი ვალდებულია, ასეთი ინფორმაციის გაშუქებისას აღნიშნოს ის რეალური ფაქტები, რაც ამ ინციდენტს ახლდა თან და ინფორმაცია გაასაჯაროოს ისე, როგორც მისთვის იქნება უფრო მეტად ხელსაყრელი.

2.2 წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა

პოლიტიკური რეკლამა ხელს უწყობს არჩევნების თავისუფლად და გამჭვირვალედ ჩატარებას.[408] პოლიტიკური რეკლამის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნებისთვის.[409] იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების დადებითი და უარყოფითი მხარეების თაობაზე.[410] ისევე, როგორც უცხო ქვეყნებში, საქართველოშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სარეკლამო რგოლების განთავსებით ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე.[411]

წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ვალდებულება მხოლოდ სამაუწყებლო სფეროთი არ შემოიფარგლება. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლი დაწვრილებით საუბრობს გაზეთის, როგორც ბეჭდური მედიის, ერთ-ერთი საშუალების ვალდებულებაზე წინასაარჩევნო პერიოდში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ბეჭდური მედიის ორ ძირითად სახედ დაყოფა: ა) გაზეთებად, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ბ) გაზეთებად, რომლებიც ფინანსდება დამფუძნებლის მიერ. პირველ შემთხვევაში მკაცრადაა განსაზღვრული გაზეთის ის ფართობი, რაც უნდა დაეთმოს საარჩევნო სუბიექტს. გაზეთში სარეკლამო ფართობი მისი ტირაჟის პროპორციულია: იმ შემთხვევაში, თუ გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ, მაშინ თითოეული საარჩევნო სუბიექტისადმი საარჩევნო რეკლამის განთავსების ვალდებულება გაზეთს ყოველკვირეულად, გამოცემის პროპორციულად გააჩნია, ხოლო, თუ გაზეთი ყოველდღიურად გამოდის, საარჩევნო რეკლამისთვის ფართობის დათმობაც აღნიშნულის ანალოგიურად უნდა განხორციელდეს. ამასთან, გაზეთი, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასეთი ვალდებულებებით არ არის შეზღუდული. აღნიშნული მედია საშუალების მიერ საქმიანობის განხორციელების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრის საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული.

---

[408] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 83.

[409] *ჩართოლანი გ.*, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, 228.

[410] იხ. *ლანგი ი.*, მედია და არჩევნები, სახელმძღვანელო, თარგმანი, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს გამოცემა, გამომცემლობა „რეგტაიმი", თბილისი, 2003, 38-53.

[411] *ცნობილაძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2004, 206.

2.3 დებატები

დებატების გაშუქების ვალდებულება მაუწყებლისთვის მხოლოდ მაშინაა სავალდებულო, თუ იგი გადაწყვეტს საკუთარ ტელეეთერში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას (იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კანონში არსებული ასეთი დათქმა თავის მხრივ, გულისხმობს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობის აუცილებლობასა და დებატების არადისკრიმინაციული სახით გადაცემას. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის ეთერის დათმობის საკითხი ვრცელდება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე (საზ. მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოზე), სათემო მაუწყებელსა და საერთო მაუწყებლობის მქონე ლიცენზიის ეროვნულ მაუწყებელზე. რაც შეეხება სპეციალიზებულ ან ადგილობრივ მაუწყებელს, ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს განსხვავებულ დათქმას, რომლის მიხედვითაც, დებატებში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ არა მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.

დებატების არადისკრიმინაციულად ჩატარებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ყველა მხარის მიწვევა ტელედებატებში მონაწილეობის მიღებისთვის. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, თავად თქვას უარი დებატებში მონაწილეობაზე (მიზეზს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. იგი შეიძლება იყოს, მაგალითად, მაუწყებლისადმი ანტიპატია), თუმცა ამ მიზეზის გამო ტელემაუწყებელმა კონკრეტული სუბიექტის (სუბიექტის წარმომადგენლის) მიწვევისგან თავი არ უნდა შეიკავოს.

3. „Must Carry“[412]

3.1 ზოგადი განმარტებისთვის

საქართველოში, 2012 და 2013 წლებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამკვიდრდა ე.წ. „სავალდებულო ტრანზიტის“ („Must Carry-ს“)[413] ცნება. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობით: ერთი მხრივ, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები უდიდეს პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა და საზოგადოებრივი ინტერესი ძალიან მაღალი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ინტერესის ფონზე საზოგადოებას არ შეეძლო, ყველა ტელე-

---

[412] წინამდებარე თავში განხილული საკითხი, რომელიც ე.წ. „სავალდებულო ტრანზიტს“ ეხება, გამოქვეყნებულია ინგლისურ და რუსულ ენაზე სამართლის შემდეგ ჟურნალში: Южнокавказский Юридический Журнал, South Caucasus Law Journal, GIZ, №5.

[413] განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტი წინამდებარე ნაშრომში მოიხსენიება, როგორც „Must Carry“ ან/და „სავალდებულო ტრანზიტი“.

მაუწყებლის გადაცემისთვის ეყურებინა, ვინაიდან რამდენიმე საკაბელო ოპერატორი არ გადასცემდა ზოგიერთი ტელემაუწყებლის საეთერო სიგნალს. თუ მოვიშველიებთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, აშკარაა, რომ კონკრეტულ საკითხზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში ინფორმაციის გასაჯაროება სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს.[414] აღნიშნული დათქმა „სავალდებულო ტრანზიტის" შემოღების წინაპირობას წარმოადგენს. „სავალდებულო ტრანზიტის" სამართლებრივი ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება თავიდანვე დაკვალიფიცირდა როგორც დემოკრატიული კანონმდებლობის შექმნის ერთ-ერთი მცდელობა.

3.2 „Must Carry-ს" არსი

„Must Carry", ანუ ე.წ. „სავალდებულო ტრანზიტი" გულისხმობს საკაბელო ოპერატორში (მაუწყებლობის ტრანზიტის განმახორციელებელ საშუალებაში) ტელემაუწყებლობის სიგნალის განთავსებას. „სავალდებულო ტრანზიტს" საქართველოში არ შემოიღებდნენ, რომ არ ყოფილიყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმართ. აღნიშნულზე მეტყველებს არაერთი გამოთქმული მოსაზრება და ექსპერტთა შეფასებები, რომლებიც მის მიღებას სწორედ წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირებდნენ.[415] ამ მხრივ საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა დისკუსია,[416] რომელიც პირველ ეტაპზე, ორგანულ კანონში – საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებში გამოიხატა.[417]

„Must Carry-ს" საშუალებით, არჩევნებამდე 60 დღით ადრე თითოეულ საკაბელო ოპერატორს დაეკისრა ვალდებულება, მომხმარებლის პაკეტში უსასყიდლოდ განეთავსებინა საერთო ტელემაუწყებლის ტელესიგნალი. ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება 2013 წლის ივნისში „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განსხვავებულად განისაზღვრა – „სავალდებულო ტრანზიტის" განხორციელების მოთხოვნის შესაძლებლობა მაუწყებელს მუდმივად მიენიჭა.

„Must Carry" გულისხმობს მხოლოდ ელექტრონული მედია საშუალებათა მიერ შესაბამისი სიგნალის საჯაროდ გადაცემას. მართალია, მედია საშუალებებში ბეჭდური მედიაც მოიაზრება, თუმცა მასსა და ტელე-რადიო მაუწყებლობას შორის განსხვავება არსებითია, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი გავრცელების არეალსა და

---

[414] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: Lingens v. Austria – №9815/82 – 08.07.1986.

[415] იხ. მაგალითად, <**http://www.civil.ge/eng/article.php?id=24940**> [14.01.2014].

[416] საპარლამენტო დისკუსიის თაობაზე იხილეთ მაგალითად, <**http://transparency.ge/en/node/2138**> [14.01.2014].

[417] იხ. <**http://civil.ge/geo/article.php?id=25652**> [14.01.2014] – საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-17 პუნქტი.

მოსახლეობის მიერ შესაბამისი აღქმის შესაძლებლობაში გამოიხატება,[418] რაც თანამედროვე პირობებში მის როლს კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვნად წარმოაჩენს. შესაბამისად, „სავალდებულო ტრანზიტის" შემოღებით, ქართველ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, საქართველოში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ყველაზე ფართო ფარგლების მომცველი მედია საშუალების ეთერით მიეღო ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

3.2.1 არჩევნებით გამოწვეული აუცილებლობა

„სავალდებულო ტრანზიტის" განხორციელების აუცილებლობა განპირობებული იყო მედია სივრცეში არსებული იმ არასტაბილური მდგომარეობით, რის გამოც ქართველ მოსახლეობას არ შეეძლო მიეღო კონკრეტულ ტელემაუწყებელთა საეთერო სიგნალი. აღნიშნული ფაქტი ქართველმა მოსახლეობამ არაერთხელ გააპროტესტა და საკანონმდებლო ორგანოს მიმართ დააყენა მოთხოვნა, რათა[419] დაეჩქარებინათ დემოკრატიული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მედიის სამართლებრივი მოწესრიგება.

ტელემაუწყებლის მოქმედების არეალს კანონი განსაზღვრავს, ხოლო ტელემაუწყებელს სრული თავისუფლება აქვს მიცემული, გადაწყვიტოს, თუ რა გაუშვას ეთერში.[420] მაუწყებლის პროგრამა და შესაბამისად – გადაცემები, უმეტეს შემთხვევაში, თემატურ ხასიათს ატარებს და იგი გამომდინარეობს იმ ქვეყანაში არსებული რეალობიდან.

ზოგადად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული განვითარების უპირველესი წინაპირობაა.[421] საარჩევნო კანონმდებლობა და არჩევნების პერიოდში მისი დაცვა წარმოადგენს ერთგვარ საშუალებას, ქვეყენაში შეფასდეს დემოკრატიის ხარისხი.[422] შესაბამისად, არჩევნების მიმართ დიდია საზოგადოების ინტერესი. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, წინაასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებას სჭირდებოდა თითოეული პასიური საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტის მიერ განხორციელებულ მოქმედებაზე ინ-

---

[418] *Jarass H. D., Pieroth B.*, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 9. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, Art. 5, Rn. 36.

[419] იხ. მაგალითად, <**http://dfwatch.net/must-carry-law-goes-into-force-in-georgia-43465**> [14. 01.2014].

[420] შეად. *Wendt R.*, Münch/Kunig (Hrsg.) Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2000, Art. 5 Rn. 46.

[421] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, გამომცემლობა „სეზანი", თბილისი, 2013, 382.

[422] საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 162.

ფორმაცია. აღნიშნულის საფუძველზე მათ წარმოეშობოდათ არჩევანის თავისუფლება. ისინი გადაწყვეტდნენ, თუ რომელი მაუწყებლისგან მიიღებდნენ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რაც გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფორმირების შესაძლებლობა იქნებოდა.[423]

ასეთი შესაძლებლობის არარსებობის პირობებში შეუძლებელი ხდება ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. სამოქალაქო საზოგადოება თვითგანვითარების შესაძლებლობის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება,[424] ხოლო თვითგანვითარება, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი უფლებების რეალიზაციაში უნდა პოვებდეს ასახვას.

დემოკრატია მხოლოდ არჩევნების ობიექტურად ჩატარებას არ გულისხმობს. იგი დაფუძნებულია მედია საშუალებათა მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ფაქტორზე. თუ მაგალითად, ტელემაუწყებელი გადასცემს საინფორმაციო გამოშვებაში კონკრეტულ ინფორმაციას და იგი ხელმისაწვდომი არ იქნება თითოეული მოქალაქისთვის, დემოკრატიულობის არსი ამ ინფორმაციის არარსებობასთან ერთად გაქრება.

3.2.2 „Must Carry-ს“ როლი დემოკრატიული კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში

დემოკრატიული რეჟიმის მქონე სახელმწიფოში არჩევნების ჩატარება სახელმწიფოს მიერ შესაბამის ქმედებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფომ როგორც აქტიურ, ისე პასიურ საარჩევნო უფლების მქონე პირს არ უნდა შეუქმნას არაგონივრული შეზღუდვები.[425] პირიქით, სახელმწიფო ვალდებულია, ყველა პირობა შექმნას იმისთვის, რათა არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულად. თავის მხრივ, ამ პირობის დაცვისთვის აუცილებელია მედიასივრცის ობიექტურობის მაღალი ხარისხის არსებობა, რაც შეუძლებელი იქნება მედიასამართალში დემოკრატიული კანონმდებლობის არსებობის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, განისაზღვროს მედია საშუალებათა საქმიანობის როლი დემოკრატიის განხორციელებაში.

ა. *მედია საშუალების თავისუფალი საქმიანობა, როგორც დემოკრატიის რეალიზაციის წინაპირობა.* მედიის თავისუფლება წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებას,

---

[423] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421, 422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ავთანდილ უნგიაძე და გიორგი ყიფიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[424] *ლობჟანიძე გ.*, ადამიანის უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „საგამომცემლო სახლი ინოვაცია“, თბილისი, 2005, 239.

[425] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის №1/1/257,268 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აკონტროლოს სიტუაცია, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი.[426] მედიას მეოთხე სახელისუფლებო შტოდ მიიჩნევენ, რომელიც ცენზურის არარსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.[427] აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში სამართლებრივი ნორმები ყოველგვარი პოლიტიკური ქვენაგრძნობის გარეშე იყოს მიღებული, რაც დემოკრატიული წყობილების სრულად რეალიზაციისთვის მედია საშუალების თავისუფალ საქმიანობას ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად აქცევს.

ბ. *„Must Carry-ის" როლი დემოკრატიულობის რეალიზაციისთვის.* მაუწყებლობის განხორციელება მოსახლეობას საშუალებას აძლევს, მიიღოს სასურველი ინფორმაცია კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით. სასურველი ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია ობიექტურ ინფორმაციასთან, რომელიც მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებებზე არ უნდა იყოს დაფუძნებული და რომელიც ე.წ. „თავისუფალი პროგრამის" ფარგლებში უნდა იქნეს განხორციელებული. ასეთი ვალდებულებით დაცულია როგორც საზოგადოებრივი, ისე – კერძო მაუწყებელი.[428] „Must Carry-ს" საშუალებით მოსახლეობა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი მაუწყებლის ეთერს ადევნოს თვალი და რომელი მათგანი საქმიანობს მესამე პირებისგან ჩაურევლად. ამით დემოკრატიულობის ხარისხის ერთი ორად მაღლა იწევს ქვეყანაში და თითოეულ პირს ექმნება განცდა, თავად განსაჯოს მაუწყებლის საქმიანობა.

გ. *„ინფორმაციული ვაკუუმის" ნეგატიური შედეგი.* „სავალდებულო ტრანზიტი" ერთგვარი შესაძლებლობაა თითოეული მოქალაქისთვის, ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება. სხვა შემთხვევაში, შეიქმნებოდა ე.წ. „ინფორმაციული ვაკუუმისთვის" ხელშემწყობი ყველა პირობა, რომლითაც მოსახლეობა მიიღებდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რასაც გადაწყვეტდა ხელისუფლება ან მედია საშუალების მფლობელი პირი.[429] ტერმინი „ინფორმაციული ვაკუუმი" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და ქართული იურიდიული ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შედეგადაა არჩეული. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწ-

---

[426] შეად. პრესის თავისუფლება – *Löffler M., Ricker R.*, Handbuch des Presserechts, 4. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2000, 38.

[427] იხ. მაგალითად, <**http://gip.ge/blog**> [14.01.2014].

[428] შეად. *Kannengiesser* in GG Kommentar zum Grundgesetz, Schmidt-Bleitbreu/Hofmann/Hopfauf, 11. Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, München, 2008, Art. 5, Rn. 16.

[429] მაგალითად, ჩრდილოეთ კორეის შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ: 2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე აღნიშნული ქვეყნის ნაკრებმა ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან წააგო ანგარიშით 1:2. ჩრდილოეთ კორეაში ეს საკითხი გააშუქეს განსხვავებულად. კერძოდ, ქვეყანაში გადასცეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აღნიშნული იყო, რომ მათმა ეროვნულმა ნაკრებმა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს 1:0 მოუგო. შესაბამისად, ვიდეოში, რომელიც მატჩის მიმდინარეობის დასრულების შემდეგ გადაიცა ტელეეთერით, ამოჭრეს ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მიერ გატანილი გოლები (იხ. <**http://www.youtube.com/watch?v=-O-s1WhYOWs**> [14.01.2014]).

ყვეტილებაში, საქმეზე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, იგი სახელმწიფოს ვალდებულებაზე საუბრობს, მოსახლეობას არ დაუყენოს ე.წ. „ინფორმაციული ფილტრი". თუ სახელმწიფო თავად მოინდომებს იმის განსაზღვრას, რა უნდა იქნეს ტელემაუწყებლის მიერ გადაცემული, ეს იქნება მოსახლეობისთვის არათანაბარი პირობების შექმნის მცდელობა, რომლის საფუძველზეც მათ არ ექნებათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად ისინი მხოლოდ იმ ინფორმაციას მიიღებენ, რასაც გადაწყვეტს სახელმწიფო. „Must Carry" ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვის საუკეთესო გზას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში საკაბელო ოპერატორში განთავსებული იქნება როგორც ე.წ. „ოპოზიციური", ისე „ხელისუფლების ტელემაუწყებელი"[430] და მოსახლეობას თავად მიეცემა შესაძლებლობა, იხილოს სურვილის შესაბამისად კონკრეტული ტელემაუწყებლის გადაცემა.

დ. *შუალედური შედეგი.* მედიის თავისუფლება და, მათ შორის, მედიის კერძო ავტონომია სპეციფიური ხასიათისაა და იგი განსხვავდება სხვა პირთათვის მინიჭებული კერძო ავტონომიისგან.[431] მედიის თავისუფლების კრიტერიუმად შეიძლება განისაზღვროს მისი საქმიანობა, რომლითაც იგი განსაზღვრავს მისი მუშაობის კონკრეტულ კრიტერიუმებს[432] და რომლითაც იგი თავად გადაწყვეტს, თუ რა საქმიანობა განახორციელოს და როგორი ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას.[433]

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ორიენტაციის მედია საშუალებების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.[434] უზრუნველყოფის განხორციელების მთავარი შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, კანონის მიღებით გამოიხატება, რომელმაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მათი

---

[430] ასეთი დიფერენციაცია დამახასიათებელია უპირატესად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. სამართლებრივ დონეზე რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა მოწესრიგებული არ არის, მაგრამ თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნების პრაქტიკასაც, უმეტეს შემთხვევაში ტელემაუწყებელი ახორციელებს კონკრეტულ პირთა გაერთიანების ინტერესთა გატარებას. აღნიშნულის თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ: *ლანგი ი.*, მედია და არჩევნები, სახელმძღვანელო, თარგმანი ქართულ ენაზე, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს გამოცემა, გამომცემლობა „რეგტაიმი", თბილისი, 2003 წ. ნაშრომში ავტორი ყურადღებას უპირატესად წინასაარჩევნო პერიოდში პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებულ მოვლენებზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ, მაგალითად, პოლიტიკური რეკლამის არარსებობის შემთხვევაში, სატელევიზიო გადაცემებში არაპირდაპირ მაინც მოხდეს ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც თავისი არსით პოლიტიკური ნიშნების მქონე იქნება.

[431] BverfG, 1 BvF 1/91 vom 11.11.1997, Absatz-Nr. 54.

[432] შეად. *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 36.

[433] BverfG, 1 BvR 411/00 vom 14.12.2004, Absatz-Nr. 37.

[434] *სავანელი ბ.*, ადამიანის უფლებები, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2001, 258.

რეალიზაციის შესაძლებლობა. „სავალდებულო ტრანზიტის" შემოღება სწორედ იმ ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით იქნა განხორციელებული, რაც ქვეყანაში ინფორმაციული სიმცირის არსებობით ხასიათდებოდა. დემოკრატიული საზოგადოების მთავარი არსი და მნიშვნელობა სწორედ მედიის მიერ განხორციელებული საქმიანობის საჯაროობაში პოვებს ასახვას. სახელმწიფოს მიზანი სწორედ ასეთი მოქმედების განხორციელების ხელშეწყობაა. მან უნდა მიიღოს კანონი, რომელიც მედია საშუალებას საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარება. თუ მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციის ხილვა მოსახლეობისთვის შესაძლებელი არ იქნება, მაშინ აზრს დაკარგავს მედიის ფუნქციონირება ქვეყანაში. ნებისმიერი საინფორმაციო გამოშვების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუსა და დებატების ტელეეთერით გადაცემას აზრი დაეკარგება, თუ თითოეული მათგანის გაცნობის შესაძლებლობა არ ექნება მოსახლეობას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, კანონში „სავალდებულო ტრანზიტთან" დაკავშირებული ცვლილების შეტანა რელევანტურ ხასიათს ატარებდა.

3.3 „Must Carry-ს" საფუძველზე გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა

აზრის გამოხატვის თავისუფლება გააჩნია ყველა მედია საშუალებას, განსხვავებით იმისგან, თუ რა ფორმითაა იგი რეგისტრირებული.[435] გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელიც აზრის ფორმირების, მისი ფართო პუბლიკაციის შესაძლებლობას იძლევა.[436] აზრის გავრცელების შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია თავისუფალი პრესის (მედიის) არსებობასთან, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ინფორმაციის არსებობის გარანტს წარმოადგენს.[437] მაგალითისთვის ავიღოთ ინფორმაციის თავისუფლება – იგი გამოიხატება როგორც ინფორმაციის გაცემაში, ისე ნებისმიერი პირამდე კონკრეტული ინფორმაციის მიტანამდე, მაგრამ ინფორმაციის გაცემაც (გასაჯაროება) და ინფორმაციის გაცნობაც შეუძლებელია, თუ სახელმწიფომ არ იზრუნა აღნიშნული კონსტიტუციური უფლების დაცვაზე.

ზემოთ გაცხადებული მოსაზრება არ მიუთითებს ინფორმაციის და გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურობაზე. ზოგ შემთხვევაში ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უშუალოდ სამართალდამცავ ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ შეზღუდული. მაგალითად, თუ იგი წარმოადგენს სპეციალურად დაცული სახის

---

[435] შეად. *Wendt R.*, München/Kunig (Hrsg.) Grundgesetz-Kommentar, Band 1, Verlag C. H. Beck, München, 2000, Art. 5 Rn. 44.

[436] შეად. BverfG, 1 BvR 901/11 vom 25.10.2012, Absatz-Nr. 19.

[437] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 264.

ინფორმაციას[438] ან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული[439] და სხვ. აღნიშნული, ასევე, მედიის, როგორც ინფორმაციის გავრცელების, შეზღუდვას ითვალისწინებს.[440] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ძირითადი უფლებების შეზღუდვით იზღუდება მედია საშუალების საქმიანობაც. ეს უკანასკნელი არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. ზოგჯერ ასეთი შეზღუდვა კანონითვეა განსაზღვრული.

რამდენად არის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი შეზღუდვა „Must Carry-ს" შემთხვევაში სამართლებრივად დაცული? ზოგადად, უფლებათა კანონით შეზღუდვა მისი გონივრული, აუცილებელი და მიზნობრივად გამართლებული შეზღუდვის მეტ გარანტიას იძლევა.[441] მედია საშუალების საქმიანობა აზრის თავისუფლების გამოხატვის ფორმას წარმოადგენს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან მისი რეალიზაციის ჩარევაში გამოიხატოს.[442] „Must Carry-ს" შემთხვევაში ასეთი ჩარევა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც, მოსახლეობა წარმოადგენს იმ მთავარ ობიექტს, რომლისკენაც მიმართულია კანონის მოქმედების არეალი და რომელთა ინტერესების გათვალისწინებაც აუცილებელია თავისუფალი (ამასთანავე, დემოკრატიული) საზოგადოების ფუნქციონირებისათვის.

ელექტრონული მედიის საქმიანობა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლებით სარგებლობას გულისხმობს.[443] ამ თვალსაზრისით, „Must Carry" შეიძლება მივიჩნიოთ მოსახლეობის (ანუ მედია საშუალების მომხმარებლების) უფლებათა დაცვის გარანტად. ასეთის არსებობისას, ერთი მხრივ, დაცულია სიკეთე, როგორც განუსაზღვრელ პირთა უფლება, მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ნების პირდაპირპროპორციულად და, მეორე მხრივ, მაუწყებლის ტრანზიტორის უფლების შეზღუდვა სწორედ ამ სიკეთის უზრუნველყოფას ემსახურება.

ძირითადი უფლების შეზღუდვის სამართლებრივი ჩარჩო სწორედ დაცული სიკეთის უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს,[444] რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდვის გამამართლებელი არგუმენტი უნდა იყოს. „Must

---

[438] BverfG, 1 BvR 1215/07 vom 24.4.2013, Absatz-Nr. 44.

[439] შეად. *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 23-ე მუხლი, 247.

[440] BverfG, 1 BvR 654/09 vom 3.4.2009, Absatz-Nr. 21.

[441] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 268.

[442] *ალფაიძე თ.*, მედია სამართალი, 102.

[443] იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, 262.

[444] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

Carry" არ გულისხმობს ისეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულებას, რომლითაც სახელმწიფო ტელემაუწყებელთა ან მაუწყებლობის ტრანზიტორთა უფლებებში ჩაერევა. ასეთის არსებობის შემთხვევაში მოხდება კონსტიტუციური უფლების ხელყოფა,[445] რაც მისი უკანონო შეზღუდვით იქნება გამოხატული.

სახელმწიფო ვალდებულია, აღიაროს ადამიანის ძირითადი უფლებები,[446] თუმცა მას არ წარმოეშობა ვალდებულება, აბსოლუტურ ხარისხში აიყვანოს იგი. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაუშვებელია მედია საშუალებისთვის ცენზურის დაწესება. უფლების შეზღუდვა განსხვავდება ცენზურის დაწესებისგან, რაც ასახვას პოვებს რამდენიმე ასპექტში:[447] ა) უფლების შეზუდვა ხდება სამართლებრივი აქტის მიღებით; ბ) შეზღუდვა ატარებს საბოლოო ხასიათს; გ) იგი უნდა იყოს კონსტიტუციურად გამართლებული; დ) დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი არსებობს „Must Carry-ს" შემთხვევაში, ვინაიდან ძირითად უფლებაში ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობით ხდება, რომლის დროსაც შეფასებულ უნდა იქნეს ჩარევის თანაზომიერების ფარგლები[448] და ყურადღება გამახვილდეს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანზე, რაც ერთადერთი, სამართლებრივად დასაბუთებული საფუძველი გახდება ჩარევის შემთხვევაში.[449]

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე საუბრისას ხაზგასასმელია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით მოწესრიგებული სამართლებრივი ინსტიტუტის – თანაბარი კონკურენციის შექმნის საკითხი. ნებისმიერი მეწარმე უფლებამოსილია, თავისუფალი კონკურენციის ფარგლებში ბაზარზე განახორციელოს კანონით აუკრძალავი ქმედება და გამოავლინოს საკუთარი პროდუქტის სარგებლიანობა სხვა მეწარმეებთან შედარებით.[450] „სავალდე-

---

[445] *კუბლაშვილი კ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005, 24-ე მუხლი, 212.

[446] *ზოიძე ბ.*, ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, სამართლის ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა" №5, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, 2012 წლის აპრილი, 139.

[447] აღნიშნული კლასიფიკაცია აგებულია შემდეგი ნაშრომზე დაყრდნობით: *იზორია ლ.*, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2002, 47.

[448] *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, 268.

[449] *ერემაძე ქ.*, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, 2013, 27.

[450] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი", შპს „პატარა კახი", სს „გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი" და შპს „ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ.

ბულო ტრანზიტის“ განხორციელებისას თანაბარი კონკურენციის პირობები ბაზარზე შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს. მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2-სა“ და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გადაიცემა ისეთი სახის ტელე-შოუები, რომელთაც ჰყავს ბევრი მაყურებელი, რაც, თავის მხრივ, ამავე კომპანიების რეიტინგზე და, შესაბამისად, მაღალ კომერციულ შემოსავალზე მიუთითებს. თუ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ტელესიგნალის ხილვის შესაძლებლობა მოსახლეობას არ ექნება, მაშინ დაირღვევა თანაბარი კონკურენციის პირობები, ვინაიდან ამ უკანასკნელს ელემენტალური შესაძლებლობა არ ექნება, მოახდინოს ისეთი ტელეპროდუქტის შექმნა, რომლითაც უფრო მეტად რეიტინგული იქნება.

აღნიშნული, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობასთან. თუ მოვიშველიებთ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, მასში ამოვიკითხავთ სახელმწიფოს ვალდებულების საკითხს, რომელიც საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცემას უკავშირდება.[451] აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს შებოჭვას ქმედების განხორციელების ვალდებულებით, გაასაჯაროოს ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობისგან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ერთგვარ კონტროლსაც ნიშნავს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის სუბიექტთა წრე შემოიფარგლება მოქალაქეებით[452] და, მათ შორის, იურიდიული პირებით. თუ სახელმწიფომ არ გასცა ინფორმაცია,[453] შეუძლებელი იქნება მისი კონტროლიც. ამით მესამე პირი ვერ შეიტყობს, თუ რა მოქმედებას ახორციელებს იგი. ამ მხრივ შესაძლებელია პარალელის გავლება მაუწყებლის საქმიანობასთან: თუ მან არ გადასცა ინფორმაცია ტელეეთერში, შეუძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ რა მოვლენები მიმდინარეობს ქვეყანაში. ასევე, შეუძლებელი იქნება, მაგალითად, იმის გარკვევა, თუ რამდენად კეთილსინდისიერად საქმიანობს საჯარო დაწესებულება. მაგალითად, პირს შეიძლება საჯარო ინფორმაციის მიღების სურვილი მას შემდეგ გაუჩნდეს, რაც იგი ტელეეთერით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელების თაობაზე შეიტყობს. თუ მას არ ექნა ტელემაუწყებელზე ახალი ამბების ხილვის საშუალება, იმის სურვილიც არ გაუჩნდება, მოახდინოს საკუთარი კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია. „Must Carry“ სწორედ ასეთი შესაძლებლობის მინიჭების კანონიერი წინაპირობაა.

ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის შემთხვევაში არსებობს არა მხოლოდ აღნიშნული ორი, არამედ – სხვა ძირითადი კონსტიტუ-

---

[451] იხ. *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 6 და შემდგომი.

[452] *ქანთარია ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 41-ე მუხლი, 500.

[453] საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, „სამართლის ჟურნალი“ №2, 2012, თსუ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 184-195.

ციური უფლებების რეალიზაციაც, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებისა და სხვ. აღნიშნული უფლების დაცვით სარგებლობა შეუძლებელი იქნება, თუ ქვეყანაში არ იქნება ისეთი უფლებები დაცული, რაც საკუთარი აზრის გამოხატვას და სურვილის შემთხვევაში, ინფორმაციის მესამე პირებისთვის მიწოდებას გულისხმობს. სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია.[454] თუ მას არ ექნება კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი, შეუძლებელი იქნება ქვეყანაში დემოკრატიულ კანონმდებლობაზე საუბარი.

3.4 „Must Carry-ს" სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემა

„Must Carry-ს" სამართლებრივ დონეზე მოწესრიგება პრობლემის საბოლოო გადაჭრას არ გულისხმობს. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნული ინსტიტუტი გარკვეულწილად ორაზროვნად არის მოწესრიგებული. „Must Carry" წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის ვალდებულებას, განათავსოს მომხმარებლისთვის შეთავაზებულ პაკეტში მაუწყებლის სიგნალი.[455] თავის მხრივ, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ავტორიზებულ პირს, მისი ვალდებულების საკითხს უპირატესად სწორედ ეს კანონი განსაზღვრავს.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, „Must Carry" მოწესრიგებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში. საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების თვალსაზრისით, საარჩევნო კოდექსში მისი გათვალისწინება შეიძლება იმდენად პრობლემურად არ იქნეს მიჩნეული, რამდენადაც „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში, ვინაიდან საარჩევნო კოდექსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ორგანულ კანონს, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონზე იერარქიულად ზემდგომია, ხოლო, მეორე მხრივ, მასში გათვალისწინებული „სავალდებულო ტრანზიტი" მხოლოდ საარჩევნო პერიოდს ეხება.[456] ამ მხრივ აბსოლუ-

---

[454] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[455] მაუწყებელთა წრე, რომლის მიმართაც ვრცელდება მაუწყებლის ტრანზიტორის ვალდებულება, მოწესრიგებულია როგორც საარჩევნო კოდექსში, ისე „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში.

[456] იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-17 პუნქტი. ასევე, ამავე კოდექსის მიზნები (1-ლი მუხლი).

ტურად განსხვავებული სიტუაციაა შექმნილი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან მიმართებით. აღნიშნული კანონის 40[1] მუხლის საფუძველზე, გაწერილია მაუწყებელთა უფლებამოსილება, მაუწყებლობის ტრანზიტორებისთვის „სავალდებულო ტრანზიტის" განხორციელების თაობაზე შესაბამისი მოთხოვნის დაყენების თვალსაზრისით. აღნიშნული უფლებამოსილება მაუწყებლობის ტრანზიტორის ავტომატურ ვალდებულებასაც გულისხმობს. შედეგად, თუ მაუწყებლობის ტრანზიტორების სამართლებრივი ასპექტები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით წესრიგდება, იერარქიულად იმავე საფეხურზე მდგომი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი არ უნდა საზღვრავდეს ამ ქმედების სამართლებრივ ჩარჩოებს, მითუმეტეს, ამ ნორმით არ ხდება კონკრეტული პერიოდის გათვალისწინება (მაგალითად, როგორც საარჩევნო კოდექსშია მითითებული – მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიისას).

აღნიშნულ საკითხზე საკუთარი შეხედულება დაფიქსირებული აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელიც ტელესამაუწყებლო სივრცეში წარმოადგენს მარეგულირებელ ორგანოს.[457] მისი მოსაზრებით, შესაძლებელი იყო, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით წარმოშობილიყო ერთგვარი კოლიზია, რაც შესაბამისი კანონის დარღვევის შემთხვევაში სანქციის დაკისრების საკითხთან მიმართებით გამოიხატებოდა.[458]

„Must Carry-სთან" დაკავშირებული მეორე პრობლემური საკითხია მაუწყებელთა დიფერენციაცია. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საკაბელო ოპერატორში ტელესამაუწყებლო სიგნალის განთავსების მოთხოვნის უფლება გააჩნიათ, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა, ლიცენზირებულ საერთო მაუწყებლებს, რომელიც კანონითვე განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ამავე კანონის საფუძველზე ავტორიზაციის გავლა საკაბელო მაუწყებლობის საქმიანობის წინაპირობაა – მაუწყებელს არ ეკისრება ვალდებულება, მაუწყებლობის ტრანზიტისთვის გაიაროს ლიცენზირება.[459] თუ მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელებისას ტელემაუწყებლის ტელესიგნალის საკაბელო ოპერატორის პაკეტში განთავსებისთვის

---

[457] <http://www.gncc.ge/files/110_114136_979485_pressrelease%20GNCC.pdf> [14.01.2014].

[458] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 44.

[459] აღნიშნული წესი შეიცვალა 2012 წელს, რასაც სამართლებრივ საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ განსაზღვრა, რომ საკაბელო მაუწყებლობისთვის აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო ლიცენზიის მოპოვება. შესაბამისად, განისაზღვრა ახალი, უფრო მარტივი წესი, რომელსაც „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ავტორიზაცია ეწოდა.

კანონით გათვალისწინებულია ავტორიზაციის გავლა, მაშინ „სავალდებულო ტრანზიტის“ შემთხვევაში რა სამართლებრივი საფუძველი უნდა დაედოს ლიცენზირებული საერთო მაუწყებლის მიერ საკუთარი ტელესიგნალის განთავსების მოთხოვნას?

იბადება კითხვა: ამ საფუძვლით ხომ არ იზღუდება გამოხატვის თავისუფლება იმ მაუწყებელთათვის, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ ავტორიზებულ მაუწყებლებს? ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, გამოხატვის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე, აბსოლუტურად ყველა მსურველს მისცეს მაუწყებლობის ლიცენზია. კონვენცია არ ითვალისწინებს სამაუწყებლო ლიცენზიის მიღების გარანტიას,[460] ვინაიდან იგი შეიძლება, გარდა სამართლებრივი ნორმებისა, სხვა საკითხებზეც იყოს დაფუძნებული, მაგალითად, ტექნიკური გამართულობაზე,[461] ლიცენზიის გაცემის შეუძლებლობაზე, რესურსების ამოწურვაზე[462] და სხვ. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კანონიერ ფარგლებშია მოქცეული, თუმცა შეზღუდვის წინაპირობის სამართლებრივი მოწესრიგებისას სახელმწიფო ვალდებულია, თავისი მოსაზრება დააფუძნოს კონკრეტულ პირობებზე. „Must Carry-ს“ მომწესრიგებელ ნორმებში, გარდა საერთო მაუწყებლობის ლიცენზიისა, განსაზღვრულია ასევე მაუწყებელთათვის ის ძირითადი პირობა, რასაც თითოეული მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში. აღნიშნული პირობა შეეხება იმ მედია საშუალებებს, რომელთა მაუწყებლობა ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-სთვის. ასეთი მაუწყებელი წარმოადგენს ადგილობრივ მაუწყებელს. კანონის მიხედვით, ადგილობრივი მაუწყებლის ტელესიგნალის საკაბელო ოპერატორის პაკეტში განთავსება არ არის სავალდებულო, ანუ „სავალდებულო ტრანზიტი“ მასზე არ ვრცელდება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივია მაუწყებელი, რომელიც ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაფარვას ახორციელებს, მაგალითად, მხოლოდ თბილისის ტერიტორიისას. თუ იგი, სალიცენზიო პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის 20%-სთვის იქნება ხელმისაწვდომი, მას მაინც არ წარმოეშობა სიგნალის პაკეტში განთავსების მოთხოვნის უფლება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგილობრივი მაუწყებლისგან მიჯნავს ეროვნულ მაუწყებელს, რომლის სიგნალი ხელმისაწვდომია საქარ-

---

[460] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 446.

[461] იხ. საქმე: Informationsverein Lentia and others V. Austria – №13914/88; 15041/89; 13717/89; 17207/90 – 24.11.1993.

[462] იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განმარტება, რომელიც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის საკითხს ეხება: <**http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=113164**>.

თველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღნიშნულ საკითხს კონკრეტულად განმარტავს და აღნიშნავს, რომ მაუწყებელთა დიფერენციაცია ადგილობრივ და ეროვნულ მაუწყებლად შესაძლებელია არ იმ კონტექსში, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა (სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე) უყურებს მის ტელესიგნალს, არამედ იმით, სურვილის შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რა რაოდენობამ შეიძლება მოახერხოს მაუწყებლობის ხილვა.[463]

მესამე პრობლემა, რომელიც „Must Carry-ს" სამართლებრივი ბუნების ჭრილში უნდა იქნეს განხილული, ისაა, თუ რამდენადაა დაცული ადგილობრივ ან სპეციალიზებულ მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლება „სავალდებულო ტრანზიტში" მათი გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე? ზემოთ როგორც აღინიშნა, ადგილობრივი მაუწყებელი მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნდა მაუწყებლობდეს და იგი არ უნდა ფარავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას. რაც შეეხება სპეციალიზებულ მაუწყებელს, იგი თავის საქმიანობას მხოლოდ ერთი თემატიკის პროგრამებით ახორციელებს, გარდა ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუსი.[464] კანონის მიხედვით, „Must Carry" მხოლოდ საერთო მაუწყებლებზე ვრცელდება, ანუ ისეთ მაუწყებლებზე, რომელთაც გააჩნიათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები და ახალი ამბები (საინფორმაციო გამოშვება).

შეიძლება თუ არა მიჩნეულ იქნეს ეს საკანონმდებლო მოწესრიგება სპეციალიზებულ მაუწყებელთა დისკრიმინაციის გამოვლინებად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა შევეხოთ „Must Carry-ს" სამართლებრივ დონეზე მოწესრიგების მნიშვნელობას და იმ აუცილებლობას, რამაც გამოიწვია კანონში ცვლილების შეტანა.

წინამდებარე ნაშრომში უკვე აღინიშნა, რომ „სავალდებულო ტრანზიტის" კანონში გაწერის აუცილებლობა საარჩევნო პრობლემატიკით იქნა გამოწვეული. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებასაც გულისხმობს. ასეთი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა გააჩნიათ მხოლოდ იმ მაუწყებლებს, რომელთაც თავის სამაუწყებლო ბადეში განსაზღვრული აქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ ან აღნიშნულ პერიოდში უფრო მეტად აქტუალური და საჭიროების თვალსაზრისით – აუცილებელი საინფორმაციო გამოშვება (ახალი ამბები). როგორც უკვე აღინიშნა, საინფორმაციო გამოშვების ეთერში გადაცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საერთო მაუწყებელს. შესაბამისად, სპეციალიზებული მაუწყებელი ვერ მოახდენს ასეთი ინფორმაციის გავრცელებას. პარალელურად შესაძლებელია მოვიშველიოთ საქართველოს საარჩევნო კოდექსის

---

[463] იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 აპრილის №245/22 გადაწყვეტილება.

[464] *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 58.

51-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, წინასაარჩევნო პერიოდში დებატების გადაცემის თაობაზე კონკრეტული მოთხოვნები დაყენებულია საერთო მაუწყებლის მიმართ.

თუ „Must Carry-ს" მიღების საფუძვლად წინასაარჩევნო პერიოდულობასა და ამ პერიოდში მოსახლეობისთვის კონკრეტული სახის ინფორმაციის მიწოდებას მივიჩნევთ, მაშინ სპეციალიზებული მაუწყებლის „სავალდებულო ტრანზიტში" გაუთვალისწინებლობა არ უნდა ჩავთვალოთ მათი კონსტიტუციური უფლების დარღვევად. ეს ფაქტი წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც სპეციალიზებული მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება კანონიერ ფარგლებში და ეს შეზღუდვა განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე არსებული აუცილებლობით.

წინამდებარე თავის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „სავალდებულო ტრანზიტის" შემოღებით წარმოადგენს თანაზომიერების პრინციპის აბსოლუტურ დაცვას. იგი შესაბამისობაში მოდის კანონიერ მიზანთან, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის შედეგს წარმოადგენს.[465] გამოხატვა წინასაარჩევნო პერიოდში, თავისი არსიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევებში საზოგადოებრივ ინტერესსა და პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაძლებლობას სამართლებრივად ასაბუთებს.

3.5 „Must Carry-ს" საფუძველზე მიღებული შედეგი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში

„Must Carry-ს", როგორც დემოკრატიული კანონმდებლობის შემადგენელი ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტიტუტის, უდიდესი დამსახურებაა საქართველოში პირველად, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ხელისუფლების დემოკრატიულად შეცვლა.[466] მიუხედავად რამდენიმე საკანონმდებლო ხარვეზისა, „სავალდებულო ტრანზიტის" შემოტანამ ქართულ მედიასივრცეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამის პრაქტიკულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2012 წლის 18 სექტემბერს ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ტელეეთერით გადაცემული, ციხეში პატიმართა წამების კადრები,[467] რომელმაც გარდამტეხი როლი ითამაშა იმ პერიოდში მოქმედი ხელისუფლების შეცვლასა და ამომრჩეველთათვის საკუთარი საარჩევ-

---

[465] *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, 209.

[466] აქ აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით და ხელისუფლების შეცვლა რევოლუციის გზით. XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, ანუ მას მერე, რაც საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც არჩევნებმა გადაწყვიტა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის სხვა პოლიტიკური გუნდით ჩანაცვლების საკითხი.

[467] იხ. **<http://www.youtube.com/watch?v=Zl0ChBqHqus>** [14.01.2014]; შენიშვნა: აკრძალულია აღნიშნული კადრების ნახვა 18 წლამდე ასაკის პირებისთვის.

ნო ხმის საბოლოო ფორმირებაში.[468] იმ პერიოდში საკანონმდებლო დონეზე რომ არ ყოფილიყო „Must Carry" მოწესრიგებული, მოსახლეობა ვერ შეძლებდა აღნიშნული კადრების ხილვას, ვინაიდან, გარდა ერთი საკაბელო ოპერატორისა,[469] ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ტელესიგნალის მიღება არცერთი სხვა საშუალებით არ იქნებოდა შესაძლებელი. 2012 წლამდე მედია საშუალებები და ჟურნალისტთა საქმიანობა რომ არ იყო თავისუფალი, ამას მოწმობს თუნდაც ამერიკელი მეცნიერის მიერ მომზადებული კვლევა, რომელმაც საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიის განვითარების საკითხი წიგნად გამოსცა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად ამ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება.[470] სწორედ აღნიშნული ფაქტი მოწმობს „Must Carry-ის" დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას და სწორედ ეს ფაქტი ადასტურებს განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედების საბოლოო შედეგს.

„სავალდებულო ტრანზიტის" როლი დიდი მნიშვნელობის მქონე გამოდგა საქართველოს მედია სივრცესა და ამასთანავე – მედიასამართალში. კანონში გათვალისწინებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო შესაძლებლობას, მოსახლეობას თავად აერჩია ის კონკრეტული მაუწყებელი, რომელიც გადასცემდა ინფორმაციას, თავად განესაზღვრა და შეეფასებინა ის, თუ რომელი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაცია უფრო მეტად ობიექტური იყო.

---

[468] აღნიშნული კადრების ხილვის შემდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო საქართველოში. იხილეთ მაგალითად ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც ასევე ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ტელეეთერით იქნა გადაცემული <**http://www.youtube.com/watch?v=V4-eHPItfGE**> [14.01.2014].

[469] აღნიშნული საკაბელო ოპერატორი იყო – „გლობალ ტვ" <**www.globaltv.ge**>.

[470] იხ. *ჯონსი ს.*, საქართველო, 157 და შემდგომი.

თავი VIII კერძოსამართლებრივი ურთიერთობა მედიასამართალში

მედიასამართალში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფუნქცია სამართლის აღნიშნული დარგის ძირითადი თვისებიდან გამომდინარეობს. ისევე, როგორც სხვა სუბიექტი, მედია საშუალებაც ყოველდღიურ ცხოვრებაში არაერთ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს. ამდენად, ეს ურთიერთობა მედიასამართალში რამდენიმე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ: ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის,[471] საკუთრების უფლების დაცვის, იურიდიული პირის შექმნის, ასევე, ორგანიზაციის ფუნქციონირების სამართლებრივი განხორციელების,[472] შრომითი ურთიერთობის,[473] საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის,[474] ინტერნეტში პირადი უფლებების შელახვისა[475] და სხვ.

პრაქტიკაში არსებული მაგალითების მიხედვით, მედია საშუალებების საქმიანობა განხორციელებულია იურიდიული პირის სახელით. ფიზიკურ პირებს (არ იგულისხმება ინდ. მეწარმე) უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ სამაუწყებლო ლიცენზია ან ავტორიზაცია.

საქართველოს კანონმდებლობით, მედია საშუალება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით. მაგალითად, ტელეკომპანია „ტაბულა", რომელიც მაუწყებლობას ახორციელებს ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" ბაზაზე, ასევე, შპს „იმედი" და სხვ.

თითოეული მათგანის მიერ სამაუწყებლო საქმიანობის ან ბეჭდური მედიის საქმიანობის განხორციელებისას, გარდა უფლებების მოპოვებისა, დაცული უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტში არსებული დათქმა, რომლის მიხედვითაც, მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობის დამოუკიდებლად და ორგანიზებულად განხორციელება, რომელიც მოგების მიზნისკენაა მიმართული, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა. აღნიშნული დათქმის საფუძველზე შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ფიზიკური პირის მიერ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელება თითქმის შეუძლებელია.

განვიხილოთ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ცალკეული ასპექტები მედიასამართალში:

---

[471] იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 31 ივლისის №3კ-475-02 გადაწყვეტილება.

[472] იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის №ას-556-939-06 განჩინება.

[473] იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის №ას-429-405-2013 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

[474] იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აპრილის №ას-1010-947-10 განჩინება.

[475] იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №ას-1378-1300-2012 განჩინება.

1. მედია საშუალების სანივთო უფლებები

მედია საშუალებას, იქნება იგი იურიდიული თუ ფიზიკური პირის სახით წარმოდგენილი, გააჩნია ის ძირითადი სანივთო უფლებები, რომელიც ამომწურავი ჩამონათვლის („numerus clausus") პრინციპიდან გამომდინარეობს.

წინამდებარე ქვეთავში შევჩერდებით **საკუთრების უფლების** სახეებზე და მისი უფლებამოსილების გამოყენების ფარგლებზე მედიასამართლის ასპექტში. საკუთრების უფლება შესაძლებელია წარმოშობილი იყოს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ქონებრივ საიკეთეებზე. ასე, მაგალითად, მოძრავ თუ უძრავ ნივთებზე, რომელთა გამოყენებით ხორციელდება მედია საშუალების საქმიანობა.

მედიასამართალში მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და ცალკეულ (სპეციალურ) ნორმებში გაწერილი წესი, რომელიც საკუთრების უფლების საფუძველზე ნივთების განკარგვის შესაძლებლობას ადგენს. მაგალითად, შენობა, სადაც იბეჭდება გაზეთი ან შენობა, საიდანაც მაუწყებლობს რადიომაუწყებელი, ასევე, ნებისმიერი ნივთი, რომელიც ჩანს ეთერში (მაგიდა, სკამი და სხვ.) და რომელზეც ტელემაუწყებელს საკუთრების უფლება აქვს წარმოშობილი (თავისთავად, შესაძლებელია მაუწყებელს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზეც ჰქონდეს კონკრეტული რეკვიზიტი პირდაპირ მფლობელობაში გადაცემული. ასეთ შემთხვევაში არ იარსებებს საკუთრების უფლების მომწესრიგებელი ნორმა).

ცალკე განსახილველი საკითხია **ლიცენზიაზე უფლებების არსებობა**. სამართლებრივ ჩარჩოშია ჩასმული ლიცენზიის მინიჭების საკითხი. მის მატარებელს უფლება აქვს, განახორციელოს, მაგალითად, მაუწყებლობა. ლიცენზია, როგორც უფლება, არ უნდა იქნეს გაიგივებული სანივთოსამართლებრივ უფლებათა იმ კატეგორიასთან, რომელიც აბსოლუტურ უფლებათა რიგს განეკუთვნება.

მაუწყებელი შეიძლება ფლობდეს ლიცენზიას. მას არ შეიძლება ლიცენზიაზე გააჩნდეს საკუთრების უფლება.[476] ლიცენზია არ არის მუდმივი უფლება. იგი გაიცემა 10 წლის ვადით („მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლი), ისე, რომ მასზე უფლება არ შეიძლება უვადოდ იქნეს გადაცემული.

მიუხედავად აღნიშნულისა, ლიცენზიის ფლობა გარკვეულ ასპექტში მიახლოებულია საკუთრებასთან. მაუწყებელს შეუძლია იგი განკარგოს სურვილისამებრ. აღნიშნულის მაგალითია ლიცენზიის გადაცემა, რა დროსაც, მხარეთა შეთანხმებით, კერძო ავტონომიის საფუძველზე და საჯაროსამართლებრივი წარმოების დასრულებით, მაუწყებელი მას მეორე მაუწყებელს გადასცემს.

ლიცენზიის ფლობა გულისხმობს უფლებას, მედია საშუალებას საკუთრების უფლება გააჩნდეს მხოლოდ იმ ნივთზე, რომელზეც დატანილი იქნება კონკრეტული სახის მონაცემები. მაგალითად, ტელემაუწყებელმა თუ მიიღო მატერიალური თანამგზავრული ლიცენზია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

---

[476] იხ. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის დასათაურება: მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი.

მიერ, მას საკუთრების უფლება მხოლოდ ფურცელზე წარმოეშობა. მაუწყებელი ვერ გახდება ლიცენზიის უფლებაზე საკუთრების უფლების მქონე პირი. შესაბამისად, ტერმინი, **„მაუწყებლის საკუთრება"** შეუსაბამობაში მოდის იმ შინაარსთან, რაც კანონშია მითითებული.[477] დასახელებული კანონის VII თავის დასახელება განსხვავდება მასში მოწესრიგებული ნორმისგან: გარდა იმისა, რომ ლიცენზია ვერ გახდება მაუწყებლის საკუთრება, მას არ გააჩნია უფლება, საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები გაავრცელოს იურიდიული პირის დირექტორზე და სხვ.[478]

2. სახელშეკრულებო ურთიერთობა მედიასამართალში

2.1 ხელშეკრულების თავისუფლება მედიასამართალში (ზოგადად)

მედიასამართლის სუბიექტთა მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების წარმოშობის უმთავრესი საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა მსხვილი კომერციული ორგანიზაციების განვითარებამ.[479] ამ მხრივ გამონაკლისს არც მედია საშუალება წარმოადგენდა. მედია, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, იმდენად ხელმისაწვდომი გახდა, რომ დიდმა კომერციულმა საწარმოებმა მასში რეკლამის განთავსებისთვის დიდი თანხის გადახდა დაიწყეს.

ხელშეკრულების თავისუფლების ასპექტში მედია საშუალებაზე, როგორც ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეზე, ვრცელდება ყველა ის შემზღუდველი და შემბოჭველი ნორმები, რაც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ეხებათ. მაგალითად, პირგასამტეხლო, რომელიც შესაძლებელია სასამართლოს მიერ იქნეს შეზღუდული შეუსაბამოდ დიდი თანხის მოთხოვნის შემთხვევაში.[480]

თუმცა განსხვავებით სხვა სფეროს წარმომადგენლებისგან, მედია საშუალებისთვის ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ცალკეული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული უმთავრესად სარეკლამო ურთიერთობებს შეეხება, რომლის საფუძველზეც, მაგალითად, პოლიტიკური რეკლამის განთავსების სამართლებრივი წინაპირობანი შესაბამის საკანონმდებლო ნორმებში დეტალური სახითაა გაწერილი.

---

[477] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, მაუწყებლის საკუთრება („მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის VII თავის ზოგადი ანალიზი), ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, 158-175.

[478] იხ. იქვე.

[479] *Ллойд Д.*, Идеа Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, Юмашев, М. Югона, Москва, 2002, 163.

[480] შეად. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის №2ბ/2838-13 გადაწყვეტილება.

ამასთან, ცალკე გამოსაყოფია კომერციული რეკლამისა და სპონსორობის თაობაზე მედია საშუალების მიერ ხელშეკრულების დადების ფაქტი. ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებათა უმეტესობა წერილობითი ფორმით იდება. აღნიშნული უპირატესად გამომდინარეობს იმ ინსტიტუტის მნიშვნელობიდან, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს.

ზეპირი შეთანხმება კომერციული რეკლამისა ან სპონსორობის თაობაზე შესაძლებელია სამომავლოდ უამრავ დამაბრკოლებელ გარემოებასთან იქნეს დაკავშირებული. კერძოდ, მტკიცებულებისა და მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის ასპექტში რთული იქნება მისი მტკიცება. მაგალითად, კრედიტორის მიერ სასამართლოს გზით გარკვეული მოქმედების განხორციელების დაკისრების თაობაზე მოთხოვნის დაყენება, მტკიცების თვალსაზრისით, სწორედ წერილობითი დოკუმენტის საშუალებითაა შესაძლებელი. ასეთის არსებობისას მოვალეს მიერ მტკიცებად შესაბამისი ბრალეული ქმედების (პასუხისმგებლობის) არარსებობა გამოდგება.[481] სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედია საშუალებათა უმეტესობას გააჩნია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომლის საფუძველზეც დამკვეთთან ამყარებს კონკრეტული სახის ურთიერთობას.

მედიასამართლებრივი კუთხით, კანონი არ ითხოვს კონკრეტული ხელშეკრულების წერილობითი სახით დადებას. ასე მაგალითად, საკაბელო ოპერატორს არ ეკისრება ასეთი ხელშეკრულების დადების ვალდებულება პირდაპირი გზით, თუმცა არაპირდაპირი სახით, ხელშეკრულების წერილობით დადება საკაბელო ოპერატორის ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მან აუცილებლად უნდა წარადგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წერილობითი თანხმობა მაუწყებლისგან, განახორციელოს მისი ტელესიგნალის ტრანზიტი. ხშირად საკაბელო ოპერატორი მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელებას მხოლოდ წერილობითი თანხმობის საფუძველზე იწყებს, თუმცა შემდგომ ასეთი ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში რთულდება მასსა და მაუწყებელს შორის რაიმე შეთანხმების მიღწევა.

2.2 კონტრაჰირების იძულება

კონტრაჰირების იძულება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. მისი ავთენტურობა პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ეპოქაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სისტემასთან. კონტრაჰირების იძულებით ბაზარზე გაბატონებული, დომინანტური სტატუსის მქონე პირის (მწარმის) მიმართ ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების დაკისრება, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებს, დადოს ხელშეკრულება

[481] *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, Leistungsstörungsrecht, GTZ, Tbilisi, 2010, 55.

ნებისმიერ მომხმარებელთან, აქცეპტანტთან,[482] რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს კონტრაჰენტის არჩევაში თავისუფლების შეზღუდვის კუთხით.[483]

რამდენად ეკისრება მედია საშუალებას კონტრაჰირების იძულება ცალკეულ საკითხებთან მიმართებით? მაგალითისთვის ავიღოთ კომერციული რეკლამა, რომლის განთავსების ვალდებულება კანონის საფუძველზე, სოციალურ და პოლიტიკურ რეკლამებთან შედარებით, მედია საშუალებას არ გააჩნია.[484] ერთი მხრივ, მედია საშუალება წარმოადგენს ბაზარზე დომინანტური სტატუსის მქონე პირს,[485] ხოლო, მეორე მხრივ, მას გამოცხადებული აქვს ოფერტი რეკლამის განთავსების თაობაზე. თუ მასთან მივა რეკლამის დამკვეთი, რომელთანაც მედია საშუალების დირექტორს (იგულისხმება ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი) პიროვნული ან რაიმე სხვა უთანხმოება აქვს, რამდენად შეეძლება მას რეკლამის დამკვეთს უარი განაცხადოს?

მაგალითის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: მედია საშუალების დირექტორის ქმედება არ არის დისკრიმინაციული. იგი, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე ასაბუთებს თავის უარს სახელშეკრულებო ბოჭვის დამყარების საკითხთან დაკავშირებით.

პრობლემის გადაჭრისას ორი ძირითადი მომენტია გასათვალისწინებელი: ა) რამდენად შეიძლება მედია საშუალება გათანაბრებულ იქნეს ისეთ პირთან, როგორიცაა, მაგალითად, ავიაკომპანია, აფთიაქი, პურისა და სხვა პროდუქტის მწარმოებელი (მომსახურების გამწევი) კომპანია? და ბ) რამდენად დაეკისრება მას პასუხისმგებლობა რეკლამის განთავსების თაობაზე უარის თქმის შემთხვევაში?

პასუხის გასაცემად მივყვეთ ჯერ მეორე შეკითხვას; კონტრაჰირების იძულების მთავარი არსი არის ის, რომ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში პირს შეიძლება სასამართლომ ხელშეკრულების დადება დააკისროს. განვიხილოთ ბანკის მოქმედება სესხის გაცემისას, მას უფლება აქვს, უარი უთხ-

---

[482] იხ. *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001, 319-ე მუხლი, 63 და შემდგომი.

[483] შეად. *სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., ჯანაშია ლ., ცერცვაძე ლ., ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014, 103.

[484] შეად. *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 182 და შემდგომი.

[485] ბაზარზე დომინანტი მდგომარეობა მედია საშუალებას უჭირავს რამდენიმე ასპექტიდან გამომდინარე: ა) იგი ახორციელებს საქმიანობას, რომლის მსგავსიც რამდენიმეა მხოლოდ; ბ) მისი საქმიანობის განხორციელების ფაქტი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვინაიდან სწორედ მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს პირზე გადაწყვეტილების მიღების დროს; გ) მედია საშუალებას გააჩნია ფართო საზღვრები, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, რეკლამის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში მიიღოს სარგებელი (აქ შესაძლებელია „ბ" პუნქტთან მოვახდინოთ შედარება) და სხვ.

რას მომავალ მსესხებელს სესხის დამტკიცებაზე. ბანკი ამ ასპექტში წარმოადგენს ბაზარზე დომინანტი სტატუსის მქონე იურიდიულ პირს (იგულისხმება დიდი თანხის ოდენობის სესხები, რომელიც შეიძლება იპოთეკითაც იქნეს დატვირთული), რომლის საქმიანობის სხვასთან გაიგივება შეუძლებელია (ერთადერთი ალტერნატივაა სხვა ბანკი, თუმცა ვიგულისხმოთ, რომ ბანკს, რომელსაც მიმართა კლიენტმა, ყველაზე უფრო დაბალი პროცენტული განაკვეთი აქვს შეთავაზებული). თუ ბანკმა უარი უთხრა კლიენტს, რამდენად გამოდის ეს ხელშეკრულების თავისუფლების უფლების იმ ასპექტში რეალიზაცია, რაც კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებას ეხება? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მეორენაირადაც იქნეს გაცემული: კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლების თაობაზე შეიძლება ბანკს თავიდან ოფერტზე მოწვევის განმახროციელებელ დოკუმენტში იგი ჰქონდეს მითითებული ყველა პირზე (იმ პირზე, რომელნიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, არ გასცეს სესხი).

შეიძლება მედია საშუალებას ამგვარი შეთავაზება ჰქონდეს მომხმარებელთათვის გაკეთებული? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, აქვს თუ არა მას უფლება, დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ჩააყენოს, მაგალითად, ლუდის, ან შოკოლადის მწარმოებელი კომპანია?

სწორედ აქ უნდა იქნეს შედარება გაკეთებული ისეთი საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიებთან, როგორიც არიან, ავიაკომპანია, აფთიაქი და სხვ. მაგალითად, ავიაკომპანიას რომ ჰქონდეს მოწვევა ოფერტზე გაკეთებული მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის, ეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დისკრიმინაციული იქნებოდა. ასეთი სახის მოწვევა ოფერტზე შეიძლება ხელშეკრულების სამომავლო პირობადაც იქნეს განსაზღვრული, რომლის ფარგლებში მოქმედების განხორციელებაც კომპანიის უმთავრესი პირობა იქნება.

2.3 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელის გარეშე თითოეულ ხელშეკრულებას ცალკეული მომზადება დასჭირდებოდა, რაც, თავის მხრივ, დამატებით გაწელილ პერიოდთან იქნებოდა დაკავშირებული. ასეთი სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენება მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, იმ საქმიანობის განხორციელებისას, რომელსაც ჰყავს მრავალრიცხოვანი მომხმარებელი.[486]

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნებიდან გამომდინარე, გარიგების მონაწილე ერთი მხარე წინასწარ განსაზღვრული პირობებით მეორე მხარეს

---

[486] *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001, 342-ე მუხლი, 180.

სთვაზობს სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც, თავის მხრივ, ან ეთანხმება მას ან უარს ამბობს ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებაზე.[487]

ცალკეულ შემთხვევებში ყველა მომხმარებელთან მოლაპარაკების გამართვა და შემდეგ ამ მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების მომზადება ფიზიკურად შეუძლებელს გახდიდა კომპანიის საქმიანობის განხორციელებას.[488] ამის მაგალითად შეიძლება იქნეს მოყვანილი მედია საშუალების მიერ რეკლამის განთავსების თაობაზე შესაბამისი სახელშეკრულებო პირობის შექმნა,[489] როდესაც მაუწყებლის მიერ ცალმხრივად უკვე განსაზღვრულია კონკრეტული სახელშეკრულებო პირობები. აღნიშნული ლოგიკურიცაა, ვინაიდან სწორედ იგია მომსახურების გამწევი კონკრეტულ სფეროში და სწორედ მის მიერ უნდა მოხდეს სამაუწყებლო ბადეში რეკლამისა თუ სხვა სახის კომერციული ნაწარმის განთავსება და დამკვეთი ვერ განუსაზღვრავს მას წინასწარ პირობებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები გამონაკლისის სახით შეთანხმდებიან განსხვავებულ მოწესრიგებაზე).

2.4 სამაუწყებლო ლიცენზიის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ნამდვილობის საჯაროსამართლებრივი წინაპირობა

სსკ-ის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სახელმწიფოს თანხმობაზეა დამოკიდებული ხელშეკრულების ნამდვილობა. ლიცენზიის გადაცემის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ არ იქნა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი აქტი გამოცემული.[490] საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც, როგორც მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელების შემთხვევაში, ლიცენზიის გადაცემის დროსაც არაპირდაპირი სახით საკანონმდებლო ვალდებულებაა განსაზღვრული, რომელიც მხარეებს ხელშეკრულების ნამდვილობისთვის წერილობითი ფორმით წარმოდგენას ავალებს.

ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი მაგალითია, რომლის ფარგლებშიც მხარეთა ვალდებულება სამომავლო მოქმედებაზეა დამოკიდებული. რაში გამოიხატება არაპირდაპირი სახის მოთხოვნა:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 481-ე მუხლის მიხედვით, „ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ კომისიის წინას-

---

[487] *კერესელიძე თ.*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თსუ, თბილისი, 2013, 52.

[488] შეად. *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 342-ე მუხლი, 180.

[489] შეად. *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 189 და შემდგომი.

[490] შეად. *სვანაძე გ., ძლიერიშვილი ზ., როგავიძე ი., ჯანაშია ლ., ცერცვაძე ლ., ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 106.

წარი თანხმობით“. კონტექსტი „წინასწარი თანხმობა“ გულისხმობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სამართლებრივი აქტის ძალის მქონე დადებით დასკვნას, რომელიც მხარეებს ხელშეკრულების ძალაში (და არა ხელშეკრულების დადების. ხელშეკრულება იდება (შეთანხმების მიღწევა) კომისიის თანხმობამდე) შესვლის უფლებას მიანიჭებს. შესაბამისად, მხარეებმა კომისიას უნდა მიმართონ მოთხოვნით და წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც მხარეთა ნება იქნება გამოხატული. უმეტეს შემთხვევაში ასეთი დოკუმენტი ხელშეკრულებაა (და არა, მაგალითად, ცალ-ცალკე მხარეთა თანხმობა), რომელშიც ასახულია არა მხოლოდ ლიცენზიის გადაცემის, არამედ ხელშეკრულების ძალაში შესვლის ფაქტიც. თუ კომისიას არ ექნა ასეთი დოკუმენტი, იგი ვერც მიიღებს გადაწყვეტილებას.

ამდენად, დოკუმენტი, მატერიალური სახით უნდა არსებობდეს. მატერიალური სახით არსებობა კი, თავის მხრივ, მხარეთა მიერ ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმებაა.

ამასთან, ლიცენზიის გადაცემის თაობაზე გარიგება შეიძლება პირობით გარიგებად იქნეს მიჩნეული იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლა მომავალ პირობაზეა დამოკიდებული, რომელიც აუცილებლად კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი ძალის მქონე აქტი უნდა იყოს. დათქმა, რომლითაც მხარეები გაწერენ ხელშეკრულების ძალაში შესვლას კომისიის თანხმობამდე, არ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა სამართლებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების წერილობით ფორმას, მითუმეტეს, როდესაც იგი ეხება მედია საშუალების მიერ საქმიანობის განხორციელებას და როდესაც ხელშეკრულების საგანი სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობის მქონე სიკეთის მატარებელია.

3. მედიასამართალი და საავტორო უფლებები

მედიასამართლებრივ ურთიერთობაში საავტორო უფლებების საკითხის განხილვას უნდა შევეხოთ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას განსაზღვრავს. აღნიშნული უფლებით პირს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დამოუკიდებლად მოახდინოს საკუთარი პიროვნების განვითარება ინტელექტუალურ ასპექტში. კერძოდ, გამოიგონოს გარკვეული სიახლე, რომელსაც დაარეგისტრირებს შესაბამის ორგანოში, შექმნას ისეთი ნაწარმოები (მუსიკალური ან სხვ.), რომელიც იქნება ნოვაციური ხასიათის და რომელიც თავისი ფორმითა და განსხვავებული საშუალებით გამოხატავს პირის (ხელოვანის, უფლებების მატარებლის) გამცოდილებას, განცდებსა და სხვ.[491]

---

[491] შეად. *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2011, 136.

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.[492] აღნიშნულის მეშვეობით განხორციელებულია ისეთი სახის სამართლებრივი ინსტიტუტების რეალიზაცია, როგორიცაა საავტორო უფლებები და სხვ.[493] ნებისმიერ პირს და, მათ შორის, მედია საშუალებას გააჩნია ასეთი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც შესაბამის ნაწარმოებზე უფლების დაცვაში გამოიხატება. მაგალითად, ტელემაუწყებელი წარმოადგენს კონკრეტულ ფილმზე საავტორო-ქონებრივი უფლებების მატარებელს, ან შესაძლებელია სხვა მაგალითის განხილვა: მედია საშუალებას (ისევე როგორც, თითქმის ნებისმიერ სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირს) გააჩნია შესაბამისი ლოგო როგორც სასაქონლო ნიშანი.

მედიასამართლებრივ ასპექტში საავტორო უფლებების საკითხზე საუბრისას მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშნისა და კომპანიის სახელწოდების განმასხვავებელ ნიშნებს შევეხოთ. სასაქონლო ნიშანთან კომპანიის სახელის იდენტიფიცირება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მომხმარებელს ერთმანეთში ერევათ იგი,[494] თუმცა, მედიისა და ტექნოლოგიური შესაძლებელობების განვითარებიდან გამომდინარე, უმეტესად კომპანიის სასაქონლო ნიშნით (საფირმო სახელწოდებით) იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

მედია საშუალებას, ისევე, როგორც სხვა სფეროში მომუშავე კომპანიებს, უფლება აქვს საფირმო სახელწოდება და კომპანიის სახელწოდება სხვადასხვაგვარი ჰქონდეს. მაგალითად, თუ შპს-ს სახელწოდებაა „საქართველო 2014“, მას გააჩნია უფლებამოსილება, ჰქონდეს საფირმო სახელწოდებად: „TV20“ ან „გაზეთი 20“ და ა.შ. საფირმო სახელწოდება, ისევე, როგორც სასაქონლო ნიშანი, **მედია საშუალებამ შეიძლება დაარეგისტრიროს საქპატენტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით**. აღნიშნულის საფუძველზე იგი უფრო მეტად იქნება დაცული მესამე პირთა მიერ მისი სახელის გამოყენებისაგან.

მეორე საკითხი, რომელსაც წინამდებარე ქვეთავში შევეხებით, ესაა გადაცემებთან დაკავშირებული, ან რეკლამის განთავსებისას საფირმო სახელწოდების (მათ შორის, სასაქონლო ნიშნის) გამოყენება. სარეკლამო ურთიერთობისას საკითხი უფრო მარტივი გადასაწყვეტია იმდენად, რამდენადაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საავტორო უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა ერთ-ერთ მხარეს ეკისრება.[495]

---

[492] *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 23-ე მუხლი , 233.

[493] იხ. იქვე, 237 და შემდგომი.

[494] *ძამუკაშვილი დ.*, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 109.

[495] იხ. *ჯორბენაძე ს.*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, 189 და შემდგომი.

განსხვავებული სიტუაციაა საინფორმაციო გამოშვებისას გაშვებული სიუჟეტის თაობაზე. ასეთის არსებობისას მნიშვნელოვანია, მედია საშუალებამ (უპირატესად, მაუწყებელმა) დაიცვას ობიექტურობის პრინციპი და მხოლოდ რეალური ფაქტები გადასცეს მომხმარებელს კონკრეტული კომპანიის სახელის შელახვის გარეშე. მაგალითად, თუ ეთერშია სიუჟეტი, რომელიც ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში მომხდარ ინციდენტს შეეხება, მაუწყებელს უფლება აქვს, კადრში აჩვენოს იმ სავაჭრო ცენტრის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ფაქტი (სასაქონლო ნიშანი ან სხვ.), მაგრამ მხოლოდ რეალური ფაქტების ჩვენებით.

მნიშვნელობანია საკითხი, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების საჯარო გადაცემას ეხება. მაგალითად: მაუწყებელმა ფილმი, რომელიც შეიძინა უცხო ქვეყნის ერთ-ერთი კომპანიისგან (ან ფიზიკური პირისგან), ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე უნდა გადასცეს საკუთარი ეთერით, მათ შორის, ტიტრების ჩვენებით. მხატვრული ფილმების უმეტესობაში განთავსებულია მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ამავე ფილმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მაუწყებლმა ფილმთან ერთად უნდა გადაიხადოს თუ არა დამატებითი თანხა ამ ნაწარმოებისთვის? მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია გავლებულ იქნეს პარალელი სატელევიზიო გადაცემასთან, რომელშიც კონკრეტული პირები ასრულებენ სხვადასხვა მუსიკალურ ნომრებს, მაუწყებელთა მიერ აუცილებლად უნდა იქნეს შესაბამისი საავტორო ჰონორარი გადახდილი (ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანოში – „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში“ – **www.gca.ge**), თუ მაუწყებელს უშუალოდ განსაკუთრებული უფლების მქონე პირთან შეთანხმება არ აქვს მიღწეული ნაწარმოების გამოყენების თაობაზე. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მაუწყებლის მიერ ნაყიდ მხატვრულ ფილმში განთავსებულია მუსიკალური ნაწარმოები?

სხვადასხვა განმარტებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში მაუწყებელი დამატებით იხდის თანხას, რომელიც მუსიკალურ ნაწარმოებს შეეხება, თუნდაც მას ფილმის განთავსებისთვის ჰქონდეს თანხა გადახდილი. ასეთი განმარტება შესაძლებელია, ერთი მხრივ, კანონმდებლობის საფუძველზე ლოგიკურიც იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხს თუ ასე დავსვამთ: ყიდულობს მაუწყებელი ფილმს მუსიკის გარეშე? ხომ არ გამოდის ამ შემთხვევაში ორმაგი ვალდებულების აღება ერთი ფილმის განთავსებისთვის. ამ საკითხის მოწესრიგებისთვის მნიშვნელოვანია, თუ დამკვიდრდება სასამართლო პრაქტიკა, ვინაიდან საკითხის გადაჭრისთვის მხოლოდ თეორიული დასკვნა არ იქნება საკმარისი. თუ მაუწყებელს ფილმში არსებული მუსიკისთვის დაეკისრება თანხის გადახდა, მაშინ გასარკვევია ისიც, რა თანხა უნდა დაეკისროს მას. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ აღნიშნავს, რომ მაუწყებელმა საერთო სამაუწყებლო საქმიანობის შემოსავლის პრორპოციულად უნდა მოახდინოს ანგარიშსწორება. ამ მხრივ საქმე გვაქვს ან საკანონმდებლო ხარვეზთან, ან ნორმის არასწორ ინტერპრეტაციასთან.

მუსიკალური ნაწარმოების განთავსების პროპორციულად ანგარიშსწორების განხორციელება აბსოლუტურად ლოგიკურია, თუმცა, რატომ ითვლება მთლიანი თანხიდან (მთლიანი შემოსავლიდან) გადახდა სავალდებულოდ, ეს მაინც კითხვას ტოვებს. ამასთან, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკაბელო ოპერატორებიც (მაუწყებლობის ტრანზიტორებიც) ვალდებულნი არიან, თავიანთ პაკეტში განთავსებულ მაუწყებელზე გასული მუსიკალური ნაწარმოებისთვისაც მოახდინონ ანგარიშსწორება. კანონში ამ საკითხთან მიმართებით არაფერია პირდაპირ გაწერილი, შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება ის, თუ რატომ უნდა მოახდინოს მაგალითად, „კავკასუს ონლაინმა" მის ქსელში განთავსებულ „ტელეკომპანია GDS-ზე" გასული მუსიკალური ნაწარმოებისთვის ანგარიშსწორება? პოზიცია, რომელიც ავტორის მიერ ამ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაფიქსირებული, უარყოფითია, რაც საკაბელო მაუწყებლებს და, ასევე, ფილმის განთავსებისას მუსიკალურ ნაწარმოებსა და საერთო შემოსავლების მიხედვით ანგარიშსწორებას ეხება, სხვა მხრივ კი მაუწყებლის მიერ ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომელზეც არ არის თანხა გადახდილი (უფლება არ აქვს მასზე წარმოშობილი), ანგარიშსწორების ვალდებულების დაკისრება აბსოლუტურად ლოგიკურია და სამართლებრივი მართლწესრიგისთვის აუცილებელია, ვინაიდან, თუ მუსიკალური ნაწარმოების ავტორი თავად გადაწყვეტს ნაწარმოების გასხვისების[496] ან ეთერში გავრცელების პერიოდულობას ჰონორარის გარეშე, მაშინ მაუწყებელს არ უნდა დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

4. შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მედიასამართალში

პირთა თანასწორობის უფლების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმთავრესი პრინციპია, რომელიც სამართლის თითოეულ დარგში გამოიხატება.[497] ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს შრომის თავისუფლება. შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მედიასამართალში მედია საშუალებისა და მის თანამშრომელს შორის ხელშეკრულების დადებითად უნდა განისაზღვროს. იგი გამომდინარეობს საქართველოს შრომის კოდექსში არსებული დათქმიდან, რომელიც ცალკეულ შრომითსამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს.

შრომის კოდექსიდან გამომდინარე, განვიხილავთ მხარეების უფლებებს და ყურადღებას გავამახვილებთ იმ მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტებზე, რომლებიც მედია საშუალების საქმიანობის პოლიტიკას განსაზღვრავს.

საქართველოს შრომის კოდექსი არ იცნობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნებას, თუმცა, ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტებიდან

---

[496] შედარებისთვის იხილეთ: *ჯორბენაძე ს.*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი" მე-18 მუხლი, თბილისი, 2013, 182.

[497] *Schmidt* in Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, 14. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2014, GG Art. 3, Rn. 1.

გამომდინარე, შესაძლებელია ყურადღება ამ კუთხითაც იქნეს გამხვილებული. მაგალითად, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შრომითი ხელშეკრულებით მის ნაწილად შეიძლება განისაზღვროს შრომის შინაგანაწესის არსებობის საკითხი.[498] აღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში იგი გავრცელებულ უნდა იქნეს ნებისმიერ დასაქმებულზე, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას მედია საშუალებაში განახორციელებს.

მედია საშუალება არ წარმოადგენს ისეთ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელი იქნება კანონის გვერდის ავლით შრომის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა. მაგალითად, ორსული ქალისთვის ისეთი სამსახურებრივი ვალდებულების დაკისრება, რომელიც დაუშვებელია კანონის საფუძველზე და სხვ. ერთი მხრივ, აღნიშნული წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საკითხს შინაგანაწესისა თუ შრომითი ხელშეკრულების შედგენის დროს,[499] ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი შეზღუდვა დამსაქმებლის უფლებების პირდაპირპროპორციული სამართლებრივი საფუძვლის შედეგია.

საინტერესოა საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის დაეკისრება მედია საშუალებაში პასუხისმგებლობა კონკრეტული მოქმედების განხორციელებისთვის? კერძოდ, დაეკისრება თუ არა მედია საშუალებას პასუხისმგებლობა ამავე ორგანიზაციაში მომუშავე დასაქმებულის მიერ დარღვევის შემთხვევაში? პასუხისმგებლობის დაკისრება ზოგადად სხვადასხვა ასპექტებზეა დამოკიდებული. უმთავრესად, შესაძლებელია განხილულ იქნეს ე.წ. „ქვემდებარეობის პრინციპიდან" გამომდინარე პასუხისმგებლობის განსაზღვრის სამართლებრივი საფუძველი. დასაქმებულის, როგორც უწყებრივად ქვემდებარე პირის მიერ დარღვევის განხორციელების შემთხვევაში დამსაქმებელი ირიბად პასუხისმგებლობის ამღები შეიძლება გახდეს.[500]

ხშირია შემთხვევა, როდესაც გამოცხადებული ვაკანსიის შესახებ ცნობილი ხდება მედია საშუალებით. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში მოქმედებს ვებგვერდები, რომელთა წყალობითაც დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, გააგზავნოს მოთხოვნა გამოცხადებული ვაკანსიის თაობაზე.[501]

ხშირია ასევე შემთხვევა, როდესაც დამსაქმებელი სოციალური მედიის საშუალებით ასაჯაროებს ინფორმაციას ვაკანტური ადგილის თაობაზე. თუ პირი სა-

---

[498] იხ. *კრესელიძე თ.*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი", თსუ, თბილისი, 2013, 65.

[499] იხ. *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების მოქმედება შრომის კოდექსთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი" N1-2 (3-4), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 21.

[500] *შუდრა თ.*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი", თსუ. თბილისი, 2013, 215.

[501] მაგალითად, <**www.jobs.ge**>, ან <**www.hr.ge**> და სხვ.

კუთარ გვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას ვაკანსიის თაობაზე, ვალდებულია, დაიცვას სამართლებრივი ნორმები, რათა სხვა პირები არ ჩააყენოს დისკრიმინირებულ მდგომარეობაში,[502] ანუ დაიცვას შრომის კანონმდებლობის წესები, რომელიც დასაქმებულის სამსახურში აყვანამდეა გათვალისწინებული.[503]

4.1 მედია საშუალება როგორც სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმო

საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წელს შესული ცვლილებების საფუძველზე საქართველოს მთავრობას დაევალა დადგენილების მიღება, რომლითაც იგი სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოთა ჩამონათვალს განახორციელებდა. აღნიშნული ჩამონათვალის არსი მდგომარეობს თითოეულ ასეთ საწარმოში მომუშავე პირთა უფლებების დაცვაში. კერძოდ, **საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე, ყოველკვირეული სამუშაო დრო განისაზღვრება 40 საათით.** მხოლოდ სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოთათვის ვრცელდება გამონაკლისი, რომლის საფუძველზეც **ასეთ საწარმოში მუშაობის პერიოდულობა კვირაში 48 საათითაა განსაზღვრული** (იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი). რამდენად არის მედია საშუალება დასახელებული კატეგორიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი?

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილებაში მედია საშუალების თაობაზე პირდაპირი დათქმა არ გვხვდება – არაფერია ნახსენები მედიასაქმიანობაზე. ერთადერთი, რასთანაც შესაძლებელია პარალელის გავლება მედია საშუალების საქმიანობასთან, ესაა კავშირგაბმულობა, რომელიც მედიასაქმიანობასთან ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირშია. ცალკე განხილვის თემაა, თუ რამდენად შესაძლებელია პარლალელის გავლება კავშირგაბმულობასა და მედიასაქმიანობასთან.

მედიის საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია ყოველდღიურ საქმიანობასთან. განსაკუთრებით, ჟურნალისტების, რომელიც უმეტესწილად მთელი დღის მანძილზე საქმიანობენ (გადაღებები, სიუჟეტის მომზადება, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ჩართვა და ა.შ.), რაც საბოლოო ჯამში ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას გულისხმობს.[504]

---

[502] შეად. *Elefant C.*, artickle: The „power" of social media: legal issues & best practices for unilities engaging social media, Energy Bar Association, 2011, 13.

[503] აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *კერესელიძე თ.*, შრომის ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებლის მიერ კანდიდატისთვის დასმული დისკრიმინაციული შეკითხვის სამართლებრივი შედეგები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, გამომცემლობა „მერიდიანი", თსუ, თბილისი, 2011, 175-232.

[504] ზეგანაკვეთური სამუშაოს მოწესრიგების თაობაზე იხილეთ: *ქათარაძე ს.*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი", თსუ, თბილისი, 2013, 103-114.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მედიაში, თუ იგი კვირაში 40 საათზე მეტხანს გრძელდება, აუცილებლად უნდა იქნეს დამსაქმებლის მიერ ანაზღაურებული.

4.2 სტაჟირება და გამოსაცდელი ვადა მედია საშუალებაში

მედია საშუალების ხელმძღვანელ პირს გააჩნია უფლებამოსილება, დადოს ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით ან დართოს პირს უფლება, გაიაროს სტაჟირება. თითოეულ შემთხვევაში მედია საშუალებაში შესაბამისი საქმიანობის განხორიცელება უნდა შეესებამებოდეს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს.

გამოსაცდელი ვადა დასაქმებულის შესაძლებლობებში გარკვევისთვის საჭირო პერიოდია. დამსაქმებელი უფლებამოსილია, დროებით დასაქმებული ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან (საქართველოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი).

სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი მედია საშუალებაში შეიძლება გახდეს სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად, ტელემაუწყებელზე განთავსებულ იქნა სიუჟეტი, რომელიც შეიცავდა არასწორ მონაცემებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. თუ პირი, რომლის უფლებებიც შეილახა, იჩივლებს და თვითრეგულირების კომისიის გადაწყვეტილებით მოიგებს დავას, შესაძლებელია ტელემაუწყებლის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლოს სიუჟეტის ავტორი. **მესამე პირს არ აქვს მედია საშუალების თანამშრომლის დათხოვნაზე მოთხოვნის დაყენების უფლება.** აღნიშნული აბსოლუტურად დამსაქმებლის პრეროგატივას წარმოადგენს.

გამოსაცდელი ვადის მანძილზე ნებისმიერი დავალება, რომელიც შეიძლება დაეკისროს დასაქმებულს, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. მაგალითად, თუ დასაქმებულს, რომელიც მედია საშუალებაში გამოსაცდელი ვადით იმყოფება, სიუჟეტის გასაკეთებლად მივლინებულ იქნება სახიფათო ტერიტორიაზე (საომარი მოქმედებების ადგილას და სხვ.) და მას სიუჟეტის მომზადებისას შეექმნება ჯანმრთელობის პრობლემა (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო: საომარ ვითარებაში აღმოჩნდება თუ სხვ.), დამსაქმებელი ვალდებული იქება, აუნაზღაუროს მას ყველა ეს ხარჯი საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

ვალდებულებების ანალოგიური წესი ვრცელდება სტაჟიორის გამოსაცდელი ვადით მიღებისას. დამსაქმებელს, მაგალითად, ორსული ქალისა ან არასრულწლოვანის მიმართ გააჩნია ზუსტად იგივე მოვალეობანი, რაც ჩვეულებრივი, უვადო შრომითი ურთიერთობისას. **განსხვავება გამოსაცდელ ვადასა და სტაჟირებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ სტაჟირების შემთხვევაში დამსაქმებული არ არის შეზღუდული მაქსიმალური ვადით, რა პერიოდშიც უფლება ექნება სტაჟიორის დასაქმებისა.**

სტაჟირების საკითხი დამსაქმებელსა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. კერძოდ, მინიმალური ან მაქსიმალური ვადის ათვლა სწორედ იმ მომენტიდან დაიწყება, როდესაც მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ. დასაქმებულისთვის სტაჟირების პერიოდში დამსაქმებელი უფლებამოსილია, მისცეს მას დავალება, რომელიც დასაქმებულმა აუცილებლად უნდა შეასრულოს.

თავი IX დანაშაული და მედია

2007 წლის 1 დეკემბერს 56 წლის ბრიტანეთის მოქალაქე, ჯონ დარვინი გამოცხადდა ლონდონის ერთ-ერთი უბნის პოლიციაში და განაცხადა, რომ მას ამნეზია ჰქონდა. იგი თვლიდა, რომ დაკარგული იყო. მართლაც, აღნიშნული პირი ოფიციალურად ითვლებოდა დაკარგულად 2002 წლის 21 მარტიდან, როდესაც თვითმხილველებმა ბოლოჯერ ნახეს – იგი ზღვაში შედიოდა წითელი კანოეთი. ოჯახის წევრებმა დარვინის ძებნა იმ დღის შემდეგ გამოაცხადეს, როდესაც საღამოს ცვლიდან სახლში აღარ დაბრუნდა (დარვინი ციხეში ოფიცრად მუშაობდა). სამძებრო სამუშაოები რამდენიმე დღე გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. გაუჩინარებიდან ერთი წლის შემდეგ, 2003 წლის აპრილში, დარვინი სასამართლომ გარდაცვლილად ცნო და მისმა მეუღლემ სადაზღვევო კომპანიისაგან კომპენსაციის სახით 250,000 ფუნტი მიიღო.

მას შემდეგ, რაც გარდაცვლილად გამოცხადებული დარვინი პოლიციის შენობაში გამოცხადდა ბრიტანულ პრესაში დაიწყო სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, თუ სად იმყოფებოდა აღნიშნული პირი 5 წლის განმავლობაში. 2007 წლის 5 დეკემბერს „დეილი მირორმა"[505] პირველმა გამოაქვეყნა ჯონ დარვინის და მისი მეუღლის – ანას სურათები, რომლებიც ბედნიერად ეფიცხებოდნენ მზეს პანამაში.[506] აღნიშნული სურათი გადაღებული იყო ერთი წლის წინ და როგორც შემდგომში გაირკვა, პოლიციისთვის უკვე ცნობილი იყო ამ ფოტოს არსებობის შესახებ. პოლიციას აღნიშნული სურათი მიაწოდა მოქალაქემ, რომელიც იმდენად იყო დაინტერესებული დარვინის საქმით, რომ ინტერნეტში ცნობების ძიებისას უძრავი კომპანიის – „Move to Panama-ს" ინტერნეტ გვერდზე შემთხვევით წააწყდა ამ ფოტოს. დარვინი დააკავეს 5 დეკემბერს, ხოლო მისი მეუღლე ანა 4 დღის შემდეგ და ბრალი დასდეს თაღლითობაში.

ეს საქმე იმითაც იყო უჩვეულო, რომ დარვინს ჰყავდა ორი ვაჟი, 23 და 26 წლის, რომელთაგან არც ერთს წარმოდგენა არ ქონდა მშობლების თაღლითური წამოწყების შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში დარვინი ცხოვრობდა საკუთარ სახლში. როგორც აღმოჩნდა დარვინების ოჯახს ასევე ეკუთვნოდათ მეზობლად არსებული სახლი და ეს სახლები ერთმანეთთან ფარული ოთახების საშუალებით იყო დაკაშირებული, ამიტომ მას საშუალება ჰქონდა, უმეტესი დრო თავის მეუღლესთან ერთად გაეტარებინა, ხოლო როდესაც მის მეუღლეს ოჯახის წევრები ან მეგობრები სტუმრობდნენ, მაშინ უჩინარდებოდა ფარული კარის მეშვეობით. დარვინმა შეიცვალა გვარი და დაირქვა ჯონ ჯონსი, იმ ბავშვის გვარი, რომელიც ბავშვობაში მის მეზობლად ცხოვრობდა და რომელიც გარდაიცვალა 4

---

[505] Daily Mirror – ბრიტანული ტაბლოიდური გაზეთი, გაყიდვაშია 1903 წლიდან.

[506] *Altman A.*,Canoe Man Arrested by Police, *The Time* (London, 05 December 2007) <**http://content.time.com/time/world/article/0,8599,1691118,00.html**> [25.03.14].

კვირის ასაკში; გაიკეთა რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია, ატარებდა წვერს და, შესაბამისად, მისი ამოცნობა საკმაოდ ძნელი იყო.

სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ დარვინმა სიკვდილის ინსცენირება გადაწვიტა მოზღვავებული ფინანსური პრობლემებისა და პატიმრების მხრიდან გახშირებული მუქარის გამო. მისი ადვოკატის განცხადებით, იგი 51 წლის განმავლობაში იყო კანონმორჩილი მოქალაქე და სწორედ ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა აიძულა, ჩაედინა დანაშაული.[507] მისმა მეუღლემ, თავის მხრივ, თავი იმით იმართლა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ქმარი აიძულებდა მას დახმარებოდა დანაშაულის დაფარვაში. მოსამართლემ მოცემულ საქმეში დაზარალებულად მხოლოდ მათი შვილები ცნო – ჯონ დარვინს მიუსაჯა 6 წლითა და 3 თვით, ხოლო დარვინის მეუღლეს – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ დარვინის გამოჩენიდან მისი პროცესის დასრულებამდე მასმედია ყოველდღიურად აშუქებდა ამ ამბავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, რა საჭირო იყო, თავის – „დანაშაულის და მედიის" დაწყება ამ შემთხვევის განხილვით? პასუხი მარტივია – ამ საქმის გარშემო განვითარებული მოვლენები იმდენად სპეციფიკურია, რომ ამ თავში განსახილველ უამრავ საკითხს მოიცავს. ამ ამბის სპეციფიკურობა კი იმაში მდომარეობს, რომ იგი აერთიანებს შვილებს, როგორც დანაშაულის მსხვერპლს და დამნაშავე დედას, რომელსაც პრესამ უმალ „ცუდი დედის" იარლიყი მიაკერა. სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია ამ ამბისადმი დიდი ინტერესი და შექმნა აქტუალური ახალი ამბავი, რომლის მსგავსის ხელში ჩაგდებაზე ყველა მედია საშუალება ოცნებობს. მეტიც, ამ ამბავს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ 2010 წელს გადაიღეს ბრიტანეთის ერთერთი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო დრამა „Coronation Street", რომელიც დარვინების ამბის ანალოგი იყო.[508]

მედიის მხრიდან „ცუდი დედის" სტერეოტიპის შექმნის და მსხვერპლი შვილებისადმი სიმპატიის გარდა, დარვინების ისტორია ცხადყოფს, რაოდენ ყოვლისმომცველია დღესდღეობით ინტერნეტი და რა ძნელია გაუჩინარება. ის ფაქტი, რომ პირველი, ვინც ჯონ დარვინის სურათს წააწყდა ინტერნეტში, უბრალო მოქალაქე იყო და არა პოლიცია, ბადებს კითხვას: სად გადის ზღვარი პირადსა და საჯარო სფეროს შორის? გარდა ამისა, იკვეთება ისიც, რომ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა ე.წ. დემოკრატიული ზედამხედველობა/მეთვალყურეობის განხორციელება. დარვინების ამბავი შეიცავს, ასევე, 21-ე საუკუნეში საკმაოდ გავრცელებელ დანაშაულს – იდენტობის ქურდობას (Identitiy theft). რამდენიმე გაზეთმა გამოკითხა ნამდვილი ჯონ ჯონსის ძმები, რომელთა განცხადებითაც ისინი თავს დაზარალებულებად მიიჩნევდნენ: „მან თავის ბინძურ საქ-

---

507 იხ. <http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/england/tees/7520803.stm> [25.03.14].

508 *Jewkes Y.*, Mediaand Crime,California, Sage Publications, 2011, 3 (შემდგომში – *Jewkes Y.*, Mediaand Crime, გვ.).

მეში უდანაშაულო ოჯახი ჩარია, ეს ყველაფერი ზიზღს იწვევს". „თავს უაღრესად ცუდად ვგრძნობდი, როცა გავაანალიზე, რომ ჩემი გადაცვლილი ძმის სახელი ასეთ კონტექსტში გამოიყენეს. ეს ამაზრზენია".[509]

წინამდებარე თავში ვეცდებით წარმოვაჩინოთ, რა კავშირი არსებობს დანაშაულსა და მედიას შორის. დასახული მიზნის მისაღწევად პირველ პარაგრაფი დაეთმობა თეორიულ ანალიზს, რომელიც აერთიანებს კრიმინოლოგიურ, სოციოლოგიურ, კულტურულ და მედიის სწავლებების თეორიებს, რათა უკეთ წარმოაჩინოს, რა ურთიერთკავშირი არსებობს ამ დარგებს შორის და ამის საფუძველზე შექმნას წარმოდგენა, რა კავშირია დანაშაულსა და მედიას შორის.

მეორე პარაგრაფი დაეთმობა იმის განხილვას, თუ როგორ იქმნება დანაშაულებრივი ახალი ამბავი და რატომ არის მედია ასე დაინტერესებული ამ ამბების გაშუქებით. წარმოდგენილი იქნება ახალი ამბების ღირებულების ელემენტები, რომლებიც შესაძლებელია მისადაგებულ იქნეს არა მარტო დანაშაულებრივი ახალი ამბების შექმნის, არამედ ყველა სახის ახალი ამბების შექმნის პროცესთან.

მედიაზე და დანაშაულზე საუბრისას შეუძლებელი იყო, არ შევხებოდით მორალური პანიკის ფენომენს და სწორედ ამიტომ მესამე პარაგრაფი დაეთმობა მორალურ პანიკაზე მსჯელობას. განმარტებული იქნება, თუ რას ნიშნავს მორალური პანიკა და როგორ შეიცვალა აღნიშნული ფენომენი მას შემდეგ, რაც სტენლი კოენმა პირველად განმარტა იგი.

მეოთხე პარაგრაფში საუბარი იქნება მედიასა და ბავშვებზე, გავლებული იქნება პარალელი მორალურ პანიკასთან, რადგან როგორც მოზარდების მიერ ჩადენილი, ისე მოზარდების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, უმეტეს შემთხვევაში, ხდება მორალური პანიკის საფუძველი.

მეხუთე პარაგრაფში მიმოხილულ იქნება მეთვალყურეობის და დაკვირვების სისტემა, თუ რამდენად განაპირობებს ეს უკანასკნელი იმას, რომ დღევანდელი საზოგადოება გახდა უკიდურესად კონტროლირებული. საუბარი იქნება პანოპტიკონის ცნებაზე და იმაზე თუ, როგორ აქვს ათვისებული პანოპტიციზმის პრინციპები ხელისუფლების წარმომადგენლებს და როგორ გამოიყენება ის ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალაქებსა და სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების დახმარებით.

ბოლო, მეექვსე პარგრაფში საუბარი იქნება ინტერნეტსა და გლობალურ ქსელზე, თუ რა გავლენა აქვს მათ ახალგაზრდებსა და მათ ცხოვრებაზე. ინტერნეტის გავლენაზე საუბრისას იმაზეც ვიმსჯელებთ, თუ როგორ იქცა ინტერნეტი მოქალაქეებსა და სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიური ბრძოლის ველად და აღნიშნულის ყველაზე უკეთ საილუსტრაციოდ განხილულ იქნება ჩინეთის საქმე. გარდა ამისა, მიმოხილულ იქნება ისიც, თუ რამდენად აადვილებს ინტერნეტი დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას წარმოდგენილი იქნება ბოლო დროს გავრცელებული კიბერ დანაშაულები.

---

[509] *Daily Mirror*, 12 December Issue, 2007.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა არსებობს კიდევ უამრავი საკითხი, რაც საკმაოდ აქტუალურია დღევანდელ რეალობაში და კიდევ უფრო უკეთ წარმოაჩენს დანაშაულისა და მედიის ურთიერთმიმართებას, თუმცა სამწუხაროდ, სახელმძღვანელოს ფორმატის გამო აღნიშნული ვერ მოხვდა ამ გამოცემაში.

1. თეორიული საკითხები

რატომ გვხიბლავს ინფორმაცია დანაშაულისა და დევიაციის შესახებ? რადგან მედიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოგვხიბლოს მსგავსი ინფორმაციით, შეუძლია თუ არა მას, იგივე წარმატებით გააღვივოს ხალხში დანაშაულის შესახებ შიში? რატომ არის მედია შეპყრობილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციით? რა კავშირი არსებობს მასმედიასა და დანაშაულს შორის? კრიმინოლოგიის და მედიის მკვლევარები უკვე საუკუნეზე მეტია, ცდილობენ პასუხი გასცენ ამ კითხვებს. აღნიშნული ორი დისციპლინის წარმომადგენლებს იმაზე მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამის დასტურად გამოდგება ის ფუნდამენტური კითხვები, რომლებიც ორივე პროფესიის წარმომადგენლებისთვის სისხლხორცეულია: რატომ ხდებიან დამნაშავეებად? და როლს თამაშობს მასმედია დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით? გარდა აღნიშნულისა, მედიის სწავლება ისევე როგორც კრიმინოლოგია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ მომიჯნავე დისციპლინებთან, როგორებიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სოციალური მეცნიერებები. შესაბამისად, ამ დისციპლინებში ჩატარებულმა კვლევებმა და ამ კვლევების შედეგებმა გახადა შესაძლებელი, რომ ზემოაღნიშნულ კითხვებზე გაეცათ პასუხი. ამ ორივე საგნის ინტერდისციპლინურმა ბუნებამ და სოციალურ მეცნიერებებთან სიმჭიდროვემ განაპირობეს ის, რომ უკვე 1960 წლიდან, როდესაც ეს საგნები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში შეტანილ იქნა როგორც სასწავლო დისციპლინა, ხშირად კრიმინოლოგია და მედია პარალელურ რეჟიმში ისწავლებოდა, რამაც შედეგად მოგვცა ახალი საგანი – დანაშაული და მედია.[510]

წინამდებარე პარაგრაფის მიზანია, მკითხველს მოკლედ გააცნოს ყველა ის სოციალური და კრიმინოლოგიური თეორია, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ამ თავში განხილული არაერთი მოვლენის თეორიულ ჩარჩოებში მოქცევა.

1.1 მედიის ზეგავლენა

მედიის ზეგავლენაზე საუბრისას ამ სფეროში ჩართული მეცნიერებისა თუ სტუდენტებისათვის უმთავრესია კითხვა: რა დოზით იწვევს მედია ანტისაზოგადოებრივ, დევიაციურ ან დანაშაულებრივ ქმედებას, ან სხვა სიტყვებით რომ

---

510 *Jewkes Y.*,Mediaand Crime, 8.

ითქვას – რა დოზით იწვევს მედიის მიერ დანაშაულის გაშუქება უარყოფით შედეგებს? აღნიშნული საკითხი აკადემიური კვლევის დონეზე შეისწავლება, რომელიც „ეფექტების კვლევის" (effects research) სახელწოდებითაა ცნობილი.[511] აღნიშნულის ძირითადი წყარო კი არის მასობრივი საზოგადოების თეორია და ბიჰევიორიზმი. ეს ორი უკანასკნელი თეორია გამოირჩევა თავისი პესისმისტური დამოკიდებულებით საზოგადოების მიმართ და მიიჩნევს, რომ ადამიანის ბუნება არასტაბილურია და ადვილად ექცევა გარეშე ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ.[512]

ხშირად გარდაუვალია იმის აღიარება, რომ საზოგადოებაში იმატა ძალადობამ მას შემდეგ, რაც თანამედროვე მედიამ ფეხი მოიკიდა ყოველდღიურ რეალობაში. თანამევდროვე ფილმებმა, ტელევიზიამ და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო საზოგადოების ცნობიერებაში მსგავსი წარმოდგენების ფორმირებას. მეტიც, მოსახლეობის 95% ძალადობის შესახებ პირველად „გამოცდილებას" სწორედ მედიის საშუალებით იღებს.[513] შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მედია საშუალებებს ხშირად ადვენებს თვალყურს, იღებს გადაჭარბებულ ინფორმაციას დანაშაულის თუ სხვა ანტი-საზოგადოებრივი ქცევის შესახებ, კარგავს რეალობის შეფასების უნარს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათი დანაშაულის მსხვერპლად გახდომას.[514]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეპოქაში იურიდიულ ლიტერატურაში შევხვდებით ისეთი სახის ნაშრომებს, რომელშიც ფილმის (კინოს) დატვირთვა სამართლებივ ჭრილშია მოაზრებული.[515] ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ფილმის აქტუალურობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და პოპულარულობის ასეთი სახით ზრდა უშუალოდ მედიის მიერ ფილმის საჯაროდ გადაცემის შედეგადაა განპირობებული.

1.2 მასობრივი საზოგადოების თეორია

მასობრივი საზოგადოების თეორია, როგორც სოციოლოგიური თეორია, ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის ბოლოს და ფართო აღიარება მოიპოვა მე-20 საუკუნის

---

[511] *Greer C. and Reiner R.*,Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice in *Maguire M., Morgan R.and Reiner R.*, (eds), The Oxford Handbook of Criminology, Oxford: Oxford University Press, 2012, Fifth Edition, 247 (შემდგომში – *Greer C. and Reiner R.*,Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice, გვ.).

[512] *Pearson G.*,Hooligan: A History of Respectable Fears, Basingstoke: Macmillan, 1983, 35.

[513] *Schneider H J.*,Kriminologie fur das 21. Jahrhundert: Schwerpunkte und Fortschritte der internationalenKriminologie: Überblick und Diskussion, Munster, 2001, ციტირებულია, *შალიკაშვილი მ.,კრიმინოლოგია*, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, 271.

[514] *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, 271 (შემდგომში – *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, გვ.).

[515] იხ. მაგალითად, *რივაია ბ., დე სიმა პ.*, სამართალი და კინო 100 ფილმში, ირინა ჭელიძისა და ტარიელ ხუნწარიას თარგმანი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2008.

დასაწყისში, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანების უმრავლესობა არის გაუნათლებელი, უვიცი, პოტენციურად თავაშვებული და მიდრეკილი ძალადობისაკენ. მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი იყო არეულობის და გაურკვევლობის პერიოდი. ამ თეორიის მიმდევრების მოსაზრებით, ინდუსტრიალიზაციამ, უბრანიზაციამ და მსოფლიო ომმა განსაკუთრებით დაუცველი გახადა ადამიანები. ომის შემდგომ ხალხის დანაწევრებამ და ტრადიციული საზოგადოებრივი სიახლოვის მოშლამ გამოიწვია საზოგადოების იზოლირება, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ადამიანებს შორის მორალური კავშირის შესუსტება. აღნიშნულმა კი გამოიწვია დანაშაულისა და ანტისაზოგადოებრივი ქცევების მატება და რადგან მასები დაუმორჩილებლები გახდნენ, მათ ზურგი აქციეს სახელმწიფო თანამდებობის პირებს, რომლებიც საკმაოდ ინერტულები და არაკომპეტენტურები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, მოზღვავებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა ინდივიდუალურ დონეზე, რაც მოიცავდა ვიჯილანტიზმს, პირადი უსაფრთხოებისათვის სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებას და ზოგიერთ ქვეყანაში იარაღის უკანონოდ ტარებას. მეორე შედეგი, რაც საზოგადოების დანაწევრებას მოჰყვა იყო ის, რომ ამ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა მედიის როლი, რომელიც, ერთი მხრივ, ხალხის სამსახურში იდგა, როცა ამის აუცილებლობა იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედით იარაღად ითვლებოდა ხალხის აზროვნების გაკონტროლებისა და მათი პოლიტიკური აქტივობიდან ჩამოცილებისთვის.[516]

1.3 ბიჰევიორიზმი და პოზიტივიზმი

ბიჰევიორიზმი ადამიანს მიიჩნევს როგორც არასტაბილური ბუნების მქონე არსებას, რომელიც ადვილად ექცევა გარეშე ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ. შესაბამისად, მედიის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ დანაშაულის ან დევიაციური ქმედების შესახებ, შესაძლებელია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. ბიჰევიორიზმი არის ემპირიული მიდგომა ფსიქოლოგიისადმი და მის ფუძემდებლად ითვლება ჯონ უოტსონი. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი არის იმ საზოგადოებრივ გარემოში მიმდინარე მოვლენები, რომელშიც მას უწევს ცხოვრება. აღნიშნულის საფუძველზე ადამიანს უყალიბდებოდა სტაბილური და ცნობადი ჩვევები, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელი ხდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.[517] უოტსონი, თავის მხრივ, შთაგონებულ იქნა ივან პავლოვის კვლევებით, რომელიც ატარებდა ექსპერიმენტებს ძაღლებზე. კვლევისას ძაღლები ავლენდნენ პირობით რეფლექსებს (ნერწყვს გამოყოფდნენ) გარკვეული სტიმულის ფორმირებისას (ზარის რეკვის

---

[516] *Jewkes Y.*,Mediaand Crime, 11.

[517] *Watson B J.*, Psychological Review, 20, 158–177 (შემდგომში – *Watson B J.*, Psychological Review, გვ.).

დროს). სტიმულ-რეაქციის ერთიანობამ მიიყვანა უოტსონი იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად სტრუქტურულად რთული ბუნებისა, შესაძლებელი იყო ადამიანის ქცევისათვის თვალყურის დევნება და გაზომვა, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდებოდა ადამიანის სამომავლო ქცევის განჭვრეტა.[518]

აღნიშნულის პარალელურად კრიმინოლოგები ცდას არ აკლებდნენ, რომ დაკვირვებოდნენ და გაეზომათ კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეობა დაკავშირებული იყო არა თავისუფალ არჩევანზე, არამედ გამოწვეული იყო ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან სოციალური ფაქტორებით, რომელზეც დამნაშავეს ან საერთოდ არ ჰქონდა გავლენა ან ჰქონდა მცირე დოზით. შესაბამისად, გამოიკვეთა ორი პოზიცია: ერთი ის, რომ დამნაშავეობა იყო გენეტიკურად თანდაყოლილი და მეორე – დამნაშავეობა დაკავშირებული იყო უარყოფით სოციალურ გარემოსთან. კრიმინოლოგებს სჯეროდათ, რომ დანაშაული და დევიაცია, ისევე, როგორც დაავადება, შესაძლებელი იყო გამოკვლეულიყო და განკურნებულიყო.

ყველაზე ცნობილი ავტორი პოზიტივისტურ კრიმინოლოგიაში იყო იტალიელი კრიმინილოგი და ფიზიკოსი ჩეზარე ლომბროზო, რომელიც იკვლევდა სიკვდილმისჯილი კრიმინალების სხეულებს და მივიდა დასკვნამდე, რომ დამნაშავეთა სხეულები განსხვავდებოდა კანონმორჩილი მოქალაქეების სხეულებისგან. მას მიაჩნდა, რომ დამნაშავეები თავიანთი ბიოლოგიური განვითარების ადრეულ სტადიაზევე იყვნენ გარიყულნი საზოგადოებისაგან, ანუ დარჩნენ განვითარების წინანდელ საფეხურზე და ახასიათებდათ ისეთი ფიზიკური დარღვევები, როგორიც არის შვერილი ყბა, ძლიერი ძაღლისებრი კბილები, ირიბი შუბლი, უჩვეულო ზომის ყურები და ა.შ.[519] მართალია, დღესდღეობით პოზოტივისტურმა კრიმინოლოგიამ ცვლილება განიცადა და აღნიშნული თეორიები უგულებელყოფილია, მაგრამ ლომბროზოს თეორიის გავლენა მაინც იგრძნობა მედიაში ბავშვებისა და ქალების მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას.[520]

კრიმინოლოგების მსჯელობაზე დაყრდნობით მედიის მკვლევარებმაც აიტაცეს აზრი, რომ ადამიანის ქცევა იყო რეფლექსური და დაკავშირებული საზოგადოებრივ სტიმულებთან. სწორედ აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით გაჩნდა აზრი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნამდვილად იძლეოდნენ შეშფოთების საფუძველს მასებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. შესაბამისად, დაიწყო ლაბორატორიული ექსპერიმენტების სერია, რომელსაც უნდა დაედგინა მიზეზობრივი კავშირი მედიაში გაშუქებულ ამბავსა და ადამიანის ქცევას შორის. მკვლევარებისათვის ყველაზე საინტერესო იყო, გამოევლინათ აგრესიული ქცევის ნიშნები.[521]

---

518 იქვე, 163.

519 *Jewkes Y.*,Media and Crime, 13.

520 იქვე.

521 *Greer C. and Reiner R.*,Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice, 248.

ყველაზე ცნობილი ექსპერიმენტი ამ კუთხით ჩაატარა ალბერტ ბანდურამ კოლეგებთან ერთად 1950-1960 წლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ბავშვების ორმა ჯგუფმა. ერთ ჯგუფს აყურებინეს მულტფილმი, რომელიც შეიცავდა ძალადობის ამსახველ კადრებს, სადაც მულტფილმის გმირი ურტყავდა თოჯინას (Bobo doll experiment). მეორე ჯგუფს მსგავსი კადრებისათვის არ უყურებიათ. ორივე ჯგუში მონაწილე ბავშვები შეიყვანეს ოთახში, სადაც იყო ანალოგიური თოჯინა, როგორიც მულტფილმში. იმ ჯგუფმა, რომელმაც უყურა ძალადობას, გამოიჩინა ძალადობა თოჯინის მიმართ, ხოლო მეორე ჯგუფს ძალადობა არ გამოუვლენია. აღნიშნულმა ბანდურას და კოლეგებს მისცათ იმ დასკვნის გაკეთების საშუალება, რომ ტელევიზორში ნანახ ძალადობას პირდაპირი გავლენა აქვს რეალურ ცხოვრებაში განხორციელებულ ძალადობასთან.[522] ბანდურას აღნიშნული კვლევა მრავალგზის იქნა დაგმობილი და გაკრიტიკებული, რადგან კრიტიკოსების აზრით, კვლევა არ იყო რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების ამსახველი და ბავშვები გამოიყენეს როგორც „ლაბორატორიის ვირთხები". გარდა ამისა, ბავშვების მიერ გამოვლენილი ძალადობა იყო იმწუთიერი, რაც იმას ნიშნავს, რომ მულტფილმის ნახვის შემდეგ მათ დაუყოვნებლივ გამოავლინეს ძალადობა ისე, რომ ვერ იქნა დადგენილი, რა ეფექტი ექნებოდა ძალადობრივ კადრებს გარკვეული დროის შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, იმ ჯგუფის ბავშვები, რომელთაც არ უნახავთ ძალადობის კადრები, მაინც იჩენდნენ ძალადობას თოჯინების მიმართ ოთახში მარტო დატოვების შემთხვევევაში.[523]

მედიის ზეგავლენის დასადგენად ჩატარებული კვლევა ცნობილია, ასევე, როგორც „ჰიპოდერმული შპრიცის ნიმუში" ***(hypodermic syringe model)***, რადგან მედიასა და აუდიტორიას შორის ურთიერთობა აღქმულია როგორც მექანიკური და უბრალო პროცესი, რომლის საშუალებითაც მედიას შეჰყავს ღირებულებები, იდეები და ინფორმაცია აუდიტორიის ცნობიერებაში, რის შედეგადაც მედია ქმნის ეფექტს, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის წარმოდგენებსა და ქცევებზე. ვნებათაღელვა მედიის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ, ტრადიციულად, სამი ფორმით არსებობს. პირველი არის მორალური ან რელიგიური ვნებათაღელვა იმის თაობაზე, რომ პოპულარული მედია ხელს უწყობს უხამსი საქციელის წახალისებას და არღვევს საზოგადოებაში მიღებულ მართლწესრიგის ნორმებსა და მორალს. მეორე სახის ვნებათაღელვა მედიის უარყოფითი ზეგავლების შესახებ უკავშირდება მსჯელობას, რომ მასმედია ძირს უთხრის არსებულ კულტურას (ლიტერატურას, ხელოვნებას და ა.შ.) რადგან უმეტესი დრო ეთმობა მედია საშუალებებს. ვნებათაღელვის მესამე ფორმა კი გამოვლინებას იმაში პოვებს, რომ მედია არის მმართველი ელიტის ინტერესების დამცველი და ისე მანიპულირებს ხალხით, როგორც ეს მმართველ ელიტას სურს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური იყო გერმანიაში ფაშისტური და აღ-

---

522 *Bandura A.*,Aggression: Social Learning Analyses, New York:Prentice Hall, 1973, 38.

523 *Jewkes Y.*, Media and Crime, 13.

მოსავლეთ ევროპაში ტოტალიტარული მმართველობის დროს, როდესაც მედია ეწეოდა უდიდეს პროპაგანდას საკუთარი ხალხის გულის მოგებისა და მათზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით.[524]

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული თეორიები მიიჩნევენ, რომ მედიის მიერ გაშუქებულ მოვლენებს შეუძლია დიდი რეზონანსი გამოიწვიოს და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება აშშ-ი 1938 წლის რადიო გადაცემა, რომელიც აგებული იყო ჰერბერტ უელსის რომანის „სამყაროთა ომების" საფუძველზე. რადიო გადაცემა იყო ფიქციური დრამა, რომელმაც გადმოსცა, რომ ვითომდა უცხოპლანეტელები შემოიჭრნენ დედამიწაზე. აღნიშნული რადიოგადაცემა გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში და უამრავი ადამიანი უსმენდა. მათ მიერ ეს რეპორტაჟი სრული სერიოზულობით იქნა აღქმული და პანიკამ დაისადგურა – ხალხი გამოვიდა ქუჩაში და ღმერთს შველა სთხოვა. საავადმყოფოებში იმატა გულის შეტევით მიყვანილ ხალხთა რაოდენობამ და ა.შ.[525] ყოველმა მეექვსე გამოკითხულმა თქვა, რომ რეალურად აღიქვა ეს გადაცემა, რადგან კომენტარებს აკეთებდნენ ისეთი ავტორიტეტული პროფესორები და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომ ძნელი იყო მათ ნათქვამში ეჭვის შეტანა. აღნიშნული მაგალითი არის იმის დასტური, რომ მედიას დღესდღეობით შესწევს იმის ძალა, რომ რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს ამბავი, გადასცეს იმგვარად, რომ გამოიწვიოს ვნებათაღელვა, უარყოფითი სოციალური შედეგები და ფსიქოლოგიური ტრავმები. ეს რომ ასეა, მოწმობს რამდენიმე წლის წინ ქართულ სინამდვილეში მომხდარი ფაქტი, როდესაც ტელეკომპანია „იმედმა" საქართველო რუსეთს შორის ომის დაახლოებით ორი წლის თავზე – 2010 წელს, გაუშვა სიუჟეტი, რომელიც იუწყებოდა, რომ ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის კვლავ განახლდა. ნაჩვენები იყო ტანკების შემოსვლის კადრები, პოლიტიკოსების ჩართვები, რაც ხალხის მიერ ნამდვილ ამბად იქნა აღქმული.[526] ისევე, როგორც აშშ-ში, ჩვენთანაც პანიკამ მოიცვა ქვეყანა, ხალხი ყიდულობდა ბენზინს, რომ გაქცევით ეშველათ თავისათვის, მოუვიდათ გულის შეტევები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიუჟეტი მხოლოდ ერთმა ტელეკომპანიამ გაუშვა და გადაცემის დასაწყისში ითქვა კიდეც, რომ გადაცემა მოდელირებული იყო და აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაინც დიდი უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა. ორივე მოყვანილი მაგალითი კიდევ ერთხელ უსმავს ხაზს მედიის სიძლიერეს და იმას, თუ რაოდენ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მას საზოგადოებაზე.

---

[524] იქვე, 14.

[525] *O'Sullivan T. and JewkesY.* ,The Media Studies Reader, London:Arnold, 1997, 9.

[526] იხ. <**https://www.youtube.com/watch?v=MS_5wuuaXRw**> [06.08.14].

1.4 ანომიის თეორია

ანომია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და უკანონობას, კანონისა და ნორმების არარსებობას ან ნორმების უკმარისობას ნიშნავს.[527] კრიმინოლოგიურ თეორიებს შორის ანომიის თეორია არის ყველაზე ძნელად გამოსაკვლევი. აღნიშნული შენიღბული ფორმით დღესდღეობითაც არსებობს. ანომიის თეორიის მიხედვით, ადმიანები ჩადიან დევიაციურ ქმედებებს იმ მიზეზის გამო, რომ დისციპლინა და სოციალური ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები იმდენად შესუსტებულია, რომ საზოგადოების წევრებს ეკარგებათ მორალური ვალდებულება, დაემორჩილონ მათ.[528] ეს იდეა არსებობდა საუკუნეების წინაც, თუმცა იგი თეორიის სახით პირველად ჩამოაყალიბა ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკემმა.

დიურკემის აზრით, საზოგადოება, რომელშიც შრომა არ არის გადანაწილებული სათანადოდ და დამყარებულია ხალხის მექანიკურ სოლიდარობაზე, რომლებიც თავიანთი საქციელით ემსგავსებოდნენ იმ პრობლემებს, რა პრობელმებშიც მათ უწევდათ ცხოვრება, რის გამოც იკარგებოდა ერთსულოვნება და სიმტკიცე. თითოეული ადამიანი იყო ორიენტირებული საკუთარ თავზე, რაც, თავის მხრივ, წარმოშობდა დევიაციური ქმედების საფრთხეს. დიურკემი თვლიდა, რომ მსგავსი საზოგადოებრივი წყობა არსებობდა პრეინდუსტრიულ საფრანგეთში.

დიურკემის აზრით, უკეთესობისაკენ სვლა არც კაპიტალიზმის პირობებში იქნებოდა სავარაუდო, რადგან ასეთ დროს ხდება შრომის იძულებით დანაწილება, სადაც ხალხი ვალდებულია იშრომოს იმ საზოგადოებაში რომელსაც არა მარტო ლეგიტიმურობა აკლია, არამედ სრულ კონტროლსაც ვერ ახორციელებს ხალხის მოთხოვნებზე. ასეთ პირობებში ადამიანს ყოველთვის გააჩნია დაუმყოფილებლობის გრძნობა, რადგან, შრომის მიუხედავად, იგი იღწვის განუსაზღვრელი მიზნისაკენ და შეიძლება ვერასდროს მიაღწიოს სასურველს.[529] ასეთ საზოგადოებაში მორალური რეგულაცია მოიკოჭლებს, რაც მათ უადვილებს დევიაციური ქმედების ჩადენას.[530] სწორედ აღნიშნული არის ანომიის დიურკემისეული განმარტება, ანუ საზოგადოებაში, რომელშიც მოშლილია მორალური რეგულაცია და სოციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, იმატებს დევიაციური ქმედებათა ოდენობა, რადგან აღნიშნული ქმედება საზოგადოებრივი გაკიცხვის საგანი ნაკლებად ხდება.

1938 წელს რობერტ მერტონმა ანომიის თეორია ამერიკულ რეალობას მოარგო. მერტონის აზრით, ანომია ხელს უწყობდა სახელწიფოში უკმაყოფილების

---

527 *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, 42.

528 *RockP.*, Sociological Theories of Crimein *Maguire M., Morgan R. and Reiner R.* (eds), The Oxford Handbook of Criminology, Oxford: Oxford University Press, 2012, Fifth Edition, 45 (შემდგომში – *RockP.*, Sociological Theories of Crime, გვ.).

529 *Durkheim E.*, Suicide, London:Routlege, 1952, 256.

530 *Sherman L.*, Defiance, Compliance and Consilience: A General Theory of Criminology in *McLaughlin E. and Newburn T.* (eds), Sage Handbook of Criminological Theory, London: Sage 2010, 366.

ზრდას და დერეგულაციას, რაც ბიძგს აძლევდა დანაშაულსა და დევიაციას.[531] ასეთ დროს მთელი საზოგადოება დანაწევრებულია იმგვარად, რომ ისინი ვეღარ ემორჩილებიან ნორმებს, რომლებიც, ტრადიციული გაგებით, ერთმანეთთან აახლოვებს საზოგადოების წევრებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს დეზორგანიზაციას.[532] მსგავს საზოგადოებაში ადამიანებს ამოძრავებთ საერთო მიზნები, მაგალითად, ჰქონდეთ მაღალი ხელფასი ან სტატუსი და მათ იციან, რომ ამისათვის ბევრი უნდა იშრომონ. „ამერიკული ოცნება", იდეალური გაგებით, იმას გულისხმობდა, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობა ჰქონოდა ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად. თუმცა, როგორც ცნობილია, ამ „ოცნებამ" არ გაამართლა. სწორედ ასეთ დროს წარმოიშვება ანომია, ანუ ისეთი სიტუაცია, როდესაც მიზანი ყველას ერთი აქვს, მაგრამ კონკრეტული მიზნის მისაღწევად თანაბარი შესაძლებლობები – არა. ასეთ საზოგადოებაში მიზნის მიუღწევლობა გაგებული იყო როგორც კონკრეტული ადამიანის წარუმატებლობა. შესაბამისად, წნეხი იმისა, რომ ადამიანი ყოფილიყო წარმატებული, საკმაოდ მაღალი იყო და ამიტომ იგი მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიოდა, მათ შორის, დანაშაულზეც.[533] სხვა სიტყვებით რომ ითქვას (მერტონის აზრით), უმთავრესი ამერიკული ღირსება – „ამბიცია" ხელს უწყობს უმთავრეს ამერიკულ ნაკლს – „დევიაციურ ქცევას".[534]

მსგავს დისბალანსს შეუძლია უბიძგოს ზოგიერთ ადამიანს (რომელთაც მერტონი უწოდებს „ინოვატორებს"), აირჩიოს არაკანონიერი გზა, საზოგადოებაში კულტურულად მყარად „დაკანონებული" წარმატების და სიმდიდრის მოსაპოვებლად. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მედია საშუალებებით იგებს, თუ როგორები არიან წარმატებული ადამიანები და რა არის კონკრეტულ მომენტში ღირებული ნივთი, ნავარაუდევია, რომ სწორედ მედია ამძაფრებს ხალხში სურვილს, ჰქონდეთ ისეთივე სიმდიდრე და სტატუსი, რაც წარმატებულ ადამიანებს აქვთ, ანუ მედია არაპირდაპირი გზით უბიძგებს ადამიანებს, ჩაიდინონ დანაშაული.[535]

1.5 მარქსიზმი, კრიტიკული კრიმინოლოგია და „დომინირებული იდეოლოგია"

მარქსიზმი ვარაუდობს, რომ მედია ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტური ინსტიტუტები, კონტროლდება მმართველი კლასის მიერ და სწორედ მათი ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული მათი მოქმედება, რის ხარჯზეც ოპოზიციური ან სხვა ალტერნატიული შეხედულებები უგულებელყოფილია. რა თქმა უნდა,

---

[531] *Merton R.*,Social Structure and Anomie, *American Sociological Review*, 3.

[532] *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, 42.

[533] *RockP.*, Sociological Theories of Crime, 46.

[534] *Merton R.*,Social Theory and Society,Glencoe III: Free Press 1957, 145.

[535] *Jewkes Y.* ,Media and Crime, 18.

მედია იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა კარლ მარქსის სიცოცხლეში, განსხვავდებოდა დღევანდელი მედიისაგან, მაგრამ მედია მაინც ახდენდა ზეგავლენას მასებზე და მმართველი კლასიც ცდას არ აკლებდა, მედია თავისი სურვილისამებრ ეკონტროლებინა. შესაბამისად, მარქსის თეორია საოცრად რელევანტურია დღევანდელ რეალობაშიც. ანტონიო გრამშიმ განავრცო მარქსის თეორია და დაუმატა მას ***ჰეგემონიის*** ცნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მედიის მიერ დანაშაულის, დევიაციის, სამართლიანობის და წესრიგის თეორიული საკითხების გაშუქებაში. მოკლედ რომ ითქვას, ჰეგემონია არის პროცესი, რომლის დახმარებითაც მმართველი კლასი თავის ქმედებებს კანონიერ სახეს აძლევს საზოგადოების თანხმობის და არა იძულების ხარჯზე. აღნიშნული კი მიიღწევა ისეთი სოციალური და კულტურული ინსტიტუტების ხარჯზე, როგორიც არის სამართალი, ოჯახი, საგანმანათლებლო სისტემა და მედია. ყველა ხსენებული ინსტიტუტი იმდაგვარად განმარტავს მოვლენებს, როგორც ეს აწყობს მმართველ კლასს. სწორედ ამიტომ არის ნაგულისხმევი, რომ საზოგადოება თანახმაა, მიიღოს ის ინფორმაცია, რასაც მათ აწვდიან, ხოლო ეს პროცესი გარდაუვალია. ასეთ დროს კი მედია თამაშობს უდიდეს როლს, რათა დადებითი შეფასებები მისცეს მმართველი კლასის ქმედებებს, არ დაუშვას მათი საწინააღმდეგო აზრის გაშუქება, ან თუ დაუშვებს, იუმორისტული ელფერი მისცეს მას და ამით საზოგადოებას მმართველი კლასის გალვენის ქვეშ მოაქცევს ისე, რომ მათზე ზემოქმედებას ვეღარავინ მოახდენს.[536] აღნიშნულის დასტურად გამოდგება საქართველოში გასულ წლებში არსებული სიტუაცია, როდესაც ზემოაღნიშნული ინსტიტუტები და, განსაკუთრებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მმართველი გუნდის ინტერესები ჰეგემონიურად წარმოეჩინათ და, პირიქით, შეძლებისდაგვარად დაეთრგუნათ და მაქსიმალურად გაეუფასურებინათ ნებისმიერი საწინააღმდეგო მოსაზრება.

მარქსისა და გრამშის მიერ ჩამოყალიბებულმა თეორიებმა დიდი გავლენა იქონიეს სოციალურ მეცნიერებებსა და კრიმონოლოგიაზე. საკუთრივ მარქსს ნაკლები შემხებლობა ჰქონდა დანაშაულის თეორიებთან, თუმცა მისმა თეორიამ საფუძველი დაუდო რადიკალურ კრიმინოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავდა კრიმინალიზაციის ასპექტების უფრო მკვეთრად წარმოჩენას. კრიტიკული კრიმინოლოგიის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითია ეტიკეტირების თეორია, რომელიც უარყოფს შეხედულებას, რომ დანაშაული და დევიაცია არის „დაავადებული ინდივიდებისა“ ან „დაავადებული საზოგადოების“ შედეგი და უთითებს, რომ დევიაციურია ისეთი ქმედება, რომელსაც ხალხი მიანიჭებს დევიაციური ქმედების იარლიყს.[537] რადიკალური კრიმონოლოგიის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა – ტეილორმა და მისმა კოლეგებმა ეტიკეტირების თეორიას შეუხამეს მარქსიზმის ელემენტები და დასძინეს, რომ სახელმწიფოს ჰქონდა იმის უფლე-

---

536 იქვე, 19.

537 *Becker H.*, Outsiders: Studies in Sociology of Deviance, New York: Free Press, 1963, 8.

ბამოსილება, რომ კონკრეტული ქმედებისათვის „მიეკერებინა" დევიაციური ქმედების იარლიყი და დაედგინა მსგავს ქმედებაზე ადეკვატური პასუხები.[538] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ქმედება მაშინ ითვლება დანაშაულად, როდესაც აღნიშნულის დანაშაულად გამოცხადება მმართველ კლასს აძლევს ხელს. ამასთან, მმართველი კლასის მიერ დანაშაულის ჩადენა რჩება დაუსჯელი, ხოლო საშუალო და მუშათა კლასის მიერ მათი ჩადენა – დასჯადი.

ტეილორის და კოლეგების მიერ შთაგონებულმა „რადიკალმა" კრიმინოლოგებმა ჩაატარეს კიდევ უფრო „რადიკალური" კვლევა, რომელმაც ყურადღება მიაპყრო სახელმწიფოს კრიმინოგენურ ფუნქციას და მედიის როლს საზოგადოებაში დანაშაულის შესახებ პანიკის დათესვის კუთხით. ამით მედიას საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა ამ უკანასკნელს, ხოლო რეალური სოციალური პრობლემები უგულებელყოფილი რჩებოდა. საკითხისადმი აღნიშნული მიდგომა ცნობილია როგორც ***კრიტიკული კრიმინოლოგია***. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესა სტუარტ ჰოლის და კოლეგების ნაშრომი: „Policing the Crisis: Mugging, the State and Law and Order" (1978), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს მედიის იდეოლოგიურ როლზე დანაშაულის და დევიაციის შესახებ ინფორმაციის გაშუქებაში. გარდა აღნიშნულისა, ასევე აღსანიშნავია გლაზგოს უნივერსიტეტის მედია ჯგუფის სატელევიზიო კვლევა (GUMG), რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა ტელევიზიის მიერ შოტლანდიაში ინდუსტრიული კონფლიქტების, პოლიტიკური დაპირისპირებების და ომის შესახებ ახალი ამბების გაშუქების პროცესი. კვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ყველა ზემოთ მოცემულ შემთხვევაში ტელევიზია ცდილობს წინ წამოწიოს ***დომინირებული იდეოლოგია*** (იდეოლოგია, რომლის გამტარებელიც არის მმართველი ან საშუალო კლასი), რითაც იხშობა საწინააღმდეგო მოსაზრებები. 80-იანი წლებში კიდევ ერთი შეხედულება, რომელმაც გავლენა იქონია მედიის სწავლებებზე, იყო ***ეკონომიკისადმი პოლიტიკური*** მიდგომა. ეს უკანასკნელი ყურადღებას ამახვილებს მედიისა და სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინსტიტუტების ურთიერთობაზე და ამტკიცებს, რომ, რადგან მასმედია უმეტესწილად კერძო მესაკუთრეების ხელშია, მოგების მიღების მიზნიდან გამომდინარე, ისინი ყოველთვის პოლიტიკურად მიკერძოებულები არიან. ასეთ დროს მედიის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული მასალა წარმოადგენს კომერციულად მომგებიან, პოპულარულ და უმეტესწილად, ადვილად გასაგებ მასალას.[539]

ზოგი მკვლევარი თავის მსჯელობაში უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ საზოგადოების „ცნობიერების დახშობა" წარმოადგენს მედიის მანიპულაციური სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს. მედიას გადააქვს საზოგადოების ყურადღება

---

[538] *Taylor I., Walton P. and Young J.*,The New Criminology: For a Social Theory of Deviance, London: Routledge and Kegan Paul, 1973, 95.

[539] იხ: *Golding P. and Murdock G.*, Culture, communications and political economy in *Curran J. and Gurevitch M.*, (eds) Mass Media and Society, revised 3rdedn, London: Arnold 2000.

რაიმე ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენაზე ან სხვა ინფორმაციაზე, რითაც ძირითადი ინფორმაცია, რომლითაც საზოგადოება რეალურად უნდა იყოს შეშფოთებული, იკარგება. აღნიშნულით კი საზოგადოებას ერთმევა უნარი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ აქტივობებში.[540] მაგალითად, ნოამ ჩომსკის **„პროპაგანდის მოდელი"** ცხადყოფს, როგორ ეთმობა ნაკლები დრო იმ ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო ინტერესებში შედის. გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსზე" (New York Times) დაკვირვებამ უჩვენა, რომ აღმოსავლეთ ტიმორში ინდონეზიის მიერ ჩადენილ საშინელ ქმედებებს გაზეთმა დაუთმო მცირედი ყურადღება მაშინ, როდესაც „წითელი ქმერების" მიერ ჩადენილ მკვლელობებს კამბოჯაში უდიდესი ადგილი ეთმობოდა გაზეთის ფურცლებზე. ჩომსკის აზრით, აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ აღმოსავლეთ ტიმორში ხალხის დასახოცად გამოყენებული იარაღი ინდონეზიელებს შეძენილი ჰქონდათ აშშ-ის, ბრიტანეთის და ჰოლანდიისაგან.[541] გარდა აღნიშნულისა, არსებობს კიდევ უამრავი მაგალითი იმისა, რომ მედია უკიდურესად ფრთხილად არჩევს იმ ინფორმაციას, თუ რა გაამჟღავნოს, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ინტერესებს.

მარქსის ნაშრომებით შთაგონებულ სხვა თეორიებს უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეთავში ჩამოთვლილი მიდგომები არის სწორედ პირველი მცდელობა იმისა, რომ სისტემური სახე მიეცათ და ზუსტად განესაზღვრათ მედიის როლი არა მარტო დანაშაულის და დევიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, არამედ უკეთ წარმოეჩინათ კრიმინალიზაციის პროცესი. ყველა მოცემულ თეორიაში საერთო თემას წარმოადგენს ის, რომ ინფორმაცია სათავეს იღებს ზედა ეშელონებიდან და ვრცელდება ქვევით. შესაბამისად, მედია აშუქებს პოლიტიკოსების, სამხედრო თანამდებობის პირების, პოლიციელების, მოსამართლეების, გამორჩეული ინტელექტუალების, ექსპერტების, ბიზნესმენების, ბეჭდვითი მედიის მეპატრონეების შეხედულებებს. ამავე დროს, აღნიშნულის გაშუქებისას, ისინი მაყურებელს, მსმენელს ან მკითხველს უზღუდავენ იმის შესაძლებლობას, რომ იყვნენ ინფორმაციის აქტიური მიმღებები, ამით კი, თავის მხრივ, ცდილობენ, დაჩრდილონ მომხმარებლის მოსაზრებები, ინტერესები და წარმოდგენები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ინფორმაციის განმარტების იერარქიაში საზოგადოების პრივილეგირებულ წევრებს გაცილებით მეტი ეთქმით, ვიდრე „ჩვეულებრივ" მოქალაქეებს, ამიტომ ისინი ნაკლებად ერთვებიან მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და ძირითადად სმენით/ცქერით არიან დაკავებული.[542]

---

[540] *Jewkes Y.*, Media and Crime, 20.

[541] *Herman E. and Chomsky N.*, Manufacturing Consent: The Political Economy of Mass Media, New York: Vintage 1992, 298 (შემდგომში – *Herman E. and Chomsky N.*, Manufacturing Consent: The Political Economy of Mass Media, გვ.).

[542] *Ericson R., Baranek P. and Chan J.*,Visualising Deviance: A Study of News Sources Organisations, Buckingham: Open University Press 1987, 138 (შემდგომში – *Ericson et. al.* Visualising Deviance: A Study of News Sources Organisations, გვ.).

1.6 მარქსიზმის მემკვიდრეობა: კრიტიკული კრიმინოლოგია და კორპორაციული დანაშაული

მარქსიზმის სწავლებით შთაგონებულ კრიმინოლოგებს, როგორც ეს წინა პარაგრაფის მიმოხილვიდან გაირკვა, უამრავი ღვაწლი მიუძღვით სხვადასხვა კრიმინოლოგიური საკითხების შესწავლა/დამუშავებაში. სწორედ მარქსიზმის ერთ-ერთ მემკვიდრეობად უნდა ჩაითვალოს საზოგადოების ცნობიერების გაზრდა „white collar crime-თან" ან კორპორაციულ დანაშაულებთან მიმართებით. კრიტიკული კრიმინოლოგიის მიმდევრებიუთითებენ, რომ მედია ძალზე იშვიათად აშუქებს კორპორაციულ დანაშაულებს. გამონაკლისებს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც კორპორაციული დანაშაული „დიდი აფეთქების" (big bang) ელემენტის მატარებელია და შეიცავს ისეთ თვისებებს, რაც მას აქტუალურ ახალ ამბად აქცევს. მედიის მიერ კორპორაციული დანაშაულისადმი ასეთი უყურადღებო დამოკიდებულება და „ქუჩის" დანაშაულისადმი ზედმეტი ყურადღება ხაზს უსვამს იმ მიკერძოებულ დამოკიდებულებას, რასაც იგი იჩენს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას.[543] კორპორაციული დანაშაულის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება შეინიშნება არა მარტო მედიის, არამედ სხვა საზოგადოებრივი ინსიტუტების მხრიდანაც. შესაბამისად ვიღებთ იმას, რომ მედია უმეტესწილად აშუქებს მხოლოდ ძალადობრივი გზით ჩადენილ ან „ქუჩის" დანაშაულებს, რითაც საზოგადოებას, რომელიც ძირითადად დანაშაულის შესახებ ინფორმაციას მედიის საშუალებით იგებს, ექმნება ისეთი წარმოდგენა, თითქოს აღნიშნულ დანაშაულთა გარდა სხვა დანაშაული არ ხდება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გაუმართლებლად იზღუდება იმ დანაშაულთა წრე, რაც საზოგადოების ცნობიერებამდე აღწევს და შესაძლებელია, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც კი იცოდეს კორპორაციული დანაშაულის არსებობის შესახებ. სწორედ ამის დასტურია სტივენ ბოქსის ცნობილი სიტყვები: „საზოგადოებისათვის გაცილებით ადვილი გასაგებია, თუ რას ნიშნავს მოხუცი ქალბატონისათვის საფულიდან 5 ფუნტის მოპარვა, ვიდრე იმის ჩაწვდომა თუ რა ზიანს აყენებს კორპორაციული დანაშაული ეკონომიკას".[544]

ბოლო რამდენიმე წელია კრიმინოლოგების ახალმა თაობამ სცადა სააშკარაოზე გამოეტანა მთავრობის წარმომადგენლების და კორპორაციების უკანონო ქმედებები და შეერაცხათ ისინი დანაშაულად. სტივ ტომბსი, დეივ ვაითი და რიის ვოლტერსი არიან მოწინავე კრიმინოლოგები, რომლებმაც გამოიკვლიეს ის გზები, რომლის დახმარებითაც სხვადასხვა ქვეყნის კორპორაციების და მთავრობების წარმომადგენლები ცდილობენ უგულებელყონ საკუთარი მორალური და სამართლებრივი ვალდებულებები ან ბოროტად გამოიყენონ მათთვის მინდო-

---

[543] *Herman E. and Chomsky N.*, Manufacturing Consent: The Political Economy of Mass Media. 300.

[544] *Box S.*, Power, Crime and Mystification, London: Travistock 1983, 31.

ბილი სამსახურებრივი უფლებამოსილება პირადი ან პოლიტიკური მიზნით.[545] მაგალითად, მათ მიერ ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ უჩვენა, რომ საწარმოო ავარიის გამო ყოველ წლიურად ორი მილიონი ადამიანი იღუპება, მიუხედავად ამისა, გარდა გახმაურებული საქმეებისა (მაგალითად, ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში 1984 წელს საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევა, რომლის შედეგადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა[546]), დანაშაულები, რომელიც კორპორაციული დაუდევრობის გამო ხდება, პოლიტიკოსების, მედიის და კრიმინოლოგების ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს.[547]

კორპორაციული დანაშაულებისადმი მედიის ნაკლები ყურადღება აიხსნება იმით, რომ ისინი არ წარმოადგენს ისეთ მიმზიდველ ახალ ამბებს, რომელიც საზოგადოების დიდ დაინტერესებას იწვევს. ერთადერთი მიზეზი, რატომაც შეიძლება მსგავსი დანაშაული გააშუქოს მედიამ, არის დიფერენციაცია, ანუ მედიის მცდელობა, რომ რაიმე ახალი შესთავაზოს მაყურებელს. გარდა იმისა, რომ კორპორაციული დანაშაულები არ არის მიმზიდველი მომხმარებლისათვის, საზოგადოებამ ისედაც ნაკლები იცის ასეთ დანაშაულზე და ყოველთვის, როდესაც მსგავს კორპორაციულ დანაშაულზეა საუბარი, ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორიც არის: „უბედური შემთხვევა“ ან „კატასტროფა“. შესაბამისად, უგულებელყოფილია ისეთი სიტყვები, როგორიც არის: „დანაშაული“ და „დაუდევრობა“, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში გაცილებით უკეთ შეუძლია მომხდარის ახსნა.[548] სწორედ ამის გამო, სამართლიანია მორის პანჩის მითითება იმის თაობაზე, რომ „კორპორაციული დანაშაული ითვლება არა დანაშაულად, არამედ სკანდალად ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად. მსგავს დანაშაულებთან მიმართებით მედია ხმარობს იმ ტერმინოლოგიას, რაც მისაღებია ზედა ეშელონების ინტრიგებისათვის“.[549] მედიის მიერ მსგავსი ტერმინოლოგიის შერჩევა ხელს აძლევს არა მარტო მედიას, რომელიც თავისი კომერციული მიზნების მისაღწევად იბრძვის და ჩართულია „რეიტინგების ომში“, არამედ კორპორაციებსაც, რომლებიც მედიის პასიურობის ხარჯზე ინარჩუნებენ უფლებამოსილ პოლიტიკურ მოკავშირეებს და კონტროლს უწევენ მათ მამხილებელ ინფორმაციას.[550]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ არიან ჟურნალისტები, რომლებსაც სააშკარაოზე გამოაქვთ კორპორაციული დანაშაულები, მედია ინსტიტუტების უმეტე-

---

545 *Jewkes Y.*, Mediaand Crime,23.

546 იხ: <http://news.bbc.co.uk/onthisday/hi/dates/stories/december/3/newsid_2698000/2698709.stm> [15.04.2014].

547 *Tombs S. and Whyte D.*,Safety Crimes, Cullompton: Willan 2007, 18.

548 იქვე.

549 *Punch M.*,Dirty Business: Exploring Corporate Misconduct: Analyses and Cases, London: Sage 1996, 2.

550 *Herman E. and Chomsky N.*, Manufacturing Consent: The Political Economy of Mass Media, 300.

სობა ან აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს მსგავს დანაშაულებს, ან დამახინჯებული ფორმით გადმოსცემს მათ, რითაც საზოგადოებას ართმევს შესაძლებლობას, გაიგონ, სრული და ამომწურავი ინფორმაცია მომხდარი კორპორაციული დანაშაულის შესახებ.

1.7 პლურალიზმი, შეჯიბრებითობა და იდეოლოგიური ბრძოლა

პლურალისტური, ანუ შეჯიბრებითი პარადიგმა აღმოცენდა 90-იან წლებში და წინა პარაგრაფებში განხილულ თეორიულ მოდელებთან შედარებით მედიას განიხილავს როგორც ინტელექტუალური თავისუფლების და სკეპტიკურად დამოკიდებული მომხარებლის აზრთა სხვადასხვაობის ხორცშესხმას. სწორედ ამის გამო, გასაკვირი არ არის, რომ „დომინირებული იდეოლოგია“ პოპულაროზით სარგებლობდა მეცნიერებს შორის, ხოლო პლურალიზმით უფრო პრაქტიკოსები იყვნენ დაინტერესებულნი.[551]

პლურალისტები ამტკიცებენ, რომ დერეგულაციის და პრივატიზაციის პროცესმა, რაც მიმდინარეობდა ბოლო ათწლეულებში, მედია გაათავისუფლა სახელმწიფოს მარწუხებიდან და ადგილი დაუთმო კონკურენციის ჩამოყალიბებას მედია ინსტიტუტებს შორის. პლურალისტებმა აღნიშნული პროცესი შერაცხეს, როგორც თავისუფალი ერის დასაწყისი, სადაც სატელევიზიო და რადიო არხების, ასევე, კომპიუტერული ტექნოლოგიების მატებამ საშუალება მისცა მომხმარებლებს, ამოერჩიათ მათთვის სასურველი ინფორმაციის წყარო და შეუზღუდავად მიეღოთ ინფორმაცია. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ახალი ამბების ძირითად განმსაზღვრელებთან (პოლიტიკოსები, პოლიციის უფროსები და სხვ.) ერთად არსებობენ „კონტრგანმსაზღვრელები“, ანუ ის ხალხი, რომლის შეხედულებები და იდეები ეწინააღმდეგება ოფიციალური ინტერპრეტატორების შეხედულებებს, იდეებს, რომელთა დაფიქსირების საშუალება მათ მედიის საშუალებით ეძლევათ.[552] დომინირებული იდეოლოგიისაგან განსხვავებით, სადაც ინფორმაციის განმარტება მომდინარეობს ყოველთვის ზედა ეშელონებიდან და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ განმარტების ზეგავლენის ქვეშ ექცევა, პლურალიზმი იძლევა იმის საშუალებას, რომ „მმართველი ელიტის“ მიერ განმარტებულ მოვლენებს საზოგადოებამ დაუპირისპიროს მოვლენების განმარტების მათთვის სასურველი ვერსიები.

სატელევიზიო/რადიო არხების გაფართობამ და ინტერნეტის გავრცელებამ, რა თქმა უნდა, უფრო ხელმისაწვდომი გახადა სხდასხვა ღირებულებების და კატეგორიის ადამიანების იდეები და შეხედულებები, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პლურალიზმის მინუსი აშკარა იდეალიზმში მდგომარეობს. მართალია,

[551] *Jewkes Y.,* Media and Crime, 25.

[552] იქვე.

სატელევიზიო/რადიო არხების მატებამ პოტენციურად შესაძლებელი გახადა უმცირესობის წარმომადგენელთა ინტერესების დაცვა იმ კუთხით, რომ ისინი ინფორმაციას მიიღებენ იმ არხებიდან, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ შეხედულებებს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად ხდება ასე. პლურალიზმი უგულებელყოფს იმ მიზნებს, რაც თითოეულ მედია საშუალებას ამოძრავებს. მიუხედავად არხების მატებისა, უმეტესი მათგანი კონტროლდება შეძლებული საშუალო ფენის წარმომადგენლებისაგან ან იმ კომპანიებისგან, რომლის მეპატრონეებიც მსგავსი კატეგორიის ადამიანები არიან. ისინი ორიენტირებული არიან მოგების მიღებაზე და „კონკურენციის ომში" გამარჯვებაზე. სწორედ ამიტომ, ვისაც ფინანსური პრობლემების გამო არ აქვს წვდომა ყველა სატელევიზიო/რადიო არხზე, მისი იდეები და შეხედულებები უგულებელყოფილი რჩება,[553] ანუ საზოგადოების კონკრეტული ნაწილი ვერ აფიქსირებს მოსაზრებებს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

პლურალისტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით საზოგადოების მონაწილეობა მედიაზირებულ მსჯელობაში უდავოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხალხს შეუძლია თავისი აზრი დააფიქსირონ რადიო ჩართვების, ტელევიზიის, ბეჭდური მედიის და ინტერნეტ ფორუმების საშუალებით. მეტიც, სატელევიზიო საშუალებები მოუწოდებენ კიდეც მაყურებლებს, რომ იაქტიურონ და დააფიქსირონ თავიანთი აზრი მომხდარ ან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მაგალითად, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში პირდაპირ ეთერში გადის „მორბენალი სტრიქონის" სახით.[554] მაგრამ მომხმარებლის ათ-ოცწამიან მონაწილეობას დიდი შედეგი არ მოაქვს არა მარტო დროის სიმცირის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მედია ახარისხებს გაგზავნილ შეტყობინებებს და იყენებს იმ შეტყობინებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საკუთრივ მედიის შეხედულებებს. ეს კი იმის დასტურია, რომ მედიის პლურალიზმი სულაც არ ნიშნავს საზოგადოების მიერ დაფიქსირებულ აზრთა პლურალიზმს და მედია მაინც კონტროლდება დომინირებული ჯგუფების მიერ.[555]

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ და ინტერნეტის გავრცელებამაც ხელი შეუწყო პლურალისტული იდეების განვითარებას. ინტერნეტის დახმარებით შესაძლებელია აზრთა და იდეოლოგიის ცვლა ოცდაოთხსაათიან რეჟიმში, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებითაც ვაწყდებით პრობლემას. მართალია, კომპიუტერული მოწყობილობები და ინტერნეტი წინა წლებთან შედარებით

---

553 *McNair B.*, The Sociology of Journalism, London: Arnold 1998, 77 (შემდგომში – *McNair B.*, The Sociology of Journalism, გვ.).

554 *Barak G.*, Media, Society and Criminology"in *Barak G.*, (ed) Media, Process, and the Social Construction of Crime, New York: Garland, 24.

555 *Blumer J.*,The New Television Marketplace, in *Curran J. and Gurevitch M.*, (eds) Mass Media and Society, London: Arnold 1991, 207.

უფრო მეტად არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობის უმეტესობა მაინც მათ გარეშეა დარჩენილი, ანუ ინტერნეტი ხელმისაწვდომია არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ იმათთვის, ვინც გადამხდელუნარიანია.[556] დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პლურალიზმი უფრო იმის გამოხატულებაა, როგორი უნდა იყოს რეალურად სიტუაცია, ვიდრე იმისი, თუ როგორი არის ამჟამად.

1.8 პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი აერთიანებს წინა პარაგრაფებში განხილული თეორიების ელემენტებს. მაგალითად, ისევე, როგორც პლურალისტები, პოსტმოდერნისტებიც უთითებენ, რომ მასმედიის ბაზრის დერეგულაციამ გამოიწვია მედია საშუალებების, არხების და ფორმატების მატება. შესაბამისად, მომხმარებელს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოუსმინოს, უყუროს ან წაიკითხოს მასობრივი ინფორმაციის ის საშუალება, რომელიც მის გემოვნებას აკმაყოფილებს. აღნიშნულით მას თანაბარი შესაძლებლობა აქვს, იგნორირება გაუკეთოს ან დაგმოს ის მედია საშუალება, რომელიც მის გემოვნებას არ შეესაბამება. მსგავს პირობებში მედიას შეუძლია „გაასაღოს" ნებისმიერი ინფორმაცია, თუ მას ამავდროულად აქვს „სანახაობის" სახე. სწორედ ამიტომ, პოსტმოდერნიზმი დაინტერესებულია არა მარტო ინფორმაციის შინაარსით, არამედ იმით, თუ რამდენად **სანახაობრივი** და ადვილად „გასაღებადია" იგი. პოსტმოდერნიზმის უკეთ წარმოჩენისათვის, გამოდგება ჯიუკისის შემდეგი ფრაზა: „დღევანდელი საზოგადოება არის სპექტაკლის/შოუს მომლოდინე საზოგადოება, დღევანდელი რეალობა კი არის ჰიპერრეალობა, რომელშიც მედიის გავლენა იმდენად დიდია, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია ზღვარის გავლება რეალობასა და მედია გამოსახულებებს შორის".[557]პოსტმოდერნისტების აზრით, მედიის მოვალეობა სანახაობის მოწყობაა და ერთადერთი შედეგი, რომლის მისაღწევადაც ისინი იბრძვიან, არის აუდიტორიის დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია, რომ პოსტმოდერნისტული მიდგომა წარმოშობს ორ სირთულეს. პირველი: მიუხედავად მომხმარებლების მედიაზე უდიდესი დამოკიდებულებისა, რთული წარმოსადგენია, რომ მათ ვერ შეძლონ რეალობის და, მაგალითად, ეკრანზე ნანახის გამიჯვნა.[558] მეორე სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს სანახაობის განმარტება, რადგან იგი მეტად შეფასებითი ცნებაა, მაგალითად – ძალადობა. ძალადობრივი დანაშაული ერთი კატეგორიისათვის შესაძლებელია იყოს სანახაობა და გასართობი, ხოლო მეორე კატეგორიისათვის აღნიშნული წარმოადგენდეს პრობლემას, იმ მხრივ, რომ ძალადობრივი ინფორმაცია, თავისი არსით, არის სენსაციური და დრამის ელემენტების შემცველი. ეს კი კარგად არის ცნობილი მედიისათვის, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი

[556] იქვე.

[557] *Jewkes Y.*, Media and Crime, 29.

[558] *Hebdige D.*, After the masses, *Marxism Today*, January, 1989, 51.

მსგავსი ინფორმაცია მიაწოდოს მასებს, რათა მომხმარებელთა დიდი რაოდენობა მიიზიდონ.[559] მედიის გარდა, აღნიშნულის შესახებ კარგად არის ცნობილი სხვადახვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავიანთი საქმიანობის რეკლამირებისათვის საკმაოდ წარმატებით იყენებენ მედიას. მაგალითად, პოლიციაც კი თავის საქმიანობისას წარმატებით ითავსებს **დრამატიზაციის** ელემენტებს და ცდილობს ამით უფრო მიმზიდველი გახადოს თავისი საქმიანობა. ხშირად პოლიციის მიერ გამართულ პრესკომფერენციებზე დაზარალებულებსაც ეძლევათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. საკმაოდ დრამატიზებულია, ასევე ეჭვმიტანილის სახლში დაკავების ღონისძიებები, როდესაც პოლიციის ოფიცრებს ვიდეო კამარებით აღჭურვილი ჟურნალისტებიც დაჰყვებიან თან.

სენსაციური ინფორმაციისაკენ მედიის მიდრეკილებამ ყველაზე დიდი სარგებელი სავარაუდოდ მაინც ტერორისტებს მოუტანათ. თავის მხრივ, მედიისთვისაც მეტად მომგებიანია მსგავსი ინფორმაციის გაშუქება, რადგან ტერორიზმი მაღალი ხარისხის დრამის მატარებელი ქმედებაა. თავად ტერორისტული აქტი კი არის „უკიდურესად „ფსევდო-მოვლენა", პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით უმნიშვნელო ქმედება მანამ, სანამ არ მიიღებს აღიარებას მედიის მხრიდან".[560]

ჟურნალისტების კამერების წინ „ტრიალი" ხელს აძლევს არამარტო ტერორისტებს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს პირებსაც. მაგალითად, მას შემდეგ, რაც აშშ-მა დაიწყო ომი ერაყის წინააღმდეგ, დიდი აჟიოტაჟი იყო ამტყდარი იმასთან დაკავშიებით, რამდენად კანონიერად მოქმედებნდენ იქ მყოფი ჯარისკაცები. ამის გამო, შეერთებული შტატების ხელისუფლებამ გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი და ჟურნალისტებს მისცა სრული წვდომა იქ განხორციელებულ ოპერაციებსა და ჯარისკაცების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ანალოგიურად, როდესაც პრეზიდენტ რეიგანმა 1986 წელს დაბომბა ლიბია, სამხედრო თვალსაზრისით, ეს ყველაზე წამგებიან დროს მოხდა, თუმცა გათვლილი იყო იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტ მაყურებელს გაეგო საინფორმაციო საშუალებით, რომ ლიბიის დაბომბვა სულ ახალი მომხდარი იყო, ანუ სამხედრო მოქმედება დაიგეგმა როგორც სატელევიზიო მოვლენა.[561]

ქართული პრაქტიკიდან პოსტმოდერნისტული მედიის მიერ დადგმული წარმოდგენის მაგალითად გამოდგება რამდენიმე წლის წინ განმუხურში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც ჯერ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის დაცვამ კამერების წინ გაყარა რუსი ჯარისკაცები და შემდეგ უკვე პრეზიდენტმა „დატუქსა" რუსი სამხედრო, რომელიც პასუხისმგებელი იყო მომხდარ ინცი-

---

559 *Hall et. al.* Policing the Crisis: Mugging, the State and Law and Order, London:Macmillan 1978, 98.

560 *McNair B.*, The Sociology of Journalism, 142.

561 *Morley D.*,Television Audiences and Cultural Studies, Oxford: Blackwell, 1992, 63-64.

დენტზე. ცხადია, აღნიშნული „ოპერაციის" მიზანი იყო პრეზიდენტის ვაჟკაცური საქციელის კამერებით დაფიქსირება და მასებისათვის ისეთი წარმოდგენის მიწოდება, რაც ხალხში დიდ მღელვარებას გამოიწვევდა და ამავდროულად აღფრთოვანდებოდა პრეზიდენტის მოქმედებით.[562]

თუმცა მედია წარმოდგენის ყველაზე მკაფიო მაგალითად ისტორიაში შესულია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი. ტერორისტული აქტი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებზე განხორციელდა ზუსტად იმ დროს, როდესაც მილიონობით მოქალაქეს დილის ახალი ამბებისათვის უნდა მოესმინათ. ტერრისტული აქტი ორ ეპიზოდად განხორციელდა და ისე იყო დროში დაგეგმილი, რომ იმ ადამიანებმა, ვინც ვერ ნახეს პირველი ეპიზოდი, ანუ ის, თუ როგორ შეეჯახა თვითმფრინავი ერთ ცათამბჯენს, შესაძლებლობა ჰქონოდათ, პირდაპირ ეთერში ენახათ მეორე თვითმფრინავის შეჯახება, რომელიც 16 წუთის შემდეგ განხორციელდა. ტელევიზიის მიერ გავრცელებული კადრები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაიცემოდა მთელი დღის განმავლობაში და სავარაუდოდ ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი ამბის სტატუსის მატარებელია. აღნიშნულმა ამბავმა შეძრა მთელი მსოფლიო და იქონია უდიდესი გავლენა სწორედ მისი **სიახლის** და **დრამატულობის** გამო. აღნიშნული ტერორისტული აქტი წარმოადგენდა პოსტმოდერნისტულ სპექტაკლს.[563]

ტერორისტული აქტი, მიმართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ამყარებს პოსტმოდერნისტულ იდეას, რომ ყველა ადამიანი პოტენციური მსხვერპლია. პოსტმოდერნისტული სწავლება უარყოფს ტრადიციულ კრიმინოლოგიურ ამოცანებს – დანაშაულის მიზეზების და შედეგების შესწავლას და ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების დანაწევრებაზე, დანაშაულის მატებასა და მთავრობის უუნარობაზე, რაიმე ქმედითი ზომა გაატაროს აღნიშნულის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი ყოველდღიურად შუქდება მედიის საშუალებით, რაც იწვევს საზოგადოების შიშს და პარალიზებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, პოსტმოდერნიზმის კრიტიკოსი რიჩარდ ოსბორნი უთითებს: „მედია დანაშაულის შესახებ ინფორმაციას გადმოსცემს იმ კუთხით, რომ თითოეული ჩვენგანი პოტენციური დანაშაულის მსხვერპლია. მედიის მსგავსი საქციელით საწინდარი ეყრება ისტორიებს დანაშაულებებზე და აღნიშნული კიდევ უფრო აღვივებს შიშს ყოვლისმომცველი საფრთხის არსებობის შესახებ".[564] მედიის მისწრაფება, ყველა მოქალაქე აქციოს პოტენციურ მსხვერპლად, გამომდინარეობს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიმზიდველობაში. ოსბორნი თვლის, რომ „არსებობს რაღაც მიზეზი, რის გამოც მედიაც და მომხმარებლებიც შეპყრობილი არიან დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ისტერიული სიყვარულით".[565]

---

[562] იხ: <https://www.youtube.com/watch?v=ZfWdWTy_Xuk>[24.04.2014].

[563] *McNair B.*, The Sociology of Journalism, 142.

[564] *Osborne R.*, Megawords, London: Sage 1995, 27 (შემდგომში – *Osborne R.*, Megawords, გვ.).

[565] იქვე.

ერთი მიზეზი, რატომაც არის მედია ასე დაინტერესებული დანაშაულის ინფორმაციის გაშუქებით, არის მომხმარებლის გართობა/დაინტერესება. აღნიშნული ინტერესი იმდენად დიდია, რომ მედიას ან არ სურს, ანდა არ ძალუძს გამიჯნოს ჩვეულებრივი მოვლენები არაჩვეულებრივისაგან. აუდიტორიას როგორც ყოველდღიური ახალი ამბების, ისე მხატვრული ფილმების საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია იმ დანაშაულებზე, რომლებიც საკმაოდ იშვიათია, როგორიც არის, მაგალითად, სერიული მკვლელობა, ბავშვების გატაცება და ა.შ. ატიპიური დანაშაულების ჩვეულებრივ დანაშაულებად გასაღება ემსახურება საზოგადოებაში მღელვარების/შიშის ზრდას და მათი ყურადღების გადატანას ყოველდღიური დანაშაულებისაგან: ქუჩაში მომხდარი დანაშაული, კორპორაციული დანაშაული, ოჯახური ძალადობა და ა.შ. ინფორმაციის გადმოცემა, მაგალითად, მოძალადე პედოფილზე ან ახალგაზრდა ყაჩაღზე, რომელსაც შეუძლია მოკლას ადამიანი უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი, იწვევს საზოგადოების შოკს და შიშს, მედიამ კი აღნიშნული კარგად უწყის და წარმატებით იყენებს მას მარკეტინგული მიზნებისათვის.[566] ბოლოს, პოსტმოდერნიზმზე საუბრისას უნდა აღინიშნოს უკანასკნელ წლებში გავრცელებული პრაქტიკის – კოლექტიური მწუხარების შესახებ, რომლის დროსაც მომხდარი მძიმე დანაშაულის ადგილზე იკრიბება უამრავი ხალხი, რათა დაგმოს და გამოთქვას მწუხარება მომხდარი დანაშაულის გამო. ამით ისინი იკავებენ სიმბოლურ როლს ხალხის წარმოსახვაში. არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის თავშეყრა, რათა კოლექტიურად დაგმონ მომხდარი დანაშაული და დააფქსირონ თანაგრძნობა დანაშაულის მსხვერპლისადმი, არის ნიშანი საზოგადოების მხრიდან, მსგავსი ქმედებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა და თავიანთი თავშეყრით ხაზს უსვამენ „ხალხის ძალაუფლებას“.[567] აღნიშნული ქმედება იგივე წარმატებით შესაძლებელია ჩაითვალოს საზოგადოების ვოიერისტულ სურვილად, მიიღოს მონაწილეობა უკიდურესად მედიაზირებულ მოვლენაში და თქვას: „მე იქ ვიყავი“. თითქმის მსგავსი მოვლენა მოხდა საქართველოშიც რამდენიმე თვის წინ, როდესაც უკრაინაში, მაიდანზე განხორციელებული სისხლისღვრის წინააღმდეგ ქართველი მხარდამჭერები შეიკრიბნენ უკრაინის საელჩოსთან და დაგმეს იქ განვითარებული მოვლენები. ხალხი კოლექტიურად თანაუგრძნობდა უკრაინელ ერს, მათთან ერთად იზიარებდა და განიცდიდა მათ ტკივილს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მისულთა უმეტესობას სწორედ ამ მედიაზირებული მოვლენის ნაწილად გახდომის სურვილი ამოძრავებდა და უბრალოდ იმის თქმა უნდოდა, რომ „ისინი იქ იყვნენ“. აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი დიდი გავლენა აქვს პოსტმოდერნისტულ მედიას საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სურვილი იმისა, რომ ადამიანი რაიმე საშუალებით

---

[566] *Osborne R.*, Megawords, 29.

[567] *Blackman L., Walkerdine V.*,Mass Hysteria: Critical Psychology and Media Studies, Basinstoke: Palgrave, 2001, 2.

მოხვდეს მედია სივრცეში, იმდენად დიდია, რომ ადამიანი ხშირ შემთხვევაში უკან არაფერზე იხევს.

1.9 კულტურული კრიმინოლოგია

პოსტმოდერნისზმის პოპულისტური და სანახაობრივი იმპერატივი ქვაკუთხედად უდევს ისეთ განვითარებად კრიმინოლოგიურ პერსპექტივას, როგორიც არის კულტურული კრიმინოლოგია. მის ფუძემდებლებად ითვლებიან ამერიკელი კრიმინოლოგი ჯეფ ფერელი და დიდი ბრიტანეთის კენტის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის დეპარტამენტი. კულტურული კრიმინოლოგია ცდილობს, ამოხსნას ორი მნიშვნელოვანი საკითხი: ერთი – თუ რატომ არის საზოგადოება მოხიბლული დანაშაულით და ძალადობით და მეორე – არის თუ არა ეს ქმედებები ჩადენილი სიამოვნებისათვის ან სანახაობისათვის. აღნიშნული მიდგომა აღიარებს მოსაზრებას, რომ ყველა დანაშაული თავისი ბუნებით კულტურულია, ანუ გამომდინარეობს ცალკეული საზოგადოების კულუტტურიდან და სწორედ ეს კულტურული ჩვევები იჩენს თავს, როდესაც ხდება ძალის გამოყენება.[568] შესაძლებელია მსჯელობა, რომ აღნიშნული მიდგომა განიცდის ადრეული მარქსიზმის და კრიტიკული კრიმინოლოგიის გავლენას, რომლებიც დანაშაულს განიხილავს როგორც ქმედებას, მიმართულს იმისაკენ, რომ რაიმე გზით წინააღმდეგობა გაუწიონ ხელისუფლებას. თუმცა მარქსიზმისაგან განსხვავებით, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას მოიაზრებს როგორც ადამიანის მიერ გათავისებულ ქცევას და რომელიც გამოხატულებას პოულობს პირადი და სუბკულტურული სტილით, კულტურული კრიმინოლოგია მიიჩნევს, რომ წინააღმდეგობის გაწევას თან ახლავს აღტაცება, აღგზნება და ამით თითქმის იმეორებენ ჯეკ კატცის პოზიციას, რომ დანაშაულის ჩამდენს ამოძრავებს არა რაიმეს შეძენის სურვილი ან ეკონომიკური საჭიროება, არამედ მას ეს ესაჭიროება სტატუსის შესაძენად და ემოციური მღელვარების მისაღებად.[569] დანაშაულებრივ ქმედებებს ახასიათებს რისკი და საფრთხე, მაგრამ ქმედების ჩამდენისთვის აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს მცდელობას, თავი დააღწიოს შებოჭილ და შეზღუდულ გარემოს და თვითონ განახორციელოს კონტროლი ვინმეს ბედ-იღბალზე. დღევანდელ რეალობაში, როდესაც პიროვნების ქმედებები ზედმეტად გაკონტროლებულია და, მიუხედავად ამისა, მაინც უკონტროლოა, დანაშაულის ჩადენა იძლევა აღტაცების და კონტროლის შესაძლებლობას.[570] მაგალითად, საქართველოში საკმაოდ

---

[568] *Ferrell J.*, Cultural Criminology, in *McLaughlin E. and Muncie J.*, (eds) The Sage Dictionary of Criminology,London: Sage, 2001, 75 (შემდგომში – *Ferrell J.*, Cultural Criminology, გვ.).

[569] *Katz J.*,Seductions of Crime: Moral and Sensual Attractions in Doing Evil, New York: Basic Books, 1990, 53. (შემდგომში – *Katz J.*,Seductions of Crime: Moral and Sensual Attractions in Doing Evil, გვ.).

[570] *Katz J.* ,Seductions of Crime: Moral and Sensual Attractions in Doing Evil, 79.

გავრცელებულია იარაღით დანაშაულის ჩადენის შემთხვევები, ნარკოტიკული დანაშაულები და ისეთი ანტისაზოგადოებრივი ქცევები, როგორიც არის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა. ყველა აღნიშნულის დროს დანაშაულის/დეციაციის ჩადენა იძლევა თავის წარმოჩენის საშუალებას, ანუ იმის გაკეთების შესაძლებლობას, რასაც ჩვეულებრივ პირობებში ვერ გააკეთებდა და აღნიშნული, რამდენად ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქმედების ჩამდენს აგრძნობინებს, რომ ის ნამდვილად ცოცხალია.

კულტურულ კრიმინოლოგიაში დანაშაული წარმოადგენს სანახაობას, „კარნავალს", ხოლო ქუჩა კი წარმოადგენს „თეატრს", სადაც წარმოდგენა უნდა გაიმართოს.[571] თვალსაჩინოებისათვის გამოდგება კრიმინოლოგ მაიკ პრესის მიერ აღწერილი „ჯოირაიდინგი"[572], რომელიც მოხდა ოქსფორდში 1990 წელს. აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს ბრიტანული „კარნავალის" ყველაზე ნათელ მაგალითს. პრესდის მიხედვით, „მათი „ჯოირაიდინგი" გახდა დღესასწაული, სამანქანო კულტურის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ნამდვილად წააგავდა კარნავალს. „ჯოირაიდინგი" გამოიყურებოდა შემდეგნაირად: ახალგაზრდების ერთი ჯგუფი უთვალთვალებდა მათთვის სასურველ სპორტულ მანქანას და შემდეგ იპარავდა მას (ან პირობებს ქმნიდნენ, რომ სხვას მოეპარა). მოპარულ მანაქანას მიუყვანდნენ სხვა ჯგუფს, რომელიც მანქანას „დაამუშავებდა" კვალის დაფარვის მიზნით. საღამოობით მოპარული მანქანებით მაღალი სიჩქარით დადიოდნენ სხვადასხვა უბნებში, რათა საკუთარი უნარები ეჩვენებინათ ყველასთვის. იყო შემთხვევები, როდესაც ორი ჯგუფი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. აღნიშნულ სანახაობას თვალს ადევნებდნენ იმავე უბანის მოსახლეები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთ ფუნტსაც კი იხდიდნენ ამ „შოუს" სანახავად. რბოლის შემდეგ მოპარულ მაქანებს უმეტეს შემთხვევაში წვავდნენ საამისოდ გამოყოფილ ადგილას".[573]

ზემოაღშნულის გარდა, პრესდი იკვლევს, თუ როგორ გახდა ცეცხლი ყოველდღიური კულტურისა და ბუნტის, წინააღმდეგობის გაწევის და განადგურების სიმბოლოდ. პრესდი ხსნის ცეცხლის წაკიდებისაკენ მისაწრაფებას აშშ-ში მომხდარი შემთხვევების მიხედვით. 2004 წელს ვაშინგტონში ცეცხლის წამკიდებლებმა დაწვეს 26 სახლი და საოცარი „სანახაობა" მოაწყვეს, ხანძრის მიერ მიყენებულმა ზიანმა 5 მილიონი ფუნტი შეადგინა. ცეცხლის წაკიდება იყო წინასწარ განზრახული და ორგანიზებული და შეცვალა როგორც ლანდშაფტი, ისე იქ მცხოვრები საზოგადოება, რადგან უდიდესი ზიანი მოუტანა მათ. ცეცხლის წაკიდების მიზეზი იყო სიძულვილი აფრო-ამერიკული მოსახლეობის მიმართ, რომელთა რაოდენობაც წლების განმავლობაში მატულობდა იმ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში.[574]

---

571 *Jewkes Y.*, Media and Crime, 33.

572 Joyriding – ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და მაღალი სიჩქარით სიარული პირადი სიამოვნებისათვის

573 *Presdee M.*,Cultural Criminology and the Carnival of Crime,London: Routlege 2000, 49

574 იქვე.

აჯანყება, ბუნტი და უკანონო მიტინგებიც შესაძლებელია მიეკუთვნოს ამ ჯგუფს, რადგან ისინიც თავისი ბუნებით მასშტაბურ ქმედებებს განეკუთვნებიან და სანახაობრივი ეფექტი აქვს. ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ყველა მასობრივი მოვლენა შეიცავს დანაშაულს, მაგრამ იმის მტკიცება კი შესაძლებელია, რომ ამ ღონისძიებებში მონაწილეობას შეუძლია მიგვიყანოს კრიმინალამდე. სწორედ ამიტომ, კულტურული კრიმინოლოგია იკვლევს არა მარტო დანაშაულის კულტურულ მნიშვნელობას, არამედ ცალკეული კულტურული ჩვევების კრიმინალიზაციასაც.[575]

მართალია, კულტურულ კრიმინოლოგიას ჰყავს თავისი მოწინააღმდეგეები, მაგრამ ის ფაქტი უდავოა, რომ კულტურულ კრიმინოლოგიას აქვს დიდი გავლენა დანაშაულზე, მედიასა და კულტურაზე. ეს უკანასკნელი აღიარებს ისეთ პოსტმოდერნისტულ ცნებებს, როგორიც არის: განსხვავება, კანონზომიერების არარსებობა და მრავალფეროვნება. ამით იგი ამსხვრევს შემზღუდველ და უარყოფით სტერეოტიპებს. ქმედებები, რომლებიც ადრე ითვლებოდა საყოველთაოდ მიუღებლად, ხოლო მათი ჩამდენები ითვლებოდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებად, კულტურული კრიმინოლოგიის დახმარებით მსგავსი კატეგორიული წარმოდგენები იმსხვრევა, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს, გაიგოს ამ ქმედებების ეთნოგრაფიული ასპექტები, ანუ ბრმად კი არ გმობს მათ, არამედ ცდილობს იპოვოს, მათი გამოვლინების მიზეზები და მნიშვნელობა. მაგალითად, ფერელი თავის ნაშრომში *„Crimes of Style“* (1996) იკვლევს „გრაფიტის“[576] მნიშვნელობას და მის გამოვლინების მიზეზებს. „მიუხედავად იმისა, რომ „გრაფიტის“ შემსრულებლებმა იციან, რომ აღნიშნული ქმედება უკანონა, მაინც ჩადიან მას, რადგან ამით მათ უნდათ შეიგრძნონ ხელოვნების საიდუმლოება, მიაქციონ ყურადღება ყველა პატარა დეტალს, განიცადონ მღელვარება იმ შემთხვევაში, თუ მათ „გაუვათ“ აღნიშნული ქმედება (ან პირიქით, დააკავონ აღნიშნულის გამო), გაიცნონ „გრაფიტის”სხვა შემსრულებლები და ეს ყველაფერი იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ მათ ირგვლივ გაბატონებულ მოწყენილობას და უკმაყოფილებას“.[577] „გრაფიტი“ ერთ დროს ითვლებოდა არასრულწლოვანთა დევიაციის და ვანდალიზმის ნათელ მაგალითად, მაგრამ ახლა „გრაფიტი“ არის ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან უკანონო სუბკულტურულ ქმედებათაგანი, რომელიც არაერთხელ ყოფილა წახალისებული სხვადასხვა კომპანიების მიერ და გამოყენებულა მასობრივი მოხმარების საგნად. მაგალითად, კომპანია „სონი-სთვის“ ახალი სიმულატორის – „Gran Turismo 4-ის“ რეკლამირებისათვის ორი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ჰარლემის კედლებზე ხატვაში. ცნობილმა ბიზნესმენმა დონალდ ტრამპმა ყოველგვარი ირონიის გარეშე დასძინა, რომ „გრაფიტი“ წარმოადგენს

---

[575] *Katz J.*, Seductions of Crime: Moral and Sensual Attractions in Doing Evil, 79.

[576] „გრაფფიტი“ – წარწერები ან ნახატები საზოგადოებრივი ქუჩის კედლებზე, მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეტროში და ა.შ.

[577] *Ferrell J.*, Cultural Criminology, 75.

„ქუჩის რეკლამირების ახალ ფორმას. მე არ მომწონს „გრაფიტის" გამოვლინების ჩვევა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია".[578]

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა ითქვას, რომ ტრადიციული კრიმინოლოგია ნაკლებ ყურადღებას უთმობს ისეთ გრძნობებს, როგორც არის: აღტაცება, სიამოვნება და სურვილი. ფერელის, პრესდის და სხვების მიერ აღწერილი ქმედებები კი ნამდვილად დიდ ყურადღებას უთმობენ ამ გრძნობებს, რომლებიც უამრავი დანაშაულის თავი და თავია და ხაზს უსვამენ იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული გრძნობების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვამ შესაძლებელია გამოიწვიოს გაცილებით მძიმე დანაშაულები. სწორედ ამაშია კულტურული კრიმინოლოგიის მნიშვნელობა.

1.10 რეზიუმე

წინამდებარე თავში საუბარი იყო იმ თეორიებზე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციეს კრიმინოლოგია და მედია სწავლებები, წარმოჩინდა ის წინააღმდეგობები და მსგავსებები რაც ამ ორ დისციპლინას გააჩნია. ისევე, როგორც ცალკეულ კრიმინოლოგიურ თეორიებს არ შეუძლია ახსნას დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, არც ცალკე აღებულ ზემოაღნიშნულ თეორიებს შეუძლია ახსნას, რა კავშირი არსებობს დანაშაულსა და მედიას შორის და რატომ არის საზოგადოება ასე შეპყრობილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებით და რა სახის გავლენას ახდენს მედია კრიმინოგენულობაზე. მიუხედავად ამისა, ამ თეორიების ცოდნა არის იმის საწინდარი, რომ ავხსნათ ის მიზეზები, თუ რატომ ეთმობა დანაშაულის შესახებ ინფორმაციას ყველაზე დიდი დრო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და უკეთ წარმოვაჩინოთ ის კავშირები, რაც ამ ორ მოვლენას შორის არსებობს.

2. დანაშაულებრივი ახალი ამბების კონსტრუქცია

წინა თავში განხილულ თეორიათა ანალიზის შემდეგ შესაძლებელია, მედიის გავლენა წარმოჩინდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. ნაწილი თეორიებისა უთითებს, რომ მედია განაპირობებს დანაშაულის და დევიაციის ზრდას საზოგადოებაში, ხოლო მეორე ნაწილის აზრით – მედია დიდ სამუშაოს ეწევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით დანაშაულთან მიმართებით. მსგავსი განსხვავებული პოზიციები იძლევა იმ ვარაუდის გაკეთების საფუძველს, რომ მედიის როლი რეალობის გაშუქებაში საკმაოდ საკამათო საკითხია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტერპრეტაციას მისცემს მედია ცალკეულ მოვლენას. აქედან გამომდინარე, სადავოა ისიც, რამდენად რეალურად არის ასახული **დანაშაულებრიობა** მედია სივრცეში. ზოგადად მიღებულია, რომ მედია

[578] *Jewkes Y.* ,Media and Crime,33.

აშუქებს მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებულ ფაქტებს და ამით იძლევა ჩადენილი დანაშაულის სრულ სურათს. თუმცა არსებობს მრავალი კვლევა, რომელიც უთითებს, რომ მედია დანაშაულებრივი ახალი ამბების გაშუქებისას ცილდება როგორც **რეალობის** ფარგლებს, ისე – ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ „მედიას ხშირად უწოდებენ „„მსოფლიოს სარკმელს“ ან „ყოველდღიური რეალობის ამსახველ სარკეს“ სინამდვილეში ეს უკანასკნელი უფრო პრიზმად უნდა ჩაითვალოს, რომელიც დრეკადია და ამახინჯებს იმ მსოფლიოს ხედვას, რომელსაც ის ყოველდღიურად აშუქებს“.[579]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაცია არ წარმოადგენს რეალობას. რეალობის ერთ-ერთ ვერსიას წარმოადგნს, რომელიც კულტურულად არის განსაზღვრული და დაკავშირებულია შემდეგ ორ ფაქტორთან. პირველი – **ახალი ამბების მომზადების პროცესი**, ანუ ის პროცესი, რომლის შემდეგაც მედია ორგანიზაციები საზოგადოებას აწვდიან მედიაზირებული „რეალობის“ სურათს. სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნული სურათი სათანადოდ ვერ ასახავს რეალობას, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საზოგადოების მიერ დანაშაულის, დამნაშავეების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აღქმაზე. მეორე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს/გავლენას ახდენს ახალი ამბების შექმნის პროცესზე, არის **აუდიტორია**. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მედია მის ხელთ არსებული ახალი ამბებიდან პრიორიტეტულობის მიხედვით აშუქებს მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ხოლო დიდი უმრავლესობა უყურადღებოდ რჩება. ამის შემდეგ მედია რედაქტირებას უკეთებს/ამონტაჟებს ცაკლეულ სიტყვებს, არჩევს კონკრეტულ ტონს (ზოგიერთი ინფორმაცია გადმოცემულია სერიოზული ტონით, ზოგიერთს კი თან ახლავს იუმორი) და ასევე წყვეტს ახალი ამბის ვიზუალური გაფორმების საკითხს. ამ პროცესს კი ახალი ამბების **„შეფუთვა“** ან **„ჩარჩოში ჩასმა“** ჰქვია.[580]

რედაქტორები და ჟურნალისტები ყოველდღიურად არიან ჩართული ახალი ამბების შერჩევის პროცესში და ამ ამბების შერჩევა შემთხვევით ფაქტორებზე სულაც არ არის დამოკიდებული. ისინი ამზადებენ და წარუდგენენ მომხარებლებს ინფორმაციას, რომელიც მათ მიერ შედგენილ პროფესიულ კრიტერიუმებში ჯდება და გამოიყენება იმის გასაზომად, თუ რამდენად **საინტერესოა** ახალი ამბავი. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სხვა ფაქტორებს მნიშვნელობა არ ექცევა ახალი ამბის შექმნის პროცესში, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება – თუ ახალი ამბავი არ არის საინტერესო, ის არ მოხვდება ახალი ამბების პროგრამაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია **ახალი ამბების ღირებულებების** ცნების ჩამოყალიბება. ახალი ამბების ღირებულება არის ღირებულებითი შეფასება, რომელსაც რედაქტორები და ჟურნალისტები აკეთებენ

[579] იქვე, 41.

[580] იქვე.

იმის დასადგენად, თუ რამდენად **მიმზიდველია საზოგადოებისათვის** კონკრეტული ინფორმაცია და რამდენად ჯდება ის **საზოგადოების ინტერესის** სფეროში. პირველის გაზომვა შესაძლებელია რაოდენობრივად – მარტივად რომ ითქვას, გაყიდვების მაჩვენებლით ან რეიტინგებით შესაძლებელია გაირკვეს, საზოგადოებისთვის მიმზიდველია თუ არა ინფორმაცია. სწორედ ამ მიზეზის გამო მედია საშუალებები უფრო და უფრო დამოკიდებულები ხდებიან ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც შეიცავს დრამატულ, სენსაციურ ან ვარსკვლავურ (ცნობილი ადამიანების/Celebrity-ების) კომპონენტებს.[581] საზოაგდოების ინტერესის გამოზვა გაცილებით რთულია და შესაძლებელია შეიცავდეს გარე ფაქტორების ზემოქმედებას, მაგალითად, დიდი კომპანიების ან პოლიტიკურ ზეწოლას.

2.1 ახალი ამბების ღირებულების ელემენტები

მას შემდეგ, რაც გაშიფრულ იქნა ახალი ამბების ღირებულების ცნება, საინტერესოა ისიც, თუ რა ელემენტები გააჩნია ამ უკანასკნელს. პირველი მკვლევარი, ვინც ამ საკითხით დაინტერესდა, იყო სტივ ჩიბნალი, რომელმაც 1970 წელს პირველმა გაშიფრა ის ელემენტები, რომლის მიხედვითაც მედია საშუალებები (იგულისხმება ბეჭდვითი მედია) ირჩევენ და ამზადებენ საინტერესო და მიმზიდველ ახალ ამბებს.[582] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის შემდეგ 40 წელზე მეტია გასული და ნაშრომი ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდის ჟურნალისტურ პრიორიტეტებს ეხება, ჩიბნალის ნაშრომი წარმოადგენს ახალი ამბების მომზადების პროცესის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, რომელმაც საფუძველი დაუდო არაერთ მნიშვნელოვან ნაშრომს ამ სფეროში. ჩიბნალის აზრით, იმისათვის, რიმ თითოეული ახალი ამბავი მიმზიდველი და საინტერესო იყოს მომხარებლებისათვის, იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: აქტუალობას, დრამატიზმს, ინდივიდუალობას, სიმარტივეს, კონვენციონალიზმს, უნდა იყოს სასიამოვნოდ აღმგზნები, სტრუქტურულად ხელმისაწვდომი და ახალი.[583] აღნიშნული პროცესი მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები რომ გახდეს, აუცილებელია თითოეული ელემენტის მოკლე განმარტება:

აქტუალობა – ახალი ამბების (ნიუსების) იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელს მოუთხროს მოვლენის შესახებ, რომელიც ეს ეს არის მოხდა. ეს ნიშნავს, რომ ახალი ამბები უფრო აწმყოს ეხება, ვიდრე წარსულს და ასევე უფრო მეტად

---

581 იქვე.

582 *გახტაძე უ.*, ვის მხარეს არის ძალაუფლება პოლიციისა და მედიის ურთიერთობაში? ინგლისისა და უელსის პოლიციისა და მედიის ურთიერთობების კრიტიკული ანალიზი, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 112.

583 *Chibnall S.*, Press Ideology The Politics of Professionalism in *Greer C.*, (ed), *Crime and Media: A Reader*,Abingdon and New York: Routlege, 2010, 205 (შემდგომში – *Chibnall S.*, Press Ideology The Politics of Professionalism, გვ.).

მოიცავს მოვლენებს, ვიდრე გრძელვადიან პროცესებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ყოველდღიურად განვითარებული მრავალი მოვლენა თუ პროცესი ვერ ხვდება პრესის ფურცლებზე და მხოლოდ ისინი, რომელიც თავისი ხასიათით აქტუალურია ან მიჩნეულია როგორც საყოველთაოდ აღიარებულ ახალ ამბად, იკავებს ადგილს პრესაში.

დრამატიზაცია – იმისათვის, რომ ახალი ამბავი ადვილად გაიყიდოს, ხაზი უნდა გაესვას ამ ამბავის დრამატულ ელემენტს. „ახალი ამბავი არის კომერციული ცოდნა, ჩამოყალიბებული მკაცრი კონკურენციის პირობებში და უმტესწილად მოგების მიზნით".[584] მისი მომწოდებლები გავლენის მოხდენით ცდილობენ პოტენციური მომხარებლების ყურადღების მიქცევას. გავლენის მოხდენა მომხარებელზე კი ყველაზე ადვილია მაშინ, როდესაც ახალი ამბავი იწყება დრამატული ინფორმაციის გადმოცემით ან ჩვეულებრივი მოვლენის დრამატულ ჩარჩოებში მოქცევით. ახალი ამბის დრამატიზაცია იწვევს განსხვავებული აზრის გაუფერულებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს მომხარებლის ყურადღების გადატანას სოციალური პრობლემების (რომელიც ახალ ამბებშია გაშუქებული) სიმპტომებზე და, შესაბამისად, აღნიშნული პრობლემების მიზეზები უგულებელყოფილი რჩება.***პერსონალიზაცია*** – ახალი ამბავი არ არის მხოლოდ მყისიერად შეფუთული დრამატული ისტორია, რომელსაც ჰყავს თავისი მოქმედი პირები ანუ პერსონალიები. ახალი ამბავი მით უფრო ადვილად გასაყიდია, თუ იგი ეხება ცნობილ ადამიანებს ან პოლიტიკოსებს. ცნობილი ადამიანები გაცხოველებული ინტერესის საგანს წარმოადგენენ არა მათი საქმიანობის გამო, არამედ იმის გამო, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ. ცნობილი ადამიანი (ვარსკვლავი) არის გამოხატულება, პოპულარული ფანტაზიის ხორცშესხმა, იდეალური ცხოვრების ნიმუში, კომერციული ინტერესისა და ექსპლოატაციის საგანი. სწორედ ამ კომერციული ინტერესიდან გამომდინარეობს ისიც, რომ რომელიმე ცნობილი ადამიანი შესაძლებელია ერთ დღეს ყურადღების ცენტრში მოექცეს, მაგრამ მეორე დღეს უინტერესო გახდეს. შესაბამისად, ამავე ინტერესებიდან გამომდინარე, „სცენას" დაიკავებს საზოგადოების ახალი წევრი, რომელიც თავისი უნარების ან საზოგადოებაში დაკავებული ადგილის გამო იქცევა „მოთხოვნად პროდუქტად". სწორედ ამიტომ არის, რომ გაზეთების თუ ჟურნალების პირველი გვერდები ყოველთვის ეთმობა ასეთ ცნობილ ადამიანებს ან ისტორიას, რომელიც თავისი არსით იმდენად დრამატულია, რომ გარკვეული პერიოდით ჩრდილავს ცნობილ ადამიანებსაც. მაგალითად, სტატია სათაურით: „კამერონმა საჯაროდ დასდო ბრალი მილიბანდს" (ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა – ოპოზიციის პარტიის ლიდერს) დიდი ინტერესს გამოიწვევს და შესაბამისად დროის მცირე მონაკვეთში

---

[584] *Chibnall S.*,Law-and-order news: an analysis of crime reporting in the BritishPress, London: Travistock, 1977, 142 (შემდგომში – *Chibnall S.*, Law-and-order news: an analysis of crime reporting in the BritishPress, გვ.).

გაიყიდება.[585]***სიმარტივე*** – ახალი ამბების შემქმნელები ცდილობენ, მოპოვებული ამბავი გადმოსცენ რაც შეიძლება მარტივი და გაიოლებული ენით, რომელიც ადვილია წასაკითხად და გათვლილია სხვადასხვა ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებსაც აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, გაიგონ მომხდარი მოვლენის შესახებ. ახალი ამბის სიმარტივის ელემენტის უკეთ გასაგებად გამოდგება „დეილი ექსპრესის" ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რედაქტორის მიერ წარუმატებელი/ცუდი ახალი ამბის განმარტება: „...ამბავი, რომელიც ვერ აღიქმება პირველი წაკითხვისთანავე. ეს არის ამბავი, რომელიც კითხვებს პასუხგაუცემელს ტოვებს. ეს არის ამბავი, რომელიც უნდა წაიკითხო ორჯერ ან მეტჯერ, რომ გაიგო".[586]***სასიამოვნოდ აღგზნება*** – როგორც ჯოკ იანგი აღნიშნავს: „დაკვირვების შედეგად ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ხალხი უმეტესად კითხულობს ისეთ ახალ ამბებს, რომელიც სასიამოვნოდ აღაგზნებს და ადასტურებს მათ წინასწარ შექმნილ აზრს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით... პრესის წარმომადგენლები მომხმარებელთა ყურადღებას იქცევენ ისეთი მასალის წარდგენით, რომელიც თავისი შინაარსით სექსუალურად სანუკვარია. მსგავსი მასალა ხშირად წარმოდგენილია მაცდური, აგრეთვე, აკრძალული ფორმითაც... მკითხველი თავდაპირველად მოჯადოებულია ამ ინფორმაციით, შემდეგ ნელ-ნელა აანალიზებს ყველაფერს და საბოლოოდ რწმუნდება, რომ ინფორმაცია გასაკიცხია და გარკვეულ საკითხთან მიმართებით მის მიერ წინასწარ შექმნილი აზრი არასწორია".[587]კაპიტალიზმის პირობებში მათ, ვინც სარეკლამო ბიზნესში არიან ჩართული, დიდი ხანია გააცნობიერეს, რომ, თუ პროდუქტი სასიამოვნოდ აღაგზნებს მყიდველს, მაშინ მათ შეუძლიათ წარმატებით გაყიდონ ყველაფერი – დაწყებული მანქანებით და დასრულებული ხალიჩით. ამ ელემენტს, ასევე, შეუძლია ხელი შეუწყოს გაზეთების სწრაფ გაყიდვას, რომლის წინა გვერდზე გამოსახული იქნება გემოვნებით შერჩეული ნახევრად შიშველი მოდელი, ხოლო იქვე რაიმე სკანდალური ახალი ამბავი იქნება დაბეჭდილი. მსგავსი გაზეთი გაცილებით მიმზიდველი ხდება მყიდველისთვის იმ სკანდალური ახალი ამბის გამოც, რომელიც ცნობილ ადამიანს ეხება. ცნობილია, რომ პრესა სულდგმულობს რაიმე ახალი ამბის გამჟღავნებით და თუ ეს ახალი ამბავი სკანდალურიც არის, მაშინ გაყიდული ნომრის რეიტინგი უფრო და უფრო მაღლა იწევს.[588] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრესამ ჭორის გამოყენება ხელოვნებად აქცია და ხშირია შემთხვევები, როდესაც გადაუმოწმებელი ინფორმაციაც იბეჭდება ამა თუ იმ ცნობილ პიროვნებაზე ამბის სკანდალურობის გამო.***კონვენციონალიზმი*** – იგულისხმება ახალი მოვლენისადმი ლოგიკური განმარტების საფუძველზე სახელის დარქ-

---

585 იქვე.

586 *Chibnall S.*, Press Ideology The Politics of Professionalism, 207.

587 *Cohen S. and Young J.*,The manufacture of news : social problems, deviance and the mass media, London: Constable, 1973, 156.

588 *Chibnall S.*, Law-and-order news: an analysis of crime reporting in the BritishPress, 32.

მევა. მოცემული ელემენტის უკეთ გასაგებად აუცილებელია ჟურნალისტიკაში მომხდარ ცვლილებებზე ყურადღების მიქცევა, რომელთაგან გამოსაყოფია მომხდარი მოვლენის „ობიექტურად გადმოცემის“ ცნება. მე-19 საუკუნის მიწურულს ჟურნალისტის ტრადიციული როლი – მომხდარი მოვლენების გამშუქებელი დამოუკიდებელი კომენტატორი შეიცვალა და ადგილი დაუთმო ჟურნალისტს როგორც პროფესიონალ მთარგმნელსა და აუდიტორიასა და სხვა ინსტიტუტებს შორის შუამავალს. ჩიბნალის მოსაზრებით: „საკუთარი ფუნქციების შესრულებისას ჟურნალისტი აღარ ითავსებს კრიტიკოსის, განმმარტებლის ან თანამედროვე ისტორიკოსის ფუნქციებს და გვევლინება როგორც პირი წერითი უნარებით, აგრეთვე, იმის უნარით, რომ „თარგმნოს“ მთავრობის, სახელმწიფო ორგანოების, სხვადასხვა მეცნიერებების დარგის, ხელოვნების, მედიცინის თუ ფინანსების სპეციპიკური ენა და ამით გასაგები გახადოს უფრო ფართო, ამორფოული და ნაკლებად განათლებული აუდიტორიისათვის“.[589] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჟურნალისტები უკვე აღარ გვევლინებიან ობიექტურ მთხრობელებად და საუბრობენ ზუსტად იმ ენით, რითიც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. განსხვავება იმაშია, რომ მედია საუბრობს მასებისათვის გასაგები ენით, რადგან მას წმინდა კომერციული მიზნები ამოძრავებს.***სტრუქტურული წვდომა*** – ახალი ამბავი, რომელიც გადმოცემულია პრესაში, მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. მისაწვდომობაში იგულისმხმება როგორც გონებრივი, ასევე ფინანსური თვალსაზრისით მისაწვდომობა. სხვადასხვა გაზეთებმა შესაძლებელია, ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ენით გააშუქონ სწორედ იმაზე გათვლით, თუ რა კატეგორიის მკითხველზეა გათვლილი. მაგალითად, მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის დამაკმაყოფილებელია ინფორმაციის მიღება „სანიდან“[590], მაშინ, როდესაც საშუალო ფენის წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ უმეტესწილად „გარდიანიდან“[591], რომელიც ორი ფუნტით ძვირი ღირს „სანზე“ და გაცილებით ინტელექტუალურად წერს, ვიდრე ეს უკანასკნელი.***სიახლე*** – აქტუალობისაგან განსხვავებით, რომელიც მოითხოვს ახალთახალი, მიმდინარე მოვლენის გაშუქებას, სიახლე გულისხმობს, რომ ახალი ამბავი თავისი ბუნებით იყოს გასაოცარი, ორიგინალური ან უცნაური.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩიბნალის მიერ გამოვლენელი ელემენტები მხოლოდ ბეჭდვით მედიაზე იყო მორგებული და მოიცავდა 1945 წლიდან 1975 წლამდე პრესის საქმიანობას. სწორედ ამიტომ ჯიუკისმა ჩამოაყალიბა ახალი ამბების ღირებულების თანამედროვე ელემენტები, რომლებსაც მედია საშუალებები იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

---

[589] იქვე, 33.

[590] The Sun – ყოველდღიური ტაბლოიდური გაზეთი, რომელიც გამოიცემა დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში.

[591] The Guardian – ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოიცემა დიდ ბრიტანეთში.

2.2 ახალი ამბების ღირებულების თანამედროვე ელემენტები

ჯიუკისმა ჩამოაყალიბა ღირებულების 12 ელემენტი, რომლებიცაა: ზღვარი, პროგნოზირება, სიმარტივე, ინდივიდუალიზმი, რისკი, სექსი, ცნობილი ადამიანები, სიახლოვე, ძალადობა, სანახაობა და გრაფიკული გამოსახულება, ბავშვები და კონსერვატიული იდეოლოგია და პოლიტიკური დივერსია.*ზღვარი* – იმისათვის, რომ ინფორმაცია ჩაითვალოს საინტერესოდ, იგი გარკვეული დოზით უნდა შეიცავდეს დრამის და სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს. პოტენციური ახალი ამბის ზღვარი ახალი ამბის მასშტაბურობით განისაზღვრება, ანუ სადამდე იქნება ამ ამბის გმაოყენება მომგებიანი მედიისთვის. ინფორმაცია შეიძლება გავრცელებულ იქნეს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, წვრილმანი ქურდობის შესახებ შეიძლება საუბარი ადგილობრივ ინფორმაციულ საშუალებებში, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს იმ ზღვარს (არ არის მნიშვნელოვანი), რომ მოხვდეს ეროვნულ ახალი ამბების გამოშვებაში. გარდა ამისა, როცა პოტენციური ინფორმაცია დააკმაყოფილებს კრიტერიუმს, გახდეს ახალი ამბავი, ამის შემდეგ აუცილებელია, მან დააკმაყოფილოს ახალი კრიტერიუმები, რათა დარჩეს საინფორმაციო საშუალებების ახალ გამოშვებებში. მაგალითად, ოჯახში მომხდარი ძალადობრივი დანაშაული აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მოხვდეს ეროვნულ საინფორმაციო საშუალების გამოშვებაში. იმისათვის, რომ რამდენიმე დღე დარჩეს საინფორმაციო საშუალებებში, ჟურნალისტებს მოუწევთ რაიმე ახალი დეტალების დამატება ამ ამბისათვის, რათა განაახლონ და უფრო დრამატული იერი მისცენ მას. აღნიშნული კრიტერიუმები შესაძლებელია მრავალგვარი იყოს და დამოკიდებულია თვითონ მედია საშუალების ყოველდღიურ საქმიანობასა და ფორმატზე, თუმცა 2002 წელს, ბრიტანეთის მედიაზე დაკვირვების შედეგად, ჯიუკისმა გამოავლინა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ეხმარება პოტენციურ ინფორმაციას, გადალახოს ის ზღვარი, რაც მას საინტერესო ამბავად აქცევს. ესენია: დრამა და რისკი, ცნობილი სახეები, სექსუალური კომპონენტი და ა.შ.[592]*პროგნოზირება* – როგორც უკვე აღინიშნა, ის მოვლენა, რომელიც არის იშვიათი, ექსტრაორდინალური და მოულოდნელი, წარმოადგენს ყველაზე საინტერესო ინფორმაციას. შესაბამისად, არაპროგნოზირებადობა ინფორმაციას აძლევს სიახლის ღირებულებას. ანალოგიურად, პროგნოზირებადი ახალი ამბავიც შესაძლებელია ჩაითვალოს ღირებულად, რადგან მედია საშუალების წარმომადგენლებს შეუძლიათ, წინასწარ მოამზადონ სიუჟეტი და გადაანაწილონ რესურსები (რეპორტიორები, ფოტოგრაფები) ისე, როგორც მათ სურთ. დანაშაული, რა თქმა უნდა, არის სპონტანური მოვლენა და ჟურნალისტებს ძალიან უნდა გაუმართლოთ, რომ იმ ადგილას იყვნენ, სადაც დანაშაული მოხდება, მაგრამ თუ მედია საშუალებებს წინასწარ ეცოდინებათ, მაგალითად, დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობის მიერ შემუშავებული ინიციატივების შესახებ,

[592] *Jewkes Y.*, Media and Crime, 45.

ამით საშუალება მიეცემათ, მოამზადონ საინტერესო სიუჟეტები. პროგნოზირების ელემენტებს შეიცავს, ასევე, ცნობილი პიროვნების (მსახიობის, სპორტსმენის, პოლიტიკოსის და სხვ.) სასამართლო პროცესები.[593] მაგალითად, საქართველოში ახლო წარსულში ყოფილი პრემიერ მინისტრის ივანე მერაბიშვილის, ასევე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის – ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესებს გაცხოველებული ინტერესით აშუქებდა მედია.***გამარტივება*** – არ არის აუცილებელი მოვლენები ადვილად აღსაქმელი იყოს, რომ იქცეს ახალ ამბად (თუმცა, თუ მარტივია, უკეთესია), მაგრამ შესაძლებელი უნდა იყოს მათი ნაწილებად ან თემებად დაყოფა. დაყოფის პროცესს კი გამარტივება ეწოდება და მოიცავს რამდენიმე ასპექტს. პირველი: ახალი ამბავი უნდა გამოირჩეოდეს თავისი სიმოკლით, ისე, რომ აუდიტორიას არ გაეფანტოს გონება ინფორმაციის მიღებისას. მეორე – ახალ ამბავში ჩადებული მნიშვნელობები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რადგან, უმჯობესია, აუდიტორიას ჰქონდეს კონსენსუსი მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას და ინფორმაციის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. მაგალითად, როდესაც მოკლულის ცხედარი არის ნაპოვნი ან ჩადენილია ყაჩაღობა, დასკვნის გაკეთება და ქმედების ეტიკეტირება ადვილია, ისე, რომ აუდიტორია სხვა ინტერპრეტაციას ვერ მისცემს ამ ფაქტს. მაშინ, როდესაც საუბარია დანაშაულის ტენდენციაზე, აღნიშნული მეტად რთული გადასაცემია, სანამ არ იქნება შემოთავაზებული ოფიციალური ვერსია. ჯიუკისის თანახმად, „საჭიროა „კაუჭი", რომელზეც შესაძლებელი იქნება მსგავსი ახალი ამბების ჩამოკიდება იმისათვის, რომ მოხვდეს დღის ან საათის გამოშვებაში".[594] სწორედ ამიტომ, მედია ცდილობს, მის ხელთ არსებული ინფორმაცია რაც შეიძლება გამარტივებული სახით გადასცეს. ***ინდივიდუალიზმი*** – აღნიშნულ ელემენტში იგულისხმება, რომ დანაშაულის ინდივიდუალური ახსნა და რაციონალიზაცია, რომელიც ხაზს უსვამს დანაშაულზე ინდივიდუალურ პასუხს, უფრო მისაღებია მედიისათვის, ვიდრე დანაშაულის კულტურული და პოლიტიკური ახსნა. მედია ერთვება ინდივიდუალიზაციის პროცესში, რათა გაამარტივოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ისე შეფუთოს, რომ აუცილებლად დააინტერესოს ხალხი. აღნიშნული პროცესის შედეგად კი მოვლენები განხილულია როგორც ადამიანების ქმედებები და რეაქციები. შესაბამისად, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები გადაიცემა ინდივიდუალურ დონეზე დაყვანილი სახით, როგორც ინდივიდუალებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი (მაგალითად, პრემიერ მინისტრისა და ოპოზიციის ლიდერს შორის პოლიტიკური დაპირისპირება). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოვლენების სოციალური საწყისები იკარგება და ინდივიდულაური მოტივაცია ითვლება ყველა ქცევის დასაბამად.[595]

---

[593] იქვე, 46.

[594] იქვე, 48.

[595] *Fiske J.* ,Television Culture, London: Routledge, 1987, 294.

ინდივიდუალიზაციის პროცესში დამნაშავეც და დაზარალებულიც ექცევიან ინდივიდუალურ ჩარჩოში. მაგალითად, დამნაშავე განიხილება როგორც „იმპულსური, თავის თავზე ორიენტირებული, ირაციონალური/უგუნური, ცხოველის მსგავსი, აგრესიული და მოძალადე".[596] ყველა აღნიშნული თვისება ეხება დამნაშავის ავტონომიურ სტატუსს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალურ გარემოსა და მასთან კავშირს. მეტიც, ახალი ამბები ისეთ სტილში გადაიცემა, რომ საზოგადოებას თავს ვიჯილანტად გრძნობს, ხოლო დაზარალებულს (ან ვისაც ეშინია, რომ გახდება დაზარალებული) დაუცველ და იზოლირებულ პირად, რომელიც არაეფექტური სოციალური სისტემის მსხვერპლია და მუდამ თავდასხმის საფრთხის ქვეშ არის. თავის მხრივ, ვინც ცდილობს, თავიდან აიცილოს ვიქტიმიზაცია, გამოყვანილი არიან გმირებად, ხოლო ვინც დაიღუპება დანაშაულის შედეგად, კონსტრუირებული არიან „ტრაგიკულ, უცოდველ" ადამიანებად.[597]

რისკი – თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე რეალობა ხშირად ასოცირდება რისკთან, გასაკვირია, რომ მედია ნაკლებ ყურადღებას უთმობს დანაშაულის თავიდან აცილების, პრევენციის ან პირადი უსაფრთხოების საკითხებს. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების უმეტესობა, მათ შორის, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა სქესობრივი ხასითის ძალმომრეობითი ქმედებები, ჩადენილია იმ პირების მიერ, ვინც იცნობს დაზარალებულს. გარდა ამისა, ცალკეულ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებში და გეოგრაფიულ ადგილებში მომეტებულია მსხვერპლად გახდომის საფრთხე. მიუხედავად აღნიშნულისა, მედია ცდილობს დანაშაული წარმოაჩინოს როგორც შემთხვევითი, უმნიშვნელო, არაპროგნოზირებადი და ისეთი მოვლენა, რომელიც ყველას შეიძლება გადახდეს.[598] აღნიშნული კი კეთდება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს პოტენციურ მსხვერპლთა რიცხვი, რაც მათ დამოკიდებულს ხდის მედიაზე.

თავად იდეა, რომ ყველა ადამიანი პოტენციური მსხვერპლია, ახალი ფენომენია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანაშაულებრივი ახალი ამბები „სიმპათიას ამჟღავნებდნენ" დამნაშავეების მიმართ და მათ ქმედებებს არსებულ მდგომარეობას უკავშირებდნენ, შესაბამისად, ხაზს უსვამდნენ რეაბილიტაციის იდეალს (სასჯელის უმთავრეს მიზანს რეაბილიტაცია წარმოადგენდა), რომელიც იმ პერიოდში სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში (ინგლისში, უელსში, შოტლანდიაში, ირლანდიაში და ა.შ.).[599] დღევანდელ რეალობაში, როდესაც უფრო მეტი ყურადღება არის

[596] *Blackman L. and Walkerdine V.*,Mass Hysteria: Critical Psychology and Media Studies, Basingstoke: Palgrave, 2001, 6.

[597] *Jewkes Y.* ,Media and Crime,49.

[598] *Chermak S.*, Crime in the news media: a refined understanding of how crimes become news in *Barak G.* (ed.) Media, Process, and the Social Construction of Crime, New York: Garland, 1994, 125.

[599] *Reiner R.*, The rise of virtual vigilantism: crime reporting since World War II,Criminal Justice Matters, 43 (1) 4-5.

გადატანილი დასჯაზე, დანაშაულებრივი ახალი ამბები გახდა უფრო მსხვერპლზე ორიენტირებული. მედია იმდენად არის ვიქტიმიზაციის პროცესის გაშუქებით დაკავებული, რომ საზოგადოებაში ჩნდება დანაშაულის მიმართ შიში, უფრო ზუსტად კი პირადი უსაფრთხოების დაუცველობის შიში. მაგალითად, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბრიტანეთის მედიამ დაიწყო საუბარი მოახლოებულ ტერაქტებზე, რომელიც ბრიტანეთს ელოდა და ამით მორალური პანიკა დათესა საზოგადოებაში.*სექსი* – ყველაზე მეტად აღიარებული ღირებულების ელემენტი ყველა მედია საშუალებაში არის სექსი. სხვადასხვა კვლევებმა (დიტონის და დაფის კვლევა სტრესკლაიდში 1983 წელს, სმითის კვლევა ბირმინგემში 1984 წელს, და გრირის კვლევა ჩრდილო ირლანდიაში 2003 წელს) უჩვენეს, რომ ბეჭდვითი პრესა გადაჭარბებული ინტენსივობით აშუქებს სქესობრივი ხასითის დანაშაულებს, რითაც ყურადღება გადააქვთ რეალურად არსებული დანაშაულებრივი სიტუაციიდან და თესავენ შიშს ქალებში, რომ ისინიც შესაძლებელია გახდნენ მსგავსი დანაშაულის მსხვერპლნი. მაგალითად, დიტონის და დაფის მიერ დადგენილ იქნა, რომ, როდესაც პრესა აშუქებდა ქალების წინააღმდეგ მომხდარ დანაშაულებს, იგი ერთმანეთისაგან არ მიჯნავდა სექსს და ძალადობას, რითაც ეს ორი ვირტუალურად განურჩეველი გახდა. მაგალითად, 1981 წელს, სტრესკლაიდში, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სექსუალური ხასიათის დანაშაული ძალადობრივი დანაშაულების მხოლოდ 2,4%-ს შეადგენდა და, მიუხედავად ამისა, ისინი პრესის ფურცლების 45,8%-ს იკავებდა.[600] ზოგადად, თუ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით ქმედებას თან ახლავს მკვლელობა და თუ ქმედების ჩამდენი არ იცნობდა დაზარალებულს, მაშინ აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა სენსაციურადაც ჩაითვალოს და მედიის უდიდესი დაინტერესება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, სექსუალური ხასიათის დანაშაულები, სადაც ქალის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა არ არის დანაშაულის მთავარი შემადგენელი ნაწილი, ან იგივე დანაშაული ჩადენილი მსხვერპლის ნაცნობი ადამიანის მიერ, ითვლება როგორც რუტინულ მოვლენად და მედიის დიდ დაინტერესებას არ იწვევს. მეტიც, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალის სექსუალური მოტივით მკვლელობაც მედიის ნაკლებ ყურადღებას იქცევს, რადგან ასეთი ქალი ვერ ჯდება „უცოდველი მსხვერპლის" დეფინიციაში, რომელსაც მედია ასე ხშირად იყენებს დრამატიზაციის ელემენტის გასაზრდელად.[601]

ნეილორის თანახმად, მედიის მიერ „ჩვეულებრივი" ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის გაშუქების სიხშირე ხაზს უსვამს არა მარტო იმას, რომ აღნიშნული ამბები აკმაყოფილებს ძირითად ღირებულების ელემენტებს,

---

[600] *Ditton J. and Duffy J.*, Bias in the newspaper reporting of crime news, British Journal of Criminology, 1983, 23 (2), 159, 162 (შემდგომში – *Ditton J. and Duffy J.*,Bias in the newspaper reporting of crime news, გვ.).

[601] *Naylor B.*, Reporting violence in the British print media: gendered stories, Howard Journal. 2001, 40 (2): 180, 186

არამედ იმასაც, რომ მედია ქალებს წარმოაჩენს სექსუალური და პორნოგრაფიული კუთხითაც კი. ამავდროულად, მსგავსი ინფორმაციები ყოველთვის ინდივიდუალიზირებულია იმგვარად, რომ ყურადღება მახვილდება ქალის (იქნება იგი ქმედების ჩამდენი, თუ დანაშაულის მსხვერპლი), სექსუალობაზე და მის სექსუალურ ისტორიებზე. მაგალითად, 2002 წელს მომხდარი სქესობრივი ხასითის მკვლელობის დროს, როდესაც სტიუარტ კემბელმა მოკლა თავისი 15 წლის დის შვილი დანიელე ჯონსი, მედიის მიერ გაშუქდა მათ შორის არსებული „შეუფერებელი" სექსუალური ურთიერთობა, ხოლო შემთხვევის ადგილზე გადაღებული სურათებიდან მედიამ გაამზიურა სისხლით დასვრილი წინდების და ტრუსების სურათები.[602]

გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის სექსუალური ელემენტი სასიამოვნოდ აღაგზნებს აუდიტორიას, მედია კარგად იყენებს ამ სურვილს თავისი კომერციული მიზნებისათვის, ხოლო სახელმწიფოს კიდევ უფრო აწყობს მგავსი ამბების გაშუქება, რადგან, ერთი მხრივ, აღნიშნული ქმედების წინააღმდეგ გატარებული პრევენციული ზომები საკმაოდ ხილულია (მაგალითად, ქუჩის განათება ან ქუჩებში დამონტაჟებული ვიდეო კამერები) და ხალხს სჯერა, რომ სახელმწიფო რეალურად იღებს გარკვეულ ზომებს მსგავსი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და, მეორე მხრივ, ყურადღება გადააქვთ ქვეყანაში განვითარებული სხვა სერიოზული მოვლენებისაგან.

ვარსკვლავები ან მაღალი თანამდებობის მქონე პირები – მედია „შეპყრობილია" ვარსკვლავებით. აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ ინფორმაცია გაცილებით ადვილად ხდება ახალ ამბად, თუ მასში ცნობილი ადამიანი ფიგურირებს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინფორმაციამ უნდა გადალახოს გარკვეული ზღვარი, რომ მოხვდეს მედიის ინტერესის სივრცეში. აღნიშნული ზღვარი საკმაოდ მაღალია „ჩვეულებრივი" მოქალაქეებისთვის, ვიდრე ვარსკვლავებისთვის, რომელთა მიერ ჩადენილი ნებისმიერი დევიაციური ქმედება და, მითუმეტეს, დანაშაული საკმაოდ ვრცელ ადგილს იკავებს მედია სივრცეში. მაგალითად, ახლო წარსულში ცნობილი კანადელი პოპ მომღერლის ჯასტინ ბიბერის დაკავებამ არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისა და პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, მოიცვა მთელი მსოფლიოს სატელევიზიო თუ ბეჭდვითი პრესა, მაშინ, როდესაც მსგავსი ბრალდებით „ჩვეულებრივი" ადამიანის დაკავება არათუ მედიაში, არამედ ყველაზე იაფფასიან გაზეთშიც კი არ მოხვდებოდა. აღნიშნული კი ხდება იმის გამო, რომ ვარსკვლავების, მიუხედავად იმისა, ქმედების ჩამდენნი არიან თუ მსხვერპლნი, ცხოვრება და მათი ინტერესები უაღრესად საინტერესოა აუდიტორიისათვის, ხოლო, რაც აუდიტორიისათვის არის საინტერესო საინტერესოა მედიისთვისაც. თუ ვარსკვლევების მიერ ჩადენილი დანაშაული შეიცავს, ასევე, სექსუალური ხასიათის ელემენტს, მით უფრო საინტერესო ხდება მედიისათვის.

---

[602] იქვე.

რიგითი მსჯავრდებულებიც შეიძლება გახდნენ „ვარსკვლავები“ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რეზონანსულობის გამო. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დამნაშავეებზე იღებენ როგორც დოკუმენტურ, ისე მხატვრულ ფილმებს. მედიის მიერ აღნიშნულის გაშუქება არის მისი მორალური ვალდებულება, ერთი მხრივ, დაგმონ მსგავსი ქმედებები და, მეორე მხრივ, გააღვივონ საზოგადოებრივი ზიზღი მსგავსი ქმედებების მიმართ. მაგალითად, პიტერ სათკლიფი, მეტსახელად „იორკშირელი მფატრავი“, რომელმაც 13 ქალი მოკლა ჩრდილოეთ ინგლისში; რიჩარდ კუკლინსკი, მეტსახელად „ყინულის კაცი“, რომელიც ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთში იგი უმწიკვლო მეოჯახე იყო და მისმა ცოლმა დაკავებამდე არ იცოდა, რომ წლების განმავლობაში მკვლელთან ცხოვრობდა, ხოლო მეორეში იგი მაფიოზურ კლანისათვის მომუშავე დაქირავებული მკვლელი იყო, რომელსაც ოფიციალური ვერსიით 100-ზე მეტი კაცი ჰყავს მოკლული (არსებობს ვერსია, რომ მას 200-მდე კაცი ჰყავს მოკლული). მის ინტერვიუებზე დაყრდნობით გადაღებულია 3 დოკუმენტური ფილმი, 2 ბიოგრაფიული და ერთი მხატვრული ფილმი.[603] გარდა აღნიშნულისა, არსებობს კიდევ უამრავი მაგალითი, როდესაც კრიმინალებს მათ მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ვარსკვლავის სტატუსი მოუტანა.

გარდა ვარსკვლევებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩამდენი პირებისა, პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, სასულიერო პირების, სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების და ა.შ. შესახებ გავრცელებული ინფორმაციაც ითვლება საინტერესოდ მათი სტატუსის გამო.***სიახლოვე*** – სიახლოვის ელემენტს გააჩნია სივრცული და კულტურული დინამიკა. სივრცული სიახლოვე არის მოვლენის გეოგრაფიული სიახლოვე, ხოლო კულტურული სიახლოვე არის მოვლენის რელევანტურობა აუდიტორიისათვის. აღნიშნული ფაქტორები ხშირად მოიცავს ერთმანეთს და მოვლენებმა, რომლებიც შეესაბამება აუდიტორიის ღირებულებებს, რწმენას, ინტერესებს და ა.შ. დანაშაულებმა, რომელიც კონკრეტული აუდიტორიისათვის გეოგრაფიულად ახლო ადგილას ხდება, დიდი შანსია, რომ მიიღოს ახალი ამბის სახე.[604] არსებობს სხვაობა ადგილობრივ და ეროვნულ ახალ ამბებს შორის სიახლოვის ელემენტის მიხედვით. მაგალითად, ნაკლებად მძიმე დანაშაულების შესახებ შესაძლებელია საუბარი იყოს ადგილობრივ მედიაში, მაგრამ ვერ მოხვდება ეროვნულ საინფორმაციო გამოშვებებში მანამ, სანამ მას სხვა ღირებულების ელემენტი არ დაემატება (მაგალითად, იყო ძალადობრივი ხასიათის, მონაწილეობდა მაღალი თანამდებობის პირი და ა.შ.). აქედან იმ დასკვნის გაკეთება შესაძლებელი, რომ ადგილობრივი ახალი ამბები შესაძლებელია საინტერესო იყოს კონკრეტულ ადგილას მცხოვრები საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, ეროვნული მედიისთვის არ იყოს მომგებიანი მსგავსი ინფორმაციის გადმოცემა.

---

[603] *Philip C.*,The Ice Man: Confessions of a Mafia Contract Killer, New York, New York: St. Martin's Press, 2006, 373.

[604] *Jewkes Y.* ,Media and Crime,54.

სიახლოვეზე საუბრისას აუცილებელია, მოკლედ შევეხოთ ეთნოცენტრიზმის ცნებას. ეთნოცენზტრიზმში იგულისხმება კონკრეტული ერის სხვა ეთნიკურ ჯგუფზე ან კულტრაზე აღმატებულად წარმოჩენა. ყველაზე ხშირად ეთნოცენტრიზმში ბრალს ამერიკელებს სდებენ. ამერიკული მედია (და აღნიშნულის გამო – ამერიკელი საზოგადოება) გაკრიტიკებულია მისი ნაკლები ინტერესის გამო მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით. ამერიკული მედია უმეტესწილად დაკავებული არის იმ პრობლემების გაშუქებით, რაც მათ ქვეყნის შიგნით ხდება. მაგალითად, 11 სექტემბრის ტერაქტის გაშუქების ინტენსივობა და, ასევე, პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ამსახველმა კადრებმა იმ დროისათვის უპრეცედენტო რეზონანსი გამოიწვია, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა, რომ აშშ ეტიკეტირებულია როგორც მსოფლიოს „სუპერ სახელმწიფო". მათი ახალი ამბები და იქ განვითარებული მოვლენები მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების ახალი ამბებია და, მიუხედავად იმისა, თუ რა კავშირი აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ერებს იქ განვითარებულ მოვლენებთან, რომლებიც აღნიშნულის შესახებ უფრო მეტი იციან, ვიდრე საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების შესახებ.[605] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არიან განვითარებადი ქვეყნებიც, რომელშიც ხშირად ხდება ისეთივე მოვლენები, როგორიც 11 სექტემბრის ტერაქტი იყო, თუმცა დასავლეთის მედიის მხრიდან აღნიშნულს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

პოლიტიკური კლიმატის და კულტურული განწყობის მიხედვით იცვლება კულტურული სიახლოვეც. მაგალითად, 1980 წელს ერაყსა და ირანს შორის ომს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, თუმცა ბოლო წლებში ერაყის მოვლენებზე მეტი მედია გაშუქება არცერთ ქვეყანას არ ჰქონია. მარტივად რომ ითქვას, შესაძლებელია უცხოური ამბავი ჩაითვალოს „შინაურ" ამბად და დიდი ყურადღება დაეთმოს, თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ იგი კონკრეტული ქვეყნის კულტურას შეეჯახოს და ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე. თუ უცხოეთში განვითარებული მოვლენა არანაირ შემხებლობაშია კონკრეტულ ქვეყანასთან, მაშინ იგი უნდა იყოს ზოგადად მაღალი მნიშვნელობის მქონე და დრამატული. როგორც ნოველისტი მაიკლ ფრეინი უთითებს: „საგზაო კატასტროფების კვლევამ უჩვენა, რომ ხალხისთვის არ არის საინტერესო ავტოსაგზაო შემთხვევა, თუ დაღუპული არ არის მინიმუმ 10 ადამიანი. ავტოსაგზაო შემთხვევა 10 მსხვერპლით უფრო ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე სარკინიგზო შემთხვევა თუნდაც ერთი მსხვერპლით. თუ აღნიშნული ეხებოდა აშშ-ს, მაშინ დაღუპულთა მინიმალური რაოდენობა იზრდებოდა 20-მდე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 100-მდე, აფრიკაში 200-მდე, ჩინეთში 500-მდე. მაგრამ ხალხს ზემოაღნიშნულზე მეტად აინტერესებს საავიაცო კატასტროფები, რომელსაც თან ახლავს ისტორია, საშუალო ასაკის დედის შესახებ, რომელმაც იყიდა თვითმფრინავის ბილეთი და ბოლო მომენტში გადაიფიქრა გაფრენა".[606]

---

[605] იქვე, 55.

[606] *Frayn M.*,The Tin Men,London: Collins, 1965, 60.

ფრეინის სიტყვების დასტურად გამოდგება 2013 წელს ესპანეთში მომხდარი სარკინიგზო შემთხვევა, როდესაც მატარებელი მემანქანის დაუდევრობის გამო, გადავიდა ლიანდაგიდან. შედეგად დაიღუპა 79 ადამიანი და 140 ადამიანი მძიმედ დაშავდა.[607] აღნიშნული ახალი ამბავი დღეების განმავლობაში გადმოიცემოდა მსოფლიო მედიების მიერ, როგორც ძირითადი ახალი ამბავი, თუმცა აღნიშნული ვერ შეედრება 2014 წლის 8 მარტს მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავის გაუჩინარების ფაქტს, რომელიც კუალა ლუმპურიდან პეკინის მიმართულებით მიფრინავდა. თვითმფრინავის გაუჩინარების ფაქტმა მოიცვა მთელი მსოფლიო და კვირების განმავლობაში საინფორმაციო საშუალებები სწორედ ამ ამბით იწყებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პერიოდში უკრაინაში, მაიდანზე სისხლიანი დაპირისპირებები მიდიოდა იმჟამინდელ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

კულტურული სიახლოვე, ასევე, ეხება ნებისმიერი დანაშაულის ამსრულებელს და მისი დანაშაული მოიცავს მსოფლიოს მედია საშუალებებს. მაშინ, როდესაც ერთი ერის წარმომადგენელი ჩაიდენს დანაშაულს მეორე ერის წარმომადგენლის მიმართ. მაგალითად, 2007 წელს ამერიკელი სტუდენტის ამანდა ნოქსს ბრალი დაედო ბრიტანელი სტუდენტის მერედიტ კერხერის მკვლელობაში. ამ შემთხვევის გაშუქებისას განსხვავებული ტონი ჰქონდა, ბრტანულ და ამერიკულ მედიას. თუ ამერიკული მედია ცდილობდა წარმოეჩინა ნოქსი როგორც საშუალო ფენის ტიპური ამერიკული ოჯახის შვილი, ბრიტანული მედია ცდილობდა, იგი უფრო „ბნელი" კუთხით წარმოეჩინა. სწორედ ამიტომ მასზე საუბრისას იშველიებდნენ სოციალურ ქსელებში მის მიერ გადაღებულ სურათებს, სადაც იგი ტყვიამფრქვევთან პოზირებდა. ასევე, გასაჯაროვდა მის მიერ უცნაური სექსუალური ფანტაზიით შეთხზული ისტორიები.[608] აქედან შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ხშირად მსგავს შემთხვევებში მედია აკეთებს ურთიერთგამომრიცხავ და მიკერძოებულ დასკვნებს იმ მიზნით, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენამდე წინასწარ შეუქმნან აზრი საკუთარ აუდიტორიას მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით.***ძალადობა*** – ახალი ამბების ღირებულების ელემენტი, რომელიც საერთოა ყველა მედია საშუალებისთვის, არის ძალადობა, რადგან ის სრულყოფს მედიის სურვილს, წარმოაჩინოს დრამატული მოვლენა ყველაზე უფრო გრაფიკულად გამოხატული ფორმით. ძალადობით დაინტერესება იმითაც აიხსნება, რომ მედია ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რაც არსებობს მოძალადე ადამიანებსა (რომლებიც თავიანთი ქცევის გამო ექცევიან საზოგადოების გარეთ) და კანონმორჩილ ადამიანებს შორის. ძალადობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, მართალია, ძალადობრივი დანაშაული ყოველ-

---

[607] *Burgen S.*, Spanish train crash: driver Garzóntape revealed, The Guardian, London, 6 September 2013, <**http://www.theguardian.com/world/2013/sep/06/spain-train-crash-driver-garzon-tape-revealed**> [12.05.2014].

[608] *Jewkes Y.* ,Mediaand Crime, 56.

თვის გადმოიცემა მედიის მიერ, მაგრამ, თუ მას თან არ ახლავს ღირებულების სხვა ელემენტები, იგი მოკლე დროის განმავლობაში რჩება მედიის ინტერესის სფეროში. *ვიზუალური სპექტაკლი და გრაფიკული გამოსახულება* – სატელევიზიო ახალი ამბები უფრო სარწმუნოდ ითვლება, ვიდრე, საგაზეთო, რადგან, პირველ რიგში, იგი ითვლება უფრო ნაკლებად პარტიზანულად, ვიდრე პრესის ინფორმაცია და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ტელევიზიას გააჩნია უფრო მაღალი ხარისხის გრაფიკული გამოსახულებები (ხშირად მოძრავი), რაც აუდიტორიას საშუალებას აძლევს, თავად განსაჯოს, რამდენად შეესაბამება ტელევიზიის მიერ გაშუქებული ინფორმაცია სიმართლეს. გრირის აზრით, უმთავრესი ცვლილება, რაც განიცადა ახალი ამბის ღირებულების ელემენტმა ჩიბნალის დროიდან დღემდე, არის სწორედ ვიზუალური და გრაფიკული გამოსახულების ელემენტში ცვლილება. გრირის თანახმად, ახალი ამბისათვის ვიზუალური და გრაფიკული ელემენტის აუცილებელი თანდართვა განაპირობა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა (კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონები, სოციალური ქსელები – „Facebook-ი", „Twitter-ი" და ა.შ.). ტექნოლოგიურმა წინსვლამ განაპირობა ის, რომ მედიას შესაძლებლობა აქვს, უკვე მოქალაქეებისაგან მოიპოვოს სურათები და ვიდეოები მომხდარ ფაქტთან ან ამ თუ იმ პირის ცხოვრების სტილთან დაკავშირებით.[609] მაგალითად, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბრიტანულმა მედიამ ამანდა ნოქსის პიროვნებაზე მსჯელობისას სწორედ სოციალურ ქსელში განთავსებული მისი სურათები გამოიყენა.

როგორც უკვე აღინიშნა, ძალადობა არის ახალი ამბების პროდუქციის ძირითადი კომპონენტი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს სხვადასხვა სახის ძალადობა და ახალ ამბებში ძირითადად გადაიცემა იმ ძალადობის შესახებ, რომელსაც თან ახლავს ვიზუალური გაფორმება და გრაფიკული სახით მიეწოდება მომხარებელს. სწორედ ამ მიზეზის გამო ის დანაშაულები, რომლებიც ხდება კერძო გარემოში, არის უმეტეს შემთხვევაში უხილავი და, შესაბამისად, მედიისათვის უინტერესო. მაგალითად, ოჯახური ძალადობა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პირისათვის და, ზოგადად, საზოგადოებისათვისაც უფრო ზიანის მომტანი დანაშაულია, მაინც ყველაზე ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს მედიის მხრიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დანაშაულის ან დანაშაულის შემდგომი ქმედების გრაფიკული და ვიზუალური გამოსახულებები იშვიათად თუ მოიპოვება. *ბავშვები* – 1978 წელს სტიუარტ ჰოლმა და კოლეგებმა დასძინეს, რომ ნებისმიერი ძალადობრივი დანაშაული მედიის დიდ დაინტერესებას იწვევს. აღნიშნული არც ახლა შეცვლილა. თუმცა დღევანდელ რეალობაში ძალადობრივ დანაშაულებზე მეტად მედიის გაცხოველებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ისეთი დანაშაულები, რომელშიც ბავშვები ფიგურირებენ. მეტიც, ჯენკინსის მიხედვით, ნებისმიერი დანაშაული და განსაკუთრებით ის, რომელიც ეწინააღმდეგება მიღებულ მორალურ წესებს, გაცილებით საინტერესო ხდება, თუ მასში ბავშვები

[609] *Greer C.* ,Crime and Media: A Reader, London: Routledge, 2009, 227.

მონაწილოებენ.[610] მონაწილეობაში იგულისხმება როგორც ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულები, ისე დანაშაულები, რომლის ამსრულებლებიც არიან ბავშვები. ხშირად სწორედ ბავშვების მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულების გამოა, რომ თანამედროვე რეალობაში იწყება მორალური კამპანიები. მაგალითად, 70-იან წლებში ჰომოსექსუალიზმის და პორნოგრაფიის წინააღმდეგ საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა მორალური კამპანიები, რადგან ისინი ამორალურ ქმედებად ითვლებოდა და საზოგადოების უმეტესობისაგან მორალურ მხარდაჭერას იღებდა. მას შემდეგ, დიდმა დრომ განვლო და ახლა უკვე არა ჰომოსექსუალიზმი, არამედ პედოფილია, არა პორნოგრაფია, არამედ ბავშვების პორნოგრაფია, არა სატანიზმი, არამედ მსგავს რიტუალებში ბავშვის ჩართვა არის მორალურად გასაკიცხი ქმედება და ამ საკითხში საზოგადოების ერთსულოვნების გამო საკმაოდ წარმატებულია მათ წინააღმდეგ განხორციელებული მორალური კამპანიებიც.[611] ბავშვებზე მსგავსი დოზით ფოკუსირება ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი დევიაციური ქმედება, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს, ავტომატურად კვეთს ვიქტიმიზაციის უფრო მაღალ ზღვარს, ვიდრე იმავე შემთხვევაში სრულწლოვანის მონაწილეობით ჩადენილი დანაშაული. თუმცა, იმავე ჯენკინსის მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ბავშვის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში არ არის იმის გარანტია, რომ მომხდარი მოვლენა აუცილებლად გადაიცემა ახალ ამბად. აღნიშნულის დასტურია ოჯახში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რომლის მსხვერპლნიც არიან ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაული საკმაოდ გავრცელებულია, მედიის მიერ მაინც ნაკლები ყურადღება ეთმობა, ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ მედია ცდილობს, შეინარჩუნოს იდეალური ოჯახის სახე საზოგადოებაში და არ დაუშვას იმის აღიარება, რომ მსგავსი სახის ძალადობა არსებობს. თუმცა არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც, ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობა ყველაზე ხშირად ხდება ოჯახში და გაცილებით ნაკლებად – ბავშვისათვის უცნობი პირების მიერ.[612]

ბავშვების მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულების გაშუქებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაღვივდა 1993 წლის შემდეგ, როდესაც ინგლისში, ორმა 10 წლის ბავშვმა მოკლა 2 წლის ჯეიმს ბულგერი.[613]ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მედიამ „თინეიჯერობის" პერიოდს მიუღწეველი ბავშვები მოიხსენია როგორც „დემონები". იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ შემთხვევას, რომ ეს ბავშვები გაასამართლეს როგორც სრულწლოვანი დამნაშავეები. მედია ასეთ

---

[610] *Jenkins P.*, Intimate Enemies: Moral Panics in Contemporary Great Britain, New York: Aldine de Gruyter, 1992, 11.

[611] იქვე.

[612] *Jewkes Y.*, Media and Crime, 61.

[613] *Sharratt T.*, James Bulger 'battered with bricks',The Guardian, London, 2 November, 1993 <http://www.theguardian.com/uk/1993/nov/02/bulger.tomsharratt>[12.05.2014].

დროს დადგა დილემის წინაშე, რადგან დაახლოებით მე-18 საუკუნიდან მოყოლებული თითქმის ყველა ქვეყნის მედია საშუალებები ბავშვებს წარმოაჩენდნენ რომანტიკულად, როგორც უცოდველ და გარდამავალ პერიოდში მყოფ არსებებს, რომლებსაც მოვლა, თანადგომა და სიყვარული ესაჭიროებოდათ. აღნიშნული შემთხვევის შემდეგ კი ბავშვების როგორც უცოდველი არსებების ეტიკეტირება გაქრა და ადგილი დაუთმო ბავშვების, როგორც საშინელი და ბოროტი არსებების, ცნებას. საზოგადოებაში უდიდესი მღელვარება და მორალური პანიკა გამოიწვია ამ ამბავმა და იქვე გაჩნდა ცნობები, რომ ბოლო წლებში საკმაოდ მომატებული იყო არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები და მედიაც უკვე თავისუფლად იხსენიებდა 10 წლის დამნაშავეებს „უხეშებად", „მონსტრებად", „ცხოველებად", „სატანის ნაშიერებად". ის მიზეზები კი, თუ რატომ იწვევს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მორალურ პანიკას თანამედროვე რეალობაში დაწვრილებით იქნება განხილული შემდეგ პარაგრაფებში.***კონსერვატიული იდეოლოგია და პოლიტიკური გადახვევა*** – ყველა ზემოთ განხილულ ღირებულების ელემენტს საერთო აქვს ის, რომ მედიას შეუძლია აღნიშნული ელემენტები გამოიყენოს ისე, როგორც ეს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელებს აწყობთ. მაგალითად, საქართველოში 2003 წლის რევოლუციის შემდეგ დანაშაულისა და დევიაციაზე მედიის პასუხი იყო დამსჯელი ღონისძიებებით მათი აღკვეთა, რის გამოც ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ აუცილებელი იყო მეტი პოლიციელი ქალაქის ქუჩებში, მეტი ციხეები და უფრო მკაცრი სანქციები დანაშაულის გამოვლინების შემთხვევაში. მედიის აღნიშნული პოზიცია ხაზს უსვამს მედიისა და პოლიტიკოსებს შორის არსებულ სიმბიოტურ ურთიერთობაზე და მედია ხშირ შემთხვევაში მხარს უჭერდა პოლიტიკოსებს კანონიერებისა და წესრიგის დამყარების საკითხებში. თუ გავაანალიზებთ იმავე 2003 წლიდან პოლიტიკოსების გამოსვლებს, აღმოჩნდება, რომ მათი უმრავლესობა მხარს უჭერდა ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს, რომელიც პირდაპირ იყო გადმოღებული აშშ-სა და დიდი ბრიტანეთიდან. ამავე პერიოდში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ერთ-ერთი გამოსვლისას აღნიშნა, რომ ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოეჩინათ თუნდაც წვრილმანი დანაშაულის მიმართ და ყველა მსგავსი ქმედების ჩამდენი უნდა „გაეშვათ ციხეში". დაახლოებით ამავე დროს ბრიტანეთში ხელისუფლების სათავეში მოსული ლეიბორისტული პარტიის ლიდერის ტონი ბლერის მიერ გაკეთებული ცნობილი განცხადება ასეთი შინაარსის იყო: „ჩვენ უნდა შევხდეთ მტკიცედ ყველა დანაშაულს და მის გამომწვევ მიზეზებს" („Tough on crimes and tough on causes of crimes").[614] ორივე შემთხვევაში ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო და იმისათვის, რომ რაიმე ახალი შეეთავაზებინათ საზოგადოებისთვის, გამოაცხადეს ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ

---

[614] *McLaughlin E., Muncie J. and Hughes G.*,The Permanent Revolution: New Labour, New Public Management and the Modernization of Criminal Justice, Criminology and Criminal Justice,2001, 1 (3), 301, 303.

იმ მოდელის მიხედვით, რომელიც გადმოღებული იყო აშშ-დან (აშშ ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პუნიტიურ სახელმწიფოდ, სადაც თითქმის ყოველი მე-100 მოქალაქე არის პატიმარი). თუმცა ორივე ქვეყანაში მომდევნო წლების განმავლობაში შედეგი იყო გადატვირთული ციხეები, არაპროპორციული სასჯელები და დანაშაულის წინააღმდეგ დანაშაულებრივი გზებით ბრძოლა სახელმწიფოს მხრიდან. რეიტინგული მედია საშუალებები კი ამ დროს ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხელისუფლების თითოეული წარმომადგენელის მიერ გადადგმული ნაბიჯი გაეშუქებინათ ისე, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნაკლებად გაჩენილიყო საზოგადოებაში.

როგორც უკვე ითქვა, მედიას შეუძლია საზოგადოების ყურადღება ჩამოაშოროს რეალურად არსებულ პრობლემებს (ძირითადად პოლიტიკურ პრობლემებს) და ყურადღება გადაატანინოს ისეთ მოვლენებზე, რომელიც, მართალია, თავისი არსით მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ისეთი, რომ კვირების განმავლობაში ყველა საინფორმაციო გამოშვება მათით დაიწყოს. მაგალითად, საქართველოში ბოლო დროს ყბადაღებულია უკანონო ფარული ვიდეო ჩანაწერების თემა. რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხი მეტად მტკივნეულია. ყველა ადამიანის პერსონალური მონაცემი და ინფორმაცია დაცული უნდა იყოს, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგრამ აღნიშნული საკითხის მედიის მიერ მსგავსი სიხშირით აფიშირება მეტყველებს იმაზე, რომ გაცილებით სერიოზული სისტემური სოციალური პრობლემები, როგორიცა არის სიღარიბე, განათლების სისტემის ჩავარდნა, საქართველოს საზღვრის ხელშეუხებლობის დარღვევა და ა.შ., იგნორირებული რჩება.

2.3 მედელინ მაკკენის გაუჩინარება: საინტერესო ახალი ამბის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი

მედდელინ მაკკენის გაუჩინარების საქმე[615] ყოველდღიურად გადმოიცემოდა მსოფლიო მედიის მიერ და თავისი მასშტაბურობით უპრეცედენტო შემთხვევაა. მსოფლიოში იშვიათად ხდება ისეთი დანაშაული, რომელიც თავის თავში აერთიანებს ახალი ამბის ღირებულების 12-ივე ელემენტს. აღნიშნული შემთხვევა წარმოდგენილია იმ მიზეზის გამო, რომ მკთხველისათვის ადვილი აღსაქმელი იყოს როგორც მედიის მიერ საინტერესო ახალი ამბების შექმნის პროცესი, ისე – ზემოხსენებული ელემენტები.

2007 წლის მაისში 3 წლის ბრიტანელი გოგონა მედელინ მაკკენი მოიტაცეს პორტუგალიის კურორტ პრაია და ლუზიდან, სადაც იგი მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად იმყოფებოდა. აღნიშნული ფაქტი, როგორც ითქვა, გახდა მოწინავე ამბავი მთელი ზაფხულის განმავლობაში და 7 წლის შემდეგაც ისევე

[615] *Orr J.*, Madeleine McCann may have been kidnapped to order, The Guardian, London, 7 August 2008, <**http://www.theguardian.com/uk/2008/aug/07/madeleinemccann.portugal**> [12.05.2014].

მტკივნეულ და საინტერესო თემად ითვლება, რადგან ბავშვი დღემდე არ არის ნაპოვნი და ჩნდება სხვადასხვა ვერსიები, თუ სად უნდა იმყოფებოდეს მედელინი. აღნიშნულმა დრამატულმა ახალმა ამბავმა იმთავითვე გადაკვეთა ის **ზღვარი,** რაც მას საინტერესო ამბად აქცევდა. ამასთან, ბავშვის მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შემდგომი „მინი“ ზღვრები გადაელახათ, რათა ახალი ამბავი დიდხანს დარჩენილიყო საინფორმაციო გამოშვებების ყურადღების ცენტრში (ლოცულობდნენ ადგილობრივ ეკლესიაში, შეხვდნენ რომის პაპს, მოაწყვეს ტური ევროპაში, შემდეგ აშშ-ში, პოლიციამ მათი მონაწილეობით გაუკეთა პრეზენტაცია ახალ სიგნალიზაციის სისტემას, რომელიც პოლიციას უმალ აწვდის ინფორმაციას ბავშვის დაკარგვის/გატაცების შემთხვევებში და ა.შ.). ადვილად **პროგნოზირებადი** იყო მედიის რეაქციაც, რომელიც მომხდარში მშობლებს ადანაშაულებდა, რადგან მათ ბავშვი დააძინეს და წავიდნენ რესტორანში სასადილოდ, მაშინ, როდესაც მათ უნდა სცოდნოდათ, რომ პორტუგალიაში ბავშვის მოტაცების შემთხვევები ხშირი იყო; ამ მოვლენის უამრავი დეტალი მედიის მიერ იყო **გამართივებული,** რადგან პორტუგალიური კანონები უკიდურესად ზღუდავენ პოლიციას მიმდინარე გამოძიების დეტალების გამჟღავნებაში. შესაბამისად, მომლოდინე მედია მხოლოდ მცირე ინფორმაციას იღებდა. გატაცება ეტიკეტირებული იყო როგორც **ინდივიდუალური** და შემთხვევითი მოვლენა, აღნიშნული კი ნიშნავდა, რომ ყველა მოქალაქე (და მათი შვილები) არიან **რისკის** ქვეშ; აღნიშნული დანაშაულის მოტივად მედიამ მიუთითა **სექსუალურ** მოტივზე, რადგან მათი ვარაუდით, ბავშვი მოტაცებული იყო პედოფილის მიერ; ბავშვის მშობლები გახდნენ **ვარსკვლავები,** რადგან მათ დაიპყრეს მედია და სხვადასხვა ქვეყნების შოუებში იყვნენ მიწვეულნი, რადგან მთელ მსოფლიო კულტურულ **სიახლოვეს** გრძნობდა განვითარებულ მოვლენასთან მიმართებით; ბავშვი წაიყვანეს **ძალადობის** გამოყენებით და აღნიშნული ამბის გადმოცემას თან ახლდა მედელინის წინა დღის სურათები **(გრაფიკული გამოსახულება),** რომელებითაც ჩანდა, რომ იგი მხიარულად ატარებდა არდადეგებს მშობლებთან ერთად. ყველა მედია საშუალებაში ბავშვის დედა სურათების თანხლებით გამოდიოდა, რითაც, ერთი მხრივ, „აცოცხლებდა“ ამ ამბავს, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდა, რომ მსხვერპლი იყო უცოდველი **ბავშვი** საშუალო ფენის ოჯახიდან. ამ ყველაფერს თან ახლდა **კონსერვატიული იდეოლოგია.** მაგალითად, მომხდარის შემდეგ უამრავი ჟურნალისტი ინტერესდებოდა ბავშვის მარტო დატოვების მიზანშეწონილობის საკითხით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვები კურორტზე, მათთვის უცხო ქალაქში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, თითქმის ყველა მედია საშუალება დაინტერესდა, თუ რამდენად ამბობდა სიმართლეს ერთადერთი ბრიტანელი ეჭვმიტანილი, რომელიც დედასთან ერთად ცხოვრობდა მაკკენების მეზობლად მდებარე სახლში. ბრიტანულმა პრესამაც ამ საქმეში გამოავლინა თავისი ქსენოფობიური მიდრეკილებები და დაადანაშაულა პორტუგალიის პოლიცია, რომლის მიერ ჩატარებული გამოძიება არაფრის მომტანი აღმოჩნდა. გარდა ამისა, პორტუგალიური მხარე

გაკრიტიკებული იყო იმის გამოც, რომ ისინი არ თანამშრომლობდნენ ინგლიურ პოლიციასთან და შედეგიც უარყოფითი იყო. დომინირებული თემა იყო ის, რომ ბრიტანელი დეტექტივები გაცილებით ადვილად „გახსნიდნენ" ამ საქმეს, რადგან ადგილობრივი პოლიციელები იყვნენ ზარმაცები, არაკომპეტენტურები და რაც მთავარია – კორუმპირებულები.

2.4 დანაშაულებრივი ახალი ამბები: სტატისტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულებრივი ახალი ამბების გაშუქებას ყოველთვის მოწინავე ადგილი ეკავა ყველა სახის მასმედიის საქმიანობაში. თუმცა იმისათვის, რომ გაირკვეს, რა ითვლება დანაშაულებრივ ახალ ამბად, ამისათვის აუცილებელია, განისაზღვროს, რა არის დანაშაული, ანუ იგულისხმება თუ არა დანაშაულის ის ცნება, რაც გავრცელებულია საქართველოში (სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება), თუ მას უფრო ფართო გაგება აქვს.

რიჩარდ ერიქსონმა და კოლეგებმა 1987 წელს, რომლებიც იკვლევდნენ ახალი ამბების შექმნის პროცესს ტორონტოში, ჩამოაყალიბეს დანაშაულის საკმაოდ ვრცელი განმარტება. მათი აზრით, დანაშაული იყო „ნებისმიერი ქმედება, რომელიც გადაიხრება ნორმალური ქცევიდან და წმინდა სისხლისამართლებრივი გაგებით, შესაძლებელია გასცდეს დანაშაულებრივ ქმედებებს".[616] აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აქ საუბარია არა მხოლოდ საკუთრივ დანაშაულებრივ ქცევაზე, არამედ დევიაციურ ქცევაზე. შესაბამისად, გასაკვირი არ იყო, რომ ერიქსონმა და კოლეგებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ბეჭდვითი პრესის 45%, ხოლო რადიო საინფორმაციო გამოშვებების 71.5% სწორედ დევიაციურ ამბების გაშუქებას ეთმობოდა. ამას გარდა, იმავე პერიოდში არსებული სხვა კვლევების საწინააღმდეგოდ მათ დაადგინეს, რომ ხარისხიანი მედია საშუალებები გაცილებით დიდი ოდენობით დევიაციურ ინფორმაციას აშუქებდნენ, ვიდრე ნაკლებად ხარისხიანი და პრესტიჟული მედია საშუალებები. სავარაუდოა, რომ, თუ ასე ფართოდ არ იქნება განმარტებული დანაშაული და ამოღებული იქნება დევიაციის ელემენტები, მაშინ ახალ ამბებში გაშუქებული დანაშაულის რაოდენობაც შემცირდება, მაგრამ მცირედით. ამ პარაგრაფში არაერთი მაგალითი იქნება წარმოდგენილი აღნიშნულის დასტურად.

დანაშაულებრივი ახალი ამბების გაშუქების პროპორცია დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, პირველი მსგავსი კვლევა ბრიტანეთში ჩატარდა 1938, 1955 და 1967 წლებში, რომელიც სწავლობდა სამი სხვადასხვა გაზეთის მასალებს და დაადგინა, რომ ახალი ამბების 4% ეხებოდა დანაშაულს.[617] შედარებით ახალმა კვლევებმა (1981 წელს შესწავლილ იქნა ექვსი შოტლანდიური გაზეთი) უჩვე-

[616] *Ericson et. al.*, Visualising Deviance: A Study of News Sources Organisations,4.

[617] *Greer C. and Reiner R.*, Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice, 249.

ნა, რომ გაზეთებში 6.5% ეთმობოდა დანაშაულებრივ ახალ ამბებს.[618] აღნიშნული კვლევის შემდეგ, 1989 წელს, ოთხი კვირის განმავლობაში, ვილიამსის და დიკინსონის მიერ ჩატარდა ბრიტანული ათი ყოველდღიური გაზეთის გამოკვლევა. დანაშაულებრივი ახალი ამბების გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაზრდილი იყო – საშუალოდ 12,7% წარმოდგენილი ახალი ამბებისა ეხებოდა დანაშაულს. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი განსხვავდებული იყო სხვადასხვა გაზეთებთან მიმართებით. მაგალითად, „გარდიანი" დანაშაულებრივ ახალ ამბებს უთმობდა მხოლოდ 5,1%-ს, მაშინ, როდესაც „სანი" გაზეთის ფურცლების 30,4%-ზე აშუქებდა ინფორმაციას მომხდარ დანაშაულზე.[619]

რაც შეეხება საქართველოს, მსგავსი კვლევა ჩატარებულ იქნა იურისტ, პროფესორ მორის შალიკაშვილის მიერ 2009 წელს, რომელმაც გაანალიზა 2009 წლის მარტის თვის გაზეთები: „ალია" (სულ 12 ნომერი, №25-37, გამოდის ყოველ მესამე დღეს), გაზეთი „ასავალ-დასავალი" (სულ 6 ნომერი №8-13, გამოდის კვირაში ერთხელ) და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" (სულ 19 ნომერი №39-57, გამოდის კვირაში 5 ჯერ). აღნიშნული გაზეთების ანალიზის შემდეგ შალიკაშვილმა დაასკვნა, რომ გამოქვეყნებული სტატიების 60%, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულებს აშუქებდა.[620] გარდა აღნიშნულისა, 2014 წელს წინადებარე თავის ავტორმა გაანალიზა ყოველდღიური გაზეთის „ახალი თაობის" 27 ნომერი, რომელიც მოიცავდა პერიოდს 18 თებერვლიდან 27 მარტამდე (დასვენების დღეების გარდა) და დადგენილ იქნა, რომ გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული სტატიებიდან საშუალოდ 3 სტატია ეხებოდა დანაშაულს ან დევიაციურ ქმედებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, რომ მედია საშუალებებისთვის დევიაცია და დანაშაული არის ყველაზე გამოყენებადი და ადვილად გასაღებადი „პროდუქტი". წინა წლებთან შედარებით მედია საშუალებები უფრო ხშირად აშუქებენ დანაშაულებრივ ახალ ამბებს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედია საშუალებები გარკვეული კატეგორიის დანაშაულებს უფრო მეტი ყურადღებას უთმობენ, ვიდრე -სხვებს.

2.5 დანაშაულებრივი ახალი ამბები: დანაშაულის სახეები

სხვადახვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ დანაშაულებრივი ახალი ამბები, რასაც სხვადსხვა ქვეყნის მედია საშუალებები იყენებენ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მაგალითად, კრიმინოლოგ მარშის მიერ 14 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ბეჭდვით მედიაში დანაშა-

---

[618] *Ditton J. and Duffy J.*, Bias in the newspaper reporting of crime news, 161.

[619] *Williams P. and Dickinson J.*,Fear of Crime: Read All About It? The RelationshipBetween Newspaper Crime Reporting and Fear of Crime, British Journal of Criminology, 33(1), 33, 40-41.

[620] *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, 278-279.

ულებრივი ახალი ამბების გაშუქების ანალიზს აკეთებდა, დაადგინა, რომ ძალადობრივი დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და მედიის მიერ გაშუქებული მსგავსი დანაშაულები აშკარად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, ანუ მედია არაპროპორციულად, უფრო ხშირად აშუქებდა ძალადობის შემცველ დანაშაულებს.[621] გარდა აღნიშნულისა, მედია საშუალებები საკუთრივ ძალადობრივი დანაშაულებისგანაც არჩევენ იმას, თუ რომელი მათგანი გააშუქონ. მაგალითად, თუ მოხდება, წინა პარაგრაფში ხსენებული, ბრიტანეთში ჩატარებულ კვლევების უფრო დეტალური ანალიზი, გამოჩნდება, რომ გამოკვლეული ძალადობრივი დანაშაულებიდან, პირველ რიგში, მკვლელობა შუქდებოდა ყველაზე ხშირად, შემდეგ კი სხვა დანაშაულები. რაც შეეხებოდა სხვა დანაშაულებს, რომლებსაც არ ახასიათებდა ძალადობის ელემენტი, მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. 1940-50 წლებში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ხშირად შუქდებოდა მედიის მიერ, თუმცა 1960 წლიდან მსგავსი დანაშაულები მედიის ინტერესის სფეროდან გაქრა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მასში ვარსკვლავები მონაწილეობენ. სამაგიეროდ ამავე პერიოდიდან საკმაოდ ხშირად შუქდება ნარკოტიკული დანაშაულები: მათ შესახებ გაშუქებული ინფორმაცია 1990 წლისათვის ბრიტანეთში გაშუქებული დანაშაულებრივი ინფორმაციის 10% შეადგენდა.[622]

საკმაოდ ხშირად შუქდება, ასევე, სქესობრივი ხასიათის ძალადობრივი დანაშაულები. ბრიტანეთში 1951-1985 წლებში რეგისტრირებული გაუპატიურების საქმეების რაოდენობამ იმატა თითქმის ოთხჯერ, 119 საქმიდან – 450 საქმემდე. ამავე პერიოდში მედიის მიერ გაშუქებული გაუპატიურების საქმეების რაოდენობა თითქმის ექვსჯერ გაიზარდა, 28-იდან – 154-მდე.[623]

მართალია, მკვლელობა არის დანაშაული, რომლის შესახებ ინფორმაცია ხშირად გადაიცემა მედიის მიერ, მაგრამ კონკრეტული საქმეები, რომლებიც შუქდება, ერთმანეთისგან სისტემურად განსხვავებულია. რამდენიმე წლის წინ ბრიტანეთის სამი გაზეთის კვლევამ, რომელიც მოიცავდა 1993-1997 წლების პერიოდს, უჩვენა, რომ პოლიციაში რეგისტრირებულ მკვლელობის 2685 საქმის 40%-ზე ნაკლები შუქდებოდა გაზეთების მიერ.[624] სამივე გაზეთში ყველაზე ხშირად შუქდებოდა სექსუალური მოტივით ჩადენილი მკვლელობა ისევე, როგორც მკვლელობები, სადაც მოტივი იყო ანგარება, ეჭვიანობა ან შურისძიება, მაგრამ, ყველაზე ნაკლებად შუქდებოდა ჩხუბის ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგო-

---

621 *Marsh H. L.*,A comparative analysis of Crime Coverage in Newspapers in the United States and Other Countries From 1960-1989: A Review of the Literature, Journal of Criminal Justice, 19(1), 67, 73.

622 *Greer C. and Reiner R.*, Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice, 250.

623 *Soothil K. and Walby S.*,Sex Crime in the News, London: Routlege, 1992, 20-21.

624 Peelo *et al.* "Newspaper Reporting and the Public Construction of Homiciede", *British Journal of Criminology*, 44(2), 256, 261 ()

მარეობაში ჩადენილი მკვლელობები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მკვლელობების შემთხვევები ყველაზე ხშირი იყო.[625] ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მსხვერპლის სტატუსიც. მკვლელობა, სადაც მსხვერპლი იყო ბავშვი (მაგრამ არა ახალშობილი), ქალი ან მაღალი სტატუსის მქონე პირი, შეუქდებოდა ყველაზე ხშირად.[626]

ძალადობრივი დანაშაულების გაშუქება საკმაოდ პოპულარულია საქართველოშიც. წინა პარაგრაფში საუბარი იყო, მ. შალიკაშვილის მიერ ჩატარებულ კვლევაზე. ამავე კვლევამ უჩვენა, რომ გაანალიზებული სტატიებიდან 23% ეხებოდა მკვლელობას, 23% – ძარცვა-ყაჩაღობას, 11% სხეულის დაზიანებას. ზემოაღნიშნული ყველა დანაშაული წარმოადგენს ძალადობრივ დანაშაულებს.[627] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აშკარად განიცდის მსგავსი კვლევების ნაკლებობას, მაინც შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ელემენტები, რითაც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ქვეყნის მედია საშუალებები დანაშაულებრივი ინფორმაციის გაშუქებისას, ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

კიდევ ერთო საერთო დამახასიათებელი თვისება, რაც გააჩნია თითქმის ყველა ქვეყნის მედია საშუალებებს, არის დანაშაულებრივი ახალი ამბების მხოლოდ გაშუქების და არა მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი. შესაბამისად, გამოდის ისე, რომ მედია მხოლოდ აწვდის ინფორმაციას აუდიტორიას და დასკვნების გაკეთების საშუალებას სწორედ მათ უტოვებს. აღნიშნული კი ხშირად იწვევს ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, 2014 წლის 23 მაისს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფ. ოჩხამურში ქმარმა მოკლა ფეხმძიმე ცოლი. მომხდარი შემთხვევის აღწერისას თითქმის არნაირი ინფორმაცია იყო წარმოდგენილი, გარდა იმისა, რომ მოკლული ქალი ფეხმძიმედ იყო მეცხრე ბავშვზე.[628] რა თქმა უნდა, მომხდარი შემთხვევა არის მეტად დასაგმობი და მიუღებელი საზოგადოებისათვის, თუმცა შედეგი, რაც მოჰყვა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას, იყო საკმაოდ პროგნოზირებადი. კერძოდ, სოციალურ ქსელებმა და მედია საშუალებებმა დაიწყეს იმაზე აპელირება, რომ საკმაოდ გახშირებულია ოჯახური ძალადობის ნიადაგზე მკვლელობის ფაქტები. აღნიშნულის დასტურად ორგანიზაცია „იდენტობის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ შემთხვევათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც, 2011 წლიდან 2014 წლის 23 მაისამდე განხორციელდა 14 მსგავსი შემთხვევა.[629] აღნიშნული დასკვნის გაკეთებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ამ 14 შემთხვევიდან 6 მოხდა ბოლო სამ თვეში. თუმცა აღნიშნული სტატისტიკა არ წარმოადგენს ოფი-

---

[625] იქვე, 272.

[626] იქვე.

[627] *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, 278-279.

[628] იხ: <**http://www.interpressnews.ge/ge/samartali/282933-sofel-ochkhamurshi-qmarma-fekhmdzime-coli-mokla.html?ar=A**> [23.05.2014].

[629] იხ. <**http://identoba.com/2014/05/22/qmarmacolimokla/**> [23.05.2014].

ციალურს და „იდენტობის“ ვებგვერდზე არც ამ სტატისტიკის წარმომავლობაზეა საუბარი. აღნიშნულის ხაზგასმა იმისთვისაა საჭირო, რომ, როდესაც კეთდება კატეგორიული დასკვნა, რომ საკმაოდ არის გაზრდილი ქალების წინააღმდეგ სისიკვდილო შედეგით განხორციელებული ძალადობა, ინფორმაციას ყოველთვის თან უნდა ახლდეს განვლილი წლების ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ქალების წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებს და მათი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება შედარება და განზოგადება. არსებულ სიტუაციაში კი შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მედია მსგავს დანაშაულებს აქვეყნებს მათი სენსაციური ბუნების გამო და არა იმისათვის, რომ რამე შეიცვალოს. შესაბამისად, საზოგადოებაში გაჩენილი პანიკა, რომ საკმაოდ არის გაზრდილი მსგავსი ტიპის დანაშაულები, წარმოადგენს მორალური პანიკის ტიპურ შემთხვევას და როგორც უკვე ითქვა წინა თავში, მედია ქმნის ისეთ სურათს, თითქოს საზოგადოების გარკვეული კატეგორია, ამ შემთხვევაში – ქალები, არიან მეტად დაუცველები, მათ წინააღმდეგ ხორციელდება მიზანმიმართული ძალადობა და ამით მედია ახდენს საზოგადოების დიდი ნაწილის ვიქტიმიზაციას. სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროც არ აკეთებს მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარებს, რაც საშუალებას უკარგავს ხალხს, გაიგოს, როგორ გარემოში უწევთ მათ ცხოვრება.

3. მედია და მორალური პანიკა

ტერმინი „მორალური პანიკა“ საკმაოდ გავრცელებული ტერმინია დანაშაულის, დევიაციის და მედიის აკადემიურ სწავლებების ფარგლებში. მორალურ პანიკაში მოიაზრება უმცირესობების ან მარგინალური ინდივიდებისა და ჯგუფების შესახებ საზოგადო და პოლიტიკური რეაქციები, რომლებიც ამ უკანასკნელთა მოსაზრებით, საფრთხეს უქმნის საყოველთაოდ აღირებულ წესებსა და ინტერესებს. როგორც უკვე ითქვა, ჩვენს ერას შეიძლება ეწოდოს „გაზვიადების ერა“, რომელშიც მასმედია მსგავს ჯგუფებს ან ქმედებებს მიაკერებს დევიაციური ქმედების იარლიყს და შეეცდება, გარიყოს მათი ჩამდენი პირები თითქმის ყველა საზოგადოებრივი პროცესიდან.[630] სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული ტერმინი დიდი დავისა და მსჯელობის საგანი გახდა. ტერმინი „მორალური პანიკა“ პირველად გაჩნდა ბრიტანულ სოციოლოგიაში 70-იან წლებში და სოციოლოგმა სტენლი კოენიმა გაშიფრა ეს უკანასკნელი თავის წიგნში – *"Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers"*. როგორც წიგნის დასახელებიდან ჩანს, კოენმა ერთ სათაურში ორი უმნიშვნელოვანესი ტერმინი იხმარა. წინამდებარე პარაგრაფი სწორედ აღნიშნული ტერმინებზე მსჯელობას დაეთმობა. ყურადღება გამახვილდება, ასევე, იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე, რაც

[630] *Garland D.*,On the concept of moral panic, *Crime Media Culture*, 2008 4, 9 (შემდგომში – *Garland D.*,On the concept of moral panic, გვ.).

ამ ტერმინს გამოუჩნდა მისი განსაზღვრიდან დღემდე და წარმოდგენილი იქნება ის მიზეზები, თუ რატომ არის აუცილებელი „მორალური პანიკის“ ცოდნა დანაშაულისა და მედიის შესახებ საუბრისას.

3.1 მორალური პანიკა: წარმოშობა

სტენლი კოენი ზემოთ ნახსენებ წიგნს იწყებს შემდეგი ნაწყვეტით: „საზოგადოებას დროთა განმავლობაში უწევს მორალური პანიკის პერიოდების გავლა. პერიდულად ჩნდება კონდიცია, ეპიზოდი, ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საზოგადეობრივ ღირებულებებს და ინტერესებს უქმნის საფრთხეს. აღნიშნული ქმედებების ბუნება სტერეოტიპულად არის წარმოდგენილი მედიის მიერ. ის, რომ ქმედება მორალურად გასაკიცხია, განმტკიცებულია რედაქტორების, სასულიერო პირების, პოლიტიკოსების და სხვა, სწორად მოაზროვნე ადამიანების მიერ. საზოგადოებისთვის ცნობილი ექსპერტები სვამენ დიაგნოზებს და პრობლემის გადაჭრის გზებს. ნელ-ნელა ვითარდება მოცემულ სიტუაციასთან შეგუების გზები. ხანდახან პანიკის ობიექტი სრულიად ახალია და ხანდახან ეს არის ისეთი პრობლემა, რომელიც კარგი ხანია არსებობს, მაგრამ კონკრეტული დროის მონაკვეთში იწყება პანიკა მასთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როდესაც პანიკა ჩაივლის და დავიწყებას მიეცემა, მაგრამ არის ასევე შემთხვევები, როდესაც იგი კარგი ხანი რჩება საზოგადოების მეხსიერებაში და შეუძლია გამოიწვიოს არამარტო სამართლებრივი და სოციალური ცვლილებები, არამედ შეცვალოს საზოგადოების მიერ საკუთარი ღირებულებების აღქმა“.[631]

როგორც გამოჩნდა, კოენი არ აზუსტებს, თუ რას გულისხმობს „პანიკაში“, მაგრამ სავარაუდოა, რომ პანიკაში იგულისხმება: „შიშის და განგაშის უეცარი და სწრაფმავალი განცდა, რომელიც ძირითადად ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და უსაფრთხოების დასაცავად იწვევს გაუთვალისწინებელ ღონისძიებებს“.[632]

საინტერესოა, თუ როგორ უნდა მიეკეროს განვითარებულ მოვლენას მორალური პანიკის იარლიყი? კოენმა გამოავლინა ამ ფენომენის ხუთი მახასიათებელი, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მორალურ პანიკაზე საუბარი: 1) **ვნებათაღელვა** (გარკვეული ქცევა და მისი მცირედი გამოვლინებაც იწვევს საზოგადოების შეშფოთებას); 2) **მტრობა** (ქმედების ჩამდენები მოიხსენიებიან როგორც „ეშმაკეული ხალხი“); 3) **თანხმობა** (საზოგადოებაში არსებული ნეგატიური რეაქცია არის ფართო და ერთიანი); 4) **არაპროპორციულობა**

---

[631] *CohenS.*,Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, Oxford: Martin Robertson, 1972, 9 (შემდგომში – *CohenS.* Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, გვ.).

[632] *Garland D.*, On the concept of moral panic, 10.

(ქმედების ხარისხი ან ის საფრთხე, რასაც იგი იწვევს, არის გადაჭარბებული); 5) **ცვალებადობა** (მედიის მიერ მოვლენის გაშუქებას თან ახლავს მორალური პანიკის წარმოშობა, მაგრამ შესაძლებელია გაქრეს ისევე სწრაფად, როგორც წარმოიშვა).[633]

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, თუმცა სოციოლოგ დეივიდ გარლანდის აზრით აღნიშნულ მახასიათებლებს უნდა დაემატოს კიდევ ორი, კერძოდ: 1) სოციალური რეაქციის **მორალური განზომილება,** 2) იდეა, რომ დევიაციურ ქმედება როგორღაც **სიმპტომატურია** საზოგადოებისათვის.[634]აღნიშნული ორი ელემენტი აუცილებელია კოენის მორალური პანიკის განსაზღვრებისათვის, რადგან იგი წარმოაჩენს გამოვლენილი მოვლენის ჭეშმარიტ ბუნებას, კერძოდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილის შეშფოთებას, რომ მათი ცხოვრების წესი საფრთხის ქვეშ დგება და აღნიშნულის მიზეზები თვით საზოგადოებაში უნდა იქნეს მოძიებული.

3.2 როგორ აქცევს მედია ჩვეულებრივ მოვლენას არაჩვეულებრივად

კოენი თავის ნაშრომში განიხილავს ერთ ჩვეულებრივ მოვლენას, რომელიც ზღვისპირა ქალაქ კლეკტონში მოხდა 1964 წელს და რომელმაც საფუძველი დაუდო მორალური პანიკის წარმოშობას:

„1964 წლის აღდგომა ჩვეულებრივზე უარესი აღმოჩნდა, რადგან ბოლო 80 წლის მანძილზე ქალაქში ყველაზე ცივი დღე იდგა. პაბებისა და ბარების მეპატრონეებიც უხასიათოდ იყვნენ, რადგან, სიცივის გამო, მათ იშვითად სტუმრობდა მომხმარებელი. მათი სტუმრები ძირითადად იყვნენ ახალგაზრდები და რომლებსაც პაბის მეპატრონეები სასმელზე უარს ეუბნებოდნენ, შესაბამისად, მათ პაბის გარეთ უწევდათ თავშეყრა. უეცრად ახალგაზრდების ერთ ჯგუფმა ჩხუბი დაუწყო მეორეს. აღნიშნული იყო უთანხმოება მოდებსა და როკერებს[635] (მიმდინარეობები, რომლებსაც ძირითადად ჩაცმულობა და ცხოვრების სტილი განასხვავებდათ ერთმანეთისაგან) შორის. მოტოციკლებსა და სკუტერებზე ამხედრებული ახალგაზრდები დაქროდნენ ქუჩებში და გზად ლეწავდნენ ფანჯრებს. რამდენიმე ზღვისპირა ქოხიც გაანადგურეს, ხოლო ერთმა ბიჭმა სპორტული სასიგნალო იარაღიც გაისროლა ჰაერში".[636]

მართალია, კოენი აღიარებს, რომ მოდები და როკერები იყვნენ არასასიმოვნო, შემაწუხებლები და ხანდახან შიშსაც იწვევდნენ, მაგრამ მათ მიერ კონფლიქტუ-

---

[633] *CohenS.,* Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, 11.

[634] *Garland D.,*On the concept of moral panic, 10.

[635] მოდები და როკერები – ბრიტანული ახალგაზრდული სუბკულტურები ბრიტანეთში, რომელიც წარმოიშვა 50-იანი წლების ბოლოს.

[636] *CohenS.,*Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, 24.

რი სიტუაციების შექმნისა და ძალადობის გამოვლინების შემთხვევები იშვიათად ხდებოდა. თუმცა მოხდარ ფაქტთან დაკავშირებით ბეჭდვით მედიაში გაჩნდა შემდეგი სახის სათაურები: „სკუტერის ბანდების მიერ მოწყობილი ტერორის დღე“ (*Daily Telegraph*); „ახალგაზრდებმა დალეწეს მთელი ქალაქი“ (*Daily Express*). გარდა ამისა, მედია საშუალებები ხშირად იყენებდნენ ფრაზებს: „ბუნტი“, „ბრძოლა“, „ალყა“, „ხმაურიანი ბრბო“ და სხვ. რათა გადაჭარბებულად და არაპროპორციულად აღეწერათ ყველაფერი ის, რასაც სუბკულტურული ჯგუფები ჩადიოდნენ ქალაქში.[637]

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ნარკოტიკულ საშუალება „ბიო-ს“ თემა ჩაითვალოს მორალური პანიკის ტიპურ გამოვლინებად. საქმე იმაშია, რომ „ბიო-ს“, როგორც ნარკოტიკული საშუალების კრიმინალიზაცია მოხდა რამდენიმე თვის წინ, მას შემდეგ, რაც გაიზარდა ამ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო გარდაცვლილ პირთა რაოდენობა. საზოგადოება საკმაოდ შეაშფოთა ამ ნარკოტიკმა და მედია საშუალებებიც არ აკლებდნენ ცდას, რომ პანიკა კიდევ უფრო გაეღვივებინათ მსგავსი სახის სათაურებით: „სიკვდილი შეღავათიან ფასებში – ბიოს სენი თბილისში“[638]; „ბიო – ნაცნობი ნარკოტიკი, რომელიც ჯერ კიდევ ამოუცნობია“[639] და სხვ. თუმცა ამ ნარკოტიკთან დაკავშირებული ვნებათაღელვა იყო გადაჭარბებული და აკმაყოფილებდა ყველა იმ მახასიათებლებს, რაც მორალური პანიკისთვის არის დამახასიათებელი. დაზუსტებისათვის უნდა ითქვას, რომ გადაჭარბებაში იგულისხმება არა ის ფაქტი, რომ „ბიო“ არ იყო საშიში ნარკოტიკი, არამედ ის, რომ „ბიოს“ გარდა ქვეყანაში არსებობს უფრო მეტი საფრთხის შემცველი ნარკოტიკი (მაგალითად, დეზომორფინი ე.წ. „კრაკადილი“), რომელმაც არანაკლები ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა ამ უკანასკნელს ამხელა აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. შესაბამისად, გარკვეულ ვითარებათა გამო, მედია საშუალებებს ისევე, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელებს, აწყობდათ ამ კონკრეტულ ნარტოკირულ საშუალებებზე მორალური პანიკის შექმნა. გაზვიადების დასტურად გამოდგება ისიც, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა „ბიოს“ კრიმინალიზაცია, მედია საშუალებებმა დაივიწყეს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება თითქოს კრიმინალიზაციამ სრულად გადაჭრა ეს პრობლემა მაშინ, როდესაც არსებობს „ბიოს“ ასეულობით სახეობა, რომელიც მის ოფიციალურ აკრძალვამდე, ითვლება როგორც ქიმიური ნაზავი, რომლის შეძენა თავისუფლად არის შესაძლებელი.

---

[637] *Jewkes Y.*,Mediaand Crime,56.

[638] იხ. <http://pirveliradio.ge/?newsid=6966> [06.06.2014].

[639] იხ. <http://newscafe.ge/index.php/geo/2012-09-21-07-36-49/897-bio-nacnobinarkotiki-romelicejer kidevamoucnobia> [06.06.2014].

3.3 ხელისუფლების როლი დევიაციის გაზვიადების პროცესში

კონკრეტული მოვლენის წინააღმდეგ, რომლის გამოც წარმოიშვა მორალური პანიკა, ყოველთვის იწყება მორალური კამპანიები. მორალურ კამპანიებს თანამედროვე პირობებში ატარებენ ჟურნალისტები, რედაქტორები, პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები მათ ხელთ არსებული საშუალებების ფარგლებში (მაგალითად, სოციალური ქსელების მეშვეობით). არსებობს ვარაუდი, რომ ის, ვინც ხელისუფლებაშია, მორალური პანიკის გამომწვევ პირებს აკრავს წესრიგის დამანგრევლების იარლიყს იმისათვის, რომ საზოგადოებაში შიშს ჩაუყარონ საფუძველი, შემდეგ კი წამოიწყონ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა და დაადგნენ პრობლემის გადასაჭრელად ნაცად გზას, რომელიც დღევანდელ პირობებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც არის სასჯელების დაწესება კონკრეტულ ქმედებაზე, ან უკვე არსებული სასჯელის გამკაცრება. ხშირად პოლიტიკოსები მოუწოდებენ დევიაციური ქმედების დასჯაზე და საუბრობენ იმ შესაძლო საფრთხეებზე, რის წინაშეც აღმოჩნდება საზოგადოება, თუ არ მოხდება მკაცრი ზომების გატარება. აღნიშნულით ისინი ერთგვარად საზოგადოების მხარდაჭერასაც მოიპოვებენ. გარდა ამისა, ქმედების ჩამდენთა დაგმობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მსგავსი მარგინალური ჯგუფების კიდევ უფრო მეტი მარგინალიზაცია და მათი დღევანდელი დევიაციური ქმედება შესაძლებელია გადაიზარდოს ხვალიდნელ დანაშაულში. მაგალითად, 2014 წლის 2 ივნისს მარიხუანას მოხმარებლებისათვის სასჯელების შემსუბუქების მოთხოვნით ჩატარდა აქცია საქართველოში. მეორე დღეს ამ აქციასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთდა კომენტარები, მათ შორის, კომენტარი გააკეთა იუსტიციის მინისტრმაც, რომელმაც ისაუბრა იმაზე, თუ რა ღონისძიება უნდა გაეტარებინა სახელმწიფოს ნარკოტიკის მომხმარებლის მიმართ და დასვა ასეთი შეკითხვა: „თუ ასეთი ახალგაზრდა არის მომხმარებელი და არის გაუბედურებული, უნდა ჩავაგდოთ წლობით ციხეში, თუ უნდა ვუმკურნალოთ?“[640] მინისტრის ამ განცხადებაში ორი კატეგორიული სიტყვაა: „გაუბედურებული“ და „ჩავაგდოთ“, რაც უდავოდ მიუთითებს მის დამოკიდებულებაზე ნარკოტიკის მომხარებლების მიმართ. მსგავსი ტერმინებით საუბარმა შესაძლოა ნარკომანს კი-

---

[640] იხ.<http://www.frontnews.ge/ge/news/42572-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E2%80%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E2%80%9C> [06.06.2014].

დევ უფრო გარიყულად აგრძნობინოს თავი საზოგადოებისაგან და გაცილებით ცუდი შედეგი გამოიწვიოს, ვიდრე დღეს არსებობს. ამ ყველაფრის გაშუქებაში ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიციას თუ სხვებს, ეხმარება მედია და სწორედ ასე იქმნება ***დევიაციის გაზვიადების სპირალი***. აღნიშნულთან მიმართებით არსებობს ორი პოზიცია. კონსერვატიული შეხედულების მიხედვით, მედია იყენებს გაზვიადების სპირალს იმისათვის, რომ საზოგადო ინტერესი დანაშაულებთან მიმართებით იყოს საკმაოდ დიდი, შესაბამისად, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. რადიკალური შეხედულების თანახმად კი დევიაციის გაზვიადებით მთავრობა აკონტროლებს მოქალაქეებს, ცდილობს ათქმევინოს მათ უარი ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში ჩართვაზე და აიძულოს ისინი, დაემორჩილონ საზოგადოებაში არსებულ წესებს.[641]

დევიაციის გაზვიადების სპირალის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა ხდება ისეთ დროს, როდესაც საზოგადოება გმობს გარკვეული ადმიანთა ჯგუფის საქციელს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ დროს უარყოფითი სოციალური რეაქცია იმატებს, დევიაციური ქმდების ჯგუფი უკიდურესად ირიყება საზოგადოებისაგან და ისინი დანაშაულზე უფრო მეტად ორიენტირებული ხდება. დევიაციის სპირალი შესაძლებელია გაგრძელდეს კვირების ან თვეების განმავლობაში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იგი ყოველთვის მიეცემა დავიწყებას რამდენიმე მიზეზის გამო. მედიის ინტერესი მცირდება, გადაერთვება სხვა საკითხებზე და გარკვეული დროის შემდეგ „ეშმაკეული ხალხის" თანაარსებობა ხდება ჩვეულებრივი მოვლენა და, შესაბამისად, საზოგადოებაც თვლის, რომ ისინი ნაკლები საფრთხის მომტანნი არიან. ხალხი მათ არსებობას ეგუება კანონმდებლის მიერ პრობლემის ახლებურად მოწესრიგების გამო, ან ყოველდღიური სტრატეგიების შემუშავებით იმ ხალხის მიერ, ვინც ყველაზე მეტად არის დაზარალებული დევიაციური ჯგუფის ქმედების გამო, რაც თავის მხრივ, შეამცირებს პრობლემას. და ბოლოს, დევიაციური ქმედება შესაძლებელია შეწყდეს იმის გამო, რომ დევიაციის ჩამდენი პირი ფიზიკურად და მენტალურად გაიზარდოს და უფრო მეტად გააცნობიეროს თავისი ქმედება.[642] მაგალითად, სუბკულტურის რომელიმე მიმდევარმა შეიძლება უარი თქვას ცხოვრების ამ წესზე იმიტომ, რომ შექმნა ოჯახი და სხვა ღირებულებები გახდა მისთვის არსებითი.

3.4 მორალური პანიკის ტიპები

მორალურ პანიკის რამდენიმე ტიპი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ინტენსივობით, ხარგძლივობით და სოციალური ზემოქმედებით. მორალური პანიკის ერთი ტიპი წარმავალი ეპიზოდის ხასიათს ატარებს, რომელიც მცირე კვალს ტოვებს, მაგალითად, დღეს, საკუთრივ მონაწილეების

[641] *Jewkes Y.*,Media and Crime, 56.

[642] *Garland D.*, On the concept of moral panic, 10.

გარდა, არავის ახსოვს როკერების გამო ამტყდარი მორალური პანიკა და ის, რომ აღნიშნული ჯგუფის მიმდევარი ადამიანები რაიმე საფრთხეს წარმოადგენდნენ. არსებობს ასევე მორალური პანიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საბედისწერო მოვლენა, რომელიც ცვლის როგორც ხალხის ცხოვრებას, ისე სოციალურ ლანდშაფტებს (მაგალითად, მე-16 და მე-17 საუკუნეებში ევროპაში გამძვინვარებული პანიკა ჯადოქრებთან დაკავშირებით). გარდა ამისა, არსებობს ეპიზოდური პანიკის შემთხვევები. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოლო დროს საქართველოში დანაშაულის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული პანიკა. აღნიშნული დაიწყო იმის მიუხედავად, რომ 2012 წელთან შედარებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რეგისტრირებული დანაშაულთა რიცხვი შემცირებულია, როგორც თბილისში, ისე – საქართველოში.[643]

ის პრობლემები, რომლებიც მორალურ პანიკას იწვევს, შესაძელებელია იყოს სერიოზული, უმნიშვნელო ან წარმოსახვის ნაწილი. მოდები და როკერები დღესდღეობით არათუ მორალურ პანიკას იწვევენ, არამედ სრულიად უწყინარნი არიან. ქუჩაში მომხდარი ძალადობრივი დანაშაულები და იარაღის მართლსაწინააღმდეგო ფლობისას ჩადენილ დანაშაულებს მუდამ ახლავს პანიკა (განსაკუთრებით აშშ-ში). ბრიტანეთში 1990 წლიდან სატანისტური რიტუალში ბავშვებზე განხორციელებული ძალადობა წარმოადგენდა მორალური პანიკის საგანს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო წარმოსახვით ხასიათს ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების მწვალებლები დღესაც საპატიმრო სასჯელებს იხდიან ბრიტანეთის ციხეებში. წარმოსახვითი იყო, რადგან სულ რამდენიმე შემთხვევა მოხდა, მაგრამ გაზვიადების სპირალის ხარჯზე საკმაოდ დიდი პანიკა გამოიწვია.[644]

მორალური პანიკა შესაძლებელია იყოს სპონტანური, ჰქონდეს ძირეული საფუძვლები ან წამოწყებული იყოს გარკვეული მიზნებისათვის. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ მოდებთან და როკერებთან დაკავშირებული პანიკა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ქალაქ კლეკტონში, წამოწყებული იყო განზრახ, კომერციული ან პოლიტიკური მოგების მიღების მიზნით. გარდა ამისა, თეორეტიკოს ანჯელა მაკრობისა და სოციოლოგ სარა ტორნტონის მიერ აღწერილ იქნა თუ როგორ მოახდინეს "Acid House-ის"[645] პროდიუსერებმა მორალური პანიკის პროვოცირება ნარკოტიკ ექსტაზთან დაკავშირებით მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი მუსიკისათვის უფასო რეკლამა გაეკეთებინათ.[646] აღნიშნულმა მორალური პანიკა დაიწყო იმ

---

643 <http://police.ge/ge/2013-tslis-statistikuri-monatsemebis-mikhedvit-danashaulma-qveknis-masshtabit-257-it-iklo/6047> [09.06.2014].

644 *Garland D.*, On the concept of moral panic, 13.

645 Acid House – ელექტრო მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1980 წელს ჩიკაგოში.

646 *McRobbie A. and Thornton S.*,Re-thinking Moral Panics for Multi-mediated Social Worlds,

მიზეზის გამო, რომ კლუბებში გავრცელებული მასტიმულირებელი ნარკოტიკი მიუღებელი იყო უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც შიშობდნენ მათი შვილებიც ამ ნარკოტიკის მომხარებლები არ გამხდარიყვნენ. უფროსი თაობისათვის შოკის მოგვრის სტრატეგია იმ მიზნით, რომ ახალგაზრდებისთვის პოპულარული გახდეს რაიმე, უკვე კარგად ნაცადი ხერხია და ხშირად გამოყენებულა როკ-მუსიკოსების მიერ, ბილ ჰეილიდან და ელვის პრესლიდან მოყოლებული, როლინგ სტოუნსით და მერლინ მენსონით დამთავრებული. საქართველოს რეალობიდან აღნიშვნის ღირსია ერეკლე დეისაძის ავტორობით გამოცემული წიგნი „საიდუმლო სირობა", რომელმაც საზოგადოებაში და განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებსა და მორწმუნეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რელიგიურ წრეებში წიგნი მკრეხელურ ნაშრომად იქნა შეფასებული და საკუთრივ წიგნის ავტორიც არაერთგზის იქნა დაგმობილი და გაკრიტიკებული. თუმცა აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებულმა პანიკამ საკმაოდ კარგი უფასო რეკლამა გაუწია ავტორს და იმაზე დიდი რაოდენობით გაიყიდა მისი წიგნი, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში გაიყიდებოდა. თუ კომერციული მიზნებისათვის წარმოებული მორალური პანიკა მეტ-ნაკლებად უვნებელია, იგივეს თქმა არ შეიძლება მის პოლიტიკურ ანალოგზე – ჰიტლერის მიერ 1930 წელს რაიხსტაგის დაწვაზე ან ზინოვიევის 1920 წლით დათარიღებულ წერილზე, რომლებსაც საბედისწერო შედეგები მოჰყვა.[647]

სოციალური რეაქცია, რაც ახლავს მორალურ პანიკას, შესაძლებელია იყოს ერთსულოვანი ან მის მიმართ არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, კოენის მიხედვით, მოდებსა და როკერებთან დაკავშირებით საზოგადოების რეაქცია ერთსულოვანი იყო და ისინი გმობდნენ მათ.[648] ინგლისში 2007 წელს დაწყებულ პანიკასთან დაკავშირებით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი მკვლელობების გახშირების გამო, პოლიტიკოსების მხრიდან იყო აზრთა სხვადასხვაობა. ოპოზიციის ლიდერები ამბობდნენ, რომ აღნიშნული მიუთითებდა ინგლისელი ახალგაზრდების გარყვნაზე და მათ ევროპაში ყველაზე ცუდ ახალგაზრდებადაც მოიხსენიებდნენ. მაგალითად, ოპოზიციის სპიკერმა ალან დანკანმა განაცხადა, რომ აღნიშნული დანაშაული ნათლად მიუთითებდა არსებულ სოციალურ კრიზისზე და მან შემდეგნაირად დაახასიათა ბრიტანელები: „ევროკავშირის ქვეყნებში ბრიტანეთში ყველაზე მეტი ჭარბწონიანია, ყველაზე მეტი გულგრილი ამომრჩეველი, ყველაზე უმიზნოდ ხარჯავენ ენერგორესურსებს, ყველაზე მეტად არიან მიდრეკილნი პორნოგრაფიული ფილმებისაკენ, ყველაზე მეტად უყვართ ძალადობა და კოკაინის ყველაზე მეტი მომხარებელიც ბრიტანეთშია". აღნიშნულის საწინააღმდეგოდ იმჟამინდელი პრემიერ მინისტრი ტონი ბლერი მოუწოდებდა ყველას, ფრთხილად გაეკეთებინათ კომენტარები, რადგან აღნიშ-

British Journal of Sociology, 1995, 46(4), 559–74.

[647] *Garland D.*, On the concept of moral panic, 14.

[648] *CohenS.*,Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, 26.

ნული არ წარმოადგენდა ბრიტანული საზოგადოების ნამდვილ და, მითუმეტეს, არც მათი ახალგაზრდობის სახეს.[649]

მორალური პანიკის გამომწვევი მიზეზებიც განსხვავდება თავისი ბუნებით. გარლანდის მიხედვით, მორალური პანიკის გამომწვევი მიზეზებია: 1) სენსაციის მოყვარული მედიის არსებობა; 2) ახალი ან აქამდე დაურეგისტრირებელი დევიაციის ფორმის აღმოჩენა; 3) მარგინალური ან გარიყულ ადამიანთა ჯგუფის არსებობა, რომელთაც ადვილად შეიძლება მიეკეროს „ეშმაკეულის" იარლიყი და 4) მგრძნობიარე აუდიტორია.[650]საზოგადოებაში პანიკა ისადგურებს მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება არსებულ იერარქიას, საზოგადოებრივ სტატუსს, აგრეთვე, როდესაც რაიმე ქმედებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებაში არსებულ ცხოვრების წესსა და სტილს, ასევე, როცა იქმნება არსებული კონტროლის მექანიზმების ნგრევის საფრთხე. ყველა ზემოჩამოთვლილი მორალური პანიკის საფუძვლებია, რომლებიც ყველაზე მეტჯერ იქნა იდენტიფიცირებული მრავალი მკვლევარის მიერ.

3.5 მორალური პანიკა და კულტურული კონფლიქტი

წინა პარაგარაფებში უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ მორალური პანიკის გამომწვევ მიზეზებს საზოგადოება გმობს, თუმცა დღევანდელ პირობებში საზოგადოებაში საერთო აზრის პოვნა საკმაოდ ძნელია, მათ შორის, იმ პრობლემებზე, რაც იწვევს პანიკას. 60-იან წლებში კი, როდესაც კოენი პირველად მუშაობდა ამ თემაზე, სხვაგვარი სურათი იყო საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებით. იმ დროს მასმედიას არ გააჩნდა იმდენი რესურსი, რამდენიც დღეს და, შესაბამისად, იქმნებოდა ისეთი წარმოადგენა, თითქოს საზოგადოებრივი აზრი კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით ერთიანი იყო. დღესდღეობით რთულია ერთიანი პოზიციის პოვნა, რადგან იმატა მედია საშუალებების რაოდენობამ, ექსპერტებმა, რომლებსაც შეუძლიათ ისაუბრონ ნებისმიერ პრობლემურ თემებზე, ასევე, თვით „ეშმაკეულ ადამიანებსაც" კი შეიძლება გამოუჩნდეს აქტივისტი დამცველი, რაც, საბოლოო ჯამში, იმაზე მეტყველებს, რომ ერთიანი აზრის პოვნა უფრო ძნელია ვიდრე – განსხვავებულის.

აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს არ არსებობს შემთხვევები, როდესაც მორალური პანიკის გამოვლინება იგმობა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ (მაგალითად, ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული სქესობრივი ძალადობის მატებასთან დაკავშირებული მორალური პანიკა). თუმცა მსგავსი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია და განსხვავდება მორალური ლაშქრობის, სიმბოლური პოლიტიკისა და კულტურული ომისაგან, როდესაც საზოგადოების კონკრეტული ჯგუფი ერთვება მორალურ პოლიტიკაში იმ მიზნით,

---

[649] *Garland D.*, On the concept of moral panic, 11.

[650] იქვე.

რომ გადაანაწილოს სოციალური სტატუსები და გამოცხადოს ცხოვრების ერთი სტილი ნებისმიერ სხვა სტილზე აღმატებულად.[651]

ზემოაღნიშნული ნიშნავს, რომ მორალურ პანიკასთან დაკავშირებით შეთანხმებული აზრი აღარ არსებობს და იწყება კულტურული ომი იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას, რაც, თავის მხრივ, მორალური პანიკის ტერმინს პრობლემურს ხდის. შესაბამისად, იმის მაგივრად, რომ მორალური პანიკის სუბიექტები გახდნენ „ეშმაკეული ადამიანები", რომლებიც საზოგადოების წინაშე იქნებიან უძლურნი და გარიყულნი, ისინი უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ თავიანთ, როგორც დევიანტურ ჯგუფად იდენტიფიცირებას და ხაზს უსვამენ თავიანთი ქმედების ნორმალურობას. ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითია მთელ მსოფლიოში ყბადაღებული ერთსქესიანთა ქორწინების, ჰომოსექსუალების ან უკანონო იმიგრანტების თემა, რამაც რამდენიმე წლის წინ, მორალური პანიკა გამოიწვია, თუმცა ახლა ამ ჯგუფების წინააღმდეგ უკვე კულტურული ომია დაწყებული.[652]

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ, ზოგადად, მორალური პანიკის არსებობის შესახებ უკვე კარგად არის ცნობილი, სწორედ ამიტომ მასში მონაწილეებმა ადრინდელზე უკეთ იციან, რა მიზნებისათვის და როგორ გამოიყენონ პანიკა. მონაწილეები მორალური პანიკის გარშემო ამტყდარ აჟიოტაჟთან დაკავშირებით აკეთებენ ისეთ კომენტარებს, როგორიც მათ სურთ საკუთარი მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ ცეცხლსასროლ იარაღის უკანონო ტარებასთან დაკავშირებული მორალური პანიკის დროს ოპოზიციის იმჟამინდელი წარმომადგენლები დევიდ კემერონი და ალან დანკანი ცდილობდნენ, რაც შეიძლება დაეძაბათ სიტუაცია, გაეღვივებინათ პანიკა და მოეხდინათ პრობლემის განზოგადება, რადგან ამით ისინი ხელისუფლების პოლიტიკურ აქტივობას დააკნინებდნენ და ხალხიც მათ მიემხრობოდა. ამის საწინააღმდეგოდ ტონი ბლერი ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას, რომ პრობლემა არ განზოგადებულიყო და აღნიშნულს ეპიზოდურ მოვლენად მოიხსენიებდა. პოლიტიკოსების პარალელურად მედია ცდილობდა, მორალური პანიკა მეტად გაეღვივებინა და ამავე დროს, მღელვარება დაეთესა საზოგადოებაში, რადგან აღნიშნული მედიისათვის სენსაციურ ახალ ამბავს წარმოადგენდა, რაც, მარკეტინგული თვალსაზრისით, მომგებიანი იქნებოდა. შესაბამისად, მორალური პანიკა მეტად მომგებიანია მედიისათვის, რადგან სენსაცია, რომელსაც ისინი ქმნიან, ეხმარება მათ გაზეთების გაყიდვაში, აინტერესებს მყიდველს და აღნიშნულზე დაყრდნობით წარმოქმნის კიდევ უფრო მეტ ახალ ამბავს. თავის მხრივ, მედიაც აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და ამით

---

[651] იხილეთ: *Gusfield J.*,Symbolic Crusade: Status Politics and the American Temperance Movement,2nd edn. Urbana, IL: University of Illinois Press, 1986. აგრეთვე იხ: *Marone J.*, Hellfire Nation, Yale, CT: Yale University Press, 2003.

[652] *Garland D.*, On the concept of moral panic, 17.

ხალხს კიდევ უფრო ხდის მასზე დამოკიდებულს.[653] აღნიშნულთან დაკავშირებით სოციოლოგი ჯოკ იანგი აღნიშნავს, რომ „კომერციულ მედიას გააჩნია ინსტიტუციონალური საჭიროება, რომ წარმოქმნას მორალური პანიკა".[654]

3.6 კონცეპტუალური პრობლემები და შეზღუდვები

ისევე, როგორც ბევრ სხვა ინსტიტუტს, მორალურ პანიკასაც ჰყავს თავისი კრიტიკოსები. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა არაფრით ამცირებს ამ ტერმინის მნიშვნელობას, აუცილებელია მათზე საუბარი, რადგან სამომავლოდ, როდესაც მოხდება ამ საკითხის უკეთ შესწავლა, მკვლევარებს ჰქონდეთ წარმოდგენა მორალური პანიკის არა მარტო დადებით, არამედ, უარყოფით მხარეებზეც.

3.6.1 პროპორცია

როგორც უკვე აღინიშნა, მორალური პანიკაზე საუბრისას საზოგადოების რეაქცია მეტ-ნაკლებად არაპროპორციულია იმ დევიანტურ ქმედებასთან შედარებით, რომელსაც იგი გმობს. არაპროპორციულობის ვარაუდი იმთავითვე ბადებს კითხვებს არსებული პრობლემის ბუნებისა და ხარისხის შესახებ – საზოგადოების რეაქცია მართლა არაპროპორციულია, თუ პრობლემა იმაზე დიდია, ვიდრე ჩანს და, შესაბამისად, პანიკაც პრობლემის პროპორციულია. სწორედ ამიტომ პროპორციულობის გაზომვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო კონკრეტული ჯგუფის ქმედების შედეგები, არამედ ის პოტენციური და მორალური საფრთხე, რასაც კონკრეტული ქმედება გამოიწვევს.[655]

3.6.2 მორალური განაჩენი

მორალური თვალსაზრისით ქმედების დაგმობა წარმოადგენს მორალური პანიკის ნორმატიულ ელემენტს. მართალია, სოციოლოგებს გააჩნიათ იმის მყარი საფუძველი (ამ მასთან მიახლოებული), რომ გაზომონ მორალური პანიკის გამომწვევი ქმედების ხარისხი, მატერიალური ზარალი ან რისკის ზომა, თუმცა გაცილებით რთულია სხვების (ანუ მორალური პანიკის გამომწვევ ქმედებაში არამონაწილე პირების) მიერ გაკეთებული მორალური განაჩენის საფუძვლიანობის შემოწმება. როდესაც ვინმე კონკრეტულ ქმედებას აფასებს მორალურ პანიკად, ყოველთვის არის იმ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობა, რომ არ ეკიდებიან სერიოზულად იმ პირების მორალურ შეხედულებებს, რომლებიც შეშფოთებული

---

[653] იქვე, 15.

[654] *Young J.*, The Role of the Police as Amplifiers of Deviancy, in *Cohen S.*, (ed.) Images of Deviance, Harmondsworth: Penguin, 1971, 27.

[655] *Garland D.*, On the concept of moral panic, 22.

არიან პანიკის გამომწვევი ქმედებით. ის, რაც ექსპერტებისა და ანალიტიკოსების მიერ შესაძლებელია ჩაითვალოს ისტერიულ და გადაჭარბებულ რეაქციად, მონაწილეებისთვის შეიძლება იყოს ადეკვატური პასუხი მათთვის მორალურად მიუღებელი ქმედებისადმი. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ როგორ კეთდება არჩევანი ამ შეხედულებებს შორის, გარდა იმისა, რომ ინდივიდუალურად მოხდეს რომელიმე მხარის პოზიციის დაჭერა საკუთარი მორალური შეხედულებების შესაბამისად?

სწორედ ზემოაღნიშნულის გამოა, რომ მორალური პანიკის შემთხვევების ანალიზისას სოციოლოგები იშვიათად იზიარებენ კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებულ პანიკას. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს ისტორიკოს ფილიპ ჯენკინსის წიგნი „Beyond Tolerance: Child Pornography on the Internet", რომელიც ნათლად მიუთითებს, თუ როგორ შეუძლია ავტორის მორალურ განაჩენს მოახდინოს გავლენა მორალური პანიკის ანალიზზე. ჯენკინსი უთითებდა, რომ ბავშვების პორნოგრაფიასთან დაკავშირებული მორალური პანიკა იყო გადაჭარბებული, რადგან არ ჰქონდა იმდენად მასშტაბური ხასიათი, რომ დიდი აჟიოტაჟი გამოეწვია. მან ჩაატარა კვლევა აღნიშნულთან დაკავშირებით და სრულიად საწინააღმდეგო სურათი დაინახა. კერძოდ ჯენკისმა დაასკვნა შემდეგი: „მე პირადად ვფიქრობდი, რომ ბავშვების პორნოგრაფია იყო იშვიათი შემთხვევები ინტერნეტში. ვცდებოდი. აღნიშნული პრობლემა არა თუ მარტო არსებობს, არამედ არსებული პორნოგრაფიული მასალა იმაზე მეტად საშინლადაა, ვიდრე თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია წარმოიდგინოს..... მას შემდეგ, რაც ათწლეულები ვამტკიცებდი საწინააღმდეგოს, ახლა გავაკეთებ ყველაფერს იმისათვის, რომ სათანადო საზოგადოებრივი რეაგირება მოჰყვეს ამ უგულებელყოფილ პრობლემას".[656] აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ზოგ შემთხვევაში სოციოლოგებს, მკვლევარებს და საზოგადოების წარმოამდგენლებს არასწორი მორალური განაჩენი გამოაქვთ მორალური პანიკის კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, იწვევს მასში მონაწილე პირების უფლებების უგულებელყოფას.

3.6.3 ეთიკური პრობლემები

საზოგადოებაში არსებულ პრობლემურ საკითხებს მორალური პანიკის იარლიყი ეკერება ყოველთვის დამკვირებლების და არა მასში მონაწილე პირებისაგან. ეს არის მესამე პირების მიერ მოვლენების შეფასება და გულისხმობს, რომ რეაქტიული ქმედება, რომელსაც ის აღწერს, არის შეუსაბამო, არასათანდოდ შეფასებული და არაპროპორციული. შესაბამისად, საზოგადოების იმ ნაწილს, ვის გამოც წარმოიშვა მორალური პანიკა, არ სჯერა, რომ ისინი რაიმე წრეგადასულ ქმედებაში იღებენ მონაწილეობას და უმეტეს შემთხვევაში ცდილობენ საწინააღმ-

[656] *Jenkins P.* ‚Beyond Tolerance: Child Pornography on the Internet, New York: New York University Press, 2001, 8-9.

დეგოს დამტკიცებას. რადგან ქმედება მორალურ პანიკად ფასდება მესამე, არამონაწილე პირების მიერ, ამიტომ აუცილებელია ტერმინის გამოყენების ეთიკურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება.[657] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არსებობს შემთხვევები, რომლებიც რეალურად იწვევს მორალურ პანიკას, მაგრამ კომენტატორები, ანალიტიკოსები და სხვა ექსპერტები ეთიკური მიზეზების გამო, თავს იკავებენ ქმედების მორალურ პანიკად დაკვალიფიცირებისაგან.

აღნიშნულის დასტურად გამოდგება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი. ეს შემთხვევა შეიცავდა მორალური პანიკის ყველა მახასიათებელს, რადგან, იყო ვნებათაღელვა, მტრობა, თანხმობა, არაპროპორციულობა და ცვალებადობა. გარდა ამისა ასევე იყო, სოციალური რეაქციის მორალური განზომილება და განცდა, რომ ცხოვრების ყოველდღიური წესი იყო საფრთხეში. მიუხედავად ამისა, ყველა ერიდებოდა ამ შემთხვევის მორალურ პანიკად შერაცხვას.

ტერორისტული აქტის შემდეგ ექსპერტები საკმაოდ ფრთხილად აკეთებდნენ კომენტარებს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. 6 თვის შემდეგ გამოქვეყნდა სტატია. გამოკითხულ იქნენ მორალური პანიკის საკითხზე მომუშავე ცნობილი სოციოლოგები: ჯოელ ბესთი, ფილიპ ჯენკინსი და ერიკ გუუდი, რომლებმაც დასძინეს, რომ, თუმცა შემთხვევა გარეგნული ნიშნებით ჰგავდა მორალურ პანიკას, მაინც ვერ ჩაითვლებოდა იგი ასეთად.[658]

იბადება კითხვა, რატომ გაკეთდა მსგავსი კომენტარები? აღნიშნული მიზეზი, ერთი მხრივ, იყო ის, რომ არავინ იცოდა, თუ რასთან ჰქონდათ საქმე ან რამდენად მასშტაბური იყო იგი; ხომ არ არსებობდა იმის საფრთხე, რომ მსგავსი ტერაქტი კიდევ განმეორდებოდა და, შესაბამისად, ძნელი იყო, შემთხვევის რაიმე ფორმით ეტიკეტირება, თუმცა ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა ამ ტერორისტული აქტის შემდგომ შექმნილი სოციალური პანიკის მორალურ პანიკად დაკვალიფიცერება, იყო ეთიკური პრობლემა. სოციოლოგებს არ ჰქონდათ იმის სურვილი, რომ შეწინააღმდეგებოდნენ იმ მორალურ სენტიმენტებს, რამაც საფუძველი ჩაუყარა სოციალურ რეაქციებს; მათ არ სურდათ, შეესრულებინათ მამხილებელი სკეპტიკოსების როლი მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა დარდსა და შიშს მოეცვა და დაღუპული იყო უამრავი ადამიანი. შესაბამისად, სოციოლოგები თვლიდნენ, რომ მართალია, ეს იყო მორალური პანიკის ტიპური შემთხვევა და ანალიტიკურად გამართლებულიც იქნებოდა მასზე საუბარი, თუმცა ეთიკურად იგი ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ, ასეთად არ შეფასდა იმ პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ მომხდარიდან 6 წლის შემდეგ გამოჩნდა სტატიები და წიგნები, რომლებიც უკვე ღიად საუბრობდნენ 11 სექტემბრის შემდეგ განვითარებულ

---

[657] *CohenS.*, Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, 26.

[658] *Walker J.*, Panic Attacks: Drawing the Thin Line Between Caution and Hysteria after September 11th", Reason Magazine, March, 2000. <**http://www.reason.com/news/show/28345.html**> [09.06.2014].

მოვლენებზე როგორც მასობრივ მორალურ პანიკაზე. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ უკვე დაწყნარებული იყო სიტუაცია და საზოგადოების ცნობიერებაში ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტერაქტი. შესაბამისად, მომხდარი შემთხვევის ანალიზი უკვე არ წარმოადგენდა ეთიკურად გაუმართლებელ ქმედებას, სოციოლოგებმაც არ დააყოვნეს და 11 სექტებრის შემდეგ საზოგადოებაში განვითარებული პანიკა მორალურ პანიკად შერაცხეს.[659]

აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ შესაძლებელია არსებობდეს დროის მონაკვეთი, როდესაც მორალურ პანიკაზე ლაპარაკი მიუღებელია ეთიკური მოსაზრებების გამო და სწორედ ეს წარმოადგენს მისი შეზღუდვის მიზეზს. მოვლენის მასშტაბურობიდან გამომდინარე, მასზე საუბარი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდება მისაღები, როდესაც სიტუაცია შედარებით განიმუხტება და ცივი გონებით იქნება შესაძლებელი მოვლენის ანალიზი.

3.7 უარყოფა

იმისათვის, რომ ტერმინი იყოს მრავალმნიშვნელოვანი და შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება, მას უნდა შეეძლოს სხვა ტერმინებთან თანაარსებობა, რომლებთანაც მოხდება მისი შედარება, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. სწორედ ამიტომ, აქ შემოთავაზებული იქნება კიდევ ერთი ტერმინი, რომლის ცოდნაც აუცილებელია იმისათვის, რათა უკეთ შევისწავლოთ მორალური პანიკის ტერმინის მნიშვნელობა.

მეორე უმნიშვნელოვანესი ცნება, რომელიც დაკავშირებულია მორალურ პანიკასთან და რომლის განსაზღვრაც, ასევე, სტენლი კოენის სახელს უკავშირდება, არის უარყოფა. ფსიქოლოგიური გაგებით, უარყოფა არის მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით წარმოქმნილი შემაწუხებელი აზრების უკუგდება, რათა მათ არ შეაღწიონ ცნობიერებაში. კოენის მოსაზრებით, უარყოფას აქვს სოციოლოგიური განზომილებაც და შესაძლებელია გაანალიზდეს სოციალურ ჩვევებთან ერთად. სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების ქცევებზე დაყრდნობით იგი განასხვავებს **პირდაპირ უარყოფას** (არაფერი მომხდარა); **განმარტებით უარყოფას** (რაღაც მოხდა, მაგრამ ეს ის არ არის, რაც გგონიათ); **ნაგულისხმევ უარყოფას** (რაც მოხდა, არც ისე ცუდი იყო და შესაძლებელია, გამართლდეს კიდეც).[660]აქედან გამომდინარე, თუ მორალური პანიკა გადაჭარბებული და არაპროპორციული მორალური რეაქციაა, უარყოფა არის ამ რეაქციის შეუფერებელი ნაკლებობა. ეს არ არის ისტერიული აფეთქება. პირიქით, ეს არის ისტერიული სიჩუმე, გადაწყვეტილება (როგორც ცნობიერი ისე, არაცნობიერი), შეწყდეს პრობლემურ მოვლენებზე საუბარი.

---

[659] *Garland D.*, On the concept of moral panic, 22.

[660] *Cohen S.*, Folk Devils and Moral Panics, (3rd edn), London: Routledge, 2004, xxxiii.

კოენის ზემოაღნიშნული ტერმინების ანალიზით, მორალური პანიკა არ არის განყენებული თემა და უფრო ფართო განზომილების შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მორალური რეაქციის სოციოლოგია ჰქვია. საერთო ჯამში, კოენი აანალიზებს სოციალური რეაქციების რამდენიმე ტიპს, რომლებიც შინაარსით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული, მაგრამ, მაინც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან. მორალური პანიკა იყო პირველი რეაქცია, რომელიც კოენმა დაამუშავა და როგორც არაერთხელ ითქვა, წარმოადგენს განვითარებული მოვლენებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას, გადაჭარბებულ, არაპროპორციულ რეაქციას და, აქედან გამომდინარე, მასში მონაწილე პირების არასასურველ მორალიზებას. მეორე რეაქცია არის უარყოფა, ანუ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით „ისმის" მხოლოდ დუმილი, შეინიშნება ქმედების რეაგირების გარეშე დატოვების ტენდენცია და ამის გამო მორალური წარმოსახვაც კლებულობს.

საინტერესოა, რომ სოციოლოგიას ჯერ არ შეუმუშავებია ისეთი ცნება, რომელიც მორალურად მისაღებ სოციალურ რეაქციას განსაზღვრავდა, თუმცა სადავო არ უნდა იყოს, რომ მსგავსი რეაქცია უნდა არსებობდეს. მიუხედავად ამისა, გარლანდის აზრით, ასეთი შუალედური რეაქციის პოვნა წარმოუდგენელია. თითოეული მოვლენის განმარტებისას სოციოლოგებს უჭირთ ერთ პოზიციაზე ჩამოყალიბება, შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში საკმაოდ ძნელია მორალურად მისაღებ სოციალურ რეაქციაზე საუბარი.[661]

4. მედიის მხრიდან ბავშვების კონსტრუირება: „ბოროტი მონსტრები" და „ტრაგიკული მსხვერპლნი"

დღესდღეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეინიშნება ისეთი ტენდენცია, როდესაც არასრულწლოვანების ქმედებები, რაც ერთ დროს ითვლებოდა ნორმალურად, ბუნებრივად და არასრულწლოვნის ასაკის შესაბამისად, იძენს მორალურად გასაკიცხ სტატუსს. მეტიც, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქმედებებს ხშირად საზოგადოებრივ სიმპტომად თვლიან, იმ საზოგადოებისა, რომელიც გახრწნის პირას არის მისული. არასრულწლოვანებთან მიმართებით ისიც უნდა ითქვას, რომ თაობების ცვლამ და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ განაპირობა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა საკმაოდ განსხვავდება მშობლების ახალგაზრდობისაგან და ეს განსხვავება უფრო და უფრო აშკარა ხდება. სწორედ ამიტომ ბავშვები და მოზარდები ხშირად არიან მორალური პანიკის სუბიექტები, მაგრამ ამავდროულად ისინი ხშირად **„ტრაგიკულ მსხვერპლებადაც"** გვევლინებიან. ბავშვები და მოზარდები ერთ შემთხვევაში ითვლებიან „ეშმაკეულებად", ხოლო მეორე შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალონ „ეშმაკეულთა" მსხვერპლებად. სწორედ ამიტომ შესაძლოა დასკვნის გაკეთება, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ არსდროს ყოფილა ისე პოლარიზებული, რო-

[661] *Garland D.*, On the concept of moral panic, 22.

გორც ახლა.[662] წინამდებარე თავში საუბარი იქნება საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ და იმ პარადოქსულ სიტუაციაზე, რომელიც შეიქმნა ბრიტანეთში 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც პირველად მოიხსენიეს ბავშვები „ბოროტ მონსტრებად". ამის შემდეგ საუბარი იქნება, თუ როგორ შეიცვალა და დღესაც როგორ ითვლებიან ისინი ისევ უცოდველ არსებებად, რომლებსაც სჭირდებათ დაცვა თანამედროვე დემონებისაგან – პედოფილებისაგან.

4.1 ბავშვები როგორც „ბოროტი მონსტრები"

სანამ უშაულოდ საკითხს განვიხილავთ, მანამდე აუცილებელია, განისაზღვროს, თუ როდის სრულდება მოზარდობის პერიოდი და როდის იწყება მოწიფულობის პერიოდი. აღნიშნულ პრობლემას ასევე ახლავს ის ფაქტი, რომ უცნობია მოზარდობის პერიოდის ხანგრძლივობაც და არც ის არის ცნობილი, თუ რა ასაკიდან შეუძლია ბავშვს კარგისა და ცუდის გარჩევა. სწორედ ამიტომ, ბავშვთა დანაშაულები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად წესრიგდებოდა.[663] მე-19 საუკუნეში გაბატონებული იდეის თანახმად, დანაშაული და სასჯელი ექცეოდა იმ დროს დომინირებული თეორიის საზღვრებში, რომელიც „კლასიციზმის" სახელით არის ცნობილი. ამ მიდგომის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ სასჯელი არა დანაშაული ჩამდენი პიროვნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო, არამედ, დანაშაულის შესაბამისი. სწორედ ამის გამო, ბავშვები ისეთივე ბრალეულები იყვნენ დანაშაულის ჩადენაში, როგორც – ზრდასრულები და მათი სამართლებრივი რეჟიმი და სასჯელები არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუმცა, დროთა განმავლობაში ბავშვების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით მიდგომა შეიცვალა და ბავშვობის პერიოდი განისაზღვრა როგორც ადამიანის განვითარების ცალკე პერიოდად, რომლის დროსაც ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება. შესაბამისად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც დაწყებითი განათლება სავალდებულო გახადა, მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც არასრუწლოვანებს უფლებას აძლევდა, ესარგებლათ შემცირებული სამუშაო დღით. ჩამოყალიბდა განსხვავებული სისხლის სამართლებრივი რეჟიმი მხოლოდ კონკრეტულ სფეროებში, რამაც მათთვის განსხვავებული სასჯელების სისტემის შემოღებამ განაპირობა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ინგლისში და უელსში აღნიშნული იწყება 10 წლიდან, შოტლანდიაში – 8-დან, საბერძნეთში და ჰოლანდიაში – 12 წლიდან, საფინაგეთში – 13-დან, საქართველოში – 14-დან, პორტუგალიაში – 16 წლიდან, ხოლო ბელგიასა და ლუქსემბურგში 18 წლიდან. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ პასუხისმ-

[662] *Jewkes Y.* ,Media and Crime, 56.

[663] *Muncie J.* ,Youth and Crime: A Critical Introduction, 3rd edn, London:Sage 2009, 87.

გებლობის საერთო ასაკის დადგენა არის საკმაოდ ძნელი და ხშირად დადგენილი ასაკიც არ იძლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ მოზარდი აცნობიერებს დანაშაულის ხასიათს და შეიცნობს სასჯელის მიზნებს. როგორც ზემოაღნიშნული ასაკობრივი ზღვრებიდან ჩანს, ინგლისსა და უელსში სასჯელი არა მარტო მიდრეკილია იმისაკენ, რომ ადრეულ ასაკშივე დაიწყოს სამართალდამრღვევი ბავშვების დასჯა, არამედ ორინეტირებულია იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი დანაშაულის ჩამდენი ბავშვის წინააღმდეგ გამოიყენებოდეს თავისუფლების აღკვეთა. სწორედ ამიტომ არის, რომ ინგლისსა და უელსში ორჯერ უფრო მეტი არასრულწლოვანი პატიმარია, ვიდრე – ბელგიაში, პორტუგალიაში, დანიასა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.[664] ამ მხრივ ინგლისს ძალიან ჰგავდა საქართველო. ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი გაცილებით მაღალია, მაინც გასულ წლებში საკმაოდ პუნიტიური აზროვნება ჩამოყალიბდა, რამაც განაპირობა ის, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა. თუ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა 2000 წელს იყო 388, აღნიშნულმა ციფრმა თითქმის სამჯერ მოიმატა 2008 წელს და 1166 შეადგინა, ხოლო შემდეგ ორ წელში შეიმჩნევა მცირედით კლება და 2010 წელს მაჩვენებელი 883-ამდე ჩამოვიდა.[665] აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2000 წელს სასამართლომ ბრალდებული არასრულწლოვნების 14,9%-ს (58 არასრულწლოვანს) მიუსაჯა ციხეში სასჯელის მოხდა, ხოლო 2007 წელს – 428 არასრულწლოვანს. ყველაზე სავალალო იყო ის ფაქტი, რომ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებში სჭარბობდა ქურდობის ფაქტები.[666] შესაბამისად ისევე, როგორც ინგლსში, საქართველოშიც სისხლისამართლებრივი იდეოლოგია მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება მკაცრად დაესაჯათ ქმედების ჩამდენი არასრულწლოვნები, მიუხედავად იმისა, შეიცავდა თუ არა მათი ქმედებები ძალადობრივი დანაშაულის ნიშნებს.

საქართველოსა და ინგლისს შორის მსგავსება იმაში მდომარეობს, რომ ორივე ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვები ექვემდებარებიან მშობლების გადაჭარბებულ კონტროლს როგორც დაცვის, ისე მათი ქცევის რეგულირების მიზნით. აღნიშნული ცუდ გავლენას ახდენს არასრულწლოვანზე, რადგან მას უჭირს სოციალიზაციის პროცესის გავლა და როდესაც მოზარდის ცხოვრებაში დგება დამოუკიდებელი აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების დრო, იგი აბსოლუტურად მოუმზადებელი ხვდება ამ მომენტს. ორივე ქვეყანაში ბავშვები დიდხანს ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. ინგლისში ეს გამოწვეულია იმით, რომ 1980 წლის შემდეგ 300%-ით გაიზარდა სახლების ფასი, ხოლო ახალგაზრდებს არ გააჩ-

[664] იხ. *Jewkes Y.* ,Media and Crime,104.

[665] *შალიკაშვილი მ.*, და *გიორგიძე ა.*, არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები, *მ. შალიკაშვილისა და მ. ლეკვეიშვილის* რედაქტორობით გამოცემულ წიგნში – არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011, 13.

[666] იქვე.

ნიათ იმის საშუალება, რომ ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად,[667] საქართველოში კი, არსებობს დასაქმების პრობლემა, ახალგაზრდები ვერ შოულობენ სამსახურს და ამიტომ ისინი მეტად დამოკიდებულები არიან მშობლებზე. გამომდინარე აქედან, ორივე ქვეყანაში უამრავი ახალგაზრდა იძულებულია, ცხოვრობდეს საკუთარ მშობლებთან არამარტო სრულწოვანების მიღწევამდე, არამედ უფროსი ასაკის მიღწევის შემდეგაც, რაც იწვევს **ინფანტილიზაციის** პროცესის იძულებით გაგრძელებას.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საკმაოდ რთული დასადგენია, რა ასაკიდან იწყება და როდის სრულდება მოზარდობის პერიოდი და როდიდან შეუძლია ბავშვს კარგის და ცუდის გარჩევა. აღნიშნულზე დიდი გავლენა იქონია ბრიტანეთში მომხდარმა შემთხვევამ, რომელმაც უმალ შეძრა მსოფლიო და ბაშვობის პერიოდზე განსხავებული აზრის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. ეს იყო ნახსენები „ჯეიმს ბულგერის საქმე". 1993 წელს ორმა 10 წლის ბავშვმა ჯონ ვენებლსმა და რობერტ ტომსონმა გაიტაცეს და მოკლეს 2 წლის ჯეიმს ბულგერი. მათმა ქმედებამ ტერმინ „ბავშვს" შესძინა ემოციური, ამაღელვებელი ელფერი და დღის წესრიგში დააყენა იმ დროისათვის ლომბროზოსეული მოძველებული დასკვნები: ადამინი ყოველთვის უკონტროლო თავისუფლებისაკენ ისწრაფვის; ადამიანში არსებული მორალური სიცარიელე განსაკურებით საშიშს ხდის მას; არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთათვისაც შინაგანი სიბოროტე დაბადებიდან თანდაყოლილი თვისებაა. საქმე იმანაც გაართულა, რომ ეს შემთხვევა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოება შიშს ჰყავდა შეპყრობილი არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულთა მატების გამო. მკვლელი ბავშვების ქმედებამ კარგად წარმოაჩინა ის, თუ როგორ შეიძლება ბავშვი იყოს დაუცველი, უცოდველი არსება და ამავდროულად იყოს პატარა მონსტრი. „დეილი მეილის" 1993 წლის 25 ნოემბრის გამოცემის პირველი გვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „The evil and the innocent", რომელმაც ქერათმიანი და ცისფერთვალება ჯეიმსი უცოდველ და იდეალური ბავშვად წარმოაჩინა, ხოლო 10 წლის მკვლელებს მიეკერათ „განსახიერებული სიბოროტის" იარლიყები და მათ დასასჯელად სამართლებრივი ბერკეტის გარდა საჭირო გახდა პოლიტიკური ბერკეტების ამუშავებაც.[668]

მსგავს საქმეზე ევროპის უმეტეს ქვეყანებში და, მათ შორის, საქართველოშიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგებოდა, რადგან ბავშვები არ იყვნენ იმ ასაკის, რომ სისხლსსამართლებრივად ეგოთ პასუხი. ინგლისში კი 10-დან 14 წლამდე არასრუწლოვნებს ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ თავიანთი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ყველა შემთხვევაში მათ საქმეს არასრუწლოვანთა სასამართლო განიხილავს, რომელიც თავისი რეჟიმით და სპეციფიკით განსხავდება ჩვეულებრივი სასამართლოსაგან. ვენებლის და

[667] *Jewkes Y.*, ‚Media and Crime, 105.

[668] იქვე.

ტომსონის საქმე განხილულ იქნა სრულწლოვანთა სასამართლოში და 10 წლის ბავშვები გასამართლდნენ სრულწლოვნების დარად, რაც უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ, ერთი მხრივ, მედია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბავშვები „ბოროტ მონსტრებად" წარმოეჩინა და, მეორე მხრივ, არსებობდა პოლიტიკური ნება – პოლიტიკოსები ადვილად გაამართლებდნენ მათ მიერ სასჯელების გამკაცრების ტენდენციას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბავშვების საქმეზე სასამართლომ დაუშვებლად ცნო ისეთი მტკიცებულებები, როგორიც იყო ოჯახური გარემო, ურთიერთობა მასწავლებლებთან და თანატოლებთან, მათი ფსიქო-სოციო-სექსუალური პორტრეტები.[669] გასაკვირი იყო ისიც, რომ ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნა ბავშვების ინტელექტუალურ სიმწიფესთან დაკავშირებით და არაფერი უთქვამთ მათ მენტალურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, როდესაც ვენებლსი და ტომსონი ბრალეულად ცნეს, იგულისხმებოდა, რომ მათ უკვე შეეძლოთ ცუდისა და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევა.[670] პროცესი მიკერძოებულად მიმდინარეობდა. ბავშვები ძალიან პატარები იყვნენ იმისათვის, რომ სრულად შეეცნოთ სრულწლოვანთა სასამართლოს სტადიები და გაეცნობიერებინათ, ის, თუ რა ხდებოდა მათ თავს. მიუხედავად ამისა სასამართლომ ბავშვებს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მეტიც, პროცესზე ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულებს წარუდგინა 247 საგაზეთო ამონარიდი, სადაც ბავშვები შედარებულები იყვნენ მაირა ჰინდლის და სადამ ჰუსეინს. აღნიშნული მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – დაერწმუნებინათ ნაფიცი მსაჯულები, რომ ბავშვების ქმედება იყო „სიბოროტის უპრეცედენტო გამოვლინება და ბარბაროსობა".[671] მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, მედიაში, კერძოდ, „Daily Star-ში" უმალ გაჩნდა სტატია სათაურით: „ახლა როგორ გრძნობთ თავს პატარა ნაბიჭვრებო?" (25 ნოემბერი 1993).

აღნიშნული საქმე წარმოადგენს საინტერესო ფენომენს. ბულგერის საქმის დასრულების შემდეგ, იმის მაგივრად, რომ მომხდარი ნელ-ნელა დავიწყებას მისცემოდა, მედია მაინც ზემოქმედებდა ქვეყნის მოსახლეობაზე, რათა დაერწმუნებინა სასამართლო გადაწყვეტილების სისწორეში, რომ ორივე დამნაშავე უნდა მჯდარიყო ციხეში სიცოცხლის ბოლომდე, რადგან ისინი არ იმსახურებდნენ მეორე შანსს, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავს დანაშაულს კვლავაც ჩაიდენდნენ.[672] გარდა ამისა, ეს საქმე იმითაც იყო საინტერესო, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბავშვების საქმე განიხილა სრულწლოვანთა სასამართლომ და პროცე-

---

669 *Morrison B.*, As If, London: Granta, 1997, 94

670 იქვე.

671 იქვე, 95

672 *Scraton P.*, The demonization, exclusion and regulation of children: from moral panic to moral renewal in *Boran A.*, (ed), Crime: Fear or Fascination, Chester: Chester Academic Press, 2003, 13 (შემდგომში – *Scraton P.*,The demonization, exclusion and regulation of children: from moral panic to moral renewal, გვ.).

სის მიმდინარობისას ბავშვებს ისე ექცეოდნენ, როგორც სრულწლოვანებს. მსგავს პროცესს კი, ეწოდება **ედალტიფიკაციის** პროცესი.

შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ ნორვეგიაში მოხდა მსგავსი შემთხვევა – სამმა ექვსი წლის ბავშვმა მოკლა ხუთი წლის ბავშვი, თუმცა ეს დანაშაული განხილულ იქნა როგორც ერთეული შემთხვევა, ხოლო ოთხივე ბავშვი – როგორც მსხვერპლი, რომელთაც სჭირდებოდათ რეინტეგრაცია საზოგადოებაში ფაქიზი და ლმობიერი მოპყრობის მეშვეობით.[673] კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა მოხდა 2003 წელს იაპონიაში, როდესაც 12 წლის ბავშვმა მოკლა 4 წლის ბავშვი, რაც დაიფიქსირა ქუჩაში განთავსებულმა სათვალთვალო კამერამ. იაპონიის კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 16 წლიდან, შესაბამისად, ქმედების ჩამდენი პასუხისგებაში ვერ იქნებოდა მიცემული. იგი მშობლებთან ერთად მოათავსეს ბავშვთა სამეთვალყურეო ცენტრში (იხ. <www.news.bbc.co.uk>). განსხვავება აღნიშნულ ქვეყნებსა და ინგლისს შორის ნათელია – ინგლისში მომხდარ დანაშაულზე პასუხი მკაცრი სასჯელია, ამ ქვეყნებში აქცენტი რეაბილიტაციაზეა გადატანილია. ინგლისის მგავსი სიტუაცია იყო საქართველოში, სადაც არასრულწლოვანების მიერ ჩადენილ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზეც კი საკმაოდ მკაცრი რეაგირება ხდებოდა. მაგალითად, მოვიყვანოთ გვანცა ყუფარაძის საქმე. 2006 წელს გოგონა სულ რაღაც 14 წლის იყო, როცა მას ბრალად თანაკლასელის მკვლელობის მცდელობა დაედო და მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე უამრავი სადავო საკითხი იყო, სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა – 5 წლით ციხეში სასჯელის მოხდა, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად. მეორე რეზონანსული საქმე, როდესაც 14 წლის ბიჭისგან შექმნეს „ბოროტი მონსტრი", არის გიორგი ზერეკიძის საქმე, რომელიც ანგარების მიზნით მკვლელობის, ხულიგნობისა და ყაჩაღობისათვის იქნა მსჯავრდებული და სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ 7 წლამდე შეუმცირა. ორივე ზემოგანხილულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელები არის ძალიან მკაცრი და, ისევე, როგორც ინგლისში მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – ქმედების ჩამდენის დასჯას და მის გარიყვას საზოგადოებისაგან, რადგან 14 წლის ბავშვისათვის თავისუფლების ხანგრძლივი ვადით აღკვეთა სხვა არაფერია, თუ არა ამ ადამიანების მარგინალიზაციის მცდელობა.

ბულგერის საქმესთან მიმართებით ასევე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მედია მკაცრად აკონტრლოებდა იმას, თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ პატარა დამნაშავეები ციხეში. მედია საშუალებები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ბავშვებისათვის შეთავაზებულ ნებისმიერ სარეაბილიტაციო ღონისძიებებისადმი, მათ შორის, განათლების მიღებისადმი და თვლიდნენ, რომ ეს იქნებოდა „უსამართლობა" (პირველ რიგში, ბულგერის მშობლებისა და გადასახადის გადამხდელი

---

[673] *Green D. A.*,Suitable vehicles: Framing blame and justice when children kill a child, Crime, Media, Culture: an International Journal, 2008, Vol. 4 (2), 197, 201.

საზოგადოებისათვის).[674] ამ ბიჭების საკვების ღირებულება და ხარისხი იყო კიდევ ერთი მეტად პოპულარული თემა. მედია კიდევ ერთხელ აღშფოთდა მაშინ, როცა ტომსონი და ვენებლსი 18 წლისანი გახდნენ, მიეცათ ახალი იდენტიფიკაცია და გათავისუფლდნენ ციხიდან. აღშფოთებას თან ახლდა შიში, რადგან, პირველ რიგში, „ბოროტი მონსტრები" ბრუნდებოდნენ საზოგადოებაში და, მეორე მხრივ, სასამართლომ მედიას აუკრძალა, გამოექვეყნებინა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც გამოიწვევდა ბიჭების იდენტიფიცირებას ან მათი ადგილსამყოფელის გამჟღავნებას.[675]

გასაკვირია ის ფაქტი, თუ რატომ არ იქნა განხილული ბულგერის შემთხვევა როგორც ერთეული შემთხვევა და რატომ დაკვალიფიცირდა ის როგორც საზოგადოების ხრწნის ნათელი გამოვლინება. იმავე პერიოდში, პროფესორ ფილ სკრატონის მოსაზრებით, ხუთიდან მხოლოდ ერთი ბავშვი ხდებოდა უცხო პირის მსხვერპლი, მაშინ, როდესაც ხუთ წლამდე 70-ზე მეტი ბავშვის მკვლელობა ხდებოდა მშობლების ან მათი ნაცნობი სრულწოვანების მიერ. მიუხედავად ამ საკმაოდ დიდი ციფრისა, ასეთი მკვლელობის ფაქტებს მედია ნაკლებ ყურადღებასაქცევდა.[676] ისიც საინტერესოა, რომ, როდესაც საქმე მიდგება ბავშვის, როგორც დანაშაულის მსხვერპლის, წარმოჩინებაზე, ზოგიერთ ბავშვს „იდეალურ" მსხვერპლად შერაცხავენ ხოლმე. მაგალითისათვის გამოდგება რვა წლის ვიქტორია კლიმბის საქმე, რომელიც 2000 წელს წამებით მოკლა დეიდამისმა მარი ტერეზა კუაომ და მისმა საყვარელმა კარლ მენინგმა. მიუხედავად იმისა, რომ მის საქმეზე გამოძიება უმაღლეს დონეზე ჩატარდა და ახალი კანონმდებლობაც იქნა მიღებული ბავშვების დასაცავად (შეიქმნა ბავშვების უფლებადამცველი სამთავრობო მინისტრის პოზიცია), ვიქტორიას ცხოვრებისა და სიკვდილის დეტალებმა, მისმა ოჯახურმა გარემომ და მკვლელობის მოტივმა მედიის უმნიშვნელო დაინტერესება გამოიწვია. ვიქტორია მხოლოდ რამდენიმე თვე ცხოვრობდა ინგლისში (იგი მისმა მშობლებმა გამოაგზავნეს კოტ დივუარიდან უკეთეს პირობებში საცხოვრებლად). გოგონა შავკანიანი იყო, მაგრამ მიზეზი, მკვლელობის მცირე რეზონანსულობისა იყო ის, რომ იგი მისმა ახლობელმა მოკლა. ეს კი მედია საშუალებებს ნაკლებად იზიდავს.[677]

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მედიის მიერ ბავშვების ოჯახში წამების და მკვლელობის საქმეებისადმი ნაკლები ინტერესი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად შეპყრობილია მედია შემთხვევით აღმოცენებული რისკით. სწორედ ამის გამოა, რომ მედიას ურჩევნია, გააშუქოს საზოგადოებაში მომხდარი შემთხვევით აღმოცენებული დანაშაული. ამ ყველაფრის შედეგი კი

---

[674] *Jewkes Y.*, Media and Crime,107.

[675] *Scraton P.*, The demonization, exclusion and regulation of children: from moral panic to moral renewal, 16.

[676] იქვე.

[677] *Jewkes Y.*, Mediaand Crime,107.

ის არის, რომ 21-ე საუკუნეში მორალურად ყველაზე მიუღებელ ადამიანებად ითვლებიან პედოფილები, მათ შორის, „ონლაინ" პედოფილები, რომლებიც ინტერნეტის დახმარებით ამყარებენ კონტაქტს მათთვის უცნობ არასრულწლოვანებთან და ასე ჩადიან დანაშაულს. ბულგერის ერთ-ერთი მკვლელი ვენებლსი 27 წლის ასაკში შებრუნდა ციხეში იმ მიზეზის გამო, რომ ბავშვების პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულში ედებოდა ბრალი. იუსტიციის მინისტრმა არ გაამჟღავნა ამ საქმის დეტალები, მაგრამ ამ ამბავმა ხელახლა დააყენა დღის წესრიგში 1993 წელს მომხდარი შემთხვევა. მედიის და, შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულება მის მიმართ ემსახურებოდა ერთ რამეს – „ეშმაკეულ ადამიანად" წარმოეჩინა დამნაშავე, რომელსაც არ შეეძლო საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

4.2 ბავშვები როგორც „ტრაგიკული მსხვერპლნი"

თანამედროვე ეპოქაში პედოფილია ითვლება ყველაზე სასტიკ დანაშაულად, რომელსაც არ აქვს საზღვრები და ამ დანაშაულის გამოვლინება ნებისმიერ ქვეყანაში იწვევს დიდ შოკს და ვნებათაღელვას. სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ პედოფილია ბოლო ათწლეულების ყველაზე დიდ მორალურ პანიკას იწვევს.[678] სქესობრივი დანაშაულები ყოველთვის აინტერესებდა მედიას, თუმცა ტერმინმა „პედოფილმა" პირველად დიდი დატვირთვა შეიძინა 1996 წელს, როდესაც ბრიტანეთის ადგილობრივ და ეროვნულ ტელევიზიით ხშირად შუქდებოდა სიუჟეტები პედოფილების შესახებ.[679] ბრიტანეთში პედოფილების შესახებ საზოგადოებამ მას მერე შეიტყო, როდესაც გამომჟღავნდა ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობის რამდენიმე შემთხვევა ადგილობრივ ბავშვთა სახლებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც წესით ბავშვებზე უნდა ეზრუნათ; ჩრდილოეთ ირლანდიაში იყო შემთხვევები, როდესაც კათოლიკე მღვდლებს ედებოდათ ბრალი ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ სქესობრივ ძალადობაში და გასაკვირიც არ არის, რომ ამის შესახებ სხვადასხვა მედია საშუალებებში არ წყდებოდა მსჯელობა.[680] ვნებათაღელვამ კიდევ უფრო იმატა 1996 წელს, მას შემდეგ, რაც ბელგიაში ციხიდან გათავისუფლებულ პედოფილს ბრალად ედებოდა რამდენიმე ბავშვის მკვლელობა. თუმცა პოლიტიკოსები, პოლიცია და სამოქალაქო სექტორის წარმოამდგენლები ცდილობდნენ, არ გაეხმაურებინათ ეს ამბავი. ამავე წელს ბრიტანეთში გამჟღავნდა ფრედ და როუზ ვესტების მიერ სექსუალურ

---

[678] *Silverman J. and Wilson D.,* Innocence Betrayed: Pedophilia, the Media and Society, Cambridge: Polity, 2002, 15.

[679] *Kitzinger J.,* The ultimate neighbor from hell? Stranger danger and the media framing of pedophiles in *Franklin B.,* (ed) Social Policy, the Media and Misrepresentation, London: Routlege, 1999, 208 (შემდგომში – *Kitzinger J.,*The ultimate neighbor from hell? Stranger danger and the media framing of pedophiles, გვ.).

[680] *Greer C.,* Sex Crime and Media: Sex Offending and the Press in a Divided Society, Collumpton: Willian, 2003, 36.

ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები და ამავე წელს, აშშ-ში იქნა მიღებული „მეგანის კანონი“[681] მას შემდეგ, რაც 7 წლის მეგან კანკა გაუპატიურებულ და მოკლულ იქნა გაუპატიურებისათვის ორჯერ მსჯავრდებული პირის მიერ, რომელიც ნიუ ჯერსიში, იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა. ზემოაღნიშნულმა შემთხვევებმა გაამძაფრა პანიკა პედოფილიასთან დაკავშირებით და დაიწყო საუბარი იმაზე, რომ აღნიშნულის მთავარი მიზეზი იყო სასჯელების სიმსუბუქე. მეგანის კანონის მიღებამ აშშ-ში ხელი შეუწყო პედოფილიის წინააღმდეგ ლობისტების კამპანიას ბრიტანეთშიც. სწორედ ამიტომ, 1997 წელს მიღებული იქნა, „სქესობრივ დამნაშავეთა აქტი“ (Sex Offenders Act). ამ კანონით დადგენილ იქნა, რომ სქესობრივი ხასითის ჩამდენი ან ამ დანაშაულში შემჩნეული და გაფრთხილებული პირი უნდა დარეგისტრირებულიყო პოლიციაში (რეგისტრაცია არის უვადო, შესაბამისად, სასჯელის მოხდის შემდეგ პირი რჩება „პედოფილების“ ბაზაში და მასზე გაიცემა რეგისტრირებული სქესობრივი დამნაშავის ორდერი). ასეთ შემთხვევაში პოლიციას ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს მაგისტრატ სასამართლოს, თუ კი იგი ჩათვლის, რომ აღრიცხვაზე აყვანილი პირი რაიმე საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

რეგისტრირებული სქესობრივი დამნაშავის ორდერი სამომავლო მიზნებს ემსახურება – იგი ავალდებულებს პოლიციის ოფიცრებს, იწრინასწარმეტყველონ პიროვნების შესაძლო ქმედება და შეაფასონ რისკ ფაქტორები (Crime and Disorder Act 1998). კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირებს არ აღუდგებათ ჩამორთმეული სამოქალაქო უფლებები. ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს აღუდგება სამოქალაქო უფლებები სასჯელის მოხდის შემდეგ, თუმცა სქესობრივ დამნაშავეთა შემთხვევაში საზოგადოების უსაფრთხოება პრიორიტეტულია მათ უფლებებთან შედარებით,[682] ანუ პირმა შესაძლებელია, არ ჩაიდინოს დანაშაული (მეტიც, იგი შესაძლებელია არც წინა ქმედებისათვის იყოს მსჯავრდებული და მხოლოდ იყოს გაფრთიხილებული), მაგრამ თავისი ქმედებით პოლიციას გაუჩინოს „გონივრული ეჭვი“, რომ მისი ქმედება შესაძლოა სარისკო გახდეს მომავალში. კანონის ასეთი ჩანაწერი შესაძლებელია გაკრიტიკებულ იქნეს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, მომავლისაკენ მიმართული რისკის შეფასება იგნორირებას უკეთებს რეაბილიტაციის იდეას და ამით ხაზი ესმევა იმას, რომ სასჯელაღსრულების სიტემა ვერ ართმევს თავს თავის მოვალეობას სქესობრივ დამნაშავეთა რეაბილიტაციის თვალსაზრისით და ეყრდნობა ერთ მოსაზრებას, რომ, როდესაც საუბარია ბავშვების კეთილდღეობაზე, იქ ნებისმიერი ქმედება გამართლებული

[681] მეგანის კანონი (Megan's Law) – არაფორმალური სახელი კანონთა ერთობლიობისა, რომელიც ავალდებულებს პოლიციის თანამშრომლებს საჯარო გახადონ ინფორმაცია რეგისტრირებულ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირების შესახებ.

[682] *Ashenden S.,* Policing perversion: the contemporary governance of pedophilia, Cultural Values, 6 (1 and 2), 197, 200 (შემდგომში – *Ashenden S.,*Policing perversion: the contemporary governance of pedophilia, გვ.).

უნდა იყოს. მეორე მხრივ, პიროვნების უფლებებზე წინ საზოგადოების ინტერესების დაყენება ქმნის განცდას, რომ საზოგადოების ასეთი წევრები უფლებრივად ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან, რომელთა წინააღმდეგაც შესაძლებელია გარკვეული მოქმედებების გატარება, თუ ამის საჭიროება იქნება. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ვიჯილანტიზმი. და ბოლოს, ეს წესი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქალების და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას ოჯახის შიგნით, რომელიც გაცილებით დიდ პრობლემას წარმოადგენს და ანგრევს მითს იმის შესახებ, რომ ოჯახი არის ყველაზე უსაფრთხო ადგილი.[683] ამ უკანასკნელის დასტურად გამოდგება ბრიტანეთის ბავშვთა ცხელი ხაზის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2001/02 წლებში ამ მომსახურებით ისარგებლა 9857-მა ბავშვმა და მათგან 95% იცნობდა მოძალადეს (იხ. <www.childline.org.uk>). გარდა ამისა, დადგენილია, რომ ქალების 5-20%-ს და მამაკაცთა 2-7%-ს გამოცდილი აქვთ სექსუალური ძალადობა ოჯახურ გარემოში.[684] მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულები პროცენტულად უფრო ხშირად ოჯახურ გარემოში ხდება, მედია მაინც ცდილობს, ეძებოს მსგავსი დანაშაულები ოჯახის გარეთ და შეარჩიოს ისეთი შემთხვევები, როდესაც სექსუალური მოძალადე არ იცნობს მსხვერპლს, იქნება ეს ბავშვი, თუ ქალი და შემდეგ ეს საფუძველად დაუდოს საზოგადოებრივი ისტერიის დაწყებას.

როგორც ითქვა, 90-იან წლებში საზოგადოება მოიცვა პედოფილების გარშემო ამტყდარმა მორალურმა პანიკამ. თუმცა პედოფილიასთან დაკავშირებულმა პანიკამ ზენიტს მიაღწია 2000 წელს, როდესაც დაიწყო **„გამოვლენისა და შერცხვენის" (naming and shaming)** კამპანია, რომელიც, თავის მხრივ, დაიწყო მას შემდეგ, რაც გატაცებულ და მოკლულ იქნა 8 წლის სარა პეინი. ის აჟიოტაჟი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, საკმაოდ რთული შესაფასებელია, თუმცა ერთი რამის თქმა ზედმიწევნით შესაძლებელია – მედიის კამპანიამ აიძულა პოლიტიკური წრეები, მიეღოთ უფრო მკაცრი ზომები, რათა ადრეულ ეტაპზევე გამოვლენილიყო ნებისმიერი საფრთხე და რისკი, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სარა პეინის ამბის მსგავსი შემთხვევები. მეტიც, მედიამ ბრიტანულ საზოგადოებას წარუდგინა ამოსაცნობი, საძულველი ადამიანი – პედოფილი, რომლის სურათიც სხვა პედოფილებთან ერთად დაბეჭდილი იყო მედიის ფურცლებზე.[685] „გამოვლენისა და შერცხვენის" კამპანიის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხდება დანაშაულის ჩამდენის იდენტიფიცირება. საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება ეს პირი და მას ეძლევა საშუალება, საჯაროდ დაგმოს, გაკიცხოს და ამ ქმედების ჩამდენი შეარცხვინოს.

მედია აყალიბებს პედოფილის ზოგად სტერეოტიპს, რომელიც არ არის „ერთერთი ჩვენგანი", მაგრამ პედოფილის მსგავსი აღწერა არ ზღუდავს მედიას,შექმნას

---

[683] იქვე, 202.

[684] *Kitzinger J.*,The ultimate neighbor from hell? Stranger danger and the media framing of pedophiles, 213.

[685] *Jewkes Y.*, Mediaand Crime,110.

პედოფილის კიდევ უფრო აღქმადი პორტრეტი. მაგალითად, 1998 წლიდან სატელევიზიო არხებზე გაჩნდა გამაფრთხილებელი სიუჟეტი, რომელშიც სრულწლოვანი მამაკაცი უახლოვდებოდა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მარტო მყოფ ბავშვს და სთავაზობდა ტკბილეულს (იხ. <http://news.bbc.co.uk/1/hi/education/225532.stm>). ამით ფართო მასებს აჩვენეს პედოფილისათვის დამახასიათებელი ტიპური საქციელი. სოციოლოგ ეშენდენის მიხედვით, პედოფილის პროტოტიპის წარმოჩინებას აქვს ორმაგი შედეგი. პირველი – პედოფილის სტერეოტიპის არსებობა არასასიამოვნო განცდას იწვევს საზოგადოებაში, რადგან ყველგან ეძებს მედიის მიერ აღწერილ პიროვნებას და სწორედ ამიტომ ცდილობს მოერიდოს ნებისმიერ მსგავს პირს, მიუხედავად იმისა, რეალურად აქვს თუ არა მის საქციელს რაიმე მსგავსი მოტივი. მეორე – საზოგადოებაში იბადება შიში უცნობი თავდამსხმელის მიმართ, რომელიც შესაძლებელია ყველგან იყოს.[686] აქედან გამომდინარე, პედოფილიასთან დაკავშირებული მორალური პანიკა ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სექსუალური საფრთხე მომდინარეობს ყოველთვის უცხო ადამიანისაგან და ეს უცხო ადამიანები განსხვავდებიან „ჩვენგან". „ჩვენ" ვართ „ნორმალურები", წესიერები და კანონმორჩილი მოქალაქეები, „ისინი" კი ტრიალებენ სკოლების და სკვერების ახლოს, ეძებენ უცოდველ ბავშვებს იმ მიზნით, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი სექსუალურად გარყვნილი მოთხოვნილებები.

წინა პარაგრაფში საუბარი იყო მორალურ პანიკაზე და პედოფილია ნამდვილად ჯდება ამ ცნების ფარგლებში. მართალია, პედოფილია ვერ ჩაითვლება „ჩვეულებრივ" დანაშაულად, თუმცა ის არც არაჩვეულებრივ დანაშაულად ითვლება. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ბრიტანეთში ამ ნიადაგზე მოკლულ ბავშვთა რაოდენობა არ სცილდება ექვსს. მიუხედავად ამისა, მედია მაინც ცდილობს შექმნას ისეთი სურათი, თითქოს საგრძნობლად იმატა ამ დანაშაულმა და ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ პედოფილის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების მატებასთან ერთად გაიზარდა შიში, რომ პედოფილები უკვე ინტერნეტის დახმარებით შეარჩევენ სასურველ მსხვერპლს. ქალაქში განთავსებულმა სათვალთვალო კამერებმა შესაძლებელი გახადა ბავშვის მოტაცების ფაქტების დაფიქსირება, რითაც გატაცების ფაქტმა უფრო დრამატული ელფერი შეიძინა, მედია საშუალებების დახმარებით კი შესაძლებელი გახდა მთელი მსოფლიოსათვის უსწრაფესად ეცნობინებინათ მომხდარი ფაქტი. ისევე, როგორც მორალური პანიკის გამოვლინების სხვა შემთხვევებთან, პედოფილიასთან დაკავშირებითაც მიღწეულია კონსენსუსი. მეტიც, იშვიათიად თუ არსებობს სხვა ისეთი დანაშაული, რომლის ქმედების ჩამდენის მკაცრად და სამაგალითოდ დასჯაზე საზოგადოებაში იყოს აზრთა ასეთი ერთიანობა. სწორედ ამიტომ, პედოფილებს ზუსტად მიესადაგებათ სტენ-

---

[686] *Ashenden S.*, Policing perversion: the contemporary governance of pedophilia, Cultural Values, 111.

ლი კოენის მიერ აღწერილ „ეშმაკეული ხალხის“ ეტიკეტი, ხოლო მათი მსხვერპლები კი მუდამ ტრაგიკულ იერს ატარებენ.

სიტუაცია საქართველოში თითქმის არაფრით განსხვავდება ბრიტანეთისაგან. ისევე როგორც ბრიტანეთში, საქართველოშიც საკმაო მორალური პანიკაა პედოფილიის შემთხვევების ზრდასთან დაკავშირებით. პედოფილის სტერეოტიპი საქართველოშიც არის შექმნილი და იგი ძირითადად მსხვერპლის ნაცნობი პირია და არა ქუჩაში შემთხვევით შემხვედრი ადამიანი. სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკა იმისა, თუ რა მდგომარეობაა ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობის კუთხით, არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია რამდენიმე ინდივიდუალური შემთხვევის გამოყოფა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს პედოფილების დამოკიდებულებას მის მსხვერპლთან. ასე მაგალითად, 2013 წელს სიღნაღში 52 წლის კაცმა 10 წლის გოგოზე სქესობრივი ძალადობა განახორციელა. როგორც გაირკვა გოგონა ბებიასთან ცხოვრობდა, ხოლო მამაკაცი კი ბავშვის ნათლია იყო, რომელმაც სხვადასხვა საჩუქრებით შეიჩვია ბავშვი და დაამყარა მასთან სქესობრივი კონტაქტი.[687] კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა საგარეჯოში, სადაც ოჯახიდან გაუჩინარდა 12 წლის გოგონა, რომელიც როგორც გაირკვა 44 წლის მამაკაცთან ცხოვრობდა, რომელიც გოგონას ნათლია იყო.[688] შემდეგი შემთხვევა მოხდა გურჯაანში, სადაც 65 წლის კაცს ბრალი ედება გარყვნილი ქმედების ჩადენაში 4 წლის გოგონას წინააღმდეგ. კაცი მსხვერპლის მეზობლად, დაახლოებით 8 მეტრში ცხოვრობდა. იგი ყვავილებს კრეფდა ეზოში, კაცმაც სწორედ ყვავილების დაკრეფის მიზნით შეიყვანა ჯერ თავის ეზოში, ხოლო შემდეგ ოთახში აიყვანა თავისთან.[689] ასევე, გარყვნილი ქმედების ბრალდებით დააკავეს 75 წლის კაცი ბათუმში, რომელმაც აღნიშნული ქმედება 10 წლის გოგონას მიმართ ჩაიდინა, რომელიც იმავე იტალიურ ეზოში ცხოვრობდა, რომელშიც ქმედების ჩამდენი.[690]

როგორც ზემოგანხილულ შემთხვევებიდან ჩანს ყველა შემთხვევაში ქმედების ჩამდენი იცნობდა დაზარალებულს. ანუ, ისევე როგორც ბრიტანეთში, საქარ-

---

[687] იხ. *ერაძე ე.*, „ბავშვი შეიჩვია და მთელი ზამთარი თავისთან ყავდა...“ – პედოფილიის მორიგი ფაქტი კახეთში, *კვირის პალიტრა* (6 ივლისი 2013), <**http://www.kvirispalitra.ge/justice/17799-bavshvi-sheichvia-da-mtheli-zamthari-thavisthan-yavda-pedofiliis-morigi-faqti-kakhethshi.html?add=1**> [02.06.2014]

[688] იხ. *მენაბდე ლ.*, „12 წლის გოგონაზე ძალადობისთვის საგარეჯოში ნათლია-პედოფილი დააკავეს“ *დრონი.ჯი* (24 ოქტომბერი 2011) <http://droni.ge/?m=3&AID=4959> [02.06.2104]

[689] იხ. *ერაძე ე.*, „ყვავილების დაკრეფით მიიტყუა ბავშვები – გურჯაანში 65 წლის პედოფილი ლინჩით გასამართლებას გადაურჩა“ *კვირის პალიტრა* (13 ივნისი 2013) <**http://www.kvirispalitra.ge/public/17532-qyvavilebis-dakrefith-miityua-bavshvebi-q-gurjaanshi-65-tslis-pedofili-linchith-gasamarthlebas-gadaurcha.html?lang=ka-GE&add=1**> [02.06.2104].

[690] იხ: *ერაძე ე.*, „ამ მოხუცებულობაში ტვინი ისე რამ გაუთახსირა, რომ ბავშვისკენ გაიწია?! – 75 წლის მამაკაცს გარყვნილებაში ედება ბრალი“ *კვირის პალიტრა* (13 ივნისი 2013) <**http://www.kvirispalitra.ge/justice/21120-am-mokhucebulobashi-tvini-ise-ram-gauthakhsira-rom-bavshvisken-gaitsia-75-tslis-mamakacs-garyvnilebashi-edeba-brali.html**> [02.06.2104].

თველშიც შეინიშნება მსგავსი ტენდენცია და პედოფილების გარშემო ამტყდარი მორალური პანიკა, რომ ისინი ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც არ იცნობენ დაზარალებულს და შემთხვევით არჩევენ მას, უფრო ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე ის, რომ ისინი არათუ იცნობენ, არამედ, ხშირ შემთხვევაში ნათესავებიც არიან.

კიდევ ერთი მსგავსება ბრიტანეთთან არის ის, რომ საქართველოშიც არსებობს კონსესუსი პედოფილებთან მიმართებით – ისინი არიან გონებრივად დაავადებული ხალხი და არ იმსახურებენ ცხოვრების დაწყების მეორე შანსს. მაგალითად, გურჯაანში მომხდარი ფაქტის დროს მთელი სოფელი ითხოვდა ქმედების ჩამდენის გადაცემას და მისი ლინჩის წესით გასამართლებას. მართალია, საქართველოში არ არსებობს ისეთი შემაკავებელი და დამცავი ორდერები, როგორიც ბრიტანეთშია (მაგალითად, პედოფილების სავალდებულო რეგისტრაცია, მომავალზე ორიენტირებული ორდერები და ა.შ.), თუმცა აქაც მედია საშუალებები, რომლებიც მსგავს შემთხვევებს აშუქებენ, მოუწოდებენ შესაბამის უწყებებს, გაამკაცრონ კანონმდებლობა, რათა პედოფილებმა კანონის წინაშე სრული სიმკაცრით აგონ პასუხი.

ბრიტანეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა „გამოვლენისა და შერცხვენის“ შემთხვევები და მიუხედავად იმისა, რომ მედია საშუალებები აშუქებენ პედოფილიის გამოვლენის ნებისმიერ შემთხვევას და აღნიშნულს აკეთებენ ისე, რომ პედოფილი წარმოჩენილია საზოგადოებისაგან განყენებულ „ეშმაკეულად“, ხოლო ბავშვი „ტრაგიკულ მსხვერპლად“, საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია ქმედების ჩამდენი პირების ვინაობის შესახებ მაშინ, როდესაც, სამომავლო პრევენციის მიზნით, აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია უპრიანიც კი იყოს.

5. დანაშაული და მეთვალყურეობა

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დასავლურ ცივილიზაციაში სათვალთვალო პროცედურების უეცარმა გააქტიურებამ საზოგადოებაში გამოიწვია განცდა, რომ მათ ცხოვრების თითქმის ყველა მომენტს აკვირდებიან, უთვალთვალებენ და აკონტროლებენ. კვლევებმა უჩვენეს, რომ, მაგალითად, ბრიტანეთში რიგითი მოქალაქე, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს, დღის განმავლობაში შესაძლებელია 300-ჯერ დააფიქსიროს კამერებმა. სწორედ ამიტომ გახდა ეს საკითხი მსჯელობის საგანი, რამაც გამოიწვია გაცხარებული დისკუსია სამეთვალყურეო ტექნოლოგიების დადებით და უარყოფით ასპექტებზე. შესაბამისად, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა კითხვისათვის – ამცირებს თუ არა სათვალთვალო კამერები დანაშაულის ფაქტების გამოვლინებას? იცვლება თუ არა დანაშაულის ჩადენის ადგილი და გადადის იმ ადგილებში, სადაც კამერები არ არის განთავსებული? სხვა კვლევებით

ცდილობდნენ დაედგინათ, რამდენად ამცირებს სათვალთვალო კამერები საზოგადოებაში არსებულ პირადი უსაფრთხოების შესახებ შიშს.[691] წინამდებარე თავი მიზნად ისახავს ახსნას მეთვალყურეობის ზრდის მიზეზები, სოციალური კლასიფიკაციისა და კონტროლის საკითხები, მაგრამ, სანამ უშუალოდ ამ საკითხების განხილვას შევუდგებით, პირველ რიგში, აუცილებელია, მოკლედ შევეხოთ პანოპტიკონის არსს, რომელიც მეთვალყურეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დებატის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

5.1 პანოპტიციზმი

გავრცელებული აზრით, მეთვალყურეობის ფორმები გაიგივებულია ჯორჯ ორუელის მიერ შექმნილი ყოვლისმხედველი, ყოვლისმცოდნე და უჩინარი სუპერ-ძალის – „დიდი ძმის" ფენომენთან. სამეცნიერო კვლევებში ამ მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი – ***„პანოპტიკონი"*** – ტექნოლოგია, რომელიც ზოგიერთ ინდივიდს აძლევს უმრავლესობის ქცევაზე დაკვირვების საშუალებას. პანოპტიკონი არის არქიტექტურული დიზაინი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ საპყრობილეებში, სკოლებში, ქარხნებში, სამუშაო სახლებსა და ნებისმიერ ადგილას, რათა შესაძლებელი გახდეს ხალხთა ფართო მასების გაკონტროლება, მცირერიცხოვანი ძალაუფლების მქონე ინდივიდების მიერ. ეს სისტემა განავითარა მე-18 საუკუნის რეფორმატორმა იერემია ბენტამმა. მიუხედავად იმისა, რომ ბენტამის ხედვა არსებითად „კეთილშობილური" იყო, პანოპტიკონი იქცა საპატიმროთა სადამსჯელო რეჟიმების იარაღად და თუმცა ზოგი წერს, თითქოს ბენტამის მოდელი არასდროს განხორციელებულა, მრავალი საპყრობილე აშენდა და კვლავაც შენდება ***პანოპტიციზმის*** პრინციპებზე დაყრდნობით[692]. მოკლედ რომ ითქვას, ბენტამის დიზაინით მრგვალ ნაგებობაში წრიულად განთავსებულია საკნები, ხოლო ცენტრში აღმართულია სათვალთვალო კოშკი, რომელიც მუდმივად აკვირდება პატიმართა მოქმედებებს. განათების სისტემა მიმართულია საკნებისკენ, ხოლო კოშკი კი ჩაბნელებულად რჩება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი დააკვირდეს მრავალს. ამ მრავალთაგან კი თითოეულს აქვს განცდა, რომ აკვირდებიან, თუმცა უჭირთ იმის დადგენა, კონკრეტულად – როდის. ეს სისტემა იწვევს შიშის განცდას და ძალის გამოყენება აღარ არის საჭირო.

ფილოსოფოსი მიშელ ფუკო მე-17 საუკუნეში თავს დამტყდარ შავ ჭირზე საუბრისას აღწერს, რაოდენი სიფხიზლე და მობილიზაცია ესაჭიროებოდათ რაზმებს ქალაქის შესაბამის ნაწილებში, რათა შეემოწმებინათ ყველა კუთხე, იმის უზ-

---

[691] იხ. *Coleman, C. and Norris, C.,* Introducing Criminology, Cullompton: Willan, 2000; აგრეთვე იხ. *Lyon, D.,* Surveillance Studies: An Overview, Cambridge: Polity Press, 2007; აგრეთვე იხ. *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, London: Sage, 2010 (შემდგომში – *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, გვ.).

[692] *Jewkes Y.* ,Mediaand Crime,211.

რუნველსაყოფად, რომ არავინ გაქცეულიყო და არ გაევრცელებინა დაავადება.[693] შედეგად, ბენტამის საპყრობილის ბინადართა მსგავსად, მოხდა ქალაქის მოსახლეობაზე არა უბრალოდ დაკვირვება, არამედ გამოყენებულ იქნა შემაკავებელი ძალა, გაფრთხილება, რათა მათი ქცევა გაკონტროლებულიყო და ყოფილიყო ისეთი, როგორიც ეს ზედა ეშელონებს სურდათ. ამდენად, ფუკოს აზრით, ბენტამის არქიტექტურული სისტემა გახდა არა მხოლოდ მომავალი სათვალთვალო ტექნოლოგიების საფუძველი, რომელიც მცირე, უხილავ ჯგუფებს მასების ცხოვრებაზე დაკვირვების საშუალებას მისცემდა, არამედ იგი, კანონმორჩილი მოსახლეობის არსებობასაც განაპირობებდა.

პანოპტიკონი ფუკოს შემდგომაც მეცნიერთა კვლევის საგნად რჩებოდა, რომლებმაც აიღეს დიზაინის იდეოლოგიური კონცეფცია და გამოიყენეს იგი ახალი საკომუნიკაციო საშუალებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოსაყენებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია სტენლი კოენი, რომელმაც გამოიკვლია თვალთვალის მრავალი საშუალება, მათ შორის: საზოგადოებრივი სასჯელი, სამეზობლო კონტროლი, პირადი უსაფრთხოება და საჯარო სათვალთვალო კამერები და მიიჩნია, რომ მათ შესაძლებელი გახადეს სოციალური კონტროლის გაფართოება.[694] შედეგად, ყალიბდება არაოფიციალური, პირადი და საზოგადოებრივი კონტროლი, რომელიც ფორმალური სისტემის „ქსელს აფართოებს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართალდამრღვევების მოხვედრას ამ სისტემაში".[695] ამავდროულად, შეიმჩნევა „მარწუხების დაწვრილება", რაც იწვევს „ინტერვენციის საერთო დონის ზრდას, რაც იმას გულისხმობს, რომ ძველი და ახალი სამართალდამრღვევების დევიაციურ ქმედებებს მოსდევს სხვადასხვა დონის ინტერვენცია, რაც, შესაძლოა, მანამდე არ მომხდარა".[696] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეთვალყურეობის სისტემას გააჩნია გაფართოებისა და ზეგავლენის ტენდენცია მრავალი სოციალურ ასპექტზე. მისი მოქმედების არეალი ასევე მოიცავს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს და სწორედ სამეთვალყურეო სისტემის დახმარებით არის შესაძლებელი დიდი ოდენობით ქმედების ჩამდენ პირთა ან პირთა ჯგუფის კრიმინალიზაცია ან მათი სამართალდამრღვევებად ეტიკეტირება.[697]

---

[693] *Foucoult M.,* Discipline and Punish: The Birth of Prison, London: Allen Lane, 1977, 86 (შემდგომში – *Foucoult M.,* Discipline and Punish: The Birth of Prison, გვ.).

[694] *Cohen S.,*Visions of Social Control: Crime, Punishment and Classification, Cambridge: Polity Press, 1985, 256.

[695] იქვე, 44.

[696] იქვე.

[697] *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, 15.

5.2 კომპლექსური მეთვალყურეობა

პანოპტიკური მოდელის კავშირი ყველაზე უფრო აშკარაა სათვალთვალო კამერებთან მიმართებით, მაგრამ სათვალთვალო კამერების სისტემის პანოპტიკური ეფექტები შეზღუდულია.[698] ამ მხრივ გამოსაყოფია სამი ნაკლოვანება:

პირველი: სათვალთვალო კამერების სიტემები, რომლებიც მოქმედებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაგალითად, ქუჩებში, ვერ ახერხებს უწყვეტად დაკვირვებას, რაც უადვილებს მსურველს, იმოქმედოს მართლსაწინააღმდეგოდ, შეუმჩნევლად, კამერის ობიექტივში გამოჩენის გარეშე.

მეორე: მაშინაც კი, როდესაც კამერები დევიაციურ ქმედებას აფიქსირებენ, დროული მობილიზაციისა და რეაგირების შესაძლებლობები შეზღუდულია. უმრავლეს შემთხვევაში, სათვალთვალო კამერების ოპერატორები თავადვე არ არიან უფლებამოსილნი, ჩაერიონ შესაბამის ინციდენტში ან მოითხოვონ პოლიციის სწრაფი რეაგირება.

მესამე: სათვალთვალო კამერების გამასწორებელი ძალა მაშინ ვლინდება, როდესაც ცალმხრივი სრული დაკვირვება ერწყმის დაკვირვების ქვეშ მყოფი ინდივიდის შესახებ დამატებით ინფორმაციას. მიუხედავად ბრიტანეთში უამრავი სათვალთვალო კამერის დამონტაჟებისა, ოპერატორები ვერ ახერხებენ, სათანადოდ დაუკავშირონ პირის გამოსახულება დეტალურ ცოდნასა თუ ინფორმაციას ამ პირის შესახებ.[699] აღნიშნული იწვევს ზოგიერთი სათვალთვალო კამერის, როგორც პანოპტიკონის, შეზღუდვას. მარტივად რომ ითქვას, პოლიციას მომხდარი დანაშაულის ჩანაწერის ნახვის შემდეგ აქვს ნაკლები შესაძლებლობა, გაატაროს ქმედითი ზომები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მანამ, სანამ დამატებითი ინფორმაცია (სახელი, ადგილსამყოფელი, მისამართი, ნასამართლობა და ა.შ.) არ იქნება მოპოვებული ქმედების ჩამდენი პირის შესახებ.[700]

ამის მიუხედავად, დაკვრიების სიღრმისეულობა და ინტენსივობა შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა ტექნოლოგიათა (მაგალითად, ციფრული სათვალთვალო კამერების სისტემის და კომპიუტერების მონაცემთა ბაზების) და ინსტიტუციების (პოლიციის და დაცვის კერძო სამსახურების) ურთიერთდაკავშირებით. კრიმინოლოგები კევინ ჰაგერთი და რიჩარდ ერიქსონი იხსენიებენ ოდესღაც დისკრედიტებულ სათვალთვალო სისტემის კონვერგენციას „კომპლექსურ

---

[698] *Norris C. and Armstrong G.*,The Maximum Surveillance Society: The Rise of CCTV, Oxford: Berg, 1999, 20. (შემდგომში – *Norris C. and Armstrong G.*,The Maximum Surveillance Society: The Rise of CCTV, გვ.).

[699] *Norris C.*, From personal to digital: CCTV, the panopticon, and the technological mediation of suspicion and social control, in *Lyon D.* (ed.), Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003, 251 (შემდგომში – *Norris C.*, From personal to digital: CCTV, the panopticon, and the technological mediation of suspicion and social control, გვ.).

[700] *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, British Journal of Sociology, 51(4), 2000, 605-622 (შემდგომში – *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, გვ.).

მეთვალყურეობად"[701] და ამტკიცებენ, რომ ჩვენ გავხდით მოწმეები „გამქრალის გაქრობისა". ეს აჩენს კითხვას, ხომ არ ჩაანაცვლა ჩვენმა „ელექტრონულმა პიროვნულობამ" „ნამდვილი" პიროვნულობა, როდესაც პირის შესახებ ინფორმაცია (არ აქვს მნიშვნელობა – ვიზუალური თუ ვერბალური) შეყვანილია კონკრეტულ სათვალთვალო სისტემაში, მისი პიროვნება „დადგენილია" იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ცნობები „არასწორია", როგორც დგინდება პირის იურიდიული იდენტობა, მისი ცხოვრების დასაწყისიდან დასასრულამდე არსებული ცნობებისა თუ ფაქტების მიხედვით (დაბადების მოწმობით, პასპორტით, სამუშაო სტაჟით, სამედიცინო თუ სტომატოლოგიური ჩანაწერებით, ნასამართლობის ისტორიით, სიკვდილის შემდგომ („პოსტ მორტემ") გარდაცვალების ცნობით და ა.შ.),[702] ასევე შესაძლებელია დადგინდეს პირის იდენტობა დოკუმენტების გარეშე, მასზე ვიზუალური დაკვირვების განხროციელებით.[703]

კომპლექსური მეთვალყურეობა იმაზე მეტია, ვიდრე სათვალთვალო კამერის ერთჯერადი ქმედება. თუ ჩატარდება სათვალთვალო კამერების მიერ „ჩვეულებრივი" მოქალაქეების დაკვირვების შემთხვევების ანალიზი, აღმოჩნდება, რომ საუბარია არა ერთ, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებულ უამრავ კამერაზე, კომპიუტერზე, ტელეკომუნიკაციის საშუალებებსა და ხალხზე. ერთად აღებული ხალხისა და ტექნიკის ეს ერთობლიობა კი ქმნის „კარცერულ საზოგადოებას",[704] რომელშიც ყოველდღიური ცხოვრების უფრო და უფრო მეტი ასპექტი ექვემდებარება კონტროლსა და დისციპლინურ რეჟიმს, როგორც ეს ხდება ციხეში. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს „კომპლექსურ მეთვალყურეობას", რაც, თავის მხრივ, ხორციელდება იმისთვის, რომ მოხდეს საზოგადოების ადვილად დამორჩილება და მათთვის იმ განცდის ჩანერგვა, რომ მათ ყველა ფეხის ნაბიჯზე უთვალთვალებენ.[705] ქვემოთ განხილული იქნება კომპლექსური მეთვალყურეობის ის სახეები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება დღევანელ რეალობაში.

5.2.1 სხეულის კონტროლი

წარმატებული მეთვალყურეობის საკითხი უკავშირდება ადამიანის სხეულის კონტროლის ზუსტ დაკვირვებასა და აღრიცხვას. ადამიანთა ცალკეული ჯგუფების დაკვირვება შესაძლებელია სხვადასხვა ელექტრონული მოწყობი-

---

[701] იქვე, 619.

[702] *Finch E.*, The problem of stolen identity and the Internet, in *Jewkes Y.* (ed.), Crime Online, Cullompton: Willian, 2003; 2007 (შემდგომში – *Finch E.*, The problem of stolen identity and the Internet, გვ.). შდრ. *Foucoult M.*, Discipline and Punish: The Birth of Prison.

[703] *Poster M.*, The Mode of Information, Chicago: University of Chicago Press, 1990,91 (შემდგომში – *Poster M.*, The Mode of Information, გვ.).

[704] *Foucoult M.*,Discipline and Punish: The Birth of Prison, 89.

[705] *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, 609.

ლობების დახმარებით, მათ შორის, იმ მოწყობილობით, რომელიც ინფორმაციას იღებს ადამიანის სხეულთან კონტაქტის შედეგად.[706] ამ უკანასკნელში მოიაზრება „ელექტრონული მონიშვნის" სხვადასხვაგვარი ფორმები. მაგალითად, ჩვილ ბავშვებს მაჯაზე ან კოჭზე უკეთებენ სამაჯურს, რომელიც აღრიცხავს ბავშვის არა მხოლოდ პირად და სამედიცინო ინფორმაციას, არამედ, ტეხს განგაშს, როდესაც ბავშვი დატოვებს „უსაფრთხო ზონას".[707] იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ფლეშ-ტექნოლოგიით ინფორმაციის გადაცემის საშუალებები, საკმარისია დავასახელოთ პირობითი მსჯავრის მქონეთა ელექტრონული კონტროლი, ასევე, შინაური ცხოველების კანში შეყვანილი მიკროჩიპები, რომლებიც ყველა სახის ინფორმაციას გადასცემს. შედარებით არაპირდაპირი დაკვირვების სახეს წარმოადგენს დისტანციური დაკვირვება, რომელიც ხორციელდება კომპიუტერის დახმარებით ოფისებსა თუ მაღაზიებში და მოიცავს თანამშრომელთა „სხეულის ენაზე" თვალთვალს იმის შესამოწმებლად, მართლაც ასრულებენ თუ არა ობიექტები მათი უფროსების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს კლიენტებთან ურთიერთობისას.

იდენტიფიცირების ტექნიკის მეშვეობით, ინდივიდებისა და კონკრეტული ჯგუფების სხეულების დაკვირვების გარდა, ხორციელდება მოსახლეობის სრული მეთვალყურეობა. მასში იგულისხმება პიროვნების დადგენის „ბიომეტრიული" საშუალებები, რომლებიც მოიცავს პირის ფიზიკურ მონაცემებს – თითისა თუ ხელის გულის ანაბეჭდებს, თვალის (რეტინას) სკანირებას, სხეულის მიერ გამოყოფილი სეკრეციული სითხის პარამეტრებს და ა.შ. საზოგადოების გლობალური მეთვალყურეობის საფუძველზე პირის იდენტიფიცირება აღარ ხდება დოკუმენტაციით (მაგ.: პასპორტით ან საკრედიტო ბარათით), არც იმით, თუ რა იცის თავად პირმა (მაგ.: პირადი ნომერი თუ ე.წ. „პინი") არამედ იმით, თუ ვინ არის იგი – სხეულის უნიკალური ნაწილების ერთობლიობით.[708] აღსანიშნავია ისიც, რომ ბიომეტრიული იდენტიფიკაციის პრიმიტიული ფორმები არსებობდა საუკუნეების წინაც, თუმცა ფოტოგრაფიისა და თითის ანაბეჭდების გაშიფვრის სისტემის განვითარებას ხელი შეუწყო იმან, რომ 19-ე საუკუნის მიწურულს ადმინისტრაციულ ორგანოებში დაიწყო ცენტრალიზაციის და ბიუროკრატიზაციის პერიოდი. თითის ანაბეჭდები კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ როგორ გაიზარდა მისი გამოყენება სამეთვალყურეო მიზნებისთვის: ოდესღაც საგამოძიებო ორგანოები ასახავდნენ დამნაშავეთა თითის ანაბეჭდებს შემდგომში მათი იდენტიფიკაციის მიზნით, დღეისათვის კი დაკვირვების ეს საშუალება აერთიანებს როგორც

---

[706] იქვე.

[707] *Jewkes Y.*,Media and Crime, 215.

[708] *Lyon D.*, Surveillance Society: Monitoring Everyday Life, Buckingham: Open University Press, 2001 (შემდგომში – *Lyon D.*, Surveillance Society: Monitoring Everyday Life, გვ.).
აგრეთვე იხილეთ: *Aas K. F.*, Sintencing in the Age of Information: From Faust to Macintosh, Glasshouse-Cavedish, 2005.

ბანკების პრივილეგირებულ კლიენტებს, ისე კლუბის წევრებს, თვითმფრინავით ხშირად მოსარგებლე მგზავრებსა და ბიბლიოთეკის სტუმრებსაც.[709] დანაშაულის გამოძიების სფეროში ტრადიციული თითის ანაბეჭდების მეთოდი ჩაანაცვლა „გენეტიკური თითის ანაბეჭდების" საშუალებებმა, რომელსაც, როგორც წესი, დნმ-ის ანალიზს უწოდებენ. მრავალი დანაშაული, მათ შორის, რამდენიმე ათეული წლის წინ ჩადენილი, რომლებიც აქამდე გამოუძიებელი იყო, უკანასკნელ პერიოდში სწორედ დნმ-ის ანალიზის საშუალებით გაიხსნა – ანალიზები ჩაუტარდა სამოსელს, იარაღს და სხვადასხვა საგნებს, რომლებსაც დამნაშავე შეეხო და გამომძიებლებს ხელში ჩაუვარდათ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დნმ-ი შეიცავს ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო მონაცემებს, არც ეს სისტემაა უნაკლო. თუნდაც მოხდეს დნმ-ის საშუალებით პიროვნების იდენტიფიკაციის სისტემების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა, სავარაუდოა, რომ პროფესიონალი დამნაშავეები და ტერორისტები პოლიციას ერთი ნაბიჯით გაასწრებენ, რადგან შესაძლებელია დნმ-ის კლონირებაც, „გადანერგვაც", ხოლო თვითმკვლელი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სრულიად უსარგებლოა საიდენტიფიკაციო ნიშნები.[710]

5.2.2 მეთვალყურეობა როგორც რისკ-ფაქტორების გამოვლენის საშუალება

დღესდღეობით მეთვალყურეობა თამაშობს მთავარ როლს სოციალური კონტროლის სტრატეგიულ სფეროში – თუკი იგი ოდესღაც „რეაქციულ" ხასიათს ატარებდა (მოქმედებას იწყებდა კანონდარღვევის შემდეგ), შემდგომ „პროაქციული" გახდა (ე.ი. ემსახურება კანონდარღვევის პრევენციას). ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა წარმოადგენს დანაშაულის რისკების დადგენის სტრატეგიების მხოლოდ ერთ-ერთ სახეს, რომელშიც, გარდა ამ უკანასკნელისა, მოიაზრება პატიმრებისა და პირობით მსჯავრდებულთა რისკების შეფასების სტრატეგიებიც, სქესობრივ დამნაშავეთა ეროვნული რეესტრი და საზოგადოების გაფრთხილების ვალდებულება, როდესაც მსგავსი დანაშაულის ჩამდენი პირები ტოვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, არქიტექტურული თვალსაზრისით ქალაქების იმდაგვარად დაგეგმარება, რაც ხელს უშლის დანაშაულის გავრცელებას და ა.შ.[711]

---

[709] *Van der Ploeg I.*,Biometrics and the body as information: normative issues of the socio-technical coding of the body, in *Lyon D.*, Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003, 60.

[710] *Jewkes Y.*,Dotcons: Crime, Deviance and Identity on the Internet, Collumpton: Willian, 2003a.

[711] *O'Malley P.*, "Governmentality", in *McLaughlin E. and Muncie J.* (eds) The Sage Dictionary of Criminology, London: Sage, 2001, (შემდგომში – *O'Malley P.*, "Governmentality", გვ.). აგრეთვე იხილეთ: *Stenson K.*,The new politics of crime control, in *Stenson K. and Sullivan R. R.* (eds) Crime, Risk and Justcie: the Politics of Crime Control, in Liberal Democracies,Cullompton: Willan, 2001 (შემდგომში – *Stenson K.*,The new politics of crime control, გვ.).

მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში მეცნიერთა კვლევის საგანს წარმოადგენდა „განკურნების საშუალების“ აღმოჩენა, რომელიც „მოარჩენდა“ იმ „დაავადებას“, რომელიც პიროვნებას უბიძგებს, დანაშაულის ჩასადენად. თუმცა უკანასკნელმა წლებმა გვიჩვენა, რომ სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემაში დანაშაულის შესახებ არსებულმა მოძღვრებებმა მარცხი განიცადეს, ხელისუფლებაში მყოფებმა უარი თქვეს ლიბერალიზმზე და შეითვისეს ავტორიტარული პოპულიზმის ენა -- იყენებენ, რა მსგავს ტერმინებს: „ციხე მუშაობს“ (prison works), „ნულოვანი ტოლერანტობა“ ან მკაცრი პოლიტიკა დანაშაულის წინააღმდეგ (tough on crime).[712]

მმართველობის ახალი მიდგომები ასევე აისახება „კლასიკურ“ კრიმინოლოგიურ თეორიებში, რომელთა მიხედვითაც, დანაშაულებრივი მოქმედება შესაძლებლობაზე დამყარებული (ანუ პირი ჩაიდენს დანაშაულს, თუ ექნება ამის შესაძლებლობა) და ნორმალურია – არ საჭიროებს დამატებით უსარგებლო მოწესრიგებას დამნაშავის მიმართ. სწორედ ზემოაღნიშნული თეორიული ხედვის გამოა, რომ აღმოცენდა **სიტუაციური დანაშაულის პრეცენციის** ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ დამნაშავეს წაართვას დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სიტუაციური დანაშაულის კონტროლის მეთოდები მიზნად ისახავს, გამოავლინოს გარემოსათვის „შეუფერებელი“ ინდივიდები და გაატაროს „გაწმენდითი“ ღონისძიებანი მათგან თავის ასარიდებლად. ამგვარი მიდგომით ხერხდება საფრთხის იდენტიფიცირება და რეაბილიტირება, იაფი საშუალებებით – ქმედების ჩამდენთა დისლოკაცია, რითიც მათ დევიაციური ქმედების ჩადენის გზები ეკვეთებათ. ეს მოქმედებები კი ლიტერატურაში აღიქმება არა უბრალოდ დანაშაულის კონტროლის მექანიზმად, არამედ, ხდება დამნაშავეთა მართვაც.[713]

იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოების რაოდენობრივი დაყოფა მათი იდენტიფიკაციის, კლასიფიკაციის და დიფერენციაციის მიზნით, აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს საფრთხის მართვისა და შესაძლო რისკის გამოვლენის მთელი რიგი სტრატეგიები. ასეთ დროს რთული არ არის იმის დანახვა, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს მეთვალყურეობა ამ პროცესში. დღევანდელ რეალობაში, როდესაც საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა უარყოფითი თვისება ადვილად იჩენს თავს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანებსა და ორგანიზაციებს სულ უფრო ხშირად შთააგონებენ, რომ ისინი პოტენციური მსხვერპლები არიან, რათა თავად გაუმკლავდნენ მოსალოდნელ რისკებს. სწორედ ამიტომ, დანაშაულის მართვა ხდება არა მხოლოდ პოლიციისა და სამართალდამცავების მიერ, არამედ, აგრეთვე, სადაზღვევო ინდუსტრიის, თავად საზოგადოების, დამსაქმებლებისა და სხვათა მიერ.[714] ხშირად განიმარტება, რომ დაკვირვების მეთოდები

---

[712] *Stenson K.*,The new politics of crime control, 18.

[713] *Simon, J.*, Governing through crime, in *Fisher G. and Friedman L.* (eds) The Crime Conundrum: Essays on Criminal Justice, Boulder, CO: Westview Press, 1997, 188.

[714] *O'Malley P.*, "Governmentality", 207.

აუცილებელია იმ რისკ ჯგუფების აღმოსაჩენად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკურ სტაბილურობასა და სოციალურ წესრიგს. მაგალითად, ინგლისსა და უელსში საპოლიციო უწყებებს ჰქონდათ უფლება, ნებისმიერი დაკავებულისაგან და მოწმეთაგან აეღოთ დნმ-ის ნიმუშები, რომელთაც ინახავდნენ საკუთარ ბაზაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება და აღმოიფხვრა ეს შემაკავებელი „ბლანკეტური და გაურკვეველი" პოლიტიკა, რის შემდეგაც კანონდამრღვევების დნმ-ი შეინახება სამუდამოდ, ხოლო უდანაშაულო პირების, მათი, ვინც ერთხელ დააკავეს, მაგრამ ბრალი ვერ დაუმტკიცეს, უნდა განადგურდეს 6 წლის შემდეგ.

მრავალი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ რისკების დადგენის პოლიტიკით მართულ საზოგადოებაში თითოეული ადამიანი ხდება დაკვირვების ლეგიტიმური ობიექტი.[715] კრიტიკის საგანია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ დნმ-ი ინახავს იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე პიროვნების საიდენტიფიკაციო ნიშნებია. იგი შეიცავს სრულ გენეტიკურ ინფორმაციას. ასეთ დროს რასიზმის საფრთხე საკმაოდ დიდია. საქმე იმაშია, რომ ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცების თვალთვალი დისპროპორციულად ხორციელდება. ინგლისში, მონაცემთა ბაზაში შავკანიანთა საერთო რაოდენობა 40%-ს აღწევს, ხოლო თეთრკანიანი მამაკაცებისა – 9%-ია.[716] ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერმა, პროფესორმა სერ ალეკ ჯეფრისმა, რომელმაც დნმ-ი აღმოაჩინა, საჯაროდ დაგმო მისი გამოყენება „შესაძლო სამომავლო ბრალეულობის პრეზუმფციის დადგენის მიზნით".[717]

იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს გენმა სამომავლო ნარკოდამოკიდებულებაზე, სექსუალურ ორიენტაციასა და დანაშაულებრივ ტენდენციებზე, მრავალი კვლევა ჩატარდა. ბევრი ამტკიცებს, რომ დნმ-ის დამუშავებით შეიძლება მოხერხდეს სოციალური განლაგების ადმინისტრირება, რაც მიგვიყვანს „ახალ, მამაც სამყარომდე", რომელიც დაეფუძნება გენეტიკურ კონტროლს. ამ პოზიციის მოწინააღმდეგეები უთითებენ, რომ, თუ არაფერი გაქვს დასამალი, არც არაფრის უნდა გეშინოდეს და აღნიშნავენ, რომ დნმ-ის დახმარებით სამართალდამცავებმა შეძლეს მრავალი დანაშაულის გახსნა, მეტიც, რამდენიმე წლის წინ ჩადენილი დანაშაულებისაც კი. თუმცაღა, ბევრი კრიტიკოსის ეჭვი იმის თაობაზე, რომ მმართველები „დაბლა დაკიდებულ ხილს" უმიზნებენ, დაეფუძნა ფაქტს, რომელმაც 2010 წლის თებერვალში გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციიდან[718] გამოჟონა. გაირკვა, რომ დნმ-ის მონაცემთა ბაზაში ინახება

---

[715] *McCahill M. and Norris C.*, Literature Review: Working Paper No. 2 (შემდგომში – *McCahill M. and Norris C.*, Literature Review: Working Paper No. 2, გვ.).

[716] *Jewkes Y.* ,Mediaand Crime,218.

[717] *Casciani D.*, Q&A: The national DNA database (BBC News 7 May 2009). <**http://news.bbc.co.uk/1/hi/uk/7532856.stm**> [2.06.2014].

[718] Home Office – გაერთიანებული სამეფოს მთავრობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია საიმიგრაციო, უსაფრთხოების და კანონისა და წესრიგის დაცვაზე.

თითქმის ერთი მილიონი უდანაშაულო ადამიანის დნმ-ი, მაშინ, როდესაც, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მრავალი ათასი მსჯავრდებულის დნმ-ის მოპოვება.[719] მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდურ მედიაში დანაშაულთან ბრძოლაში დნმ-ს ხშირად „ჯადოსნურ იარაღად" მოიხსენიებენ, პოლიციის მაღალჩინოსანთა ასოციაციის (ACPO) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინგლისის პოლიციის 2009 წლის მონაცემებით, 4,9 მილიონი დანაშაულიდან მხოლოდ 33 000 გაიხსნა დნმ-ის მონაცემთა ბაზის საშუალებით. ამ სტატისტიკის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ დნმ-ის მონაცემები დიდად არ უწყობს ხელს დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლის ზრდას.[720]

5.2.3 უსაფრთხოება და „კიბერმეთვალყურეობა"

მეთვალყურეობასთან დაკავშირებით კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყოფა უსაფრთხოების ორი ასპექტი: პირადი უსაფრთხოება დანაშაულისგან დასაცავად (მაგ.: უცხო პირისაგან თავდასხმის წინააღმდეგ) და ტერორისტული აქტისგან დამცავი უსაფრთხოება. პირად უსაფრთხოებასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ მასების მართვისა და კაპიტალიზმის პროცესებმა განაპირობა ურბანული სივრცის დანაწევრება და განმტკიცება, ხოლო ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ასეთ ზონებში, გაუჩნდათ დაუცველობის განცდა. აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ ასეთ ზონებში უამრავი სათვალთვალო კამერაა განთავსებული და იქ მცხოვრებთ უჩნდებათ შიში და ამავდროულად უვითარდებათ აგრესია იმის გამო, რომ მათი ყველა ფეხის ნაბიჯი კონტროლდება. გარდა ამისა, სათვალთვალო კამერები განთავსებულია ადვილად შესამჩნევ ადგილებზე, რაც იწვევს განცდას, რომ ტერიტორია არის დაუცველი, ხოლო ქუჩები – სახიფათო. შედეგად, მოსახლეობა ნაწევრდება და იწყება სეგრეგაციისა და გეტოიზაციის პროცესი. მაგალითად, პერსონალური და სახლის უსაფრთხოების საშუალებები (მათ შორის, კერძო სათვალთვალო კამერები) ერთნაირად პოპულარულია როგორც ურბანულ ტერიტორიებზე, ისე – გარეუბნებში. ბრიტანელი არქიტექტორები და დაგეგმარების სპეციალისტები მიჰყვებიან ამერიკულ მაგალითს და იყენებენ შემოსაზღვრულ საცხოვრებლებს მაღალი კედლებით, პირადი მონაცემებით დაცულ შესასვლელებსა და 24-საათიან სათვალთვალო სისტემას.[721]

არსებობს ეჭვი, რომ მეთვალყურეობის ტექნოლოგიებმა საჯარო და პირად სფეროებს შორის მიჯნის რადიკალური დესტაბილიზაცია მოახდინა. პირადი

---

[719] *Travis A.*, DNA database missing profiles of thousands of prisoners (Guardian, 18 February 2010). <http://www.guardian.co.uk/politics/2010/feb/18/prisoners-dna-database> [2.06.2014].

[720] *Travis A.*, "DNA matches solve only a fraction of crimes, police admit" (Guardian, 5 January 2010) <http://www.guardian.co.uk/politics/2010/jan/05/dna-database-crime-police-vaz> [2.06.2014].

[721] *Townsend M.*,Panic-room is a must-have for rich and famous, Observer, 23 June, 2003. <http://www.theguardian.com/world/2002/jun/23/terrorism.theobserver> [02.06.2014].

ცხოვრების შელახვა წარმოადგენს თვალთვალის ყველაზე უარყოფით ფაქტორს,[722] თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ტერორიზმის შიშმა საზოგადოება უფრო ტოლერანტული გახადა მეთვალყურეობის მიმართ. 2001 წლის სექტემბერში ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი ტოტალური დაკვირვების გამართლებას. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ისევე, როგორც სხვაგან, პირადობის დამადასტურებელი ბარათები (identity cards), ხელისუფლების აზრით, პანაცეაა არალეგალური იმიგრაციის, დანაშაულისა და ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად. თუმცაღა „ჭკვიანი" პირადობის დამადასტურებელი ბარათები ინახავენ ინფორმაციის ძალიან ფართო სპექტრს და მოიცავს ეროვნულ საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მძღოლის ლიცენზიას, ჯანმრთელობის მდგომარეობის დეტალებს, ინფორმაციას პასპორტზე და ელექტრონული ფულის აპლიკაციებს, ასევე, თვალის სკანირებასა და თითის ანაბეჭდებს. სწორედ ამიტომ ხშირად აღინიშნება, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა კრიმინალებს (ან არალეგალებს) გაურთულა წარსულის არასასურველი ინფორმაციის დამალვა.[723]

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითორი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტი წამოიჭრება:

პირველი – არასდროს ყოფილა პრიოვნების იდენტიფიკაციის/მონაცემების გაყალბება ისეთი იოლი, როგორც ეს ახლაა შესაძლებელია.[724] ინტერნეტის დახმარებით საიდენტიფიკაციო მონაცემების ქურდობა დიდ პრობლემად იქცა.[725] როგორც კრიმინოლოგი ფინჩი აღნიშნავს, დოკუმენტების „ფიქსაციის კარცერული ქსელი" საშუალებას იძლევა, რომ პიროვნების პირადი მონაცემები მისაწვდომი გახდეს ინტერნეტის საშუალებით და ქურდს გამოსაყენებლად აძლევს „ახალ საიდენტიფიკაციო მრავალ მონაცემს".[726] მეტიც, მცირე მნიშვნელობის დოკუმენტების შეკრებით შესაძლებელია მეტად დიდი ინფორმაციის შეგროვება. ინტერნეტის საშუალებით ძალიან ბევრი მონაცემის მოპოვება არის შესაძლებელი, მათ შორის, ყალბი პასპორტების, მართვის მოწმობების, დაბადების მოწმობების, თუ ელექტრონული პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN-ის) და საკრედიტო ბარათების ნომრების.[727]

მეორე – არ არის აუცილებელი ყველა დამნაშავესა და ტერორისტს ჰქონდეს გაყალბებული საიდენტიფიკაციო მონაცემები. კომპლექსური საიდენტიფიკაციო

---

[722] *Lyon D.,* Surveillance Society: Monitoring Everyday Life, 56.

[723] *Finch E.,*The problem of stolen identity and the Internet, 33.

[724] იქვე, 93.

[725] იქვე, აგრეთვე იხილეთ: *Jewkes Y.,*Policing the net: crime, regulation and surveillance in cyberspace, in *Jewkes Y.* (ed.), Dot.cons: Crime, Deviance and Identity on the Internet, Cullompton: Willan, 2003b.

[726] *Finch E.,* The problem of stolen identity and the Internet, 33.

[727] *Stalder F. and Lyon D.,* Electronic identity cards and social classification, in *Lyon D.* (ed.) Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003 (შემდგომში – *Stalder F. and Lyon D.,* Electronic identity cards and social classification, გვ.).

სისტემაც კი უძლური აღმოჩნდა პენტაგონსა და მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე 2001 წლის სექტემბრის განხორციელებულ ტერაქტის დროის:

„ტერორისტების უმეტესობას ჰქონდა ვიზა და „სუფთა" კრიმინალური წარსული. პირადობის დამადასტურებელი ბარათების შესამოწმებელი სამივე მონაცემი – დოკუმენტის ლეგიტიმურობა, მისი მფლობელთან კავშირის დადასტურება და ეჭვმიტანილთა სიის სწრაფი გადამოწმება არაფრის მთქმელი აღმოჩნდა, რადგანაც დოკუმენტები ლეგიტიმური იყო და ტერორისტთა უმეტესობა არ იყო ეჭვმინატილთა სიაში. ტერორისტები, განსაკუთრებით თვითმკვლელები, დამნაშავეთა სპეციფიკურ კლასს მიეკუთვნებიან. ისინი იშვიათად არიან ნასამართლევნი და მათი მონაცემები ხშირად არაფერს ამბობს. თვითმკვლელი ტერორისტები კი დანაშაულის გამეორებას ვეღარ ახერხებენ".[728]

მიუხედავად მრავალგვარი მეთოდისა, სახელმწიფო მეთვალყურეობა მკვლევართა ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობს. ტერორიზმის შიშმა აიძულა საზოგადოება, მხარი დაეჭირა ამგვარი დაკვირვებისთვის. მრავალი პოლიტიკური ანალიტიკოსი, ადამიანის უფლებათა დამცველი თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი გამოთქვამს შეშფოთებას არასტაბილურობის პირობებში სახელმწიფოს ძლიერ ბერკეტებზე.[729] მაგალითად, 2002 წელს ბრიტანეთში შინაგან საქმეთა მინისტრმა წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც, ყველა ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებას და მრავალ საჯარო უწყებას ექნებოდა წვდომა ტელეფონებთან, ელ. ფოსტასთან და ინტერნეტში დაცულ მონაცემებთან.[730] მეტიც, აშშ-ში 9/11-ის საწინააღმდეგო საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა „ამერიკის პატრიოტული აქტი" (USA Patriot Act), რომელიც ძალაში შევიდა ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე თავდასხმიდან ერთი თვის შემდეგ. ამ აქტმა გაამყარა ბიზნეს სექტორის ვალდებულებები, მიეწოდებინათ გამოძიების ფედერალური ბიუროსა (FBI) და ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებისთვის (ISP) ინფორმაცია კლიენტებზე. ასევე, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ადმინისტრაციებს დაევალათ უცხოელი სტუდენტების კონტროლი და მათ შესახებ სამედიცინო ცნობების მიწოდება გამოძიებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემჩნეული იქნებოდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში.[731] სხვადასხვა ქვეყნის რეაქციები იწვევს კონტროლის დონის განსხვავებულობასაც. მაგალითად, საუდის არაბეთში ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლებს ევალებათ, შეინახონ ყველა ინტერნეტ-მომხმარებლის მონაცემები და თვალი ადევნონ მათ აკრძალულ საიტებზე შესვლისგან დაცვის მიზნით. რამდენიმე ევროპულ ქვეყანაშიც გაიზარდა ინტერნეტ-

---

728 *Stalder F. and Lyon D.,* Electronic identity cards and social classification, 85.

729 *Haggerty K. D. and Ericson R. V.,*The surveillant assemblage, 609.

730 იხ. *Edwards L., Rauhofer J. and Yar M.,*Recent Developments in UK Cybercrime Law და *Walden I.,*Computer forensics and the presentation of evidence in criminal cases in *Jewkes Y.* and *Yar M.* (eds) Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

731 *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, 17.

მომხარებლებზე დაკვირვების ხანგრძლივობა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში 2001 წლის „ანტიტერორისტული აქტის" ძალით ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებსა და სატელეფონო კომპანიებს, დაევალათ ერთი წლით შეენახათ მონაცემები.[732]

კომუნიკაციებისა და გადაადგილების ტოტალური კონტროლის პირობებში ადამიანები თავს დაცულად ვერ გრძნობენ, მით უმეტეს, რომ ამ მეთოდებმა ამერიკაში 2001 წლის სექტემბერში შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ ტერორისტული აქტის შემდგომ პერიოდში გაჩნდა პოტენციურ დამნაშავეთა უფრო სპეციალიზებული სია, რომლის მიხედვით, ყველა „არაბული" ან „მუსულმანური" წარმოშობის ადამიანი გადის ინტენსიურ დაკვირვებასა და შემოწმებას სასაზღვრო პუნქტებსა თუ აეროპორტებში.[733] სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია ის განცდაც, რომ დაკვირვება ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, ან სულაც არ არის დისკრიმინაციული და ემსახურება არა ტერორისტების გამოვლენას, არამედ – რაღაც სხვა მიზნებს. მაგალითად, ესპანეთში ანტიგლობალისტების პროტესტი მიმართული იყო სპეცსამსახურების წინააღმდეგ იმის გამო, რომ სამართალდამცავები მათ ტერორისტებთან აიგივებდნენ და ამ მიზნით ინტენსიურ მეთვალყურეობას ახორციელებდნენ.[734] ამერიკული ინტელექტუალური საძიებო აგენტი „ეშელონი", რომელსაც შეუძლია კომერციული კომუნიკაციების სატელიტების კონტროლი, კომპლექსური მოსასმენი აპარატია, შექმნილია ტერორისტული აქტებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი მეშვეობით ხდებოდა მნიშვნელოვან პირად და კომერციულ ინფორმაციაზე წვდომა.[735]

რასაკვირველია, არ არის აუცილებელი, მეთვალყურეობა მხოლოდ ტექნოლოგიური საშუალებებით ხორციელდებოდეს. პანოპტიკონის ძირითადი არსი მხოლოდ ერთ, პრიმიტიულ განათების სისტემაში დევს, რომელიც პარანოიასა და შიშს იწვევს. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმები მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშეც აღწევდნენ სასურველ მიზანს; მაგალითად, რუმინელმა დიქტატორმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ და ერაყის ყოფილმა ლიდერმა სადამ ჰუსეინმა მასებში დათესეს შიში – დაბალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ისინი უკანონოდ უსმენდნენ ხალხს. ეს მარტივი მეთოდი იქცა ტოტალური კონტროლის მექანიზმად. საიდუმლო პოლიცია კი იყენებდა წამების მეთოდებს, შექმნილს ცენზურის დაცვის მიზნით. მოს-

---

[732] იქვე.

[733] *Lyon D.*,Surveillance as social sorting: computer codes and mobile bodies, in *Lyon D.* (ed.), Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003, 16 (შემდგომში – *Lyon D.*,Surveillance as social sorting: computer codes and mobile bodies, გვ.).

[734] *Coleman R. and McCahill M.*, Surveillance and Crime, 17.

[735] *Hamelink C. J.*, The Ethics of Cyberspace, London: Sage, 2000, 126 (შემდგომში – *Hamelink C. J.*, The Ethics of Cyberspace, გვ.).

მენების სისტემა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოშიც და ახლო წარსულშიც გამოვლინდა მოსმენების რამდენიმე შემთხვევა. ინტერნეტმა გზა გაუკვალა ახალ და პოტენციურად უფრო საშიშ ეტაპს. სამართლის დოქტორი კლერ ვალიე მას „ტრანსნაციონალური შურისძიების ქსელს" უწოდებს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც პირი შეეშალათ ჯეიმს ბულგერის მკვლელ ჯონ ვენებლსში და სოციალურ ქსელშიშეიქმნა გვერდი, სადაც გაჩნდა მოწოდებები მის გასანადგურებლად.[736] მიუხედავად მაღალტექნოლოგიური სისტემისა და შეფარული მეთოდებისა, შეუძლებელია დასავლური მიდგომები უფრო კანონიერად ჩავთვალოთ, ვიდრე ჩაუშესკუსა და ჰუსეინის ქმედებანი. რამდენადაც საგამოძიებო კომუნიკაციებმა ნარკოტიკული კვლევების, ფულის მითვისებისა და ტერორისტები გამოვლინებიდან გადაინაცვლა „ჩვეულებრივი" მოქალაქეების პირადი და კომერციული მიმოწერების, მობილური ტელეფონით საუბრების, ელ. ფოსტებსა და ინტერნეტში ვიზიტის კონტროლზე.

5.2.4 სარგებელი

ყველაზე გავრცელებული სამეთვალყურეო საშუალებების მიმწოდებლები არიან კომპანიები, რომლებიც თავის დროზე სამხედრო აღჭურვილობის მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ. რაც მეტად რთულდება ტექნოლოგიები, მით უფრო ვითარდება სამეთვალყურეო იარაღების წარმოებაც, რაც გამოიხატა ბიომეტრიული მონაცემების შექმნასა და ადამიანთა სახეების აღქმის პროგრამებში.[737]აქვე მართებულია კითხვის დასმა: რა სარგებელი მოაქვს სათვალთვალო კამერებს?

სარგებლის საკითხს საინტერესო სოციალური შედეგები უკავშირდება. როდესაც ფუკომ განმარტა მეთვალყურეობა როგორც იერარქიული სოციალური კონტროლის ფორმა, აღნიშნა, რომ პანოპტიკური თვალთვალის ტექნიკა უფრო მეტს ახერხებს, ვიდრე უბრალოდ დაკვირვება. მისი აზრით, პანოპტიკური ზედამხედველობა მიმართულია სულისკენ, რათა მოხერხდეს მუშა-მოსამსახურეებში თვითკონტროლის მიღწევა, სხვადასხვა საწარმოს განვითარების სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.[738] თუმცა ბაუმანი ამტკიცებს, რომ თვალთვალი ნაკლებად წარმოადგენს სადისციპლინო და რეპრესიულ იარაღს. იგი უფრო მეტად პირთა კლასიფიკაციას ემსახურება. მათი სიმდიდრისა და მოხმარების საგნების მიხედვით, რის შემდეგაც ხდება გარკვეული კატეგორიის ადამიანთა მისაღებად მიჩნევა სავაჭრო ეკონომიკის ინტერესებისთვის.[739] კომპიუტერული ქსელების განვითარების წყალობით შესაძლებელია თითოეული პირის შესახებ ინფორმაციების მოპოვება და კორპორაციებისთვის მათი კლასიფიცირება – მაღალ ან დაბალ „ღი-

---

736 *Valier C.*, Crime and Punishment in Contemporary Culture, London: Routledge, 2004, 103.

737 იხ. <http://www.swiftcover.com/about/press/speed_cameras_cost/> [02.016.2014].

738 *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, 617.

739 *Bauman Z.*, Intimations of Postmodernity, London: Routledge, 1992, 56.

რებულებად", ისევე, როგორც ეს ხდება მაღალი და დაბალი რისკის მატარებელი პირების დანაშაულებრივი ქცევის რისკის შეფასებისას.[740] ამ პროცესს სამი ძირითადი შედეგი მოჰყვება:

პირველი – მეთვალყურეობა შეიძლება გამოდგეს მომხმარებლების ოდენობის შესამოწმებლად სხვადასხვა პირთა დეტალური ინფორმაციების ურთიერთშეჯერებით;

მეორე – ეს ინფორმაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო ქცევისა და სამომხმარებლო საგნების განსაზღვრისთვის, სხვადასხვა კომპანიებში მომხმარებლების შესატყუებლად და, ასევე, ადამიანების იძულებისთვის, შეიძინონ ისეთი საგნები, რომელთაც თავად არ იყიდდნენ. ამით კი შესაძლებელი გახდება კორპორაციების ცოდნის ამაღლება მომხმარებლების ქცევაზე დაკვირვებით;[741]

მესამე – მეთვალყურეობა გამოსადეგია მოსახლეობის დიფერენციაციისათვის, მათი სხვადასხვა ნიშნით შეზღუდვისთვის: საიდენტიფიკაციო მონაცემებით, სამომხმარებლო წესებითა თუ მხარჯველობითი უნარით.

ეს ყოველივე ქმნის პანოპტიკურ სიებს[742] – ხდება ყველა პირის იდენტიფიცირება, შეფასება და მათი დაყოფა იერარქიის მიხედვით, რომელიც შემდეგ გამოიყენება, ცალკეულ ნივთებსა და სერვისებზე, მათი წვდომის გასაკონტროლებლად. დასავლური ქალაქების ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება გარე სათვალთვალო კამერების რაოდენობის გაზრდაზე, რომელიც აღარ თამაშობს უბრალოდ დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლის როლს, არამედ წარმოადგენს ცაში გამოკიდებულ კეთილგანწყობილ, მეგობრულ თვალს, რომელიც აღიქმება „კეთილგანწყობის მიზეზად" მათთვის, ვინც მუშაობს ან დროებით სტუმრობს შესაბამის ადგილს.[743] სავაჭრო ცენტრები იქცა თანამედროვე „კათედრალებად", სადაც პანოპტიკიზმი საპატიმროს ბნელი შეხება აქტიურად ვლინდება გამუდმებულ თვალთვალში.[744] სავაჭრო ცენტრი წარმოადგენს შემოსაზღვრულ, გადახურულ შენობას, რომელიც განცალკევებულია გარემოსგან, სადაც გამუდმებულად აკონტროლებენ ტემპერატურასა და ხალხის მიმოსვლას, რათა მომხმარებლებს საუკეთესო პირობები შეუქმნან. მაგრამ კაპიტალიზმის ამ „კათედრალებშიც" „სუსტები" პოულობენ საკუთარ ადგილს და ზიანსაყენებენ „ძლიერთა ამა ქვეყნისას", აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება პრესდის იდეაც, რომელმაც დაადგინა, რომ სამხრეთ ავსტრალიაში მდებარე ერთ-ერთი ქალაქის ახალგაზრდა, დაუსაქმებელი მოსახლეობის 80% კვირაში ერთხელ მაინც შედის სავაჭრო ცენტრში და აგრესიულად „იკავებს იმათ ადგილს", ვინც იქ ლეგიტიმურად იმყოფება. ეს „უცხოები"

---

740 *Coleman C. and Norris C.,* Introducing Criminology, Cullompton: Willan, 2000, 185.

741 *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, 18.

742 *Gandy O.,* The Panoptic Sort, Boulder, CO: Wesview Press, 1993, 54.

743 *McCahill M. and Norris C.,* Literature Review: Working Paper No. 2

744 *Langman L.,* Neon cages: shopping for subjectivity, in *Shields R.* (ed.), Lifestyle Shopping: The Subject of Consumption, London: Routledge, 1992, 47.

ახალგაზრდები სისტემას, სარგებლობენ სურათებით, სითბოთი და სამომხმარებლო ადგილებით რაიმე საქონლის შეძენის განზრახვის გარეშე. ამასთან, ისინი აგრესიულები არიან „ნამდვილი" მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალის მიმართ. მაიკ პრესდი ჩამოთვლის რამდენიმე მოქმედებას, რომელთა საშუალებით ახალგაზრდა უმუშევრები პრობლემებს უქმნიან სავაჭრო ცენტრის გამართულად მუშაობას: სასმელის დალევას, დაცვის წევრების გამოწვევას, მაღაზიის ვიტრინების გარშემო შეჯგუფებას, რითაც „ნამდვილ" მომხმარებლებს გზას უღობავენ მაღაზიის ბანერებისკენ ან, საერთოდაც, მაღაზიის შესასვლელისკენ.[745] აქედან გამომდინარე ნაკლებ გასაკვირია, რომ სავაჭრო ცენტრების „საპოლიციო" სისტემები უფრო მკაცრი და უკომპრომისო გახდა უკანასკნელ წლებში და აღარ აძლევენ ცენტრში შესვლის უფლებას ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც „კაპიუშონებს" ატარებენ. „არასასურველი" პირების დაშვების აკრძალვას ეკონომიკური საფუძვლები აქვს: „სავაჭრო ცენტრი არსებობს მოგების მიღების მიზნით, საქონლისა და მომსახურების გასაყიდად და არა იმ მიზნით, რომ „სამართალდამრღვევებს" შეუქმნას სათანადო ატმოსფერო, რომლებიც უარს ამბობენ ფულის ხარჯვაზე, რადგან საერთოდ არ გააჩნიათ თანხა".[746]

ამ პროცესებმა წარმოშვა კითხვა: როგორი საზოგადოება არსებობს დღეს? არსებობს საფრთხე, რომ მორალურმა წყობამ შეცვალა სოციალური წყობა,[747] როცა „განსხვავებულობა" აღმოფხვრილია და ვინც შეუსაბამოა, ხშირად ქალაქის ბნელსა და საშიშ კუთხეებშია გადახვეწილი, სადაც „უარყოფითი სურათის შექმნის" მათი უნარი არააარსებითია, რადგან კანონმორჩილი უმრავლესობა მათ ვერ ხედავს.[748] ბევრმა ავტორმა მიუძღვნა ნაშრომი „გაწმენდის" საკითხებს და თანამედროვე საზოგადოებრივი სივრცეების განმარტებას. მაგალითად, ანთროპოლოგი მერი დუგლასის აზრით, „ჭუჭყის" განადგურება ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის პოზიტიური მოვლენაა; სიბინძურე, როგორც წყობილებისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოება, სოციალურ კონტროლს საჭიროებს. უკანასკნელ წლებში ეს იდეა პრაქტიკულად განხორციელდა – აიკრძალა ნაგვის დაყრა, სპირტიანი სასმელების მოხმარება, მოწევა და ავტომანქანით მოძრაობა მრავალი ქალაქის ცენტრში. სოციოლოგმა მაიკლ მაკკეჰილმა ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრზე დაკვირვებისას აღმოაჩინა, რომ აკრძალული იყო ძაღლის შენობაში შეყვანა, ველოსიპედით სეირნობა, ჭამა, იატაკზე დაჯდომა და დაწოლა. თუკი სათვალთვალო კამერის ოპერატორები შენიშნავდნენ ამგვარ მდგომარეობაში მყოფს, საპატრულო დანაყოფი დაუყოვნებლივ აღმოჩნდებოდა შესაბამის ადგილას და მოსთხოვდა პირს „დროულად მოეყვანა საკუთარი სხეული სავაჭრო ცენტრის კომერციული იერ-

---

[745] *Presdee M.*, Agony or Ecstasy: Broken Transitions and the New Social State of Working-class Youth in Australia, South Australian Centre for Youth Studies Occasional Paper, 1986, 13.

[746] *Bocock R.*, Consumption, London: Routledge, 1993, 107.

[747] *Stenson K.*,The new politics of crime control, 18.

[748] *Norris C. and Armstrong G.*,The Maximum Surveillance Society: The Rise of CCTV, 45.

სახის შესაბამისად".[749] ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ „ნაკლოვანი" მომხმარებლები, რომლებზეც დაკვირვება ხორციელდება, წარმოადგენენ ამა თუ იმ ადგილისათვის შეუფერებელ პირებს.[750]

5.2.5 ვოიერიზმი[751] და გართობა

თანამედროვე სამეთვალყურეო და სოციალური კონტროლის სისტემების განვითარებამ გააძლიერა პანოპტიციზმი (როდესაც უმცირესობა უთვალთვალებს უმრავლესობას) და სოციოლოგიურსა და კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში წარმოიშვა ახალი ცნება – **„სინოპტიციზმი"**, სადაც უმრავლესობა აკვირდება უმცირესობას.[752] სინოპტიციზმის გააქტიურება უკავშირდება კამერიანი მობილური ტელეფონების გავრცელებას, რომელთა მომხმარებლები იღებენ იმგვარ მოვლენებს, რომელთა გადაღება არ ყოფილა „დაგეგმილი", ან ისინი, უბრალოდ, ჟურნალისტებზე ადრე აღმოჩნდებიან ხოლმე შემთხვევის ადგილას, გადაღებულ ვიდეომასალებს ტვირთავენ ინტერნეტის მეშვეობით, ზოგ შემთხვევაში მას მიჰყიდიან რომელიმე ეროვნულ სატელევიზიო ქსელს გასავრცელებლად. ზოგი მკვლევარის აზრით, სინოპტიციზმის არსი მდგომარეობს შემდეგში: „სათვალთვალო კადრები წარმოადგენს სკოპოფილისტური[753] ზრახვების დაკმაყოფილების მიზეზს, ძალაუფლების შეგრძნებას, რომ ადამიანს შეუძლია იხილოს ის, რაც, წესით, მისთვის მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო, ზღვარი, სადაც პირადი... ხდება საჯარო".[754]

საკითხი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ სუბიექტი ვინმეს უყურებს, არამედ იმაში, რომ მასაც უყურებენ. 21-ე საუკუნეში დაკვირვების ობიექტად ყოფნას აქვს როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი ასპექტები; სინოპტიკური განვითარება განაპირობებს, რომ გარე სათვალთვალო კამერებით, ვიდეო და ვებკამერით გადაღებული მასალა იქცევა ხოლმე გართობის საგანათაც. სო-

---

[749] *McCahill M.*, The Surveillance Web: The Rise of Visual Surveillance in an English City, Collumpton: Willan, 2002, 128 (შემდგომში – *McCahill M.*, The Surveillance Web: The Rise of Visual Surveillance in an English City, გვ.).

[750] *Douglas M.*, Purity and Danger: An Analysis of Concepts of Pollution and Taboo, London: Routledge and Kegan Paul, 1966, 2.

[751] ვოიერიზმი (ინგლ. Voyeurism) – შიშველი სხეულის ან ინტიმური ურთიერთობების, მათ შორის პორნოგრაფიისა და მისთ. ცქერის სურვილი.

[752] *Mathiesen T.*, The viewer society: Michel Foucault's "Panopticon" revisited, Theoretical Criminology, 1997, 1 (2): 215-234 (შემდგომში – *Mathiesen T.*, The viewer society: Michel Foucault's "Panopticon" revisited, გვ.).

[753] სკოპოფილია (ბერძნ. skopein – ცქერა, ყურება; philos – სიყვარული) – იგივეა, რაც ვოიერიზმი.

[754] *Dovey J.*,The reavelation of unguessed worlds, in *Dovey J.* (ed.), Fractal Dreams: New Media in Social Context, London: Lawrence & Wishart, 1996, 127 (შემდგომში – *Dovey J.*,The reavelation of unguessed worlds, გვ.).

ციალური ქსელის ვებგვერდები, როგორიცაა: Facebook, MySpace, Bebo, LinkedIn და Twitter აღძრავს სურვილს, რომ მომხმარებელმა სხვა დაინახოს და საკუთარი თავიც გამოაჩინოს. ამასთან, „რეალითი შოუს"[755] ჟანრის ჩამოყალიბებამ, საშინაო კინოთეატრის აღჭურვილობამ და მობილური ტელეფონის კამერებმა რევოლუცია მოახდინა სატელევიზიო სივრცეში. ოდესღაც დოკუმენტური გადაცემები და საინფორმაციო პროგრამები „ჩვეულებრივი და უსაფრთხო" იყო, მოყვარულთა მიერ დანაშაულის ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებამ ეს ფორმატები არაორდინალური, ხისტი და საშიში გახადა.[756] თანაც ისინი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ლოკალური სატელევიზიო სადგურებისთვის, არამედ მსოფლიო მოსახლეობისთვისაც YouTube-ის საშუალებით.

ხშირად სათვალთვალო ტექნოლოგიებით მიღებული კადრები გასართობ ხასიათს იძენს. ცნობილია, რომ სათვალთვალო კამერებით გადაღებული კლიპების გამოყენება ახალი ამბების გამოშვებებსა და ისეთ ინტერაქტიულ გადაცემებში, როგორიცაა „Crimewatch UK", ასევე, მსუბუქ გასართობ პროგრამებში, რომლებიც პოლიციისა და სასწრაფო დახმარების სამსახურების მუშაობას ასახავს, ან რომლებიც თაღლითებს, სამართალდამრღვევებსა თუ დამნაშავეებს შეეხება. ასეთი ტანდემი უფრო და უფრო პოპულარული და ინტეგრირებული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეორადი მოხმარებისაა, მაინც სასიამოვნო განცდას ანიჭებს პირს, რომელიც მოკალათებულია კომფორტულ გარემოში და ამავდროულად დანაშაულის „მოწმე" ხდება. საინფორმაციო გამოშვებებში, დოკუმენტურ ფილმებსა და გასართობ შოუებში მრავლად არის გამოყენებული გარე თუ კერძო სათვალთვალო კამერებით გადაღებული ვიდეოები, რომლებშიც ასახულია დამნაშავის დევნა თუ ავიაკატასტროფები. ისინი ინტერნეტით ვაჭრობის საგნადაც არის ქცეული. ბეჭდურ მედიაშიც ხშირად იყენებენ სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულ ვიდეოებს გაზეთისა თუ ჟურნალის გვერდების შესავსებად. სამი ბრიტანული გაზეთის კვლევისას მაკკეჰილმა დაასკვნა, რომ სათვალთვალო კამერები წარმოადგენს სიახლეების წყაროს, რამდენადაც იგი მოიცავს ახალი ამბებისათვის საჭირო მრავალ ასპექტს და უფრო ღირებულს ხდის ისედაც მნიშვნელოვან ამბავს. მისი დაკვირვებით, გადმოცემის მთავარი სტრატეგია მდგომარეობს სათვალთვალო კამერით გადაღებულ კადრებში „ჩვეულებრივი" მოქალაქეებისა და სამართალდამრღვევების პოლარიზებაში. პრესამ შექმნა ცნებები „ჩვენ" და „ისინი". პირველში მოიაზრება კანონმორჩილი მოქალაქეები, ხოლო „ისინი" წარმოადგენენ დაკვირვების ობიექტებს – ყაჩაღებს, ქურდებს, ტერორისტებს და სხვა.[757]

---

[755] რეალითი შოუ (ინგლ. reality television) – სატელევიზიო პროგრამირების ჟანრი, რომელიც ითვალისწინებს წინასწარდაუგეგმავ და შემთხვევითი მოვლენების ჩვენებას და რომელშიც ხშირად მანამდე უცნობი პირები მონაწილეობენ.

[756] *Dovey J.*, The reavelation of unguessed worlds, 129.

[757] იხ. *McCahill M.*, "Media representations of surveillance", in *Mason P.* (ed.), Criminal Visions:

ამრიგად, დაკვირვება საკმაოდ გავრცელებული ფორმაა მედიაზირებულ კულტურაში. მართლაც, ფანტასტიკურ ნაწარმოებში, კომიქსებში, მულტფილმებში, მხატვრულ ფილმებში, რეკლამებსა თუ პოპულარულ მუსიკალურ კლიპებში ჩანს, რომ ისინი სათვალთვალო სისტემების დიდ გავლენას განიცდის. ბევრი მწერალი თუ რეჟისორი მათ საკუთარ ნამუშევრებში იყენებს (მაგალითად, მხატვრული ფილმი – „ჯეიმს ბონდი" და სხვ.). სოციოლოგი გერი მარქსი მიიჩნევს, რომ ამ კულტურულ ნამუშევრებს შეუძლია დაგვეხმაროს სათვალთვალო სისტემის უკეთ გაგებაში ვიზუალური მეტაფორების ალტერნატიული ენის შემოთავაზების გზით (მაგალითად, სტინგის „კლასიკური" პოპ-სიმღერა „Every Breath You Take" გვთავაზობს ყველგანმყოფი და ყოვლისშემძლე დაკვირვების მეტაფორების ჭარბ ოდენობას[758]). ისინი გვახსენებენ, რომ თვალთვალის მნიშვნელობა სადავოა და ხშირად უკავშირება ძალაუფლებას (ჩარლი ჩაპლინის 1936 წლის ფილმი – „Modern Times" წარმოაჩენს სამეთვალყურეო სისტემას როგორც ურთიერთობას მაკონტროლებელსა და გაკონტროლებულს, მენეჯერსა და მუშას შორის). ბევრი კულტურული არტეფაქტი მიუთითებს, რომ სამეთვალყურეო ტექნოლოგიები ღრმა ურთიერთწინააღმდეგობას შეიცავს – მათ შეუძლია დაცვითი ფუნქციებიც იტვირთოს და ძალადობრივიც (შდრ. ბობ დილანის ორი სიმღერა: „Subterranean Home Sick Blues" და „Talkin' John Birch Paranoid Blues"). დიახ, მნიშვნელობა ხშირად არა თავად საგანში, არამედ კონტექსტსა და ინტერპრეტაციაშია ჩადებული (სიმღერის – „Santa Claus is Coming to Town" მიხედვით, სანტამ იცის, როდის გძინავს, როდის გღვიძავს, ასევე – კარგი ხარ თუ ცუდი, ამიტომ იყავით კარგი სიკეთისთვის – ეს წარმოადგენს პანოპტიციზმის ტიპურ მაგალითს). თავისთავად ტექნოლოგიებში არსებითად საშიში და ავისმომასწავებელი არაფერია. იმის კითხვა: რა ეფექტი აქვს პოპულარულ მედიას, რომელიც ქმნის, ხელს უწყობს ან ეწინააღმდეგება სამეთვალყურეო გარემოს? შეუძლია მედიას დაარეგულიროს, შემოსაზღვროს, შეაჩვიოს ან გააუფასუროს თვალთვალი?[759]

მარქსის მიხედვით, დროთა განმავლობაში უნდა მოხდეს კულტურულ ნამუშევრების გადახედვა, რომელთა დეტალური ანალიზი აუცილებელია ტექნოლოგიური ევოლუციისა და თვალთვალის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გააზრებისათვის. მაგალითად, **ვოიერისტული** თვალთვალის ჰიჩკოკის ფილმი – *„Rear Window"* (1954 წ.) გამოვიდა ცივი ომის პიკზე, როდესაც ეჭვი მოსალოდნელ ომზე იმდენად მომძლავრებული იყო ხალხში, რომ ისინი მეზობლებსაც კი არ ენდობოდნენ. სატელევიზიო სერიალი *„The Prisoner"* (1967 წ.) ეთერში გადიოდა მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური პროგრესის შიში შეეჯახა სათანადოდ შე-

---

Media Representations of Crime and Justice, Collumpton: Willan, 2003.

[758] *Marx G. T.*,Electrit eye in the sky: some reflections on the new surveillance and popular culture, in *Ferrell J. and Sanders C. R.* (eds), *Cultural Criminology*, Boston: Northeastern University Press, 1995, 114.

[759] იქვე, 106.

იარაღებული საიდუმლო აგენტის ყველგანმყოფობას, როგორც ეს ფანტასტიკურ სატელევიზიო ნაწარმოებში აისახა. შედარებით გვიანდელ პერიოდში, სპილბერგის ფილმში „*Minority Report*" (2002 წ.) წარმოჩენილია მეთვალყურეობის ახალი ტექნოლოგიები, როგორიცაა სახისა თუ თვალის სკანირება და სხვა მეთოდები. აღნიშნული არის ფილმი, რომელშიც ასახულია ცხოვრება საპოლიციო რეჟიმის პირობებში დაახლოებით 2054 წელს, როდესაც პირების დაკავება ხდება მანამ, სანამ ისინი დანაშაულს ჩაიდენენ. აღნიშნული ფილმი, ერთი მხრივ, წარმოაჩენს, თუ რაოდენ განვითარებული იქნება სამომავლოდ დაკვირვების ტექნოლოგიები და, მეორე მხრივ, ბადებს შეკითხვებს, რამდენად ეთიკურია მხოლოდ წინასწარმეტყველების საფუძველზე ადამიანის მხილება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ჯერ არ მომხდარა.

მარქსის ანალიზით, გასულ საუკუნეში მეთვალყურეობა და დაკვირვება საზოგადოების მიერ სხვადასხვაგვარად შეფასდა; ყველაზე კარგ შემთხვევაში მასზე აზრთა სხვადასხვაობა იყო, ხოლო ყველაზე უარეს შემთხვევაში – პარანოიული და საძულველი შეხედულებები გამოითქმოდა. სამეთვალყურეო ტექნოლოგიების ევოლუციამ უკვე მიაღწია იმ დონეს, რომელიც ჯორჯ ორუელს (მაშინ, როდესაც თავის წიგნ „1984-ზე" მუშაობდა) კოშმარშიც არ დაესიზმრებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი შეხედულებები თვალთვალთან დაკავშირებით კულტურული უწყვეტობის მნიშვნელოვან დონეს უჩვენებს.[760]

5.3 პანოპტიკონიდან კომპლექსურ მეთვალყურეობამდე

რასაკვირველია, ზემოთ განხილული კომპლექსური მეთვალყურეობის კატეგორიები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. შრომით სფეროში გავრცელებული სათვალთვალო სისტემების ზოგადი ანალიზიც საკმარისია სამეთვალყურეო სისტემის ბუნების გასაგებად. როგორც წესი, სამუშაო დაწესებულებებში სამეთვალყურეო სისტემის არსებობა გამართლებული იყო გარე საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, თუმცა დღესდღეობით სათვალთვალო ტექნოლოგიებმა უფრო ღრმად შეაღწიეს ამ დაწესებულებებში და ყველა დასაქმებული მენეჯერის დაკვირვების ქვეშ იმყოფება. ნდობის ფაქტორი, რაც ოდესღაც მმართველებისა და დაქვემდებარებულების ურთიერთობის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა, დღეს ჩაანაცვლა სათვალთვალო სისტემამ, რომლის მეშვეობით უნდა მოხერხდეს ქურდობის თავიდან აცილება, იმ ადგილებზე დაკვირვება, რომელთა კონტროლიც ზედამხედველების ფუნქციებში შედის, ტრეინინგების საჭიროების განსაზღვრა, ასევე, იმის გარკვევა, დაცულია თუ არა საჭირო საორგანიზაციო პროცედურები,

---

[760] *Marx G. T.*,What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, Surveillance & Society, 2002, 1 (1), 9-29 (შემდგომში – *Marx G. T.*,What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, გვ.).

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები, კონტროლდება ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში ტვირთის დაზიანების ფაქტები, ხდება იმ დასაქმებულების გამოვლენა, რომლებიც ხელმძღვანელობასთან თანხმობის გარეშე იყენებენ შესვენებას და არღვევენ შინაგანაწესს. მეტიც, არა მხოლოდ უკვე დასაქმებულები, არამედ პოტენციური დასაქმებულებიც დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ. არსებობს პროგრამები, რომლებსაც შეუძლია ნებისმიერი წერილობითი კომუნიკაციის გაფილტვრა და იმის დადგენა, თუ როდის ცრუობს ავტორი ან როდის აბნევს მას ფაქტები. მსგავსი აპლიკაციები – სიცრუის მაღალტექნოლოგიური დეტექტორები, რომლებსაც შეუძლია გაარჩიოს მართალი და ცრუ ინფორმაცია CV-ებში, სასარგებლოა კომპანიებისათვის. ბევრი დამსაქმებელი, პოტენციური დასაქმებულის შესაძლებლობათა განსაზღვრის მიზნით, უფრო იაფ საშუალებას მიმართავს და ამოწმებს მის სოციალურ ქსელს.

მაგრამ თვალთვალი უფრო მეტად ადამიანის სხეულიზე ხორციელდება, რაც ხშირად იწვევს პროტესტს დასაქმებულებში. მაგალითად, არსებობს უნიტაზები, რომელთაც ნარკოტიკის დეტექტორები აქვთ დამონტაჟებული, საერთო საცხოვრებელში არსებული სათვალთვალო კამერები, სენსორები, რომლებიც ამოწმებს, საპირფარეშოდან გამოსვლის წინ ხელს თუ იბანენ თანამშრომლები.[761] კიდევ უფრო სიღრმისეული სისტემები არკვევს დასაქმებულთა უნარებს, მაგალითად: მომსახურების სფეროს მუშაკები მუდამ უნდა იღიმებოდნენ და სათანადოდ იყენებდნენ „სხეულის ენას". ამგვარ შემთხვევებში დასაქმებული ხდება „თვით-დაკვირვების განმახორციელებელი" და პანოპტიკური მოდელი კვლავაც მუშაობს: „სამუშაო გარემოს კონტროლირებულ პირობებში სათვალთვალო კამერები დისციპლინური ძალის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს და ქმნის პანოპტიკონის არქიტექტურას, აძლევსრა ადმინისტრაციას საშუალებას, განახორციელოს დაკვირვება ისე, რომ თავად შეუმჩნეველი დარჩეს... „კლიენტთა მომსახურების" სახელით თანამშრომელთა ჟესტიკულაციები, მიმიკა და სხეულის ენა იქცევა დისციპლინური დაკვირვების საგნად... დასაქმებულებში გამოწვეული წინასწარი განცდა, რომ ისინი პოტენციურად ყოველწამიერად დაკვირვების ქვეშ არიან, ადმინისტრაციისათვის წარმოუდგენლად ეფექტურ მმართველობით იარაღს წარმოადგენს".[762]

თუკი ეს მაგალითები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სრულად წარმოჩენილიყო ვოიერისტული გართობის ყოველდღიური შემთხვევები, მაშინ აღნიშნული საკითხის კიდევ უფრო უკეთ წარმოსაჩენად გამოდგება ვიდეოფირზე აღბეჭდილი ავსტრალიელი პოლიციის ოფიცრების მიერ სამუშაო ადგილას გაჩაღებული სქესობრივი აქტი, რომლებიც ნარკოტიკებსა და სპირტიან სასმელებსაც მოიხმარდნენ. პოლიციელების უღირსი საქციელი ტელევიზიის საშუალებით გადაიცა ავსტრალიასა და მთელ მსოფლიოში, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწ-

---

[761] *Hamelink C. J.*, The Ethics of Cyberspace, 126.

[762] *McCahill M.*, The Surveillance Web: The Rise of Visual Surveillance in an English City, 128.

ვია. მაგალითად მოვიყვანოთ კლერ სუაირის შემთხვევაც, რომელიც 2001 წლის ივლისში მოხდა. მას საყვედური გამოუცხადეს სამუშაო ელ. ფოსტიდან შეყვარებულისთვის საეჭვო წერილის გაგზავნის გამო, რადგანაც მისი შეყვარებული სხვა კომპანიაში მუშაობდა. სულ მცირე დროში შეურაცხმყოფელი წერილი დაეგზავნა 10 მილიონ ადამიანს, რომელთაგან ზოგიერთი ასევე დასაჯეს ან გაათავისუფლეს სამუშაოდან; აღნიშნულიპირადი უიღბლობა გახდა BBC-ის სატელევიზიო სერიალის „E-mail You Wish You'd Never Sent" საფუძველი. ვოიერისტული გართობის საშინელი მაგალითია საქართველოს ციხეებში ადამიანის წამების ფაქტების ვიდეოფირზე დაფიქსირება, რაც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა და დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

5.4 „დიდი ძმა" თუ „ახალი მამაცი სამყარო"?

ზემოთ საუბარი იყო სათვალთვალო სისტემის მჭიდრო კავშირზე ძალაუფლებასა და დისციპლინასთან. ბევრმა კრიტიკოსმა გამოხატა სკეპტიკური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დადებით გავლენას ახდენს სათვალთვალო სისტემა მოსახლეობის თავისუფლებაზე, გაძლიერებასა და კომფორტზე. შოციოლოგებმა: როი კოულმენმა და მაიკლ სიმმა გაანალიზეს ლივერპულში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული მასალები. დადგინდა, რომ სათვალთვალო კამერების არსებობა მოსახლეობაში უარყოფით განცდებს იწვევდა.[763] მათ წამოსწიეს საკითხი, რომ „ზედა ეშელონებში" მყოფი პირების „უკანონო და საზიანო მოქმედებები უყურადღებოდ რჩება" და თვალთვალი გამოიყენებოდა ძირითადად იმ პირების მიმართ, ვისაც მართავენ ზედა ეშელონებში მყოფნი.[764] თუმცა არიან ამ აზრის მოწინააღმდეგენიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მმართველობაში მყოფები აბსოლუტურად პრივილეგირებულნი არ არიან და ის პირები, რომლებიც სოციალური იერარქიის სათავეში დგანან, უყურადღებოდ არ რჩებიან. ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ჟურნალისტები, რომლებიც კარგად ასრულებენ თავიანთ, როგორც „განგაშის ამტეხის", ფუნქციებს და სააშკარაოზე გამოაქვთ იმ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულები, ვისაც მაღალი თანამდებობები უკავიათ. (მაგალითად „Telegraph-ის" გამოხმაურება 2009 წელს ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ხარჯებთან დაკავშირებით). როგორც ჰაგერტი და ერიქსონი მიუთითებენ, თანამედროვე სათვალთვალო სისტემა იწვევს სოციალური იერარქიის ცვლილებებს, რადგან ყოველდღიურად ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი დაკვირვების ქვეშ ექცევა.[765] ამის პარალელურად, საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია მოვიშველიოთ მარქსის მოსაზრება,

---

[763] *Coleman R. and Sim J.,* "You'll never walk alone": CCTV surveillance, order and neo-liberal rule in Liverpool city centre", British Journal of Criminology, 2000, 41 (4), 623-639.

[764] იქვე, 637.

[765] *Haggerty K. D. and Ericson R. V.,*The surveillant assemblage, 605-622.

კი ყველაზე უფრო აქტიური დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან პრივილეგირებული ფენები, რომლებიც ხშირად იყენებენ საკრედიტო ბარათებს, მობილურ ტელეფონებსა და კომპიუტერებს.[766]

ჰაგერტი და ერიქსონი მიიჩნევენ, რომ თვალთვალის მიზანი განსხვავებულია, მაგრამ, ამასთან, ამტკიცებენ, რომ იკვეთება „დაკვირვების ცვლადი იერარქია", რაც ინსტიტუციებსაც და, საერთოდ, მოსახლეობას, კრიტიკულად განაწყობს ხელისუფლების მიმართ.[767] „ქვემოდან ზემოთ" მეთვალყურეობის მაგალითებია: სათვალთვალო კამერებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და საკნების აღჭურვა, რაც სასჯელსაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების კონტროლის საშუალებას იძლევა;[768] ასევე, ვიდეოკამერების ფართო გავრცელება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პოლიციელთა მიერ ძალის გადამეტებისა და სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების შელახვა.[769] გამოთქმულია ვარაუდი, რომ მსგავსი მეთვალყურეობის სისტემა ხელს უწყობს „პოლიტიკური პლურალიზმის დემოკრატიისკენ სვლას... რადგან კამერებსა თუ სხვა სათვალთვალო საშუალებებს ადამიანები იყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ, რაც იწვევს პასუხისმგებლობის ზრდას".[770] მედიასამართლის პროფესორი ჯონ დოვი ავითარებს „მეორადი, შიდასოციალური თვალთვალის" შესახებ აზრს და აღნიშნავს, რომ მეზობლები ერთმანეთს აკვირდებიან, ვიდეოკამერებითა თუ სხვა საშუალებებით იღებენ ერთმანეთის ანტისოციალური ქცევას და შემდეგ ამ მასალების შესაბამის უწყებებს აწვდიან. ასევე, მშობლები აკვირდებიან შვილებს ნარკოტიკების მოხმარების თავიდან ასარიდებლად. მისი აზრით, „საქმე გვაქვს პანოპტიკონის იმგვარ სახესხვაობასთან, როდესაც ყოვლისმხედველი კოშკის გუშაგებს შეუძლიათ მშვიდად წავიდნენ შინ და იცოდნენ, რომ პატიმრები დაკავებული არიან ერთმანეთის თვალთვალით და ჩანაწერებსაც კი აკეთებენ ვიდეო საშუალებებით".[771]

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ე.წ. „მეორად" და „ქვემოდან ზემოთ" მიმართულ მეთვალყურეობას ძალუძს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პროცესის განმტკიცება.[772] ისინი, ვინც ე.წ. „ზემოდან ქვემოთ" მიმართულ სათვალთვალო სისტემებს მართავენ, ფლობენ დიდ პოლიციურ ძალას. მაკკეჰილის დაკვირვებებმა აჩვენა, რომ სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოების თანამშრომელთა უმეტესობა ქალაქის იმ ნაწილში ცხოვრობს, რომელშიც მათი დაკვირვების ქვეშ

---

766 *Marx G. T.*,What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, 9-29.

767 *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, 617.

768 *Newburn T. and Hayman S.*, Policing, Surveillance and Social Control: CCTV and Police Monitoring of Suspects, Cullompton: Willan, 2001, 72.

769 *Dovey J.*,The reavelation of unguessed worlds, 126.

770 *Marx G. T.*,What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, 22.

771 *Dovey J.*,The reavelation of unguessed worlds,126.

772 *Marx G. T.*,What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, 22.

მყოფი პირები. ისინი იცნობენ ერთმანეთს სკოლიდან, ერთსა და იმავე საფეხბურთო გუნდში თამაშობენ, იცნობენ ოჯახის წევრებს და ა.შ. დამკვირვებლებსა და დაკვირვების ქვეშ მყოფთა შორის არსებული ფამილარობის საკითხი მეტად საინტერესოა სამი მიზეზით:

პირველი – მაკკეჰილის აზრით, ნაკლებ აგრესიულია დამოკიდებულება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიმართ, როდესაც სამართალდამრღვევი კარგად იცნობს კონკრეტულ თანამშრომელს;[773]

მეორე – ეს ფაქტორი იწვევს მორალურ საწყისებზე დაფუძნებულ განცდას, რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები უფრო მეტად უსიამოვნო ხდება, როდესაც ამას „ოჯახთან დაახლოებული" პირი ესწრება;

მესამე – ფაქტი, რომ დამკვირვებელი და დაკვირვების ქვეშ მყოფი იცნობენ ერთმანეთს, სათვალთვალო სისტემების დისციპლინურ პოტენციალს მკვეთრად განსაზღვრავს: „უსაფრთხოების სამსახურის [ზოგიერთი] თანამშრომელი უარს ამბობს პოლიციასთან თანამშრომლობაზე. მაგალითად, ადგილობრივი ძალოვანი უწყების ოფიცერმა უსაფრთხოების თანამშრომლებს გადასცა ძებნილ პირთა ნუსხა და სთხოვა, დაუყოვნებლივ ეცნობებინათ მისთვის, როდესაც რომელიმე მათგანს კამერა დააფიქსირებდა. მიაღწევს თუ არა ოფიცრამდე სათანადო ინფორმაცია, დამოკიდებულია უსაფრთხოების თამაშრომელსა და ადგილობრივი „დაკვირვების ქვეშ მყოფ" პირს შორის არსებულ სიახლოვეზე... თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ისინი არ გასცემენ კონკრეტულ პირს, რადგან ის კარგი ადამიანია და მისთვის არაფერი დაუშავებია".[774]

რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, აქაც პანოპტიციზმის მეთოდით დაკვირვების განხორციელება არ არის ყველას მიერ მოწონებული. სოციოლოგ ელია ციურიკის აზრით, ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი თვალთვალი ატარებს ექსპლუატაციისა და ძალადობის სახეს.[775] დასაქმებულთა უმრავლესობა თანხმობას გამოთქვამს განსაზღვრულ ადგილებზე თვალთვალის განხორციელებაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს და არის გამჭვირვალე.[776] ამასთან, ბევრი თანამშრომელი ეთანხმება „ელექტრონული მეთვალყურის" დანერგვას, მიიჩნევს რა, რომ იგი უზრუნველყოფს არაჯეროვანი შრომისგან, ძალადობისა და დაშინების, ასევე, გულგრილობისა და არაეფექტური მოქმედებებისგან დაცვას. თუმცაღა გამიჯვნა სჭირდება თავად შრომის პროცესისა და დასაქმებულის დაკვირვებას,

---

[773] *Gillespie M. and McLaughlin E.,* Media and the making of public attitudes, Criminal Justice Matters, 49, Autumn, 2002, 8-9.

[774] *McCahill M.,* The Surveillance Web: The Rise of Visual Surveillance in an English City, 199.

[775] *Zureik E.,*Theorizing surveillance: the case of the workplace, in *Lyon D.* (ed.) Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003, 35 (შემდგომში – *Zureik E.*,Theorizing surveillance: the case of the workplace, გვ.).

[776] იხ. *Mason D., Button G., Lankshear G. and Coats S.,* On the Poverty of a Priorism: Technology, Surveillance in the Workplace and Eployee Responses, pre-publication draft, Plymouth: University of Plymouth, 2000.

რადგან ეს უკანასკნელი პირდაპირ თანხმობას საჭიროებს. მაგალითად, მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისი იძლევა რეკომენდაციას,[777] რომ დაკვირვებამ უარყოფითად არ უნდა იმქმედოს ნდობის ფაქტორზე და არ უნდა შეიჭრას უსამართლოდ დასაქმებულთა კერძო ავტონომიასა და პირად სფეროში.[778] მარქსის აზრით, დამსაქმებლები არ იცავენ რეკომენდაციას და „ინფორმაციის მიღების" ქსელი იმდენად ფართოვდება, რომ დასაქმებულთა პირადი ცხოვრების, პიროვნული თვისებების, გარეგნობისა და სხვა საკითხების გარკვევასაც ისახავს მიზნად. სამუშაო გარემოში გენური ტესტების ჩატარება და სკრინინგი დამკვიდრდა იმისთვის, რომ დამსაქმებლებმა შეძლონ პოტენციური დასაქმებულების ჯანმრთელობისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის წინდაწინ მოგროვება. გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო ადგილებზე ზედმიწევნით ზუსტი სამეცნიერო დაკვირვებები ხორციელდება, შესაძლებელია აღნიშნულს „ტოტალური კონტროლი" ეწოდოს.[779] ეს ის ასპექტია, რომელიც რადიკალურად განასხვავებს კონტროლის ამ მეთოდსა და მაკკეჰილის მიერ ინგლისის სავაჭრო ცენტრებში ოპერატორებზე დაკვირვებას.

საკამათოა ისიც, აქვს თუ არა თვალთვალს ძალაუფლების მოხვეჭის, კონტროლისა და სოციალურ სისტემაში ინდივიდების როლის დადგენის ტენდენცია და სხვაგვარი მიდგომა ხომ არ არის საჭირო. პანოპტიკონი, როგორც სოციალური კონტროლის სამეთვალყურეო სისტემის ამსახველი მეტაფორა, საკმაოდ კარგად ასახავს ამ პროცესს. მან საფუძველი დაუდო მრავალი თეორიის განვითარებას. ესენია: „სუნოპტიციზმი"[780], „სუპერ-პანოპტიციზმი"[781] და „პოსტპანოპტიციზმი"[782] და სხვ. თუმცა პანოპტიკის ცნების მთავარი განმსაზღვრელი არის ის, რომ იგი წარმოადგენს ძალადობრივი სისტემის, ინსტიტუტებისა და პროცესების ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს ინდივიდის პიროვნულ მნიშვნელობას. ადამიანობის ფაქტორი, როგორც წესი, იგნორირებულია („ტექნოლოგიური გამორკვევის" რეაქცია), თუმცა დევიდ ლიონის აზრით, სოციო-ტექნოლოგიური დაკვირვების სისტემები დაკავშირებულია ადამიანებთან, რომელთაც ერთმანეთთან დავა, გარიგება ან მყარი სამეთვალყურეო დამოკიდებულება აქვთ.[783] სათვალთვალო სისტემების ერთ-ერთი პირველი კომენტატორი – ლიონი, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ დაკვირვებას ორი მხარე აქვს, რის გამოც თვალთვალის სისტემა შეგვიძლია დადებითადაც მივიჩნიოთ, რამდენადაც იგი განაპირობებს მობილობის მაღალ

---

777 Office of the Data Protection Commissioner of UK, 2000,28.

778 *Zureik E.*,Theorizing surveillance: the case of the workplace, 35.

779 *Regan P. M.*,Genetic testing and workplace surveillance: implications for privacy, in *Lyon D. and Zureik E.* (eds), Computers Surveillance and Privacy, Minneapolis: University of Minnesota Press, 1996, 23.

780 *Mathiesen T.,* The viewer society: Michel Foucault's "Panopticon" revisited, 218.

781 *Poster M.*, The Mode of Information, 93.

782 *Boyne R.*,Post-panopticism, Economy and Society, 29 (2), 2000, 285-307.

783 *Lyon D.*,Surveillance as social sorting: computer codes and mobile bodies, 16.

დონეს, მომსახურების სისწრაფეს, პროდუქტიულობასა და კომფორტს. ყოველდღიური სათვალთვალო სისტემები (სატელეფონო საუბრების მოსმენა, ინტერნეტის მონახულება, ქუჩისა და სამუშაო გარემოს დაკვირვება) იქცა „დიდი ძმის" მეტაფორად, თუმცა დღეს პანოპტიციზმის ეს გამოვლინება უფრო და უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება. ამასთან, თვითდაკვირვების მეთოდები, როგორიცაა სახლის პირობებში შემოწმების საშუალებები, რომლებითაც შეიძლება ჯანმრთელობის კონტროლი, ორგანიზმში ალკოჰოლის რაოდენობის გარკვევა, ორსულობის დადგენა, შიდსსა და სხვა ინფენქციურ დაავადებებზე შემოწმება, უფრო და უფრო პოპულარული ხდება.[784] ამგვარი ინოვაციები საზოგადოებას აძლიერებს და აძლევს მათ დამოუკიდებელ არჩევანს (მაგ., გადაწყვიტონ, სურთ თუ არა შვილი, როდესაც არსებობს თანდაყოლილი დაავადების რისკი) სხვადასხვა სფეროში.

დაკვირვების ობიექტის საკითხი მაინც სადავო რჩება. ამ თავში განხილული მიზეზების (კონტროლის, მმართველობის, უსაფრთხოების, სარგებლის და ვოიერისტული გართობის) საფუძველზე შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ თვალთვალი ეჭვიდან სეგრეგაციისაკენ მიმართულ პროცესად გვევლინება. თუმცა ბევრი ავტორი აღნიშნავს, რომ ხშირად თვალთვალი გამოიყენება ცდუნებისთვის, ნარცისიზმის მიზეზით გართობისთვისაც კი. ამ მხრივ სამაგალითოა მობილური ტელეფონები და სოციალური ვებგვერდები, რომელთა საშუალებით მყარდება ადამიანთა შორის ურთიერთობა და ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის გაცვლა. ონლაინ სოციალურმა ქსელმა „დამკვირვებელი საზოგადოება" სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა, რომელშიც ყველა ჩვენგანი სკოპოფილად მოიაზრება.[785] განსაკუთრებით მდედრობითი სქესის ახალგაზრდა წარმომადგენლების ჟინი, გაამჟღავნონ პირადი ცხოვრების საყოფაცხოვრებო და ინტიმური დეტალები, ხოლო საამისოდ გამოიყენონ ინტერნეტ-დღიურები და ბლოგები, „რეალითი შოუები" და საბინებელ ოთახში დამონტაჟებული კამერები, უპირისპირდება „პანოპტიციზმის" იდეას ავტორიტარული კონტროლის საკითხებთან მიმართებით.[786] თუმცა ის ფაქტი, რომ ადამიანთა კულტურად იქცა სხვათა ცქერა, აგრეთვე, უცხო პირებზე „სოციალური" დაკვირვება, იწვევს განცდას, რომ საზოგადოება შეეგუება დაკვირვების სხვა ფორმებსაც, რომლებიც განხორციელდება „უსაფრთხოების" ეგიდით. ახალგაზრდა თაობა კი, ალბათ, იმაზე მეტად შეეჩვევა ინტერნეტსა და მომეტებულ სოციალურ საჯაროობას, ვიდრე მათ შეიძლება წარმოიდგინონ, რომ აღარაფერი ვთქვათ სამოქალაქო თავისუფლებათა სრული ეროზიაზე.[787]

---

[784] *Marx G. T.*, What's new about the "new surveillance"? Classifying for change and continuity, 22.

[785] *Mathiesen T.*, The viewer society: Michel Foucault's "Panopticon" revisited, 220.

[786] იხ. *Koskela H.*, '"The other side of surveillances": webcams, power and agency', in *Lyon D.* (ed.), Theorizing Surveillance: The Panopticon and Beyond, Cullompton: Willan, 2006.

[787] ეროზია – ლათ. erosio – 1. ნიადაგის ნგრევა და წარეცხვა ღვარებისაგან (ნიადაგის ეროზია); 2. ლითონის ზედაპირის დაშლა მექანიკური ზემოქმედების ან ელექტრული განმუხტვის შედეგად; 3. *მედიც.* – ლორწოვანი გარსის ზედაპირული დაწყლულება; აქ: გაქრობა, განადგურება.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მეტწილად ამჩნევს, რომ მუდმივი დაკვირვების ქვეშ იმყოფება, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მოქმედებები მაინც ამ მიმართულებით შეიცვალა – სამსახურში გამოცხადებისას, ნაცვლად გასაღებებისა, არსებობს პლასტიკური საშვები, ვსარგებლობთ ონლაინ-ბანკინგით, ნაცვლად ფიზიკური კონტაქტისა, მეგობრებთან ურთიერთობა ხდება მობილური ტელეფონების, ელ. ფოსტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით და ა.შ. – უდავოა, რომ ინტერნეტმა შეცვალა ინფორმაციის გაცვლისა და კონტროლის გზები. დღეს დანაშაულის ჩადენისას ან ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა თვითმკვლელობა ან სხვა ფატალური შედეგი, ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის პირველწყაროდ იქცა სოციალური ქსელი, რომლის საშუალებითაც, ყოველი ინდივიდი რომელსაც გარკვეული შეხება აქვს მომხდართან, აქვეყნებს ინფორმაციას. 2007 წელს იყო ასეთი გახმაურებული შემთხვევა: ლიდსის უნივერსიტეტის სტუდენტი მერედით კერჩერი გააუპატიურეს და მოკლეს პერუჯაში, იტალიაში. ამის თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნეს Aამანდა ნოქსმა და რაფაელე სოლეციტომ საკუთარ MySpace-ის გვერდზე, რაც მედიისათვის ინფორმაციის წყაროდ იქცა (გავრცელდა შეიარაღებული მკვლელების სურათებიც). ეს მტკიცებულებები პოლიციამაც გამოიყენა.

ისევე, როგორც ნებისმიერი ტექნოლოგიური ინოვაცია, თვალთვალიც უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური, კულტურული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ასპექტებით მოცული სისტემური ქსელი. ლიონის აზრით, თვალთვალის მთავარი ამოცანა არის ის, რომ ჩამოყალიბდეს უფრო მკაცრი და სასტიკი პანოპტიკური რეჟიმი.[788] ამის მაგალითია სავალდებულო ბიომეტრიული საიდენტიფიკაციო ბარათების არსებობა, რაც მეტი წინააღმდეგობა ხვდება მის გავრცელებას, მით უფრო რბილი და ლმობიერი ხდება პანოპტიკური სტრატეგია. სოციალური ქსელების მეშვეობით მორჩილი სუბიექტების რიცხვი იზრდება. დისტოპია თუ უტოპია? თუ „დიდი ძმა"? – აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია.

5.5 რეზიუმე

ტექნოლოგიურმა წინსვლამ გაკონტროლებული გარემო ძირეულად შეცვალა – საპყრობილეთა თვალთვალმა საზოგადოების კონტროლისკენ გადაინაცვლა. მრავალი ავტორის აზრით, ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს განხილულ საკითხთან დაკავშირებით. დაკვირვების სტრატეგიებზე მსჯელობამ წარმოშვა პესიმისტური ასპექტები. მეტაფორები: „დიდი ძმა" და პანოპტიკონი უკავშირდება სოციალური კონტროლისა და საზოგადოებრივი წესრიგის რეპრესიულ ფორმას. უკანასკნელ წლებში აღმოცენდა „სინოპტიკონის" იდეა, რომელიც ცინიკურ და უიმედო ხედვას გვთავაზობს. დაკვირვებასთან

[788] *Lyon D.*, Surveillance as social sorting: computer codes and mobile bodies, 16.

დაკავშირებული შეხედულებები ორად იყოფა: ერთნი მიიჩნევენ, რომ სათვალთვალო კამერები ავიწროებს საზოგადოებას, ზღუდავს მათი მოქმედების თავისუფლებას და ემსახურება დემონიზებული „სხვების“ დამორჩილებას; მეორეთა აზრით კი დაკვირვების სისტემა არსებითად თავისუფალი და დემოკრატიულია.

მიიჩნევა, რომ ოდესღაც „გათიშული სისტემა“, რომელსაც დღეს „კომპლექსური თვალთვალი“ ეწოდება, უფრო და უფრო ხშირი განხილვის თემა ხდება.[789] დისციპლინისა და ბატონობის ეს ფორმა ოდესღაც დისკრეციულ ასპექტებს დღეს ხუთ პრინციპულ მოტივზე აფუძნებს: სხეულის კონტროლზე, მმართველობაზე, უსაფრთხოებაზე, სარგებელსა და გართობაზე. ყველა მათგანს ერთგვაროვანი სოციალური და კულტურული არსი გააჩნია. სამუშაო ადგილების დაკვირვების ანალიზმა წარმოაჩინა ასეთი მოტივები და წარმოშვა დადებითი და საწინააღმდეგო არგუმენტები ინდივიდთა დაკვირვების საკითხზე.

დაკვირვების ობიექტი რჩება იდეოლოგიური ბრძოლის ველად. თუმცა, დაკვირვების მიზეზებისა და შედგების განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა სათვალთვალო კამერები, არ არსებობს კულტურულ ვაკუუმში. ისინი ადამიანის სურვილების, ფასეულობებისა და ქცევის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მართალია წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილი მაგალითების უმეტესობა ბრიტანეთის და რამდენიმე სხვა ქვეყნის რეალობიდანაა მოყვანილი, მაგრამ სათვალთვალო კამერების მატება და პანოპტიციზმის ელემენტები შეინიშნება საქართველოშიც და, სავარაუდოდ, სულ მალე საქართველოშიც დადგება იგივე პრობლემები, რაც დგას სხვა განვითარებულ ქვეყნებში სათვალთვალო კამერებთან დაკავშირებით, სულ მალე საქართველოშიც დაიბადება კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის ზღვარი პირად და საჯარო სივრცეებს შორის.

6. ინტერნეტის როლი დანაშაულსა და დევიაციასთან მიმართებით

გასული ორი ათწლეულის მანძილზე ინტერნეტმა დიდი გავლენა მოახდინა ცივილიზებულ სამყაროზე, ხოლო სოციალურმა ქსელებმა გამოიწვია კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. მაგალითად, სოციალურ ქსელ Facebook-ს ჰყავს 400 მილიონზე მეტი მომხმარებელი, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაზე 100 მილიონით მეტი. 2010 წელს Facebook-ის შემოსავალმა რამდენიმე მილიარდს მიაღწია; მისი დამფუძნებელი – 25 წლის მარკ ცუკერბერგი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია. 2009 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 11-15 წლის ასაკის ბავშვების 70%, ხოლო 17-25 წლის ახალგაზრდების 83% იყენებს Facebook-ს. აქედან გამომდინა-

[789] *Haggerty K. D. and Ericson R. V.*,The surveillant assemblage, 609.

რე, გასაკვირი არ არის, რომ გარკვეული ინფორმაციის მოსაპოვებლად პოლიციაც იყენებს ზემოხსენებულ სოციალურ ქსელს (იხ. <www.prweek.com/news/>).

სოციალური ქსელის დახმარებით პოლიცია აკვირდება და სწავლობს, როგორ ურთიერთობენ ახალგაზრდები ერთმანეთთან, რა აინტერესებთ და რაზე საუბრობენ. სოციალურ ქსელებში გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებსაც შესაძლებელია ეწოდოთ „ზრდასრული ბავშვები" (kidults). ისინი ინტერნეტის გამოყენების უნარით უტოლდებიან თავისი მშობლების თაობას. მაგალითად, 2009 წლის ივლისში ბრიტანული მედია აჭრელებული იყო 15 წლის სკოლის მოსწავლის მეთიუ რობსონის ამბით. მას ჰქონდა სამუშაო გამოცდილება ინტერნეტ-სამყაროში და ეხმარებოდა გლობალურ ფინანსურ კომპანია „მორგან სტენლის" ინტერნეტ-კვლევის ჩატარებაში. ამის შემდეგ მან დაწერა მოხსენება: „როგორ იყენებენ თინეიჯერები მედია-საშუალებებს." მეთიუმ აღწერა, როგორ გახდა მედია საკამათო და ხშირ შემთხვევაში, რთულად აღსაქმელი და, მეორე მხრივ, მარტივად მისაწვდომი და საქმიანობის შემამსუბუქებელი. მოხსენებაში მეთიუ წერს, რომ თინეიჯერები არ უსმენენ რადიოს; ისინი პერსონალური კომპიუტერების და მობილური ტელეფონების საშუალებით ათვალიერებენ ვებ-გვერდებს, სადაც მათთვის სასურველი მუსიკა არის ხელმისაწვდომი და თავადვე შეუძლიათ აარჩიონ, რის მოსმენაც სურთ; მის თანატოლებს არ უყვართ გაზეთების კითხვა, მათ არ აქვთ დრო, რომ წაიკითხონ გრძელი სტატიები, ისინი ინტერნეტის მეშვეობით პოულობენ ახალი ამბების მოკლე მიმოხილვას. 15 წლის ასაკში თინეიჯერები წყვეტენ კინოთეატრში სიარულს, რადგან არ სურთ ფულის გადახდა კინოში, რადგან შეუძლიათ სასურველი კინოს „მეკობრულად" მოპოვებული ვერსია გადმოწერონ. მეთიუ წერს, რომ ყველა ასაკის მომხმარებელი ჰყავს Facebook-ს. სტატისტიკურად, გოგოები უფრო დიდ დროს უთმობენ ამ სოციალურ ქსელს, ვიდრე – მათი თანატოლი ბიჭები, რადგან ბიჭებს ურჩევნიათ კომპიუტერული თამაშებს დაუთმონ დიდი დრო. ვიდეოთამაშებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ 50-დან მხოლოდ ერთი გოგო თამაშობს ვიდეოთამაშებს, ისინი ძირითადად იყენებენ Nintendo Wii-ს, რომლითაც მთელ ოჯახს შეუძლია გაერთოს. მეთიუს დაკვირვებით, სოციალური ქსელის ახალგაზრდა მომხმარებლები არ იყენებენ Twitter-ს. ახალგაზრდების თვალში, ეს სოციალური ქსელი არის ძველმოდური, გამოუსადეგარი და მხოლოდ ასაკიანი ხალხისთვის გამიზნული. Twitter-ის მესაკუთრეა სტეფან ფრაი, აღიარებული ჭკვიან და პატივსაცემ ადამიანად. მეთიუს აზრით, ბრიტანელ ახალგაზრდებს იგი არ მიაჩნიათ „თანამედროვე/მოდურ კაცად" (cool man).

მეთიუს მოხსენებიდან ნათლად ჩანს, რომ ინტერნეტის განვითარებამ მკვეთრად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, ერთმანეთთან ურთიერთობა, მუშაობის, გართობისა და ცხოვრების ჩვევები. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად განვითარდა. eBay დაარსდა 1995 წელს, Google – 1998-ში, Wikipedia – 2001-ში, YouTube- 2005-ში, Facebook – 2006-ში, ხოლო Twitter – 2007 წელს. ეს ბრენდები ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს მედია-სივრცე-

ში. ოცი წლის წინ ინტერნეტის შესახებ მხოლოდ პატარა სოციალურმა ჯგუფებმა იცოდნენ. იგი, ძირითადად, აკადემიური და სამეცნიერი ინსტიტუტებისთვის იყო ხელმისაწვდომი და სპეციფიკური, მიზნობრივი ფუნქცია გააჩნდა.[790]

წინამდებარე პარაგრაფში თავდაპირველად მიმოხილული იქნება ის გზები, რომელთა საშუალებით მაკავშირებლებმა – მობილურმა და ციფრულმა ტექნოლოგიებმა რადიკალურად შეცვალა ადამიანები, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდები. კერძოდ, მათი კომუნიკაცია და ურთიერთობები. შემდეგ ვიმსჯელებთ „ციფრულ უთანასწორობაზე"[791] და გავაანალიზებთ იმ საშუალებებს, რითაც ინტერნეტი და გლობალური ქსელი ხელს უწყობს მსოფლიოში ეკონომკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს – ჩინეთის განვითარებას. გარდა ამისა, განხილული იქნება რამდენიმე „ჩვეულებრივი" კიბერდანაშაული, რომლებიც მოექცა საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში. ბოლოს კი, საუბარი იქნება ინტერნეტის გავლენაზე, რომელიც მნიშვნელოვანი გავლენის მატარებელია ახალგაზრდების არა მხოლოდ ცხოვრების წესსა და ჩვევებზე, არამედ მათ სექსუალურ განვითარებაზეც.

6.1 დევიაციის ხელახლა განსაზღვრა და დემოკრატიზაცია: განვითარებადი ქვეყნები და ჩინეთის მაგალითი

მართალია, დასავლეთში გაცილებით განვითარებული და წინ წასულია ახალი მედია-ტექნოლოგიები, მაგრამ გარდაქმნები განვითარებად სამყაროს ზოგიერთ ნაწილში გაცილებით უფრო სიღრმისეულია. აღსანიშნავია „ციფრული უთანასწორობაც", რომელიც, სოციოლოგ ვინსენტ მილერის აზრით, ნიშნავს იმას, რომ ციფრულ ხანაში შებიჯება განვითარებად სამყაროსთან შედარებით, რომლებსაც არ აქვთ სრული წვდომა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, აძლიერებს მოწინავე, ძლიერი ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე ქვეყნების პოზიციას, რაც მათ საშუალებას აძლევს, ითამაშონ ფუნდამენტურად განსხვავებული თამაშის წესებით.[792] ინტერნეტზე წვდომა ჯერ კიდევ ფუფუნებაა მსოფლიოს უღარიბესი მასებისთვის, რომლებიც სატელეფონი კავშირითაც კი ვერ სარგებლობენ. გარდა ამისა, ინტერნეტის გამოყენების რეგიონული ზრდა მუდამ სტაბილური და უწყვეტი როდია ომების, სტიქიური უბედურებებისა და იძულებითი გადაადგილების პირობებში. მილერის აზრით, მსფოლიოში ინტერნეტით არათანაბარი სარგებლობა გამოიწვევს იმას, რომ განვითარებული სახელმწი-

[790] *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime,Cullompton: Willan, 2010, 11 (შემდგომში – *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime, გვ.).

[791] ციფრული უთანასწორობა (Digital Divide) – ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, კონკრეტული ქვეყნის საზოგადოების შიგნით, იცოდნენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგების შესახებ (ICT).

[792] *Miller V*, The Internet and everyday life, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Hankdbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 69.

ფოები ისარგებლებენ ინფორმაციაზე მაღალი წვდომით, გაზრდილი ეკონომიკური მოქნილობით, კომუნიკაციის მომატებული ეფექტურობით, ხოლო განვითარებად ქვეყნებს დააზარალებს და მარგინალიზაციის კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს. ის ოპტიმიზმიც, რომელიც ერთ დროს თან ახლდა ინტერნეტის გამოჩენას, თითქმის გაქრა, რადგან უკვე კარგი ხანია კაცობრიობამ გაიაზრა, რომ „ჩვენმა კულტურამ უფრო შეცვალა ინტერნეტი, ვიდრე ინტერნეტმა – ჩვენი კულტურა".[793]

ციფრულ უთანასწორობაზე უფრო ღრმა წარმოდგენის შექმნისთვის, გამოდგება მსოფლიო ინტერნეტის მომხმარებლების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში შეადგენს 1 596 270 108 ადამიანს, რაც შეღწევადობის 23,8%-ს ნიშნავს (2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით).[794] „ინტერნეტთან ურთიერთობის" კუთხით ლიდერობს ჩრდილოეთ ამერიკა, რომლის მოსახლეობის 74,4% გამუდმებით „ხაზზე" იმყოფება. ცხრილის ბოლოს კი აფრიკის მოსახლეობაა წარმოდგენილი, რომლის მხოლოდ 5,6%-ს აქვს ინტერნეტთან წვდომა. მსოფლიო ინტერნეტის მომხმარებლებს რეგიონების მიხედვით თუ დავყოფთ, მათი 41,2% იმყოფება აზიაში, 24,6% – ევროპაში, 15,7% – ჩრდილოეთ ამერიკაში, 10,9% – ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის სივრცეში, 3,4% – აფრიკაში, 2,9% – ცენტრალურ აღმოსავლეთში, ხოლო 1,3% – ავსტრალია-აზია/ოკეანეთში. ინტერნეტის 452 მილიონი მომხმარებელი კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე ახორციელებს, ჩინურ ენაზე მოსაუბრე მომხმარებლთა რაოდენობა ამ მხრივ მეორე ადგილზეა და შეადგენს 321 მილიონს.[795]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ როგორი ცვლილებები გამოიწვია ციფრულმა ტექნოლოგიებმა ჩინეთის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. ჩინეთში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 2000 წელს თუ შეადგენდა 23 მილიონს, 2007 წლისთვის ეს რაოდენობა უკვე 162 მილიონს უტოლდებოდა.[796] 2008 წლისთვის ეს ციფრი კიდევ გაიზარდა და 210 მილიონი შეადგინა, რაც მხოლოდ 5 მილიონით ნაკლები იყო აშშ-ის ინტერნეტმომხმარებლებთან შედარებით. ჩინეთში ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი თვეში დაახლოებით 6 მილიონით იზრდება. მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ბლოგი არის „Lao Xu", რომელიც მსახიობი და რეჟისორი შიუ ჯინგლეის მიერაა დაწერილი და მას 137 მილიონი მნახველი ჰყავს. ონლაინ-ვიდეო მასალების უმსხვილესი გამავრცელებელი არის „Tudou", რომელმაც YouTube-საც კი გადაასწრო დღიური 1 მილიარდ მეგაბაიტზე მეტი მონაცემის ტრანსფერის მაჩვენებლით. მანდარინის ენის ბაზაზე არსებული საძიებო სისტემა Baidu-ს უფრო მეტჯერ იყენებენ,

---

[793] იქვე.

[794] იხ. <**http://www.internetworldstats.com/stats.htm**> [02.06.2014].

[795] იხ. <**http://www. internetworldstats.com/stats.htm**> [02.06.2014].

[796] იხ. <**http://www. internetworldstats.com/asia/cn.htm**> [02.06.2014].

ვიდრე Google-ს; ჩინელმა მეწარმე ჯეკ მამ შექმნა Taobao, რომელიც eBay-ს უწევს კონკურენციას.[797]

ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩინეთმა შეძლო უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელთა შედეგად ჩინური მედია-ინდუსტრიის მიმართ დაძაბულობამ იმატა.[798] ამით აიხსნება ალბათ ჩინური მედიის ორმაგი როლი, რომელსაც ერთდროულად ასრულებს ბაზარზე საქონლისა და იდეოლოგიის შეთავაზების დროს. განსხვავებულია მისი დამოკიდებულება ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მიმართებით. კერძოდ, ესაა ინტერნეტის შეზღუდვა და ცენზურა. კვლევამ, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, გამოავლინა, რომ დაახლოებით 200 000 ვებგვერდიდან, რომელთა ჩატვირთვაც სცადეს, 19 032 საიტი, (რომლებიც ამერიკაში იხსნებოდა) არ იხსნებოდა ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურად შესაძლებელი იყო დამატებითი მცდელობით ამ საიტების დროებით გახსნა, მათი უმრავლესობა იყო დაბლოკილი სამთავრობო ვებფილტრაციის სისტემების მიერ.[799] 2004 წელს, Amnesty International-ის ანგარიშმა გამოავლინა, რომ ჩინეთის ხელისუფლება უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ინტერნეტს ოპოზიციური შეხედულებების გასავრცელებლად იყენებდნენ. ჩინეთში თითოეული ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, რეგისტრაცია გაიაროს პოლიციაში, ხოლო ინტერნეტის ყველა მომხმარებელმა უნდა მოაწეროს ხელი დეკლარაციას იმის თაობაზე, რომ არ შევლენ აკრძალულ საიტებზე. დაბლოკილია ახალი ამბების, ჯანდაცვისა და განათლების ვებგვერდები, მაშინ, როცა არ რეგულირდება პორნოგრაფიული საიტები.[800] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ გლობალური ქსელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც შეზღუდვის საშუალება იმ მთავრობების მიერ, რომელსაც სურს თავისუფალი აზროვნების, სიტყვისა და ქმედების დაკნინება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბოლო წლებში პეკინის მხრიდან შეინიშნება ინტერნეტპოლიტიკის ცოტაოდენი შერბილება, თუმცა დამოკიდებულება მის მიმართ მაინც არაკეთილმოსურნედ რჩება. 2008 წლის მაისში მიწისძვრას სიჩუანის პროვინციის ათობით ათასი მკვიდრი ემსხვერპლა. ჩინეთის მთავრობამ მოახდინა რეაგირება ინტერნეტზე კონტროლის ცვლილებით. ეს ნიშნავდა იმას, რომ ვისაც ტრაგედია შეეხო, შეეძლო გამოეყენებინა ვიდეომასალის გაზიარების ვებგვერდები, ბლოგები, ჩათის ოთახები და სხვ., რათა ქსელში გაევრცელებინათ

---

[797] *Watts J.*, Behind the Great Firewall (9 February 2008). <**http://www.guardian.co.uk/technology/2008/feb/09/internet.china**> [02.06.2014].

[798] *Winfield B. H. and Peng Z.*, Market or party controls?: Chinese media in transformation, International Communication Gazette, 67 (3), 2005, 255-270.

[799] *Zittrain J. and Edelman B.*, Empirical analysis of Internet filtering in China, IEEE Internet Computing, March/April; <**http://cyber.law.harvard.edu/filtering/china/**> [02.06.2014].

[800] იხ.<**http://web.amnesty.org/web/content.nsf/pages/gbr_china_internet**> [02.06.2014].

საკუთარი გამოცდილების ამსახველი გრაფიკული მასალები. სწორედ ამ ახალმა მოქალაქე ჟურნალისტებმა შეცვალეს პროფესიონალი ჟურნალისტები, რადგან პროფესიონალმა ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა ვერ მოახერხეს მოქმედების ადგილზე დროულად მისვლა. ამასთან, მოქალაქე ჟურნალისტები იყვნენ იქაც, სადაც რეპორტიორებსა და ოპერატორებს ეკრძალებათ მუშაობა პოლიტიკური თუ სამხედრო მიზეზების გამო.

ჩინეთში ასევე „ბინა დაიდო" მრავალმა ისეთი სახის დანაშაულმა, რომელსაც კრიმინოლოგები „კიბერდანაშაულს" უწოდებენ. ესაა დანაშაული, ჩადენილი კომპიუტერის დახმარებით და კომპიუტერის წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში იგულისხმება დანაშაულები, რომლებიც ინტერნეტის გარეშეც არსებობდნენ, თუმცა ინტერნეტის დახმარებით მათ „ცხოვრების ახალი გზა" იპოვეს. მაგალითად, ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინტერნეტთაღლითობა, არარსებული, ნაკლოვანი, დაბალი სტანდარტის ან კონტრაბანდული საქონლის გაყიდვის მიზნით; საბანკო თაღლითობა – საკრედიტო ბარათებიდან ფულადი სახსრების მოპარვა; საინვესტიციო თაღლითობა – პირამიდის სქემები, ყალბი აქციები და წილები; ინტელექტუალური საკუთრების დანაშაულები, საავტორო უფლების მქონე ფილმების, მუსიკის, ელექტრონული წიგნების, სურათებისა და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის უნებართვო გაზიარება; უხამსი და აკრძალული სექსუალური გამოსახულებების გაზიარება და გაყიდვა; სექსუალური ძალადობა, დევნა (stalking), დაშინება, სექსუალური მტაცებლობა და სხვ. ამ ინტერნეტდანაშაულებს შეიძლება ვუწოდოთ „ძველი ღვინო ახალ ბოთლებში".[801] პირველი კიბერდანაშაული ჩინეთში 80-იან წლებში მოხდა. იგი პირველ ციფრულ დანაშაულთან შედარებით (ჩინეთის საბანკო სისტემის თაღლითური ძარცვა დასავლეთიდან) ორი ათწლეულით უფრო ადრე იქნა ჩადენილი. 80-იან და 90-იან წლებში კიბერდანაშაულის რაოდენობა ჩინეთში თანდათან და სტაბილურად იზრდებოდა. დღეს კი ჩინეთში კიბერდანაშაული ფართოდ არის გავრცელებული. იგი იქცა უკვდავ კრიმინალურ ინდუსტრიად, რომელიც პროლიფერირებს ნაწილობრივ იმ მიზეზით, რომ მოქმედი კანონმდებლობა მასთან საბრძოლველად სრულიად არაადეკვატურია.[802]

კომპიუტერის დახმარებით დამნაშავეები სამიზნედ ირჩევენ ელექტრონულ ინფრასტრუქტურას (როგორც პროგრამულ, ასევე – ტექნიკურს), რომელიც წარმოადგენს ე.წ. „ინტერნეტის ქსოვილს". ამის მაგალითია მრავალი სახეობის „ბოროტი პროგრამული უზრუნველყოფა" (ვირუსები, „ვორმები", „ტროიანები"), რაც აზიანებს ფაილებსა და მყარ დისკებს; „მომსახურებაზე უარის თქმის თავდასხმები", რომლებიც სერვერის სამუშაო მოცულობას ტვირთავენ და თიშავენ ვებგვერ-

---

[801] *Grabosky P.*,Virtual criminality: old wine in new bottles?, Social & Legal Studies, 2001, 10, 243-249

[802] *Qi M. Wang Y. and Xu R.*,Fighting cybercrime: legislation in China, International Journal of Electronic Security and Digital Forensics, 2 (2), 2009, 219-227.

დებს; ასევე, მრავალი ჰაკერული ქმედება – ვებინფორმაციით მანიპულირება, მოწაცემების შეცვლა ან წაშლა ყოველგვარი ნებართვისა და ავტორიზაციის გარეშე. ამ უკანასკნელთან მიმართებით გამოდგება ჩინეთში შექმნილი კომპიუტერული ცირუსი „პინგ-პონგის“ დასახელების „მალვეარი“. ეს იყო პირველი კიბერდანაშაული, რომელმაც ჩინეთის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. „Symantec-ის“ 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, პეკინი მსოფლიოში აღიარებულ იქნა დასნეულებული კომპიუტერების დედაქალაქად (მსოფლიოში არსებული კომპიუტერების ჯამური რაოდენობის დაახლოებით 5%). უსაფრთხოების საკითხებში მოღვაწე კომპანია „შოპჰოს-ის“ კვლევამ კი დაადასტურა, რომ ჩინეთმა გადაასწრო აშშ-ს იმ ვებგვერდების ჰოსტინგის რაოდენობით, რომლებიც ავტომატურად აყენებს კომპიუტერში ბოროტ პროგრამებს, იპარავს პირად ინფორმაციას ან აგზავნის სპამ-ელ-ფოსტას.[803]

6.2 კიბერომი და კიბერტერორიზმი

კომპიუტერულ მეცნიერებათა პროფესორმა დოროთი დენინგმა გამოკვეთა ტერორისტული პრაქტიკის ის ექვსი სფერო, რომელთა საფუძვლიანი ცვლილება და გაძლიერება მოხდა ინტერნეტისა და „ვების“ მეშვეობით. ესენია: მედია-ოპერაციები, თავდასხმები, დაქირავება, სწავლება, ფინანსები და უსაფრთხოება.[804] მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მომუშავე ავტორების უმრავლესობა ფოკუსირებს ტერორისტული დაჯგუფებებისგან (ალქაიდა, ISIS და ა.შ.) მომდინარე კონკრეტულ საშიშროებებზე. სახელმწიფოს მიერ ნებადართული და მთავრობის მიერ დაფინანსებული თავდასხმები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ კარგავს აქტუალობას. ჩინეთი უეცრად აღმოჩნდა ისეთი სახელმწიფოების გვერდით, რომლებიც უფრო ხშირად საფრთხის წარმომქმნელებად მოიაზრებიან, ვიდრე საფრთხის ქვეშ მყოფებად. „*The Military Balance*“ არის ყოველწლიური კვლევა, რომელსაც აქვეყნებს სტრატეგიული სწავლებების საერთაშორისო ინსტიტუტი (IISS). იგი აფასებს გლობალურ სამხედრო შესაძლებლობებს და სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს კვლევას კიბერტერორიზმისა და კიბერომების თაობაზე.[805] „*The Military Balance*-ის“ ანგარიში ცხადად წარმოაჩენს იმ სირთულეს, თუ სად გადის ბრძოლის ხაზი კიბერსაზოგადოებაში:

„დეკემბერში სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მოხდა კიბერთავდასხმა, რა დროსაც ჩრდილოეთ კორეელ ჰაკერებს შესაძლოა მოეპარათ თავდაცვის საიდუმლო გეგმის ნაწილი სამხრეთ კორეისა და აშშ-ის სტრატეგიული გეგმისა იმ შემთხვევისთვის, თუ დაიწყებოდა ომი კორეის ნახევარკუნძულზე.

---

[803] იხ. <http://www.msnbc.msn.com/id/19789995/> [02.06.2014].

[804] *Denning D. E.*,Terror's web: how the Internet is transforming terrorism, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 195.

[805] იხ. <http://www.iiss.org/publications/military-balance/> [02.06.2014].

გასული წლის ივლისში შპიონაჟისგან დამცველმა აგენტებმა გერმანიაში განაცხადეს, რომ ქვეყანა იდგა ძალზე დახვეწილი ჩინური და რუსული ინტერნეტ-მეთვალყურეობის ოპერაციების საფრთხის წინაშე. მათ მიზანში ამოღებული ჰქონდათ გერმანიის ენერგოსისტემა.

ერთ-ერთი ცნობილი კიბერთავდასხმისას, რომელიც განხორციელდა ესტონეთში 2007 წელს, გამოყენებულ იქნა ერთ მილიონ კომპიუტერზე მეტი, რათა მომხდარიყო მთავრობის, ბიზნესისა და მედიის ვებგვერდებისათვის საცობის შექმნა. თავდასხმები, რომლებიც, მრავალთა აზრით, რუსეთიდან მოდიოდა, დროში დაემთხვა მათ შორის პოლიტიკური დაძაბულობის პერიოდს. მიყენებული ზარალი ათობით მილიონი ევროს ოდენობისა იყო. უახლეს წარსულში ჩინეთმა დაადანაშაულა ობამას ადმინისტრაცია ირანის წინააღმდეგ ონლაინ-ომების წარმოებაში, რომელშიც ჩართული იყო დაქირავებული „ჰაკერების ბრიგადა" და მიმდინარეობდა მანიპულაცია Twitter-ისა და YouTube-ის დახმარებით, რათა გაღვივებულიყო ანტისახელმწიფოებრივი აგიტაცია".[806]

IISS-ის მიხედვით, ტერორიზმი და ომები კიბერსივრცეში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ინფრასტრუქტურის გათიშვის მიზნით; აგრეთვე, იმისათვის, რომ მოხდეს სხვა ქვეყნის სამხედრო მონაცემების სისტემებში შეღწევა, ქვეყნის ფინანსური ტრანსაქციების არევა ან სხვა რაიმე საზიანო მიზნის მიღწევა.[807] 2009 წლის ივნისში პენტაგონმა შექმნა აშშ-ის კიბერმართველობა (US Cyber Command), ხოლო ბრიტანეთმა გამოაცხადა, რომ კიბერუსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი ჩამოყალიბდებოდა ჩელტენჰემში (GCHQ). მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა, მთავრობებს და ეროვნული უსაფრთხოების დაწესებულებებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ განაცხადონ, თუ როდის და ვის მიერ მოხდა მათზე თავდასხმა და როგორი იქნება მათი პასუხი.

მოყვანილი მაგალითები ჰოლივუდურ ფილმებში ნაჩვენებ საფრთხეებსაც კი ჩამოგავს, მაგრამ მაინც არასწორია კიბერდანაშაულის, კიბერტერორიზმისა თუ კიბერომების გაზვიადება. ჩინეთის მაგალითი განხილული იყო იმ მიზეზის გამო, რომ ნათლად ასახავს ინტერნეტის შეღწევადობის სისწრაფეს, მასშტაბს და ასევე ნათლად წარმოაჩენს თანმიმდევრულ ცვლილებებს ადგილობრივი და გლობალური ძალაუფლების საკითხებში, თუმცა საჭიროა ჯანსაღი სკეპტიციზმის შენარჩუნება იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებიც დასავლეთის მხრიდან გაისმა და რომლებსაც ქმნიან ჩინეთის მსგავსად სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოები. ისიც აღსანიშნავია, რომ მედია-კომენტატორებს, პოლიტიკოსებს, სისხლის სამართლის სპეციალისტებს და უსაფრთხოების პროფესიონალებს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები, შესაძლებელია ამოძრავებდეთ ძლიერი ინტერესი იმისა, რომ გააზვი-

---

[806] *Tisdall S.*, Cyber-warfare 'is growing threat (3 February 2010) <**http://www.guardian.co.uk/technology/2010/feb/03/cyber-warfare-growing-threat**> [02.06.2014].

[807] იქვე.

ადონ ის რისკები, რაც შეიძლება მომდინარეობდეს ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. როგორც სოციოლოგი მაჯიდ იარი უთითებს, შეშფოთება, რომელიც დასავლეთმა ჩინეთის შესახებ გამოთქვა როგორც კიბერდანაშაულის, კიბერტერორიზმისა და კიბერომების წყაროს მიმართ, რეალურად გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩინეთის ეკონომიკა იმდენად მომძლავრებულია, რომ იწვევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შიშებს იმ ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ-ში, რომლის ეკონომიკაც ერთ კვირასაც ვერ გაძლებდა ჩინეთის ეკონომიკის გარეშე), რომლებსაც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ხელთ ეპყრათ ძალაუფლება ამ სფეროში.[808] სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, სამართლის დოქტორ მეგი ვაიკსის[809] მოსაზრებით, გამოყენებულ იქნა მედია, როგორც ინსტრუმენტი, საზოგადოებაში შესაძლო ტერორისტული თავდასხმების შიშის დასანერგად. მისი აზრით, 9/11-ის შემდეგ მედია გამუდმებით აშუქებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ტერორისტული დაჯგუფებები იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ დაგეგმონ, ორგანიზება გაუკეთონ ტერორისტულ აქტებსა და კიბერთავდასხმებს. ვაიკსი ვარაუდობს, რომ ტერორიზმი 21-ე საუკუნეში მიკერებულ იქნა ინტერნეტზე, ზერეალისტური კრიმინალიზაციის პროცესითა და შიშისმომგვრელი მჭევრმეტყველებით, რომლის მიზანი იყო პოლიტიკოსთა განცხადებების, კავშირების, კანონების, ქმედებებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გამართლება. ამან, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია ინტერნეტ-მომხმარებლებსა და მოქალაქეებზე.[810]

მიუხედავათ იმისა, რომ გლობალური კიბერომები და ტერორიზმი, მოსალოდნელია, მაინც გაცილებით რთულ პრობლემას წარმოადგენს ჩვეულებრივი კიბერდანაშაულები, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად ხდება და უარყოფით გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე. სწორედ ამიტომ მომდევნო თავში კიბერდანაშაულების ცალკეულ სახეებზე შევჩერდებით.

6.3 „ჩვეულებრივი" კიბერდანაშაულები

6.3.1 ელექტრონული ქურდობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შელახვა

ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი არის წარმოუდგნელად დიდი ინფორმაციული ბაზის შექმნა და გავრცელება, რამაც გამოიწვია დანაშაულის შესახებ ტრადიციული მოსაზრებების გადაფასება და ხელახლა ჩამოყალიბება. მაგალითად, ქურდობა ტრადიცი-

---

[808] *Yar M.*, Public perceptions and public opinion about internet crime, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds) Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 107 (შემდგომში – *Yar M.*, Public perceptions and public opinion about internet crime, გვ.).

[809] *Wykes M. with Harcus D.*, Cyber-terror: construction, criminalization and control, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds) Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 223.

[810] იქვე.

ულად არის მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაა მისაკუთრების მიზნით, რომელიც ატარებს ფარულ სახეს და მისი შედეგია ის, რომ დაზარალებული მოპარულ ქონებას ვეღარ ფლობს. ასეთი სახის დანაშაულის გამოძიება, როგორც წესი, შედარებით სწორხაზოვანია იმდენად, რამდენადაც მატერიალური ფასეულობაა, რომელსაც შესაძლოა შეეხო და დაინახო.[811] ინტერნეტის მეშვეობით ქურდობა კი შეიძლება ვირტუალურად განხორციელდეს, მოხდეს სხვისი ნივთის დაუფლება ან მისი სრულყოფილი ასლის დამზადება. როგორც მესაკუთრეს, ისე – ქმედების ჩამდენს ექნება ნივთი, რომლის შესახებაც მესაკუთრე დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეიტყობს. რაც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, მას რამდენიმე აღიარებული ფორმა აქვს: პატენტი, სავაჭრო მარკა, სავაჭრო საიდუმლო, სამრეწველო დიზაინი და საავტორო უფლება. ამ უკანასკნელთა ქურდობა დანაშაულის ტრადიციულ და სამართლებრივ განსაზღვრებას ეჭვქვეშ აყენებს და ტრადიციულ საავტორო უფლებების ნორმებს შეუსაბამოს ხდის.[812]

მონაცემთა ელექტრონულ რეპროდუქციას მრავალი ფორმა აქვს. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ფაილების გაზიარებაა – „peer-to-peer" (P2P), რამაც ინტერნეტს დაუბრუნა ლიბერალური, კოლექტიური ეთოსისა და სათუთი ანარქიის შეგრძნება, რომელიც მას ახასიათებდა შორეულ 60 – 70-იან წლებში. ციფრული მეკობრეობით კინო და მუსიკალური ინდუსტრია ზარალდება მილიონობით დოლარით. მეკობრეობის ეს ფორმა ზუსტად ისეთივე უკანონო და დანაშაულებრივი ქმედებაა, როგორც საავტოროუფლებიანი პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელება.[813]გარდა ამისა, უკანონო გზებით ფილმების, მუსიკისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის გადმოწერა მხოლოდ ახალგაზრდებს როდი მიაჩნიათ მორალურად გამართლებულად. აშშ-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ გამოავლინა, რომ პროფესიონალების მხოლოდ 26% ეწინააღმდეგება მეკობრეობას.[814]აღსანიშნავია ისიც, რომ ფართოგამტარიანმა ტექნოლოგიებმა უფრო დააჩქარა და გაადვილა მუსიკისა თუ ფილმების უკანონო გადმოწერები, თუმცაღა დღესდღეობით ზოგიერთი კომპაქტდისკი იწარმოება ისე, რომ შეუძლებელია მასზე განთავსებული აუდიო თუ ვიდეომასალის კომპიუტერში გადაწერა ან მისი ასლის შექმნა. ამავე დროს, ამერიკის ჩანაწერთა ინდუსტრიის ასოციაცია (RIAA) სამართლებრივ ქმედებებს მიმართავს ყველა იმ ასაკის ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ფაილების გაცვლა-გაზიარების მომსახურებითაა დაკავებული, ხოლო ამერიკის კინოს ასოციაცია (MPAA) ცდილობს, დახუროს ყველა ის ვებ-

[811] *Goodman M.*, Why the police don't care about cybercrime, Harvard Journal of Law and Technology, (1997), 10: 465-494.

[812] *Wall D. S. and Yar M.*,Intellectual property crime and the Internet: Cyber-piracy and "stealing" information intangibles, in Jewkes Y. and Yar M. (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 257.

[813] *Yar M.*, Cybercrime and Society, London: Sage, 2006, 95 (შემდგომში – Yar M., Cybercrime and Society, გვ.).

[814] *Yar M.*, Public perceptions and public opinion about internet crime, 108.

გვერდი, რომლებიც ინტერნეტში ფილმებს ავრცელებს. ბევრს კი სჯერა, რომ მსხვილ კორპორაციებს აიძულებენ, ითამაშონ „კატათაგვობანა", რადგან, როგორც RIAA-ს მიერ Napster-ის დახურვის გახმაურებულმა ფაქტმა ცხადყო, როდესაც ერთი ერთეულის უკანონო საქმიანობა იხურება, მის ადგილს მეორე იკავებს. ახლახან, საავტორო უფლებების მფლობელებს კანონიერი დაპირისპირება ჰქონდათ შვედურ ვებგვერდ „Pirate Bay-სთან", რომელიც მაძიებლებს გადაამისამართებს იმ მედიაფაილებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტსივრცეში, თუმცა ეს ინტერნეტგვერდი მომხმარებელს არ სთავაზობს შენახვის ან საძიებო ობიექტის შეძენის ფუნქციას, რითაც ვებგვერდი გვერდს უვლის ანტი-მეკობრულ კანონებს. მაშინ, როცა საავტორო უფლებების მფლობელები ჩივიან, რომ მსგავსი ქმედება არის მეკობრეობის მთავარი წყარო, საიტის ოპერატორები ამბობენ, რომ ისინი მოქმედებენ კანონის ფარგლებში და სწორედ ამიტომ დავა ამ საკითხის გარშემო არ წყდება.

6.3.2 სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები (Hate Crime)

სიძულვილის მიზეზით ჩადენილი დანაშაული შეიძლება მოტივირებული იყოს რასისტული, რელიგიური, ჰომოფობიური, სქესობრივი ან შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ან იყოს ძალადობრივი რეაქცია იმ დამნაშავის მიმართ, რომლის შესახებაც ინფორმაცია საზოგადოებას ახალი ამბებიდან მიეწოდა.[815]შუღლისა და სიძულვილის წახალისება და გავრცელება გამოიწვია ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ, რომლის დახმარებითაც ერთგვაროვნად მოაზროვნე პირები მთელი მსოფლიოს მასშტაბით უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთიანდებიან საკუთარი იდეის გარშემო. ინტერნეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გაერთიანებისთვის – იგი აკავშირებს შუღლის გამღვივებელ მოძრაობებს და ხელს უწყობს კოლექტიურ გაერთიანებას, ხოლო აზრის გამოხატვას კი საგრძნობლად ამარტივებს.[816] ზემოთ მიმოხილული იყო, თუ როგორ არის შესაძლებელი გამოყენებულ იქნეს ინტერნეტის პოტენციალი საბრძოლო იარაღად. მართლაც, ინტერნეტი უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ტერორისტული ორგანიზაციებისთვის. მათ შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერი და სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებები (ელ. ფოსტა, ფიჭური და რადიო ქსელები) შორ მანძილზე დაგეგმილი აქტების განსახორციელებლად ისე, რომ ფიზიკურად არც იმყოფებოდნენ დანაშაულის ადგილას. კოულმენი და მაკკეჰილი აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი ყოფილი რადიკალი მუსულმანის მტკიცებით, რადიკალური იდეოლოგიის მიმდევარი ახალგაზრდა არაბების ნახევარი სწორედ ინტერნეტის

---

[815] *Chakrabonti N. and Garland J.*,Hate Crime: Impact, Causes, and Consequences, London: Sage, 2009, 10.

[816] *Perry B.*,In the Name of Hate: Understanding Hate Crimes, New York: Routledge, 2001, 16.

დახმარებით გაერთიანდნენ.[817] ევროპაში არსებული აპოლიტიკური დაჯგუფებების – ნეო-ნაცისტების, სკინჰედების და კუ-კლუქს-კლანის წევრები – იყენებენ ინტერნეტს იმ მიზნით, რომ ახალგაზრდებს შორის გააღვივონ რასისტული, ანტისემიტური და ჰომოფობიური შუღლი ყოველგვარი კანონიერი სანქციის შიშის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ოფიციალურად კრიმინალიზებულია შუღლისა და სიძულვილის გაღვივება, ინტერნეტი რჩება დაურეგულირებელ სფეროდ, რომელთან პოლიციაც კი უძლურია მანამ, სანამ კონკრეტული დანაშაული არ გახდება ცნობილი.

როგორც წესი, სიძულვილის მიზეზით ჩადენილი დანაშაულებანი მიმართულია რელიგიურად თუ სხვა ნიშნით იდენტიფიცირებული დემოგრაფიული ჯგუფების მიმართ. იგი იძენს ინდივიდუალურ ხასიათს და კონკრეტული პირის წინააღმდეგ ხორციელდება. უკანასკნელი წლების გამოცდილებიდან მოყვანილი ორი მაგალითი საკმარისი იქნება იმის წარმოსაჩენად, რაოდენ დაურეგულირებელია ინტერნეტი და ვირუსების საშუალებით როგორ შეუძლია საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს უმცირეს დროში სივრცის გადალახვა:

2008 წლის ნოემბერში „პატარა პის" (იგივე „პატარა პიტერის") საქმეზე დადგინდა 2 წლის ბავშვის წამებისა და მკვლელობის ფაქტი. ქმედების ჩამდენი დედამისი შეყვარებული აღმოჩნდა. ბრიტანულ საზოგადოებაში ამ ამბავმა შოკი გამოიწვია. ორი სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის დარღვევით რამდენიმე ინტერნეტგვერდმა დაადგინა ბავშვის ვინაობა და გამოქვეყნა დედამისისა და მამინაცვლის სურათები, მათი სახელები, მისამართი და სხვა პირადი მონაცემები. სოციალური ქსელის რამდენიმე ვებგვერდი იძულებული გახდა, გაეუქმებინა დედის ინტერნეტპროფილი,[818] რადგან მის მიმართ ძალადობის მოწოდებით საკმაოდ ფართო კამპანია დაიწყო. სასამართლო პროცესიც რამდენიმე თვით გადაიდო. გადადების მიზეზად „კანონიერი საფუძვლები" დასახელდა.

2010 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ჯონ ვენებლსი ეჭვმიტანილად ცნეს საბავშვო პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულების ჩადენაში და დააკავეს, სრულიად სხვა პირი – დევიდ კელვერტი შეცდომით მიიჩნიეს პირად, რომელმაც პატარა ჯეიმს ბულგერი მოკლა. რამდენიმე დღეში 2 730 ადამიანი შეუერთდა ინტერნეტჯგუფს იმისთვის, რომ დადგენილიყო, იყო თუ არა კელვერტი იგივე ვენებლსი (მიუხედავად იმისა, რომ ვენებლსი ციხეში იყო, ხოლო კელვერტი – სახლში). Facebook-ის ჯგუფი გაუქმდა, თუმცა მსჯელობები გაგრძელდა ვებგვერდ Yahoo Answers-ზე, სადაც ხალხი ამტკიცებდა, რომ დამნაშავის იდენტიფიკაცია ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით მოხდა. სახელგამტეხი კამპანიის შემდეგ კელვერტი იძულებული გახდა, გაესაჯაროვებინა ოჯახური ფოტოალბომი, რათა ეჭვები გაექრო საზოგადოებაში. მის წინააღმდეგ მიმარ-

---

[817] *Coleman R. and McCahill M.,* Surveillance and Crime, 85.

[818] ინგლ. profile – სოციალური ქსელის მომხმარებლის პირადი გვერდი, რომელსაც აქვს ინდივიდუალური მისამართი.

თ♦ული კამპანია იმდენად საშიში იყო, რომ მის სახლში საგანგაშო ღილაკიც კი დ♫აამონტაჟეს.[819]

სწორედ ჯონ ვენებლსი და მისი თანამზრახველი რობერტ ტომსონი იყვნენ ი♦ს პირები, რომლებმაც დაუდეს სათავე ინტერნეტმომსახურების პროვაიდერებთან (ISP) დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების დაწყებას. 2001 წლის ივლისში ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერმა Demon-მა შეძლო ცვლილებების მ♫იღწევა სასამართლო აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც ჯეიმს ბულგერის შ♫კვლელებს ეხებოდათ. როგორც წინა თავებში ითქვა, ბულგერის მკვლელებს ♫მიეცათ ახალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და სასამართლო განჩინების სა♦ფუძველზე მედიას აეკრძალა ნებისმიერი პირადი ინფორმაციის გავრცელება ვენ♫ბლსისა და ტომსონის შესახებ. სწორედ ეს უკანასკნელი განჩინება გახდა სადავო ინტერნეტ პროვაიდერების მხრიდან, რადგან მათ მიერ მიწოდებული სერვისი იმდენად უკონტროლოა, რომ შესაძლებელი იყო, ზემოხსენებულ პირების შესახებ აკრძალული ინფორმაცია გავრცელებულიყო და ამით ინტერნეტპროვაიდერის საქმიანობას საფრთხე შექმნოდა, რამეთუ მისი საქმიანობა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა სასამართლოს განჩინებასთან.

სამართლებრივად გაცილებით ბუნდოვანია სიძულვილით მოტივირებული ისეთი ქმედებები, რომელთაც შეიძლება „კიბერბულინგი“ ვუწოდოთ. როგორც შემდეგ თავში გამოჩნდება ბავშვებისა და მოზარდების წინააღმდეგ მიმართული კიბერბულინგი ხშირად სექსუალურ მიზნებს უკავშირდება, თუმცა ტრადიციული „ბულინგის“ მსგავსად, იგი შეიძლება ასევე მოიცავდეს დამამცირებელი სახელების შერქმევას, თავდასხმისა და შანტაჟის სერიოზულ საფრთხეებს და ა.შ. კიბერბულინგისაგან დაცვაც შესაძლებელია კანონმდებლობით (1997 წლის „ჩაგვრის აქტი“), თუმცა კიბერბულინგის უმეტესობა მცირე მნიშვნელობის ქმედებაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ადრესატისათვის, მაინც არ ითვლება დანაშაულად. კიბერბულინგსა და ტრადიციულ „ბულინგს“ შორის სხვაობა ისაა, რომ ზიანის მომტანი მასალები შეიძლება განთავსდეს სოციალურ საიტებზე, შესაბამისად, მათი ნახვა შეეძლება მილიონობით ადამიანს.[820]

6.3.3 პირად ცხოვრებაში ჩარევა, ცილისწამება და პირადი მონაცემების ქურდობა

პიროვნების პირადი უსაფრთხოების ცნება წარმოადგენს ადამიანის ერთერთ ფუნდამენტურ უფლებას. მიუხედავად ამისა ახალმა შესაძლებლობებმა და ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებამ სოციალური დელიქტების ფარგლები გააფართოვა, რითაც საფრთხე შეუქმნა ამ უფლებას. პირადი სფეროს ხელყოფა მოიცავს სხვადასხვა დევიაციურ ქმედებებს. ერთ-ერთია „სპამინგი“ – ონლაინ-

[819] Guardian, 9 March 2010.

[820] *Jewkes Y.* ,Media and Crime, 248.

ცილისწამება, დევნა და ძალადობა. სპამინგი განიხილებოდა ფოსტის დაბინძურების საშუალებად, თუმცა შემდგომში გამოვლინდა მისი ფარული და უკანონო მხარეებიც. მას შეუძლია გაავრცელოს ელექტრონული ჯაჭვის ასოები, რომლებიც მომხმარებელს ამისამართებს პორნოგრაფიულ გვერდებზე, აცნობს ცრუ ინფორმაციას, თითქოს მიიღეს დიდი ოდენობით თანხა, რომელიც პირს ნათესავმა დაუტოვა და მზადაა, დაუყოვნებლივ გადარიცხოს ადრესატის საბანკო ანგარიშებზე, ავრცელებენ თაღლითური პირამიდის სქემებს, კიბოს ყალბ მედიკამენტებს და ა.შ. ერთ-ერთი დანაშაული, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში და მიმართულია ევროპისა და აშშ-ში მცხოვრები ქალბატონებისკენ, არის ონლაინგაცნობის სერვისები, რომელიც მოქმედებს შემდეგნაირად: დამნაშავეები იყენებენ ონლაინპაემნებს, სადაც თაღლითურად ათავსებენ ყალბ ფოტოებს და ამყარებენ კავშირს პოტენციურ მსხვერპლებთან (ხშირად, რამდენიმე თვის განმავლობაში) მანამ, სანამ შეძლებენ მათ დარწმუნებას ფულის გადაგზავნაზე. უკანასკნელ წლებშიიმატა ე.წ. „ფიშინგის" (phishing) შემთხვევებმა, როდესაც ლეგიტიმური ორგანიზაციები (როგორიცაა ბანკი თუ სამშენებლო გაერთიანება) მიმართავენ ინტერნეტმომხმარებლებს, აქეზებენ მათ, გამჟღავნონ სენსიტიური პირადი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში მათ წინააღმდეგ ბოროტად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მსგავსი ქმედებების უარყოფითი შედეგები იმდენად გავრცელდა, რომ ევროკავშირმა შექმნა მომხმარებელთა დაცვის კოოპერაციული ქსელი, რომლის მიზანია, შეაჩეროს საერთაშორისო ხასიათის ინტერნეტდანაშაულები.[821]

კანონი იცავს, აგრეთვე, იმ პირებს, რომელთა რეპუტაციას ლახავს ინტერნეტში განთავსებული მასალა. მასწავლებლები და ლექტორები ასეთი თავდასხმებისაგან ყველაზე დაუცველნი არიან. 2000 წელს, Demon-მა 230 000 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ბრიტანელ ლექტორს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინტერნეტმომსახურების პროვაიდერმა ვერ შეძლო მისთვის ზიანის მომტანი, ორი ანონიმური ინტერნეტპოსტის გაქრობა. ამერიკაში კი სან ფრანცისკოს კოლეჯის სტუდენტების მიერ პედაგოგთა საქმიანობის შესახებ შექმნილმა ვებგვერდმა იქამდე მიიყვანა ერთ-ერთი ლექტორი, რომ მან სასამართლის მიმართა სარჩელით და მოითხოვა ვებგვერდის გაუქმება იმ მოტივით, რომ ის იყო „საზიზღარი, ტყუილით გაჯერებული და რეპუტაციის შემლახავი საშუალება".[822]მას შემდეგ, რაც Facebook-ი იქცა ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციის ძირითად საშუალებად, ვებგვერდს ბევრმა მასწავლებელმა, ლექტორმა თუ სხვა მუშაკმა მიმართა, რათა მათ წინააღმდეგ გავრცელებული ცილისწამებლური ინფორმაციები გაექრო.[823]

---

[821] *Espiner T.*, EU To Launch Scam Crackdown, 26 February, (2007) <**http://news.zdnet.co.uk/security/0,1000000189,39286068,00.htm**> [02.06.2014].

[822] *Cruzon-Brown D.*, The teacher review debate part II: the dark side of the Internet, in Gauntlett D. (ed.), *Web.studies: Rewiring Media Studies of the Digital Age*, London: Arnold, 2000, 91.

[823] *Jewkes Y.* ,Media and Crime,249.

კიბერდანაშაულის შემდგომი გამოვლინებაა პირადი მონაცემების ქურდობა, რაც დრამატულად იზრდება უკანასკნელ წლებში. 2007 წელს აშშ-ის ფედერაციულმა სავაჭრო კომისიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 12-თვიან პერიოდში 8,3 მილიონი ამერიკელი გახდა პირადი მონაცემების ქურდობის მსხვერპლი. იმავე პერიოდში, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საკრედიტო შემოწმების სააგენტო Experian-ის ცნობით, მსგავსი შემთხვევები 69%-ით გაიზარდა. ბრიტანეთის მთავრობის განცხადებით, პირადი მონაცემების ქურდობა ყოველწლიურად მათ ეკონომიკას 1,7 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ზარალს აყენებს.[824]პირად მონაცემთა ქურდობა მოიცავს რიგ დანაშაულებს, დაწყებულს საკრედიტო ბარათების ნომრების მითვისება-გამოყენებით, დასრულებულს ადამიანის სხვა პერსონალური მონაცემების სრული მისაკუთრებით. ეს პროცესი შესაძლებელია იყოს რუტინული და ოპორტუნისტული[825], მაგალითად: გადაგდებული საკრედიტო ბარათის შესახებ განაცხადსა თუ განაღდების აპარატთან დატოვებულ ჩეკებს გამუდმებით ეძებს პირადი მონაცემების/იდენტობის მრავალი ქურდი. თუმცაღა არსებობს უფრო მაღალი ტექნოლოგიების მეშვეობით ქურდობის შემთხვევები, მაგალითად, ინდივიდუალური კომპიუტერების გატეხვა ქსელის საშუალებით იმ მიზნით, რომ მოიპარონ მესაკუთრის საბანკო და საკრედიტო ბარათის მონაცემები. გარდა ამისა, პოპულარული საშუალებებია: პინ-კოდების, მაღაზიებში და რესტორნებში საკრედიტო ბარათების სწრაფად დათვალიერება, ორიგინალის თითქმის იდენტური ასლის შესაქმნელად. გარდა ფინანსური თაღლითობისა, პირადი მონაცემების ქურდობა უკვე აღიქმება როგორც მნიშვნელოვანი „პრეკურსორი", ანუ ის, რაც შემდგომ რიგ სხვა დანაშაულებს უხსნის გზას, ისეთებს, როგორიც არის, მაგალითად, არალეგალური იმიგრაცია და ადამიანებით ვაჭრობა (ეს უკანასკნელნი განეკუთვნება დანაშაულებრივ ქმედებათა რიცხვს, რომლის ჩადენაც გაადვილებულია მოპარული პირადი მონაცემების გამოყენებით).[826]

პირადი მონაცემების ქურდობის მზარდი ტენდენციის შესახებ არსებული განწყობა დაედო საფუძვლად ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივას, შეექმნა იდენტობის ქურდობის საზედამხედველო კომიტეტი, რომლის მიზანია, მზადყოფნაში მოიყვანოს პოლიცია, მთავრობა და ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, რათა შესაძლებელი გახდეს დანაშაულზე კოორდინირებული სწრაფი რეაგირება. ამასთან, ფინანსური მომსახურების მიმწოდებლები – ბანკები და საკრედიტო ბარათების მწარმოებელი კომპანიები სთავაზობენ მომხმარებელს პირადი მონაცემების დაზღვევა, რათა დაიცვან ისინი იდენტობის ქურდობისგან და, შესაბამისად, ამ დანაშაულის მსხვერპლად გახდომისაგან. მიუხედავად ამისა, ძირითადად, პირადობის მოწმობის მოპარვის შიში ახასიათებთ უფროსი თაობის

---

824 Home Office, 2006 <**http://identitytheft.org.uk**> [02.06.2014].

825 ინგლ. Opportunist – პირი, რომელიც შანსს ეძებს; პირი, რომელიც ყოველი ქმედებიდან მაქსიმალურ სარგებელს ელოდება.

826 იხ. <**http://www.met.police.uk/op_maxim/**> [02.06.2014].

წარმომადგენლებს,[827] მაგრამ, როგორც კრიმინოლოგი რასელ სმიტი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები არ მიიჩნევენ თავს იდენტობის ქურდობის პოტენციურ მსხვერპლად, სოციალური ქსელების გაფართოების შედეგად ისინი ახლა უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.[828]მაგალითად, სოციალური ქსელის – Facebook-ის შვიდიდან ერთი მომხმარებელი საიტზე ავტორიზაციას გადის სამსახურიდან სამუშაო საათებში, რითაც არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ორგანიზაციასაც კი კრიმინალური ქმედებების საფრთხის წინაშე აყენებს.

6.3.4 თაღლითობა eBay-ზე

პირადი მონაცემების ქურდობა შესაძლებელია საფუძვლად ედოს ისეთ დანაშაულს, როგორიც არის თაღლითობა. თაღლითობა შესაძლებელია ჩადენილ იქნეს ინტერნეტის მეშვეობით, საბანკო ანგარიშის დეტალების, საკრედიტო ბარათის ნომრის ან თუნდაც სხვა რაიმე პირადი მონაცემების მოპარვის გარეშეც. დანაშაულის ზრდის ტენდენციას ხელს უწყობს ონლაინაუქციონის ვებგვერდი – eBay ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის, მეტაბოლური სტეროიდების, პორნოგრაფიული პროდუქტებისა და ბავშვების შეურაცხმყოფელი ფოტომასალის გაყიდვით. ტრანსაქციებით, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება eBay-ზე, იყიდება ფალსიფიცირებული საქონელი ან ისეთი საქონელი, რომელთა გაყიდვით ირღვევა ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ვებგვერდზე იყიდება ისეთი ნივთები, რომლებიც მოპარულია, ნაკლოვანი ან დაზიანებულია. მყიდველების უმრავლესობა არ მიმართავს ლეგალურ ქმედებას, როდესაც აშკარა ხდება, რომ მათ მიერ შეძენილი ნივთი არ არის ორიგინალი. გლობალურ კორპორაციებს კი, რომლებიც ძვირადღირებული ბრენდებით ვაჭრობენ, შესწევთ საკმარისი ფინანსები და მოტივაცია, შესაბამისად იმოქმედონ, თუკი მათ რომელიმე ბრენდს ზიანი დაემუქრება. 2008 წელს საფრანგეთის სასამართლომ eBay-ს დააკისრა, 19,28 მილიონი ევროს გადახდა „Louis Vuitton Malletier-ისა" და მისი შვილობილი კომპანიის – „Christian Dior Couture-ისათვის" 17,3 მილიონი ევროს გადახდა მათი ბრენდის იმიჯისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ზიანი განიხილებოდა ორ ასპექტში: პირველი იყო ის, რომ eBay-მ დაუშვა უხეში შეცდომა, რადგან არ გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა ყალბი საქონლის გაყიდვის თავიდან ასაცილებლად (მათ შორის იყო „Louis Vuitton-ის" ჩანთები); მეორე საკითხი გახლდათ ის, რომ eBay-მ დაუშვა ჯგუფის მფლობელობაში არსებული სუნამოს ბრენდების არაავტორიზებული გაყიდვა. დავის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ eBay-მ დაარღვია კომპანიის ავტორიზებული სადისტრიბუციო ქსელის წესდება,

---

[827] *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime, 169.

[828] *Smith R.,* Identity theft and fraud, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 276.

რომელიც პროდუქციის გაყიდვის უფლებას მხოლოდ სპეციალიზირებულ დილერებს აძლევდა.[829]

ასეთ დანაშაულები ძვირადღირებული საქონლის მწარმოებელ კომპანიებს მილიონები უჯდება. გაცილებით უფრო გავრცელებული და მოცულობითია ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: მოპარული საქონლის განკარგვა, ფინანსური თაღლითობა, მოტყუების საფუძველზე ქონების ხელში ჩაგდება და სხვა. საგაზეთო კვლევების მიხედვით, ინგლისისა და უელსის პოლიცია საათში ერთხელ იძიებს eBay-ს სავარაუდო დანაშაულს, რომელთაგანაც ზოგი სცდება კიბერსამყაროს და გადის რეალურად ჩადენილ ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა ძარცვა, თავდასხმა, იარაღის უკანონო ფლობა, სამოქალაქო დავები, სექსუალური ძალადობა, თავდასხმა ცეცხლის წაკიდების მიზნით და ა.შ.[830] ონლაინაუქციონის მომხმარებლების მიერ წარდგენილი მონაცემებით, 2007 წელს ჩადენილმა დაახლოებით 8000-მა დანაშაულმა აიძულა eBay, ჩაეტარებინა ტრეინინგები პოლიციის 2000 ოფიცრისთვის, რათა სათანადოდ გამოეძიებინათ ინტერნეტთაღლითობები. სასამართლომდე მისულ საქმეთა შორის საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: უელსელმა ქალბატონმა 13000 ფუნტ სტერლინგზე მეტი გამოიმუშავა ფოტოსურათების გაყიდვით, რომლებზეც ამოტვიფრული იყო გამოჩენილი ადამიანების ყალბი ხელმოწერები, ამ დანაშაულისათვის მას 42-კვირიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევის „ავტორი" იყო მამაკაცი იორკშირიდან, რომელსაც სასამართლომ 26 კვირით თავისუფლების აღკვეთა და 180 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეუფარდა მას შემდეგ, რაც მან 40000 ფუნტი სტერლინგის გამომუშავება მოახერხა მუსიკალური ჯგუფის „Take That-ის" eBay-ზე ყალბი ბილეთების 270 პირისათვის მიყიდვით.[831]

6.3.5 „ჰაკინგი" და სენსიტიური მონაცემების დაკარგვა

„ჰაკერები" არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეაღწიონ, კომპიუტერულ საინფორმაციო სისტემებში. მათ უამრავი მოტივი ამოძრავებდეთ. გარდა კიბერტერორიზმისა და კიბერომებისა, „ჰაკინგი" შესაძლოა წარმოიშვას უბრალო რწმენის საფუძველზე, რომ ინფორმაციაზე წვდომა ყველასათვის თავისუფალია ან, უბრალოდ, საკუთარი უნარების დემონსტრირების მიზნით.[832] პროფესორ სტივენ ფარნელის მიხედვით, „ჰაკინგი საკმაოდ რთული და საოცარი დანაშაულია, რადგან სხვა კიბერდანაშაულებთან შედარებით იგი ერთადერთია, რომელსაც არათუ გამოჰყავს საზოგადოება მოთმინებიდან, არამედ ხშირად მათ

---

[829] *Jewkes Y.* ,Media and Crime, 249.

[830] იქვე.

[831] იქვე.

[832] *Taylor P. A.* ,Maestros or misogynists? Gender and the social construction of hacking, in *Jewkes Y.* (ed.) *Dot.cons:* Crime, Deviance and Identity on the Internet, (Cullompton: Willan, 2003), 126-146.

აღფრთოვანებასა და ოვაციებსაც კი იწვევს".[833] სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს განსხვავებული შეხედულება აქვთ „ჰაკინგის" თაობაზე. უმკაცრესი მიდგომა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, განსაკუთრებით 9/11-ის შემდეგ. მაგალითად, გარი მაქკინონს, 42 წლის ბრიტანელ მამაკაცს, ბრალი ედებოდა პენტაგონის კომპიუტერულ სივრცეში შეღწევისა და ამერიკის სამხედრო ბაზების, საზღვაო ძალებისა და NASA-ს ქსელებზე იერიშის მიტანისთვის 2001 და 2002 წლებში. ამ ადამიანს ამერიკის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სრული რისხვა დაატყდა თავს და შეეფარდა ექსტრადიცია და 70 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ამერიკულ ციხეში ტერორიზმის ბრალდებით. და ეს ყველაფერი მოხდა იმისდა მიუხედავად, რომ ამ ადამიანს მხარს უჭერდა რამდენიმე მაღალი რანგის ბრიტანელი პოლიტიკოსი, სამეცნიერო წრეების წარმომადგნელი და მრავალი გამოჩენილი ადამიანი, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანი, რომელიც ასპერგერის სინდრომის[834] მატარებელია, არ შეიძლებოდა გასამართლებულიყო როგორც ტერორისტი, არამედ იგი უნდა გაესამართლებინათ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

უსაფრთხოების ნებისმიერ სისტემაში შეღწევამ შესაძლოა გამოიწვიოს საკმაოდ დიდი ზარალი, თუმცა პენტაგონის (აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის) მთავარი ოფისის სისტემაში შეღწევა ჰაკერთა მსოფლიო საზოგადოებაში განიხილება როგორც ყველაზე დიდ მიღწევად. და მაინც, ყველაზე საკვირველი მაქკინენის ისტორიაში არის ის, თუ რა იოლად მოახერხა მან პოტენციურად მგრძნობიარე მონაცემებამდე მისვლა. ჟურნალისტ ჯონ რონსონის მიხედვით, „იგი ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში შეუმჩნევლად დაქროდა ძალაუფლების დერეფნებში; როგორც უჩინარი ადამიანი, ისე დაეხეტებოდა პენტაგონის ოფისებში და ფაილების კორიანტელს აყენებდა".[835]როდესაც 2002 წლის ნოემბერში იგი ბოლოს და ბოლოს დააკავეს, ბრიტანელმა ოფიცრებმა განუცხადეს, რომ მას მხოლოდ რამდენიმეთვიანი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაო ემუქრებოდა. მათ ვერ შეაფასეს, თუ როგორი „დრაკონული" გახდებოდა შტატების კანონმდებლობა „ტერორიზმთან ომის" შემდგომ პერიოდში. რონსონი აღნიშნავს: „შტატების ბრალმდებლები მას აღიქვამდნენ არა როგორც ჩრდილოეთ ლონდონელ სულელს, რომელმაც საკუთარ დამოკიდებულებით აზარტულ ქმედებებს მისცა ფართო გზა სისულელეების ჩასადენად, არამედ როგორც კაცს, რომელმაც

---

[833] *Furnell S.*, Hackers, viruses and malicious software, in Jewkes Y. and Yar, M. Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 175.

[834] ასპერგერის სინდრომი პირველად 1944 წელს ავსტრიელმა ფსიქიატრმა ჰ. ასპერგერმა აღწერა.აღნიშნული სინდრომის მქონე ბავშვებს ნორმალური ინტელექტისა და განვითარებული მეტყველების ფონზე ახასიათებთ სოციალური ურთიერთობების დეფიციტი, კომუნიკაციის სირთულე და უცნაური, ექსცენტრიული ქცევები.

[835] *Ronson J.*, Gary McKinnon: Pentagon hacker's worst nightmare comes true, Guardian 1 August 2009, <**http://www.guardian.co.uk/world/2009/aug/01/gary-mckinnon-extradition-nightmare**> [03.06.2014].

მსოფლიო ისტორიაში ყველა დროის უდიდესი სამხედრო კომპიუტერული ჰაკი ჩაიდინა".[836] როგორც აშშ-ის გენერალური პროკურორის ოფისმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, მაქკინონმა შეძლო შემდეგი: „თავიდან მან შეაღწია 97 დაცულ კომპიუტერულ სისტემაში. მან მოიპარა ფაილები და ის საიდუმლოებანი, რომელთა გამოყენება მტერს თავისუფლად შეეძლო. მან უდიდესი ზიანი მიაყენა აშშ-ის მთავრობის კომპიუტერულ სისტემებს და, შესაბამისად, საფრთხეში ჩააგდო ამერიკის თითოეული მოქალაქის სიცოცხლე. უმალვე, 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში, მაქკინონმა განზრახ გათიშა ვაშინგტონში ქსელი და 2000 მომხმარებელს 3 დღის განმავლობაში ინტერნეტთან წვდომა შეუფერხა, ხოლო 900 000 აშშ დოლარის (544 000 გირვანქა სტერლინგის) ზარალი მიაყენა შტატებს."[837]

მაქკინონმა აღიარა ჰაკინგი, თუმცა მკაცრად უარყო, რომ მას ამოძრავებდა ბოროტი მოტივები, რაშიც აშშ-ის მთავრობდა მას ბრალს სდებდა. როგორც რონსონმა აღწერა: „იგი ძირეულად სულელური, მაგრამ უწყინარი შეთქმულების თეორეტიკოსია, რომელმაც ძალიან ბევრი დრო ინტერნეტში გაატარა, რადგან გარე სამყაროსთვის მეტისმეტად სულელი იყო. გარი მაქკინონი შესაძლოა უბრალოდ მიეკუთვნებოდეს ისეთ სოციალურ ტიპს, როგორსაც ამერიკელი ბრალმდებლები არ აღიარებენ".[838]

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა უსუსურია ერთი შეხედვით დაცული სისტემები, არის ამერიკის სხვადასხვა სამთავრობო განყოფილებებიდან დაკარგული თუ მოპარული მონაცემები, რომელთა მოსაპოვებლად პოტენციური კრიმინალები მილიარდებსაც კი არ დაიშურებდნენ: 2007 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, ბრიტანეთის მთავრობამ დაკარგა 1000-ზე მეტი ლეპტოპი, რომელთაგანაც 13 პრემიერ-მინისტრის ოფისებიდან გაქრა. ერთ-ერთი ცნობილი შემთხვევა დაფიქსირდა 2007 წელს, როდესაც ბრიტანეთის შემოსავლების სამსახურმა დაკარგა ორი კომპაქტ-დისკი, რომლებზეც 25 მილიონი ადამიანის მისამართი, დაბადების თარიღი, ეროვნული დაზღვევის ნომერი და საბანკო ანგარიშების დეტალები ინახებოდა. ამას გარდა, დამატებით გაირკვა, რომ ამ დისკებზე ინახებოდა დეტალური ინფორმაცია იმ 350 ადამიანის რეალურ ვინაობაზე, რომლებმაც სერიოზული კრიმინალების წინააღმდეგ მისცეს ჩვენება და მოწმეთა დაცვის სახელმწიფო სქემით სარგებლობდნენ.

6.3.6 ბავშვთა პორნოგრაფია და ონლაინგრუმინგი

პორნოგრაფია თანაბრად იწვევს საზოგადოების შიშსა და აღფრთოვანებას. ონლაინპორნოგრაფია გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც განაპირობა ინტერნეტის სწრაფი ზრდა, პოპულარობა და გამოავლინა მისი კომერციული პოტენციალი. ამავე დროს, საბავშვო პორნოგრაფიის მომხმარებლები

---

[836] იქვე.

[837] იქვე.

[838] იქვე.

იყვნენ ზოგიერთი წამყვანი ორგანიზაციისა და დაწესებულების წარმომადგენლები. „მოზრდილთა“ კიბერპორნოგრაფია ემსახურება სექსუალური დაკმაყოფილების დემოკრატიზაციას და მეტ თავისუფალ წვდომას სთავაზობს მომხმარებელს მდედრობითი სქესის წარმომადგენლებსა და, ასევე, მათ ტრადიციულ მომხმარებელ მამაკაცებზე.[839]ამავე დროს, მსჯელობის საგნად ხშირად გამხდარა მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ექსპლუატაციის, პორნოგრაფიისა და სექსუალური ძალადობის საკითხები და ამის გამომწვევ მიზეზად ინტერნეტი სახელდებოდა.[840]ამ მხრივ საგულისხმოა მუსიკის მასწავლებელ ჯეინ ლონგჰარსტის მკვლელობა, რომელიც ნაცნობი მამაკაცის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. მისმა მკვლელმა აღიარა, რომ იგი სისტემატურად აგროვებდა ნეკროფილიისა და ასფიქციის თემებზე სურათებსა და ანგარიშებს, რათა დაეკმაყოფილებინა ანომალიური სექსუალური სურვილები. ამ ამბის შემდეგ ბრიტანულ მედიაში გაჩნდა სტატია სენსაციური სათაურით: „მოკლული ინტერნეტის მიერ“.[841] ამ „საგანგაშო დანაშაულს“ საზოგადოების მკაცრი გამოხმაურება მოჰყვა, რის შედეგადაც კანონმდებლებმა შემოიღეს ახალი ნორმა, რომლითაც მოხდა „ძალადობრივი პორნოგრაფიის ფლობის“ კრიმინალიზება, რომელიც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.[842]

მიუხედავად ასეთი პანიკისა, რეგისტრირებული დანაშაულები ზემოაღნიშნულ ნიადაგზე (როცა მსხვერპლი სრულწლოვანია) ძალზე იშვიათად ფიქსირდება. იგივეს თქმა არ შეიძლება ბავშვთა პორნოგრაფიაზე, რომლის წინააღმდეგაც უდიდესი ომია გამოცხადებული. წინა პარაგრაფებში უკვე იყო საუბარი იმაზე, რომ პედოფილია ჩვენი საუკუნეში მორალურ პანიკას იწვევს (თუმცა დღემდე პრობლემატურ საკითხად რჩება მისი განსაზღვრება). საკითხს გამუდმებით ადევნებს თვალყურს საზოგადოება და პანიკა განსაკუთრებით მაშინ აღწევს პიკს, თუ მასში ცნობილი „დამნაშავეები“, მათ შორის, გამოჩენილი ადამიანები მონაწილეობენ.

უმეტესობას მიაჩნია, რომ პოლიციას ზედმეტად ბევრი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ გაეცნობიერებინა, თუ რაოდენ დიდი პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი მსოფლიო. გარდა ამისა, ყველაზე პრობლემატურია ის, რომ საკმაოდ ძნელი გამოსავლენია მსგავსი დანაშაულები, რადგან პოლიციას გააჩნია შეზღუდული რესურსები და ცოდნა იმისა თუ, როგორ გაუმკლავდნენ ამ პრობლემას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ონლაინდანაშაულის აღმოფხვრას.[843]მაგრამ სა-

---

[839] *Jewkes Y. and Sharp K.*,Crime, deviance and the disembodied self: transcending the dangers of corporeality, in *Jewkes Y.* (ed.) Dot.cons: Criminal and Deviant Identities on the Internet, (Cullompton: Willan, 2003), 8 (შემდგომში – *Jewkes Y. and Sharp K.*,Crime, deviance and the disembodied self: transcending the dangers of corporeality, გვ.).

[840] დეტერმინიზმი – ლათ. determinare – განსაზღვრა, წინასწარგანჩინება.

[841] *Daily Mirror*, 4 February 2004; იხ.*Jewkes Y.*,Crime Online, Cullompton: Willan, 2007.

[842] *Yar M.*, Cybercrime and Society, 95.

[843] *Jewkes Y. and Andrews C.*,Policing the filth: the problems of investigating online child pornography in England and Wales, Policing & Society, 15 (1), 2005, 42-62.

სიხარულოა ის, რომ კანონის გატარებას აშკარად ხელს უწყობს ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებები. 2006 წელს ბავშვთა ექსპლუატაციისა და ონლაინ-დაცვის ცენტრის (CEOP) გახსნით ბრიტანეთმა ბრძოლა გამოაცხადა გლობალური საბავშვო პორნოგრაფიით ინტერნეტვაჭრობის წინააღმდეგ. მათი ერთ-ერთი მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ სპეციალიზებული ინტელექტის ბაზაზე განავითარეს პროაქტიული სტრატეგია. ინიციატივა, რომელიც საკმაოდ წარმატებულად ითვლება, არის ოფიცრების მიერ გაწეული ფარული სამსახური, რომლებიც ბავშვების იმიჯს ამოფარებულნი მუშაობენ პედოფილების გამოსამჟღავნებლად, თუმცა გამომძიებლები თავს კანონის მიერ შეზღუდულადაც თვლიან. „გრუმინგში“ დადანაშაულებამ სამოქალაქო თავისუფლების ჯგუფების წუხილი გამოიწვია, რადგან ამ სტრატეგიის მიხედვით ვლინდებიან პირები, რომლებმაც დაამყარეს ინტერნეტკონტაქტი ბავშვთან, თუმცა არ ჩაუდენიათ არანაირი დანაშაული. შესაბამისად, საკითხავიც სწორედ ის არის, რამდენად მართებულია ადამიანის დადანაშაულება საკუთარი ფიქრების გამო (მარტივად რომ ითქვას, სადავო საკითხს წარმოადგენს შემდეგი: შესაძლებელია თუ არა ბავშვთან სექსუალურ კონტაქტზე ფიქრი გაუთანაბრდეს ამ მოტივით ჩადენილ დასრულებულ დანაშაულს?) სწორედ ამიტომ, მაშინაც კი, როცა საქმე მიდის სასამართლომდე, განზრახვის დამტკიცება ძალზე რთულია პოლიციელებისა და ბრალმდებლებისთვის. ზემოაღნიშნული კანონმდებლობა აძლევს პოლიციას საშუალებას, განახორციელოს ოპერაცია, „ნესტარი“ (sting), როცა კომუნიკაციის დროს ხდება თავის ბავშვად წარდგენა ინტერნეტით, იმ მიზნით, რომ მოხდეს შეხვედრის ორგანიზება, რათა გამოვლენილ იქნეს გრუმერი რეალურ ადგილას; თუმცა მათ არ აქვთ ეჭვმიტანილის დაკავების უფლება.[844]

6.4 ბავშვობა, კიბერსივრცე და სოციალური უკუსვლა

ახალი სოციალური ტენდენციები, მათ შორის, ყოვლისმომცველი ინტერნეტი განაპირობებს ძირეულ ცვლილებებს მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებისა და სოციალური უნარ-ჩვევების ათვისების გზაზე. მრავალი მეცნიერის აზრით, სწორედ ინტერნეტია ის მომეტებული საფრთხის წყარო, რომელიც საფუძველია ჩვენს დროში გლობალურად გაზრდილი დანაშაულებისა. შესაბამისად არც არის გასაკვირი, რომ სწორედ ბავშვებს და ახალგაზრდებს „ემუქრებათ“ ყველაზე მეტად ახალი მედია-ტექნოლოგიები. ყველაზე ხშირად ისინი წარმოადგენენ თავდამსხმელებისათვის პოტენციურ მსხვერპლს.

ღოგორც წინა პარაგრაფებში აღინიშნა, ბავშვების აზროვნება ფუნდამენტურად შეიცვალა. დღევანდელ რეალობაში თავგადასავალი ბევრი ბავშვისთვის ვირტუალურ სიამოვნებას წარმოადგენს. თუ წარსულში ბავშვები ერთმანეთს სათამაშო მოედნებზე ეჯიბრებოდნენ, ახლა ისინი ვიდეოთამაშებით ეჯიბრე-

[844] იქვე.

ბიან. გარდა ამისა, მოზარდები პირველ სექსუალურ განათლებას სწორედ ინტერნეტის და განსაკურებით სოციალური ქსელების, აგრეთვე, მობილური ტელეფონების მეშვეობით იღებენ.[845] სამწუხაროდ, ამის გამო ზოგიერთი ბავშვი თუ მოზარდი საკუთარ თავს ვიქტიმირების საფრთხის ქვეშ აყენებს და ონლაინ რეჟიმში უფრო გაბედულად იქცევა, ვიდრე – რეალურ სამყაროში. მაგალითად, ბოლო დროს ძალიან გავრცელდა „სექსტინგი" – ადამიანი მობილური ტელეფონის საშუალებით მეორე ადამიანს უგზავნის საკუთარ შიშველ ან აღმგზნებ სურათებს. გარდა იმისა, რომ ასეთ სურათებს, ძირითადად გოგონები უგზავნიან თავიანთ მეგობარ ბიჭებს, კენტის პოლიციის ინფორმაციით, მოზრდილი ადამიანებიც ხელიდან არ უშვებენ შანსს, განახორციელონ სექსუალური ექსპერიმენტები იმ მოზარდებთან, რომლებიც თანახმანი არიან ასეთი ფორმით გაავრცელონ თავიანთი სურათები.[846] შეერთებულ შტატებში თინეიჯერთა შორის დაუგეგმავი ორსულობის აღკვეთის ეროვნულმა კამპანიამ ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ხუთიდან ერთი თინეიჯერი აგზავნიდა ან აზიარებდა ონლაინში საკუთარ შიშველ ან ნახევრად შიშველ სურათებს და 39% აგზავნიდა ან აზიარებდა სექსუალური ფიქრების აღმძვრელ შეტყობინებებს.[847] „სექსტინგი" იმდენად გავრცელდა, რომ ავსტრალიის მთავრობამ 2009 წლის მაისში დაიწყო საგანმანათლებლო კამპანიაიმ მიზნით, რომ აეხსნა ახალგაზრდებისთვის, რა რისკები და საშიშროებები ახლავს ასეთ კონტაქტებს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება დაშინება, სექსუალური გამოძალვა, სექსუალური თავდასხმა და თვითმკვლელობაც კი. აღნიშნულის დასტურია ერთი საქმე, რომელსაც ცინცინატიში (აშშ-ში) მოხდა: 18 წლის გოგონამ თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც მეგობარი ბიჭისთვის გაგზავნილი მისი შიშველი სურათები ინტერნეტის მეშვეობითთავის უნივერსიტეტსა თუ მის ფარგლებს გარეთ თვეების განმავლობაში ტრიალდება.[848]

კიბერზედამხედველობის „ნორმალურობა" და ბავშვების აშკარა სურვილი, რისკიანად იმოქმედონ ინტერნეტში, თუნდაც ის, რომ ატვირთონ საკუთარი შიშველი სურათები ფორუმის საიტზე, წარმოადგენს მეტად სახიფათო ქმედებას, რომლის დასტურია 13 წლის გოგონაზე განხორციელებული სექსუალური ძალადობა ნუნეატონში. გამომძიებლები იკვლევდნენ, იყო თუ არა კავშირი თავდასხმასა და იმ ფაქტს შორის, რომ გოგონამ საკუთარი თავი ვებგვერდზე აღწერა, როგორც „ბებო-მეძავი" (Bebo whore), თუმცა ეს მოსაზრება, სავარაუდოდ, მალევე გაქარწყლდებოდა, რადგან გოგონები სოციალურ ქსელში ძალზე ხშირად მსგავსად ახასიათებენ საკუთარ თავს, რითაც სოციალური ქსელის ვებგევრდთან დაკავში-

---

[845] *Jewkes Y.*, Much ado about nothing? Representations and realities of online soliciting of children, Journal of Sexual Aggression, 16 (1), 2010,5-18.

[846] იქვე.

[847] იქვე.

[848] *Jewkes Y.* ,Media and Crime, 255.

რებას ცდილობენ.[849] ერთ-ერთი საგანმანათლებლო სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „Bebo-ს" საიტის 25 000 მომხმარებელზე მეტი საკუთარ სახელთან ერთად მოიხსენიებენ სიტყვას „კახპა".[850] აღნიშნული კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ არსებობს მსგავსი ტერმინების აღქმაში კულტურული ცვლილება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ახალმა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმაც შეუწყო ხელი აგრესიისა და სექსუალური აგრესიის გამოვლენის უახლესი სახეობების ჩამოყალიბებას ბავშვებს შორის, ასევე, სექსუალურ კიბერდაშინებასაც. მაგალითად, დევონის და კორნვოლის პოლიციის ერთ-ერთ ანგარიშში საუბარია 10 წლის ბავშვებზე, რომლებიც პოზირებდნენ ინტერნეტგვერდებზე როგორც საშიში პედოფილები, რათა შეეშინებინათ ის ბავშვები, რომლებთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ.[851]ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, 11-დან 19 წლამდე ახალგაზრდების 25%-მა განაცხადა, რომ ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ მაინც ყოფილან კიბერდაშინების მსხვერპლნი.[852]

საკმაოდ ირონიულად ჟღერს ის ფაქტი, რომ, რაც უფრო „პრივატიზებული" გახდა ბავშვობა, მით უფრო დიდ მღელვარებას იწვევს ბავშვებისთვის მიცემული პირადი სივრცე. მიუხედავად ამისა, მაინც არ ღირს იმ უარყოფითი შედეგების გაზვიადება, რასაც ინტერნეტ და თანამედროვე ტექნოლოგიები იწვევენ, რადგან ინტერნეტის შექმნამდეც, ბავშვები აშინებდნენ ერთმანეთს და ატარებდნენ სექსუალურ „ექსპერიმენტებს". ჟეიმს ბულგერის საქმის ავტობიოგრაფიულ ანგარიშში, ბლეიქ მორისონი იხსენებს, 15 წლის ასაკში ერთ-ერთ წვეულებაზე როგორ ესწრებოდა 14 წლის გოგონას გაუპატიურებას.[853] ამის აღიარებით ავტორი ეყრდნობა თეორიას, რომ ადამიანების უმეტესობას ჰქონია ისეთი გამოცდილება ახალგაზრდობაში, რისი გახსენებაც მათში შეცბუნებას და სირცხვილის გრძნობას იწვევს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ბავშვები, რისკების აღქმის მიხედვით, შესაძლებელია იყვნენ დაუფიქრებელნი და დაუბრკოლებელნი. ალბათ სოციალური ქსელები და მობილური ტელეფონები წარმოადგენს იმ საშუალებებს, რისი დახმარებითაც ახალგაზრდებს სურთ თავის დამკვიდრება ამ ცხოვრებაში და ხანდახან ის ტერმინოლოგია და გზები, რომლებსაც ისინი იყენებენ, მიუღებელია სულ სხვა ფასეულობებზე აღზრდილი უფროსი თაობებისათვის. გაზეთი „Sunday Mercury" აღნიშნავს, რომ ახალგაზრდებისთვის ვირტუალური სამყარო წარმოადგენს სივრცეს თინეიჯერული ამბოხებისთვის. ბავშვები აღიქვამენ სოციალურ ქსელებს როგორც მშობლებისგან მოშორებით არსებულ საკუთარ სივრცეს.[854]

---

[849] *Yar M.*, Cybercrime and Society, 99.

[850] *Jewkes Y. and Sharp K.*,Crime, deviance and the disembodied self: transcending the dangers of corporeality, 9.

[851] *Guardian*, 9 January 2009.

[852] იქვე.

[853] იქვე.

[854] *Sunday Mercury*, 14 April 2008, <**http://tinyurl.com/qs2ejt**> [03.06.2014].

6.5 რეზიუმე

ჭინამდებარე პარაგრაფში განხილულ იქნა ონლაინაქტივობის ის ორი მაგალითი, რომლებიც წარმოშობს სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ შეკითხვებს და ამავე დროს წარმოაჩენს 21-ე საუკუნეში ინტერნეტის გამოყენების ზოგ სირთულესა და პარადოქსს. ერთი მხრივ, ეს არის დემოკრატიისა და თავისუფლების ხელშეწყობა და გამარტივება, ხოლო, მეორე მხრივ, რეპრესია და რისკი. გარდა ამისა, ვიმსჯელეთ მრავალფეროვან თემებზე, მათ შორის, კიბერომებსა და მოქალაქეობრივი ჟურნალიზმზე.

პარაგრაფის მეორე ნაწილში გაშუქებულ იქნა ახალგაზრდების სექსუალური ონლაინექსპერიმენტები და ის თავისუფლებები, რომლებსაც ინტერნეტი სთავაზობს და რომლებიც რეალურ ცხოვრებაში აკრძალულია. ასევე, საუბარი იყო იმ შესაძლო დევიაციურ და დანაშაულებრივ შედეგებზე, რომლებიც შესაძლოა ინტერნეტის ზღვარგადასულ მოხმარებას მოჰყვეს.

დასკვნის სახით, მიზანშეწონილია მოკლედ მიმოხილულ იქნეს ინტერნეტის ევოლუცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „წინააღმდეგობების ქრონიკა".[855]ინტერნეტის შექმნა თავდაპირველად ემსახურებოდა ერთ მიზანს – ცივი ომის პერიოდში რამენაირად აშშ-ს მოეხერხებინა საბჭოთა კავშირზე ტექნოლოგიური და სამხედრო ბატონობა და რისთვისაც აშშ-ს მთავრობამ უზარმაზარი ინვესტიცია დაახარჯა ინტერნეტის იდეის რეალობად ქცევას. შედეგად 80-იან წლებში ჩაისახა გლობალური ქსელი, ხოლო 90-იანი წლების დაურეგულირებელი მედიის ეპოქამ ახლად შექმნილი კომერციული ინტერნეტის აყვავებას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა საზოგადოებაში შემოაბიჯა როგორც დემოკრატიაზე მზრუნველმა ფენომენმა, იგი დროთა განმავლობაში კომერციული ინტერესების სამსახურში ჩადგა. შედეგად კერძო და სამთავრობო დაწესებულებებმა დაიწყეს მისი გამოყენება მოსახლეობაზე ზედამხედველობისა და თვალთვალის მიზნით.[856] უდავოა ის ფაქტიც, რომ ინტერნეტმა მაინც შეძლო თავისუფლების ხარისხის დიდი დოზით გაზრდა, რაც ცხადად მჟღავნდება მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ სექსუალურ და პოლიტიკურ თავისუფლებებში, თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ თავისუფლებას და დემოკრატიას, რომლებსაც კაცობრიობის უმეტესობა „ბუნებრივ" საჩუქრად აღიქვამს, შესაძლებელია ჰქონდეს უფრო უარყოფითი და ხშირ შემთხვევაში – ავბედითი კონნოტაციები.[857]

---

[855] *Curran J.*, Reinterpreting Internet history, in *Jewkes Y. and Yar M.* (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010, 21.

[856] იქვე.

[857] დამატებითი, მეორადი მნიშვნელობა.

თავი X საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართლთან მიმართებით

წინამდებარე თავში განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელმაც პრაქტიკული ასახვა ჰპოვეს მაუწყებლობის მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზასა და, ზოგადად, ქართულ მედიასამართალზე. მოცემულ თავში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, რომელიც მედიასამართალთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებებსა და დათქმებს შეიცავს. ამ ორი გადაწყვეტილების ანალიზისას ძირითადი ყურადღება გამახვილდება სწორედ მედიისა და მისი ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ღირებულებაზე – გამოხატვის თავისუფლებასა და მასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გარანტიებზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს. მისი მთავარი დანიშნულება ნორმის კონსტიტუციურობის დადგენაა. მიუხედავად ასეთი უფლებამოსილებისა, იურისპრუდენციაში მას ხშირად განიხილავენ „ნეგატიურ კანონმდებლად“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ეფუძნება, ქმნის, აღასრულებს და იცავს სამართალს“.[858] მისი მონაწილეობა სამართალშემოქმედებაში არ წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს ანალოგიურს, რამდენადაც არ არის კანონშემოქმედი ორგანო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, თუმცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით პროცესზე და ამ პროცესის შედეგზე – ნორმატიულ აქტზე.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთათვის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტა, რის შედეგადაც პარლამენტის მიერ 2014 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2013 წლის 25 ივლისის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონში.[859] ცლილების საფუძველზე, კანონს დაემატა მე-3[1] პუნქტი, რომლის თანახმადაც, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ საქართ-

---

[858] იხ. გეგენვა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 49.

[859] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (**www.matsne.gov.ge**) ვებგვერდი, 06/05/2014, სარეგისტრაციო კოდი 450140000.05.001.017399.

ველოს პარლამენტის მიერ არჩეულია არანაკლებ 7 წევრისა. ახლადარჩეული სამეურვეო საბჭო უფლებამოსილების დაწყვების მომენტიდან მანამდე არსებული სამეურვეო საბჭოს წევრები ამ კანონის 2[1] მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭოს წევრის სტატუსით აგრძელებენ საქმიანობას საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემაში.

იმავე ცვლილების საფუძველზე, „საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე რეფორმის პროცესში ინსტიტუციური განვითარების უწყვეტობისა და ახალშექმნილი სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე შიდა კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემაში იქნება დროებითი ორგანო – საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭო".[860] საბჭოს წევრს უფლებამოსილება უნარჩუნდება კანონით განსაზღვრული ვადით.[861] ახალი მონოტორინგის საბჭოს უფლებამოსილებებიდან აღსანიშნავია უფლება, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ან/და გენერალურ დირექტორს წარუდგინოს რეკომენდაციები საბჭოს ან/და დირექტორის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად;[862] სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადება გენერალური დირექტორის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, თუ გამოვლინდა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოებები;[863] საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადება სამეურვეო საბჭოს წევრისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე.[864] მონიტორინგის საბჭოს უფლებამოსილება უწყდება მისი ბოლო წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.[865]

როგორც აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილში განვიხილავთ საკონსტიტუციო სასამართლოს ორ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მედიასამართლის ჭრილში. პირველი მიღებულია – 2012 წლის 11 აპრილს და რომლითაც სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკაბელო მაუწყებლობის განხორციელებისთვის ლიცენზირების წესი. რაც შეეხება მეორე გადაწყვეტილებას, ის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზუსტად ორი წლისთავზე – 2014 წლის 11 აპრილსაა გამოტანილი და როგორც აღვნიშნეთ, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთათვის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტა.

აქვე დავძენთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვისას, გამომდინარე წინამდებარე ნაშრომის ფორმატიდან, განვიხილავთ თავად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებას და მკითხველს მივაწ-

---

860 იქვე, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი.

861 იქვე.

862 იქვე.

863 იქვე.

864 იქვე.

865 იქვე.

ვდით სასამართლო პროცესში მონაწილე სუბიექტთა არგუმენტაციისა და სასამართლოს შეფასებებს და არა სასამრთლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაციის მეცნიერული შეფასებასა და ანალიზს.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

1.1 სასარჩელო განცხადების არსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №468) მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა. კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ იყო გამხდარი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ლიცენზიის მფლობელი“, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების: „თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელის“, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების: „აგრეთვე ტელე-ან რადიო სამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით“, 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით.[866]

მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაუწყებელი განმარტებულია როგორც ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებდა ტელე-ან რადიო პროგრამების გავრცელებას სახმელეთო გადამცემებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, სადენით ან ჰაერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით. ამ ნორმიდან გამომდინარე, საკაბელო ქსელით ან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის განსახორციელებლად საჭირო იყო ლიცენზიის მიღება, რაც მოსარჩელე მხარეს არაკონსტიტუციურად მიაჩნდა.

მოსარჩელე ასევე, არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის განხორციელების პირობებში მათი სახეობის შეცვლისას ლიცენზიის მოდიფიცირების ვალდებულებას. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად (ნორმის გასაჩივრების დროს მოქმედი რედაქციის თანახმად), მაუწყებლობის სფეროში ლიცენზია გაიცემა კომისიის მიერ სათემო და კერძო მაუწყებლობისთვის. კერძო მაუწყებლობა თავის თავში გულისხმობს საერთო და სპეციალიზებულ მაუწყებ-

---

[866] დაწვრილებით იხილეთ 2008 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №468).

ლობას, რომელიც აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ხორციელდება ტელე ან რადიო სამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელის ან სამაუწყებლო გადაცემების მეშვეობით, სიხშირული სპექტრის გამოყენებით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავენ მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, გაუქმების ან მოქმედების შეჩერებისათვის მარეგულირებლის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული წარმოების სახეს. ხსენებული ნორმები მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ჰქონდა იმ საფუძვლით, რომ ისინი შინაარსობრივად დაკავშირებულია მაუწყებლობის ლიცენზირებასთან.

ამასთან, მოსარჩელის აზრით, არაკონსტიტუციური იყო „საკაბელო ქსელით ან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისათვის განსაზღვრული ვადა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ სფეროში ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია განცხადების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში“.

1.2 მოსარჩელის არგუმენტაცია

„მოსარჩელე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, აცხადებდა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა მაუწყებელთა მიმართ კონტროლი ლიცენზირების საშუალებით, მაგრამ სალიცენზიო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, რაც გაამართლებდა ამგვარ შეზღუდვას. „მედიის ლიცენზირება გამართლებულია მხოლოდ იმ ტელე და რადიო მაუწყებელთა მიმართ, რომლებც მაუწყებლობენ სიხშირული სპექტრის გამოყენებით. აღნიშნული რესურსი ბუნებაში შეზღუდული სახით არსებობს და შესაბამისად, განსაკუთრებულ საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამ რესურსის მეშვეობით, მაუწყებლობისას თანაბრად უნდა იქნეს ასახული საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოთხოვნილებები და უზრუნველყოფილი ხარისხიანი მაუწყებლობა. ამდენად, სახელმწიფოს, სიხშირული სპექტრის გადანაწილებასთან დაკავშირებით, აქტიური რეგულირების ფუნქცია ეკისრება“ (I-7).

„მოსარჩელე მხარის აზრით, სიხშირის გამოყენებით, მაუწყებლობისგან განსხვავებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობა არ საჭიროებს შეზღუდული რესურსით სარგებლობას და აღნიშნულ ბაზარზე ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია შესვლა რომელიმე სოციალური ჯგუფის ან ფენის ინტერესის შელახვის გარეშე. სახელმწიფო უფლებამოსილია, აკონტროლოს, რამდენად შეესაბამება ამ მაუწყებლების საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებულმა მაუწყებლობამაც შეიძლება შელახოს საზოგადოების დაუცვე-

ლი წევრების, მაგალითად, არასრულწლოვნების ან უმცირესობების უფლებები. ამასთან, მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მაუწყებლების საქმიანობის კონტროლისგან განსხვავებით, სახელმწიფო რეგულირების სფეროდან უნდა იქნეს ამოღებული საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლების მიერ საქმიანობის დაწყებასთან, მაუწყებლობის სახეობის, კონცეფციის და პოტენციური აუდიტორიის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან არ არსებობს ამ საკითხებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობა“ (I-8).

მოსარჩელე უთითებდა, რომ მაუწყებლობის ლიცენზირება არ წამოადგენს მათი საქმიანობის კანონიერების კონტროლისათვის საჭირო მექანიზმს, ვინაიდან სავალდებულო ლიცენზირების არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია საკაბელო მაუწყებლობის კონტროლი სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. მოსარჩელის წარმომადგენელს ამის ერთ-ერთ შესაძლო საშუალებად კომისია მიაჩნია. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მოსარჩელის მითითებით, განსაზღვრავს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ფუნქციებს და მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის რეგულირება, რომელიც თავის თავში მოიცავს მაუწყებელთა საქმიანობის კონტროლს. ამ ფარგლებში კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ევალება, აკონტროლოს, რამდენად ექვემდებარება მაუწყებლობის შინაარსი საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, მაუწყებლის საქმიანობის კანონიერების კონტროლის ფუნქცია კომისიას გააჩნია რეგულირების და არალიცენზირების ფარგლებში. იმისგან დამოუკიდებლად, დაექვემდებარება თუ არა საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობა ლიცენზირებას, კომისიას რეგულირების ფუნქციის ფარგლებში რჩება ამ საკითხების გადამოწმების უფლება“ (I-9).

ხსენებულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად უნდა ეცნო საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზირება არ ემსახურებოდა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ არცერთ ლეგიტიმურ მიზანს. მოსარჩელის განმარტებით, მხოლოდ კონსტიტუციაში დასახელებული მიზნები შეიძლება გამხდარიყო ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და ისიც მხოლოდ პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

1.3 მოპასუხე მხარის არგუმენტაცია

მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იყო კონსტიტუციასთან მედიის თავისუფლების, ზოგადად ინფორმაციის მოპოვებასა და თავისუფლად გავრცელებასთან მიმართებით. მაუწყებლობა წარმოადგენს საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელიც ეხება მომეტებულ საზოგადოებრივ ინტერესს, რიგ შემთხვევებში მომეტებულ საფრთხეებსაც.

ბუნებრივია, ეს ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მის საქმიანობაში, თუმცა მაუწყებლის კონტროლთან დაკავშირებით, გარკვეული სტანდარტების დაწესება დასაშვებია. ლიცენზირება წარმოადგენს წინასწარი კონტროლის მექანიზმს, რომელიც გამომდინარეობს მაუწყებლობის მიმართ საზოგადოების და სახელმწიფოს მომეტებული ინტერესიდან. ამა თუ იმ საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით და ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა და ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის მომეტებულ საფრთხეს და განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესს (I-11).

მოპასუხე აღნიშნავდა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სუბიექტს, უფლება ეძლევა განახორციელოს საქმიანობა – მაუწყებლობა, საქმიანობის ლიცენზიის მიღებით, გარკვეული პირობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, ლიცენზირება არის რეგულირების ის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მარეგულირებელი ორგანო თავისი კონტროლისა და რეგულირების ფუნქციას ავრცელებს ლიცენზიის მფლობელ პირებზე. მოპასუხის განმარტებით, სახელმწიფო ამოწმებდა მინიმალურ მოთხოვნებს, თუ რამდენად შეძლებს მაუწყებელი დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი და მოთხოვნები არსებული ტექნიკური საშუალებებით. წარმოდგენილი რეგულაციით საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს მაუწყებლობის განხორციელებას ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონით, აღიარებული ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რა ტექნიკური ფორმით ხორციელდებოდა მაუწყებლობა – სიხშირული სპექტრით, საკაბელო ქსელით თუ თანამგზავრულის გამოყენებით. მოპასუხის აზრით, ყველა სახის მაუწყებლობის მიმართ ერთი და იგივე მოთხოვნები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები იყო გათვალისწინებული (I-12, 13).

მოპასუხე მხარის მტკიცებით, ლიცენზირება მისი პირობების დაკმაყოფილების სირთულის არარსებობის გათვალისწინებით, არის ნაკლებად მზღუდავი საშუალება. ლიცენზიის გაცემის წინაპირობები მკაფიოდ და ამომწურავად არის განსაზღვრული კანონით და ეს პროცესი ხორციელდება მიუკერძოებლობის პრინციპის, ღია და გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად. ამგვარი ჩარევა განპირობებულია დემოკრატიული წეს-წყობილებისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების, ისევე, როგორც სხვა პირთა უფლებების დაცვის აუცილებლობით. ამ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ხორციელდება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის და სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად (I-14).

დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ადამიანის ღირსების პატივისცემა და ყველა პირის იდენტიფიცირება, რომელმაც შეიძლება გავლე-

ნა მოახდინოს მედია საშუალებებზე. ასევე, მაუწყებლის ვალდებულებების მიხედვით, პროგრამული მომსახურების ყველა ნაწილი, რომელიც შეეხება მის პრეზენტაციასა და შინაარსს, სხვა ძირითად უფლებებს. ამგვარი ვალდებულებების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად მოპასუხე მხარეს სწორედ ლიცენზირება და სალიცენზიო პირობების განსაზღვრა მიაჩნდა. მოპასუხის აზრით, „ლიცენზირება არ არის და ვერ იქნება მაუწყებლის ვალდებულებების შესრულების ერთადერთი გარანტი. ამისათვის, აუცილებელია რეგულირების სხვა ფორმების გამოყენებაც, ამიტომ ლიცენზირება და სალიცენზიო პირობები გარკვეული პრევენციული მექანიზმია, რომელიც ერთგვარი გაფრთხილებისა და მაუწყებლის ვალდებულებების სიღრმისეული გააზრების საშუალებას იძლევა“ (I-15). მოპასუხის განმარტებით, გაფრთხილებისა და პრევენციის ფუნქციის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელმა მისთვის სპეციალურად გამოცემული აქტით წინასწარ იცის იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაეკისრება კანონისმიერი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული შეზღუდვა არ არის მიმართული დემოკრატიული ფასეულობების საწინააღმდეგოდ. პირიქით, მის მიზანს სწორედ ამ ფასეულობათა უზრუნველყოფა წარმოადგენს მინიმალური სტანდარტების დაწესებით საქმიანობის დაწყებისას (I-16).

მოპასუხე დამატებით აღნიშნავდა, რომ სამაუწყებლო და ბეჭდვით მედიას შორის განსხვავებული რეგულირების დაწესება გამოწვეულია მათი განსხვავებული სოციალური როლით. ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებაში ტელევიზია წამოადგენს მასობრივი ინფორმაციის ძალზე მძლავრ და გავლენიან საშუალებას, ამიტომ ბეჭდვით მედიასთან შედარებით, ის ბევრად უფრო ძლიერ და მყისიერ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ინფორმაციის აუდიოვიზუალური საშუალებები გამოსახულების მეშვეობით, გადმოსცემენ ისეთ აზრს, რისი მიწოდებაც არ ძალუძთ ბეჭდვითი სიტყვის საინფორმაციო საშუალებებს. შესაბამისად, გაცილებით უშუალო და მძლავრი ზემოქმედების, მისი მზარდი სოციალური ფუნქციის გამო, მაუწყებელს შეიძლება დაეკისროს დამატებითი ვალდებულებები (I-17).

მოპასუხეს მიაჩნდა, რომ საერთაშორისო დოკუმენტები უფლებას აძლევდა სახელმწიფოებს, გამოხატვის რეგულირების ლიცენზირების სფეროში მოეხდინათ ჩარევა, ბუნებრივია, მთავარი მოთხოვნის – პროპორციულობის პრინციპის დაცვით. მოპასუხის განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო პროპორციულობის პრინციპი და ის საშუალება, რომელიც გამოყენებულია ჩარევის ფორმით, იყო მინიმალურად მზღუდველი, პროპორციული მიზანთან და სიკეთეებთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე თვლიდა, რომ სადავო ნორმები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან.

1.4 საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმედ მოწვეული სპეციალისტის პოზიცია

საქმის არსებით განხილვაზე მოწმედ იქნა მოწვეული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო ნიჟარაძე. მოწმის განმარტებით, რაიმე სახის ტექნიკური რეგულირების საჭიროება, რის გამოც მარეგულირებელს საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებელი პირები ერთმანეთს მაუწყებლობაში ტექნიკური თვალსაზრისით ხელს არ უშლიან. კანონი ადგენს კონკურსის წესს სიხშირესთან მიმართებით. ეს დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ამოწურვად რესურსთან და ამ რესურსის ფასის დადგენასთან. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, მოწმის მითითებით, კანონმდებლის შესაბამისად, ერთი და იგივეა როგორც სატელიტური, ისე საკაბელო მაუწყებლებისთვის. მაგალითად, ლიცენზიაზე უარს იღებს პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური თანამდებობის პირი და სხვა. ამასთან, ლიცენზიაზე უარის თქმის საფუძვლები და სალიცენზიო ვალდებულებები არ არის დაკავშირებული ტექნოლოგიებთან (I-19, 20).

მოწმემ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ საკაბელო ქსელის შექმნა არ არის მაუწყებლობის საქმიანობის ნაწილი. ეს არის საქმიანობა, რომელიც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ექვემდებარება ავტორიზაციას. მნიშვნელობა არ აქვს, რა საშუალებით ხორციელდება მაუწყებლობა – კაბელის, სიხშირის თუ თანამგზავრის მეშვეობით, მთავარი მაუწყებლობის განხორციელებაა. შესაბამისად, სახელმწიფო ლიცენზირებას იყენებს მაუწყებლობასთან და არა ტექნოლოგიებთან მიმართებით (I-21).

1.5 სასამართლო მეგობრის პოზიცია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ №468 კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას წარდგენილ იქნა სასამართლო მეგობრის წერილობითი მოსაზრება.

წარმოდგენილ მოსაზრებაში სასამართლოს მეგობარი აღნიშნავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედების ფარგლები საკაბელო და თანამგზავრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით, სიხშირული სპექტრით მაუწყებლობის რეგულირების ფარგლების იდენტურია. სასამართლოს მეგობრის განმარტებით, სახელმწიფოს წინაშე სოციალური აუცილებლობა, ლიცენზირების სისტემის მეშვეობით დაარეგულიროს აუდიოვიზუალური მაუწყებლობა, მხოლოდ სიხშირულ მაუწყებლობასთან მიმართებით არსებობს, რაც გამოწვეულია სამაუწყებლო სიხშირის ბუნებრივი სიმწირით. სახელმწიფოს მხრიდან სიხშირეთა მარეგულირებლის ფუნქცია გულისხმობს შეზღუდული რესურსის ეფექტიანად გამოყენებას და აუდიტორიის მრავალფე-

როვანი მოთხოვნებისადმი პასუხს. კერძო ლიცენზიის გაცემისას, მარეგულირებელი ორგანო უზრუნველყოფს იმას, რომ თანაბრად იქნეს დაკმაყოფილებული საზოგადოების მრავალფეროვანი ინტერესები და გემოვნება. ლიცენზიის გაცემის შემდეგ კი მარეგულირებელი ორგანო ვალდებული ხდება, აუდიტორიის ინტერესებიდან გამომდინარე, აკონტროლოს ტექნიკური თვალსაზრისით, რამდენად ხარისხიანად ხორციელდება მაუწყებლობა (I-23).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მითითებულია, რომ საკაბელო ქსელით და თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობის განხორციელებისას, სიხშირული სპექტრისგან განსხვავებით, არ გამოიყენება ბუნებრივად ამოწურვადი რესურსი. ეს გარემოება აიძულებს სახელმწიფოს, კაბელურ და თანამგზავრულ მაუწყებლებთან დაკავშირებით გადახედოს თავის მარეგულირებელ ფუნქციას. საკაბელო ქსელით და თანამგზავრით მაუწყებლობასთან მიმართებით, სახელმწიფოებრივი კონტროლი უნდა მდგომარეობდეს არა მაუწყებლობის დაწყებასა და ტექნიკურ რეგულირებაში, არამედ სამაუწყებლო პროგრამების შინაარსის კანონიერების შემოწმებაში (I-24).

წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტაციის გასამყარებლად სასამართლოს მეგობარი მიუთითებდა, როგროც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებაზე, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებზე.

1.6 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“ (II-26).

სახალხო დამცველის მიერ სადავოდ მიჩნეული ნორმები უკავშირდება პირის უფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია საკაბელო ქსელის ან/და თანამგზავრული სისტემის გამოყენებით. აგრეთვე, თავად მაუწყებლის, როგორც იურიდიული პირის, უფლებას, დაუბრკოლებლად განახორციელოს მაუწყებლობა. სადავო ნორმით გათვალისწინებული ლიცენზირების ვალდებულება სამაუწყებლო მედიის საქმიანობის შეზღუდვას წარმოადგენს და ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას ნიშნავს (II-28); „არსებობს კონსენსუსი დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან მიმართებით, თუმცა ამ უფლების გამოვლინება ხშირად კონფლიქტში მოდის სხვათა უფლებებთან ან საზოგადო-

ების ინტერესებთან, ისეთებთან, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ა.შ.".[867]

ინფორმაციის და აზრის გავრცელების უფლება არ არის აბსოლუტური, მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში არის მოცემული. საკანონმდებლო ნორმა, რომელიც აზრისა და ინფორმაციის გავრცელებას ზღუდავს, ამავე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ამ ასპექტის შეზღუდვას კონსტიტუციითვე დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს და შეზღუდვის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს ადგენს. კერძოდ, კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, აზრისა და ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა გამართლებულია სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, კონფედენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, საკაბელო ქსელის ან/და თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირება კონსტიტუციით გათვალისწინებული ამ მიზნებიდან ერთ-ერთის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს (II-29).

სასამართლომ დაადგინა, რომ სიხშირული სპექტრით მაუწყებლობის ლიცენზირებასა და საკაბელო ქსელით ან თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის ლიცენზირების უფლებამოსილებას განსხვავებული საფუძვლები გააჩნია. პირველ შემთხვევაში, სიხშირული სპექტრით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფო შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, ვინაიდან სიხშირე თავისთავად საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და ამდენად, მისი განკარგვის უფლებამოსილება სახელმწიფოს გააჩნია. სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ შეზღუდულ რესურსს – სიხშირულ სპექტრს (II-40).

საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკაბელო ქსელით და თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეეფასებინა. ასევე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეაფასა სასამართლომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „საკაბელო ქსელის" და „თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების" შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით.

---

[867] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ძვიად ძიძიგური და კახა კუკავა, დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

1.6.1 საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან შესაბამისობის საკითხი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცებისას მოპასუხე მხარე მიუთითებდა სამაუწყებლო საქმიანობის რეგულირების მნიშვნელობაზე, მის აუცილებლობაზე. ზოგადად, მაუწყებლობის რეგულირების კონსტიტუციურობას არც მოსარჩელე მხარე ხდიდა სადავოდ, თუმცა მიუთითებდა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ იყო აუცილებელი (II-42).

მოპასუხე ასევე მიიჩნევდა, რომ საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირება ემსახურება სახელმწიფოს უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სხვათა უფლებების დაცვას და, ამდენად, აკმაყოფილებს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მიზნები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძველს მართლაც წარმოადგენს, თუმცა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გასამართლებლად კონკრეტული საზოგადოებრივი სიკეთის დასახელება არ კმარა. აუცილებელია, რომ ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობდეს (II-43).

სასამართლოს არგუმენტაციით, „სახელმწიფოს მიერ მაუწყებლის რეგულირება უნდა განხორციელდეს გამოხატვის თავისუფლების იმგვარი შეზღუდვით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება – შეზღუდვა გაუმართლებელია. მხოლოდ ასეთი კავშირის არსებობის შემთხვევაში გადადის სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასების შემდეგ საფეხურზე: დაცულია თუ არა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის პროპორციულობა. ამასთანავე, სახელმწიფო ვალდებულია, ამტკიცოს, რომ საკაბელო ქსელით მაუწყებლის ლიცენზირება მიზნის პროპორციულ, ვიწროდ მიმართულ და ნაკლებად მზღუდავ საშუალებას წარმოადგენს. შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს“ (II-44).

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ლიცენზირება (საქმიანობის დაწყების ნებართვა) მაუწყებლის მიერ მისი ვალდებულებების სიღრმისეული გააზრებისათვის იყო აუცილებელი, რომ ის ხელს უწყობდა რეგულირების პროცესს, ემსახურებოდა სხვათა უფლებების დაცვას, მაუწყებ-

ლობის ხარისხსა და უზრუნველყოფდა მის მიუკერძოებლობას. „მაუწყებლობის დაწყება თავისთავად გულისხმობს მაუწყებელზე კანონით დადგენილი ვალდებულებების გავრცელებას, მისი მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა როგორც ლიცენზირებული, ასევე, ლიცენზიის გარეშე მოქმედი მედიისთვის. ამავე დროს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკაბელო ქსელის გამოყენებით სამაუწყებლო ლიცენზია არ ითვალისწინებს რაიმე სახის დამატებით არსებით (შინაარსობრივ) მოთხოვნებსა და შეზღუდვებს“ (II-49).

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის დარღვევასთან დაკავშირებული შედეგების გააზრება ყოველი პირის ვალდებულებაა. ამისათვის საკაბელო მაუწყებლის ლიცენზირება (ნებართვის მიღების სახით დამატებითი მექანიზმების შემქნა) აუცილებლობას არ წამოადგენს. შესაძლოა ლიცენზირება გარკვეულწილად ამარტივებდეს მაუწყებლის რეგულირებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაუწყებლის ლიცენზირება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს (II-50). იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლის საქმიანობა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იღებს, საფრთხეს უქმნის სხვათა უფლებებს, სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან/და სხვა ლეგიტიმურ მიზნებს, სახელმწიფო უფლებამოსილია, მიმართოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ შემზღუდველ ნორმებს, განურჩევლად იმისა, წარმოადგენს თუ არა კანონდამრღვევი ლიცენზიის მქონე მაუწყებელს თუ სხვა „არალიცენზირებად“ მედიას. ამ მხრივ, საკაბელო ქსელის გამოყენებით, მაუწყებლობისთვის სანებართვო სისტემის დაწესება ვერ ჩაითვლება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებად. სასამართლო იზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრული სუბიექტებისთვის მაუწყებლობის უფლების შესაზღუდად ლიცენზირების შემოღება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამდენად, სადავო ნორმა დამატებებით გაუმართლებელ შეზღუდვას აწესებს სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელების მსურველ იმ პირებზე, რომლებიც აღნიშნული კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულ სუბიექტთა წრეს არ განეკუთვნებიან. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ის მიზნის მიღწევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს (II-51).

სასამართლომ, აგრეთვე არ გაიზიარა მოპასუხის ის არგუმენტაცია, რომელიც უკავშირდებოდა ლიცენზირების დაწესების გამართლებად მაუწყებლის „მინიმალური ტექნიკური სტანდარტების“ გადამოწმებისთვის. სასამართლომ აღნიშნული არგუმენტაცია არ გაიზიარა, რამდენადაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ლიცენზიის გაცემის წესი საკაბელო ქსელით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისას არ ითვალისწინებს მაუწყებლობის მსურველი პირის ტექნიკური შესაძლებლობების გადამოწმებას. გარდა ამისა, საკაბელო ქსელით მაუწყებლის მიერ განხორციელებული მაუწყებლობის ხარისხი არ წარმოადგენდა რეგულირების საგანს (II-52).

სასამართლომ დასკვნაში აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ ლეგიტიმურ მიზნად საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფო უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, სხვათა უფლებების დაცვა დაასახელა. მან ვერ დაასაბუთა, რომ საკაბელო ქსელით მაუწყებლობის ლიცენზირება ამ მიზნების მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას წარმოადგენს“ (II-52).

1.6.2 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „საკაბელო ქსელის“ შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი განსაზღვრავს მაუწყებლობის სფეროში არსებული ლიცენზიის სახეებს. აღნიშნული ნორმის 1-ელი პუნქტის თანახმად, კომისიამ შეიძლება გასცეს სათემო და კერძო მაუწყებლობის ლიცენზიები. მე-2 პუნქტი, თავის მხრივ, აკონკრეტებს, რომ კერძო მაუწყებლობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობისათვის, ხოლო მე-3 პუნქტის 1-ელი წინადადების სადავო სიტყვები ხსენებულ მოთხოვნას „საკაბელო ქსელის“ მეშვეობით განხორციელებულ მაუწყებლობას უკავშირებდა. სასამართლოს მოსაზრებით, კანონის აღნიშნული ნორმა, უნდა განხილულიყო საკაბელო ქსელის საშუალებით მაუწყებლობის საერთო ან სპეციალური ლიცენზიით განხორციელების ვალდებულების დამდგენად. სწორედ ეს შინაარსი იყო სადავოდ გამხდარი მოსარჩელის მიერ (II-57).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის სიტყვების – „ლიცენზიის მფლობელი“ – კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევისას საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დადგინა, რომ საკაბელო ქსელის საშუალებით მაუწყებელი პირის დავალდებულება, მაუწყებლობა განახორციელოს ლიცენზიის საფუძველზე, არ წარმოადგენდა მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ და პროპორციულად მზღუდავ საშუალებას. შესაბამისად, ვერც საკაბელო ქსელით მაუწყებლობის განსხვავებული სახის ლიცენზიის დამდგენი ნორმა ჩაითვლება კონსტიტუციის მიზნების მიღწევის გონივრულ საშუალებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვები – „საკაბელო ქსელის“ – ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებს (II-60).

1.6.3 თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების ვალდებულების, საერთო და სპეციალიზებული სახის სამაუწყებლო ლიცენზიის (38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების“) შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით

იმის გათვალისწინებით, რომ საკაბელო ქსელით მაუწყებლობის ლიცენზირება (საქმიანობის დასაწყებად სანებართვო სისტემის დადგენა) საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია, თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის ლიცენზირების კონსტიტუციურობის საკითხის შესაფასებლად აუცილებელი იყო იმის გარკვევა, არის თუ არა რაიმე არსებითი სხვაობა მაუწყებლობის ამ ორ ფორმას შორის, რაც მათ მიმართ რეგულირების განსხვავებულ რეჟიმს გაამართლებდა (II-61).

საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციით, საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობა, მისი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხორციელდება, ხოლო მისი გავრცელების არეალი საქართველოს საზღვრებით შემოიფარგლება. განსხვავებულია თანამგზავრის საშუალებით განხორციელებული მაუწყებლობის მიზანმიმართულობა და ფაქტობრივი შედეგი: სამაუწყებლოს სიგნალი მაუწყებლი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს სცდება. გარდა ამისა, ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც მაუწყებლობის განსახორციელებლად გამოიყენება, შესაძლოა უცხო ქვეყნის (მათ შორის, მაუწყებლობის მიმღები ქვეყნის) იურიდიულ პირს წარმოადგენდეს. უცხო ქვეყნის საკანონმდებლო სივრცესთან, მის სუვერენულ ინტერესებთან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლის შემხებლობამ განაპირობა სუვერენული სახელმწიფოების მცდელობა, შეთანხმებულიყვნენ თანამგზავრული სისტემის გამოყენების ერთიან წესზე. შედეგად, თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობა საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი გახდა. საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც თანამგზავრულ მაუწყებლობას უკავშირდება, მიზნად ისახავს მაუწყებელი და მაუწყებლობის მიმღები ქვეყნების, მათი მოქალაქეების ინტერესების უზრუნველყოფას და ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის შეუფერხებელ გავრცელებას (II-62).

სასამართლომ, გადაწყვეტილების ამ ნაწილში მოიყვანა სადავო საკითხის საერთაშორისო სამართლით რეგულირების მექანიზმები. სასამართლოს არგუმენტაციით, საერთაშორისო სამართლით აღნიშნული საკითხის მოწესრიგების ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ (1982 წლის 10 დეკემბერს 37/92 რეზოლუციით) დამტკიცებული დეკლარაცია სახელმწიფოების მიერ, საერთაშორისო პირდაპირი მაუწყებლობის მიზნით, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც

ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით მაუწყებლობის პრინციპებს ადგენს, სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას თავისი იურისდიქციის ფარგლებში, თავისი ტერიტორიიდან განხორციელებულ მაუწყებლობაზე (II-63); „სახელმწიფოებს შორის აზრისა და ინფორმაციის გავრცელების გაადვილების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის და სუვერენული ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, ევროსაბჭოს სახელმწიფოების მიერ შემუშავებული „ტრანსასაზღვრო მაუწყებლობის შესახებ“ კონვენცია კიდევ ერთხელ ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს (აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის ამჟამად სავალდებულო ძალის მქონე არ არის, საქართველოს იგი ხელმოწერილი აქვს, თუმცა მისი რატიფიცირება არ მომხდარა). „ტრანსასაზღვრო მაუწყებლობის შესახებ“ ევროპული კონვენცია წევრი სახელმწიფოების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს და ადგენს, რომ [ტრანსსასაზღვრო] მაუწყებლის პასუხისმგებლობა მკაფიოდ და ადეკვატურად უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ მისთვის უფლებამოსილების მინიჭებით ან ხელშეკრულების დადებით...“ ამავე დროს, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, არ შეზღუდონ თავიანთ ტერიტორიაზე პროგრამული მომსახურების მიღებისა და განმეორებითი გადაცემების განხორციელების თავისუფლება. ამ ვალდებულების სანაცვლოდ, გადამცემი მხარის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს მაუწყებლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ასეთ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს, სულ მცირე, მაუწყებლის სახელი ან ან სახელწოდება, მისი ადგილმდებარეობა და სტატუსი. საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა ხელისუფლების განსაკუთრებულ პრივილეგიას წარმოადგენს. თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებისას, შეთანხმებების დადებისას ან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას, ხელისუფლება კონსტიტუციით, მათ შორის, მისი მეორე თავით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით არის შეზღუდული. საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს შეზღუდავს, კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. შესაბამისად, თანამგზავრული სისტემით მაუწყებლის საქმიანობაში ჩარევის უფლებამოსილების წყაროს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი უნდა წარმოადგენდეს (II-64,65).

„საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის სავალდებულო მოთხოვნებს იმ პირების მიმართ ადგენს, რომელთა საქმიანობა მეორე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს უკავშირდება. მაუწყებლიც უცხო ქვეყნის სუვერენულ სივრცესთან შემხებლობა, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს უკავშირდება და ამდენად, რეგულირების საფუძველს ქმნის. თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის მსურველი პირი ნებაყოფლობით ირ-

ჩევს მაუწყებლობის იმ საშუალებას, რომელიც ამჟამად საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს და ამდენად, საკუთარ საქმიანობას საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ რეგულირებას უქვემდებარებს“ (II-66); სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის (საერთო და სპეციალიზებული) სახეობის ლიცენზიის დადგენა იმავე მიზნებს ემსახურება, რომელსაც თავად მაუწყებლობის ლიცენზირება. ამდენად, სადავო ნორმებს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია. სასამართლო მიიჩნევს, სახელმწიფომ ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური, გონივრულად მზღუდავი წესი დაადგინა და ამდენად, მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება გამოიყენა (II-67).

სასამართლომ იმსჯელა და ასევე პასუხი გასცა, იმ კითხვას, რომელიც უკავშირდებოდა ინტერნეტის არსებობის პირობებში (რა დროსაც პრაქტიკულად ინფორმაცია, საზღვრების მიუხედავად, დაუბრკოლებლად ვრცელდება) თანამგზავრული სისტემების გამოყენებით, მაუწყებლობის ლიცენზირების გონივრულობის თემას (II-68). სასამართლოს მოსაზრებით, კონსტიტუციური დავის გადაწყვეტად სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ინტერნეტ-მაუწყებლობასთან პარალელის გატარებას. ტრანსასაზღვრო მაუწყებლობის ერთ-ერთი „ტრადიციული“ ფორმის – თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის პარალელურად ინტერნეტ-მაუწყებლობის გამოჩენა თავისთავად ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის მარეგულირებელი ნორმები არაგონივრულად და კონსტიტუციის შეუსაბამოდ ჩაითვალოს. შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამართლებული იყოს მაუწყებლობისათვის გამოყენებული ერთი საშუალების მიმართ, შესაძლოა არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენდეს მეორე სახის მაუწყებლობისთვის და პირიქით (II-70).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის ლიცენზირება, მაუწყებლობის მსურველი პირის დავალდებულება, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ წარუდგინოს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, განსაზღვროს მაუწყებლობის სახე და მისი არეალი, შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებს.

1.6.4 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავს ლიცენზიის გამცემის, მოქმედების შეჩერების, გაუქმებისა და მოდიფიცირებისათვის გამოსაყენებელი ადმინისტრაციული წარმოების სახეებს. კერძოდ, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკაბელო ქსელის ან თა-

ნამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ხსენებული ნორმები გასაჩივრებული იყო იმ საფუძვლით, რომ ისინი შინაარსობრივად დაკავშირებული იყვნენ მაუწყებლობის ლიცენზირებასთან. მოსარჩელე მხარე არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებს ასაჩივრებდა იმის გათვალისწინებით, რომ შეიცავდა სიტყვას – „ლიცენზირება“, თუმცა ლიცენზიის ინსტიტუტისგან დამოუკიდებლად, ამ ნორმების შინაარსთან დაკავშირებით, სადავოს ვერაფერს ხედავდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელისათვის პრობლემატური იყო მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანონი მაუწყებლობის განხორციელებისათვის ზოგად ლიცენზიის აუცილებლობას და მისი გაცემის წესს განსაზღვრავდა. იგი სადავოდ არ ხდიდა ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, მოქმედების შეჩერების ან გაუქმებისათვის კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების სახის განსაზღვრის კონსტიტუციურობის საკითხს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის სიტყვების – „ლიცენზიის მფლობელის“ – საკაბელო მაუწყებლობასთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად უქმდება საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ამ ლიცენზიის როგორც გაცემა, ისევე – მოდიფიცირება, მოქმედების შეჩერება და გაუქმება. აქედან გამომდინარე, საკაბელო მაუწყებლობასთან მიმართებით, აღნიშნული ნორმები სამართლებრივ რეგულირებას აღარ ადგენს. მათ საფუძველზე შეუძლებელია მოდიფიცირდეს ან გაიცეს საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზია. 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „საკაბელო ქსელის“ მსგავსად, 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების სიტყვები – „ან საკაბელო ქსელის“ – კარგავს შინაარსს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის წარმოება სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში შეწყვიტა (II-75). „როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით, მოსარჩელის მიერ სადავოდ იყო გამხდარი არა ადმინისტრაციული წარმოების სახის კონსტიტუციურობა, არამედ თავად ლიცენზიის გაცემის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების და მოდიფიცირების შესაძლებლობის კანონით განსაზღვრის ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე გადაწყვიტა თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზირების კონსტიტუციურობის საკითხი და დაადგინა, რომ ამ სახის ტექნიკური საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზირება კონსტიტუციასთან შესაბამისია. სადავო ნორმიდან გამომდინარე, მოსარჩელის პრობლემაზე სასამართლოს მიერ პასუხი უკვე გაცემულია, ხოლო სხვა შინაარსით ეს ნორმები არ იყო სადავოდ გამხდარი“. შესაბამისად, სასამართლო ვერ გასცდა სასარჩელო მოთხოვნას და ვერ შეაფასა, თუ რამდენად კონსტიტუციურია ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, გაუქმების თუ მოქმედების შეჩერებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ამა თუ იმ წესის გამოყენება (II-76).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები: „აგრეთვე ტელე – ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების... გამოყენებით“ და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის სიტყვები: „ტელე – ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების... გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა და მოდიფიცირება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით“ გასაჩივრებული შინაარსი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებს.

1.6.5 საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადების თანახმად, კომისია თანამგზავრული სისტემების ან საკაბელო ქსელი გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის საკითხს წყვეტს 30 სამუშაო დღის ვადაში. საკაბელო ქსელის საშუალებით მაუწყებლობის ლიცენზირების ვალდებულების გაუქმებასთან ერთად აღნიშნულმა ნორმამ საკაბელო მაუწყებელთან მიმართებით დაკარგა თავისი სადავო შინაარსი. სასამართლოს განმარტებით, „ყოველგვარი სამართლებრივი დატვირთვა ეკარგება ნორმას, რომელიც ლიცენზიის გაცემის ვადას განსაზღვრავს, მაშინ, როდესაც საკაბელო ქსელის საშუალებით მაუწყებლობა ლიცენზირებადი საერთოდ აღარ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის წარმოება სასამართლომ შეწყვიტა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის სიტყვების – „ან საკაბელო ქსელის“ – კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით“ (II-78).

სასამართლოს არგუმენტაციით, „ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის მსურველი აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ლიცენზიის გამცემი ვალდებულია, გადაამოწმოს სალიცენზიო განაცხადის შესაბამისობა კანონთან, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საჯარო დაწესებულების მიერ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა საჭიროებს გარკვეული სამუშაოს გაწევას, რომელიც დროს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ლიცენზირების მექანიზმის შემოღება ავტომატურად გულისხმობს ლიცენზიის გაცემისათვის გარკვეული ვადების განსაზღვრის საჭიროებას“ (II-80).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „მაუწყებლობის საქმიანობის 30 დღის ვადაში დაწყება არ წარმოადგენს უფლების იმგვარ შეზღუდვას, რომელიც რაიმე ფორმით ეჭვქვეშ აყენებს მის ეფექტურობას ან შეიცავს აზრისა და ინფორმაციის გავრცელების იმგვარ შეზღუდვას, რომელიც გაუმართლებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (II-82).

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/1/569 გადაწყვეტილება საქმეზე დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2.1 კონტიტუციური სარჩელისა და სადავო ნორმების არსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №569) მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმა – დავით კანდელაკმა, ნატალია დვალმა, ზურაბ დავითაშვილმა, ემზარ გოგუაძემ, გიორგი მელაძემ და მამუკა ფაჩუაშვილმა.

კონსტიტუციური სარჩელით დავის საგანს წარმოადგენდა:

ა) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია), ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების (2013 წლის 12 ივლისის რედაქცია), კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით;[868]

ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833- რს) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (2013 წლის 12 ივლისის რედაქცია) და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833- რს) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან და 30-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით.[869]

2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის

---

[868] დაწვრილებით იხ., №569 კონსტიტუციური სარჩელი: დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ასევე იხ., 2014 წლის 19 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №1/1/569.

[869] იქვე.

შესახებ,[870] რომლითაც ცვლილება შევიდა მოცემული კანონის 24-ე მუხლში. განხორციელებული ცვლილების თანახმად, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა 9 წევრის – მეურვისგან განისაზღვრა. დადგინდა მეურვეების არჩევის ახლებური წესი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ორ მეურვეს საქართველოს სახალხო დამცველის წარდგინებით, სამს – საპარლამენტო უმრავლესობის (საპარლამენტო უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – საპარლამენტო ფრაქციების) წარდგინებით, სამს – საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის წარდგინებით, ხოლო ერთს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

ცვლილების თანახმად, ასევე, განისაზღვრა მეურვეებისათვის ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, მეურვეს „უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, სულ ცოტა 5 წლისა – ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო, ელექტრონული კომუნიკაციების, სახელოვნებო, სამწერლო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში“. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედი იცვლება 2 წელიწადში ერთხელ როტაციის წესით; მეურვის უფლებამოსილების ვადა არაუმეტეს 6 წელია. მეურვის უფლებამოსილების ვადა იწყება წინა მეურვის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს.

თუ მეურვე აირჩა წინა მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, მეურვის უფლებამოსილების ვადა იწურება მისი არჩევიდან 6 წლისთავზე, იმ თვის იმ რიცხვის წინა დღეს, რომელი თვის რომელ რიცხვშიც დაიწყო იგი. მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ნაცვლად არჩეული ახალი მეურვის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება წინა მეურვის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით. თუ მეურვის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მეურვის თანამდებობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ვაკანტური რჩება.

2013 წლის 12 ივლისის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ არჩეულ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის ტარდება წილისყრა, რომლის შედეგადაც, განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადა ისე, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის უფლებამოსილების ვადა იყოს 3 წელი, ერთი მესამედისა – 4 წელი და ერთი მესამედისა – 6 წელი. ახალი სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებამდე უფლებამოსილებას ახორციელებენ სამეურვეო საბჭოს

---

[870] იხ., საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (**www.matsne.gov.ge**), 25.07.2013, სარეგისტრაციო კოდი: 450140000.05.001.017018.

ძველი წევრები. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა ასარჩევად. მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი იქნებოდა არჩეული, სამეურვეო საბჭოს ძველ წევრებს შეუწყდებოდათ უფლებამოსილება. რაც შეეხება, ხსენებული მე-4 პუნქტის ამოქმედებას, კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტის ამოქმედების შემდეგ არჩეულ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის უნდა ჩატარებულიყო ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული წილისყრა. ასევე, აღსანიშნავია ხსენებული მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ამ კანონის ამოქმედებიდან ახალი სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებამდე, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად საჭირო იყო სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა.

მოსარჩელეების მიერ კონსტიტუციური სარჩელით, 2013 წლის 12 ივლისის ცვლილებებიდან გასაჩივრებული იყო არა მთლიანად კანონი, არც სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი, არამედ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 12 ივლისის კანონში თავის მხრივ, განხორციელდა ცვლილებები, მათ შორის, 24-ე მუხლში, რომელიც სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესს განსაზღვრავდა.[871]

მოსარჩელეების მიერ გასაჩივრდა კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც, თავის მხრივ, ცვლილებები შედიოდა 2013 წლის 12 ივლისის კანონის მე-2 მუხლში. აღნიშნული ცვლილებებიდან, მოსარჩელეების მიერ გასაჩივრებული იყო მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტები. ასევე, გასაჩივრებული იყო კანონის მე-3 მუხლიც.

აღნიშნული მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს კონკურსს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს ასარჩევად“. რაც შეეხება მე-3 პუნქტს, მოცემულის თანახმად, „ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყება საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე“. მე-5 პუნქტის თანახმად კი, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრს (წევრებს) უფლებამოსილება შეუწყდა (შეუწყდათ) ამ კანონის 1-ელი

---

[871] იხ. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (**www.matsne.gov.ge**), 22/11/2013, სარეგისტრაციო კოდი: 450140000.05.001.017201.

მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს არჩევამდე, მისი (მათი) თანამდებობა ვაკანტური უნდა დარჩენილიყო, ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის ამოქმედებიდან, ახალი სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების დაწყებამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი სამეურვეო საბჭო არ არის უფლებამოსილი, მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, გარდა სარეკომენდაციო გადაწყვეტილებისა“.

რაც შეეხება გასაჩივრებულ მე-3 პუნქტს, ის ეხებოდა ივლისის კანონის მე-2 პუნქტში შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმადაც, ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტი უნდა ამოქმედებულიყო 2013 წლის 25 ნოემბრიდან.[872]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეებმა შუამდგომლობით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, გადაწყვეტილების გამოტანამდე, მათ მიერ გასაჩივრებული ნორმების შეჩერების თაობაზე.

2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება

2.2.1 სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

2014 წლის 19 თებერვალს[873] საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საოქმო ჩანაწერი, რომლის საფუძველზედაც, კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც

---

[872] უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ცვლილებებამდე ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის ამოქმედების ვადა იყო 2014 წლის 1 იანვარი.

[873] აქვე უნა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 9 თებერვლის წერილით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ – კონსტანტინე ვარძელაშვილმა *amicus curiae*-ს ფორმატში მიმართა ვენეციის კომისიას და ითხოვა ამ ავტორიტეტული ევროპული ორგანიზაციისგან შემდეგ კითხვებთან დაკავშირებით მათი პოზიციის დაფიქსირება:

1) *აქვს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელს გამოხატვის თავისუფლება?*
2) *როდესაც დაუსაბუთებლად ხდება სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში ჩარევა ან სამეურვეო საბჭოს წევრთათვის უფლებამოსილების შეწყვეტა, წარმოადგენს თუ არა ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში ან მისთვის მინიჭებულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას?*
3) *აქვთ თუ არა მოქალაქეებს უფლება, იდავონ საკონსტიტუციო სასამართლოში ან სხვა შესაბამის სასამართლოში ინფორმაციის მიღების უფლებაზე, მაშინ როდესაც სახელმწიფო ერევა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობაში?*

ვენეციის კომისიამ 2014 წლის 25 მარტის მოსაზრებაში განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ *amicus curiae*-ს ფორმატში წარმოდგენლი სამართლებრივი და ფაქტობრივი მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში არსებული კონკრეტული საქმისა და ამ საქმესთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი ანალიზი. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს იმ შესაბამის ინსტიტუციას, რომელმაც მის წინაშე არსებული ფაქტობრივ და სამართლებრივ მასალებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს არსებული დავა. ვენეციის კომისია შემოიფარგლა დასმულ საკითხთან დაკავშირებით კომპარატივისტული ანალიზით.

ეხებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის (ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყება საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე – 2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სხვა ნაწილებში სარჩელი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებებიდან გასაჩივრებული ნორმები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არ იქნა წარმოებაში მიღებული, რამდენადაც, კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმები უკვე აღარ მოქმედებდა რეგისტრაციის მომენტისათვის (2013 წლის 11 დეკემბერი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ კონსტიტუციური სარჩელი უნდა ეხებოდეს მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას.[874] სასამართლოს განმარტებით, „მოსარჩელემ უნდა მიუთითოს მოქმედი ნორმატიული აქტის შინაარსი, რომელიც მისი უფლების დარღვევას იწვევს, ვინაიდან ნორმატიული აქტი, რომელიც აღარ მოქმედებს, ვერ შეფასდება როგორც ადამიანის უფლების შემზღუდველი ნორმა“ (II-3).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს“.[875]

რადგან კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის მომენტისათვის (2013 წლის 11 დეკემბერი) კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმები უკვე აღარ მოქმედებდა, ამიტომ, სარჩელი ამ ნაწილში არ იქნა წარმოებაში მიღებული. რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან, 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტსა და 30-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით, ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით, სადავოდ ქცეულ ნორმებთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ

---

[874] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის №2/124/3, 2005 წლის 11 ოქტომბრის №1/17/345 და 2008 წლის 4 აპრილის №1/1/426, 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინებები.

[875] საოქმო ჩანაწერი 62. 33.

„სადავო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნორმებს ახასიათებს ერთჯერადი მოწესრიგების ეფექტი და ისინი ადგენენ განსაზღვრულ ვადაში შესასრულებელ კონკრეტულ ვალდებულებას. მოცემულ ნორმებს არ გააჩნია განგრძობადი ხასიათი, მათი მოქმედება უკავშირდება კონკრეტულ ვადას და ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი არ წარმოშობს პირის უფლების შეზღუდვის რისკებს. ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის მომენტში (2013 წლის 11 დეკემბერი), აღნიშნული ნორმების შინაარსი უკვე რეალიზებული იყო და ისინი ვერ შეფასდება მოსარჩელეთა უფლების შესაძლო დარღვევის წყაროდ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის“ (II-8).

გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელეების განცხადებით, ისინი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები, უფლებამოსილი იყვნენ, ედავათ საკონსტიტუციო სასამართლოში საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელით. მათი განმარტებით, მართალია, კანონმდებლობის მიხედვით, მაუწყებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილია გენერალური დირექტორი, თუმცა არსებული პრაქტიკული და ნორმატიული რეალობიდან გამომდინარე, ისინი მიჩნეულ უნდა ყოფილიყვნენ მაუწყებლის სახელით მოდავე სუბიექტებად. ამასთან, მოსარჩელეებს მიაჩნდათ, რომ მათ ინდივიდუალურად, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, როგორც სპეციალური სტატუსის მქონე პირებს, შეეძლო საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოთხოვნით ედავათ საკონსტიტუციო სამართლოში.[876]

მოსარჩელეთა ამ მოთხოვნასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელედ დასახელებული პირის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეები მიუთითებენ ისეთ მოთხოვნაზე, რომელსაც არ გააჩნია საგნობრივი მიმართება უშუალოდ მოსარჩელის უფლებასთან. მოსარჩელენი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის, მისი გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით. აღნიშნული მოთხოვნა უკავშირდება არა მოსარჩელეებს, როგორც ფიზიკურ პირებს, არამედ საზოგადოებრივ მაუწყებელს. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ ის კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით მოსარჩელედ იყოს მითითებული“ (II-14).

მოსარჩელეები ასევე აპელირებდნენ საკუთარი უფლებების დარღვევაზე და ითხოვდნენ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შე-

---

[876] იხ. საქართველოს მოქალაქეების დავით კანდელაკის, ნატალია დვალის, ზურაბ დავითაშვილის, ემზარ გოგუაძეს, გიორგი მელაძეს და მამუკა ფაჩუაშვილის 2013 წლის 11 დეკემბრის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №569), გვ. 8-9.

ტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“ – საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიზანია, „დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა და არა რომელიმე ორგანოსთან თანამდებობის სტაბილურობის გარანტირება“.[877] საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობაში ჩარევა შესაძლოა იწვევდეს ფიზიკური პირის საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ სადავო ნორმებით დადგენილი სისპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრირების წესი იწვევდა მოსარჩელეთა, როგორც ფიზიკური პირების, კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განმტკიცებულ უფლებაში ჩარევას (II-18, 19).

როგორც აღვნიშნეთ, საოქმო ჩანაწერის თანახმად, წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა გასაჩივრებული ნორმის მხოლოდ ერთ ნაწილში, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც უკავშირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხეს, რომ „სახელმწიფო თანამდებობა უნდა განიმარტოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონებში არსებული ლეგალური დეფინიციების შესაბამისად“ (II-25). საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციაში მოცემული ტერმინები ყოველთვის არ შემოიფარგლება კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფინიციით“.[878]

[877] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[878] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის 1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო თანამდებობა“ არის კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც უნდა განიმარტოს მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, მისი ბუნებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით და საკანონმდებლო დეფინიციებს ამ თვალსაზრისით მხოლოდ დამხმარე ხასიათი აქვს (II-25). სასამართლო შეეცადა დაედგინა, წარმოადგენს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის – მეურვის – საქმიანობა „სახელმწიფო თანამდებობას“, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის. ამ ამოცანის განსახორციელებლად, სასამართლო შეეცადა დაედგინა სამეურვეო საბჭოს დანიშნულება და მისი ბუნება, სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) უფლება-მოვალეობები, რომლებსაც ის ასრულებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განხორციელებული საქმიანობის ხასიათი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობის შინაარსობრივ მიმართებას „სახელმწიფო თანამდებობასთან“ კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის.

სახელმწიფო თანამდებობის განსაზღვრის თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, „თუ როგორ ხდება ამ თანამდებობაზე დანიშვნა (არჩევა), აუცილებელია შეფასდეს დანიშვნაზე (არჩევაზე) უფლებამოსილი პირის (ორგანოს) სტატუსი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია იმ ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი და ბუნება, რომელშიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეები ახორციელებენ საქმიანობას...“ (II-27).

სამეურვეო საბჭოს კანონით დადგენილი ფუნქციების ანალიზი მიუთითებს, რომ აღნიშნულ ორგანოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაში უმნიშვნელოვანი როლი აკისრია. სამეურვეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობით და ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრაში, მისი სტრუქტურული ერთეულების სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვაში. სამეურვეო საბჭო აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლით და მის ფარგლებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესითა და საფუძვლებით, საკანონმდებლო (ხოლო უკანასკნელი ცვლილებების განხორციელებამდე, ასევე – აღმასრულებელი) ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით და ზედამხედველობით (II-31).

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი ახორციელებს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას უწევს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და პროგრამული პრიორიტეტების დაცვას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხ-

ლის მიზნებისთვის წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის განხორციელებას. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეთა უფლება, დაიკავონ და განახორციელონ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის თანამდებობა, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობის საკითხი შეფასდება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით (II-32, 33).

რაც შეეხება სადავო ნორმების კონსტიტუციის 30-ე მუხლთან მიმართებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის სპეციფიკურად უკავშირდება სახელმწიფო თანამდებობის დაკავების, საჯარო სამსახურის განხორციელების გარანტიებს.

მოცემული კონსტიტუციური წესრიგის პირობებში, მცდარი იქნებოდა შრომითი ურთიერთობების სრული სპექტრის კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცულ სფეროში მოქცევა. ცალსახაა ის გარემოება, რომ კონსტიტუცია შრომითი ურთიერთობების გარკვეული სეგმენტის მოწესრიგებას, კერძოდ, საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თავისი არსით წარმოადგენს შრომით საქმიანობას, უკავშირებს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სფეროს.[879]

ის გარემოება, რომ შრომითი საქმიანობის სპეციფიკური სეგმენტი დაცულია კონსტიტუციის 29-ე მუხლით, გამორიცხავს სეგმენტის დასაცავად კონსტიტუციის 30-ე მუხლზე აპელირების შესაძლებლობას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა მიემართება სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას, მისი შეფასება მოხდება კონსტიტუციის 29-ე და არა 30-ე მუხლთან მიმართებით (II-23, 24).

როგორც უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოსარჩელეებმა მოითხოვეს გასაჩივრებული ნორმების შეჩერება. მოცემულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მხოლოდ იმ ნაწილში იმსჯელა, რომელშიც კონსტიტუციური სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და დააკმაყოფილა მოსარჩელეთა აღნიშნული შუამდგომლობა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეაჩეროს სადავო აქტი ან მისი სათა-

---

[879] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2-9-556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-3.

ნადო ნაწილის მოქმედება. აღნიშნული ნორმით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებების პრევენციულად დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის გამოუსწორებელი შედეგი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, ნორმა ადგენდა, რომ ახალი წესით არჩეული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე. თავის მხრივ, აღნიშნული მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი იქნებოდა ახალარჩეული სამეურვეო საბჭო. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმის მოქმედების შედეგად მოსარჩელეებს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდებოდათ. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების და მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეებს არ ექნებოდათ სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მათი კონსტიტუციური უფლების აღდგენასა და სადავო ნორმით მოსარჩელეთა უფლებაში ჩარევის შედეგად გამოწვეული შედეგის გამოსწორებას (II-40).

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შედეგად შესაძლებელია დარღვეულიყო იმ პირთა უფლება, რომლებიც არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს ახალწევრებად, იღებენ (ან მომავალში მიიღებენ) მონაწილეობას კონკურსში სამეურვეო საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის შესაბამისად, ახალარჩეული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყება საქართველოს პარლამენტის მიერ 7 წევრის არჩევისთანავე. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის მომენტისათვის საქართველოს პარლამენტს არ ჰყავდა არჩეული 7 ახალი წევრი. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის შეჩერება არ გამოიწვევდა მოპასუხის მიერ დასახელებული პირების უფლებრივი მდგომარეობის არსებით, შეუქცევად სახეცვლებას, რამდენადაც ისინი, ვინც უკვე შერჩეულია და, მით უფრო, ისინი, ვინც მონაწილეობდნენ ან გეგმავდნენ მონაწილების მიღებას, არ სარგებლობდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვის უფლებამოსილებით. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში მონაწილეობა მათ აღნიშნული თანამდებობის დაკავების გარკვეულ მოლოდინს უქმნიდა, ასეთი მოლოდინი ვერ გახდებოდა ისეთი სადავო ნორმის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი, რომლის მოქმედებამ შესაძლოა მოსარჩელისთვის გამოუწორებელი შედეგი გამოიწვიოს (II-42).

2.2.2 განსხვავებული აზრი საოქმო ჩანაწერზე

2014 წლის 19 თებერვლის საოქმო ჩანაწერზე, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის მიერ დაფიქსირებულ იქნა განსხვავებული აზრი, რომლითაც ავტორი ასაბუთებს, რომ არ არსებობდა N569 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (№833-რს) მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2, და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.[880]

მოსამართლის მოსაზრებით, დაუშვებელია კონსტიტუციური სარჩელისათვის წაყენებული ფორმალური მოთხოვნა, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება, გახდეს მოსარჩელისათვის კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი იმ პირობებში, როდესაც სასამართლო ხედავს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები შინაარსობრივად დაკმაყოფილებულია. ავტორს ასევე მოჰყავს არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე სუბიექტად უნდა განხილულიყო სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო მის უფლებამოსილ წარმომადგენლად – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, წარმოდგენილი ექვსი მეურვით.

განსხვავებული აზრის ავტორის განმარტებით, სამეურვეო საბჭოს სასარჩელო უფლებაუნარიანობის კონტექსტში გასათვალისწინებელია აღნიშნული ორგანოს სამართლებრივი ბუნება და სტატუსი. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო, გენერალურ დირექტორთან ერთად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1-ელი კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერში ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღნიშნული ორგანოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. სამეურვეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობით და ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრაში, მისი სტრუქტურული ერთეულების სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვაში. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის დაცვის ფუნქცია აკისრია. ამასთან, ის გარკვეულწილად ზე-

---

[880] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერზე.

დამხედველობას უწევს სამეურვეო საბჭოს დირექტორის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობას; „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამდებობის პირის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 30 დღის განმავლობაში სამეურვეო საბჭოში ან სასამართლოში (პ.7).

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი აანალიზებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველსო კანონის სხვა ნორმებსაც და საბოლოოდ ასკვნის, რომ „სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წარმოადგინოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და დაიცვას მისი ინტერესები საკონსტიტუციო სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად ზღუდავს მაუწყებლის დამოუკიდებლობას“ (პ.9).

ავტორი ასევე აფიქსირებს საკუთარ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არიან წარმოდგენილი ფიზიკური პირები უფლებამოსილნი, იდავონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, როგორც სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ. ავტორის მოსაზრებით, №569 კონსტიტუციური სარჩელი წარმოადგინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ექვსმა წევრმა (მეურვემ). მიმდინარე კანონმდებლობის (მათ შორის, საოქმო ჩანაწერის საფუძველზე შეჩერებული ნორმის) თანახმად, სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრები ინარჩუნებენ (სადავო ნორმებით შეზღუდულ) უფლებამოსილებას, ახალი წესით, საქართველოს პარლამენტის მიერ 7 მეურვის არჩევამდე. ამგვარად, სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს გააჩნიათ უფლებამოსილება, იდავონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (პ.10). ამასთან, ავტორისვე განმარტებით, „კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილებას არ ცვლის ის გარემოება, რომ სამეურვეო საბჭო წარმოდგენილია მხოლოდ მისი ექვსი წევრით. №569 კონსტიტუციურ სარჩელში, სხვა ნორმებთან ერთად, სადავოდ არის გამხდარი იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც ადგენს სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის შეზღუდვად და აფერხებს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებაუნარიანობას. ამ თვალსაზრისით, სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის, იმ ფორმალური საფუძვლით არსებითად განსახილველად უარის თქმა, რომ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭო ამ შემადგენლობით არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, უარყოფითად აისახებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექიანობაზე და ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა კანონმდებლის თვითნებობისათვის. პირის მიერ კონსტიტუციური უფლების დაცვის შესაძლებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული მიმდინარე საკანონმდებლო პროცესზე და კანონშემოქმედებითი პროცესის კანონმდებლის მხრიდან საკუთარი შეხედულებით წარმართვამ კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა შეუქმნას ფორმალური დაბრკოლებები“ (პ.11).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ავტორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელე სუბიექტად უნდა განხილულიყო სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო მის უფლებამოსილ წარმომადგენლად – საზოგადოებრივი მაუწყებლის

საამეურვეო საბჭო, წარმოდგენილი ექვსი მეურვით. შესაბამისად, არ არსებობდა №569 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (N833-რს) მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

2.3 საქმის არსებითი განხილვის სხდომა

საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომა ზეპირი მოსმენით გაიმართა 2014 წლის 26 თებერვლას. როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს 1-ელი კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერით, კონსტიტუციური სარჩელი მიღებული იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N833-რს) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის (ამ კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება იწყება საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე) (2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით.

ასევე, როგორც აღვნიშნეთ, საოქმო ჩანაწერით შეჩერდა სადავო ნორმის მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტი განსაზღვრავს, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

2.3.1 მოსარჩელის არგუმენტაცია

არსებითი განხილვის დროს, მოსარჩელემ განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტი იცავს პირის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თავისუფლად განახორციელოს მისთვის მინიჭებული სამსახურებრივი ფუნქციები და არ გაათავისუფლონ დასაბუთების გარეშე. ამასთან, მოსარჩელე მხარემ განმარტა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული დებულება ვრცელდება სახელმწიფო თანამდებობის პირებს და ასევე, იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (I-8).

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრების ვადაზე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლება, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე,

წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას. სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება მოსარჩელეთა განმარტებით, გულისხმობს თანამდებობის დაკავების პროცესში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას. მოცემულ შემთხვევაში კი, სადავო ნორმა საქართველოს პარლამენტს ანიჭებს უფლებას, პოლიტიკური ნიშნით დააკომპლექტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, რაც მიუღებელია და შორეულ პერსპექტივაში შესაძლოა გახდეს ქვეყანაში „იდეოლოგიური კორუფციის“ დამკვიდრების განმაპირობებელი ფაქტორი (I-10).

მოსარჩელე მხარემ, ასევე, მიუთითა, რომ, მართალია, სახელმწიფოს არ აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, შექმნას საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაგრამ თუ შექმნის, მაშინ ვალდებულია, პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით განხორციელებული ჩარევა გაუმართლებელია, ვინაიდან იგი იწვევს „განგრძობადობის ტრადიციის“ დარღვევას სამეურვეო საბჭოში. აღნიშნული უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცესში, რის გარეშეც მაუწყებელი უფუნქციო ინსტიტუტად გადაიქცევა (I-10).

უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალ წესს. მოსარჩელის განცხადებით, პრობლემას ტრანზაციის პროცესი იწვევდა. კერძოდ, ის, რომ ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, ვადაზე ადრე შეუწყდებოდათ უფლებამოსილება სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს, ხოლო ახალი წევრები პირდაპირ ვალდებულები იქნებოდნენ მოქმედი პარლამენტის პოლიტიკური გუნდის წინაშე. მოსარჩელეთა განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობის მთავარი პრინციპი არის სტაბილურობა, ტრადიცია და განგრძობადობა. მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს მისი ხარისხის გარანტი და წარმატების ინდიკატორი. პოლიტიკური ჩარევა არასტაბილურობას გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის ამ პრინციპის განხორციელებას (I-12).

2.3.2 მოპასუხე მხარის არგუმენტაცია

რაც შეეხება მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა არგუმენტაციას, მათი განმარტებით, კანონმდებლობის დონეზე განხორციელებული ცვლილებები განპირობებული იყო რეფორმის აუცილებლობით და სხვა მთელი რიგი მიზეზებით.

მოპასუხე მხარემ თავდაპირველად აღნიშნა, რომ კანონში ცვლილებები კანონის კონსტიტუციისადმი შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. კერძოდ, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ბალაში შევიდა საკონსტიტუციო

ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, *ინტერ ალია*, საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ კონსტიტუციით აქვს პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილებები. შესაბამისად, ძველი წესი, რომელიც პრეზიდენტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესში, შეიცვალა და საქართველოს პრეზიდენტს კანონით მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილება ჩამოერთვა (I-16).

აღნიშნულის შემდეგ, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების ახალი წესის შემოღება, განპირობებული იყო ძველი წესის მიხედვით არჩეული სამურვეო საბჭოს არაეფექტურობით. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, 15 წევრიანი სამეურვეო საბჭოს არსებობის მანძილზე საზოგადოებრივ მაუწყებელს არავითარი პოზიტიური ნაბიჯი გადაუდგამს განვითარებისაკენ. პირიქით, უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაუწყებელში გამუდმებით იყო კრიზისული სიტუაცია მართვის თვალსაზრისით, რამაც საქართველოს პარლამენტს უბიძგა, განეხორციელებინა მყისიერი რეფორმა (I-17). მოპასუხე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმის მიღებისას კანონმდებელს ამოძრავებდა ერთი უმთავრესი მიზანი – უზრუნველეყო პლურალისტური საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირება, სადაც მაქსიმალურად, მრავალფეროვნად იქნებოდა წარმდგენილი საზოგადოების ყველა ჯგუფი. კერძოდ, სადავო ნორმაში კანონმდებლის განზრახვას წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ყოფილიყო მაქსიმალურად გამჭვირვალე და თავისუფალი ერთი პოლიტიკური სუბიექტის დომინაციისგან. ძველი წესი, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, ამას ვერ უზრუნველყოფდა, ხოლო ახალი წესი ცალსახად უკეთესია და ამართლებს დასახულ მიზანს (I-18).

მოპასუხის წარმომადგენელთა განმარტებით, რეფორმის განხორციელებისას პარლამენტმა გაითვალისწინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1996 წლის 11 სექტემბრის რეზოლუცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამსახურების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის თანახმადაც, „საზედამხედველო ორგანოების წევრები უნდა ინიშნებოდნენ ღიად და პლურალისტური პრინციპების გათვალისწინებით“. მოპასუხე მხარის განმარტებით, განსხვავებით ძველი წესისგან, სადაც შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად მხოლოდ ერთი სუბიექტი მონაწილეობდა,[881] ახალი წესი მთლიანად პასუხობდა მოცემულ მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარის განმარტებით, ცვლილებების თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდა 9 წევრამდე, რაც ერთხმად აღიარებული შეხედულების თანახმად, წარმოადგენდა იმ ოპტიმალურ ციფრს, რომელიც, ერთი მხრივ,

---

[881] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2009 წლის 22 სექტემბრის რედაქციით, მეურვეების კანდიდატურას შეარჩევდა საქართველოს პრეზიდენტი (იხ., კანონის 25-ე მუხლის 27-ე პუნქტი), შერჩეულ კანდიდატურებზე ფარული კენჭისყრით თანხმობას გასცემდა საქართველოს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

უზრუნველყოფდა საბჭოსთვის მისთვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებას და, მეორე მხრივ, არ გამოიწვევდა სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივ, გადამეტებულ ხარჯვას.

მოპასუხე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭოს 9 წევრიან შემადგენლობაში 7 წევრი დარჩებოდა ე.წ. ძველი წესის საფუძველზე შერჩეული შემადგენლობიდან, პარლამენტს ისღა დარჩენოდა, რომ მხოლოდ 2 ახალი წევრი შეერჩია. აქვე იბადებოდა კითხვა, თუ რომელი კვოტიდან უნდა შეერჩია ახალი სუბიექტები მას. მსგავსი კითხვა ჩნდებოდა ასევე იმ შემთხვევისას, როდესაც ე.წ. ძველი წესის საფუძველზე არჩეული 7 წევრიდან, რომელიმეს შეუწყდებოდა უფლებამოსილება (ვადის გასვლის ან სხვა მიზეზის გამო). ძველი შემადგენლობისთვის შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რომელი კვოტის შემადგენლობიდან იყვნენ ისინი შერჩეულნი (საპარლამენტო უმრავლესობის, საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსი, თუ სახალხო დამველის).

მოპასუხე მხარის განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არჩევის ახალი წესი არსებითად განსხვავდებოდა ძველი წესისგან, ვინაიდან იგი სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების უფრო წარმომადგენლობით ფორმას ადგენდა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო შერწყმა ახალი წესით არჩეულ წევრებისა და მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრების შერწყმა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება ითვალისწინებს კვოტირების ისეთ უნიკალურ წესს, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში პლურალისტური გარემოს შექმნისა და მრავალფეროვნების ასახვისაკენ. აღნიშნული გამორიცხავდა კანონმდებლის მიერ ისეთი გზის არჩევას, რომელიც ერთ სამეურვეო საბჭოში გააერთიანებდა ძველი და ახალი წესით არჩეულ მეურვეებს (I-19).

მოპასუხე მხარის განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი არ არის საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ინსტიტუცია და მისი არსებობა სახელმწიფოს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს თავისუფალი მედია გარემო და მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელების არეალი ქვეყანაში, თუმცა ამას როგორ გააკეთებს, ეს მისი გადასაწყვეტია (I-15).

2.3.3 არსებითი განხილვის დროს სპეციალისტთა პოზიციები

საქმის არსებითი განხილვის დროს, სპეციალისტის სტატუსით მოწვეულები იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები – ლაშა ტუღუში და ზვიად ქორიძე. ლაშა ტუღუშმა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა, რომ იგი თანამდებობის პირებად არ მიიჩნევდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

წევრებს. მისი აზრით, ამგვარი სამართლებრივი ლოგიკა დიდი ნონსენსია და საქმის ამ პრიზმიდან დანახვა საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც განსაკუთრებული მედია ინსტიტუციის არასწორ აღქმას გამოიწვევს (I-22).

სპეციალისტის განმარტებით, ადრე არსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესი არ იყო კარგი და საჭიროებდა რეფორმას. ლაშა ტუღუშმა ხაზი გაუსვა იმ მთავარ მიზნებს, რომლებიც საფუძვლად ედო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. უპირველესად, ეს იყო ფინანსური გამჭვირვალობის უფრო მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებებს შემოჰქონდა წესი, რომელიც გულისხმობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ აუდიტის დასკვნის გამოქვეყნების ვალდებულებას და აუდიტის ჩატარებას საერთაშორისო აუდიტორის მიერ. აღნიშნული ნოვაცია განპირობებული იყო საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული მრავალწლიანი კრიზისული პრაქტიკით, რაც გამოიხატებოდა მაუწყებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაგროვილ მილიონობით ლარის ვალში.

სპეციალისტის აზრით, ახალი წესი ფინანსური გამჭვირვალობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო და ხელს შეუწყობდა არსებული პრობლემების აღმოფხვრას (I-23). ლაშა ტუღუშმა რეფორმის მეორე მნიშვნელოვან მახასიათებლად მიიჩნია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შესარჩევი პროცესის გამჭვირვალობის გაძლიერება. მანვე აღნიშნა, რომ ახალი წესით არჩეულმა ოთხმა კანდიდატმა რამდენიმე ეტაპიანი ურთულესი შესარჩევი პროცესი გაიარა. მათ მოუწიათ ონლაინ სისტემით პირდაპირ ეთერში დებატებში მონაწილეობა, სადაც ღიად წარმოაჩინეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გუანვითარების, საკუთარი კონცეფციები. ასევე, ისინი გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტში და გაიარეს მოსმენები შესაბამის კომიტეტებში. ამგვარად, სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსისადმი საზოგადოების ყურადღება მაღალი იყო, რაც, ლაშა ტუღუშის აზრით, პროცესის გამჭვირვალობას შეუქცევადს ხდის (I-24).

რეფორმის მნიშვნელობის მესამე ფაქტორზე საუბრისას სპეციალისტმა აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს ფორმირების ახალი წესი კანდიდატების კომპეტენციასთან დაკავშირებით უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებდა, ვიდრე ეს ადრე მოქმედი წესით ხდებოდა. მაგალითად, ადრე არსებული მოთხოვნებისგან განსხვავებით, შესაბამის სფეროში 5 წლის გამოცდილების ნაცვლად ახლა 10 წელი დგინდებოდა. აქედან, 5 წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო, ელექტრონული კომუნიკაციის, სახელოვნებო, სამწერლო ანდა სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში. აღნიშნული ნოვაცია, ლაშა ტუღუშის აზრით, შეუძლებელს ხდიდა ახალი სამეურვეო საბჭოს წევრების ინტეგრაციის მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრებთან (I-25).

სპეციალისტმა, ასევე, ხაზი გაუსვა სამეურვეო საბჭოს ფორმირების თვისობრივად ახალი სისტემის შემოღების პოზიტიურ მხარეებს და აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების გამოთიშვა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესიდან სწორი ნაბიჯი იყო. მისი აზრით, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სისტემა ისევ განვითარების სტადიაშია და აღმასრულებელი ხელისუფლება ფლობს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში პოტენციური ჩარევის ბერკეტებს, პარლამენტისთვის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების სრული უფლებამოსილების მინიჭება უაღრესად გონივრული ბერკეტი იქნებოდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო პროცესში სახალხო დამცველის ჩართულობა ადამიანის უფლებებისათვის პრიორიტეტის მინიჭების კუთხით, რაც ეუთოს სპეციალურმა წარმომადგენელმა პოზიტიურად შეაფასა. ლაშა ტუღუშის აზრით, ომბუდსმენის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესში, საქართველოს ევროინტეგრაციისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მისივე განცხადებით, ახალი წესი მნიშვნელოვანია რეგიონალიზმის განვითარების თვალსაზრისით ორი მიზეზის გამო. პირველი: ხდება აჭარის ტელევიზიის ინტეგრირება საზოგადოებრივ მაუწყებელთან, რაც მის მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის და დაამკვიდრებს ევროპაში მიღებულ პრინციპს „ერთი სახელმწიფო, ერთი საზოგადოებრივი მაუწყებელი“. მეორე მხრივ, სამეურვეო საბჭოს ფორმირებაში ერთვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც ცენტრალურ დონეზე ექნება შესაძლებლობა, დაიცვას თავისი ინტერესები (I-26).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლაშა ტუღუში მიიჩნევდა, რომ ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან იყო მოქმედი სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა, ვინაიდან პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო ორი განსხვავებული სისტემის ერთდროულად მუშაობა. მისი აზრით, ახალი წესი და ამ წესით დასახული ამოცანები, აშკარად პროგრესულია და იგი, პროპორციულობის შეფასებისას, გადაწონის მოსარჩელეთა ლეგიტიმურ ინტერესს. ამასთან, აუცილებელია, ეს წესი დაუყოვნებლიბ ამოქმედდეს. მან მოიყვანა სლოვაკეთის მაგალითი, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმის განხორციელებისას ვადაზე ადრე შეუწყდათ უფლებამოსილება სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს (I-27).

პროცესზე სპეციალისტის სახით მიწვეულმა ზვიად ქორიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული საქმე არ უნდა იყოს საკონსტიტუციო დავის საგანი. 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისას და ასევე, 2004, 2006, 2010 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით. ნორმები, რომლებიც ვრცელდება კონსტიტუციით მოწესრიგებულ სახელმწიფო ინტიტუციებზე, მაგალითად, სახალხო დამცველზე, გენერალურ აუდიტორს და სხვა. არარელევანტურია საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებით. საზოგადოებრივი მაუწყებელი არის არასახელმწიფო ორგანო, საზოგადოებრივი დემოკრატიული ინსტიტუტი,

რომელსაც აბსოლუტურად სხვა სტატუსი აქვს მინიჭებული კანონით. ზვიად ქორიძის განმარტებით, აღნიშნული გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოში შეურვეების, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირების, დავის შესაძლებლობას (I-28).

სპეციალისტმა ასევე ისაუბრა საზოგადოებრივ მაუწყებელში განხორციელებულ რეფორმაზე. მისი განცხადებით, ახალი სისტემა გვთავაზობს დივერსიფიკაციის ისეთ მოდელს, რომელიც გაცილებით ნაკლებ რისკს შეიცავს იმისას, რომ მოხდეს პოლიტიკური ზემოქმედება სამეურვეო საბჭოზე. ზვიად ქორიძემ მოიშველია მედია საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლის – დუნია მიატოვიჩის დასკვნა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დივერსიფიკაცია მაუწყებლის საზედამხედველო ორგანოების შექმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც არ არის მდგრადი დემოკრატია, სადაც ყოველთვის არის იმის რისკი, რომ ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მოიპოვოს უბრალოდ უმრავლესობა“. სპეციალისტის მითითებით, სწორედ ამგვარი მიდრეკილების გამოვლენა იყო 2008, 2012 წლებში საქართველოს პარლამენტში და ამის მცდელობა ჩანს ახლანდელ, 2012 წელს არჩეულ პარლამენტშიც (I-29).

ზვიად ქორიძემ რამდენიმე ქვეყანაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების მაგალითი მოიყვანა. მისი თქმით, ისეთი მაღალგანვითარებული დემოკრატიის ქვეყანაც კი, როგორიც, გაერთიანებული სამეფოა, წარსულში რამდენჯერმა იდგა მსგავსი კრიზისული სიტუაციის წინაშე. უფრო კრიტიკული პოლიტიკური ზეწოლა საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოხდა პოლონეთსა და სლოვაკეთში, სადაც ავტორიტარული რეჟიმები ადვილად ახერხებდნენ გავლენის მოპოვებას მაუწყებელზე. შესაბამისად, პოლიტიკურ ინსტიტუციებს ყოველთვის თან ახლავს ანალოგიური რისკები. მათ ყოველთვის აქვთ სურვილი, მსგავსი ტიპის დამოუკიდებელ ინსტიტუციებზე მოიპოვონ ზემოქმედების უფლება. სპეციალისტის განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც დემოკრატიული ინსტიტუცია, მაშინ არის შემდგარი, როდესაც პოლიტიკური კრიზისები არ ახდენს მასზე გავლენას. როგორც კი მაუწყებელზე გადმოდის პოლიტიკური კრიზისი, მაშინ ჩნდება მატრიცა, რომ ასეთი საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს პოლიტიკურ დანამატს, მის არსებით ინსტრუმენტს (I-30).

სპეციალისტმა ასევე ისაუბრა რეფორმის განმაპირობებელ ფაქტორებზე. მისი აზრით, პირველ რიგში, სამეურვეო საბჭოს ფორმირების ძველი წესი არ იყო მისაღები, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება მოქმედებდა ჩაკეტილ წრეში და თავისი დომინაციით ახერხებდა მაუწყებლის სამეურვეო საბჭოზე გავლენის მოპოვებას. ამასთან, მას შემდეგ, რაც 2013 წლის სექტემბერში სამეურვეო საბჭომ დაკარგა გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო კვორუმი, შეიქმნა აუცილებლობა, არჩეულიყვნენ ახალი მეურვეები. ბუნებრივია, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არჩევის ახალი წესის გამოყენება უნდა მომხდარიყო. ახალი სა-

მეურვეო საბჭოს დროული ფორმირება იმითაც არის განპირობებული, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, არსებული ქმედუუნარო საბჭოთი, ვერ ამტკიცებს ბიუჯეტს, რაც იწვევს აჭარის ტელევიზიის დაფინანსებას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის რეფორმის არსთან და აჭარის ტელევიზიას ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულს ხდის (I-31).

ზვიად ქორიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე მოახსენა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის საზედამხედველო საბჭო არ არის ხელშეუვალი ორგანო და შესაძლოა მისი დაშლა, თუ იგი არ არის პლურალისტური და არ ასახავს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესს. მისი აზრით, მოცემულ საქმეში არსებობდა სადავო ნორმით დადგენილი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გადაწონიდა მოსარჩელეთა ინტერესებს (I-32). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტ ზვიად ქორიძეს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სარჩელი.

2.4 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

საკონსტიტუციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება დაიწყო საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის განმარტებით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის, პრინციპულად არასწორი იქნებოდა „სახელმწიფო თანამდებობის“ ცნებაში მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და კანონით განსაზღვრული საჯარო მოხელეების მოაზრება. კონსტიტუციის ტერმინის ამგვარი ვიწრო განმარტება კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების მიღმა დატოვებდა საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ სხვა პირებს, ადეკვატური კონსტიტუციური რეგულირების გარეშე დატოვებდა საჯარო ხასიათის საქმიანობის მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ მიეკუთვნება საჯარო სამსახურს. ამით გაუმართლებლად გაფართოვდებოდა ხელისუფლების დისკრეცია საჯარო ხასიათის ამოცანების შემსრულებელ პირთა დანიშვნის (არჩევის) და საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების მიღების პროცესში, რომ აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებთან (II-4).

სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სეგმენტს. მისი სპეფიციკურობა უპირველესად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში, დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო. დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შრომითი ურთიერთობების ერ-

თობლიობა, გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფო რესურსს, რომელზე წვდომაც თითოეულ მოქალაქეს თანაბრად უნდა გააჩნდეს (II-5).

სასამართლოს არგუმენტაციით, ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის სტატუსს განაპირობებს შესაბამისი საქმიანობის ბუნება, მისი არსი. კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო დადგენილიყო, მოცემული თანამდებობა განეკუთვნებოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ხელისუფლებას, წარმოადგენდა სხვა კონსტიტუციურ ორგანოს, თუ არ გააჩნდა პირდაპირ განსაზღვრული კონსტიტუციური სტატუსი. სახელმწიფო თანამდებობების სტატუსის განსაზღვრისას მხედველობაში იყო მისაღები განსახორციელებელი ფუნქციების ხასიათიც. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის შესაფასებლად, მომხდარიყო მოსარჩელეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მათი საქმიანობის სფეროს, სპეფიციკისა და დანიშნულების გათვალისწინებით, დადგენილიყო, წარმოადგენდნენ თუ არა ისინი კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სუბიექტებს და განხორციელდა თუ არა ჩარევა მათ უფლებაში. შესაბამისად, იმისთვის, რომ განსაზღვრულიყო, თუ მეურვის უფლებები კონსტიტუციის რომელი მულით არის დაცული, აუცილებელი იყო გარკვევა იმისა, თუ როგორი ხასიათის ფუნქციის (საჯარო თუ კერძო) განხორციელებას ემსახურება სამეურვეო საბჭო და რა როლი აკისრიათ მეურვეებს ამ ამოცანების შესრულების პროცესში.

საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციით, „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფო უწყებას“ (II-15); „საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი ფუნქციაა პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდება საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმის, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ და ა.შ.“ (II-16); „საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს საჯარო დაფინანსებით ფუნქციონირებად ორგანიზაციას, ამავე დროს, იგი არის, როგორც კერძო პირებისგან, ისე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, საზოგადოების ინტერესებზე ორინეტირებული და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს მონაწილეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნასა და ფუნქციონირებაში მხოლოდ ამ მიზნებს ემსახურება და მათი მიღწევის ამოცანით შემოიფარგლება“ (II-17); საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე, აღნიშნა, რომ „სამეურვეო საბჭოს

წევრი არის საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირი, მისი ამოცანაა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, საჯარო დაფინანსებით მოქმედი საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელისუფლებისაგან, პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მაუწყებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მეურვეები აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას, აღასრულებენ კანონმდებლობას, ახორციელებენ კანონმდებლობის აღსრულების კონტროლს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ გადაწყვეტილებებს და ამგვარად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურებიან“ (II-18); „ამასთან ერთად, სამეურვეო საბჭოს კანონით დადგენილი ფუნქციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მეურვეები კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებენ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობასა და ადმინისტრირებას. კანონმდებლობის თანახმად, სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს; გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს მაუწყებლის დებულებას; სტრუქტურული ერთეულების სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, უფლებამოსილია გენერალური დირექტორი წარდგინებით, შეიტანოს ცვლილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში და ბიუჯეტში; ამტკიცებს მაუწყებლის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს; ისმენს მაუწყებლის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს; გენერალურ დირექტორს თანხმობას აძლევს ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის 1% და განსაზღვრავს გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას; გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებების ძირითად პირობებს“ (II-19).

სასამართლომ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია იმის აღნიშვნა, რომ სამეურვეო საბჭოს წევრს, მეურვეს, ირჩევს საქართველოს პარლამენტი (უკანასკნელი ცვლილებების განხორციელებამდე, მეურვის არჩევა ხდებოდა პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით). საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით სამეურვეო საბჭოს წევრებს საჯარო ხასიათის ფუნქციები ეკისრებათ. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პროცესში, საქართველოს პარლამენტი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კერძო დამსაქმებელი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიზნებისათვის. ამდენად, სამეურვეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე არჩევის კანონით განსაზღვრული წესი, ასევე, ის გარემოება, რომ სამეურვეო საბჭოს წევრი მასზე კანონით

დაკისრებულ მოვალეობას საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შედეგად ახორციელებს, სამეურვეო საბჭოს წევრის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სფეროში აქცევს და ამავე დროს გამორიცხავს მის მიმართებას საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთან (II-20).

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო მსჯელობა გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ნორმა წარმოადგენს მოსარჩელეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს. სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრები ვერ შეძლებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. ამგვარად, სადავო ნორმა წარმოადგენდა ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ მოსარჩელეთა უფლებაში და საჭიროებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემოწმებას.

სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის დადგენის შემდეგ სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლებისა და საფუძვლების განსაზღვრა.

სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არის თუ არა განსაზღვრული პირის მიერ სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელების კონკრეტული ვადა, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კანონმდებელმა უნდა დაასაბუთოს ის საჯარო ინტერესი, რომელიც უფლების შეზღუდვის აუცილებლობას განაპირობებს. სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე, უფლებამოსილების ვადის შეზღუდვა უნდა შეფასებულიყო, მეურვის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიის ჭრილში, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეორე პუნქტის პირველი წინადადებიდან გამომდინარეობს. „აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა განამტკიცებს მედიის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას, კრძალავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მედიის საქმიანობას გაუმართლებლად შეზღუდავს. ამდენად, კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ მისი მმართველობითი ორგანოს დამოუკიდებლობა. ამდენად, სამეურვეო საბჭოს დანიშნულების განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ მისი წევრების დამოუკიდებლობაა“ (II-29).

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება გააანალიზა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციების ანალიზით. სასამართლოს მოსაზრებით, სამეურვეო საბჭო „კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს ხელმძღვანელობით და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ამასთან, სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პირდაპირი ვალდებულება აკისრია. ამგვარად, სამეურვეო საბჭოს წევრთა განსაკუთრებული სტატუსი და დაცვის გარანტიები საზოგადოებრივი მაუწყებლის დამო-

უკიდებლობის დაცვას ემსახურება. მეურვეთა დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ელემენტია. აქედან გამომდინარე, მეურვეების საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვა, მკაცრი კონსტიტუციური სტანდარტების გამოყენებით შეფასდება“ (II-30); „სტაბილურობა, სახელმწიფო თანამდებობის პირების საქმიანობის დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა, ხოლო უფლებამოსილების განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით განხორციელება, საქმიანობის სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია. ამ თვალსაზრისით, განსხვავებული კონსტიტუციურ-სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს კონსტიტუციითა და კანონით ამა თუ იმ თანამდებობისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების ვადა. მაგალითისთვის, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება განსაზღვრულია 5 წლის ვადით, ხოლო მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა შესაბამის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე 10 წლით განისაზღვრებოდა, უვადოდ ინიშნება. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილების ვადის ბოლომდე თანამდებობაზე ყოფნას, განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო თანამდებობის პირის გათავისუფლება კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტით უნდა შემოწმდეს კონსტიტუციის იმ ნორმებთან კავშირში, რომლებიც უფლებამოსილების ვადას და ფარგლებს განსაზღვრავს“ (II-31).

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურ პრინციპებზე დაყრდნობით, განმარტა ნორმა და ის არაკონსტიტუციურად ცნო. სასამართლოს არგუმენტაციის თანახმად, „მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი, ასევე, ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და ამ თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა წარიმართოს ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს“.[882] განსახილველ საქმეზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის 29-ე მუხლის სტანდარტების განმარტება უნდა მომხდარიყო, სამართლებრივი ნდობის კონსტიტუციურ პრინციპთან კავშირში. „განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით სახელმწიფო თანამდებობაზე განწესება მოქალაქეს უჩენს ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ იგი ამ თანამდებობაზე საქმიანობას განახორციელებს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით, ან უვადოდ. შესაბამისად, კანონით განსაზღვრული ვადის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ

---

[882] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-16.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის შემთხვევაში, იმგვარად, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს სახელმწიფო თანამდებობის პირთა ლეგიტიმური მოლოდინები და არ შეირყეს მათი ნდობა არსებული კანონმდებლობის მიმართ“ (II-32, 33).

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის მიზანია, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობითი ორგანოს – სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლობითობისა და ეფექტიანობის გაზრდა და სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა უფრო მეტი სუბიექტის მონაწილეობით. მოპასუხე მიიჩნევდა, რომ ახალი წესი ქმნის სამეურვეო საბჭოში განსხვავებული საზოგადოებრივი ინტერესების უფრო ფართო სპექტრის წარმოდგენის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესში მეტ საზოგადოებრივ ჩართულობას. ამდენად, იზრდება სამეურვეო საბჭოს ლეგიტიმურობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის უფრო წარმომადგენლობითი, ეფექტიანი და გამჭვირვალე მოდელის დანერგვა, მართალია, ერთი მხრივ, წარმოადგენდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმა წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ასევე, უნდა დადგენილიყო, რამდენად პროპორციული იქნებოდა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება და რამდენად წონადი იქნებოდა ეს ლეგიტიმური მიზანი იმ კონსტიტუციურ სიკეთესთან შედარებით, რომლის შეზღუდვაც ხდებოდა (II-41).

სასამართლოს არგუმენტაციით, „პირის უფლების შემზღუდველი ნებისმიერი ღონისძიება, უნდა წარმოადგენდეს, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ, ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა“. განსახილველ შემთხვევაში, უნდა დადგენილიყო, შეეძლო თუ არა საქართველოს პარლამენტს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველობის რეფორმირება. სამეურვეო საბჭოს პლურალიზმისა და საზოგაროებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გარეშე (II-44).

სასამართლოს მოსაზრებით, კანონით გათვალისწინებული ახალი წესი არ იწვევს ისეთი სამეურვეო საბჭოს ჩამოყალიბებას, რომელიც კომპეტენციების თვალსაზრისით, თვისობრივად განსხვავებული იქნებოდა მოქმედი სამეურვეო საბჭოსგან. მნიშვნელოვანი სხვაობა შეიმჩნევა მხოლოდ საბჭოს ფორმირების წესში. ახალი რეგულაციით, არ არის განსაზღვრული მეურვეთა იმდენად განსხვავე-

ბული ფუნქციები, რომ შეუძლებელი იყოს მოქმედი და ახალი წესის შესაბამისად არჩეული სამეურვეო საბჭოს წევრების ერთ ორგანოში საქმიანობა. სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრები საქართველოს პარლამენტის მიერ არიან არჩეული და სარგებლობენ მაღალი ლეგიტიმაციით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი არც მოპასუხეს დაუყენებია ეჭვქვეშ. მხოლოდ ის გარემოება, რომ ახალი წესის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს მეურვეთა კანდიდატურებს წარუდგენენ სხვა სუბიექტები, არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ შეუძლებელია ძველი და ახალი წესით არჩეული სამეურვეო საბჭოს წევრების თანაარსებობა. ეს გარემოება ვერ გამორიცხავს სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების მიერ სამეურვეო საბჭოს განახლებულ ფორმატში უფლებამოსილებების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას (II-45).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა აუცილებელია, რადგან ახალი წესის თანახმად, სამეურვეო საბჭო 15-ის ნაცვლად, შედგება 9 წევრისაგან და შეუძლებელი იქნებოდა სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გარეშე, ახალი წესით არჩეულ სამეურვეო საბჭოში წარმდგენი სუბიექტების (საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, სახალხო დამცველისა და ა.შ.) კვოტების შესაბამისი გადანაწილება. სასამართლოს არგუმენტაციით, საქართველოს პარლამენტი ნებისმიერი ნორმატიული აქტის შემუშავებისას, შებოჭილია ძირითადი უფლებების პატივისცემისა და თანაზომიერების პრინციპების მოთხოვნებით და ის გარემოება, რომ სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების განხორციელება შეუთავსებელია ახალი წესით განსაზღვრულ კვოტებთან, არ გამოდგება სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების აუცილებლობის სამტკიცებლად. საქართველოს პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, სამეურვეო საბჭოს წევრების რაოდენობაც და კვოტებიც დაადგინოს იმგვარად, რომ ერთი მხრივ, მიღწეული იყოს დასახული ლეგიტიმური მიზანი და მეორე მხრივ, არ შეზღუდოს მოსარჩელეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები (II-46).

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტი აღარ იყო უფლებამოსილი, კანდიდატები წარედგინა საქართველოს პარლამენტისთვის და რომ სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის აუცილებლობა. სასამართლოს მოსაზრებით, „აღნიშნული გარემოება შეიძლება გამოდგეს მეურვის არჩევის წესის შეცვლის და არა უკვე არჩეული მეურვის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლად. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საპრეზიდენტო უფლებამოსილების ცვლილება არ აკნინებს, საქართველოს პრეზიდენტის

მიერ წარსულში, კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების ლეგიტიმაციას. ბუნებრივია, დაუშვებელია აღნიშნულ საფუძველზე მითითებით, კითხვის ნიშნის ქვეშ იქნეს დაყენებული თანამდებობის პირთა ლეგიტიმაციის საკითხი და დღის წესრიგში დადგეს იმათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, რომლებიც თანამდებობაზე განწესებული არიან უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის ან მისი წარდგინების საფუძველზე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ“ (II-47).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საქმეზე სპეციალისტად მოწვეული ლაშა ტუღუშის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელი იყო განსხვავებული ინტერესებისა და გამოცდილების მქონე ძველი და ახალი წესით არჩეული სამეურვეო საბჭოს წევრების ერთობლივი საქმიანობა სამეურვეო საბჭოში. „განსხვავებული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს დაბრკოლებას კოლეგიურ ორგანოში ერთობლივი საქმიანობის თვალსაზრისით, თავისთავად, კოლეგიურ ორგანოში ხშირად არიან წარმოდგენილი განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფები. კოლეგიური ორგანოს ერთ-ერთ მახასიათებელ ელემენტს, მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მიერ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება წარმოადგენს. სწორედ განსხვავებული შეხედულებებისა და ინტერესების მქონე პირთა თანამშრომლობა ქმნის პლურალიზმისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი ჩართულობის საფუძველს“ (II-48).

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის უკეთესი მოდელი, სამეურვეო საბჭოს წევრთათვის გაზრდილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და უფრო მონაწილეობითი დაკომპლექტების წესით, არ არის საკმარისი საფუძველი სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადის შესაზღუდად. სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები სამეურვეო საბჭოს წევრის, როგორც კონსტიტუციური უფლების მატარებელი სუბიექტის ინტერესი, ასევე, ის საჯარო ინტერესი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის პირის საქმიანობაში ჩაურევლობას უკავშირდება. ასე მაგალითად, მოსამართლე, სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს წევრები, თანამდებობის პირთა იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთა საქმიანობაში ჩაურევლობის, მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადაა. აღნიშნულ სახელმწიფო თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისათვის, აუცილებელია კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი მომეტებული საჯარო ინტერესი არსებობდეს. მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაზრდა, ან სახალხო დამცველის ინსტიტუცის საქმიანობის გაუმჯობესება, თავისთავად, ვერ ჩაითვლება საკმა-

რის საფუძვლად ამ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტისათვის. კანონმდებლობის ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის დროს იყო გამართლებული, მაშინ როდესაც აღნიშნულ თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ, ეფექტურ და ნაკლებად მზღუდავ საშუალებას წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება მიიღოს პერმანენტული, შეუქცევადი ხასიათი, რაც არა მხოლოდ პირთა თანამდებობაზე გარკვეული ვადით განწესებას დაუკარგავს აზრს, არამედ ეჭვქვეშ დააყენებს ამ ორგანოთა ინტიტუციურ დამოუკიდებლობას. ზოგიერთი სახელმწიფო თანამდებობის არსის განმსაზღვრელი ელემენტი, ხელისუფლების აღმასრულებელი ან/და საკანონმდებლო შტოსგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხია. მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ინტერესი კი შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიზღუდოს საჯარო სამსახურის მართვის გაუმჯობესების ლეგიტიმური მიზნით. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას ექნება ადგილი, როდესაც მოქმედი ნორმები იმდენად ხარვეზიანია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის მიზანს და დანიშნულებას ეწინააღმდეგება და მათი შეცვლა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს (II-53).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან, ვინაიდან სადავო ნორმა არ წარმოადგენდა მოსარჩელეთა უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზღუდავ და პროპორციულ საშუალებას.

თავი XI ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართალთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მედიასამართალთან მიმართებით რამდენიმე სახის მნიშვნელოვან დათქმას გვთავაზობს. წინამდებარე თავში მოცემული იქნება ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გამოხატვისა თუ ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით მედიასამართლის სამართლებრივ ინსტიტუტს უკავშირდება. კერძოდ, ოთხი საქმე, რომელიც ამ კუთხით შერჩეულია მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე პრეცენდენტულ დავად. მასში ასახულია გარემოებები, რომლებიც შეეხებოდა მედია საშუალების მიერ არსებულ სამართლებრივ გადაცდომებს ან მედია საშუალებაში გამოვლენილ დარღვევებსა თუ უფლების დაცვის საკითხებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, თითოეული მათგანი საქართველოს რეალობისთვისაც სამართლებრივად მნიშვნელოვანია.[883]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აქტიურ გამოყენებას პოვებს საქარველოს საერთო სასამართლოებში. წინამდებარე თავში განხილული რამდენიმე საქმის პარალელურად მითითება გაკეთებული იქნება იმ საკითხებზე, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში დასაბუთების მიზნითაა გამოყენებული.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების დასასაბუთებლად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სასამართლომ თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს, შეიძლება თუ არა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკული მაგალითების გამოყენება კონკრეტული დავის გადაწყვეტის საკითხთან მიმართებით, საკუთარი არგუმენტაციის გამყარების მიზნით.[884] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყენება სასამართლოსთვის არ უნდა იყოს დავის გადაჭრის ერთადერთი საშუალება. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გააჩნდეს ყველა სადავო საკითხზე საკუთარი პოზიცია.[885]

---

[883] აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ამ სამი საქმის გარდა მედიასამართლის კუთხით მეტი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ გამოუტანია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ავტორის მიერ სხვა დანარჩენებიდან მხოლოდ ეს საქმეები იქნა შერჩეული განსახილველად.

[884] *კორკელია კ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, შპს „პეტიტი", თბილისი, 2004, 140.

[885] იქვე.

1. ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)[886]

ჯენს ოლაფ ჯერსილდი წარმოშობით დანიელი ჟურნალისტი, ცხოვრობდა დანიაში, კონპენჰაგენში და მუშაობდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რადიოში, რამელიც ამავე დროს სატელევიზიო საქმიანობასაც ახორციელებდა. ჯერსილდის გადაცემები ცნობილი იყო ინფორმირებული აუდიტორიითა და ისეთი თემების გაშუქებით, რომლებიც სოციალური ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ.

1985 წლის 31 მაისს ტელეწამყვანმა გადაწყვიტა გადაცემა მოემზადებინა რასობრივი დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით. ის დაუკავშირდა ახალგაზრდების დაჯგუფებას, რომლებიც თავის თავს „The Greenjakets" უწოდებდნენ და რომელთა აქტივობაც მიმართული იყო დისკრიმინაციისკენ. ჯერსილდმა ისინი ინტერვიუს ჩასაწერად მიიწვია გადაცემაში. გადაცემა 5-6 საათის მანძილზე გაგრძელდა და იგი ახალგაზრდების მხრიდან გამოთქმული შემდეგი ტერმინებით იყო გაჯერებული: „მონობა არ უნდა იყოს აკრძალული..." „შეადარეთ ზანგისა და გორილას ფოტოები, თქვენ ვერ შეამჩნევთ რაიმე სახის განსხვავებას..." „ჩვენ ვამაყობთ, რომ რასისტები ვართ..."

სატელევიზიო გადაცემას თავდაპირველად არ გამოუწვევია მოსახლეობის მხრიდან რაიმე სახის უარყოფითი რეაქცია, თუმცა აღნიშნული ტელევიზიის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივარი შეიტანა დანიაში მაღალი წოდების მქონე სამღვდელოების წარმომადგენელმა. გამოძიების შედეგად სასამართლო პროცესზე განხილულ იქნა ჯერსილდის ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლის შემადგენლობასთან შესაბამისობის საკითხი, რომელიც ითვალისწინებდა პირის სისხლისსამათლებრივ პასუხისგებაში მიცემას ხალხისადმი ფართო წრეში მუქარის, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი განცხადების გამო, რომელიც ადამიანის რასას, რწმენას, ეროვნებასა და ეთნიკურ წარმომავლობას შეეხებოდა. ამასთან, სასამართლოზე ჯერსილდის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს მაშინაც დაეკისრებოდა, თუ იგი დაეხმარებოდა დამნაშავეებს წაქეზებით, რჩევით ან მოქმედებით.

სასამართლოს მიერ უტყუარ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ ჯერსილდი თავად დაუკავშირდა რასისტულ დაჯგუფებას და თავად შესთავაზა გარკვეული საფასური ტელეგადაცემაში მონაწილეობისთვის. ჯერსილდმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ახალგაზრდა რასისტთა დაჯგუფებას გათვითცნობიერებული ჰქონდა გამონათქვამების მნიშვნელობა და, შესაბამისად, მან აღარ ჩათვალა საჭიროდ, გაეფრთხილებინა თითოეული მათგანი შესაძლო სამართლებრივ შედეგებზე.

---

[886] საქმის მთლიანი ვერსია იხილეთ: <**http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57891№{"itemid":["001-57891"]}**>.

ბრალდების მხარის მტკიცებით, გადაცემის მსვლელობისას გამოითქვა მრავალი სახის დისკრიმინაციული ტერმინი, რაზეც ჯერსილდმა არ მოახდინა შესაბამისი რეაგირება და არ სცადა, რომ გადაცემის სტუმრებს შეეწყვიტათ და თავი შეეკავებინათ დისკრიმინაციული გამონათქვამების გამოყენებისაგან. სწორედ ამ მიზეზით, ბრალდების მხარე ტელეწამყვანს რასისტული იდეების გავრცელებასა და დახმარებაში ადანაშაულებდა. სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია გაითვალისწინა და ჯერსილდს დასდო ბრალი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის საფუძველზე.

ჯერსილდმა საქმის განხილვისათვის მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. იგი თავის მოთხოვნაში სხვა სამართლებრივ ნორმებზე მითითებასთან ერთად აპელირებდა ადამინის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტზე. ჯერსილდი მიუთითებდა, რომ გამოხატვის უფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა და მისი დაცვა სახელმწიფოსთვის ფუნდამეტური მნიშვნელობის უნდა იყოს. პირს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების, პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისა და გავრცელების უფლება. ჯერსილდის მტკიცებით, მისი მთავარი მიზანი იყო, გაეცნო საზოგადოებისათვის დანიაში მცხოვრები ახალგაზრდების რასისტული შეხედულებები.

ტელეწამყვანის წინააღმდეგ მთავრობა (დანიის სახელმწიფო) მიუთითებდა, რომ გადაცემას ჰყავს ფართო აუდიტორია, ამიტომ ტელეწამყვანმა ზიანი მიაყენა საზოგადოებას, კერძოდ, გაავრცელა დისკრიმინაციული შეხედულებები და თავისი გადაცემის მეშვეობით შეურაცხყოფა მიაყენა კონკრეტული ეთნიკური წარმოშობის ხალხს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯენს ოლაფ ჯერსილდის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი. პროგრამის მომზადებასა და გაშუქებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ობიექტურად არ ჩანს, იყო თუ არა პროგრამის მიზანი რასისტული იდეების გავრცელება. მეორე მხრივ, აშკარაა ეროვნული სასამართლოების მიდგომა ჟურნალისტის მიერ გამოთქმულ რასისტულ წინადადებებზე/შეხედულებებზე.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ასპექტში:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი გახდა, დისკრიმინაციასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის პროპორციულობის დადგენა, ანუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 და მე-10 მუხლებს შორის ზღვარის განსაზღვრა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არც ერთი სასამართლოს გადასაწყვეტი არაა, თუ რა ტექნიკა უნდა გამოიყენოს ჟურნალისტმა პროგრამის მომზადებისას. სხვა შემთხვევაში მედია ვერ შეასრულებს „საზო-

გადოებრივი დარაჯის“ როლს. ინტერვიუში სხვა პირის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო ჟურნალისტის დასჯა, ხელს შეუშლის პრესას საჯარო ინტერესის მქონე დისკუსიების ჩატარებაში. ჟურნალისტი უნდა დაისაჯოს მხოლოდ საფუძვლიანი მიზეზების არსებობისას, შესაბამისად, სასამართლომ არ გაითვალისწინა მთავრობის მოთხოვნა და დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.

ჟურნალისტის მოქმედება, ჩაწეროს გარკვეული შეხედულების მქონე პირებთან ინტერვიუ, არ წარმოადგენს მისი მხრიდან სხვათა უფლებების დარღვევას. გადაწყვეტილების არსიდან გამომდინარე, ჟურნალისტის მიერ კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციის გაშუქება, ან სიუჟეტის მომზადება (მათ შორის, ინტერვიუს ჩაწერა) წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებას და მასზე არ უნდა გავრცელდეს რაიმე შემზღუდავი ნორმები მხოლოდ იმ პერიოდამდე, სანამ ჟურნალისტის ქმედება არ შეზღუდავს სხვათა უფლებებს.

2. „სანდი თაიმსი“ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (the Sunday Times v. the UK)[887]

1958-1961 წწ. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია გაერთიანებულ სამეფოში ლიცენზიით აწარმოებდა და ყიდდა მედიკამენტებს, რომლებიც შეიცავდა ნივთიერება „ტალიდომიდს“. ეს მედიკამენტი გათვალიწინებული იყო ორსული ქალებისთვის. 1961 წელს ბევრმა ქალმა მიიღო აღნიშნული მედიკამენტი ორსულობის პერიოდში, რის შედეგადაც 1959-1962 წწ. ბევრი ახალშობილი სერიოზული დეფექტითა და დაავადებით დაიბადა. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა „ტალიდომიდის“, როგორც ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტის გამოყენება ორსულობის პერიოდში.

მშობლებმა კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მხარეთა შორის მოლაპარაკებები რამდენიმე წელი გაგრძელდა. 1971 წელს მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკებები თანდაყოლილი ნაკლის გამო ბავშვებისთვის საქველმოქმედო ფონდის დასაარსებლად. ეს საკითხი ბრიტანეთის თითქმის ყველა გაზეთის მიერ გაშუქდა. ამ მხრივ, ბეჭდური მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით გამოირჩეოდა „სანდი თაიმსი“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით მოხსენებებსა და სტატიებს რეგულარულად – 1967 წლიდან აშუქებდა.

1972 წლის 24 სექტემბერს „სანდი თაიმსა“ დაბეჭდა სტატია შემდეგი სათაურით: „ჩვენი ტალიდომილი ბავშვები: ეროვნული სირცხვილის მიზეზი“. აღნიშნულ სტატიაში კომპანია ორი კუთხით იქნა გაკრიტიკებული: ერთი მხრივ,

---

[887] საქმის მთლიანი ვერსია იხილეთ: <**http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57584№{%22itemid%22:[%22001-57584%22]}**>.

მსხვერპლთათვის გადახდილი თანხის დიდი მოცულობის გამო და მეორე მხრივ, საქველმოქმედო ფონდში კომპანიის მიერ გადასარიცხად განსაზღვრული თანხის სიმცირის გამო. „სანდი თაიმსმა“ თავის სტატიაში აღნიშნა, რომ გაზეთი მომავალშიც გააგრძელებდა ამ ტრაგედიის გარემოებების აღწერას და შეთავაზებდა ინფორმაციას იმის შესახებ, ჩატარდა თუ არა სათანადო ტესტირება წამლის გავრცელებამდე და, ასევე, ჰქონდა თუ არა კომპანიას ინფორმაცია გვერდითი უარყოფითი მოვლენების შესახებ.

სტატიის გავრცელების შემდგომ „დისტილერსის“ წარმომადგენელმა გენერალურ პროკურორს მიმართა მოთხოვნით, რომ სასამართლოში შუამდგომლობა დაეყენებინათ, რომლითაც „სანდი თაიმსს“ აეკრძალებოდა ამ საქმის გაშუქება სასამართლოში საკითხის განხილვის დასრულებამდე. გენერალურმა პროკურორმა მოთხოვნა დააკმაყოფილა და მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით. იგი ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ასეთი სახის სტატიის შინაარსი ხელს შეუშლიდა სასამართლოს მეშვეობით სიმართლის დადგენას. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან სტატია სადავო ინფორმაციას შეიცავდა წამლის წარმოებაზე, ტესტირებასა და დისტრიბუციაზე, „სანდი თაიმსს“ არ უნდა გაეშუქებინა ამ თემაზე კონკრეტული სახის მონაცემები. ბეჭდური მედიის წარმომადგენელთა მიერ ზემდგომ ინსტანციაში იქნა საქმე გასაჩივრებული, რომლის მიხედვითაც, „სანდი თაიმსი“ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევაზე აკეთებდა აქცენტს.

„სანდი თაიმსმა“ აღნიშნული საკითხი გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც მოთხოვნის საფუძვლად გამოხატვის თავისუფლებაში უკანონო ჩარევის ფაქტი მიუთითა. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ სტატიის გამოქვეყნების აკრძალვა გამართლებულ იქნა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის დაცვითა და სასამართლო თანამდებობის პირებისადმი ნდობის შენარჩუნების საფუძვლით. სასამართლო ამ ასპექტში დაეთანხმა მოპასუხეს, რომ მას გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი, რათა დაეცვა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, რადგან პუბლიკაციას წინასწარ შეეძლო რაიმე სახის ზეგავლენა მოეხინდა სასამართლოს მომამავლ გადაწყვეტილებასა ან/და მოლაპარაკებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, „სანდი თაიმსის“ მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი. სასამართლო მოტივაცია დაეყრდნო შემდეგ ფაქტორებს: თავდაპირველად მან განიხილა, თუ რამდენად იყო ჩარევა კანონით გათვალისწინებული და არსებობდა თუ არა სახეზე ე.წ. „თანაზომიერების პრინციპი“.

სასამართლოს მოსაზრება უპირველეს ყოვლისა ეფუძნება სიტყვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას. მისი განმარტებით, აღნიშნული უფლება დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომლის ფარ-

გლებშიც უფლების სუბიექტს შესაძლებლობა გააჩნია, გაავრცელოს არა მხოლოდ სასიამოვნო, არამედ სკანდალური ინფორმაციაც საზოგადოების ფართო წრისთვის.

სასამართლოს განმარტებით, მასმედიას უფლება აქვს, გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელზეც დიდია საჯარო ინტერესი. ინფორმაციის გავრცელება საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, არ წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის უფლების დაწესების მქონეს, ვინაიდან სიტყვის თავისუფლება, სასამართლოს მოსაზრებით, არა მხოლოდ მასმედიის, არამედ ხალხის უფლებაცაა, გაეცნოს ნებისმიერ მოვლენას და იყოს ინფორმირებული მის თაობაზე.

სიტყვის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მისი შეზღუდვა მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც უფლების ფორმირება კანონით დადგენილ ფარგლებს გადააჭარბებს. ამ მხრივ სტატია, რომელიც „ტალიდომიდი“ ფაქტს ეხებოდა, წარმოადგენდა საჯარო/საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციას, რომლის გაცნობის უფლება ჰქონდა საზოგადოებას.

რაც შეეხება ე.წ. „თანაზომიერების პრინციპსა“ და ინტერესთა დაბალანსების საკითხს, სასამართლოს მტკიცებით, „სანდი თაიმსისთვის“ აკრძალვის დაწესება არ წარმოადგენდა ისეთი სახის ძლიერ სოციალურ მოთხოვნას, რომელიც ბალანსს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გადაწყვეტდა. შეზღუდვა ასეთ შემთხვევაში კანონიერი მიზნის პროპორციული არ იყო და დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ავტორიტეტულობის შესანარჩუნებლად მას არ გააჩნდა სამართლებრივი წინაპირობა.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა სიტყვის თავისუფლების რეალიზაციის ასპექტში:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხაზს უსვამს სიტყვის თავისუფლების მოქმედების ფარგლებს, რომლის ერთ მხარესაც შეიძლება კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირი იდგეს, ხოლო მეორე მხარეს – საზოგადოება, რომელსაც გააჩნია უდიდესი ინტერესი ამ საკითხისადმი. სასამართლოს მიერ ასეთი მოსაზრების გატარებით, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ინფორმაციის გასაჯაროებას საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე და ისიც, აუცილებელი ჩარევის მქონე მაგალითებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

აღსანიშნავია, რომ საქმე „სანდი თაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ივლისის №3კ-390-02 გადაწყვეტილებაში, რომელიც პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას შეეხება. საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა რამ-

დენიმე და მათ შორის, ზემოთ განხილულ საქმეზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არა მხოლოდ პრესის უფლებას წარმოადგენს, არამედ დასახელებული მუხლის საფუძველზე საზოგადოებასაც გააჩნია უფლება, იყოს ინფორმირებული კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, იქნება ეს პოლიტიკური თუ სხვა შინაარსის შემცველი ინფორმაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ საკითხს კიდევ უფრო ფართო ჭრილში განიხილავს და აღნიშნავს, რომ, როდესაც ჟურნალისტის შეფასება პირის მიერ შეურაცხმყოფელად იქნება მიჩენული, ამ უკანასკნელმა აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რა ფაქტებია ჟურნალისტის მიერ არასწორად გავრცელებული და რა შემთხვევაშია კონკრეტულ საკითხზე მითითება მცდარი.

3. „გროპერა რადიო“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Groppera Radio AG and Others v. Switzerland)[888]

მოსარჩელე წარმოადგენდა სამაუწყებლო კომპანიას. მას იტალიაში, შვეიცარიის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გააჩნდა ძლიერი სამაუწყებლო ანტენა მთის წვერვალზე. მოსარჩელის სამაუწყებლო დაფარვის ზონად განსაზღვრული იყო მხოლოდ შვეიცარია, ხოლო მაუწყებლობა ხორციელდებოდა შვეიცარიულ დიალექტზე.

მოსარჩელის სამაუწყებლო სიგნალის მიღება შეეძლო ყველა იმ მომხმარებელს, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობა. ამასთან, მოსარჩელის სიგნალის გადაცემას ახორციელებდა ასევე საკაბელო ოპერატორი, რომელსაც თავისი მომხმარებლისთვის სამაუწყებლო პაკეტში გათვალისწინებული სიგნალით შეეძლო მიეწოდებინა მოსარჩელის მაუწყებლობა.

მაუწყებლობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ შვეიცარიაში გამოიცა სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც, კერძო და საჯარო რადიომიმღებისთვის, გარდა არსებული ლიცენზიისა, განისაზღვრა ცალკე სახის ლიცენზია საერთო ანტენის ინსტალაციისთვის. ასეთი სახის ლიცენზია უფლებას აძლევდა მის მფლობელებს, რადიომაუწყებლობა განეხორციელებინა საერთაშორისო გადამცემების მეშვეობით, მაგრამ იმ პირობით, თუ აღნიშნული საერთაშორისო წესებთან შესაბამისობაში იქნებოდა მოსული.

საკაბელო ოპერატორების უმეტესობამ უარი განაცხადა მოსარჩელის სიგნალის გადაცემაზე, თუმცა აღმოჩნდა რამდენიმე საკაბელო ოპერატორი, რომელთაც განაგრძეს რადიოსიგნალის გადაცემა. ულიცენზიო მაუწყებლობასთან დაკავშირებით შვეიცარიისა და იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. შვეიცარიამ იტალიის წარმომადგენლობას მოსთხოვა იმ სადგურებზე ზემოქმედება, რომლებიც უკანონოდ ახორციელებდ-

[888] საქმის მთლიანი ვერსია იხილეთ: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57623#{%22itemid%22:[%22001-57623%22]}>.

ნენ მაუწყებლობას შვეიცარიის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე საერთაშორისო დონეზე განიხილებოდა.

იტალიის ტერიტორიაზე არსებული რადიოები ახორციელებდნენ მაუწყებლობას იმავე სიხშირით, რომელიც შეთანხმებას აჭარბებდა. ეს სადგურები არღვევდნენ კანონის მოთხოვნას აჭარბებდნენ დადგენილ სიხშირეს, რითაც ხელს უშლიდნენ სხვა რადიო სადგურებს ნორმალურ ფუნქციონირებაში.

„Internation Telecommunication Union-მა" დაიწყო შუამდგომლობა მხარეთა შორის და გაუგზავნა წერილი იტალიის ხელისუფლებას საჭირო ზომების დაუყონებლივად მიღების მოთხოვნით. სახელმწიფომ გააფრთხილა კომპანიები, რომლის მიხედვითაც, მათ უნდა შეეწყვიტათ მოსარჩელის მაუწყებლობის განხორციელება. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა (მაუწყებლობის გადაცემის შეჩერების თაობაზე) გასაჩივრდა საკაბელო ოპერატორთა მიერ, რომელსაც შეუერთდა ასევე მოსარჩელე რადიო. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, გადამცემ ანტენას მეხი დაეცა და გადაცემა გარემო ფაქტორის გათვალისწინებით შეწყდა.

„Groppera Radio-მ" სარჩელით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ადამინის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, საზღვრების მიუხედვად ყველას აქვს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. „Groppera Radio" მიუთითებდა მსმენელთა დარღვეულ უფლებაზეც ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სადგური ვეღარ ახერხებდა მაუწყებლობას საკაბელო კომპანიების უარის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, „Groppera Radio-ს" მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და არ დადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.

სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზირების სავალდებულოობის დადგენით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მიზანი იყო იმ უწესრიგობის თავიდან აცილება მაუწყებლობის სფეროში, რაც გამოწვეული იყო იტალიის ტერიტორიიდან შვეიცარიის ტერიტორიაზე ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობით, რომელიც ხელს უშლიდა სხვა სადგურების ფუნქციონირებასაც. იტალიის ტერიტორიაზე არსებული სადგური მაუწყებლობას ახორციელებდა შეთანხმებული სიხშირით.

სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოს გააჩნია უფლებამოსილება, შემოიღოს ადგილობრივი კანონმდებლობით ლიცენზირების სამართლებრივი მოწესრიგება, რომლითაც დააწესებს იგი ტელე- ან რადიომაუწყებლობის საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ წინაპირობას. *ამ კუთხით სახელმწიფოს შეზღუდვა გამოიხატება მხოლოდ იმ ნაწილში, რაც ეხება ლიცენზიის პირობების დაწესების საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს და თითოეული ასეთი პირობა მასთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში.*

გადაწყვეტილებაში სასამართლოს განმარტების მიხედვით, დემოკრატიულ

საზოგადოებაში არსებული პლურალიზმის ფაქტორის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს რამდენიმე სახის მაუწყებელი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობაში არ მოვა ის ფაქტი, თუ მაუწყებლობაზე მონოპოლიზება ექნება წარმოშობილი ერთ რომელიმე მედია საშუალებას.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ასპექტში:

„Federal Council-ის" განკარგულებამ ლიცენზიის თაობაზე ხელი შეუშალა აბონენტებს საკაბელო მაუწყებლობის ინფორმაციის მიღებაში. ამავდროულად უკანონოდ შეიზღუდა ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება. სასამართლომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა, განეხილა, თუ რამდენად შეესაბამება რადიოს სამაუწყებლო პროგრამები იდეებისა და ინფორმაციის კატეგორიას. სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლებაში ჩაერია. ამასთან, კონვენციის მე-10 მუხლის 1-ელი პუქნტის მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ მოსთხოვონ კომპანიებს სამაუწყებლო ლიცენზია. გარდა ამისა, შვეიცარიის მხრიდან ჩარევა გამართლებულია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტითაც, რომლის მიხედვითაც, დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა: 1. კანონის საფუძველზე; 2. დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის; 3. უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად. შვეიცარიის სახელმწიფოს მიზანი იყო, მაუწყებლობის სფეროში უწესრიგობის თავიდან აცილება და შესაბამისად, მისი ჩარევა ადამინის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში იყო გამართლებული.

სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ, რომლითაც განისაზღვრა ლიცენზიის მოპოვების წესი, გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის პოზიტიურ მაგალითად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულის საფუძველი არის ის, რომ სახელმწიფო თავად განსაზღვრავს ლიცენზირების წესს და, შესაბამისად, მისი დასადგენია, ტექნიკური საკითხებიდან გამომდინარე, თუ რომელი სახის მაუწყებლობას, რა სახის ვალდებულებებს დააკისრებს.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ასპექტში ასევე მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ სასამართლოს მოსაზრებას, რომლითაც იგი სხვა მაუწყებელთა მხრიდან პროტესტისა და უსამართლობის გრძნობის არარსებობაზე მიუთითებს. აღნიშნული შეიძლება მხოლოდ სუბიექტური შეფასების შედეგი იყოს, რომელიც განსახილველ საქმეში მოსარჩელე მხარეს გააჩნდა სახელმწიფოს მიმართ.

გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება, რომელიც ლიცენზირების საკითხს შეეხება, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელების შეზღუდვის სამართლებრივ მაგალითს, ვინაიდან

ის აწესებს თავის ქვეყანაში, კონკრეტულ ტერიტორიაზე, მედია საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად, ლიცენზიის ჩამორთმევა ან ასეთი ვალდებულების დაწესება არ წარმოადგენს უფლების დარღვევას, ვინაიდან არ მომხდარა პროგრამაში ანუ მაუწყებლის გადაცემაში უხეში ჩარევა, არ არსებობს ცენზურის ფაქტი და სხვ.

4. საფრანგეთის რადიო და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Radio France and Others vs France)[889]

ყოველკვირეულ ჟურნალ „ლე პონტში" გამოქვეყნდა სტატია ჟურნალისტური გამოძიების სახით, სათაურით: „პაპონოს საქმის თაობაზე". რამდენიმე გვერდი შეეხებოდა მიშელ ჟუნოს, რომელიც 1977-1995 წლებში იყო პარიზის მერის ჟაკ შირაკის მოადგილე. სტატიაში საუბარი იყო 1942-1943 წლების პერიოდზე, როცა ჟუნო იყო პიტივერსის პრეფექტის მოადგილე. სტატია იუწყებოდა, რომ ჟუნო პასუხისმგებელი იყო წესრიგის დაცვაზე ორ საკონცენტრაციო ბანაკში, პატივერსსა და ბუნო ლარონდში. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ ჟუნოს განსხვავებით პაპონოსაგან, რომელიც ბორდოს სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო, არ გაუცია არავის დაპატიმრებისა თუ სხვაგვარად თავისუფლების აღკვეთის ბრძანება. სტატიაში საუბარი იყო ომის შემდგომ პერიოდში ჟუნოს წარმატებულ კარიერაზე პარიზის მერიაში. სტატიაში ასევე მოყვანილი იყო თავად ჟუნოს სიტყვები, სადაც ის უარყოფდა ბანაკების საქმიანობასთან მის ყოველგვარ კავშირს. თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ გამოძიება სხვაგავარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. სტატიას თან ერთვოდა ჟუნოს ანგარიშებიც, რომლებშიც ის თავის ზემდგომ პირებს აცნობებდა ებრაელთა გადასახლების წარმატებით და მშვიდად დასრულების შესახებ, ასევე, ბანაკებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ ანგარიშებში ჟუნო აღფრთოვანებას ვერ მალავდა გადასახლების პროცესის მშვიდად დამთავრების გამო და პრეფექტს რეკომენდაციებსაც აძლევდა ბანაკებში ვითარების უკეთ გასაკონტროლებად. სტატიაში ნახსენები იყო, ასევე, წინააღმდეგობის მოძრაობაში ჟუნოს მონაწილეობისა და გენერალ დე გოლის მიერ მისი თანამდებობიდან გადაყენების ფაქტები, რაც გარკვეულ ეჭვებს იწვევდა მისი საქმიანობის მიმართ.

ასევე, გამოქვეყნდა მიშელ ჟუნოსთან ჩაწერილი ინტერვიუ, როგორც ამ გამოძიების ნაწილი. ჟუნო აღნიშნავდა, რომ მან იცოდა ბანაკების არსებობის შესახებ, თუმცა არ ფლობდა ინფორმაციას, თუ სად აგზავნიდნენ დაკავებულებს და რა მიზნით.

1997 წლის 31 იანვარს 5 საათზე საფრანგეთის რადიოს ჟურნალისტმა „ლე პოინტის" სტატიაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მიშელ ჟუნო ახდენდა ათა-

---

[889] საქმის მთლიანი ვერსია იხილეთ: <**http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-61686№{%22itemid%22:[%22001-61686%22]}**>.

სეულობით ებრაელის დეპორტაციას, რომ ის აღიარებდა ტრანსპორტირების ორგანიზებას და გენერალმა დე გოლმა იგი გაათავისუფლა თანამდებობიდან. ეს ინფორმაცია გადაიცა პირდაპირ ეთერში ახალი ამბების ნახევარსაათიან გამოშვებაში. 31 იანვრის საღამის 6 საათიდან, 1 თებერვლის 11:04 საათამდე ეს ინფორმაცია 62-ჯერ გადაიცა იმავე თუ ოდნავ სახეცვილილი ფორმით. 1 თებერვლის 11:04 საათის შემდგომ გასულ ინფორმაციაში მითითებული იყო, რომ ეს შემთხვევა განსხვავებული იყო პაპონოს საქმისგან, რადგან ჟუნოს არავის დაპატიმრების ბრძანება არ გაუცია და იგი მხოლოდ ბრძანებებს აღასრულებდა. 1 თებერვლის დილიდანვე საინფორმაციო გამოშვებები ავრცელებდნენ, რომ ჟუნო უარყოფდა წაყენებულ ბრალდებებს.

ჟუნომ სარჩელი შეიტანა პარიზის სასამართლოში საფრანგეთის რადიოს მთავარი რედაქტორის, ჟურნალისტის და თავად საფრანგეთის რადიოს მიმართ, პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის აქტის საფუძველზე საჯარო მოხელის მიმართ ცილისწამების ბრალდებით. მოპასუხეები მიუთითებდნენ, რომ, ვინაიდან ჟუნო ყოფილი საჯარო მოხელე იყო, ვერ გამოიყენებოდა ამ საქმის მიმართ პრესის თავისუფლების აქტის დებულებები. ასევე მიუთითებდნენ, რომ მეორე განმცხადებლის მიმართ ვერ განიხილებოდა საქმე, ვიანიდან ინფორმაცია პირდაპირ ეთერში გადაიცა და არ შეიძლება საუბარი ყოფილიყო წინასწარ ფიქსირებულ გადაცემაზე. ამასთან, მიუთითებდნენ იმ საჯარო ინტერესზე, რომელიც არსებობდა საზოგადოებაში იმ პერიოდში პაპონოს საქმისა და ოკუპაციისას საფრანგეთში განვითარებული მოვლენების მიმართ.

პარიზის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე დამნაშავედ იქნა ცნობილი საჯარო მოხელის შესახებ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების თაობაზე. თითიეულ მათგანს დაეკისრა ჯარიმა 20 000 ფრანკი და დაეკისრათ ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 50 000 ფრანკის ოდენობით. მათ ასევე დაეკისრათ ვალდებულება საზოგადოებისთვის გადაეცათ აღნიშნული ინფორმაცია საფრანგეთის რადიოს მეშვეობით ყოველ 30 წუთში 24 საათის განმავლობაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟუნოს პატივი და ღირსება შეილახა მის და პაპონოს საქმიანობას შორის პარალელის გავლებით. ასევე მისი წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით. სასამართლომ გადაწყვეტილებით აღნიშნა, რომ საგაზეთო სტატიაში მოყვანილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა ჟუნოს მონაწილეობა საკონცენტრაციო ბანაკების საქმიანობაში, ხოლო ებრაელი მოწმეების ჩვენება იმის შესახებ, რომ ოკუპაციის პერიოდში ჟუნო მათ ეხმარებოდა, კიდევ უფრო გამორიცხავდა მის მონაწილეობას აღნიშნულ საქმიანობაში.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ჟურნალისტს ინფორმაციის სწრაფად გადაცემის ნაცვლად უნდა გადაემოწმებინა თავდაპირველად ამ ინფორმაციის სისწორე, ხოლო მთავარ რედაქტორს ეკისრებოდა ვალდებულება პირდაპირი

ეთერის შემდგომ გასულ გადაცემებში მაინც შეემოწმებინა ინფორმაციის საიმედოობა.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გასაჩივრებამ შედეგი არ გამოიღო. ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და არ იქნა გაიზიარებული საფრანგეთის რადიოს მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა ჩარევას ჟურნალისტური საქმიანობის სფეროში. „ლე პოინტის“ მთავარმა რედაქტორმა და ჟურნალისტმა საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და არ დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6, მე-7 და მე-10 მუხლების დარღვევის ფაქტი.

სასამართლომ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით „ლე პოინტის“ მთავარი რედაქტორის პასუხისმგებლობის საკითხზე და არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ რედაქტორს არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა. სასამართლომ განმარტა, რომ მთავარი რედაქტორის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგებოდა პირდაპირ ეთერში ინფორმაციის გადაცემის დროს, ხოლო მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გადაიცა რამდენჯერმე თითქმის იმავე ან უცვლელი ფორმით, მთავარ რედაქტორს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, ვინაიდან აშკარაა მისი ბრალეულობა – მან სათანადოდ არ გადაამოწმა გადაცემული ინფორმაციის სისწორე.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების რეალიზაციის ასპექტში:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომ საფრანგეთის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენი ლახავდა მათ გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლომ დეტალურად განიხილა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლები და აღნიშნა, რომ საფრანგეთის სასამართლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო კანონშესაბამისი.

რაც შეეხება საფრანგეთის რადიოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ესეც გამომდინარეობდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1372 მუხლის დანაწესისგან.

კანონიერი მიზნის არსებობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა ამ შემთხვევაში წარმოადგენდა კანონიერ მიზანს.

დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებლობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს უკიდურესი აუცილებლობა ამგვარი ჩარევისა, ხოლო ჩარევა კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამ

შემთხვევაში საფრანგეთის რადიოს მიერ ჟუნოს შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით ცილისმწამებლური ინფორმაციის არაერთხელ გადაცემით დაირღვა მისი ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელშეუხებლობა. მედიას დიდი როლი ეკისრება საზოგადოებაში მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაში, ხოლო მოსარჩელეთა ქმედება არ შეესაბამებოდა მედიის ამ ფუნქციას. თუ გავითვალისწინებთ იმ ტანჯვას, რაც ბ-ნ ჟუნომ განიცადა ამ ინფორმაციის მთელი ქვეყანის მასშტაბით მრავალჯერადი გადაცემის წყალობით, მივალთ დასკვნამდე, რომ მოსარჩელეების მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად პროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა მათ გამოხატვის თავისუფლებაში, რაც აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვისაც.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ფაქტები, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე იქნა გადაცემული, წარმოადგენდა მხოლოდ იმ საკითხის მოკლე რეზიუმეს, რაც დეტალურად უნდა გაეშუქებინა რადიოს. ინფორმაციის თავისუფლების ასპექტში სახელმწიფოს მხრიდან რადიოს მაუწყებლობაში ჩარევა ლეგიტიმური ხასიათისაა. სასამართლოს მოსაზრებით, რადიოსთვის ასეთი სახის სანქცია მხოლოდ ლეგიტიმურ შეზღუდვას წარმოადგენდა, კონკრეტული სახის ვალდებულებისა და ამის შესაბამისად, სამაუწყებლო განრიგის განსაზღვრის სახით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 03 აგვისტოს №ას-1739-1720-2011 გადაწყვეტილებაში აღნიშნულ საქმეს ჟურნალისტის მიერ შესაბამისი ვალდებულების შესრულების მნიშვნელობის თვალსაზრისით იშველიებს. კერძოდ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა საქმეზე საფრანგეთის რადიო და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, ნათლად წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ ჟურნალისტის უმთავრესი მოვალეობა საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებისთვისვე ჯეროვანი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაა.

ბიბლიოგრაფია:

ალფაიძე თამარ, მედია სამართალი, გამომცემლობა „პოლიგარდ თბილისი“, თბილისი, 2008.

ალფაიძე თამარ, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №4, თბილისი, 2004.

ბარჯაძე ტატო, სატელევიზიო მაუწყებლობის მოდელები და მათი ფუნქციონირება, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2(35), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი, 2008.

ბახტაძე უშანგი, ვის მხარეს არის ძალაუფლება პოლიციისა და მედიის ურთიერთობაში? ინგლისისა და უელსის პოლიციისა და მედიის ურთიერთობების კრიტიკული ანალიზი, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ბელიჩი ჯორჯ, ბელიჩი მაიკლ, რეკლამა და პრომოცია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა, ნინო აბესაძის, მაია გოგოლაძის, მზია კეკელიძის, მანანა კვესელავას, ხათუნა მაისაშვილისა და თამარ წილოსანის თარგმანი ინგლისური ენიდან, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2013.

ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ბიჭია მიხეილ, აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(38)13, თბილისი, 2013.

ბიჭია მიხეილ, კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საქმიანობის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1, თბილისი, 2013.

ბიჭია მიხეილ, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2012.

ბოძაშვილი ლევან, კოხრეიძე ნიკოლოზ, კიბერსივრცის სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2012.

გაბრიჩიძე გაგა, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006.

გაბრიჩიძე ნუგზარ, პასუხისმგებლობა სატელეფონო საუბრის უკანონო მოსმენისათვის (სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური საკითხები), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005.

გეგენავა დიმიტრი, ქანთარია ბექა, ცანავა ლანა, თევზაძე თენგიზ, მაჭარაძე ზურაბ, ჯავახიშვილი პაატა, ერქვანია თინათინ, პაპაშვილი თამარ, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სახელმძღვანელო, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

გეგენვა დიმიტრი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

გოცირიძე ევა, აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში (შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №4, თბილისი, 2004.

გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბილისი, 2008.

დავიდი რენე, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თ. ნინიძისა და ე. სუმბათაშვილის თარგმანი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010.

დემეტრაშვილი ავთანდილ, კობახიძე ირაკლი, კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბილისი, 2011.

ერაძე ეთერ, საგაზეთო სტატია: ამ მოხუცებულობაში ტვინი ისე რამ გაუთახსირა, რომ ბავშვისკენ გაიწია?! – 75 წლის მამაკაცს გარყვნილებაში ედება ბრალი, კვირის პალიტრა (13.06.2013).

ერაძე ეთერ, საგაზეთო სტატია: ყვავილების დაკრეფით მიიტყუა ბავშვები – გურჯაანში 65 წლის პედოფილი ლინჩით გასამართლებას გადაურჩა, კვირის პალიტრა (13.06.2013).

ერაძე ეთერ, საგაზეთო სტატია: ბავშვი შეიჩვია და მთელი ზამთარი თავისთან ყავდა – პედოფილიის მორიგი ფაქტი კახეთში, კვირის პალიტრა (06.07.2013),

ერემაძე ქეთევან, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, თბილისი, 2013.

ერქვანია თინათინ, ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ძირითადი დეტერმინანტები გერმანიის დოქტრინის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(31)11, თბილისი, 2011.

ვაშაკიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, Leistungsstörungsrecht, GTZ, Tbilisi, 2010.

ვეკუა მარინე, რუე ჟილ, ჩიკვილაძე დალი, დარსაველიძე მარინე, კაჭარავა ხათუნა, კუტუბიძე-ზუბაშვილი ლაურა, ლომიძე ელზა, ლომიძე მარინე, მემანიშვილი მაგდა, მჟავანაძე თეა, ონიანი ნატო, ჭალაგანიძე ნინო, ძამუკაშვილი ლალი, ჟურნალისტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

ვერძეული სოფო, გოცირიძე გიორგი, მიქელაძე თამთა, ჯომარჯიძე ნინო, ქურდოვანიძე ნონა, მენაბდე ვახუშტი, ნარმანია გიორგი, ავალიანი თინათინ, სალაძე სულხან, 26 მაისი, ანგარიში, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011.

ზოიძე ბესარიონ, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ზოიძე ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, GTZ-ის გამოცემა, თბილისი, 2007.

ზოიძე ბესარიონ, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამოცმემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2003.

ზოიძე ბესარიონ, ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, სამართლის ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ №5, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, 2012.

იბერი ე., სურგულაძე რ., მასობრივი კომუნიკაცია, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2003.

იბერი ელდარ, მჟავანაძე თეა, ტალახაძე ნანა, საქართველოს რადიოს ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

იზორია ლევან, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2002.

იზორია ლევან, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2005.

ისაშაროვი სამუელ, მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა №2, ბათუმი.

კაპანაძე გივი, ეკონომიკის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „კალიგრაფი“, თბილისი, 2010.

კაპანაძე გივი, ქართლი მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში, მეორე გამოცემა, „საზოგადოებრივი ცოდნა“, თბილისი, 2010.

კერესელიძე დავით, გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №5/2002-4, თბილისი.

კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.

კერესელიძე თათია, შრომის ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებლის მიერ კანდიდატისთვის დასმული დისკრიმინაციული შეკითხვის სამართლებრივი შედეგები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თსუ, თბილისი, 2011.

კერესელიძე თათია, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თსუ, თბილისი, 2013.

კვანტალიანი ნუნუ, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014.

კვერენჩხილაძე გიორგი, საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი (კონსტიტუციის 78-ე მუხლის კომენტარი), თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, სტატიათა კრებული, წიგნი I, თბილისი, 2012.

კობახიძე ირაკლი, პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, გამომცემლობა „არადანი“, თბილისი, 2008.

კოკაია სალომე, ქართული ტელევიზიის დაარსება-განვითარების საკითხისათვის, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2(35), შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი, 2008.

კოპალეიშვილი მაია, ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, თბილისი, 2007.

კორკელია კონსტანტინე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, შპს „პეტიტი“, თბილისი, 2004.

კორძაია თამარ, ლომჯარია ნინო, გობრონიძე ნინო, ქემერტელიძე ნათია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტი: „საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა“ ფარგლებში განხორციელებული კვლევა, ფინანსური მხარდაჭერა – ღია საზოგადოება – სამართლიანი ინიციატივა – OSJI, თბილისი, 2005.

კუბლაშვილი კონსტანტინე, აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორი-

სო სამართალში, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2002.

კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბილისი, 2010.

ლანგი იაშა, მედია და არჩევნები, სახელმძღვანელო, თარგმანი, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს გამოცემა, გამომცემლობა „რეგტაიმი“, თბილისი, 2003.

ლეონარდო დიკ, ევროკავშირის სახელმძღვანელო, მე-7 გამოცემა, სოფიკო ჭუმბურიძის თარგმანი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბილისი, 2002.

ლობჟანიძე გივი, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბილისი, 2005.

მაისურაძე ნათელა, სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი, თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილოსოფიური სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013.

მარინაშვილი მარინე, მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008.

მახარაშვილი ლევან, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპები და თანამედროვე მოდელები, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

მელქაძე ოთარ, საარჩევნო სამართალი, თეორია და ქართული პრაქტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.

მენაბდე ლუკა, საგაზეთო სტატია: 12 წლის გოგონაზე ძალადობისთვის საგარეჯოში ნათლია-პედოფილი დააკავეს, დრონი.ჯი (24.10.2011).

მენჩერი მელვინი, მელვინ მენჩერის ახალი ამბების გაშუქება და წერა, მეთორმეტე გამოცემა, ლაშა გველესიანის თარგმანი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2013.

მონტესკიე შარლ ლუი, კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994.

მჭედლიძე ნანა, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების უფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012.

ნინიძე თედო, მორალური ზიანი საბჭოთა სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №2, თბილისი, 1978.

პაკტე პიერ, მელენ-სუკრამანიანი ფერდინან, კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, 2009 წლის ივლისის მდგომარეობით, ფრანგულიდან თარგამნი გიული კალატოზიშვილისა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

პოპოვიჩი დრაგოლუბ, პროფესიული საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა" №1, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, 2009.

რივაია ბენიამინ, დე სიმა პაბლო, სამართალი და კინო 100 ფილმში, ირინა ჭელიძისა და ტარიელ ხუნწარიას თარგმანი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2008.

როზენი ჯეფრი, გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა" და „ფეისბუქის" ეპოქაში (თარგმანი), ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", №6, 2013.

სავანელი ბიძინა, ადამიანის უფლებები, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2001.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა, საერთაშორისო შეფასებები, მკვლევარი: ლელა რეხვიაშვილი, 2012 წლის ივნისი, 12 (კვლევა).

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2005.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, GIZ, Deutsche Zusammenarbeit, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ავტორთა კოლექტივი), წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001.

სენი ამარტია, დემოკრატია როგორც უნივერსალური ფასეულობა, გ. ჭუმბურიძის თარგმანი, საზოგადოება და პოლიტიკა 3, გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000.

სვანაძე გიორგი, ძლიერიშვილი ზურაბ, როზაქიძე ირაკლი, ჯანაშია ლევან, ცერცვაძე ლაშა, ცერცვაძე გიორგი, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014.

სოარესი მარიო, დემოკრატიული გამოგონება, თარგმანი, ესსე, პუბლიცისტიკა, ნ. რურუას თარგმანი, თავისუფლების კანონი, „რუსთავი 2 პრინტი", თბილისი, 2003, 53.

ტუღუში თეიმურაზ, ბურჯანაძე გიორგი, მშვენიერაძე გიორგი, გოცირიძე გიორგი, მენაბდე ვახუშტი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო

სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2013.

ფალავანდიშვილი კახა, უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის ტრანსფორმაცია ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012.

ქავთარაძე სალომე, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თსუ, თბილისი, 2013.

ქამსტოკი ჯორჯ, ჩაფი სტივენ, კაცმანი ნათან, მაკკომბსი მაქსუელ, რობერტსი დონალდ, ტელევიზია და ადამიანის ქცევა, ინგლისურიდან თარგმანის ავტორები: იაშვილი ი., სამაგლიშვილი ლ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.

ღუჭაშვილი ზურაბ, სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და იურიდიული საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004.

შაიო ანდრაშ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003.

შალიკაშვილი მორის, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011.

შალიკაშვილი მორის, გიორგიძე ალექსანდრე, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, მორის შალიკაშვილისა და მზია ლეკვეიშვილის რედაქტორობით, გამომცემლობა „მერიდინი,“ თბილისი, 2011.

შვაბე იურგენ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2011.

შვარცი ჰერმან, რით შეიძლება დაეხმარის თავისუფალი პრესა მართლმსაჯულებას, ჟურნალი „ალმანახი“, №16, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2001.

შუდრა თამარ, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თსუ, თბილისი, 2013.

ჩართოლანი გიორგი, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, ნაწილი I, სახელმძღვანელო, თბილისი, 2008.

ცაცანაშვილი მარიამ, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „ტექინფორმი“, თბილისი, 1999.

ცნობილაძე პაატა, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004.

ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012.

წულაძე ლია, სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში, თსუ მეცნიერება, სამეცნიერო-პოპულალური ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, დეკემბერი 2013.

ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002.

ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.

ჭელიძე სერგო, მართლმსაჯულების ცნება და მისი განხორციელების დემოკრატიული პრინციპები, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012.

ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004.

ხეცურიანი ჯონი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები, თბილისი, 2006.

ჯანდა ქენეთ, ბერი ჯეფრი, გოლდმენი ჯერი, ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, რ. გაჩეჩილაძის თარგმანი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბილისი, 1995.

ჯაფარიძე შ., პოლიტოლოგია ნაწილი II, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2000.

ჯოლოგუა თამაზ, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სანდრო, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ მე-18 მუხლი, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სერგი, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სერგი, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტუტუტი, თბილისი, 2012.

ჯორბენაძე სერგი, მაუწყებლის საკუთრება („მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის VII თავის ზოგადი ანალიზი), ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სერგი, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სერგი, სამოქალაქო კოდექსის ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების მოქმედება შრომის კოდექსთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი" N1-2 (3-4), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

ჯორბენაძე სერგი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემი, „სამართლის ჟურნალი" №2 2012, თსუ, თბილისის უნივერსიტეტის გამოცმემლობა, თბილისი, 2013.

ჯორბენაძე სერგი, საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, „სამართლის ჟურნალი", თსუ №1 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

Ллойд Деннис, Идеа Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, Юмашев, М. Югона, Москва, 2002.

Тилли Чарльз, демократия, москва, 2007.

Alich Stefan, Facebook-Like-Button und Co. – Datenschutzrechtliche Verantwortlichkeit der Webseitenbereiters, NJW, Heft 49, Verlag C.H. Beck, München, 2011.

Altman Alex, 'Canoe Man' Arrested by Police, The Time London, 05 December 2007.

Ashenden Samantha, "Policing perversion: the contemporary governance of pedophilia", Cultural Values, 6 (1 and 2), 197, 2009.

Bandura Albert, Aggression: Social Learning Analyses, New York: Prentice Hall, 1973.

Barak Gregg, Media, Society and Criminology in Barak Gregg (ed) Media, Process, and the Social Construction of Crime, New York: Garland, 1995.

Bauman Zygmunt, Intimations of Postmodernity, London: Routledge, 1992.

BaumanZygmunt, Postmodernity and its Discontents, Cambridge: Polity Press, 1997.

Becker Howard, Outsiders: Studies in Sociology of Deviance, New York: Free Press, 1963.

Beck'scher Online-Kommentar GG, Art.3, Edition:19, Standt: 01.11.2013.

Blackman Lisa, Walkerdine Valerie, Mass Hysteria: Critical Psychology and Media Studies, Basinstoke: Palgrave 2001.

Blumer Jay, The New Television Marketplace, in Curran James and Gurevitch Michael (eds) Mass Media and Society, London: Arnold 1991.

Bocock Robert, Consumption, London: Routledge, 1993.

Boyne Roy, Post-panopticism, Economy and Society, 29 (2), 2000.

Box Steven, Power, Crime and Mystification, London: Travistock 1983.

Britz Gabrielle, Der allgemeine Gleichheitssatz in der Rechtsprechung des BverfG, Anforderungen an die Rechtfertigung von Ungleichbehandlungen durch Gesetz, NJW, Heft 6, Verlag C. H. Beck, München, 2014.

Burgen Stephen, Spanish train crash: driver Garzóntape revealed, The Guardian (London, 6 September 2013).

Chakraborti Neil, Garland Jon, Hate Crime: Impact, Causes, and Consequences, London: Sage, 2009.

Chermak Steven, Crime in the news media: a refined understanding of how crimes become news in Barak Gregg (ed.) Media, Process, and the Social Construction of Crime, New York: Garland 1994.

Chibnall Steve, Law-and-order news: an analysis of crime reporting in the BritishPress, London: Travistock 1977.

Chibnall Steve, Press Ideology The Politics of Professionalism in Greer Chris., (ed), Crime and Media: A Reader, Abingdon and New York: Routlege 2010.

Cohen Stanley, Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers, Oxford: Martin Robertson, 1972.

Cohen Stanley, Young Jock, The manufacture of news : social problems, deviance and the mass media, London: Constable 1973.

Cohen Stanley, Visions of Social Control: Crime, Punishment and Classification, Cambridge: Polity Press, 1985.

Coleman Clive, Norris Clive, Introducing Criminology, Cullompton: Willan, 2000.

Coleman Roy, McCahill Michael, Surveillance and Crime, London: Sage, 2010.

Coleman Roy, Sim Joe, You'll never walk alone: CCTV surveillance, order and neo-liberal rule in Liverpool city centre", British Journal of Criminology, 2000, 41 (4), 623-639.

Cruzon-Brown Daniel, The teacher review debate part II: the dark side of the Internet, in Gauntlett David(ed.), Web.studies: Rewiring Media Studies of the Digital Age, London: Arnold, 2000.

Curran James, Reinterpreting Internet history, in JewkesYvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Denning Dorothy, Terror's web: how the Internet is transforming terrorism, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Ditton Jason, Duffy James, Bias in the newspaper reporting of crime news, British Journal of Criminology (1983), 23 (2), 159, 162.

Dörr Dieter, Schwartmann Rolf, Medienrecht, 4. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelber, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2012.

Douglas Mary, Purity and Danger: An Analysis of Concepts of Pollution and Taboo, Londgon: Routledge and Kegan Paul, 1966.

Dovey Jon, The reavelation of unguessed worlds, in Dovey Jon (ed.), Fractal Dreams: New Media in Social Context, London: Lawrence & Wishart, 1996.

Eberle Carl-Eugen, Parteienwahlwerbung im Fernsehen, Alte Probleme – gewandelte Verhältnisse – neue Aspekte, NJW, Heft 14, Verlag C.H. Beck, München, 1994.

Edwards Lilian, Rauhofer Judith, Yar Majid, Recent Developments in UK Cybercrime Law; Walden Ian, Computer forensics and the presentation of evidence in criminal cases in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Elefant Carolyn, artickle: The „power" of social media: legal issues & best practices for unilities engaging social media, Energy Bar Association, 2011.

Enders Theodor, Beratung im Uhreber- und Medienrecht, Anwaltspraxis, 4. Auflage, Deutscher Anwaltverlag, 2008.

Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, 14. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2014.

Ericson Richard, Baranek Patricia, Chan Janet, Visualising Deviance : A Study of News Sources Organisations, Buckingham: Open University Press 1987.

Espiner Tom, EU To Launch Scam Crackdown, 26 February, (2007).

Ferrell Jeff, Cultural Criminology, in McLaughlin Eugene and Muncie John, (eds) The SageDictionary of Criminology,London: Sage 2001.

Finch Emily, The problem of stolen identity and the Internet, in Jewkes Yvonne (ed.), Crime Online, Cullompton: Willian, 2003; 2007.

Fiske John, Television Culture, London: Routledge 1987.

Foucoult Michel, Discipline and Punish, London: Allen Lane, 1977.

Frayn Michael, The Tin Men, London: Collins 1965.

Frey Felix, Die Funktionen der Massenmedien, Hausarbeit, 1. Auflage, Grin Verlag, Norderstedt, 2002.

Furnell Steven, Hackers, viruses and malicious software, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Gandy Oscar, The Panoptic Sort, Boulder, CO: Wesview Press, 1993.

GG Kommentar zum Grundgesetz, Schmidt-Bleitbreu/Hofmann/Hopfauf, 11. Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, München, 2008.

Gillespie Marie, McLaughlin Eugene, Media and the making of public attitudes, Criminal Justice Matters, 49, Autumn, (2002).

Goodman Martin, Why the police don't care about cybercrime, Harvard Journal of Law and Technology, (1997), 10.

Golding Peter, Murdock Graham, Culture, communications and political economy in Curran James and Gurevitch Michael, (eds) Mass Media and Society, revised 3rdedn, London: Arnold 2000.

Grabosky Peter, Virtual criminality: old wine in new bottles? Social & Legal Studies (2001), 10.

Green David, Suitable vehicles: Framing blame and justice when children kill a child, Crime, Media, Culture: an International Journal, (2008, Vol. 4 (2)).

Greer Chris, Sex Crime and Media: Sex Offending and the Press in a Divided Society, Collumpton: Willian, 2003.

Greer Chris, Crime and Media: A Reader, London: Routledge, 2009.

Greer Chris, Reiner Robert, Mediated Mayhem: Media, Crime, Criminal Justice in Maguire Mike, Morgan Rod and Reiner Robert (eds), The Oxford Handbook of Criminology, Oxford: Oxford University Press, 2012, Fifth Edition.

Grundgesetz Kommentar, Schidt-Bleitbreu, Hofmann, Hopfauf, 11. Auflage, Art. 5, Verlag Carl Heymanns Verlag, München, 2008.

Grundgesetz, Mitarbeiterkommentar und Handbuch, Band 1, Art. 1-37 GG, Umbach, Clemens (Hrsg.), C. F. Müller Verlag, Heidelberg, 2002.

Grundgesetz-Kommentar, Münch/Kunig (Hrsg.) Band 1, 5. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2000.

Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 9. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007.

Gusfield Joseph, Symbolic Crusade: Status Politics and the American Temperance Movement, 2nd edn. Urbana, IL: University of Illinois Press, 1986.

Haggerty Kevin, Ericson Richard, The surveillant assemblage, British Journal of Sociology, 51(4), 2000.

Hague Rod, Harrop Martin, Political Science, A Comparative Introduction, 6th Edition, Macmilan, New York, 2010..

Hamelink Cees, The Ethics of Cyberspace, London: Sage, 2000.

Hall et. al., Policing the Crisis: Mugging, the State and Law and Order , London: Macmillan 1978.

Hebdige Dick, After the masses Marxism Today, January (1989).

Heise Online-Recht, 3. Ergänzungslieferung, Kapitel I, 2011.

Herman Edward, Chomsky Noam, Manufacturing Consent: The Political Economy of Mass Media, New York: Vintage, 1992.

Jenkins Philip, Intimate Enemies: Moral Panics in Contemporary Great Britain, New York: Aldine de Gruyter 1992.

Jenkins Philip, Beyond Tolerance: Child Pornography on the Internet (New York: New York University Press 2001).

Jewkes Yvonne, Sharp Keith, Crime, deviance and the disembodied self: transcending the dangers of corporeality, in Jewkes Yvonne(ed.) Dot.cons: Criminal and Deviant Identities on the Internet, Cullompton: Willan, 2003.

Jewkes Yvonne, Policing the net: crime, regulation and surveillance in cyberspace, in Jewkes Yvonne (ed.), Dot.cons: Crime, Deviance and Identity on the Internet, Cullompton: Willan, 2003b.

Jewkes Yvonne, Andrews Carol, Policing the filth: the problems of investigating online child pornography in England and Wales, Policing & Society, 15 (1), (2005).

Jewkes Yvonne, Much ado about nothing? Representations and realities of online soliciting of children, Journal of Sexual Aggression, 16 (1) (2010).

Jewkes Yvonne, Mediaand Crime, California, Sage Publications 2011.

Katz Jack, Seductions of Crime: Moral and Sensual Attractions in Doing Evil, New York: Basic Books, 1990.

Kitzinger Jenny, The ultimate neighbor from hell? Stranger danger and the media framing of pedophiles in Franklin Bob, (ed) Social Policy, the Media and Misrepresentation, London: Routlege 1999.

Körber Torsten, Juristische Recherche im Internet, NJW, Heft 48, Verlag C.H. Beck, München, 1997.

Koskela Hille, 'The other side of surveillances: webcams, power and agency', in Lyon David (ed.), Theorizing Surveillance: The Panopticon and Beyond, Cullompton: Willan, 2006.

Langman Lauren, Neon cages: shopping for subjectivity, in Shields Rob(ed.), Lifestyle Shopping: The Subject of Consumption, London: Routledge, 1992.

Lyon David, Surveillance Society: Monitoring Everyday Life, Buckingham: Open University Press, 2001.

Lyon David, Surveillance as social sorting: computer codes and mobile bodies, in Lyon David (ed.), Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003.

Lyon David, Surveillance Studies: An Overview, Cambridge: Polity Press, 2007.

Löffer Martin, Ricker Reinhart, Handbuch des Presserechts, 4. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2000.

Lutz Tillmanns, Aktuelle Herausforderungen für die Medienethik, Aus Politik und Zeitgeschichte, 38/2006, 18. September, Beilage zur Wochenzeitung Das Parlament, 2006.

McLintock Christa Corrine, The Destruction of Media Diversity, or: How the FCC learned to stop and love corporate dominated media, John Marshall Journal of Computer & Information Law, Spring 2004.

Marquardt Jens, Verschränkung von Medien und Politik im deutsch-italianischen Vergleich, Das Verhältnis von Medien und Politik im Spiegel der "Berlusconiesierung", Studienarbeit, 1. Auflage, Grin Verlag, Norderstedt, 2007.

Marsh Heidi, A comparative analysis of Crime Coverage in Newspapers in the United States and Other Countries From 1960-1989: A Review of the Literature, Journal of Criminal Justice, 19(1).

Marx Gary, Electric eye in the sky: some reflections on the new surveillance and popular culture, in Ferrell Jeff and Sanders Clinton (eds), Cultural Criminology, Boston: Northeastern University Press, 1995.

Marx Gary, What's new about the new surveillance? Classifying for change and continuity, Surveillance & Society, 2002, 1 (1).

Mason et. al, On the Poverty of a Priorism: Technology, Surveillance in the Workplace and Eployee Responses, pre-publication draft, Plymouth: University of Plymouth, 2000.

Mathiesen Thomas, The viewer society: Michel Foucault's "Panopticon" revisited, Theoretical Criminology, 1997, 1 (2).

McCahill Michael, The Surveillance Web: The Rise of Visual Surveillance in an English City, Collumpton: Willan, 2002.

McCahill Michael, Norris Clive, Literature Review: Working Paper No. 2, 2002.

McCahill Michael, Media representations of surveillance, in Mason Paul (ed.), Criminal Visions: Media Representations of Crime and Justice, Collumpton: Willan, 2003.

McLaughlin Eugene, Muncie John, Hughes Gordon, The Permanent Revolution: New Labour, New Public Management and the Modernization of Criminal Justice, Criminology and Criminal Justice (2001) 1 (3).

McNair Brian, The Sociology of Journalism, London: Arnold 1998.

McRobbie Angela, Thornton Sarah, Re-thinking Moral Panics for Multi-mediated Social Worlds, British Journal of Sociology (1995) 46(4), 559–74.

Merton Robert, Social Theory and Society, Glencoe III,: Free Press 1957.

Merton Robert, Social Structure and Anomie, American Sociological Review, 3.

Meyer Thomas, Medienrecht im Kontexts standortrelevanter Faktoren Bestimmungsfaktoren für die Standortentscheidung privater Fernsehveranstalter in Deutschland – unter besonderer Berücksichtigungen, München, Utz, 1997.

Miller Vincent, The Internet and everyday life, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Morley David, Television Audiences and Cultural Studies, Oxford: Blackwell 1992.

Mulgan Geoff, A tale of two cities, Marxism Today, March: 18-25, 1989.

Muncie John, Youth and Crime: A Critical Introduction, 3rdedn, London: Sage 2009.

Naylor Bronwyn, Reporting violence in the British print media: gendered stories, Howard Journal, (2001) 40 (2).

Newburn Tim, Hayman Stephanie, Policing, Surveillance and Social Control: CCTV and Police Monitoring of Suspects, Cullompton: Willan, 2001.

Norris Clive, Armstrong Gary, The Maximum Surveillance Society: The Rise of CCTV, Oxford: Berg, 1999.

Norris Clive, From personal to digital: CCTV, the panopticon, and the technological mediation of suspicion and social control, in Lyon David (ed.), Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003.

O'Malley Pat, Governmentality, in McLaughlin Eugene and Muncie John (eds) The Sage Dictionary of Criminology, London: Sage, 2001.

O'Sullivan Tom, JewkesYvonne, The Media Studies Reader, London:Arnold 1997.

Orr James, Madeleine McCann may have been kidnapped to order, The Guardian (London, 7 August2008)

Osborne Richard, Megawords, London: Sage 1995.

Outing Steve, Neswpapers and New Media, The Digital Awakening of the Newspaper Industry, First Edition, Graphic Arts Technical Foundation, Sewickley, 2000.

Paal Boris, Die Rolle der Medien in der Demokratie, TV Diskurs, 64, 2, Jg. 17, 2013.

Pearson Geoffrey, Hooligan: A History of Respectable Fears, Basingstoke: Macmillan, 1983.

Peelo et al. Newspaper Reporting and the Public Construction of Homiciede, British Journal of Criminology, 44(2).

Perry Barbara, In the Name of Hate: Understanding Hate Crimes, New York: Routledge, 2001.

Porter Michael J., Broadcasting in America, A Survey of Electronic Media, Instructor's Manual, 6th Edition, Houghton Mifflin Company, Boston, 1990.

Poster M., The Mode of Information, (Chicago: University of Chicago Press, 1990).

Presdee Mark, Agony or Ecstasy: Broken Transitions and the New Social State of Working-class Youth in Australia, South Australian Centre for Youth Studies Occasional Paper, 1986.

Presdee Mike, Cultural Criminology and the Carnival of Crime, London: Routlege 2000.

Philip Carlo, The Ice Man: Confessions of a Mafia Contract Killer, New York, New York: St. Martin's Press, 2006.

Punch Maurice, Dirty Business: Exploring Corporate Misconduct: Analyses and Cases, London: Sage 1996.

Man Qi, Yongquan Wang, RongshengXu, Fighting cybercrime: legislation in China, International Journal of Electronic Security and Digital Forensics, 2 (2), (2009).

Regan Priscilla, Genetic testing and workplace surveillance: implications for privacy, in Lyon David and ZureikElia (eds), Computers Surveillance and Privacy, Minneapolis: University of Minnesota Press, 1996.

Reiner Robert, The rise of virtual vigilantism: crime reporting since World War II, Criminal Justice Matters 43 (1) 4-5.

Rock Paul, Sociological Theories of Crime in MaguireMike, Morgan Rod and Reiner Robert (eds), The Oxford Handbook of Criminology, Oxford: Oxford University Press, 2012, Fifth Edition.

Ronson Jon, Gary McKinnon: Pentagon hacker's worst nightmare comes true, Guardian 1 August 2009.

Rossnagel Alexander, Der Beweiswert der E-Mail, NJW, Heft 17, Verlag C.H. Beck, München, 2003.

Schneider Hans Joachim, Kriminologie fur das 21. Jahrhundert: Schwerpunkte und Fortschritte der internationalenKriminologie: Überblick und Diskussion, Munster, 2001.

Scraton Phil, The demonization, exclusion and regulation of children: from moral panic to moral renewal in Boran Anne (ed), Crime: Fear or Fascination, Chester: Chester Academic Press, 2003.

Sharratt Tom, James Bulger 'battered with bricks', The Guardian(London, 2 November 1993).

Sherman Lawrence, Defiance, Compliance and Consilience: A General Theory of Criminology in McLaughlin Eugene and Newburn Tim, (eds), Sage Handbook of Criminological Theory, London: Sage 2010.

Silverman Jon, Wilson David, Innocence Betrayed: Pedophilia, the Media and Society, Cambridge: Polity, 2002.

Simon Jonathan, Governing through crime, in Fisher George and Friedman Lawrence Meir(eds) The Crime Conundrum: Essays on Criminal Justice, Boulder, CO: Westview Press, 1997.

Soothil Keith, Walby Sylvia, Sex Crime in the News, London: Routlege, 1992.

Smith Russel, Identity theft and fraud, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Stalder Felix, Lyon David, Electronic identity cards and social classification, in Lyon David(ed.) Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003.

Taylor Ian, Walton Paul, Young Jock, The New Criminology: For a Social Theory of Deviance,London: Routledge and Kegan Paul, 1973.

Taylor Paul, Maestros or misogynists? Gender and the social construction of hacking in JewkesYvonne(ed.) Dot.cons: Crime, Deviance and Identity on the Internet, Cullompton: Willan, 2003.

Tisdall Simon, Cyber-warfare 'is growing threat (3 February 2010).

Tombs Steve, Whyte Dave, Safety Crimes, Cullompton: Willan 2007.

Townsend Mark, Panic-room is a must-have for rich and famous, Observer, 23 June, 2003.

Travis Alan, DNA database missing profiles of thousands of prisoners (Guardian, 18 February 2010).

Travis Alan, DNA matches solve only a fraction of crimes, police admit (Guardian, 5 January 2010).

Valier Claire, Crime and Punishment in Contemporary Culture, London: Routledge, 2004.

Van der Ploeg Ian, Biometrics and the body as information: normative issues of the socio-technical coding of the body, in Lyon David, Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003.

Walker Jesse, (2002) Panic Attacks: Drawing the Thin Line Between Caution and Hysteriaafter September 11th, Reason Magazine (March).

Wall David, Yar Majid, Intellectual property crime and the Internet: Cyber-piracy and "stealing" information intangibles, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Wandtke Artur-Alex (Hrsg.), Medienrecht, Praxishandbuch, 2. Auflage, Band 4, Verlag Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin/Boston, 2011.

Watts Johnathan, Behind the Great Firewall, The Guardian (9 February 2008).

Williams Paul, Dickinson Julie, Fear of Crime: Read All About It? The Relationship Between Newspaper Crime Reporting and Fear of Crime, British Journal of Criminology, 33(1).

Winfield Betty, Peng Zengjun, Market or party controls?: Chinese media in transformation, International Communication Gazette, 67 (3), (2005).

Wykes Maggie, Harcus Daniel, Cyber-terror: construction, criminalization and control, in Jewkes Yvonneand Yar Majid (eds), Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Yar Majid, Cybercrime and Society, London: Sage, 2006.

Yar Majid, 'Public perceptions and public opinion about internet crime', in Jewkes Yvonne and Yar Majid (eds) Handbook of Internet Crime, Cullompton: Willan, 2010.

Young Jock, The Role of the Police as Amplifiers of Deviancy, in Cohen Stanley (ed.) Images of Deviance, Harmondsworth: Penguin, 1971.

Zureik Elia, Theorizing surveillance: the case of the workplace, in Lyon David(ed.) Surveillance As Social Sorting: Privacy, Risk and Digital Discrimination, London: Routledge, 2003.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებანი/განჩინებანი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის №2ბ/2838-13 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ივლისის №3კ/390-02 გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 31 ივლისის №3კ-475-02 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის №ბს-102-289-კ-03 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის №ას-556-939-06 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის №ბს-1585-1539(გ-08) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1240(კ-08) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აპრილის №ას-1010-947-10 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის №ას-429-405-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №ას-1378-1300-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის №ას-1332-1258-2012 განჩინება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებანი/განჩინებანი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 1 დეკემბრის №10 დადგენილება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 10 აპრილის №285/18 გადაწყვეტილება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 აპრილის №245/22 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილებანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი, ლელა გურაშვილი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქარველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის №2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის №1/1/257,268 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა ურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარალემნტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ავთანდილ უნგიაძე და გიორგი ყიფიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარალემნტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის №466 გადაწყვეტილება საქმეზე სსაქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ძვიად ძიძიგური და კახა კუკავა, დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა:

BverfG, 1 BvF 1/91 vom 11.11.1997.

BverfG, 1 BvR 411/00 vom 14.12.2004.

BverfG, 1 BvR 654/09 vom 3.4.2009.

BverfG, 1 BvR 901/11 vom 25.10.2012.

BverfG, 1 BvR 1215/07 vom 24.4.2013.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადწყვეტილებანი

The Sunday Times v. the United Kingdom – 26.04.1979 (AN – 6538/74)

Lingens v. Austria – 08.07.1986 (AN – 9815/82)

Groppera Radio AG and Others v. Switzerland – 28.03.1990 (AN – 10890/84)

Informationsverein Lentia and Others v. Austria – 24.11.1993 (AN – 13914/88; 15041/89; 15717/89; 15779/89; 17207/90)

Jersild v. Denmark – 23.09.1994 (AN – 15890/89)

Radio France and Others v. France – 30.03.2004 (AN – 53984/00)

ონლაინ რესურსი:

www.beck-online.beck.de

www.bundesverfassungsgericht.de

www.childline.org.uk

www.civil.ge

www.constcourt.ge

www.content.time.com

www.css.ge

www.dfwatch.net

www.droni.ge

www.enreg.reestri.gov.ge

www.facebook.com

www.fifa.com

www.frontnews.ge

www.gip.ge

www.giz.de

www.globaltv.ge

www.gncc.ge

www.guardian.co.uk

www.hr.ge

www.hudoc.echr.coe.int

www.identoba.com

www.identitytheft.org.uk

www.idfi.ge

www.iiss.org

www.internetworldstats.com

www.interpressnews.ge

www.jobs.ge

www.kvirispalitra.ge

www.medienfreiheit.ch

www.met.police.uk

www.mfa.gov.ge

www.msnbc.msn.com

www.news.bbc.co.uk

www.news.zdnet.co.uk

www.newscafe.ge

www.opendata.ge

www.pia.ge

www.pirveliradio.ge

www.police.ge

www.princedavid.ge

www.reason.com

www.supremecourt.ge

www.swiftcover.com

www.transparency.ge

www.theguardian.com/uk

www.tinyurl.com

www.venice.coe.int

www.web.amnesty.org

www.youtube.com